

ახალციხის ინსტიტუტი

მერაბ ბერიძე

**მეხვეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და
ისტორიისათვის**

თბილისი, 2008

უაქ 378(479.22)(066)

UDC
ს-223

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
*ლილი გოზალიშვილი;
ლელა ინასარიძე;
მარინა მურჯიკნელი.*

დააკაბადონა: *დარეჯან ველიაკოვა*

© მერაბ ბერიძე, 2008

გამომცემლობა „ნეკერი“, 2008

ISBN 978-9941-404-54-2

შესავალი

ჯავახეთი, ერუშეთი, არტანის, კოლა

მესხეთის ისტორიულ ნაწილთა („ქვეყანათა“) აღწერას დაე-
წყებთ ჯავახეთით, ამასთანავე, ვეცდებით, ზოგიერთი საკითხი
დავაზუსტოთ მე-20 საუკუნის დასაწყისის ავტორთა მოსაზრებე-
ბით, რისთვისაც მიმოვიხილავთ მათ ნაშრომებს.

ჯავახეთი საქართველოს უძველესი კუთხეა. ლეონტი მროველი
ქართველთა მითოლოგიური წინაპრების დახასიათებისას, ჯავახოსს
ქართლოსის ძის ძედ ასახელებს, რომელსაც მცხეთოსმა „მისცა
ფანავრიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშე-
ნა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა“. აქედან მო-
ყოლებული ჯავახეთი უდიდეს როლს თამაშობდა საქართველოს
ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯავახეთის, უფრო ზუს-
ტად, ჯავახთა სიძლიერე – სიმდიდრეზე ბევრად იყო დამოკიდე-
ბული საქართველოს ყოფა.

ჯავახეთის საზღვრების დადგენისათვის პირველ რიგში უნდა
გავითვალისწინოთ ივ. ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოს
კუთხეების ანუ ქვეყნების შესახებ: „საქართველო შესდგებოდა
რამდენიმე „ქვეყნისა“-გან, რომელთაც თავ-თავიანთი სახელები და
თავ-თავიანთი საზღვრები ჰქონდათ... ამ ქვეყანათა სახელებიცა და
საზღვრებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკურ ან ეროვნულ ვი-
თარებისდა მიხედვით იცვლებოდნენ... მაგრამ არსებობდა მაინც
თითოეული ქვეყნის მუდმივი მკვიდრი საზღვრები, რომელთ შუა
იყო ხოლმე იგი შემოფარგლული. საქმე ამ მუდმივი საზღვრების
გამოკვლევაა იმ ისტორიული ხანისათვის..., რომლის შესწავლაც
ჩვენს მიზანს შეადგენს. პირდაპირი ცნობები ამ საგანზე არსად
მოიპოვება, მაგრამ ამისათვის, ვგონებ, გამოსადეგი უნდა იყოს ლე-
ონტი მროველის მიერ აღწერილი ქართველთა სხვადასხვა ტომთა
ვითომც წინაპართა სამფლობელოები. იქ, სადაც, მაგ., ქართლოსის,
კახოსის, კუხოსის, ეგროსის და სხვათა... რა საზღვრებიც თი-
თოეულს ამ ქვეყანათაგანს ავტორის დროს (X-XI სს.) და წინა-
თაც მიკუთვნებული ჰქონია. ამგვარის ხერხით, მე მგონია, შეიძ-
ლება მკვლევარმა გამოარკვიოს საქართველოს თითქმის ყველა
ქვეყნის საზღვრები“¹.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 28.

ჯავახეთი მცხეთოსის ძის — ჯავახოსის სამფლობელოა *ლეონტი მროველის* მიხედვით, ამის გამო, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ავტორის მიერ დადგენილი ჯავახეთის საზღვრები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ *ლეონტი მროველის* მიერ გამოყოფილი საქართველოს კუთხეთა ისტორიული საზღვრები ივ. ჯავახიშვილზე ბევრად უფრო ადრე გაითვალისწინა *ვახუშტი ბატონიშვილმა* „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“. ვახუშტის მიერ გამოყოფილი საზღვრები რეალურია არა მარტო XVIII საუკუნის საქართველოსათვის, არამედ ისტორიულადაც, რამდენადაც ავტორი *ლეონტი მროველს* ეყრდნობა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მონაცემებს და იმ ფაქტსაც, რომ ამა თუ იმ „ქვეყნის“ საზღვრებთან დაკავშირებით მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა და დღევანდელი სურათიც ისტორიულად უფრო რეალურად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, ჯავახეთის, როგორც ისტორიული, ასევე დღევანდელი საზღვრების დადგენისას ერთნაირად უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც *ლეონტი მროველისა* და *ვახუშტის* ცნობებს, ასევე დღევანდელ ვითარებას.

საფიქრებელია, რომ „ქვეყანათა“ სტაბილური საზღვრები შემოგვინახა იმ ეთნოგრაფიულ-დიალექტურმა ოდინდელმა მთლიანობამ, რომელსაც დროთა განმავლობაში ვერ ცვლიდა ადმინისტრაციული გაფართოება თუ შემცირება.

ჯავახეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი, კერძოდ, თრიალეთი, „მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიძისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“².

„სამცხე-ჯავახეთის საზღვარი „ფანავრითგან“ იწყებოდა და გასდევდა ქედს: მთა თავკეთილი, შავნაბადა, კოდანის მთა, ტბა ტაბისყურისა, მთა შარვაშეთისა. ჯავახეთში შედიოდა თავფარავნის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე სოფლები: ფოკანი, მახაროვანი, განძანი, ტბის დასავლეთით სოფ. შაორი, ფარვანა და სხვა. თავფარავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს ქართლის საზღვარი სწვდებოდა, შესაძლებელია მისი ნაწილი ქართლსაც ეკუთვნოდა და ტბა შუაზე იყო გაყოფილი, ასევე ითქმის ტაბისყურის ჩრდილოეთ ნაწილზე“³.

² ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით* ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1975, გვ. 318.

³ შ. ლომსაძე, *სამცხე-ჯავახეთი*, თბ., 1965, გვ. 270.

ივ. ჯავახიშვილი უფრო ზოგადად განიხილავს ჯავახეთის აღმოსავლეთის საზღვარს: „ამ ქვეყნის საზღვრები რომ გამოვარკვიოთ, უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ „ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა... არს ჯავახეთი და კოლა არტაანი“-ო. რაკი კოლა და არტაანი სამხრეთით მდებარეობენ, ამიტომ ფარავნის ტბა, რასაკვირველია, ჯავახეთის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საზღვარი უნდა იყოს. ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი მარტო ფარავნის ტბით ვერ განისაზღვრება“⁴.

ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი ფარავანზე და ტაბისყურზე გადიოდა ყოველთვის. „გეოგრაფიულად ზემო ჯავახეთში მყოფი ფარავანი პოლიტიკურად ქართლში იგულისხმებოდა. „ჯავახეთის მთებშია“ იგი ნინოს ცხოვრების ავტორისათვის, რასაც იმეორებენ *ლეონტი* და *სუმბატ დავითის ძეც*. ამავე დროს ჯავახოსის წილს ქართული წყაროები ფარავნის დასავლეთიდან იწყებენ, ხოლო ვახუშტი ტაბისყურსაც და ფარავანსაც თრიალეთში აღწერს“⁵.

სამცხისა და ჯავახეთის სასაზღვრო ხაზის დადგენა კოლიანიდან მტკვრამდე დიდი სიზუსტით ხერხდება ვახუშტის მიხედვით. ჯავახეთს ეკუთვნის კოლიანი, რომელიც ესაზღვრება სამცხეს, კოლიანის მთები ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია. აქედან მოყოლებული საზღვარი გადის ოთის თავზე, შემდეგ კი საზღვრის თანმიმდევრობა ასე მიჰყვება: ბოქთა, ღართა, შორეთა (ტაიჭა), კოხტა (ტამალა), ტამალის წყალი („კოხტის ხევი“), მტკვრის მარჯვენა ნაპირი ნიჯგორამდე.

სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე ივ. ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს: „ბაგრატიონთა მემატთანე ამბობს: მოკლეს ნასრა ხევსა სამცხისასა სოფელსა ასპინძას“-ო. მაშასადამე, ასპინძა სამცხეში ყოფილა“⁶.

ვახუშტი დაბეჯითებით მიჰყვება მტკვრის ნაპირს სამცხისა და ჯავახეთის საზღვრის გასაყოფად. ხერთვისი, მისი აზრით, სასაზღვრო ხაზზე მდებარეობს, ამიტომ ამ პუნქტს აღწერს როგორც სამცხეში, ასევე ჯავახეთში. სამცხეში: „ამ ქვეს ზეით (იგულისხმება შულავერის ხევი-მ.ბ.) ხერთვისს ერთვის ჯავახეთის მდინა-

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983, გვ. 57.

⁵ დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1985, გვ. 97.

⁶ ივ.ჯავახიშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 56.

რე მტკვარი... ხერთვისს არს ხიდი მტკუარსა ზედა⁷. ჯავახეთის აღწერასაც ვახუშტი იწყებს ისევ ხერთვისიდან. „ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს და სად ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკუარის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკუარის სამხრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და დგანან აქ იენგიჩარნი“⁸.

როგორც ჩანს, ვახუშტი ხერთვისს სამცხეში ასახელებს ჭაჭარაქის ხევის (ალბათ ჭაჭკრის ხევი – მ.ბ.) ადგილის დასაზუსტებლად, რადგანაც სამცხის აღწერისას იგი არტაანის მტკვარს მიჰყვება, ხოლო ხერთვისის ხიდი სწორედ არტაანის მტკვარზე იყო გადებული და არა ჯავახეთისაზე, დღევანდელ ხერთვისსა და ნარმანს შორის. ამასთან, ხერთვისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა და, ბუნებრივია, ვახუშტი მას ჯავახეთში განიხილავს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ხერთვისს ზეთოს, ჭაჭარაქის ხევს (ჭაჭკრის ხევს – მ.ბ.). ქარზამეთის ხევს, ქარზამეთსა და ვარძიას კი ვახუშტი სამცხის ფარგლებში მოაქცევს. წუნდა უკვე ჯავახეთია, ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი. „ხოლო დასავლეთით მზღვრის ჯავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეთი და წყაროსთავის დასავლეთ წარსული მცირე გორანი“⁹. „ძველად და ახლა“, ალბათ, იგულისხმება მტკვრის ზემო ნაწილი, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა, თორემ ნიჯგორ-ხერთვისს ზეთი კვლავ მტკვარს მიჰყვება. ვახუშტი ჯავახეთის დასავლეთი საზღვრის დადგენისას ისტორიულ ტრადიციას ითვალისწინებს და „ძველში“ გულისხმობს ლეონტის ცონბას ფარნავაზის მიერ ერისთავების დადგენისა და მათთვის სამფლობელოების გამოყოფის შესახებ: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მისცა ფანვართვან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი“¹⁰. ვახტანგის შვილები მირდატი და დაჩი „დაეუკვრნენ“ ერთმანეთს. დაჩიმ მისცა მირდატს „ჯავახეთი ფარავნითვან მტკუარამდე“¹¹ – წერს ჯუანშერი. ამავეს

⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 667.

⁸ იქვე, გვ. 669

⁹ იქვე, გვ. 671-672.

¹⁰ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 24.

¹¹ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 205.

იმეორებს ვახუშტი „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისაში“: „გაუცვალა ღარი მეფემან ძმასა თუსსა მირდატს ქუეყანა და დაიპყრა თუთ ეგრისის იქით დასავლეთის ნაწილი და მირდატს მისცა ჯავახეთი ფანავრიდამ მტკურამდე“¹². ვახუშტი სამცხე-საათაბაგოს აღწერის შესავალში მცხეთოსის მიერ ჯავახოსისათვის მიცემულ ტერიტორიას ასე საზღვრავს: „ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თუსსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“¹³.

ამ შემთხვევაშიც ვახუშტი ისტორიულ ტრადიციას, კერძოდ, ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილ ცნობას ეყრდნობა და განსაზღვრავს ჯავახეთის ფარგლებს „ფანავრითგან“ „მტკურის აღმოსავლეთით“.

შაჰთამაზის შემოსევის შესახებ ვახუშტი წერს: „ჩამოვიდა ყენი, აღილო ვარძია, თმოგუ, ვანის ქვაბნი, ასპინძა, ვარენტა და სრულიად სამცხის ციხენი და აწყურის ღუთის-შშობელი ტყუეპყო“¹⁴. „სრულიად სამცხის ციხენში“ იგულისხმება ზემოჩამოთვლილი ყველა პუნქტი. როგორც ჩანს, ვახუშტი მათ შორის მოაქცევს ვანის ქვაბებსაც, რომელიც მტკურის მარჯვენა ნაპირზეა. ვახუშტი ციხეებს ჩამოთვლის, ვანის ქვაბები კი მონასტერი იყო და ამიტომ აღარ მიაჩნდა საჭიროდ ისტორიკოსს ამ პუნქტის ლოკალიზაცია, დაკონკრეტება და იმის გახაზვა, რომ ვანის ქვაბები ჯავახეთის ტერიტორიას ეკუთვნის.

ჯავახეთის დასავლეთი საზღვრის გასარკვევად მნიშვნელოვანია XVI საუკუნის ძეგლის „მესხური მატიანის“ ცნობა: „შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსაშუშლებლად, ველარ მოუსწრა. ციხე ორივ წაერთმივნა. ყუელიდამა თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქედამა ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა. ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურგაქს ქაჯის ციხე გაუბარაქიანა. ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა“¹⁵.

მანუჩარი თმოგვიდან მიდის ჯავახეთს. ამრიგად, XVI საუკუნეში თმოგვი ჯავახეთში არ შედის.

¹² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 692.

¹³ იქვე, გვ. 657.

¹⁴ იქვე, გვ. 716.

¹⁵ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV-XVI სს.) თბ., 1961, გვ. 47.

„მესხურ ძატიანეს“ იყენებს ვახუშტი წყაროდ და იმავე ამბებს შემდეგნაირად აღწერს: „ყოკოლამ ყარაზან შეიყარა თმოგვის მოსაშველებლად. არამედ ველარ მოუსწრა, დედისიმედიც ყუელიდამ თმოგუს მოვიდა. იქიდან მანუარ ჯავახეთს წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბია და გურგაქს ქაჯის ციხე გაუმაგრა საზრდელთა“¹⁶.

დამოწმებულ ციტატებში ორი ციხეა დასახელებული — ყუელისა და თმოგვისა, მაგრამ „იქიდან“ სიტყვაში უეჭველად იგულისხმება თმოგვი და არა ყუელი.

როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიერ სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრის გავლება მტკვარზე ხერთვისს ზევით ნებისმიერი კი არ არის, არამედ ემყარება გარკვეულ ისტორიულ ტრადიციას.

ჯავახეთის დასავლეთ საზღვართან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრება: „სომხურ გეოგრაფიაში“ სხვათა შორის ნათქვამია: მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან კოლას კანიონიდან, დის ჯავახეთის ძირობაზე, ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და მოედინება ქართლის ზემო ქვეყანაზე.

აქედან ცხადია, რომ მტკვრის დასავლეთითაც ჯავახეთია და არა სამცხე, როგორც ეს ვახუშტის ჰგონია (სამცხეში მტკვარი შემდეგ ჩადის)¹⁷.

საფიქრებელია, რომ მტკვრის „ჯავახეთის ძირობაზე დენა“ სწორედ ჯავახეთის დასავლეთ საზღვარზე მიანიშნებს, რომ იმის იქით, მტკვარს იქით, ჯავახეთის საზღვარი აღარ არის. ამ აზრს ისიც ამაგრებს, რომ „სომხურ გეოგრაფიაში“ შემდეგ საუბარია მტკვრის მოხვევაზე აღმოსავლეთისაკენ, სადაც ის „მოედინება ქართლის ზემო ქვეყანაზე“. მტკვარი კი შუაგულ სამცხეში უხვევს მკვეთრად აღმოსავლეთისაკენ იქ, სადაც ფოცხოვი ერთვის.

ხელოვნურად გვეჩვენება აგრეთვე ქვემო ჯავახეთში მოქცევა ბუზმარეთ-ნიალის ველისა¹⁸.

ბუზმარეთი-სალოშეთი-ლეპისი-ნიალა ისეთივე გეოგრაფიული გარემოთი ხასიათდება, როგორც „მთიანი“ ჯავახეთი. ასე რომ, „ზემო“ ჯავახეთზე დაბლა აღნიშნული ტერიტორია არ არის.

ტერიტორიის „ზემო“ და „ქვემო“ ნაწილებად დაყოფა ტოპონიმიაში უეჭველად უკავშირდება გეოგრაფიულად მალლა („ზემოთ“) და, შესაბამისად, დაბლა მდებარე ერთეულებს. ზემო, როგორც წესი, უფრო მთიანეთს ნიშნავდა. გარდა ამისა, ასეთი დაყოფის დროს

¹⁶ ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 721.

¹⁷ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

¹⁸ იქვე, გვ. 93-94.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდინარე, რომლის სათავეში, ზემო წელში მდებარე ტერიტორიულ ერთეულს „ზემოს“ არქმევდნენ, შედარებით დაბლა მყოფს – „ქვემოს“. ასეთი დაყოფის კლასიკური მაგალითია ქართლის სამ ნაწილად დანაწილება: ზემო ქართლი მტკვრის სათავეში მდებარე ქართლი ანუ მესხეთი იყო. საინტერესოა ერთი ფაქტიც: მას შემდეგ, რაც მესხეთი მოსწყდა საქართველოს, ზემო ქართლმა შედარებით ქვემოთ ჩამოინაცვლა და ბორჯომის ხეობას ეწოდებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ ჩაითვლება ნიალა-ბუზმარეთი ქვემო ჯავახეთად. ნიალა-ბუზმარეთი არც რაიმე მდინარის მიხედვით, არც სიმაღლის მიხედვით არ უპირისპირდება „ზემო“ ჯავახეთს. მეტიც შეიძლება ითქვას: ნიალა-ბუზმარეთის მხარის ზოგიერთი ისტორიული პუნქტი „ზემო“ ზღსართავ სახელს ირთავს. ზედა ვარძია, ქვედა ვარძიის საპირისპიროდ; ზედა თმოგვი, ქვედა თმოგვის საპირისპიროდ; ზედა ვარნეთი – ქვედა ვარნეთი და სხვ. და, თუ მაინც აუცილებლად ჩავთვლით ჯავახეთის დაყოფას ზემო და ქვემო ნაწილებად, მხოლოდ ბარის ჯავახეთი იქნება ქვემო ჯავახეთი.

ბარის ჯავახეთი კი იყო მტკვრისა და ჯავახეთის მტკვრის ჯავახეთი, რომელიც უპირისპირდებოდა მთიან ჯავახეთს როგორც რელიეფით, ისე კლიმატითა და სამეურნეო პირობებით.

ქვემო ჯავახეთად არის მიჩნეული ერუშეთის ნაწილი, რომელიც ამჟამად საქართველოშია: „დასავლეთით ჯავახეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც ვრცელდებოდა, აქ საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის გადიოდა წყალგამყოფ მთებზე, რომლებიც სამცხის ხევებს ჩრდილოეთით უქცევდა პირს, ჯავახეთისას კი სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით. ეს მთებია კასრისა და გუმბათისა, სადაც ქარზამეთის ხევი იღებს სათავეს, ყარაჩაგილა და თოხლიურთი ბუზმარეთის მიდამოებში და ვანის მთა, რომლის განშტოება დადემსა და ბნელასთან ჩამოდის მტკვარზე“¹⁹.

ყველა ზემოდასახელებულ მთასა თუ მთიანეთს ვახუშტი ერუშეთისას უწოდებს: „ასპინძის კევის შესართავს ზეით მოერთვის მტკუარს ვარნეთის კევი, გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად“... „კუალად მტკუარს მოერთვის კოხტის კევის შესართავის ზეით დადემის კევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა“.

„ამ კევის შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ მტკუარს მოერთვის შულავრის კევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა“. ამ ხიდს

¹⁹ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

ზეით (იგულისხმება ზერთვისის ხილი—მ. ბ.) მოერთვის მტკუარს ჭაჭარაქის კევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ კევეს ზეით მოერთვის მტკუარსევე ქარზამეთის კევი, გამოზდინარე მისივე მთისა და მოზდინარე აგრეთვე²⁰.

ვახუშტის მიხედვით, ვარნეთის, დადეშის, შულავრის (დღევანდელი ანალურა, ანუ შოლოსწყალი), ჭაჭარაქის (ჭაჭკრის) და ქარზამეთის ხეები გამოსდის ერუშეთის მთას, მაგრამ, სამცხეში ერთვიან მტკუარს მარცხენა ნაპირიდან. ასე რომ, ერუშეთის მთებია: ზიარეთი (დადეშ-ერკოტისა), ტრანძა (როკეთისა), გუნდი (შალოშეთსა), ვანის მთა, თურქეთის საზღვარზე, ირმის რქა (დიდი და პატარა), საყვეარი და ჯინჭრობი.

ერუშეთისა და სამცხის საზღვარი გრძელდება ფოცხოვის სათავეებამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ერუშეთის ნასოფლარებია: შალოშეთი, გუნდი, ბუზმარეთი, ვანი, საყვეარი, ჯინჭრობი.

ამრიგად, ჯავახეთი აღმოსავლეთით ესაზღვრება თრიალეთ-ქართლს, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით — სამცხეს, სამხრეთ-დასავლეთითა და დასავლეთით — თურქეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთით — სომხეთს.

საქართველოს ერთიანობის დროს ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი სხვადასხვა დროს ხან წუნდა იყო, ხან თმოგვი, ხან ახალქალაქი, ეს მაშინ, როდესაც ჯავახეთი ისტორიული ზემო ქართლის, მესხეთის თუ სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში ერთადმინისტრაციულ, ეთნიკურად შეკრულ ერთეულს წარმოადგენდა.

ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ჯავახეთი შედიოდა გურჯისტანის ანუ ჩილდირის ვილაიეთში²¹, იმავე ახალციხის საფაშოში.

ისტორიული სამცხე-საათაბაგო დაიყო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად — ლივებად, სანჯაყებად და ნაჰიებად²². ჯავახეთი მოექცა სამი დიდი ლივის ფარგლებში. ეს ლივებია: ზერთვისის, ახალქალაქისა და ჩილდირისა²³.

„ამ დანაწილებას საფუძვლად უნდა ჰქონოდა გაცილებით ძველი ტრადიცია, რომელიც ქართულ სამეფოშივე იქნებოდა შემუშავებული

²⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 667.

²¹ ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 59.

²² იქვე.

²³ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III დართული რუკა, თბ., 1958.

ლი, ლიკების ცენტრებად არჩეულია ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები XVI ს-ის ჯავახეთისა — ხერთვისი და ახალქალაქი²⁴.

1828 წლიდან ჯავახეთში რუსული ადმინისტრაციული მმართველობა დამყარდა. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ისტორიული ტრადიცია, უფრო ზუსტად, ვიდრე ოსმალობის დროს. ჯავახეთი მოქცეულია თბილისის გუბერნიის ახალქალაქის „უეზდში“. ახალქალაქის უეზდი მოიცავდა ჯავახეთის ისტორიულ საზღვრებს და დასავლეთით ვრცელდებოდა მხოლოდ მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე. უეზდი დაყოფილი იყო ორ — ბარალეთისა და ბოვდანოვკის უჩასტოკად²⁵.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ჯავახეთის ტერიტორია მთლიანად მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, აგრეთვე — ასპინძის რაიონის ნაწილს.

ვახუშტი ჯავახეთსა და მის მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებს: „ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუნენ წივასა და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარ ღიღთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გუარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი შუენიერჰაეროვანნი... სარწმუნოებით გლეხნი, ჯერეთ ქრისტიანნი სრულიად... ენა აქუსთ ქართული“.

ვახუშტის ცნობით, ჯავახეთის მხოლოდ ორ მცირე ქალაქში — გოკიოსა და ბარალეთში, მესხებს გარდა, სახლობდნენ „სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“.

როგრც ჩანს, ისტორიულად ჯავახობა მესხობას არ გამორიცხავდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ვახუშტი ჯავახ-შავშ-კლარჯთ ასახელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამცხე-საათაბაგოს შიდა ამბებზე ლაპარაკობს, მაგრამ, როცა საუბარი უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებს ეხება, მაშინ ყველას მესხთ უწოდებს. ასე მაგალითად: სარგის ჯაყელის დროს მოვიდნენ „კურთხევასა მისსა ჯავახნი, ტაოელნი, შავშნი და კლარჯნი“ — ამბობს ვახუშტი, ხოლო „იყუბ ყენის“ ლაშქრობის ამბებს ასე აღწერს: „ყენმა მცირე ხანსა შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყვანა მუნით

²⁴ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

²⁵ Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893, გვ. 7.

მესხნი წარჩინებულნი“. ახალქალაქი კი ჯავახეთის ქალაქია. ამ საკითხს სპეციალურად მიაქცია ყურადღება შ. ლომსაძემ, რომელიც წერს: „ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდითგანვე ქართველი ხალხი ცხოვრობდა ქართული ენითა და კულტურით. მესხეთი მთელი ზემო ქართლის ტერიტორიის ზოგადი სახელია. იგი მოიცავს: სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა-არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერს და სხვა. „ყოველთა ამათ ადგილებთა და ქუეყანათა კრებით ეწოდება მესხნი“ (ვახუშტი-მ.ბ.). ამრიგად, „მესხი“ კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა... ამ ეთნიკურმა ტერმინმა („მესხი“-მ.ბ.) წარმოშვა ტოპონიმიური ტერმინი... ჩვენ აქ საქმე გვაქვს ზოგად და კონკრეტულ სახელებთან... კერძოდ, სახელი ჯავახი, კლარჯი (თემობრივ დანაყოფი) უდრის მესხს (ტომობრივ დანაყოფს) და ორივე ის უდრის ქართველს (ერთ ეროვნულ ერთეულს). ასე რომ, ჯავახეთის მკვიდრი (კერძოდან ზოგადისაკენ) ერთდროულად არის ჯავახიცი, მესხიცი, ქართველიცი. მათი ერთმანეთში აღრევა ან დაპირისპირება შეცდომა იქნება“ (შ. ლომსაძე). მართალია, მესხი ზოგადი ტერმინია ისტორიულად, მაგრამ „სამცხის თემის მოსახლეობა კონკრეტულ შემთხვევაშიც უმეტესად მესხად იწოდებოდა“.

დღეისთვის ჯავახეთი, როგორც ეთნიკურად მთლიანი, შეკრული ერთეული აღარ არსებობს. მხოლოდ რამდენიმე სოფელში სახლობენ ჯავახნი. დღევანდელი ჯავახეთის ეთნიკური სიჭრელე საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორიის შედეგია. სურათი რომ ნათელი იყოს, დავიმოწმებთ ერთ დოკუმენტს. ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოში, სადაც დღეს არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს, XVI საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1595 წელს ცხოვრობდნენ: „გულია ბაზუკას ძე, კაკაბა ძმა მისი, თევდორე ძმა მისი, პაპა ძე მისი, იაღლუზ დარისპანის ძე, ბერეკა ძმა მისი, ბაღია ძმა მისი, იაკობ ძმა მისი, სახელად ასითა, ხარება, მაცაცა ძმა მისი, შაქარა ძე მისი, ხარებას ძე, ქრისტესა ქეროფინის ძე, ოქუა მათათას ძე, იაზა ძმა მისი, მერაბა, ბადურა მირზას ძე, მამუკა, ხუხუნა ძმა მისი, პაპუნა, ხუხუნა მათეს ძე, ქრისტესა მღვდელი, დავითა, შიოს ძე, გელა, გუბას ძე, ფირემის ძე, ქიტია ძმა მისი, ინდუა გულას ძე, ვარძელ ძმა მისი“ და სხვა კიდევ ერთი ამდენი. ესენი მხოლოდ მამაკაცები არიან, თანაც ოჯახის უფროსები, რადგან მხოლოდ მათ აკისრებდნენ გადასახადს და ამიტომ მხოლოდ მათი სახელები მოისხენიებოდა აღწერისას. ადვილი მისახვედრია, როგორ გაიზრდება ეს სია, შიგ რომ ქალთა

და ბავშვთა სახელებიც მოხვედრილიყო. ოსმალებმა მთელი მესხეთი აღწერეს. ჩვენ ვიცით ჯავახეთის მაშინდელი ყველა სოფლის მოსახლე მამაკაცთა სახელები. 1595 წლისათვის *ჯავახეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ.*

მაჰმადიანობის გავრცელება-გაღრმავება განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს XIX საუკუნეში. მას შემდეგ, რაც ეს მხარე ოფიციალურად შემოუერთდა საქართველოს „უფრო გაცხოველდა მუსლიმანური ეკლესიის საქმიანობა, რომლისთვისაც სასულიერო მოძღვრებს სპეციალურად ანატოლიიდან იწვევდნენ. მოღები ადრე გამლილ დიდ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ, საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ხალხს და მედრესების ფართო ქსელში გამუდმებითა და გამაღებით ასწავლიდნენ ადგილობრივ ახალგაზრდობას თურქულ ენას“ (*შ. ლომსაძე*).

მაგრამ არც გამაჰმადიანებით დამთავრებულა ჯავახეთის სარწმუნოებრივ-ეთნიკური ნაირგვარობის წარმოქმნა.

1828 წელს მესხეთში რუსეთის მთავრობამ შემოასახლა სომხები არზრუმიდან.

1830 წელს ჯავახეთში შემოასახლეს ბერძენთა დიდი ჯგუფი. ისინი დასახლდნენ წალკასა და ახალქალაქში.

1841-1845 წლებში ჯავახეთში ჩამოასახლეს რუსი სექტანტები — დუხობურები. ისინი ძირითადად ფარავნის ტბის გარშემო დასახლდნენ.

ასეთმა ეროვნულ-ეთნიკურმა სიჭრელემ სამხრეთ საქართველოს ისტორია გამორჩეულად საინტერესო გახდა.

ჯავახეთის დასავლეთით მდებარეობდა საქართველოს ისტორიული კუთხე ერუშეთი, რომლის მთავარი დაბა იყო ერუშეთი და ერუშეთის მდინარე, რომელიც „ვარძიის ზეით, ხრამის თავს, სამღერეთს, მოერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან“. ერუშეთის აღმოსავლეთი საზღვარი იყო მტკვარი, ე.ი. ჯავახეთის საზღვარი დასავლეთით და ერუშეთის მთები, რომელიც ჰყოფს ერუშეთს ჯავახეთისაგან და სამცხისაგან. ერუშეთის მთები ვარძიის თავიდან გასდევს დღევანდელი ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებს თურქეთის დღევანდელ ტერიტორიაზე მდინარე ფოცხოვამდე. „გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს“²⁶. დასავლეთით „მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს“, ხოლო ჩრდილოეთით მთა, რომელიც გასდევს მდ. ფოცხოვსა და ერუშეთს შორის და რომელსაც დღეს თურქები ილმარის უღელ-

²⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 673.

ტეხილს უწოდებენ. „და არს ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, აგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვთ ნადირითა და მდინარე თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროანნი“²⁷. ერუშეთის შესახებ ლეონტი მროველი წერს: „და დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა და მან აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რამეთუ კევსა კლარჯეთისა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინა მღვდელნი მოძღუარად კლარჯთა. და მატა შემკობა და შენება ერუშეთის და წუნდის ეკლესიათა“²⁸. ლეონტი მროველი საუბრობს: „მირდატ III ბაქარის ძის“ შესახებ. ასე რომ, ერუშეთის პირველი ხსენება ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალამდე ხდება. არის თუ არა იგი უკვე კუთხე, ქუეყანა თუ მხოლოდ დასახლებული პუნქტია? ყოველ შემთხვევაში ერუშეთი იხსენიება კლარჯეთის ხევთან ერთად ანუ კლარჯეთის ქვეყანასთან, სადაც ეკლესიები არ იყო და დაადგინა მირდატმა მღვდლები კლარჯთათვის. ამასთანავე, წუნდის ეკლესიის გვერდით ერუშეთის ეკლესიის შემკობისა და შენების აღნიშვნა ნიშნავს, რომ იგულისხმება დაბა ერუშეთი, რაც რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ცალკე ქვეყნის არსებობას.

ერუშეთი, მართალია, ცალკე ქვეყანაა, მაგრამ იგი ხშირად იგულისხმებოდა მეზობელი ქვეყნების შემადგენლობაში, ხან ჯავახეთისა და ხანაც — არტაანისა.

ერუშეთის გაგრძელება დასავლეთით არის არტაანი, უფრო სწორედ ქართული წყაროების მიხედვით — არტანი.

არტაანის აღმოსავლეთი საზღვარი არის ერუშეთის დასავლეთი საზღვარი, რომელსაც ვახუშტი ფოსოს მთასთან ატარებს. ხოლო სამხრეთით კოლასა და არტაანს შორის გადის საზღვარი. დასავლეთით, ალბათ, ჩრდილო-დასავლეთით უფრო, არსიანსა და ქვაყრილის მთას შორის გადის საზღვარი, სადაც გადადის გზა არტანუჯისაკენ. „არს არტანი ვაკე და უტყეო, ბლახწყუავილიანი, მოსავლით ვითარცა ჯავახეთი და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნა-ლთაგან კიდევ“²⁹. არტაანის დასავლეთით არის კოლა. „კოლის ადგილებთა შინა მიერთვიან მტკუარს მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთილამ, და მათ ზედა შენ არიან დაბნები“³⁰. დასავლეთით საზღვ-

²⁷ იქვე

²⁸ ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

²⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 674.

³⁰ იქვე, გვ. 675.

რავს კოლას „არსიანის მთა და აწ ყალნუდ წოდებული“, რომელზეც გადადის გზა ბანასა, არტანუჯისაკენ და ასევე ყარსისაკენ.

ჯავახეთის, ერუშეთის, არტაანის და კოლის ადგილნი ერთნაირია. ერთნაირია ჰავაც. ამის შესახებ ვახუშტი წერდა: „და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვთ და ჰავით, ვითარცა ჯავახეთი, და კაცნიცა მგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი, ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერისთაო და შემდგომად იქმნა ორ საერისთაოდ ბაგრატიონობასა შინა — წუნისად და არტანისად“³¹.

მე-16 საუკუნიდან მოყოლებული არტაანი აღმოჩნდა ოსმალთების ხელში. მათ გამოიყენეს ქართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქვეყნების, ანუ კუთხეების სახელები ძირითადად იგივე ქართული დარჩა, თუმცა განიცადა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებანი. არტაანი, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში იხსენიება არტან ფორმითაც, იქცა *არდაჰანად*. არდაჰანი არის იგივე არტაანი, ოღონდ თურქული ენის გამო მკვეთრი ტ გამოღერდა და იქცა დ-დ, ხოლო ინტერვოკალურ პოზიციზში გაჩნდა ჰ, რაც აგრეთვე მოხდა თურქული ენის გამო. რუსული *არდაგანი* თურქულის რუსული ვარიანტია. ერუშეთი, როგორც ქვეყნის აღმნიშვნელი ცნება, თურქულ ადმინისტრაციაში იკარგება, თუმცა მისი ადმინისტრაციული ცენტრი ერუშეთი, როგორც დასახლებული პუნქტი, რჩება *ორუშეთად*. კოლა გვაძლევს *გველ, ველ, გიოლ* ფორმას. თურქული ენის გავლენის საფუძველზე ასევე ადვილად იხსნება თურქული ვარიანტი ქართული ისტორიული კუთხისა, ადმინისტრაციულად გელსველ როგორც ცალკე ქვეყანა, ასევე იკარგება და მას *მცირე არტაანი* ეწოდება.

არტაანის მხარეს დაემატება ახალი ადმინისტრაციული წარმონაქმნი როგორც ქვეყანა, რომელსაც ქართულად *ფოცხოვი* ჰქვია და იგი არის სამცხის ნაწილი. თურქები მას *ფოსჰოვს* ან *ფოსხოვს*³² ეწოდებდნენ, ხოლო დღეს ამ რაიონს *ფოსოფი* ჰქვია, რომლის მიხედვით უკვე ჭირს თავდაპირველი ქართული სახელის ამოცნობა, მაგრამ ეს ასეა. ასევე ემატება კიდევ ერთი ადმინისტრაციული წარმონაქმნი, რომელსაც ჰქვია *ჩილდირი*. ჩილდირი არის ქართული სიტყვა ჩრდილი, რომლის სახელობის ტბაზე მდე-

³¹ იქვე.

³² T. C., Ardahan Valiligi, Serhat Şehri Ardahan, Uyum Ajans, Ankara, 2002, გვ. 22.

ბარეობდა ეს დასახლებული პუნქტი და რომელიც არტაანსა და ჯავახეთს შორის იყო მოქცეული. თავად ქალაქს შვი არტაანიც ერქვა, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ევლია ჩელები.

აღნიშნული ტერიტორია, არტაანი, მე-16 საუკუნის ბოლოს სამ ლივად იყო დაყოფილი. ეს ლივებია: ჩილდირის, ფოცხოვის, დიდი არტაანის, რომლებიც დაყოფილი იყო უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად – რაიონებად: ჯანბაზის, ქანარბეულის, მგელციხის, მზვარეს, ჩრდილის, ტყიანი არტაანის და კვლავ მზვარესა და ჩრდილის.

ე.ი. საბოლოოდ არტაანი, რომელიც შედიოდა გურჯისტანის ვილაიეთში, იყოფოდა დიდ და პატარა არტაანად. ჩილდირისა და ფოცხოვის რაიონებად.

დღეისათვის არტაანის გუბერნია იყოფა ექვს რაიონად. ესენია: 1. ფოსოფის, 2. დამალის, 3. პანაკის, 4. ჩილდირის, 5. არდაჰანის და 6. გიოლეს.

სომხური წყაროების მიხედვით, არდაჰანი არის ოლქი დიდი სომხეთის გუგარქის ქვეყანაში მდინარე მტკვრის ზედა დინების აუზში, 428 წლის შემდეგ შედიოდა ხან სომხეთის, ხან საქართველოს შემადგენლობაში³³.

არტაანი ქართული წყაროების მიხედვით დაუარსებია ჯავახოსის ძეს, ზოლო ქვეყნის დაწინაურება ძირითადად დაკავშირებულია ბაგრატიონთა სახელთან. მანამდე კი არტაანში არგიშტი I მეთაურობით გაუვლია ურარტუელთა ჯარს მდ. ახურიანის დასავლეთ ნაპირებისაკენ³⁴. არტაანის ისტორია უაღრესად არის დამახინჯებული ზოგიერთი უცხოელი მეცნიერის მიერ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაყალბებულია თვით ქართული წყარო „ქართლის ცხოვრება“, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ იგი თავდაპირველად დაიწერა ბერძნულად და შემდეგ ითარგმნა ქართულად³⁵. სხვა შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ნათქვამია, რომ იგი არის აფხაზურ-ქართული წყარო³⁶.

ამის შემდეგ მოულოდნელი აღარ უნდა იყოს განცხადება, რომ არტაანში თურქები გამოჩნდნენ პრეისტორიულ ხანაში, რომ ისინი

³³ Թ. Խ. Հակոբյան Ար. Տ. Մեխիք-Բախչյան Հ. Խ. Բարսեղյան Հայաստանի հարավից շրջանների պեղանությունների բառարան հ. I Երեւան, 1986, էջ. 409-411.

³⁴ იქვე.

³⁵ T. C. Ardahan Valiliği, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

³⁶ იქვე.

არიან შუმერების ერთ-ერთი განშტოება, რომ კოლხები შუააზიური მოდგმის ტომია და ე.ი. თურქული მოდგმაა და რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 720 წელს სკვითების მიერ გამოდევნილი ქერა, მრგვალსახიანი, ცისფერთვალება ყუბანები ანუ ყივჩაღები სწორედ არტაანის მიდამოებში დასახლდნენ და რატომღაც ასეთი აღწერილობის ხალხი მხოლოდ იქ შემორჩნენ, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. ასე რომ, ძვ.წ. 720 წლიდან მოყოლებული არტაანის მხარეში დაწყებული თითქოს თურქთა ცხოვრება და ქართველებს აღარაფერი უკეთებიათ, რომ ჯაყელებიც ყივჩაღები არიან და ა.შ. ამიტომაც არტაანის ისტორიული გეოგრაფიის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ასევე აქვთ თავიანთი დამოკიდებულება სომეხ მეცნიერებს არტაანის მიმართ, ამიტომ, აუცილებელია თითოეული სახელის, ტოპონიმის გამოწვლილვითი შესწავლა. ის მაინც არ უნდა გაქრეს და დაიკარგოს რაც იყო.

ნიკო მარი და შავშეთ-იმერხეის ტოპონიმია

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ იერუსალიმში მიაკვლია ნ. ჩუბინაშვილმა 1845 წ., ხოლო 1902 წელს აღწერა და 1911 წელს გამოსცა ნიკო მარმა³⁷. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნ. მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურს, რომელშიც დაფიქსირებულია, როგორც ტოპონიმია, ასევე ეპიგრაფიკა, მე-20 საუკუნის დასაწყისის ეროვნულ-სოციალური ყოფა და ა. შ.

მაგალითად, საინტერესოა შავშეთის სოფელ *ოქრობაგეთის* აღწერა და ინფორმაცია იქ მცხოვრებთა შესახებ. *ოქრობაგეთი* ქართული სახელია, მაგრამ ნ. მარის მოგზაურობის დროს იქ ცხოვრობდნენ სომხები. სოფლის ზემო ნაწილში ბეგის ისაბეგ ათაბეგოღლის ყოფილ რეზიდენციაში, რომელიც ისაბეგ ათაბეგოღლის მიუყიდა სომხებისათვის, აშენებულია სომხური ეკლესია 1847 წელს. ეკლესია დგას ქართულ საძირკველზე, ქართულ ნაეკლესიარზე³⁸. იქვეა კედელში ჩატანებული ქართულ-წარწერებიანი ქვა. ამასთან მეცნიერი *ოქრობაგელ* სომეხთა მეტყველებებში მიუთითებს

³⁷ Георгій Мерчуль, Житіє св. Григорія Хандзтійскаго, введеніє, изданіє, перевод, Н. Марра, с. Петербург, 1911.

³⁸ Н. Марръ, дневникъ поездки в Шавшетію и Кларджетію, гл. 8.

ქართულ სიტყვებს: გოგ, სარწყავი, ჩიტვი, ძერა, მორიელი³⁹ და სხვ. ასევე გვაწვდის შემორჩენილ ქართულ მიკროტოპონიმებს: *მატარა ქვლა, მაგვტი, სახმარი, ვალო* (მრგვალი – მბ.). ასევე საინტერესოა ქართულ-სომხური ტოპონიმი *მახარობიძორი*⁴⁰.

ოქრობაგეთის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერს: „შავშეთსა და იმერხევში სულ სომეხთა რიცხვი 450 კომლი იქნება... ესენი ცხვრობენ დაბა სათლეს, ოქრობაგეთს, კხიკურს და მამანელისს. ოთხივე ამ სოფლის მცხოვრებ კათოლიკებმა და გრიგორიანებმა ქართული ლაპარაკი იციან“⁴¹.

ზ. ჭიჭინაძე ოქრობაგეთელ სომეხებს კათოლიკე ქართველებად წარმოგვიდგენს, რომლებსაც სომხური ტიპიკონი მიუღიათ.

ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში არის ერთი შტო, რომელთაც შავშეთელაანთ ეძახიან.

შავშეთელაანი არიან კარაპეტოვები. ერთი მათგანი 80 წელს მიტანებული ბატონი ვარლამ კარაპეტოვი აქალქალაქის მე-3 ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. იგი მოგვითხრობს: „ჩემი წინაპრები შავშეთიდან, სოფელ ოქრობაგეთიდან არიან, 3 ძმანი ყოფილან. შავშეთში მაშინ ბეგები ყოფილან, მისი ოჯახის კვება კი სოფელს ევალებოდა რიგრიგობით, ღღეს ერთს, ზვალ – მეორეს და ა. შ. ჩვენი წინაპრების რიგი რომ მოსულა, უმცროს ძმას წაუღია სადილი, დაგვიანებია იმ საბრალოს. გაჯავრებულა ბეგი, რად გააგვიანე, შე ღორიშვილოო და დამბაჩა დაახალა თურმე. უფროსი ძმა რომ დაბრუნებულა მოგზაურობიდან (საქარავენოდ იყო წასული), დაუქირავებია მკვლელი და მოუკლია ბეგი. გამოჰყოლია ცოლშვილით ფოცხოვის ნაპირს და მოსულა ახალციხეში, სადაც ერთ ღვთისნიერ ოჯახს ორჯონიკიძეებისას შეუფარებიათ. როდესაც მასპინძელს მოსულების ამბავი გაუგიათ, ურჩევია: აქ ხიმშიაშვილები არიან ბეგები, ადვილად მოგაგნებენ და ოჯახიანად ამოგწყვეტენო. ახალციხიდან მთელი ოჯახი ჯავახეთში ასულა და ჯერ გოგამენში, შემდეგ კოთელიაში დასახლებულა“.

რადგან გადმოცემაში მოხსენიებულია ხიმშიაშვილი, ფაშა, ალბათ, და არა ბეგი, ამბავი მე-19 საუკუნის დასწყისში უნდა მომხდარიყო. რეალური ჩანს ოქრობაგეთში ბეგების ცხოვრებისა და

³⁹ იქვე, გვ. 9.

⁴⁰ იქვე, გვ. 10.

⁴¹ ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1913, გვ. 276.

ბატონობის ამბავიც, როგორც ამას ნ. მარი მიუთითებს, ამიტომაც მოვიყვანეთ გადმოცემის მოკლე ვარიანტი, რომ ორი საუკუნის ურთიერთ კავშირები გვეჩვენებინა მესხეთის სხვადასხვა კუთხეს შორის.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ფხიკიურში (შდრ. ფხიკლეშვილი) (ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ძხიკიური), რომლის ტოპონიმიც მთლიანად ქართულია. ქართული სახელებია გარშემო და თავად ფხიკიური ფხიკ/ფხეკ ფუძეს უკავშირდება —ურ დაბოლოებით. ფხიკიურში სომხური მოსახლეობა გადმოსულია ანიდან. მათ ძველი ჩვეულებისამებრ გადმოტანილი ლითონის ჭურჭელი და იარაღი დაუმარხიათ იმ ადგილას, რომელსაც უწოდებენ სანადიროს⁴².

მეცნიერი ზოგ შემთხვევაში იძლევა სოფლის სახელის ისტორიას. სოფ. *კოტალაძე* თუ *კუტალაძე*, რომელსაც უწოდებენ *კუტალეთს*⁴³. აღრეულია გვარი და სახელი ერთმანეთში. გვარად მოიხსენიება კუტალეთში *ელზაძე*, *ლაზარაძე*, *ოსეფაძე*⁴⁴. მესხური დიალექტისათვის (სამცხური და ჯავახური) დამახასიათებელი მ სახელობით ბრუნვაში, როგორც ჩანს, საერთო მოვლენა იყო უძველესი ქართულისათვის და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისაგან სამცხე-ჯავახეთი და იმერხევი (კლარჯეთი), ეს მოვლენა აშკარად საერთოა და მას უფრო ძველი ფესვები აქვს.

ბევრი ასეთი ტოპონიმი აქვს დაფიქსირებული ნ. მარს, რომელსაც დუბლი ან ერთნაირი გენეზისის სახელი მოეძებნება დანარჩენ საქართველოში. დღეს შეიძლება აღარც კი არის ამ სახელის მდინარე იმერხევში. ლაპარაკია მდინარე *ყვირალზე* ან *ყურიალაზე*⁴⁵. რომელიც პარალელს პოულობს ზემო იმერეთში ყვირილას სახით.

იმერხევში სოფ. მჭედრეულის ჩრდილოეთით მიუთითებს მდინარე *ჩიხორს*. ამავე ფუძისაა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარე ეკლესიის და ადგილის სახელი *ჩიხორიში*, რომელიც მიჩნეულია —იმ დაბოლოების გამო ზანიზმად მესხურში. აშკარაა, რომ ამოსავალი უნდა იყოს ჩიხ— ფუძე, რომელსაც ერთვის —ორ სუფიქსი *ჩიხორის* შემთხვევაში და შემდეგ უკვე კიდევ ერთი სუფიქსი. —იმ თუ —ის?! ჩიხორიში მთებს შორის მოქცეული ადგილია და მისთვისაც დამახასიათებელია წყალი. ცნობილია ლევენდა,

⁴² H. Mapp, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁴³ იქვე, გვ. 32.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

რომლიდანაც აღსანიშნავია შემდეგი ადგილი: „რა კარგი ხარ ჩიხორიშო, არ გერიოს ხელიშო“ (იგულისხმება ჩიხორიშისა და ხელიშის წყლები). ჩიხ— რომ ნამდვილად ჩიხს უკავშირდება, ამას ადასტურებს სხვა ადგილის სახელი იმავე იმერხევში, რომელსაც *ჩიხის ხევი* ჰქვია და რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ „Хуже неть местности, как Чихисхеви“⁴⁶. იმერხევში არის ადგილის სახელად *ჩიხორა*⁴⁷, მასთან მომდინარე ღელეს უწოდებენ ჩიხოდელეს. ნ. მარი ჩიხორს, მთქმელის მიხედვით, უკავშირებს *ჩხერ-ს* (ჩქერი). *ჩიხორღელე* და *ჩიხორის ღელე* პარალელური ფორმებია.

მთავარია, რომ ტოპონიმიაში დადასტურდა ფორმები: *ჩიხა*, *ჩიხორი*, *ჩიხორიში*, რის საფუძველზეც აშკარად გამოიყოფა ჩიხფუძე /—ორ და —იშ//—ის სუფიქსები.

ნ. მარი აღწერს იმერხევის სოფელს თავისი უბნებით და ეს ტიპურია ზემო აჭარისათვის. მაგ. სოფ. სურევანი, რომელიც არის ცენტრი 6 უბნისა, ოღონდ უბნებს იმერხევში *მეჩაე* —ს ე.ი. მეილას (მაილა — ჯავახეთი, სამცხე) უწოდებენ. ხშირ შემთხვევაში მათ ცალცალკე სოფლადაც განიზილავენ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, 2-3 სახლი იყოს მხოლოდ ერთ უბანში. სოფ. სურევანში ავტორი ჩამოთვლის უბნებს, სოფლებს: *დავითეთი*, რომელიც რუკაზე დავითთა, *ფარნუხი*, *კუტალეთი*, *ჯვარისხევი*, *ჩაქველთა* და *მარა*.

ამ ტიპის დასახლებანი, რომელიც ღღეს შემოგვინახა ზემო აჭარამ, სამცხისათვის დამახასიათებელი იყო ე. წ. გვარ სოფლების სახით. მინაძე, კოპაძე და სხვ. ასევე ისეთი სოფლები, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ მსაზღვრელით განსხვავდებოდნენ. დიდი, პატარა, შუა, ზემო, ქვემო და სხვ. ამდენად ესეც საერთო მესხური მოვლენა უნდა იყოს ტოპონიმიაში.

ასევე ტიპურია იმერხევში სოფელთა დაარსების ლეგენდები. რომ გარემო დაფარული ყოფილა ტყით, მოსულა ვინმე კუფობე (გვარს ნ. მარი უკავშირებს კაფ-ვა-ს, ე.ი. გამკაფავს), რომელსაც გაუკაფავს ტყე და დასახლებულა. შემდეგ შემოერთებია სხვა გვარის ხალხი⁴⁸. ასეთი ლეგენდები გავრცელებულია სამცხეში. სოფელ ტობის, ღრელის და სხვა სოფელთა დაარსების თაობაზე. ნ. მარის აღწერა ნათლად გვიჩვენებს, რომ მესხეთის უძველესი

⁴⁶ იქვე, გვ. 76.

⁴⁷ იქვე, გვ. 78.

⁴⁸ ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

კუთხე შავშეთ-კლარჯეთი მე-19 საუკუნის ბოლოს ქართულია
ჯერ კიდევ.

ლინჩის ცნობები სამცხე-ჯავახეთის შესახებ

1910 წელს თბილისში გამოდის ლინჩის ვრცელი ნაშრომი⁴⁹.

ავტორი ბოსფორიდან მიემგზავრება ზღვით და აღწერს სანაპირო ზოლს. სამსუნიდან გამოსული მოგზაური უკვე კოლხეთის ბუნებას გვაცნობს: „Природа здесь берёт первую ноту той мелодии “вечно́й зелени”, которою берегъ Колхиды всегда славился“⁵⁰.

ლინჩი ტრაპეზუნიდან სომხეთში წასასვლელად ასახელებს ორ გზას. ერზრუმ-ბაიაზეთისა ერთი მხრივ, რომელიც გზის სიძნელის გამო უარყოფილია და ბოლოს ავტორი თავის მოგზაურობას სომხეთისაკენ საქართველოზე გავლით იწყებს⁵¹.

ავტორი საქართველოზე გავლით სომხეთისაკენ ასევე ორ გზას მიუთითებს ბათუმიდან. მტკვრის ხეობის დასავლეთით ახალციხისა და ბორჯომის ხეობით, ხოლო აღმოსავლეთით – აღსტაფიდან მტკვრის ხეობით გოგჩის ტბისაკენ⁵². დილიჯანთან გზა იყოფა ორად – აღექსანდროპოლისა და ერევნისაკენ. ორივე მოდის სტეპებიდან, რომელიც იწყება კავკასიის მთისძირეთის სამხრეთიდან და მიემართება ქედებზე გავლით *სომხეთის ზეგანის* ნაპირამდე⁵³. ეს მთები გაგრძელებაა აღმოსავლეთით იმ მთიანეთისა, რომელიც გაიარა ავტორმა ბოსფორიდან ბორჯომამდე⁵⁴. ამ მთიანეთის ძირის დაბლობების გასწვრივ, მის საპირისპიროდ აღმართულია სამხრეთ კავკასიონის მთიანეთი⁵⁵, რომელსაც გეოგრაფები უწოდებენ *მესხეთის* (Месхийские горы) *მთებს*⁵⁶.

⁴⁹ Армения Путевые очерки и этюды х. Линча, переводъ съ Англискаго Елизаветы Джунковской. Тифлисъ, 1910.

⁵⁰ იქვე, გვ. 9.

⁵¹ იქვე, გვ. 49.

⁵² იქვე, გვ. 52.

⁵³ იქვე, გვ. 52-53.

⁵⁴ იქვე, გვ. 53.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

ავტორი, რომელსაც უკვე გაუვლია სომხეთისაკენ მიმავალი გზა თბილისი-ალსტაფა-გოგჩისა ერევნისაკენ, გადაწყვეტს იმოგზაუროს დასავლეთის გზით, ბორჯომ-ახალციხეზე გავლით რომ მიემართება⁵⁷.

მტკვარს საქართველოს მდინარეს⁵⁸ უწოდებს ავტორი.

ტრაპიზუნიდან მოყოლებული ლაზები და შემდეგ აჭარლები შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ ელემენტებად ახალ რასიულ ჯგუფთან, რომელიც ბათუმის შემდეგ იწყება — წერს ლინჩი⁵⁹, აქვე ახასიათებს მათს წარმომავლობას, ერთგვარ სიახლოვეს ქართველობასთან. ახასიათებს დასავლეთ საქართველოს სამთავრო-საერისთავოებს და შესაბამისად კუთხეებს გურიას, იმერეთს სამეგრელოს⁶⁰ და სხვ. თავისი „დედაქალაქებით“: გურიისა — ოზურგეთი, იმერეთისა — ქუთაისი⁶¹.

ავტორის აზრით გურია-იმერეთის ქედი, რომელიც მესხეთის მთადაც არის მოხსენიებული სხვაგან, წარმოადგენს სომხეთის მთების საბეჯენს⁶². ამავე ქედს, იმერეთის დაბლობის გამყოფს, ახალციხის ქედს⁶³ უწოდებს.

სურამის უღელტეხილს კავკასიონთან⁶⁴ მესხეთის მთების შემაერთებლად მოიხსენიებს.

როგორც ჩანს, ავტორი მის მიერ გავლილ მთელ გზას ტრაპეზუნიდან ბათუმამდე, შემდეგ ქუთაისამდე, ბაღდადითა და ზეკარის უღელტეხილით, თვლის ზოგჯერ სომხეთადაც. ლინჩს თან ახლავს მსუქანი სომეხი თარჯიმანი. ბუნებრივია, რომ ეს თარჯიმანი უწევს მეგზურობას საქართველოს ტერიტორიაზეც⁶⁵.

აბასთუმნის გამოსასვლელში მოგზაური მიუთითებს ციხეს, „приписываемого царице Тамаре“⁶⁶. თამარის ციხეს მცირედ გამოცდენილი ლინჩი, გადახედავს ლანშაუტს. „Это был тот самый типичный для Армении ландшафт, который мы видели сь

⁵⁷ იქვე, გვ. 54.

⁵⁸ იქვე, გვ. 53.

⁵⁹ იქვე, გვ. 56.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე, გვ. 58.

⁶² იქვე, გვ. 62.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე, გვ. 63.

⁶⁵ იქვე, გვ. 70.

⁶⁶ იქვე, გვ. 73.

вершины Зекарскаго перевала⁶⁷. აქვე გადაიშლება მოგზაურის თვალწინ *სომხეთის დაბლობი*⁶⁸.

მოგზაური მიუთითებს მდინარეებზე: *ქობლიანი* და *ფოცხოვი*, რომელთა შესაბამისად *ქობლიანჩაის* და *ფოცხოვჩაის* უწოდებს⁶⁹.

სუფლის უწოდებს მდინარის მარჯვენა ნაპირის სოფელს. როგორც ჩანს, ეს სოფელი მაჰმადიანებით არის დასახლებული, რადგან მდინარეებითაა დამშვენებული⁷⁰. ეს არის ალბათ *სხვილისი*.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობს იხმაროს *ახალციხ* ფორმა, გაეპარება *ახალციხეც*⁷¹.

რუსეთის სომხურ პროვინციად იწოდება *ახალციხე*⁷².

ახალციხე-ს შემთხვევაში აშკარაა ავტორზე სომხური დაწოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ ლინჩი ვერ იტანს სახელის დაბოლოებას, ცდილობს არ დაწეროს —ე (*ახალციხე*) ბოლოში, მხოლოდ თუ გაეპარება ზოლმე ასეთი ფორმა. ასევე ჩამოაცილა ბოლო ხმოვანი *საფარას* და *საფარ* — ფორმით წარმოგვიდგინა⁷³.

საფარაში მისულ მოგზაურს დახვდებიან ქართველი დამსვენებელი დიდგვაროვანი, რაც ტრადიციით აქვს ახსნილი ავტორს. აქვე მიუთითებს ლინჩი, რომ ეს ქვეყანა არის *ზემო ქართლის* პატრონთა სამფლობელო და რომ *ზემო ქართლი* (შეცდომით *Зело-Картли*) მოიცავდა მტკვრისა და ჭოროხის ზემო დაბლობებს აჭარის მთების ჩავლით, კოლხეთამდე⁷⁴.

აქვე გვაწვდის ავტორი საინტერესო ცნობას, რომ მტკვარს აქ (ე. ი. საფარაში) *არდაგანის წყალს* უწოდებენ⁷⁵. საინტერესოა ერთი ფაქტიც. როდესაც ინფორმატორები მდინარეს თურქული დაბოლოებით იხსენიებენ (*ქობლიან-ჩაი*, *ფოცხოვ-ჩაი*) ავტორი ასევე ტოვებს, არდაგანის წყალს კი თარგმნის. როგორც ჩანს, *ჩაი* როგორც ჰიდრონიმული ტერმინი გამარჯვებულია და ბატონობს.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე, გვ. 75.

⁷⁰ Армения ..., დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁷¹ იქვე, გვ. 79.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე, იხ. დართული ილუსტრაციები, გვ. 81, 82.

⁷⁴ იქვე, გვ. 82.

⁷⁵ იქვე, გვ. 83.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა აღნიშნა საფარის, როგორც ათაბაგთა საგვარეულო მონასტრის ფაქტი, რომ ეს ტრადიციანაა და გრძელდება მოგზაურის იქ ყოფნის დროსაც, მაინც სომხურად გამოცხადდა იგი.

წმ. საბას ტაძარი განხილულია, როგორც სომხეთის არქიტექტურული ძეგლი⁷⁶.

ლინჩი იმოწმებს ბროსესა და დიბუას, იმოწმებს კედლის წარწერების ბროსეულ წაკითხვას, ასახელებს ქტიტორებს, მშენებლებს, ათაბეგებს, მაგრამ მაინც ზემოთ მოყვანილ აზრს ადგას.

ახალციხის მოსახლეობა ავტორის ცნობის მიხედვით 15000 – ია, მათ შორის აბსულუტურ უმრავლესობას წარმოადგენს სომხობა. თუმცა ავტორის მტკიცებით: „Не могу не заподозрѣть эти цифры въ преувеличеніи процента армянъ, и думаю, что уѣздный начальникъ причислилъ къ армянамъ – католикамъ также и грузинъ католическаго вѣроисповѣданія“⁷⁷. ქუთაისელ კათოლიკე-ქართველს რომ არ გაეფრთხილებინა ამის შესახებ ავტორი⁷⁸, რა თქმა უნდა, ეჭვი არც შეეპარებოდა. აქვე მოაქვს ავტორს საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ ქართველი მეფეები ქართველ კათოლიკეებს უკრძალავდნენ ქართულ ენაზე აღმსარებლობას და ამან განაპირობა სომხურ ეკლესიაზე მიკედლება ქართველებისა.

მტკვრისა (არდაგანის წყალი) და ფოცხოვის (ახალციხე ჩაი) შესართავთან ასახელებს ავტორი სოფ. ცინისს (Цинисъ), ეს უსათუოდ წინისია, სადაც დასახლებული ყოფილან მაჰმადიანები⁷⁹. ურავლის წყალს ავტორი უბრალოდ ურაველ-ს უწოდებს, *ღობეთს* – გობეთს (Гобеть) ალბათ *ღობეთ*.

ავტორი იძლევა ახაშენის ერთგვარ ეტიმოლოგიას, ეტყობა – შენ ფორმატის გამო, რომ სახელწოდება მუსლუმანური მოსახლეობის გამო შეერქვა სოფელს⁸⁰, აქვე მიუთითებს ბროსეზე, რომ *ახაშენის* წმინდა გიორგი (ავტორის მიხედვით წმიდა თეოდორე) არის

⁷⁶ იქვე, გვ. 84.

⁷⁷ Армения ..., დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე, გვ. 96.

⁸⁰ იქვე.

მაგალითი შერეული არქიტექტურისა (Смешанной архитектуры), რომელ შერევაზეა ლაპარაკი, ავტორი არაფერს ამბობს.

ასპინძას უწოდებს ასპინზას (Аспинза)⁸¹ ასპინძის შესახებ მოგვითხრობს, რომ მის დროს ასპინძის მთელი მოსახლეობა ლაპარაკობდა მხოლოდ ქართულად მოლის გარდა, რომელიც ახალი ჩამოსული იყო მცირე აზიიდან და რომ ასპინძელები იყვნენ ქრისტიანები ადრე და ძველი ეკლესია დიბუას დროს ჯერ კიდევ არსებობდა ნახევრად დანგრეული⁸².

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა სოფლებზე არაფერია ნათქვამი, ასპინძა-ხერთვისის ხეობაში, ავტორი მხოლოდ ქართველ მეთევზეებზე მოგვითხრობს⁸³.

ახალქალაქის წყალს უწოდებს ავტორი ჯავახეთის მტკვარს და მის პარალელურ ფორმად მოჰყავს ტოპოროვანი (Топоровань)⁸⁴, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენო. როგორც ამკარაა, ეს არის *თავფარავანი*, ოღონდ უკიდურესად დამახინჯებული ფორმით. *დიბუას* მიხედვით კი მთავარ მდინარედ მითითებულია თავფარავანი, ხოლო მტკვარი — შენაკადად⁸⁵.

წუნდის ტბას ავტორი უწოდებს სჟულჟუკ-ს (Сюлюк) წურბელის ტბას (Озеро Пиявок)⁸⁶, მარგასტანს (თმოგვს) ავტორი მოიხსენიებს როგორც *მარგისტანს*⁸⁷.

თმოგვს უწოდებს *ზედათმოგვს* ავტორი, მისი მეგზური ჰასანბეე, როგორც ჩანს, ადგილობრივი მაჰმადიანია და მისთვის ტერმინოლოგია ჩვეულებრივ ქართულია (Зеда Тмогви)⁸⁸.

ახალქალაქამდე 18 ვერსზე იყო სტანცია აბაზბეგი (Абазбегь)⁸⁹. ავტორი ახალციხესთან შედარებით სტაბილურად ხმარობს ახალქალაქთან სახელობითის ნიშანს.

⁸¹ იქვე, გვ. 99.

⁸² იქვე, შენიშვნა.

⁸³ იქვე, გვ. 100.

⁸⁴ იქვე, გვ. 102.

⁸⁵ იქვე, შენიშვნა.

⁸⁶ იქვე, გვ. 104.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იქვე, გვ. 105.

⁸⁹ იქვე, გვ. 111.

ტაბაწყურის ტბას უწოდებს ტაბიწყუროს (Табисцуро)⁹⁰, არის ვარიანტი ტაბისწყურო (Табисцуро)⁹¹, ავტორი ხმარობს ტერმინს ახალქალაქის დაბლობი პლატო (Ахалкалакская равнина)⁹², ასევე ქართული ვარიანტით ხმარობს თრიალეთის მთებს⁹³.

შენიშვნაში ავტორი საინტერესოდ ანალიზებს რადდეს აზრს, რომ ახალქალაქის (ვაკე), პლატო იწყება სოფ. *კესტანოღანო*. ლინჩი აიგივებს რადდეს მიერ მითითებულ სოფ კესტანის რუსული რუკების სოფ. *ბეჟანოსთან* და მთავრდება *ხოზაჰინის* ტბასთან⁹⁴.

ახალქალაქის ვაკეზე მიუთითებს ავტორი სველ მთებს (Мокрые горы)⁹⁵.

მდინარე თავფარავანი აღწერილია შემდეგნაირად, რომ იგი სათავეს იღებს *თაფარავნის* ტბიდან, გაივლის *ტუბანის* ტბას, იერთებს შენაკადებს *მჯღათაფის* ტბიდან და მიედინება ჩრდილოეთისაკენ⁹⁶, ე. ი. *ტუბანის* ტბად მოხსენიებულია *სჯღაშის* ტბა.

თავფარავნის წყალი ახალქალაქში იერთებს ქალაქის ქვეშ მარცხენა მხრიდან შენაკადს, რომელიც მოედინება ჩალღირის გორაკების ჩრდილოეთიდან, ხოლო ცოტა ქვემოთ მარჯვენა მხრიდან უერთდება მდინარე *საშსარი*⁹⁷. ეს მონაცემები ავტორს აღებული აქვს რადდედან.

ავტორი კატეგორიულად არ ამტკიცებს იმას, თუ ვინ არის მკვიდრი მოსახლეობა ახალქალაქის პლატოზე. მიუთითებს სომხების სიჭარბეს აღწერის სიეებზე დაყრდნობით. სომხებზე ამბობს, რომ არიან თუ არა ისინი მოსულები, ამის მიუხედავად კარგად კი შერწყმიან ადგილობრივ ბუნებას და პირობებს, თავიანთი ადამიანური რასული ინსტიქტებით. საინტერესოა, რომ ახალციხის აღწერისას ავტორი პიდაპირ აღნიშნავს სომეხთა ჩამოსახლებას, კოლონისტების უბანსაც აღწერს. რატომღაც ასე არ იქცევა ახალქალაქში. ერთი კი ნიშანდობლივია, რომ ამ არეალში (ახალციხესა თუ ახალქალაქში), არსად საეჭვოდ დასმული არა აქვს

⁹⁰ იქვე, გვ. 112.

⁹¹ იქვე, გვ. 113, შენიშვნა.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე, გვ. 113, შენიშვნა.

⁹⁵ იქვე, გვ. 114.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე.

ლინჩს ქართველთა მკვიდრი მოსახლეობის პრობლემა. როცა ლაპარაკია მოსულზე ან არ მოსულზე, ყოველთვის ეს ეხება მხოლოდ სომხურ მოსახლეობას.

ახალციხე-ახალქალაქის გზა დაბთავრდა 1892 წელს⁹⁸. მოჰყავს ანდაზა — ერთი ახალციხელი მებრძოლი უდრის ორ ყარსელს და სამ ერევნელს, ეს ანდაზა მოუგონეს პასკევიჩს ახალქალაქელებმა⁹⁹.

აბულ-სამსარის ქედის მთებიდან ავტორი ასახელებს ქეროღლის (Кер-оглы) და გოდორებს (Годорени)¹⁰⁰.

აბულის აღმოსავლეთით მიუთითებს ლინჩი სომხეთის მთებს (Сомхетинскія горы)¹⁰¹.

ზოჯაბეგსა და ბოგდანოვკასთან ახლოს თუ წინ ასახელებს ავტორი მდინარე ჩონჩალას, რომელიც ამავე სახელწოდების ტბიდან იღებსო სათავეს¹⁰².

როგორც ვხედავთ, ლინჩისათვის კონკრეტულად გამიჯნული არ არის სომხეთის მთები, სომხეთი, მაგრამ სომხეთის მთებად მოხსენებული მთები, რომელიც დღევანდელ სომხეთის საზღვრის მთებს ნიშნავს და, რომელსაც დღესაც ქართველებიც და სომხებიც ასე მოიხსენიებენ, არის საზღვარი სომხეთის მთებსა და მესხეთის მთებისა, აღმოსავლეთით ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მესხეთის და მესხეთის მთების ლოკალიზაციასაც, რადგან იგი სტრაბონთან არის დასახელებული და შეიძლება მისი დაახლოებითი ლოკალიზაცია მაინც.

ექვთიმე თაყაიშვილი მესხეთისა და სამცხე-საათაბაგოს შესახებ

მესხეთის ისტორიული გეოგრაფიის და ონომასტიკის შესასწავლად მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა ამ მხარეში ორჯერ 1902 წელს და 1907 წელს. შეკრებილი მასალა გამოიცა 1907 წელს და 1938 წ.

მართალია ექვთ. თაყაიშვილს მიზანი სხვა ჰქონდა, კერძოდ, მას აინტერესებდა მესხეთის და მიმდებარე ტერიტორიების ისტორი-

⁹⁸ იქვე, გვ. 116.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 124.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე, გვ. 138.

ული ძეგლების აღწერა და ეპიგრაფიკა, მაგრამ მას არაერთი საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ტოპონიმის შესახებაც. ასევე მნიშვნელოვანია მისი მონაცემები ამავე არეალის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის თაობაზე და დაფიქსირებული სახელები, რომელნიც დღეს უკვე შეცვლილია ან ისეა დამახინჯებული, რომ სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

1878 წელს რუსეთმა მესხეთი და მიმდებარე ტერიტორია დაყო ორ ადმინისტრაციულ ოლქად: ყარსისა და ბათუმის ოლქებად¹⁰³.

ყარსის ოლქში შედიოდა *ყარსის, ყალიზმანის, არდაგანისა* (არტაანის – მ.ბ.) და *ოლთისის* ოკრუგები.

ჩვენ როდესაც ვამბობთ მესხეთი და მიმდებარე ტერიტორიები, ვგულისხმობთ შემდეგს, რომ ყარსისა და ყალიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, ხოლო არტაანი და ოლთისი საქართველოს ანუ მესხეთს.

არდაგანის ოკრუგი გაყოფილი იყო უჩასტკებად: *ჩილდირის* („ჩალდირის“), *არდაგანის, გელისა* და *ფოცხოვის*. „პირველი სამი უჩასტკა მდებარეობს მტკვრის ზემო წელზე, ხოლო ფოცხოვის უჩასტკა ფოცხოვის წყალზე“¹⁰⁴.

არდაგანის (არტაანის), ოლთისის ოკრუგებს ემატება ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები და ყველა ერთად ქმნის იმ ქვეყანას, რომელსაც ერქვა მესხეთი.

ე. თაყაიშვილი წერს: „ყველა ზემოთ აღნიშნული ადგილები არდაგანის ოკრუგისა (ფოცხოვის წყლის ბასეინი, ფოცხოვის წყლის შენაკადებით: წურწყაბის წყალი, შუა წყალი, ჯაყის წყალი, (ქობლიანის წყალი-მ.ბ.), ახალციხის მაზრასთან ერთად, რომელიც შეადგენდა ძველ სამცხეს და ახალქალაქის მაზრასთან ერთად, რომელიც შეადგენს ვიწრო მნიშვნელობით ჯავახეთს და მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა, საერთოდ ძველად წარმოადგენდა ზემო ქართლს ანუ მესხეთს, ხოლო მე-13 საუკუნიდან, როცა აქ დამყარდა უფლება სამცხის ათაბაგებისა ჯაყელთა სახლისა, ეს მხარე ცნობილი იყო სამცხე-საათაბაგოდ“¹⁰⁵.

გასული საუკუნის დასაწყისში ე. თაყაიშვილი აფიქსირებს ისეთ ტოპონიმებს, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ონომასტიკისათვის. კერძოდ: მტკვრის სათავეში, ის-

¹⁰³ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907, პარიზი, 1938, გვ. 3.

¹⁰⁴ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 2-3.

ტორიული კოლის ტერიტორიაზე დადასტურებულია გელის უჩასტკის ადმინისტრაციული ცენტრი *ოკაში*¹⁰⁶. ამავე სახელით ცნობილია სოფლები ჯავახეთში ახალქალაქის რაიონში და ქართლში.

ვახუშტის დროს კოლაში მოხსენებული *დადეში* „კოლას ზეით“ ე. თაყაიშვილის დროს უკვე დადამენია¹⁰⁷.

დადეშის სახელით ასევე ცნობილია კიდევ ორი დასახლებული პუნქტი: სოფელი ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში და ნასოფლარ ერუშეთის ფერდობზე, ასპინძის რაიონში.

ნარიშანი აბანოს სიახლოვეს და *ნარიშანი* მტკვრის მარცხენა ნაპირზე ასპინძის რაიონში ხერთვისის პირდაპირ.

ასევე მნიშვნელოვანია კოტ-ფუძიანი სახელის კოტისის დადასტურება მტკვრის სათავეებში, რადგან ამ ფუძით სახელები გვხვდება მესხეთის გარდა საქართველოს სხვა რაიონებშიც.

ჩვენთვის საინტერესოა ე. თაყაიშვილის მიერ დაფიქსირებული ქართული სახელები: ტაოსკარი, კალმახის ციხე და სხვ.

ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილი „დიდი სოფელი გამუსლუმანებული მესხებისა“ *ორთული* (გვ. 38) და ასევე გამუსლუმანებული ქართველებით დასახლებული *ორთისი*¹⁰⁸, საინტერესოულ და -ის სუფიქსებით გაფორმებული *ორთა*. *ორთა-
<ორითა<ორიმთა*. მთა მ-ს გარეშე იხმარება მესხურ დიალექტში. ამასთავეანე არის ცდუნება, რომ *ორთა* დაფუკავშიროთ ასპინძის რაიონის სოფ. *ოთას*, სადაც დაკარგულია მსაზღვრელის რ.

მესხეთის სხვადასხვა კუთხის ზ. ჭიჭინაძისეული ლოკალიზაცია

განსხვავებული შეხედულება აქვს მესხეთის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც 1913 წელს გამოსცა „მუსლუმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“. მართალია ამ შრო-

¹⁰⁶ იქვე, გვ. 8, 14.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 11.

¹⁰⁸ *ორთისი* დადასტურებული აქვს ზ. ჭიჭინაძესაც (მუსლუმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, აღწერილი ზაქ. ჭიჭინაძის მიერ, თფილისი, 1913, გვ. 306.

მაში ავტორი ძირითადად მუსულმანობის მიღების დროს და პირობებს ეხება სამხრეთ საქართველოში, მაგრამ ხშირად ტოპონიმების საკითხებსაც მოიცავს და ამით არის ჩვენთვის საინტერესო.

ზ. ჭიჭინაძე „მესხეთს“ ტერმინს ხმარობს მხოლოდ ვიწრო გაგებით, სამცხის მნიშვნელობით. „ჯავახელ და მესხელს ისლამს გარდა მოსთხოვა ისიც...“¹⁰⁹. ამას გარდა, სამცხის სხვადასხვა კუთხეც კი ცალკე აქვს გამოყოფილი და მესხეთი იმ ვიწრო მნიშვნელობითაც კი აღარ გვხვდება ზ. ჭიჭინაძესთან. მკვლევარმა *ქვაბლიანი* ცალკე აღწერა და დაუპირისპირა მესხეთს: „ქვაბლიანს გარს აკრავს ფოცხოვი, ზედა აჭარა, მესხეთი და იმერეთის მთები“¹¹⁰.

არტაანს, კოლას, ოლთისს, ყარსს... „ყველა ამ ადგილებს ქართველთაგან ეწოდებოდა ზემო ქართლი და არტაანის ნაწილს ერუშეთი“¹¹¹.

ზემო ქართლად ფაქტობრივად ისტორიულ მესხეთს მოიხსენიებს ავტორი და ტრადიციას უწევს ანგარიშს. ასევე ტრადიციულად სამხცე-საათაბაგოდ მოიხსენიებს ზემო ქართლს, ოღონდ — არა მესხეთს. მესხეთი ზ. ჭიჭინაძისათვის არის ვიწრო ეთნიკური ტერმინი: არტაანელნი და მთლად მესხ-კლარჯნი ისე ცხარედ ომობდნენ ოსმალებთან...“¹¹².

ავტორს სამცხის (მესხეთის) და ჯავახეთის სოფლების ჩამოთვლისას, რა თქმა უნდა, არა სრული სია აქვს წარმოდგენილი და თანაც ხშირ შემთხვევაში არასწორად წერს ამა თუ იმ სახელს. მესხეთის (სამცხის) შესახებ იგი წერს: „მესხეთი იყო მჭიდროდ დასახლებული, აქ ქართველთ რიცხვი ნახევარი მილიონი იყო. სოფელი იქმნებოდა რამდენიმე ასი. დღეს კი აქ ქართველების ყოველივე ნატამალობს. *მთელს მაზრაში დღეს ითვლება 300 დიდი და პატარა სოფლები*“¹¹³. მიუხედავად ამისა ავტორი ასახელებს 23 სოფელს, ისიც არა თანმიმდევრულად და ხშირად არა სწორად: დიდი აგარა, ანდრიაწმინდა, ახაშენი, აწყური, კობიეთი, დადემი დღვარი, დვილი, ზედა თმოგვი, ქვაბის ხევი, კუცნა,

¹⁰⁹ ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თფილისი, 1913, გვ. 218.

¹¹⁰ იქვე, გვ. 219.

¹¹¹ იქვე, გვ. 225.

¹¹² ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

¹¹³ იქვე, გვ. 213.

მიქელწმინდა, როკეთი, საკირეთი, ტაესი, ტატანისი, ტყემლანა, ტობა, ტოლეში, წნისი, ქობარეთი, ერკოტა, რაბათი¹¹⁴. ამათგან არასწორად არის მითითებული კობიეთი (ალბათ ლობიეთი), კუცნა (ალბათ ქუცნა (ვახუშტი) ან ქუნცა), სოკიეთი (?), ტაესი (?), ქობარეთი (ალბათ ჭობარეთი) და სხვასევე ჯავახეთის სოფელთა შორის ძნელი გასარკვევია, თუ რომელ სოფლებს გულისხმობს ავტორი *ქარსაულში* და *ხუმრისში*. *გურჯახეთის* ნაცვლად უნდა იყოს *მურჯახეთი*, *ბერტენას* ნაცვლად უნდა იყოს *პრტენა* ან *პტენა*, *ჩუნრას* ნაცვლად — *ჩუნჩხა*. მოულოდნელია *მუსხის* შეტანა ჯავახეთში.

ჩვენთვის საინტერესო არეალიდან ავტორს აღწერილი აქვს ცალკე ხეობები და დასახლებანი. ქვაბლიანი, რომლის შემადგენლობაში მოაქცევს *უდეს*, *არალს*, *ბაღაურს*, *აბასთუმანს* და ვინმე მუსხის მიერ გადაცემულ სოფელთა სიას მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებისას, მთელი დღევანდელი ადიგენის რაიონს. რა თქმა უნდა, არის აქაც შეცდომით წარმოდგენილი სახელები, მაგრამ ჩვენ მათი გადმოწერისაგან და შესწორებისაგან თავს ვიკავებთ.

ჩილდირის ხეობა, როგორც ზ. ჭიჭინაძე უწოდებს ჩილდირის (ჩრდილის) ტბის გარშემო ტერიტორიას, „ჯავახეთს აკრავს, იგი არტაანის და ახალქალაქის მაზრის შუა სძევს“¹¹⁵.

სამწუხაროდ, ჩილდირის ხეობის სოფლებს არ ჩამოთვლის ავტორი. ასევე არ ჩამოთვლის ფოცხოვის ხეობის სოფლებს, თუმცა ხეობას ისევე გამოყოფს, როგორც მუსხეთს, ქვაბლიანს, ჯავახეთს და ჩილდირს.

არტაანის შესახებ საუბრისას, ცალკე გამოჰყოფს ერუშეთს. ასე რომ, ზ. ჭიჭინაძე, ანგარიშს უწევს ქართულ ისტორიულ ტრადიციას, ამიტომ გამოყოფს ყველა იმ კუთხეს, რომელნიც სხვადასხვა დროს იყვნენ „ჩინებულნი“, არტაანსა და ჯავახეთს შორის მოაქცევს ჩილდირსა და ერუშეთს, სამცხესა და ტაოს შორის — ქვაბლიანსა და ფოცხოვს, ხოლო კოლას მიუთითებს მტკვრის სათავეებში.

არტაანზე სპეციალურად საუბრისას ავტორი ერთგან აიგივებს კიდევაც არტაანსა და ერუშეთს: „*ერუშეთს, ანუ არტაანს* იყო

¹¹⁴ იქვე, გვ. 214.

¹¹⁵ ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

სამი კათედრა... მათი უმთავრესი ქალაქი იყო არტაანი, შემდეგ არდაგანი¹¹⁶.

არტაანის, როგორც ქალაქის შესახებ, სხვა მოსაზრებაც არის გამოთქმული, ხოლო, რაც შეეხება ერუშეთს, კუთხის სახელი ნამდვილად მისი მთავარი დასახლებული პუნქტიდან ერუშეთიდან მოდის. ვფიქრობთ, ერუშეთის წამოწევა და არტაანთან გატოლება მე-19 საუკუნის მიდგომა უნდა იყოს საკითხისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩილდირი ცალკე აქვს გამოყოფილი ავტორს და, როგორც უკვე ითქვა, არტაანსა და ჯავახეთს შორის აქვს განხილული, სხვაგან მას არტაანის ნაწილად მიიჩნევს: „ამის მაგალითია არტაანის ნაწილის ჩილდირის ხეობის სოფელ ველის მცხოვრებთ ქართველთა ვითარება...“¹¹⁷.

არტაანის საზღვრები ზ. ჭიჭინაძეს კარგად აქვს განმარტებული მდინარეთა და ისტორიულ კუთხეთა მიხედვით: „დასავლეთით შავშეთ-კლარჯეთი, სამხრეთის არზრუმის კუთხე და ჩრდილოდ თრიალეთი ჩილდირის ხეობითურთ, რომელიც ჯავახეთზეა მიკრული“¹¹⁸. ამ შემთხვევაში, არ იყო საჭირო თრიალეთის ჩრდილო საზღვრად წარმოდგენა, რადგან თრიალეთსა და არტაანს შორის ძვეს ჯავახეთი.

ზ. ჭიჭინაძეს ეკუთვნის ოსმალეთის საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად გამოყოფა, რაც მტკვრის აუზის მდინარეების (არტაანის, ერუშეთის, კოლის, ჯავახეთის წყლები), რომელნიც მოდიან აღმოსავლეთად და ერთიან კასპიის ზღვას და ჭოროხის აუზის მდინარეები, რომელნიც მიერთიან შავ ზღვას.

ზ. ჭიჭინაძე ჩამოთვლის ოსმალეთის საქართველოს კუთხეებს: ბერდუჯი, თრიალეთი, ჯავახეთი, მესხეთი, ფოცხოვი, ჩილდირი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, ყარსი, ფანასკერტი, შავშეთი, კლარჯეთი, ოლთისი, ლაზისტანი, ლივანა, აჭარა¹¹⁹.

თუ ჩამოვაცილებთ ჩამოთვლილ კუთხეებს ლაზეთს, დაგვრჩება ძირითადად ის ტერიტორია, რომელსაც ეწოდება მესხეთი. სამწუხაროდ უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში უმძიმესი ონომასტიკური სიტუაცია იქმნება, როდესაც საკუთარ სახელთა გადარქმევაში ერევა პოლიტიკა.

¹¹⁶ იქვე, გვ. 230.

¹¹⁷ იქვე, გვ. 232.

¹¹⁸ იქვე, გვ. 237.

¹¹⁹ ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

ის, რასაც ზ. ჭიჭინაძე ერუშეთზე ანუ არტაანზე ამბობს, ნი-
შანდობლივია დანარჩენი კუთხეებისთვისაც:

„ერუშეთის სოფლებსაც ასევე შეუცვალეს ქართული სახელები
და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული
სახელები, თითო ოროლა სოფელს კი შერჩათ აქა-იქ ქართული
სახელები, მაგრამ ერთობ მცირედ“¹²⁰. ასე უცვლიან მდინარეებს,
მთებს და გზებსაც კი სახელებს. საბედნიეროდ ზოგიერთი ეს
პროცესი დაფიქსირებული აქვს ზ. ჭიჭინაძეს.

ეს პროცესი მართალია დღესაც გრძელდება, მაგრამ, ტოპონიმია
რომ თავისი საოცარი მდგრადობით გამოირჩევა, ამის ნათელი მა-
გალითია თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ მიგვივითებენ. მაგალითად,
დაბა ფოცხოვის ტერიტორიაზე შემდეგ მიკროტოპონიმებს: *ურემა*
(მთის სახელი) *ჯუჯუხეთი* (ხეობა), *უდაბონა* (ტბა), *ნიგოზა*
(მინდორი), *ჭალა* (სათიბი), *ჟინალი* (მინდორი), *დიღუაკე* (მინ-
დორი), *ნაქუზარ* (ადგილი), *ნაგურალ* (ვაკე).

¹²⁰ იქვე, გვ. 235.

§ 1. ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ მიხედვით

თითოეული გეოგრაფიული სახელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდისაა იგი ფიქსირებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება: „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსა“ და „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში (1696-1757 წწ.). ჩვენთვის საინტერესო თხზულებაში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მან მიზნად დაისახა გეოგრაფიული სახელების ზუსტი ლოკალიზაცია და სახელწოდებათა ზუსტი გადმოცემა.

ვახუშტი აღწერს ან მხოლოდ ასახელებს ჯავახეთის ჰიდრონიმებს: ჯავახეთის მტკვარს, გოკიოს მდინარეს, აზავრეთის ხევს, ბუშათის ხევს, მოდგვის ხევს, ახალქალაქის წყალს.

დასახელებული აქვს ტბები: ტბა კარწახისა, აბოცის ტბა, ზავეთის ტბა, ტბა საღამოსი, ტბა ფარავნისა.

აღწერილი აქვს გეოგრაფიული პუნქტები და ეკლესიამონასტრები: წყაროსთავი, ფოსო ანუ ჩულურეთი, წუნა (იგივე წუნდა - მ. ბ.), კუმურდოს ეკლესია, ბარალეთი, კაჭიო, ბოჟანო, ახალქალაქი და სხვა.

„აღწერილობა ერთნაირად ვრცელი და შინაარსიანი არ არის იმ დროს, როდესაც ქართლი იმდენად ვრცლად არის განხილული, რომ თითქმის არც ერთი მცირეოდენად შესანიშნავი სოფელი და ნასოფლარიც კი უყურადღებოდ დატოვებული არ არის, კახეთიც, თუმცა ქართლზე ნაკლებად, მაინც საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, დასავლეთ საქართველომსა და მთელ მესხეთის შესახებ ვახუშტს გაცილებით ნაკლები ცნობები მოეპოვება და თვით აღწერილობაც შედარებით მოკლეა და ისე ზედმიწევნით არ არის შედგენილი. ამასთანავე, ამ ნაწილში სახელოვანს ქართველს მეცნიერს აქა-იქ შეცდომებიც მოეპოვება, მეტადრე მესხეთის აღწერილობაში. ...თუ ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებას გულდასმით გადავიკითხავთ და ჩავაკვირდებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ქართლი და კახეთი მას თავისი თვალით ნანახი ჰქონდა და ისედაც, ალბათ ბევრი წყაროები მოეპოვებოდა, როგორც მაგ. ხალხის აღწერის დავთრები, დასავლეთი საქართველო კი, პირა-

დად ისე შესწავლილი არ ექნებოდა და განსაკუთრებით მესხეთი ზომ, აღმათ, თვალთაყ არ ენახებოდა, არც სხვა მასალები, მაგ. ხალხის აღწერის დავთრები, ექნებოდა მას დასავლეთ საქართველომსა და მესხეთის შესახებ, ხოლო აღწერილობითგანა ჩანს, რომ საქართველოს ამ ნაწილების გეოგრაფია მას განსაკუთრებით საინტერესო წყაროებისდა მიხედვით შეუდგენია: „ქ“ ც-ითგან ამოუკრებიან ყველა ცნობები, რომლებიც კი საქართველოს გეოგრაფიისათვის გამოადგებოდა“¹²¹.

ივ. ჯავახიშვილი მესხეთის აღწერისას ვახუშტის შეცდომების მთავარ მიზეზად, გარდა იმისა, რომ მას თვალთ არ ენახა ეს მხარე და წყაროებიც ნაკლები ჰქონდა, ასახელებს თვით მეცნიერის ხელთ არსებული საბუთების მიმართ გადამეტებულ ნდობას¹²².

ცნობილია, რომ ვახუშტიმ თავისი შრომის პირველი ნახევრის წერისას (დასაბამიდან XIV საუკუნემდე), გამოიყენა „ქართლის ცხოვრების“ არსებული ნუხსები, შემდგომი პერიოდი კი თვითონ დაწერა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ერთ-ერთი ასეთი წყარო იყო „დავითნი მესხური ხუთ წიგნათ განყოფილი“¹²³. „მესხური დავითნის მატთანე“, როგორც წყარო ვახუშტის ისტორიისა, გამოიკვლია ქრ. შარაშიძემ მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით: „შედარებამ ცხადჰყო, რომ ვახუშტის ტექსტში მცდარადაა გადმოცემული პირთა და გეოგრაფიული სახელწოდებანი, არ არის, აგრეთვე, სისწორით შეტანილი ზოგიერთი თარიღი და ისტორიული ფაქტი“.

„მატიანესთან“ შედარებით ვახუშტის მიერ მცდარად გაგებულ და ასევე მცდარად გადმოცემულ სახელწოდებათაგან ქრ. შარაშიძე ასახელებს ორ გეოგრაფიულ სახელს. „მესხური მატთანის“ მიხედვით „ოლადის ქუაბს“, რომელიც ვახუშტის „ოლდამის ქუაბად“ წარმოდგენია და „მესხური მატთანის“ „ბორალს“, რომელსაც ვახუშტი „ბოგირს“ უწოდებს¹²⁴. ამ სახელწოდებებს უნდა დავამატოთ „წუნა“ (იხ. ქვემოთ) და „ვარნეთი“, რომელსაც ვახუშტი „ვარენთანს“ უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ მართებული ჩანს ს. ჯიქიას

¹²¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 310-311.

¹²² იქვე, გვ. 350.

¹²³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 814.

¹²⁴ ქრ. შარაშიძე, სამხრ. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961, გვ. 119-120.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახუშტის დამოწმებული ფორმა უფრო ძველი ჩანს¹²⁵.

საფიქრებელია ისიც, რომ ვახუშტი არ ემყარებოდა მხოლოდ „მესხური დავითნის მატიანეს“, რომელიც შეიძლება საკმარისი იყო „ისტორიისათვის“, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს „საჩინო“ ადგილთა აღწერისას მას, ალბათ ინფორმატორებიც ჰყავდა. ამრიგად, თუ „ისტორიის“ შეცდომებს „მესხური მატიანის“ ცუდი პირის შეცდომებად ჩავთვლით, „აღწერის“ შეცდომები *ინფორმატორთა* შეცდომებს უნდა მივაწეროთ, რადგან სხვა წყარო, სადაც მსგავსი აღწერა შეიძლებოდა ყოფილიყო, ვახუშტის ხელთ არ უნდა ჰქონოდა. იგი პირველია ამ საქმეში და, რადგანაც თვითონ ნამყოფი არ იყო მესხეთში, ამიტომ მთლიანად ინფორმატორებს დაეყრდნობოდა.

ვახუშტის აღწერის უზუსტობანი ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა შეამჩნია და აღნიშნა, ხოლო შემდეგ ამ უზუსტობათა გათვალისწინებით ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ სახელოვან მეცნიერს მესხეთი თვალთაყ არ უნახავს¹²⁶.

1909 წელს ე. თაყაიშვილი წერდა, რომ ასპინძის ხევის სათავეში, ვახუშტის მიერ აღწერილი მონასტერი *შორაპანი კი არა, არამედ შოროთა ან შორეთი* უნდა იყოსო.

ვახუშტის მიერ აღწერილი *შორაპანის* მონასტერი რომ ნამდვილად შოროთაა, ეს კარგად დაასაბუთა ს. ჯიქიაძემ: „გარდა იმისა, რომ „დავთარში“, რომელიც ამ მხრით მეტად სანდო ძეგლია, შორაპანის მონასტერი სულ არ იხსენიება, სხვადასხვა ხასიათის საკმაოდ მრავალრიცხოვან წყაროში, რომლის გადათვალთვლებაც მე მომიხდა „დავთარის“ ტოპონიმის შესასწავლად, ვერსად ვერ შევხვდი ამ ადგილისთვის „შორაპან“ სახელწოდების დამადასტურებელ ცნობას. ამიტომ ვფიქრობ, დროა უარყოფილ იქნეს ვახუშტის ცნობა, რომ თითქოს ამ მონასტერს „შორაპანი“ ერქვა და აღიარებულ იქნეს, რომ ვახუშტი აქ უთუოდ შეცდომაშია შეყვანილი (შეიძლება ამ შეცდომას საფუძვლად ედოს გრაფიკული მომენტიც – „შოროთა“ სიტყვის „შორ“ კომპლექსით დაწყება“¹²⁷.

შოროთის მონასტერს დღეს ადგილობრივნი *ტაიჭაქაიტასაც* ეძახიან.

¹²⁵ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 195.

¹²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 330.

¹²⁷ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

გარდა ზემოაღნიშნული „შორაპან“ და „შოროთა,, სახელთა აღრევისა, ვახუშტისთან გეხვდება სხვა უზუსტობანიც, რომლებზეც განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ისტორიულად ცნობილია ორი თმოგვი: *ზედათმოგვი* და *ქვედათმოგვი*, რომელიც, უბრალოდ, თმოგვად იხსენიება ყოველთვის და, რომელიც, როგორც ციხე-ქალაქი, დიდი ისტორიული წარსულის მქონეა. ამ სახელწოდების სხვა გეოგრაფიული პუნქტი ამ მხარეში არაა ცნობილი.

ვახუშტის მიერ აღწერილი თმოგვი არის სწორედ ისტორიული თმოგვი, რომლის ციხის ნანგრევები დღესაც დგას სოფ. თმოგვის (ყოფილი მარგასტნის) პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ვახუშტი კი მას აღწერს საფარა-ლრელთან ახლოს: „ამ ქვეზედ არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუმბათიანი, ყოველწმინდისა... ამავე ქვეს ზეით (იგულისხმება ხევი, რომელზეც საფარაა — მ. ბ.) ცუნქის ქვეს მოერთვის ჭობარეთის ქვეი, გამოძინარე მისვე მთისა და მოძინარე ეგრეთვე (ამას ვკონებთ ხინგის მდინარედ); ამ ქვეს მოერთვიან *ზევაშენებს*, ორნი ქვენი, დასავლეთიდან მოძინარენი, ხოლო ხობას ზეით არს *ცუნქა-ლრელის ქვეთ შორის, თმოგუს, კლდესა ზედა, ციხე შენი; თმოგვ იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა*“.

დამოწმებულ მონაკვეთში სხვა უზუსტობანიც არის.

ვფიქრობთ, შეცდომით აქვს დასახელებული ვახუშტის ადგილმდებარეობა მგელციხისა, რომელიც, მისი აზრით ოთა-ასპინძას შორის უნდა ვიგულისხმოთ: „ამას ზეით ერთვის მტკუარს ასპინძის ქვეი (დღევანდელი ოთის წყალი—მ.ბ.), აღმოსავლეთიდან, გამოდის კოდიანასას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართაეთან არს ხიდი მტკუარსა ზედა (აქ, ალბათ, იგულისხმება ისტორიული ერეკლეს ნახიდარი — მ.ბ.). ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა შენი, მაგარი (ეს ასპინძის ციხეა —მ.ბ.); ასპინძის ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, არს *მგელციხე*, მაგარი, დიდ შენი. ამავე ხევზედ, ოთას არს კლდესა შინა გამოკუეეთილნი ქუაბნი¹²⁸.

საგულისხმოა, რომ ვახუშტი დიდი სიზუსტით და დეტალურადაც აღწერს სხვა დანარჩენ პუნქტებს, მაგრამ არასწორად ასახელებს ამ ტერიტორიაზე არარსებულ *მგელციხეს*. სხვა ადგილთა ზუსტმა აღწერამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ამ

¹²⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 666.

მიდამოებში მართლაც იყო ასეთი სახელის ციხე, მაგრამ ისტორიული წყაროები ამის მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

მგელციხე დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა. მისი სახელი, ისევე, როგორც სხვა გეოგრაფიულ პუნქტთა ბევრი სახელი, თურქებმა თარგმნეს კურტკალად¹²⁹. პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ საქართველოს რუკაზე შეცდომით *ქურთ-ყალა* აღნიშნული, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ გადააზრების შედეგად (მგელციხის ნაცვლად ქურთის ციხე) ადგილობრივი მოსახლეობა შეიძლება ასეც უწოდებდა ამ ადგილს.

შესაძლებელია, შეცდომის წყარო იყოს „მესხური დავითნის მატიანეც“, სადაც *მგელციხე* და *ვარნეთი* ახლომდებარე პუნქტებად იგულისხმება: „ამავე ქორონიკონს აგვისტოს ოცდათვრამეტსა ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიღამა“.

ვახუშტის მიერ აღწერილი *ვარნეთი* (უფრო სწორედ ვარნეთა — მ. ბ.) ახლოსაა იმ ადგილებთან, სადაც მგელციხეა მითითებული, მაგრამ ესაა *ქეშო ვარნეთი*, ერთადერთი ვარნეთი, რომელსაც ვახუშტი იცნობს, არსებობდა კი მეორე ვარნეთიც — *ზეშო ვარნეთი*, მგელციხესთან ახლოს. „მატიანის“ ზემოთ დამოწმებულ ციტატაში სწორედ *ზეშო ვარნეთი* იგულისხმება, რომელიც ნიალის ველზე მდებარეობდა და დღეს ნასოფლარია თურქეთის საზღვარზე.

ანტიკური ქალაქი *წუნდა* ოდითგანვე მდებარეობდა იქ, სადაც დღეს ნასოფლარია. მოსალოდნელი იყო, რომ ვახუშტის ის ზერთვისის ზევით ვარძიამდე აღეწერა, მტკვრის (არტაანის მტკვრის) პირას, მაგრამ ვახუშტი *წუნდას ჯავახეთის მტკვარზე* აღწერს: „ხოლო კუალად გოკიის წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამხრეთისაკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდვილი, ჯავახოს მცხეთოსის ძემან, ამასვე უწოდეს პური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთატუნი, და მერე ეწოდა ქაჯთა-ციხე. იყო ქალაქი და ციხე ერთმეფობამდე, არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს, ამ წუნას ზეით კრამის თავს, მინდორზე საკრით კერძოდ არს კუმურდოს ეკლესია“¹³⁰.

წუნდა ისტორიულ წყაროებში დასტურდება წონდა ფორმითაც. ვახუშტი კი რატომღაც ამ პუნქტს წუნას უწოდებს.

¹²⁹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

¹³⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 670.

ის ცნობა, სადაც ლაპარაკია წუნდამი უცხო ტომთა ჩამოსახლების შესახებ, მოდის ლეონტი მროველიდან, რომელიც მხოლოდ „წუნდა“ ფორმას ხმარობს: „და დასხნა წუნდას შინა კაცნი მხეცნი¹³¹“.

წუნდის მეორე სახელი პური, რომელიც ვახუშტის აქვს ნახმარი, აგრეთვე არ არის მართებული.

არ არის სწორი არც წუნდის ვახუშტის მიერ მოწოდებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა – სადაც ჩუნჩხა-პტენასთან ახლოს („გოკიის წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამხრეთისაკენ, კიდეზედ“), მაგრამ თუ წუნდის ისტორიული ადგილსამყოფელი იქ იყო, სადაც დღეს არის, მაშინ ზუსტია ვახუშტის მიერ კუმურდოს მდებარეობის განსაზღვრა: „ამ წუნას ზეით, ხრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია“.

ეს არ არის ერთადერთი შეუსაბამობა, რომელიც ვახუშტისთან გვხვდება.

ცალკეა გამოსაყოფი ის შეცდომები, რომლებიც მოსდის ვახუშტის სამცხე-ჯავახეთის პიდრონიმთა აღწერისას.

ვახუშტი ხევს, წყალს და მდინარეს სინონიმური მნიშვნელობით ხმარობს – მთავარი ფაქტორი წყლიანობაა. მაგალითად, ერთი ობიექტის აღსანიშნავად *იხმარება გოკიის მდინარე და გოკიის წყალი, ფოცხოვის ქევი და ფოცხოვის წყალი*.

ახალციხის წყალს უწოდებს ვახუშტი დღევანდელ ფოცხოვს: „და მდინარე ესე მტკუარი გამოდის კოლას ზეით არსიანის მთას და აწ წოდებულსა ყალნუსა და ყარსის მთასა, და მუნიდამ მიდის სამკრეთიდან ჩრდილოეთად, ვიდრე ახალციხის წყლის შესართავამდე, მერე მუნიდამ გაბრუნდების აღმოსავლეთად ჭობის-ქევამდე“¹³². აღწერის მიხედვით ეს მდინარე სწორედ დღევანდელი ფოცხოვია. მეორეგან ვახუშტი წერს: „ამ ხიდს ზეით (იგულისხმება წნისის ხიდი – მბ.) მომდოვრების მტკუარი და მოდრკების სამკრიდან აღმოსავლეთად; სად მოდრკების მოერთვის მტკუარს მუნ ახალციხის წყალი და ახალციხის წყალი ეწოდების კვანჯღამდე ამ წყალს... ხოლო კვანჯღას ზეით ახალციხის წყალი განიყოფა ოთხ მდინარედ“.

¹³¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 44.

¹³² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 661.

მართალია, ვახუშტი ამბობს, რომ ახალციხის წყალი კვანჯლამდე ეწოდებისო, მაგრამ, ფაქტიურად, ოცხის წყლის შესართავს ზეითაც ახალციხის წყალს უწოდებს: „ამ ოცხის წყალსა და ახალციხის წყლის შესართავს ზეით იყრებიან ერთად ქვაბლოვანისა და ბოცოს წყალნი და მეორთვიან ოცხე-ახალციხის წყალსა¹³³. ამ შემთხვევაში მთავარ მდინარედ ახალციხის წყალი იგულისხმება, ხოლო ოცხის წყალი — მის შენაკადად. ქვაბლიანის, ბოცოს, ჯაყის, ფოცხოვის წყალი ვახუშტის გაერთიანებული აქვს საერთო ტერმინით — *ახალციხის წყალი*.

ვახუშტის გეოგრაფიული აღვლილები აღწერილი აქვს ხევების ან ხეობების მიხედვით. ხევებს სახელები შერქმეული აქვთ იმ გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, რომელთანაც მდინარე იღებს სათავეს, ან მისი შესართავია: *სოფ. ზიკილია და ზიკილიის ხევი; სოფ. წნისი და წნისის ხევი*. ამიტომ ამა თუ იმ „ხევის“ აღწერისას მისსავე მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ ის სოფელი, რომლის სახელსაც ხევი ატარებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ზოსპიოს ხევი: „ამის ზეით (იგულისხმება აწყური-მბ.) მტკუარს მოერთვის ზიკილიის კევი, ჩრდილოდამ, აგარას, გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრით. ამ ხევის ზეით ჯადისთვის, მტკუარს მოერთვის სამხრიდამ *ზოსპიოს ხევი*, გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩრდილოთ. ამის პირისპირ, მცირედ ზემორ, ჩრდილოდამ, მოერთვის მტკუარს აბანოს კევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრით¹³⁴.

ამ ციტატაში მოხსენებულ „ხევთაგან“, მხოლოდ *ზოსპიოს ხევი*, რომელიც გამოსდის კოდიანის მთას, ე.ი. ერთვის მტკუარს მარჯვენა ნაპირიდან. დანარჩენი ორი — აბანოსა და ზიკილიის ხევი ფერსათის მთას გამოსდიან და მიემართებიან სამხრეთისაკენ მტკვრის მარცხენა ნაპირას.

„ვილაიეთის დიდ დავთარში“ *ზოსპიო* მოხსენიებულია მხოლოდ იმ ადგილზე, სადაც დღესაცაა, ახალქალაქის რაიონში მდინარე თავფარაენის პირას.

ამრიგად, ერთი მხრივ, გვაქვს ძალიან ზუსტი აღწერა ხევისა (აბანოსა და ზიკილიის ხევებს შორის მტკვრის მეორე ნაპირიდან) ვახუშტისთან და, მეორე მხრივ, ძალიან დიდი დაცვილება „დავთარში“ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტისა და ხევისა, რომლის სახელიც ამ პუნქტის მიხედვით წარმოიქმნა.

¹³³ იქვე, გვ. 663-664.

¹³⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 662-63.

საფიქრებელია, რომ 1. ვახუშტის შეცდომა მოხდის, *ბოსპოუს ხევის* ნაცვლად სხვა რაღაც სახელი უნდა ყოფილიყო; ან, 2. ხევის სახელი გაჩნდა „დავთრის“ შედგენის შემდეგ, მანამ ვახუშტი აღწერდა ამ ადგილს, *ბოსპიელები* ჩასახლდნენ ჯავახეთიდან სადაც ტყემლანის მიდამოებში, ასეთი რამ შესაძლებელია *კუმურდოს* მაგალითზე. კუმურდო ნასოფლარის სახელია ტყემლანასთან, გვიან გაჩენილი – XVI საუკუნის შემდეგ და დღეს დაცარიელებული, მაგრამ ნასოფლარად შემორჩენილი. *ბოსპოუს* შემთხვევაში კი პირველი ვარაუდი ჩანს სწორი, რადგან *ბოსპოო* ამ ტერიტორიაზე არც ნასოფლარის და არც სხვა პუნქტის სახელად არ გვხვდება.

ხევის ისეთი სახელი, როგორცაა *წნისის ხევი* ან *ზიკილიის ხევი* დღეს შეიძლება აღარ შეგვხვდეს, რადგან ხევთა სახელები ეტყობა ადვილად იცვლება, რასაც ხელს უწყობს, როგორც ჩანს, ხევში წყლის გაქრობა, მოსახლეობის მიგრაცია და სხვა ფაქტორები, რაც იწვევს ხევის სახელის დაკარგვას ან შეცვლას, მაგრამ ის გეოგრაფიული პუნქტი, რომლის სახელიც მიიღო თავის დროზე ხევმა – დარჩა. დარჩა *ზიკილია*, *სლესა* და *სხვა*. ამიტომ ვახუშტის მიერ დასახელებული ხევების სახელწოდებები საინტერესოა არა მარტო როგორც ამ ხევების სახელები, არამედ როგორც შესაბამისი სოფლების სახელებიც. ვახუშტი წერს: „ამ ახალციხეს უდის წყალი თესი სამკრით და დასაველეთით ლიკანის კევი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრეთად¹³⁵“.

ლიკანი ოსმალებს აღწერილი აქვთ პეტრეს ლივაში, სწორედ იქ, სადაც დღეს მდებარეობს. „ვახუშტის ხსენებულ რუკაზე *ლიკანის წყალზე* წყრუთი ნაჩვენებია ორჯერ¹³⁶“. დღეს ამ მიდამოებში *ლიკანი* არ დასტურდება. იქ, სადაც ვახუშტის მიხედვით, *ლიკანის ხევი* მდებარეობს – ახალციხის სამხრეთ-დასაველეთით ორი ხევი შეიძლება ვივარაუდოთ, რომელნიც „გამოსდინან ფერსათს და მოდიან სამხრეთად“. ესენია: *წყრუთულა* და *ზანდოს დღეუ*. ამ ადგილას ვახუშტის მიერ *ლიკანის ხევის* მოხსენიება გაუმართლებელია.

ვახუშტის მიერ დასახელებული *ცუნქის ხევი* არც ამჟამად დასტურდება და, სავარაუდებელია, რომ არც მაშინ უნდა ყოფილიყო ამ სახელით იქ, სადაც მეცნიერი აღწერს.

¹³⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 663.

¹³⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

„ახალციხის წყლის მტკუარის შმსართავს ზეთ მტკუარს მოერთვის *ცუნქის კევი*. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის. ამ კეცს ერთვის *ღრელის კევი*, მისვე მთის კალთის გამოზდინარე. ამ კეცზედ არს საფარას მონასტერი... ამას კეცს ზეთ *ცუნქის კეცს* მოერთვის *ჭობარეთის კევი* გამომდინარე მისივე მთისა და მოზდინარე ვგრეთვე. ამ ხეცს მოერთვიან კევაშენებს ორნი კეკნი დასავლეთიდან მოზდინარენი¹³⁷“.

აქ აღწერილი *ცუნქის ხევი* დღევანდელი *ურაველა ანუ ურავლის წყალო*, რომელიც გამოსდის ქუმბათის მთას და ნასოფლარ ოხერასთან უერთდება მტკუარს მარცხენა ნაპირიდან. თუ აქ შეტათეზისით (*ქუნცა* → *ცუნქა*) მიღებული სახელი არ არის და შემდეგ აღრეული არაა ადგილმდებარეობა (*ქუნცა* დადუშ-აზგვიტას შორის მდებარე სოფელია), გაუგებარია, რას გულისხმობს ვახუშტი, როცა ამ ადგილს *ცუნქის ხეცს* არქმევს.

„ამ კევის შესართავს ზეთ, ნიჯგორის პირისპირ მტკუარს მოერთვის *შულავერის კევი*, გამომდინარე ერუშეთის მთასა¹³⁸“.

ვახუშტის აღწერით *შულავერის ხევი*, დღეს ტოლოშის ხილთან რომ მტკუარს მარცხენა მხრიდან მდინარე ერთვის, ის არის. ადგილობრივი მისახლეობა მას *ხეცას* ეძახის. შულავერი ამ არეალში ისტორიულად არ დასტურდება, ამიტომ, საფიქრებელია, აქ ერთგვარ გადააზრებასთან გვაქვს საქმე.

პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ საქართველოს რუკაზე ეს მდინარე ორი სახელითაა აღნიშნული: 1. თურქული სახელით — ტამლიყაშია (ალბათ, ტამლი ყიშლ-ქვიანი ჭალა, ტამლი ყიშლას ერთგან ჩაუდის მდინარე) და 2. ქვაბის ხევი. შესაძლებელია ამ მდინარის სახელი იყოს *შოლოს წყალო*. შოლო ნასოფლარია სწორედ მის სათავეში. ასეთი სახელი, ოღონდ თურქული თარგმანით ფიქსირებულია კიდევ: Шоланух суи¹³⁹. შულავერი კი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით გეოგრაფიული პუნქტია ადიგენის რაიონში. ამოსავალი ფორმა არის შოლავერი, ხოლო შულავერი „უთუოდ მარნეულის რაიონში არსებული პუნქტის „შულავერის“ სახელთან ანალოგიით არის გამოწვეული¹⁴⁰“.

¹³⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 665-66.

¹³⁸ იქვე, გვ. 667.

¹³⁹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 150.

აშკარაა, რომ შოლოს წყლის გადააზრების შედეგია ვახუშტის შულავერის ხევი, საფიქრებელია ანალოგიის გავლენაც, რადგანაც ვახუშტის ქართლში შულავერის ხეობაც აქვს აღწერილი.

1595 წელს გურჯისტანის ვილაიეთის აღწერისას ოსმალებმა აღწერეს სამი ჭაჭარაქი: 1. ჭაჭარაქის ციხის რაბათი, 2. ზემო ჭაჭარაქი და 3. ქვემო ჭაჭარაქი. სამივე ჭაჭარაქი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა ახალციხე-მუსხს შორის¹⁴¹. დღეს მხოლოდ ერთი ჭაჭარაქია მინაძესთან ახლოს, ხოლო იქ, სადაც ვახუშტი აღწერს ჭაჭარაქის ხევს, არც ისტორიულად და არც დღეს გეოგრაფიული პუნქტი ჭაჭარაქი არ არსებობდა: „ხერთვისს არს ჯიდი მტკუარსა ზედა. ამ ჯიდს ზეით მოერთვის მტკუარს ჭაჭარაქის ხევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ კვეს ზეით მოერთვის მტკუარსავე ქარზამეთის ქევი გამოძინარე მისვე მთასა და მოძინარე ეგრეთვე. ქარზამეთს არს მონასტერი გუმბათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილას და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი“¹⁴².

ციტატის მიხედვით, ამ პუნქტების თანამიმდევრობა ასეთია: ხერთვისის ხიდი, ჭაჭარაქის ხევი, ქარზამეთის ხევი და ვარძია. ე.ი. ხერთვისსა და ვარძიას შორის არის საძიებელი ჭაჭარაქის ხევი (ამიტომ ჭაჭარაქიც). ზემოაღნიშნული პუნქტებიდან უნდა ამოვარდეს ქარზამეთის ხევი, რადგან ქარზამეთი და მონასტერიც, რომელიც ვახუშტის აქვს აღწერილი, მდებარეობს ნიალის ველზე. ქარზამეთის ხევი ვერავითარ შემთხვევაში ვარძიასა და ხერთვისს შორის ვერ შეუერთდება მტკვარს, რადგან იგი ნასოფლარ მირაზხანთან ერთვის მტკვარს თურქეთის საზღვართან ახლოს მარცხენა ნაპირიდან. ხერთვისიდან ვარძიამდე რამდენიმე ხევია, რომელიც მტკვარს მარცხენა ნაპირიდან ერთვის, „გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად“. ვფიქრობთ, ვახუშტის მიერ აღნიშნული ჭაჭარაქის ხევი არის ჭაჭკარის ხევი. ჭაჭკარი ვარძიასთან მდებარე სოფელია და ჭაჭკარის ხევი ზედვე ეკვრის ვარძიას აღმოსავლეთით.

ვახუშტის მიერ დასახელებული გოკია დღევანდელი გოკიაა. მას ზუსტად აქვს, აგრეთვე აღწერილი მდინარე ჭობარეთი (შდრ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული რუკა. დღევანდელი ხანდოს ხევი), რომელსაც მაშინ გოკიის მდინარე რქმევი. ვახუშტი აღწერს პატარა ხევს ოლღაძის წყალს და, საერ-

¹⁴¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 209-210.

¹⁴² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 667.

თოდ, ამ მიდამოებს საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავეს, მაგრამ სრულიად გაუგებარია კარწახის ტბის მდებარეობის დასაზუსტებლად სწორედ გოკიის მდინარის გამოყენება: „გოკიას ქუეით ამ გოკიის წყალს ერთვის ოლდამის წყალი, გამომდინარე შარვაშეთის მთასა და მომდინარე ჩრდილოდამ სამხრით. ხოლო კუალად გოკიის წყლის შესართავის, ჯავახეთის მტკუარის სამხრით, მალლა, მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა“¹⁴³.

კარწახის ტბა ბევრად უფრო ახლოს არის არტაანის მტკვართან ღღევანდელ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმის შესასწავლად, აღწერს და ხშირად დეტალურადაც აღწერს ამ მხარეს, რადგან იგი ნამყოფი არ ყოფილა მესხეთში, უშვებს უზუსტობებს, რომლებიც ძირითადად შეეხება „აღწერას“. იგი მთლიანად ეყრდნობა ამ შემთხვევაში ინფორმატორებს (წყაროები გამოყენებულია უმეტესად „ისტორიის“ წერის დროს), ამიტომ ვახუშტის უზუსტობანი მეტწილად ინფორმატორთა შეცდომები უფროა.

§ 2. მესხეთის ტოპონიმია, როგორც საისტორიო წყარო

ტოპონიმია ცოცხალი სახეა ისტორიის ამა თუ იმ ეპოქისა. სწორედ ტოპონიმიაშია ხოლმე ასახული ისტორიული მოვლენები. ხშირად რომელიმე ისტორიული პირის სახელი ედება საფუძვლად გეოგრაფიულ სახელებს. საქართველოში, მაგალითად, ბევრი გვაქვს *თამარის* სახელთან დაკავშირებული ციხე, სოფელი და სხვა. ძნელი დასაჯერებელია, ყველგან დაედგას ფეხი ჩვენს მეფე ქალს, მაგრამ ადგილის სახელდება თავისთავად ისტორიის ანარეკლია. თამარი რომ არა, ადგილს მასთან დაკავშირებული სახელი არ შეერქმეოდა. მაგრამ, ამასთან, ტოპონიმია მაცდურია. მაგალითად, იმავე თამართან დაკავშირებულ სახელებს გარკვეული სიფრთხილით უნდა მიდგომა, კერძოდ, ასპინძის რაიონში არის სოფლები: *ძველი, თოკი, დამლა, აწყვიტა*.

საკმარისია ეს სოფლები ერთმანეთის გვერდით მოვიხსენიოთ, რომ ერთგვარი შინაარში ჩნდება თოკის ძველ ადგილზე დამალვასა და შემდეგ მის აწყვეტასთან დაკავშირებით. ყველაზე ცნობილ წინაპარს თუ დაუვკავშირებთ ამ შინაარსს, ლეგენდაც მზად არის, რომ

¹⁴³ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 669.

„რუქნადინმა“ ძველი თოკი აქ დამალა და შემდეგ თამარმა ააწყვეტინა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ლეგენდა შორეულ წარსილში კი არ შექმნილა, არამედ ჩვენს დროში, XX საუკუნეში შეიქმნა სამხრეთის ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ასპინძის რაიონი ცალკე გამოიყო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული. რომელიღაც ადმინისტრატორმა ზეელი გაიანზრა ძველად, რადგანაც ძველი შინაარსობრივად გასაგებია. ისტორიული ზეელი კი ახალი სახელმძღვანელობის არაფრის მთქმელი იყო. იგივე ითქმის ტამლის შესახებ, რომლის მოსახელე ტოპონიმები ისტორიული ერთეულის, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე გვხვდება. მეცხრამეტე საუკუნეში, მაგალითად, გაზეთი „ივერია“ ტამლას ხმარობს¹⁴⁴. ასევე ტამლაა დასახელებული კრებულში „საქართველოს სიძველენი“. „ტამლის თურქიზებული ფორმა დამალა“¹⁴⁵. დღევანდელ სინამდვილეში დამალას გაბატონებას ხელი შეუწყო სახელის შინაარსობრივმა გააზრებამ და იმანაც, რომ ამ სოფელში ქართული მოსახლეობა არ არის (სომხები ცხოვრობენ) და ჯავახელ სომეხთათვის ქართული მკვეთრი ტ ბგერა ძნელი გამოსათქმელია. ადმინისტრაციული ჩარევის შედეგადვე შეიცვალა აჭკვიტა აწყვიტად. საერთოდ, გადააზრება, სემანტიკადაცლილი ტოპონიმური სახელის ხელახლა გაშინაარსიანება, დიდ როლს თამაშობს სახელთა შეცვლაში. სინამდვილეში საქმე გვაქვს არა „გაშინაარსიანებასთან“, არამედ თავდაპირველი მნიშვნელობის უფრო გაბუნდოვნებასთან. ასეთმა ადმინისტრაციულმა ვაიეტიმოლოგიზაციამ შეიძლება შეცდომამდე მიგვიყვანოს. ვთქვათ, ამ შემთხვევაში აწყვიტა გაგებულ იქნას ნამყო წყვეტილის ფორმად და სახელში ვინმემ ზმნური შინაარსი ეძებოს.

მოსალოდნელია ამ უკანასკნელი სახელის შემდგომი პროცესი: აწყვიტა რუსულად გამოითქმის, როგორც АЩКВИТА (ასეა შეტანილი თანამედროვე რუკებზე), რომელიც შესაბამისი ტრანსკრიპციით ქართულმა შეიძლება გადმოიღოს აჭკვიტა ფორმით.

ასევე ძნელი დასაჯერებელია, რომ სოფ. ოშორის თამარ მეფის წყარო რაიმე კავშირში იყოს ჩვენს დიდ წინაპართან. ეს მხოლოდ შორეული ისტორიის თანამედროვე გამოძახილია, მით უმეტეს, რომ ამ სოფელში ახალი მოსახლეობა 1947 წლიდან ჩნდება. მათ აქ არც არავინ დახვედრიათ, რომ, მაგალითად, სახელი ადრინდელ შერქმეულად მივიჩნიოთ.

¹⁴⁴ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 188.

ვარძიის ქვაბთა შორის საუკეთესოს თამარის ოთახი ჰქვია. გაღმორცემით თამარი ათევეა აქ ლამეს, რაც გამორიცხულია, რადგან ვარძია მამათა მონასტერი იყო, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ თამარმა რამდენიმეჯერ მონინახულა ვარძია, იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა, რომ მის სახელს დაუკავშირეს არა მარტო ერთი ოთახი, არამედ მთლიანად ვარძიის სახელიც. დაიკარგა თითქოს თამარი და ეძებდნენ. აქ ვარ, ძიაო, — უთქვამს მას და დარქმევია ადგილს „ვარძია“. სინამდვილეში თამარამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ეს სახელი. თამარის მოსვლას ვარძიაში უთუოდ თავისებური ელფერი, რიტუალი, ლაზათი ექნებოდა. ამიტომაც უკავშირდება მის სახელს *თამარის წყარო* თმოგვში და *თამარის ბურჯი* — თამარბურჯი — ხიდი ახალქალაქში. ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: სხვა შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სახელი ედებოდა საფუძვლად ადგილის სახელწოდებას, უეჭველად ა-ს დაურთავდნენ. ერთ შემთხვევაში, რაც ძალზე იშვიათია, თვით წმინდა იოსების სახელის „დაკნინების“ შედეგად არსებობს იოსეფას ეკლესია თმოგვში, მაგრამ თამართან დაკავშირებულ სახელწოდებებს ეს არ ეხება, როგორც ჩანს, არ აკადრებდნენ და იმიტომ.

ცნობილი ფაქტია, რომ 1770 წლის ასპინძის ომში ერეკლე II გამარჯვება ასპინძის ხიდის გადაჭრამაც განაპირობა. ეს ხიდი ერეკლეს შემდეგ აღარ აღმდგარა. ბურჯი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დღევანდლამდე შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მხოლოდ ერთხელ იყო ასპინძაში, თანაც ომის ფაშს, იბრძოლა და დაბრუნდა თბილისს, ნახიდარს *ერეკლეს ნახიდარი* დაერქვა და შემორჩა დღემდე.

ცნობილია, აგრეთვე, რომ არსენა ოძელაშვილი „ახალციხეს გადიპარა“, ამიტომ, როდესაც ჭობარეთში *არსენას ქალას* ოძელაშვილის სახელს უკავშირებენ, გასაკვირი არ არის. არსენას სახელს ატარებს, აგრეთვე, ხიდიც თმოგვში, მაგრამ ეს სახელი მას მთელი ერთი საუკუნის შემდეგ შეერქვა, მაშინ, როდესაც კინოსურათს იღებდნენ. გადაღებები თმოგვის მიდამოებში მიდიოდა, ჩამონგრეულ ხიდს უკვე ახალმა არსენამ (სპარტაკ ბალაშვილმა) შეუდგა მხარი. ფილმი გამოვიდა, ხალხმა კი იმ ადგილზე აშენებულ უკვე კაპიტალურ ხიდს *არსენას ხიდი* უწოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვარძიაში მოღვაწეობდა ბერძენი ბერი პაპანდოპულო. მან ერთ-ერთ გამოქვაბულში აბანო მოაწყო და შიგ ავაღმყოფებს აბანაებდა ხოლმე. განსაკუთრებით „შველოდა“ ბერი უშვილო ქალებს. ბევრი ღიმილმომგვრელი გაღ-

მოცემა არსებობს ბერისა და მისი მკურნალობის „მეთოდების“ შესახებ. ამ ქვაბს დღესაც *მაძანტოპულოს აძანო* ჰქვია, მიუხედავად იმისა, რომ იქ წყლის ნასახიც კი არ არის.

ჯავახეთი მდიდარია ქვაბებით. კლდეში ნაკვეთ ქვაბებს მრავალი დანიშნულება ჰქონდა. იყო საცხოვრებელი, საბერო, მონასტრისა და სხვა ქვაბები, მაგრამ მათი უმთავრესი დანიშნულება მაინც განძისა და ადამიანების დამალვა იყო. ქალებს და ბავშვებს გადამალავდნენ ხოლმე *სახიზრებში*. ხშირად სახიზარს ძელი ჰქონდა ჩამაგრებული, რათა წნელის ან ბაწრის კიბე ჩამოეშვათ. ტოპონომიამ შემოგვინახა ისტორიის ძნელბედობისდროინდელი სახელი — *სახიზარი*. *სახიზარი* ჰქვია გვირაბებს ვარძიაში, თმოგეში, ხიზაბერას, ახჩიასა და სხვ.

ჯავახეთის ტოპონიმამ შემოგვინახა ფეოდალური ხანის ქართული სამოხელეო ტერმინები. მამასახლისი ჰყავდა როგორც მონასტერს, ისე სოფელს. ტოპონიმიაში ბევრგან არ შემოგვრჩა ეს სიტყვა და ამას თავისებური გამართლებაც აქვს, რადგან მამასახლისი შედარებით დაბალი სამოხელეო ტერმინია, ალბათ, მას მამულიც ნაკლები ჰქონდა, მაგრამ თოკში ერთ სათესს მაინც ჰქვია *მამასახლისის ჭალა*.

განსაკუთრებით ბევრია მღვდელთან დაკავშირებული ადგილის სახელი და ეს გასაგებიცაა. მღვდელი თითქმის ყველა სოფელს ჰყავდა. მას მამულიც ბლომად ჰქონდა. გვაქვს: *ღვდლიბაღები* — ბაღები, ღომიეთი, *ღვდლიჭალა-ჭალა*, *ზველი*; *ღვდლიუბანი* — ყანები, *ჭობარეთი*; *ღვდლიწყარო* — *წყარო*, *ზველი*; *ღვდლიყანა-ყანა*, *ერკოტა* და მრავალი სხვა. ამ შემთხვევაში ტოპონიმების ასაკის დადგენა ძნელია. მღვდელთან დაკავშირებული სახელები ძველიც შეიძლება იყოს, ყოველ შემთხვევაში იმდროინდელი მაინც, ვიდრე ამ მხარეში ეს სასულიერო თანამდებობა კომუნისტების დროს გაქრებოდა. სიმძვლის ელფერი დაკრავს *ჭობარეთის ღვდლიუბანს*, რადგან ეს სახელი ყანებს ჰქვია და არა სოფლის უბანს.

ჯავახეთში ცალკე იყო საბატონო მიწები, ის მიწები, რომლის შემოსავალიც ბატონისა იყო. ფეოდალური ხანისაა *ბატონი ყანა-ყანა*, აფნია. *ბატონი ყანები* — საყანეები, პტენა, იქვე იყო ტოპონიმი *საბატონო ქვა*, რომელსაც პარალელურ ფორმად აქვს *ჭორტი ქვა*. ეტყობა, ეს იყო სასაზღვრო *ჭორტი*, რომელიც ბატონის ყანებს სხვა დანარჩენისაგან გამოყოფდა.

„ვეფხისტყაოსანში“ „მობურთალობა“ ვაჟკაცობისა და თვით პოეზიის საზომიც არის. „მესხური დავითნის მატიანეში“ ჩართულია მოსახსენებელი მზეჭაბუკისა. მის შესახებ ავტორი წერს:

„პატრონი მზეჭაბუკ მიიცვალა... ყოვლად სრული და ზნეუკლები. სიყრმითგან ღვთისმოყუარე და ქრისტეს სარწმუნოებაზედა აღზრდილი, სრული მწიგნობარ-შგალობელი და რიტორი, კმაი-შუენიერი, ენა-ტკბილი... ხოლო სპარსული წიგნი და წერა და ენა თათრული, სპარსული და არაბული. მობურთალ-მოსასპარეზე ქუეყანასა ზედა მისებრი არ გამოჩენილა“. ამ ნაწყევტში განსაკუთრებით არის გახაზული მზეჭაბუკის „მობურთალობა“. *საბურთე|საბურთალოები* სპეციალური ადგილები ყოფილა ზოგიერთ სოფელში. თვითონ „ბურთაობის“ სახეები დაიკარგა ჯავახეთში (და არა მარტო ჯავახეთში), მაგრამ ტოპონიმამ შემოგვინახა სახელები.

სპეციალური საბურთე ჰქონია საფარას: „პატრონი დედისიმედი გააცხელა ხუთშაბათს დღესა და ორშაბათს დღესა... საფარას *საბურთეზე* გაეცხელებინა¹⁴⁶“.

საბურთალოები გვაქვს მინდვრის სახელად ზიზაბავრაში, ხოლო – *საბურთე|საბურთლე*, ასევე მინდვრის სახელად როკეთში.

ცალკე გამოსაყოფია ის ზოგიერთი გვარი თუ სახელი, რომელიც სამხრეთ საქართველოში დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ ისტორიულად დასტურდება. თოკში ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ მაჰმადიანი *აძაშიძეები*, ამიტომაც ჰქვია ნაციხარს *აძაშიძის ციხე*. დღეს სამხრეთ საქართველოში ეს გვარი აღარ გვხვდება. ასევე აღარ არის სამცხე-ჯავახეთში გვარი *გოგორიშვილი*, მაგრამ იყო ისტორიულად. „მესხური დავითნის მატიანეში“ არაერთი გოგორიშვილია მოხსენიებული: გოგორიშვილი ბეჟან, გოგორიშვილი როინ¹⁴⁷ და მისი ძმა ბერი ერუშნელი; გოგორიშვილი ზურაბ¹⁴⁸, ამიტომაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის *გოგორიშვილის ქალა*, სათიბი, ჭობარეთში.

ორბელიანის სახლი ჰქვია ახალციხეში ერთ ძველ შენობას. ორბელიანები დღეს ამ მხარეში აღარ ცხოვრობენ. ორბელიანთა უკანასკნელი ახალციხელი წარმომადგენელი, რომელიც უშვილოდ გადაეგო, XX საუკუნის 30-იან წლებამდე ცხოვრობდა ამ სახლში.

აღარც *მუსხელიშვილი* არის ჯავახური გვარი დღეს, მაგრამ *მუსხელოვი|მუსხელიშვილის* მამულები, რომელიც ახალქალაქის წითელი ხიდის ქვეშ იყო და დღეს უბანია ქალაქისა, მიგვითითებს იმაზე, რომ აქ მუსხელიშვილები ყოფილან პატრონები.

¹⁴⁶ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) თბ., 1961, გვ. 52.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 47.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 169.

ასევე აღარ არის ჯავახეთში სახელი ვარაზი. ვარაზა გავრცელებული სახელი იყო სამცხე-ჯავახეთში. „ვარაზ“ კომპოზიტის წვერადაც გვხვდება საკუთარ სახელებში, დასტურდება ვარაზ-გულ¹⁴⁹ და ვარაზგულა ფორმაც. იყო ისტორიული პირი იასონ ვარაზაშვილი: „აცნობა ოლაღის ქუბიღმა ბედანიშვილმა იასონ ვარაზაშვილს¹⁵⁰“. სამცხე-ჯავახეთის საზღვარზე შორეთთან ახლოს არის ვარაზის ციხე, ალბათ, რომელიმე ვარაზის აშენებული, ან საპატრონო.

ჯავახეთში და, საერთოდ, სამხრეთში ბადესთან დაკავშირებული ყველა სიტყვა, ისევე, როგორც ქართლში, წყალს და ბადეობას უკავშირდება. ჯავახეთში საბადური ჰქვია ბუჩქნარს ხიზაბავრაში, სერს და ტყეს ერკოტაში, ყანას როკეთში. არც ერთი ეს ადგილი მდინარეს სიახლოვეს არ ეკარება. ბადით ძველ საქართველოში მხოლოდ თევზს არ იჭერდნენ. ბადეობდნენ ფრინველზეც და სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ყველა ზემოაღნიშნულ საბადურს.

ჯავახეთი ოდითგანვე დაწინაურებული რაიონი იყო ეკონომიურად. ამაზე მეტყველებს არაერთი ნაპურალი, ნასელარი, ნაცერცველი, ნადიკარი, ნაკალვარი, ნაოსპარი და მრავალი სხვა. ზოგიერთი ჯიში თუ სახეობა მინდვრის კულტურებისა იკარგებოდა ადრევე, იკარგებოდა მათი სახელიც. ასე მოუვიდა, მაგალითად, თავთუხის კულტურას, რომლის ადგილობრივი სახელი იყო შეფხა¹⁵¹, ეტყობა, ფხის ფერის გამო. ერკოტაში ყანებს შეფხა ჰქვია, ხოლო მთას, ტყიანს—შეფხას თავი. ვინის დაკარგვას ხელი შეუწყო გადააზრებამ. სახელი დაუკავშირდა შეფხა სიტყვას (შეფხა მესხურსა და ჯავახურ დიალექტში ქედს ჰქვია. სიტყვა შემოსული უნდა იყოს თურქულიდან).

მისათითებელია, აგრეთვე, ერთ ფრიად სპეციფიკურ მეურნეობაზე მესხეთში და, საერთოდ, სამხრეთში. სელის კულტურა მთლიანად გამქრალია დღევანდელ ჯავახეთში, მაგრამ, როგორც ტოპონიმიცა მოწმობს, სელი და მისგან ზეთის ხდა ძალიან მაღალ დონეზე მდგარა ამ მხარეში. დღეს ჯავახეთში ბევრგან შეგვხვდებათ ვეებერთელა, ხშირად 2 მეტრი დიამეტრის გახვრეტილი ქვა, რომელსაც თანამედროვენი უკვე არარსებულ წისქვილებს და წის-

¹⁴⁹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 123.

¹⁵⁰ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

¹⁵¹ ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 64.

ქვილის ქვებს უკავშირებენ. მას *გელაზებს* უწოდებენ. ეს ქვები ზეთის სახდელი ქვებია. ზეთის სახდელი, ხშირად და ძირითადად თურქული სახელით (*ძაზირზანა*) გვხვდება. ბაზირზანა (ზეთის ხდა) მეურნეობის იმდენად მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, რომ ამ სახელწოდების სოფელიც შეიქმნა. *ძაზირზანა* ღღეს ნასოფლარია ასპინძის რაიონში. *ზეთის სახდელი* ყანებს ჰქვია პტენაში, *ძაზირზანა* ნანგრევის სახელია ნაქალაქეში. *ძაზირზანა/სახდელი* — ყანა, ფია და სხვა მრავალი.

მეურნეობის დარგი გაქრა, მაგრამ ტოპონიმამ მისი კვალი შემოგვინახა.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა საქართველოს მისწყვიტა მესხეთი და ის გურჯისტანის ვილაიეთად აქცია, ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყვეს (იხ. ზემოთ), სამცხე-საათაბაგოს საფაშო უწოდეს და ყოფილი ათაბაგების, თმოგველების, ლობიარების, ზერთვისარების, სლესარების და სხვა თავადაზნაურთა ნაცვლად ფაშა და ბეგი განაგებდა ქვეყანას. ასე შეიქმნა ტოპონიმები: *აძაზბეგი* — შენობა, რუსთავი; *ალაიბეგები/ქლაიბეგის ყანები* — ყანები, თოკი, *ბეგის გომი* — ნასახლარი, ქილდა; *მამდალიბეგის შემოსავალი* — გზა, ახალქალაქი და სხვ.

ყურადღებას გვაგამახვილებთ ერთ ტოპონიმზე. თმოგვში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩავარდნილი ადგილია, ამიტომ მას, როგორც ჩანს, ყველაზე ადრე ძველი ქართული სახელი *ღუბე* შეერქვა. ოსმალობის დროს, რადგან ეს ადგილი ყველაზე უკეთ ირწყვის, მზის გულია და, საერთოდ, მოსავლიანი ადგილია, ის ბეგის მფლობელობაში აღმოჩნდა. ამიტომ დაერქვა მას *ბეგის ბაღჩა*. მე-20 საუკუნის სინამდვილეს ასახავს სახელი *კოლექტივის ბაღი*. ტოპონიმამ სამივე სახელი პარალელურ ფორმად შემოგვინახა და ერთ ადგილს ჰქვია — *ღუბე/ბეგის ბაღჩა/კოლექტივის ბაღი*. ტენდენცია იქით არის მიმართული, რომ მსაზღვრელი უკანაქნელ სახელს ჩამოსცილდეს და დარჩეს მხოლოდ *ბაღები*, რომლის დაყოფაც მოხდება მფლობელთა გვარების მიხედვით.

ჯავახეთის ტოპონიმიაში ოსმალური სამოხელეო ტერმინებიდან ყველაზე ხშირად ბეგი გვხვდება. ეს გასაგებიცაა, რადგან ბეგი შედარებით მცირე ადმინისტრაციულ სანჯაყს განაგებდა.

ტოპონიმამ შემოგვინახა 1828 წლის პასკევიჩის ექსპედიციის კვალი. *რუსის გზა* ჰქვეთს ჯავახეთს და უკავშირდება იმ ბრძოლებს, რომელიც პასკევიჩმა ამ მხარის შემოერთებისას გადანიხადა.

§ 3. არტაანის გუბერნიის ტოპონიმთა უახლესი ისტორია

მესხეთის ისტორიული ნაწილი არტაანი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მხარეს ერქვა¹⁵² და შემდეგ იქცა ადმინისტრაციული ცენტრის სახელად, ოდითგანვე ქართველებით იყო დასახლებული. ამას მიუთითებენ არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ თურქებიც. ამიტომ არტაანის დღევანდელ გუბერნიაში ბევრი ქართული სახელია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადგილს შეუცვალეს სახელი და ახალი დაარქვეს, ზოგს კი არაქართულმა გარემომ თავად უცვალა ფორმა და ჩვენამდე მოვიდა იმდენად განსხვავებული სახით, რომ, ერთი შეხედვით, ძნელია მასში ნამდვილი ქართული სახელის ამოცნობა. ასეთ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვესთან ერთად წყაროების მონაცემებსაც. ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მთავარია ადგილის ლოკალიზაცია, რის საფუძველზეც ხერხდება მიზნის მიღწევა.

სოფელი *ოლჩეჩი* მდებარეობს არტაანის აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადის შავწყალას (კარასუ) ნაპირზე.

თურქი მეცნიერის *მეჰმედ დოღრუს* მიერ აღწერილი ოლჩეჩის შემოგარენი ტიპურია მთელი არტაანის მხარისათვის. მოვიყვან სიტყვა-სიტყვით თარგმანს: „ოლჩეჩიდან 5-კმ-ით სამხრეთით არის კიზილ ქილისეს (წითელი ეკლესია) ნანგრევები, სადაც ჩატარდა გათხრები, რომლის შედეგად აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის წარწერები, ფრესკები, ორნამენტები და ჯვრები. დღესაც სოფლებში და ნაფუზერებში (ასეა!—მ.ბ.) არის დანგრეული ეკლესიები. აქვე აღმოჩენილია გათხრების შედეგად ქვის ჯვრები და წარწერები. ახლაც კი სოფელ *ბურჯოსანის* საზაფხულო საძოვრებზე არის ეკლესია, ხოლო ეკლესიის ეზოში არის ქრისტიანული საფლავები“¹⁵³.

კიზილ ქილისე (კიზილ ქილისა) ამ მხარეში ორი იყო, ხოლო ჩვენთვის საინტერესო სახელის შესახებ *ხ. ჯიქია* წერდა: „ამ კიზილ ქილისას ორჩოკის კიზილ-ქილისა უნდა დაერქვეს და მისი ლოკალიზება ორჩოკის მიდამოში უნდა მოხდეს. ეს სოფელი უკაცრიელია და აწერია 1000 ახჩა გადასახადი“¹⁵⁴.

¹⁵² *ხ. ჯიქია*, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 501.

¹⁵³ *M. Dođru. Ardahanın Ölçek Köyü Tarihi, Ankara, 1972, s. 2.*

¹⁵⁴ *ხ. ჯიქია*, დასახ. ნაშრომი, გვ. 557.

მე-16 საუკუნის ბოლოს სოფელში უკვე აღარავინ ცხოვრობს და მე-20 საუკუნეში თურქი არქეოლოგები თხრიან მის მიდამოს. სახელი თარგმნილია ქართულიდან. რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ „ეკლესია თურქების აშენებული არ იქნება“¹⁵⁵.

მესხეთში ბევრი „წითელი“ ეკლესია იყო, ზოგი წითელი ქვით ნაშენი, ზოგს კი წითელი ქვა ზოლად გასდევდა ხოლმე, როგორც ეს არის ასპინძის რაიონის სოფელ *ფიაში*.

სოფ. *ოლჩექი* თავისი ისტორიით და არქეოლოგიით დიდ ინტერესს იწვევს, ამიტომაცაა, რომ წიგნს, რომელიც ამ მხარის სოფლებს და ისტორიას ეხება, ჰქვია „არტაანის სოფ. ოლჩექის ისტორია“. მისი ისტორია მიუხედავად იმისა, რომ, თითქოს მე-19 საუკუნის შუა ხნით უნდა დავიწყოთ, ბევრად უფრო ძველია. ამ სოფელში 1855 წელს, საიდანაც იწყება სოფლის ახალი ისტორია, „სასაფლაო უკვე არსებობდა. ამ ისლამურ სასაფლაოზე არის აგრეთვე ჩალმიანი საფლავის ქვები“¹⁵⁶.

სოფელ ოლჩექის ახალ ისტორიას მე-19 საუკუნეში იწყებენ ახალციხელი ლტოლვილები, რომლებიც 1855 წელს ჩასულან მესხეთის შემდეგი სოფლებიდან: *ჭარალი, ვაღე, ქისათიბი, გურჯელი, კეზოვანი, ახალშენი, ტატანისი* და სხვ.

როგორც მეცნიერი წერს, ოლჩექელმა ასაკოვანმა ქალმა, რომელიც სტამბოლში ცხოვრობდა, მიაწოდა მას ცნობა, რომ ოლჩექს, გადმოცემით, რქმევია გარგუსუბანი თუ გერგუსუბანი¹⁵⁷.

აშკარაა, რომ მე-19 საუკუნის შუა წლებში ჩამოსული ახალციხელი ლტოლვილები არქმევენ ახალ სახელს გარგუსუბანს თუ გერგუსუბანს, ხოლო შემდეგ ადმინისტრაცია კვლავ ძველ სახელს ტოვებს, აფორმებს ოფიციალურად და ახალი მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე (როდესაც გამოდის აღნიშნული წიგნი) მოდის, როგორც ძველი სახელი. *გარგუსუ-ბანიც* ქართული სახელია.

უბან კომპონენტის სახელები ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ძალიან ბევრია. ამავე არეალშია *წარბასთუბანი, ღოღათუბანი, ზეუბანი...*, ტოპონიმიაში – უბან კომპონენტი ახსნილია გ. *ახელჯიანის* მიერ: „სოფლის სახელწოდებებს ხშირად საფუძველად უდევს იქ მცხოვრები გვარეულობის სახელწოდება, როგორც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით გაფორმებული. მაგ.

¹⁵⁵ იქვე გვ. 550.

¹⁵⁶ M. Dođru. დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 6

გულათუმანში (<გულათუმანი) ცხოვრობენ გულადები, ლოლათუმანში (<ლოლათუმანი) ცხოვრობენ ლონლადები და ა.შ.¹⁵⁸.

გარდა მრავლობითისა, შესაძლებელია, უბანი ყოფილიყო ერთი მოსახლისა და მხოლოდ სახელის ნათესაობით ფორმას დართოდა. ასეთია *გარგუსუბანი* თუ *გერგუსუბანი*. კომპოზიციის პირველი ნაწილი არის გიორგი, რომელმაც არაქართულ ენობრივ გარემოში შეიძლება მოგვეცეს გარგუს და გერგუს. გვაქვს გიორგის სხვა ვარიანტიც ამავე კომპოზიციაში — *გორგეთუბანი*, რომელიც ნასოფლარია ახალციხის რაიონში და სოფელი იყო XVI საუკუნეში და, რომელშიც *გორგეთ* ფორმა მრავლობითის საგვარეულო ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო სხვა შემთხვევაში გვაქვს *გიორგისუბანი*, სადაც საკუთარი სახელია და არა საგვარეულო სახელი გიორგი. ახალციხელი ლტოლვილების ერთი ნაწილი და, შესაძლებელია, დიდი ნაწილი, შეიძლება ყოფილიყო ან *გორგეთუბნიდან* ან *გიორგისუბნიდან* და ამიტომაც შეარქვეს *ოლჩექს* ეს სახელი მე-19 საუკუნეში.

არტაანისა და *ოლჩექის* შემოგარენის აღმწერი მეჰმედ დოდრუ ოლჩექის 1855 წელს დაარსებას, მიუხედავად იმისა, რომ აქ ძველი სასაფლაოები იყო, აცხადებს იმის გამო, რომ 1573 წელს ოსმალეთის მიერ შედგენილი არტაანის მხარის აღწერის დავთარში მოხსენებულია „სოფ. *დუღუნა*, *გულბერთი*, *ური*, და *ბერქუხათუნი*. ეს სოფლები აღნიშნულ სახელებს დღესაც ატარებენ, მაგრამ ნახსენებ დავთარში სოფელი ოლჩექი არ გვხვდება“¹⁵⁹.

მართალია, ეს სოფელი 1573 წლის არტაანის აღწერის დავთარში *ოლჩექად* არ მოიხსენიება, მაგრამ გვხვდება იგი სხვა ფორმით, კერძოდ, მას ჰქვია *ორჯუქა* თანამიმდევრობა ასეთია: *ორჯუქა*, *ყიზილქლოსა*, *ქლოვანა*, *საფიქლოსა*, *დუღუნა*, *გულბერთი*, *ველი*...¹⁶⁰. ჩამოთვლილ სოფელთაგან ყველამ მოაღწია დღევანდელამდე, ზოგმა სოფლის, ზოგმა ნასოფლარის სახით. ასე რომ, *ორჯუქა* და *ოლჩექი* ერთი და იგივე ობიექტის სახელია, ერთი მე-16 საუკუნეში, ხოლო მეორე XIX-XX საუკუნეებში.

არტაანის აღწერის დავთრის შემდეგ ოსმალეთმა შეადგინა მეორე — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელშიც ამავე ადგილზე აღწერილია სოფელი *ორჩოკი*, რის შესახებაც

¹⁵⁸ გ. ახელეიანი, დიალექტთა შერევის საკითხისათვის, *საქ. სსრ აკად. მოამბე*, ტ. VII, №9-10, თბ., 1948, გვ. 636.

¹⁵⁹ M. Doğru, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 45.

დავთრის გამომცემელი ს. ჯიქია წერდა: „რუსულ რუკებზე, აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში, ამ სოფლის სახელად — Олшчак-ი წერია. ერთ სტატისტიკურ კრებულში კი ამ სოფლის სახელი სამ ვარიანტშია მოცემული და სამივე განსხვავებულია Олшчак-ისაგან: Олшчак. Олшчек. Елшчек“ აქ წარმოდგენილ ვარიანტთაგან ყველაზე სწორი მანც ჩვენი „დავთრის“ *ორჩეკი* უნდა იყოს. ამ მხარეში ცნობილია *ორჯოზის* მთა და ამავე სახელით გეოგრაფიული პუნქტებიც¹⁶¹.

ს. ჯიქია იძლევა ორჯოზიდან ორჩოკი|ორჩოქი („დავთარი“) და აქედან ოლჩეკის მიიღების დამაჯერებელ ახსნას. ეს ახსნა იმიტაც არის მნიშვნელოვანი და სწორი, რომ სოფლის მდებარეობა გარკვეულია, უცვლელია მე-16 საუკუნიდან დღემდე, რომ *ორჩოკად* აღწერს მას ოსმალთა მოხელე, *ოლჩაკად* მოიხსენიებდნენ მას სხვადასხვა ვარიანტით მე-19 საუკუნის რუსი მოხელეები და *ოლჩეკს* უწოდებენ დღეს თურქები.

ხოლო 1573 წლის არტაანის აღწერის დავთარში მოხსენიებული ფორმა *ორჯუქი*, უფრო სწორია და ახლოს დგას ქართულ *ორჯოზთან*, ვიდრე სხვა ყველა დანარჩენი, რომ 1855 წელს ახალციხელმა ლტოლვილებმა სცადეს სოფლის სახელის ჩატანილი ვარიანტით (გარგუსუბანი|გერგუსუბანი) შეცვლა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებით და, რომ ოლჩეკი შერქმეული არ არის მე-19 საუკუნის შუა წლებში.

1595 წელს *ოლჩექი* (<ორჩოკი <ორჯუქი <ორჯოზი) ცხოვრობდა 49 კომლი, 1878 წელს 14 კომლი, ხოლო 1889 წელს —39. „დიდი დავთრის“ დროს აღწერილია ოჯახის თავკაცებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია: გოგინა მირზას ძე, ნათენა, ამირა, იოსებ, როსებ, ზურაბ, დოვლათიარ აკოფის ძე, მარქარ, მერაბ, მიკირტიჩ, ივანე, სორაზან, იოსებ მახარეს ძე, ებისონ, ზასელ დემეტრეს ძე, სულტანბეგ შალუმათის ძე, ლაშქარა მუხთარის ძე, სამსონ, იოსებ ამბროსის ძე, გაბრიელ მღვდელის შვილი, ნოშრევან, ხარება სიხარულის ძე, ფერისა, შერმადინ მომსარის ძე, სასო, მახარებელი მღვდლის შვილი, გოგინა ზურეკას ძე, გოგინა მანველის ძე, მანველ, ნურალი აღდგომელას ძე, ზასელა ჰაველეს ძე, შემაზა, ყუბად, როსაფ არაბის ძე, პაპუნა, მაზუნ მამისარის ძე, იორამა, გიორგი ბართლომეს ძე, ბერო, ნურალი

¹⁶¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 528.

იასას ძე, ამირა, ანდერმან დამიანეს ძე, გულისადებ, აბისონ კობალას ძე, საურმელ ელიას ძე, გულისადებ¹⁶².

ორჯოხი ეტიმოლოგიურად გამჭვიურვალეა. რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი. ასეთივე კომპოზიტია *ორძელი*, ხოლო ტოპონიმიაში მსგავსი წარმოებებისაა ამავე არეალის სოფელთა სახელები: *ორჯორა*, *ორხოფია*. *ორჯოხთან* ახლოსვე იყო სოფელი *ორი ეკლესია*¹⁶³, რომლის კომპოზიტად ჩამოყალიბება ბოლომდე არც არის მისული.

ამგვარად, არტაანის გუბერნიის სოფელ *ოლჩეჩის* სახელი არის *ორჯოხი*, რომელმაც არაქართულ გარემოში ცვლილება განიცადა, მაგრამ წყაროების საშუალებით შეგვიძლია მისი ისტორიისათვის თვალის გადვენება.

ოლჩეჩის სიახლოვეს დასახლებულია სოფლის სახელად *ბურდოსანი*, რომლის ფუძეც ბურდ - აიხსნება აგრეთვე მხოლოდ ქართულ ნიადგზე. კერძოდ, ეს ფუძე გვხვდება გვარში *ბურდულ-ო*, ასევე ცნობილია ბურდ-ი, მიძლეობაში და ბურდულ-ი. ბურდოსანში ბურდო არის საკუთარი სახელი (მდრ. ბურდო - ულენწავი ბზე¹⁶⁴). ხოლო, რაც შეეხება სახელის დანარჩენ ნაწილს, დაიშლება შემდეგნაირად: ბურდ-ო-ს-ა-ნ-ი. ასეთი წარმოება ამავე არიალში დასტურდება. კერძოდ, მეჰმედ დოღრუს ჩამოთვლილი აქვს 1573 წელს ჩატარებული არტაანის აღწერის დავთარში დასახლებული სოფლები, რომელთა შორისაა *ვარდოსანი*. ეს სოფელიც არტაანის სიახლოვეს იყო, მის ჩრდილოეთით.

ასევე ცნობილია ისტორიული სოფელი და მთა *ქურდოსანი* ახალციხის რაიონში.

ქართული ენისათვის ცნობილი წარმოებაა: ბურდ-ო, ვარდ-ო, ქურდ-ო და ა.შ. ყველა ის საკუთარი სახელი იყო ქართულ ონომასტიკონში, ღღეს ძირითადად მეტსახელებად გვხვდება და მათი გაგრძელება ბევრად შეიძლება. მომდევნო - ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. - ა არის სავრცობი, ხოლო - ნ მრავლობითობის ნიშანი. თითოეული სახელის მნიშვნელობა ასეთია: ბურდოსანი, ვარდოსანი, ქურდოსანი ებიანი მრავლობითით იქნება. *ბურდოსები*, *ვარდოსები*, *ქურდოსები*. ე. ი სიტყვა მიუთითებს ამ თუ იმ ნაკვეთის, მიწის, ჭალის, ყანის პიროვნების საკუთრებაზე. ასეთი წარმოება ქართულ ენასა და დიალექტში ღღესაც ცოცხალია.

¹⁶² ს. გიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 460-461.

¹⁶³ ს. გიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 507.

¹⁶⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, 1965, გვ. 125.

როგორც უკვე ითქვა, ბურდო - გამოყენებულია ქართული გვარის საწარმოებლად, ასევე ცნობილია გვარები, რომლებშიც ფუძელ გამოიყენება ვარდ-ო, და ქურდ-ო: ვარდიძე, ვარდიაშვილი, ვარდოსანიძე. ქურდაძე, ქურდოვანიძე, ქურდოსანიძე.

აღსანიშნავია, რომ ქურდოსანიძე და ვადროსანიძე ისევე იწარმოებოდა, როგორც გეოგრაფიული სახელი და ისიც შთამომავლობით კუთვნილებას აღნიშნავს.

აქვე გავამახვილებთ ყურადღებას სოფლის სახელზე *ბაროსმანი*, სადაც, ჩემი აზრით, მ - გაჩენილია ანალოგიის საფუძველზე. *ბარო* ასევე ქართული საკუთარი სახელია (შედარ. ხარაძე, ხარაიშვილი). ანალოგიას ხელი შეუწყო სოფელ ალიოსმანთან სიახლოვემ და სახელის შემადგენელ ნაწილად ოსმან - ოსმალურ სახელად წარმოდგენამ.

სოფ. ბურდოსანი დადასტურებულია *ბორდუსან*⁶⁵ ფორმითაც.

არტაანის აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის სოფელი დუდუნა. ეს სოფელი ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო მე-16 საუკუნეში არტაანის მხარეში. მასში ცხოვრობდა 69 კომლი. სოფელი მე-19 საუკუნეში ისე დაკნინდა, რომ საუკუნის ბოლოსათვის (1889) 4 კომლია მხოლოდ.

„ვინ იცის, მტკვარო, რას დუდუნებ,

ვისთვის რას იტყვი?!“ - წერდა ნ. ბარათაშვილი.

„ისმენს დუდუნსა მტკვრისასა..“ - ამბობს ა. წერეთელი.

სოფლის ამ სახელმა შემოგვინახა მშვენიერი ქართული სიტყვა, რომელიც მდინარის ენას, მდინარის ზმაურს აღნიშნავს.

მოვიყვანთ მეძმედ დოდრუს მიერ ჩამოთვლილ სოფლის სახელებს, რომლებიც დაფიქსირებულია 1573 წელს ჩატარებულ არტაანის აღწერის დავთარში. ამჯერად მხოლოდ ისეთ სახელებს მოვიყვანთ, რომლებიც აშკარად ქართულია: *ფირეკეთი* - ქართული *პირაქეთი*. ამ ტიპის სახელები, რომლებიც რელიეფთან და მხარეებთან არის დაკავშირებული ბევრი მოიპოვება საქართველოს ტოპონიმიაში. *სიძინდლია* - სიძინდს მესხურ დიალექტში *სიძინდლი|სიძინდრო* ერქვა. სიძინდლია მიღებულია სიძინდრიასაგან. *ზისქელისთავი* - არის წისქვილისთავი. წისქვილთან ბევრი ტოპონიმია დაკავშირებული. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში შეიძლება დავასახელოთ *წისქვილის ხევი*, რომელიც ამ ადგილზე აღწერილია „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“⁶⁶ და რომელიც

⁶⁵ M. Doğru, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

⁶⁶ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, III, გვ. 505.

ზოგიერთ შემდეგდროინდელ რუსულ წყაროებში მითითებულია უკვე თარგმნილი სახით. Дагирманкей¹⁶⁷ (წისქვილის სოფელი). ამ უკანასკნელს შემდეგ ჩამოსცილდა საზღვრული და მივიღეთ უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს დაგირმანი¹⁶⁸.

თორსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს დიდი ისტორია აქვთ, ამიტომ ამის შესახებ აღარ გავაგრძელებ. თორთან არის დაკავშირებული თორისხევი, რომელიც 1573 წელს სამი ყოფილა: პატარა, დიდი და შუა. ქურუქ თორისხევი, ბაუქ თორისხევი და ორთა თორისხევი¹⁶⁹. სამივე თორისხევი გვხვდება „დიდ დავთარში“ და იქვეა აღწერილი ცალკე თორა¹⁷⁰.

არტაანის დავთარში უფრო ძველი ფორმაა ფიქსირებული — თორისხევი, ხოლო რუკებზე და დიდ დავთარში გვხვდება „თოროს ხევი“

ხევ — გეოგრაფიულ ტერმინთან იმდენად ბევრი ტოპონიმია დაკავშირებული ისტორიულ და დღევანდელ საქართველოში, რომ ჩამოთვლა არცაა საჭირო. სოფლის სახელად არტაანის დავთარში დამოწმებულია ხევა¹⁷¹. ხევა აღწერილია დიდ დავთარშიც“ იგი 17 კომლიანი სოფელი იყო¹⁷².

ხევ კომპონენტი გამოიყოფა ჯარისხევში, რომლის მეორე სახელი ყოფილა ჯივარის ქვა¹⁷³. ჯარისხევი იგივე ჯვარის ხევია, როგორც ამას ამოწმებს „დიდი დავთარი“¹⁷⁴, ხოლო მისი მეორე სახელი ჯივარის ქვა გვაძლევს სოფლის სახელის ეტიმოლოგიის საშუალებას. ორივე სახელი შეერქვა ამ სოფელში აღმართული ქვაჯვარის გამო.

ქართული სახელია მღლისა¹⁷⁵.

—შენ კომპონენტიანი სახელები საქართველოში ძალიან ბევრია. ასეთივე ათობით ახაშენი ფიქსირდება როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე საქართველოში. ახაშენა არტაანის დავთარში ერთ შემთხვევაში¹⁷⁶ და იქვეა უფრო ძველი და ლიტერატურული

¹⁶⁷ იქვე, გვ. 506.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ M. Doğru, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

¹⁷⁰ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 510.

¹⁷¹ M. Doğru, დასახ. ნაშრომი.

¹⁷² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 516.

¹⁷³ M. Doğru, დასახ. ნაშრომი, იქვე.

¹⁷⁴ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 541.

¹⁷⁵ M. Doğru, იქვე.

¹⁷⁶ იქვე.

ვარიანტიც ახალშენი. ასევე გვხვდება *ღიქაშენი* (<ღიგაშენი), *მინდაშენი*, და *გოგაშენი*. ეს უკანასკნელები ადამიანის სახელებთანაა დაკავშირებული. მე-19 საუკუნის რუკებზე არის დაფიქსირებული *საჯარა* სოფლის სახელად, რომელშიც 1595 წელს 45 კომლი ცხოვრობდა და ერთი მათ შორის იყო მაჰმადიანი მუსტაფა ყაბდულ-ლაპისძე¹⁷⁷.

ამ სოფლის სახელის უფრო ძველი ვარიანტია და ფიქსირებული არტაანის დავთარში — *საჯარო*.

არტაანის დავთარში დამოწმებული *ჯინჯიროფი* არის *ჯინჯირობი*, რომელიც დიდ დავთარში ორი იყო — დიდი და პატარა¹⁷⁸. ეგევე *ჯინჯირობი* აღწერილი აქვს *ვახუშტი ბატონიშვილსაც*. *ჯინჯირობი* საქართველოში გავრცელებული ტოპონიმია, ბალახეულობასთან არის დაკავშირებული, გვხვდება როგორც მიკროტოპონიმიაში, ასევე მთების და სოფლების სახელად.

საინტერესო ძველი ოდენპრეფიქსული წარმოება არის დადასტურებული სახელში, რომელსაც *ნადარბაზი* ჰქვია. ასეთი ფორმები მესხურ დიალექტსა და ტოპონიმიაში პროდუქტიულია: ნასოფლი, ნასაყდრი და სხვ. ქართლში გვაქვს სოფლის სახელად *ნადარბაზევი*. სახელი დარბაზთან არის დაკავშირებული. მართალია ფუძე შემოსულია აღმოსავლური ენებიდან, მაგრამ შემოსულია ენაში და შემდეგ ქართველი კაცის მიერ არის შერქმეული. ქართული ენობრივი ნორმების მიხედვით.

არტაანის დავთარში მოხსენიებული *საბუჯარი* არის საბუჯარი¹⁷⁹, რომელიც რამდენიმე იყო — ზემო და ქვემო. სახელი ცხოველთან არის დაკავშირებული — *საბუჯარო*. ამ ტიპის წარმოება ამ მხარისათვის და საქართველოს ტოპონიმისათვის დამახასიათებელია. რუსულ რუკებზე ეს სახელი САБГАРА ფორმითაც გვხვდება. როგორც ჩანს, გვექონდა პარალელურად საბუჯარა ფორმაც (მდრ. ბუზი-საბუჯარა...).

მინდა მივუთითო, აგრეთვე, ცნობილ ეტიმოლოგიაზე *ჩილდირის ტბის* შესახებ. ზოგჯერ, მე-19 საუკუნის რუკებზე, ამ ტბის სახელად ჩაღღირის ტბაც გვხვდებოდა. ორივე შემთხვევაში ამოსავალია ქართული სიტყვა *ჩრდილი*.

ოსმალეთის აღწერის დავთრებში ესა თუ ის კუთხე იყოფოდა სხვადასხვა რაიონად. დარაიონება ძირითადად ხდებოდა რომელიმე

¹⁷⁷ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 446.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 523.

¹⁷⁹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 522-523.

გეოგრაფიული ან რელიეფური ნიშნის მიხედვით. მაგ.: ტყიანი ჯავახეთი, ტყიანი არტაანი, მზვარის რაიონი და ჩრდილის რაიონი ახალციხეში, არტაანში, ჯავახეთში და ა. შ.

„სხვანაირი ვითარება გვაქვს, თუ მზვარისა და ჩრდილის მიხედვით მხარეთა განსაზღვრა ხდება ორ მთას შუა მდებარე პუნქტიდან. ვთქვათ, მაგალითად, ახალციხეს ორის მხრით აკრავს მაღალი ადგილი (ერთი მის ჩრდილოეთითაა, ხოლო მეორე — სამხრეთით). ჩრდილოეთის მთა (უფრო ზუსტად: ახალციხისათვის მზვარის მხარე იქნება, რადგანაც ეს მხარე მზიანია. სამხრეთის მთა (უფრო ზუსტად: ახალციხის სამხრეთით მდებარე მთის ჩრდილოეთი ფერდობები) ახალციხისათვის იქნება ჩრდილის მხარე, რადგანაც მას მზე არ ხვდება. მართლაც, „დავთრის“ მიხედვით ახალციხის ლივის მზვარის რაიონი მზიანი რაიონია, ახალციხის ჩრდილოეთით მდებარე (სოფლები: წყრუთი, ტატანისი, ანი, მიქელწმინდა, კლდე, სვირი და სხვ.), ხოლო ჩრდილის რაიონი ახალციხის სამხრეთითაა (სოფლები: ვალე სხვილისი, ორალი, პამაჯი და სხვ.)“¹⁸⁰.

ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებად ასეთ ხშირ დაყოფას, ჩვენი აზრით, ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. მოსავლიანობის თვალსაზრისით იყო მათ შორის განსხვავება.

ჩრდილ სიტყვა ქართულში აღნიშნავს ჩრდილიანს, ჩრდილოეთს. თანხმოვნებს შორის ხმოვნის გაჩენა თურქულ ნიადაგზეა ახსნილი.

„ჩრდილ“ სიტყვას თურქობის დროს შემდეგი საესებით კანონზომიერი ტრანსფორმაცია განუცლია: თურქულისათვის უჩვეულო თავკიდური სამი თანხმოვნის თავყრილობა თავიდან აცილებულია ვიწრო ხმოვნის ჩართვით (ჩირდილ); მომხდარა დისტანციური მეტათეზისი რ-სა და ლ-სი (ჩილდირ), რითაც მიღებულია თურქულისათვის ჩვეულებრივი ბგერათა კომპლექსი“¹⁸¹.

ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ ხმოვნის ჩართვა ქართულ დიალექტებსაც ახასიათებს, ოღონდ მეტათეზისის გარეშე. ჩრდილი ქართული დიალექტებისათვის ჩვეულებრივი ფორმაა.

ჩამოვთვლით არტაანის დაუთარში დამოწმებულ სხვა ქართულ ტოპონიმებს, რომელნიც თითქმის სახეშეუცვლელად არის წარმოდგენილი: *ველი, ქაქაბე* (<კიკიბო), *ფიქლოფი* (<ფიქლობი),

¹⁸⁰ ს. ჯიქია. სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, სტალინის სახელობის თსუ შრომები, XI, თბ., 1950, გვ. 191.

¹⁸¹ ს. ჯიქია. დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

ჯიქურეთი, მერიები (<მერიე-ბი), მარუკეთი, (<მარკეთი) საბუთხი (<სამოთხე), ოქრუქოთანი (<ოქროქოთანი), ხევისკარი, დევისკარი და სხვა.

მიუვითიებთ, აგრეთვე, სულ ახალ ცვლილებებზე, რომელიც მოხდა ამ რევიონში და ძველი ქართული სახელები შეიცვალა ახლით. ძველას ახალი სახელია *თურქ გიოზ, ჭილოვანი|ჭილოვანა-ებინ ბეი, ზენდარი - ჯამაუშ ქვაქ, ყელის ციხე-ყელიყაია, საულღია-ასმა ქონაქი, ჰაპოლა - არმუდვერენი, ჭუანთელი-ინჯუ-დერე, გერგისუბანი-ტასქერანი, შუაწყალი - გენულაჩარი, ხერთვისი-სარინჩაგი, ლამბანი-ამლა ალთა, შურღაული-ქაინლი, სუსბაბი (წურწყაბი)-აშულ ზულელი, აგარა-ქალე ონუ, მანარხევი-გაუნდათა, ოხტულა-ჩამაზი, ჭანჭახი-სავაშირიე, არილა-სენგულა, და მრავალი სხვა.*

სახელთა გადარქმევამ კიდევ უფრო გააბუნდოვნა არტაანის სოფელთა ისტორია. გაბუნდოვნება განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც ცვლილებები ადმინისტრაციულია, ბუნებრიობის შემთხვევაში რჩება ძველის რაღაც ნაწილი. ძირითადად ითარგმნება ან ახალი ენობრივი ნორმებით ხდება ძველი ფუძის გაფორმება. ამის მაგალითია ყელიყაია. ითარგმნა მხოლოდ მეორე ნაწილი კომპოზიციისა, რადგან აქ მხოლოდ ციხეა, დასახლება არ არის და ცვლილებაც ბუნებრივად მოხდა.

§ 4. მიკროტოპონიმებში შემორჩენილი ქართული სახელები

ტოპონიმთა კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მონაწილეობას, რადგან ადგილის ისტორიული და დღევანდელი სახელები ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკასთან თუ პოლიტიკურ კონიუქტურასთან, ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეცნიერთა ინტერესი ადგილის სახელთა შესწავლის საქმეში. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება მიკროტოპონიმას, რადგან თუ გლობალური ცვლილებები არ მოხდა, მაკროტოპონიმები, კერძოდ *ორონიმები*, უფრო მეტად ხდება „პოლიტიკური დარტყმის“ ქვეშ, ვიდრე მიკროტოპონიმები. „დეკრეტებით“, ზემოდან მითითებებით, შეიძლება, შეცვალო სოფლის, ქალაქის, მსხვილი ობიექტების სახელები, მაგრამ

მიკროტოპონიშია უცვლელი რჩება, რადგან იგი მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური მოხმარების სფეროს განეკუთვნება.

თურქეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომლის ბატონი *ქაბა სარიშვილის* სახელზე გამოგზავნილი ადგილის სახელთა ჩამონათვალი, რომლის ბოლოში მითითებული იყო გამოგზავნის ვინაობა და მისამართი, მოგვაწოდა ბატონმა *ზურაბ გამეზარდაშვილმა*. ადგილის სახელთა ჩამონათვალს არ ახლდა ინფორმაცია მათი ადგილმებარეობისა და იმის შესახებ, თუ რის სახელებთან გვეკონდა საქმე. ამისათვის ბატონი *როინ ყავრელიშვილის* საშუალებით დაუკავშირდით ჩამონათვალის ხელისმომწერს ბატონ *მთაბათ კესკინს*, ვისგანაც შევიტყვეთ, რომ ტოპონიმები ველმინდვრების სახელებია და მდებარეობს *იუსუფელის* და *ართვინის* მიდამოებში, სადაც ძველი *ტაოსკარი* და *ფანასკერტი* იყო. ნათელი გახდა, რომ საქმე გვეკონდა მიკროტოპონიშიასთან, რის გამოც მისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა.

ქართველებით დასახლებული იყო მთელი ისტორიის მანძილზე ეს მხარე და ბუნებრივია, ბევრი ქართული სახელი შეერქვა ქართველი კაცის მიერ. ჩვენებდნენ მოღწეულია ძირითადად მსხვილი ობიექტების სახელები, რადგან მიკროტოპონიშია მაშინდელ ისტორიკოსებს თუ შემატიანეებს არ აინტერესებდათ, თუ რომელიმე სახელთან რაიმე კონკრეტული ფაქტი არ იქნებოდა დაკავშირებული.

თავად *ტაოს კარი* ქართული სახელია. ამჯერად არაფერს ვიტყვით კომპოზიციის პირველი ნაწილის *ტაოს* შესახებ, რაც შეეხება *კარს*, ამ შემადგენლიან სახელებზე უკვე მიუთითა *ტაოსკარის გარშემოვე ექ. თაყაიშვილმა*, რაც არ არის მხოლოდ *ტაოსკარისათვის* და ტაო-კლარჯეთისათვის დამახასიათებელი. ასეთი — *კარ* შემადგენელიანი სახელები მთელ საქართველოში გვხვდება და იგი, ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ქვეყნის შესავალ ვიწრო კარზე მიუთითებს, ანდა ვიწრო გასასვლელზე, *კლდეკარზე*. ისტორიული თრიალეთის *კლდეკარს* რომ დავანებოთ თავი, *კლდეკარებით* მოფენილია მთელი საქართველო. იქ, სადაც კლდე გაიჭრა და გზა გავიდა, ყველა *კლდეკარია* ასეთია, მაგალითად, თმოგვსა და ვარძიას შორის გამავალ გზაზე. ამასთან ერთად შეიძლება დავასახელოთ *ტმისკარი*, *ზეკარი*, რომელიც უღელტეხილზე მიუთითებს და მრავალი სხვა.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული ტოპონიმების რიცხვი გაცილებით მეტი იყო. ყარსის ოლქის ოლთისის უბანშიც კი ჯერ კიდევ არსებობდა ქართული ტოპონიმები: „*აკჭალა*, *ლიბო ორი*, *ორისი*, *ენისეთი*, *ურეკი*, *საკურეთი* და სხვა. არტაანის უბანში იყო

სოფლები: *თორისხევი, ხევა, ვარდოსანი, ჩიკორა, მაჩვეთი, აბაშენი, ორუშეთი, ზაშურეთი* და სხვა. ართვინის უბანში: *ბერთა, წყალთეთრი, დოლისყანა, აბალდაბა, გურჯანი, კვარცხანა, აგარა, მოსულთი, წრია, ომანა, დამპლა, კორიდეთი, ჩხალეთი* და სხვა. არტანუჯის უბანში: *უნუსხევი, ხორაული, ხემოგრეთი, ბროშეთი, სამწყარო, ანჩი, ბიჭა, ზღარა, კლარჯეთი, სახრე, ვარცხელი, ლონგოთხევი, ხერთვისი* და ა.შ.¹⁸².

შემდეგ მოსახლეობა გაიფანტა მთელი თურქეთის ტერიტორიაზე, მაგრამ „ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი მაინც ცხოვრობს მამა-პაპისეულ მიწაზე, ძირითადად ჭოროხის (ართვინის) ვილაიეთში, სადაც სოფლების სახელებიც კვლავინდებურად ქართულია (*ბორჩხა, შვეთი, არტანუჯი, ხოფა, მარადიდი, მაჭახელი* და სხვა). რესპუბლიკურ თურქეთში სცადეს, ამ სოფლებისათვის შეეცვალათ სახელები და, მაგალითად, *ბორჩხის იენიოლი* დაერქვა, *არტანუჯს-ადაკალე, მარადიდს-შურათლი* და ა.შ. მაგრამ ეს სახელები არ დამკვიდრდა“¹⁸³.

ამგვარად, მოსალოდნელია, რომ, ძველი ქართული ქალაქების ფანასკერტისა და ტაოსკარის მიდამოებში მიკროტოპონიმია ქართულიც უნდა ყოფილიყო.

3. ცხადია — *კარ* შემადგენლიან ტოპონიმებს ისეთ რიგში აყენებს, „რომლებიც სწორედ დასახლების სახეობაზე მიუთითებენ“ (ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, კარი). საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფით 68 სოფლის სახელში გამოიყოფა — *კარი* და ქვეყნის შესავლის, კლდეკარის და ა.შ. გარდა — *კარ* ინდიკატორიანი რთული ტოპონიმის პირველ კომპონენტს ხშირად წარმოადგენს ეკლესიის ან წმინდანის (ხატის) სახელი“¹⁸⁴.

ბატონმა *მითჰათ კესკინმა* სულ მოგვაწოდა 87 ტოპონიმი, რომლებიც მრავალი მიზეზის გამო, საკმაო საბუშაოს მოითხოვს იმისათვის, რომ თითოეულის წარმომავლობა გაირკვეს და სწორი ეტიმოლოგიისა თუ ეტიოლოგიის გზას დავადგეთ. პირველ რიგში დგას ტრანსკრიფციის პრობლემა. თურქული და ქართული ენები თავისი ფონეტიკური შესაძლებლობებით განსხვავებული ენებია, ამიტომ თითოეული ცდილობს მისთვის არასასურველი ფონეტი-

¹⁸² რ. გაჩეჩილაძე, ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში, კრებული მიმოხილველი, 6-9, თბ., 1972, გვ. 535.

¹⁸³ იქვე, გვ. 534-535.

¹⁸⁴ პ. ცხადია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2001, გვ. 155.

კური სიტუაციის დაძლევა. ქართული ანუ კავკასიური სპეციფიკური თანხმონები გადმოცემულია თურქული თანხმონებით.

გადაწვევით, ერთი შეხედვითვე, ნამდვილი ქართული სახელები გამოძერძია და მათზე დაყრდნობით მოხერხებულიყო დანარჩენ სახელთა ახსნა. ასეთები აღმოჩნდა შემდეგი: *თელა* (Tela), *ფოსო* (Poso), *კაპანი* (Kapan), *კაჯიანი* (Gajian), *ნარგიშეთი* (Nargiset) და სხვა.

თელები, *თელიანი* ბევრი ადგილის სახელად გვხვდება საქართველოში, მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ ყოველგვარი გაფორმების, მაწარმოებლის გარეშე ეწოდოს ადგილს ხის რომელიმე ჯიშის წარმომადგენლის სახელი. ამ შემთხვევაში *თელა*? ნამდვილად შეიძლება. საქართველოში გვხვდება ასეთი შემთხვევები, მით უმეტეს, როდესაც რომელიმე სახელი მოექცევა სხვაენოვან გარემოში.

თელა ყოველგვარი გაფორმების გარეშე სოფელს ჰქვია მარტვილის (ცხაკიას) რაიონში, ხოლო *თელაჯი* ქალაქია კახეთში, *თელივანი* სოფელს ჰქვია გარდაბნის რაიონში, *თერნალი*, რომელიც სოფლებს ჰქვია ხულოსა და წყალტუბოს რაიონებში, მიღებულია *თელნარისაგან* ბგერათა გადასმის შედეგად.

თურქულად მას კარააჯა (CI) ლ-ს უწოდებენ. ეს სიტყვა შესულია ლაზურში და *კარააჯაჯი* ან *კადააჯი* ჰქვია.

მხოლოდ ხის, მცენარის სახელი რომ ერქმევა ადგილს, ამის ტრადიციული და ძველი მაგალითია აგრეთვე *სოჭი*, დღეს უკვე სამხრეთ რუსეთის საკურორტო ქალაქი, რომლის ორთოგრაფიული სწორი ფორმა არის СОЧИ და არა *სოჩა*, როგორც ამას დაჟინებით ცდილობს დღეს რომ დაამკვიდროს ქართულმა მასმედია.

სოჭის (*Abies*) მრავალი სახეობაა ცნობილი: ალჟირული, ამურისა, ბალზამისა, ბერძნული, ევროპული, ერთფეროვანი, ესპანური, თეთრქურქა, იაპონური, კავკასიური, კამჩატკური, ქილიკიური, ციმბირული და სხვა...¹⁸⁵ როგორც ჩანს, სოჭი გავრცელებული მცენარეა, იგი იქცა ადგილის, დასახლებული პუნქტის და დღეს უკვე ქალაქის სახელად.

ამგვარად, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ტაოსკარფანასკერტის მიდამოებში *თელა* დარქმეოდა ადგილს სახელად. სულ არ არის აუცილებელი ადგილზე, რომელსაც *თელა* ჰქვია, იდგეს თელა, ან იყოს თელების ტყე. ეს სახელი შეიძლება ერქვას მინდორს ან ისეთ ტყეს თუ ბაღს, სადაც დღეისათვის ეს მცენარე

¹⁸⁵ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 64.

აღარ არის, მაგრამ იყო ოდესღაც. ასეთი შემთხვევები ქართულ ტოპონიმიაში ბევრია და ამის შესახებ აღარ გაუაგრძელებ. მით უმეტეს, რომ შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში თელა სიტყვიდან მიღებული გვაქვს ადგილის სახელები: თელაწყარო (წყარო, სოფ. უბე), თელეგური (სათიბი, სოფ. დაბაწვრილი), ასევე თელა უნდა იყოს კომპოზიციის პირველ წევრად თელაძოლაში (საძოვარი, სოფ. ვენთა) და სახელში თელალი (ტყე, სოფ. სოფორო)¹⁸⁶.

ფოსო - ეს სიტყვა თავისი ვარიანტებით: ფოსეი, ფოს განმარტებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს და ნიშნავს: „მცირე დაღრმავებული, დაღრმავებული ადგილი“¹⁸⁷. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვას ოდნავ განსხვავებულად განმარტავს: „მცირედ ჩაღრმავებული ადგილი-ღრმული“¹⁸⁸. მასგან არის წარმოქმნილი სიტყვა ფოსოიანი. „რასაც ფოსო აქვს, სადაც ფოსოა“¹⁸⁹.

ასეთი მცირედ ჩაღრმავებული ადგილები ბევრია და ბუნერიცა, იგი რელიეფის ან რელიეფისათვის დამახასიათებელი ფოსოიანი ადგილის ამსახველად შეერქმეოდა სახელად. დავასახელებთ რამდენიმეს: ფოსუა - ადგილი, საჩაიე ჭანჭათში (გურიაში)¹⁹⁰. ქართლში, კერძოდ მცხეთის რაიონში: ფოსოები-საძოვარი არაგვის ნაპირას, მცხეთის აღმოსავლეთით, ზედაზნის დაბლა¹⁹¹ ფოსოების ზევი, ზევი არაგვის მარცხენა მხარეს, მცხეთის აღმოსავლეთით¹⁹².

ამჟამად, რომ ფოსო ადგილის სახელად ვრცელდება მთელ საქართველოში, მათ შორის პოპულარული იყო ეს სახელი ტაოკლარჯეთში, კერძოდ ჯავახეთ-არტაანის ტერიტორიაზე და მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XV-XVI საუკუნეების „ქრონიკები“. „მიუკლით ფოსოს, სახლი დავწუთ და ამოვსწყუდიეთ“¹⁹³ „მერმე ჩაუდგეთ, ფოსო ამოვსწყუდეთ და მასთან ელჩი გავგზავნეთ. უკმოვბრუნდით, სამცხეს წამოვედით“¹⁹⁴.

ფოსოს დაბეღებული აქვს გადაწვა და დარბევა, კიდევ ერთი მაგალითი: „გავბრუნდით, ურთის ციხე-საყდარი წავართუთ, კოკო-

¹⁸⁶ ნ. ცაცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, თბ., 2000, გვ. 183.

¹⁸⁷ ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, IV, თბ., 1966, გვ. 197.

¹⁸⁸ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, 1962, გვ. 155.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ ალ. ლლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, თბ., 1993, გვ. 172.

¹⁹¹ ალ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 68

¹⁹² იქვე.

¹⁹³ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961, გვ. 44.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 45.

ლას კერძად იყო, და ციხე დავაქციეთ, სიმაგრე, რაც იყო, დავწუთ, საყდარი გაუშვით, ფოსო მოვარბიეთ და ელჩი გაუშვით ყაენთანა, მოვბრუნდით, მგელციხეს მოვედით¹⁹⁵.

ფოსოს მტკერის პირზე აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი და მას ჩუღურეთსაც უწოდებს: „ამავე წყალზედ არს ფოსო ანუ ჩუღურეთი. ამ ფოსოს აქუს აღმოსავლეთით მთა ნიალის-ყურისა, სამკრით მთა ყარსისა, დასავლეთით მთა არტაანისა და მათ შორისი, ჩრდილოთ მთა ნიალის-ყურისავე, წყაროსთავის სამკრით, რომელსა გასჭრის წყალი ფოსოსი. და არის ეს ფოსო უკენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოველთა მოსავლითა, პირუტყვით და კაცით“¹⁹⁶.

ვახუშტი ბატონიშვილთან წინა საუკუნეებში გადამწვარი და დარბეული ფოსო გაძლიერებულია და იგი მიკროქვეყნის აღმნიშვნელ ტერმინდაც ქცეულა იმდენად, რომ წყაროსთავის მისათითებლად, მას როგორც ფოსოს წყაროსთავს, ისე იხსენებს ვახუშტი და ამით ჯავახეთის სამხრეთის საზღვარს აზუსტებს: ჯავახეთს ესაზღვრება სამხრეთიდან ნიალის-ყურის მთა ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე „და არს მთა ესე სრულად უტყეო... ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკურამდე — ტყიანი“¹⁹⁷.

ცნობილია, აგრეთვე, ფოსოს მთა და ფოსოს წყალი¹⁹⁸.

კაპანი სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია როგორც „ქა ლოჯი“¹⁹⁹. მესხურ დიალექტში იგი აღნიშნავს კლდოვან-ლორღიან ნიადაგს, ქარაფს, კლდოვან გზას²⁰⁰.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბევრია ამ სიტყვით სახელდებული ადგილი. თმოგვიდან ვარძიისაკენ მიმავალ გზას ნათუნაძე კაპანი ანუ კაპნის გზა ჰქვია. ბერ სოფელში გვაქვს კაპნები. ასევე ქართლში²⁰¹ კაპნარი, კაპნარის ღელე, კაპნარის წყარო²⁰². ერთი შეხედვით მოულოდნელია მცენარეული საფარისათვის დამახა-

¹⁹⁵ იქვე, გვ. 46.

¹⁹⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა საჩინოთა ადგილებითა სამცხე-საათაბაგო. ქ ც ა. ტ. IV. თბ., 1973,

გვ. 670.

¹⁹⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 671

¹⁹⁸ იქვე, გვ. 669, 674.

¹⁹⁹ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

²⁰⁰ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონტმა, თბ., I-1974, II-1975.

²⁰¹ ალ. ლლონტი, ფრონეების ხეობის ტოპონიმია, თბ., 1988, გვ. 51.

²⁰² იქვე.

სიათებელი -ნარ სუფიქსით გაფორმება კაპ-ფუძისა, მაგრამ ასეთი რამ ჩვეულებრივია, ტოპონიმიში ხშირად გვხვდება, მაგ.: ქვანარი.

შოთა რუსთველი ხმარობს ამ სიტყვას. ხატაელთა უკადრი პას-უხით აღშფოთებული ტარიელი ამბობს:

„უებრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია,
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი, მოკრებს ინდოთა სპანია,
შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკენ მონასპანია
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანა“²⁰³.

კაპანა გვხვდება აბაშის რაიონში²⁰⁴. ახალციხიდან სხვილისამდე მისასვლელი გზა გადის სწორედ კაპანზე. მართალია დღეს ეს სიტყვა არავის ახსოვს და არც არავინ იცის თუ ამ ადგილს კაპანი ერქვა, მაგრამ ხალხურმა ლექსმა შემოგვინახა:

„ეს სიტყვები მაშინ მოსტქვა, ტკბილის სულის ამოსვლისა,
წამიღეთ, აი, იქ დამმარხეთ სხვილისის კლდის კაპანის გზას“²⁰⁵.

კაპანი დღესაც ცოცხალი სიტყვა უნდა იყოს ტაო-კლაერ-ჯეთში, ყოველ შემთხვევაში იმერხევეში პროდუქტიულია ტოპონიმი-იაში. კაპანთაჲი სათიბის სახელია ბაზვირეთში, ხოლო კაპანი სა-თიბს ჰქვია ზოხლევში, ზან-თუმეთში და იფხველში.

კაჟიანი უნდა იყოს ამოსავალი Gajayan-ში ქართული მკვეთრი თურქულ გარემოში მჟღერდება, ამიტომ კ-ს უნდა მოეცა გ.

კაჟი - „ტალი, საღრტილი, ცეცხლის ქვა“²⁰⁶. დღეს ცეცხლის მოკიდება და ცეცხლის გაჩენა ადვილია, მაგრამ იყო დრო, როდესაც ცეცხლის დანთება მთელ რიტუალთან იყო დაკავშირებული. წმინდა საქმედ ითვლებოდა, ოჯახში ცეცხლის შენახვა გარკვეულ ცოდნასთან და გამოცდილებასთან იყო დაკავშირებული. ტალი ანუ კაჟი იმ ჯიშის ქვა იყო, რომელიც ცეცხლის დასანთებად იხმარებოდა. დღეისათვის ასეთი საჭიროება აღარ არის, მაგრამ ადგილის სახელმა შემოგვინახა ამ ტრადიციასთან დაკავშირებული სიტყვა. მინდორს, სადაც კაჟი მოიპოვებოდა, კაჟიანი ერქვა. მაგალითად ქართლში, სოფელ ცივწყაროში სერს ერქვა კაჟიანი²⁰⁷. გურიაში, სოფელ შრომაში დღეს ერქვა კაჟისღელე²⁰⁸. აქვე იყო სა-

²⁰³ შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1992, გვ. 93.

²⁰⁴ აღ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1971, გვ. 64

²⁰⁵ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, IV, თბ., 1913, გვ. 70.

²⁰⁶ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

²⁰⁷ აღ. ღლონტი, ფრონების ხეობის ტოპონომია, თბ., 1988, გვ. 51.

²⁰⁸ აღ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, თბ., გვ. 99.

კაჟია²⁰⁹. საკაჟია ერქვა აგრეთვე სათიბებს იმერეთში გომსა და ჭიორში²¹⁰. აფხაზეთში გვაქვს კაჟაშულე²¹¹. რაც კაჟიან ღელეს ნიშნავს. ჩამოთვლილ სახელთაგან ამოსავალი ყველგან არის კაჟი, რომელიც სხვადასხვა აფიქსის საშუალებით არის ნაწარმოები: კაჟიან-ი, კაჟის ღელე, კაჟამ ღალი, სა-კაჟია და ა.შ.

ჭალა. ქართული ჭ თურქულ გარემოში გადმოიცემოდა ჯ (C) ბგერით. ჭალა ქართულ გეოგრაფიულ სახელებში ძალიან პროდუქტიულია. ს.ს. ორბელიანის მიხედვით ჭალა არის „წყლის პირი ნაყოფიერი“²¹². მდინარის პირას ჭალა შეიძლება იყოს ტყიანი, უტყეო²¹³. ჭალა შედის კომპოზიტიის ჭალა-მინდორი შემადგენლობაში. მისგან არის ნაწარმოები სიტყვა ჭალაკი. მარტო აღმინის-ტრაკიული დაყოფის მიხედვით საქართველოში ექვს სოფელს ჰქვია სახელად ჭალა გურიამი, აჭარაში, აფხაზეთში, იმერეთსა და რაჭაში, ოზურგეთის, გულრიფშის, შუახევის, ლანჩხუთის, საჩხერის და ონის რაიონებში. ასევე მთელ საქართველოშია გაერთილებული სოფლის კომპოზიტიური სახელები, რომელებიც თავის შემადგენლობაში შეიცავენ ჭალა კომპონენტს. მათ ჩამოვთვლი რაიონების მითითებების გარეშე: ჭალისთავი, ჭალატყე, ჭალაბებლა, ჭალე, ჭალოვანი, ჭალისოფლო, ჭალაუბანი და სხვა.

თავს შევიკავებ მაგალითების მოყვანისაგან მიკროტოპონიმიიდან, რადგან ეს ძალზე შორს წაგვიყვანს. მხოლოდ მოვიყვან მაგალითებს ტაო-კლარჯეთის ტოპონიმიიდან, კერძოდ იმერხევიდან: ჭალა-ვენახი სათესი საძოვარი (სოფ. დასამობი) ჭალათ, სათესი სოფლებში: ვერხენალი და კუჭენი: ჭალათი, საძოვარი, სათიბი უბესა და ქოთეთრისში. ჭალები, სათიბი, სვირეუანი, ჭალაკათი, ჭალაპირი ჭალათქოფრუსუ, ჭლა-ყანა, ჭალა-ჭალათ, ჭალე²¹⁴.

ოფო- ს.ს. ორბელიანი განმარტავს: მცირე საგუბარი წყალთა“: „მცირე გუბია, ბოსტნის სარწყავი თეფშითა“²¹⁵. ასეთი სახელები ადგილს ერქმეოდა.

სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ოფოები მინდვრის სახელად. სამტრედიის რაიონში გვაქვს დიდი ოფეთი, პატარა ოფეთი, ნაწი-

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელები, თბ., 2003, გვ. 113.

²¹¹ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1971, გვ. 65.

²¹² ს.ს. ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 396.

²¹³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 1222.

²¹⁴ ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმი, თბ., 2000, გვ. 234.

²¹⁵ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 611.

ლოფეთი და ოფეთი. ამ შემთხვევაში მეორე ო დაკარგულია, რასაც ადასტურებს დიდ ოფეთში ადგილის სახელი *ოფოურა*²¹⁶ აქ რომ — ო დაკარგული არ ყოფილიყო *ოფეთის* შემთხვევაში, მისგან ნაწარმოები სახელი გვექნებოდა *ოფურა* და არა *ოფოურა*.

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში გვაქვს სახელად *ოფუები* სოფელ მარხატეთში²¹⁷. აქ იგივე ოფოებია, ოღონდ მცირე ფონეტიკური ცვლილებით. ასეთი ნაწილობრივი ასიმილაცია დამახასიათებელია ისტორიული მესხური დიალექტისათვის. *გოგო* > *გოგუები*, *გოდო* > *გოტუები* და სხვა.

ამ ტიპის სახელები, რომლებიც რელიეფის ფორმას ან წყალს უკავშირდება (ტბა, ხევი, ღელე, ტობა, ფოსო და სხვა.) შეიძლება შეგვხვდეს ტოპონიმურმოებლის გარეშეც.

ველისგორე (Velisagore) ეს სახელიც კომპოზიტური უნდა იყოს. *ველისგორას*, *ველის* მთას ნიშნავს. ამ ტიპის წარმოება ქართულ ტოპონიმიში ათასობით მოიპოვება. მისათითებელია მხოლოდ, რომ ველიც და გორაც გეოგრაფიული ტერმინებია. ერთი შეხედვით მოულოდნელია ერთმანეთის ანტიპოდი ტერმინების „ველი“ დაბლობი, სწორი ადგილი და გორა — მთა, მაგრამ ეს ვერ იქნება ხელის შემშლელი, რადგან *ველი* თუ იქნება ცალკე ტოპონიმი, მაშინ, ასეთ კომპოზიტს არავითარი წინააღმდეგობა არ ახლავს. ველი არა მარტო ცალკე სახელია, ის ცნობილი ტოპონიმიც იყო ტაო-კლარჯეთში.

მტკვრის სათავეებში იყო ცნობილი სოფელი *ველი*, რომლის მოსახლეობაც მე-19 საუკუნეში გადმოსახლდა საქართველოში²¹⁸. ასევე სოფლის სახელია *ველი* დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, გაგრისა და გულრიფშის რაიონებში. ასევე მთელი საქართველოს ტერიტორიაზეა ტოპონიმები, რომლის სახელდებაში მონაწილეობს *ველი*: *ველეები* (ზნაურის რ-ნი), *ველები* (საჩხერის, გორის რაიონები) *ველევი* (ამბროლაურის რაიონი). ასევე მართულმსაზღვრელიანი სახელებია: *ველისპირი* (დმანისის რაიონი) *ველისციხე* (გურჯაანისა და ქარელის რაიონები) და სხვა.

საზღვრულდაკარგული მსაზღვრულის სახით შემოგვრჩა ახალგორის რაიონში სოფლის სახელი *ველისა*.

²¹⁶ ალ ლლონტი, სუფსა ნატანების ხეობები, თბ., გვ. 146.

²¹⁷ დასახელებული ნაშრომი, გვ. 203.

²¹⁸ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, IV. თბ., გვ. 531.

მე-19 საუკუნის ბოლოს დასტურდება ტაო-კლარჯეთში ტბეთ-სათლელის მიდამოებში ადგილის სახელად *ველთა*²¹⁹, რომელიც ასევე საზღვრულდაკარგული მსაზღვრელია, ოღონდ მრავლობით რიცხვში.

ველი პროდუქტიულია შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში დღესაც. იგი გვხვდება დიალექტური სახით, მესხურ ისტორიულ და თანამედროვე დიალექტს რომ ახასიათებს, ფუძეს სახელობით ბრუნვის ნიშნის ნაცვლად დაერთვის —ა, რომელიც შეიძლება იყოს კნონობითობის მაჩვენებელიც, პატარა ველის მნიშვნელობით, შეიძლება მას ტოპომაწარმოებლის ფუნქციაც ჰქონდეს. ასეთია *ველა* საძოვრისა და სათიბის სახელებად სოფლებში *წყალისმერსა* და *წეთი-ლეთში*²²⁰.

სამწუხაროდ დღეს მე არ შემიძლია ლოკალიზება ნ. ცეცხლაძის მიერ ჩაწერილი საძოვრის სახელისა *ველთ*, თორემ შეიძლება სწორედ იგი იყოს ნ. მარის მიერ მე-19 საუკუნის ბოლოს დამოწმებული *ველთა*.

ველი გამოიყოფა იმავე არეალში კომპოზიტების შემადგენლობაში. *ველიძოლოს*, სათესი, სოფ. *ველი*. *ველიძოლო*, სათიბი, სოფ. უბე, *ველისთავი*, სათესი, სოფ. ველი. *ველაგ ზელა*, საძოვარი სოფ. ჭუარები. —ა დაბოლოებიანი ფორმის ნანათესაობითარ მრავლობითია სახელში *ველათი*, სათიბების სახელად სოფლებში ჯინალი და ყვირალა. გვაქვს *ველე* საძოვრის სახელად სოფ. ჭუარებში. ამ ტოპონიმის დაბოლოება —ე ფონეტიკური პროცესის შედეგია²²¹.

ველი შედის ისეთი კომპოზიტის შემადგენლობაში, რომლის მეორე ნაწილი თურქულია. ასეთებია: *ველათინ დუზი*, ვაკე, სოფ. ხანთუშეთი და *ველათ ოლუ*, გზა, სოფ. სხლობანი.

რადგან *ველისაგორე*-ში მსაზღვრელი გავრცობილი ფორმით არის წარმოდგენილი, საფიქრებელია, რომ *ველისა* ცალკე სახელი იყო, ან დღესაც არის ისევე, როგორც ახალგორის რაიონის *ველისა* ან ნ. მარის მიერ დამოწმებული *ველთა* მრავლობით რიცხვში. რაც შეეხება უმლაუტს, შეიძლება თურქულენოვანი გარემოთი აიხსნას. ასევე ძნელი ასახსნელი არ არის *ველისაგორე*-ში —ე დაბოლოება ფონეტიკური ცვლილებების საფუძველზე შდრ. *ველე*.

²¹⁹ H. Mapp, დასახლებული ნაშრომი, გვ. 30.

²²⁰ ნ. ცეცხლაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 179.

²²¹ მაგალითები ამოღებულია ნ. ცეცხლაძის შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიდან, გვ. 179.

რადგან მე არა მაქვს ლოკალიზაციის საშუალება, ვეყრდნობი მხოლოდ მოწოდებულ სიას, ამიტომ იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ ვარაუდის გზას დავადგე და დაეუშვა მეორე ვარიანტი, რომ კომპოზიციის მეორე ნაწილში გორე, ხომ არ შეიძლება დავინახოთ თურქული გორ (gorhana) – საფლავი (სასაფლაო\საფლავები) გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება აღსანიშნი ობიექტის გარკვევას. თუ ტოპონიმი მთას ჰქვია, პირველი ვარიანტია სწორი, ხოლო თუ – სასაფლაოს, მაშინ სასაფლაოდ უნდა გავიგოთ იგი. ქართულ-თურქული კომპოზიტები იმავე –*ველ* შემადგენლიან სახელებში რომ გვაქვს იმავე არიალიდან, ჩვენ უკვე ვაჩვენეთ.

წარმოდგენილი სიიდან ცალკე გამოსაყოფია –ეთ-ზე დაბოლოებული ტოპონიმები. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია ერთადერთი ტოპონიმწარმოებელი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, ეს სარის –ეთ. –ეთ-ი დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და მივიღებთ ადგილის სახელს. ეთქვათ, *ქობულ-ადამიანის სახელი*, რომელმაც მოგვცა ქართული გვარები: *ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულა*, დაირთავს –ეთ დაბოლოებას და ვლებულობთ ადგილის სახელს –*ქობულეთი*. (რაიონული ცენტრი, ზღვისპირა ქალაქი, აჭარა.). რაჭაში, აჭარასა და იმერეთში ადამიანის საკუთარი სახელებისაგან წარმოქმნილი გვაქვს შემდეგი სოფლების სახელები: *ბასილეთი* (ჩოხატაურის რ.), *გრივოლეთი* (ლანჩხუთის რ.), *გოგოლეთი* (ამბროლაურის რ.) *სიძონეთი* (ბათუმისა და თერჯოლის რაიონები), *გობრონეთი* (ქედის რ.)

ასეთივე წარმოება გვაქვს *ნარგიზეთის* შემთხვევაში წარმოდგენილი სიის მიხედვით. აქ ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი *ნარგიზი\ნარგიზა*, რომელსაც საფუძვლად უდევს ყვავილის სახელი –*ნარგიზი*, რომელსაც მრავალი სახელი აქვს: გულყვითელა, ხავერდა, ორფერი და სხვა²²². *ნარგიზის* ყველა სახელი შეიძლება დაედოს საფუძვლად ადგილს.

ჩილქოსეთი (Çilköset) საინტერსო სახელი ჩანს. ვფიქრობ ამოსავალი უნდა იყოს ჩილქის-ი\ჩილქოსა საკუთარი სახელი, უფრო სწორად, მეტსახელი. ჩილ-ქოს-ა (çil köse) ქართულისა და თურქულისათვის საერთო სახელებია. ორივე ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. ამ შემთხვევაში, კომპოზიციის ორივე ნაწილი. *ჩილ-ი* არ იცის სალიტერატურო ქართულმა, იგი მხოლოდ დიალექტში კერძოდ, მესხურ დიალექტში გვხვდება და სახელაკენ-

²²² ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

კილ, ნაყვავილარ ადამიანს უწოდებენ. ასევე ფორებიან ქვაზე იტყვიან *ჩილს*. რაც შეეხება *ქოსას*, მის შესახებ სულ-ხან-საბა ამბობს: „სხვათა ენაა, ქართულად *პოპლიკა* ჰქვია და *კოსაკო*“²²³. ჩილქოსა ერქმეოდა სახენაყვავილარ ქოსა კაცს, რა თქმა უნდა, მეტსახელის დამრქმევმა კაცმა გამოიყენა თურქული ენის ლექსიკა, მაგრამ ადგილის სახელდებისას იგი ხმარობს ქართულ სუფიქსს – *ეთ-ს* ე.ი. ქართველია, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა *čilköselik*.

ამგვარად –ეთ ტოპოფორმანტაზე დაბოლოებული 11 სახელიდან შვიდის ეტიმოლოგია მოხერხდა. დანარჩენი ოთხიც, რადგან –ეთ სუფიქსზე ბოლოვდება, ქართულენოვანი მოსახლეობის დარქმეულია, მაგრამ მათი ფუძეების გარკვევა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

სიაში არის –ეთ-ზე დაბოლოებული კიდევ ერთი სახელი *ღაგოონეთი*, რომელიც ასევე გამჟღერებული ვარიანტი უნდა იყოს *ღაკონეთისა*. ღაკონი მღვდლის მოსამსახურეს ნიშნავს²²⁴. სასულიერო პირის აღმნიშვნელი ტერმინია და იგი ძველ ტექსტებში გვხვდება. მისგან არის ნაწარმოები სიტყვები: *ღელათ* ღაკონი, ღაკონობა, კერძოღაკონი, მთავრღაკონი, საღაკონე²²⁵. მისგან ნაწარმოები ქართული გვარები: *ღაკონიძე*, *ღაკონაშვილი* და სხვა. აჭარაში, ხულოს რაიონში არის სოფელი *ღაკონაძეები*. აფხაზეთში ადგილს ზემო ცხირში ჰქვია *ღაკონიშ ნა ვილა*, რაც ნიშნავს, სადაც ღაკონი მოკლეს²²⁶. რაჭაში სოფ. გომში გვაქვს უბნის სახელად *ღაკენანთი*, *ღაკენანთ ყანები*, *ღაკენის წყალი* და სხვა²²⁷.

ვფიქრობთ *ღაკონი* უნდა იყოს ამოსავალი ხულოს რაიონის სოფლის სახელში *ღიოკნისი*. *ღაკონის ღელე* გვაქვს გურიაში²²⁸. ქართლში გვაქვს *ღაკონისღელე*²²⁹. ყველა მოხმობილი მაგალითის საფუძველი არის *ღაკონი* და მისი შეკუმშული ვარიანტი *ღაკენ* ის. ამ ფუძით ნაწარმოები ადგილის სახელები, როგორც ვნახეთ, მთელ საქართველოში მრავალია.

²²³ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 232.

²²⁴ იქვე, გვ. 223.

²²⁵ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 141

²²⁶ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 60.

²²⁷ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., გვ. 49.

²²⁸ აღ. ლლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, თბ., 1993, გვ. 81.

²²⁹ აღ. ლლონტი, ფრონების ხეობის ტოპონიმია, თბ., 1988, გვ. 45.

-ეთ დაბოლოებიანი სახელია *მაგარეთი*, რომლის ფუძეც არის თურქელისთვის და ქართულისთვის საერთო სიტყვა *Mağara* — მაღარო. თურქულში *მაგარა* ნიშნავს მთის ფერდობზე ან მიწის ქვეშ სამალავისათვის განკუთვნილ დიდ ღრმულს²³⁰.

საინტერესო სურათს იძლევა შვედეთ-იმერხევის ტოპონიმიში დამოწმებული სახელები, რომლებიც თურქული და ქართული დაბოლოებით არის გაფორმებული. ნ. ცეცხლაძეს ჩაუწერია ოთხი ასეთი სახელი, მათ შორის არის ორი თურქული დაბოლოებით გაფორმებული, კერძოდ *Mağaralar*-მაღაროები და *Mağaranin* ონი მაღაროს წინ. ორივე გამოქვაბულებს და სათიბს ჰქვია. ხოლო ქართული დაბოლოებით არის გაფორმებული *მაგარეული* < მაღარა—ული *მაგარეული*—მაღარაული, პირველი ტყის სახელია, მეორე —სათიბისა.

ქართულში დღეს გამოქვაბულების მნიშვნელობით ნაკლებად იხმარება *მაგარო*, იგი ძირითადად წიაღისეულის მოსაპოვებელ მაღაროს აღნიშნავს.

დუშეთის რაიონში არის სოფელი *მაგაროსკარი*. ხოლო გურიაში, სუფსა-ნატანებში გვაქვს ასკანიტის საბადოს სახელად მთის პირში *მაგარო*²³¹.

სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა გამოქვაბულების სიმრავლით, ამიტომ ბევრი სოფლის ტოპონიმიში გვხვდება გამოქვაბულების სახელად *მაგაროები*. საისტორიო წყაროების მიხედვით *მაგარო* არის კახეთშიც. „მოსრნა რა ოსმალონი დავით მეფემან, შთამოვიდა კუაღად კახეთს სპითურთ და მოადგა ლევანს *მაგაროს* მყოფსა, რამეთუ მიერთუნენ დავითს ზემოურნი კახნიეცა“²³². „არამედ იყვნენ დედოფალი და თეიმურაზ *თელავს*, *მანავს* და *მაგაროს*“²³³.

მითხატ კესკინის მიერ წარმოდგენილ სიაში გარდა *მაგარეთისა*, *მაგაროქ*/*მაგარა* გამოიყოფა კიდევ ორ სახელში: *H(g)otmagara*, რომელიც ავტორის შენიშვნის მიხედვით *ოთმაგარად* უნდა წავიკითხოთ. შესაძლებელია ეს იყოს *ხუთმაგარა*, ისეთი ტოპონიმი, როდესაც რიცხვითი სახელები ღებულობენ კომპოზიციაში მონაწილეობას, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება, რაც შეეხება

²³⁰ Örnekleriyle Türkçe Sözlük, 3, L-R, Milli Eğitim Bakanlığı, Ankara, 1996. s. 1874.

²³¹ ალ. ლლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, გვ. 114.

²³² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 571.

²³³ იქვე, გვ. 614-615.

Mağarsirtu ფორმას, იგი მთლიანად თურქულ ნიადაგზე უნდა აიხსნას, *მღაროს ზურგს* უნდა ნიშნავდეს.

კიდევ ერთ — ეთ დაბოლოებიან სახელზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ეს არის *საქეთი* (Saket), რომელიც ვ დაკარგული *საქეთთა*. საქვე *მესხურ* (ისტორიულ და თანამედროვე) დიალექტში გრძელ საწოლ ტახტს ჰქვია. იგი კედელთან იყო მიშენებული და ზედ მთელი ჯალაბი ეტეოდა. გადატანითი მნიშვნელობით *საქვე* *საქვეები* დატერასებულ მინდვრებს, სათიბს ან ყანებს ჰქვია და თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ *საქეთი* სწორედ ასეთი ადგილი უნდა იყოს. რადგან მე არა მაქვს საშუალება, ვნახო ადგილი, სახელის სისწორე დავაზუსტო ინფორმატორთან და მხოლოდ წარმოდგენილ სიაზე დაყრდნობით მიწევს საუბარი, იმულებული ვარ დავეშვა მეორე ვარაუდი, რომ *საქეთი* არის *საკეტი*. ასეთი ტოპონიმები, საკეტი, სარეკი და სხვა დაკავშირებული იყო სამონადირეო ტერმინოლოგიასთან და შესაბამისად ტოპონიმიასთან. ამიტომ, თუ ადგილი ვიწრო გასავალია და ადგილობრივ მცხოვრებთა მტკიცებით მსგავს რამესთან არის დაკავშირებული, შეიძლება ეს აზრი უფრო სწორი აღმოჩნდეს.

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ ადამიანის საკუთარი სახელი, მეტსახელი ან გვარი შეიძლება დაედოს ტოპონიმის სახელდებას საფუძვლად. სიაში არის სახელი ზანგეთი (Zangiyet). ზანგი — „კაცი შავი“²³⁴.

ზანგი *ზანგია* ადამიანს მეტსახელად ან სახელად თუ ერქმეოდა, ამ ტოპონიმის ახსნას არაფერი უდგას წინ.

ქართული კ თურქულ გარემოში გ-დ გამოითქმის ხშირად. ასეთ შემთხვევაში *გორდიეთი* (Gordiyet) იქნება *კორდიეთი*, რაც ქართულ სიტყვა *კორდთან* იქნება დაკავშირებული. *კორდი* შესვენებულ ყანას, ან ყანებს შორის გაკორდებულ ადგილს ჰქვია. ერთგვარ წინააღმდეგობად შეიძლება მოგვეჩვენოს — ეთ-ის წინ ი ხმოვანი, რადგან პირდაპირ ფუძეს არ დაერთვის — ეთ სუფიქსი, მაგრამ ეს — ი მიღებული უნდა იყოს *კორდა-ს-ა-საგან*. *კორდაეთი* > *კორდეეთი* > *კორდიეთი*.

საუბარი — ეთ სუფიქსიან სახელებზე უკვე გვქონდა, ამჯერად საჭიროა მოკლე ექსკურსი თავად — ეთ ტოპონომაწარმოებელზე, რომ გავერკვევთ მის ვარიანტებში და ვცადოთ ზოგიერთი სხვა სახელის ეტიმოლოგიაც. ალ. ლლონტი, რომელიც იყო ქართული

²³⁴ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

ტოპონიმის დაულალავი მკვლევარი, განიხილავს —ეთ სუფიქსს და მის ვარიანტიან ტოპონიმებს. მიმოიხილავს ვრცელ ლიტერატურას, წინამორბედთა ნაზრევს და ასკენის: „-ეთ და მისი ვარიანტები (-ათ, -ით, -ოთ, -უთ) ქმნიან ქართველურ ტოპონიმთა სისტემას და, უნდა ვიფიქროთ, რომ უძველეს ქართველურ ტომებს იგი იმთავითვე გამოუყენებიათ საგეოგრაფიო სახელთა საწარმოებლად. არეალი —ეთ მორფემისა ერთობ ვრცელია, მოიცავს საქართველოს დღევანდელ მიწა-წყალს მთლიანად, ზოგ კუთხეში მეტად, ზოგში ნაკლებად გვხვდება. საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ძველი ქართული წყაროების მოწმობით —ეთ მორფემა ერთ-ერთი თავდაპირველი, ყველაზე გავრცელებული სართია, რომლითაც საგეოგრაფიო სახელებია წარმოქმნილი“²³⁵.

—ეთ სუფიქსი აწარმოებს მხოლოდდამხოლოდ ადგილის სახელებს და არა ყველა სახელს. ჰიდრონიმიას, მაგალითად, სხვა მაწარმოებელი აქვს და ა.შ.²³⁶ —ეთ აფორმებს სხვა ქვეყნების სახელებსაც ძირითადად (სომხეთი, სპარსეთი, საბერძნეთი...).

ტოპომაწარმოებელი —ეთ მართალია, ძირითადაა, მაგრამ ერთადერთი არ არის, „—ეთ ძირითადი ტოპომორფების ალომორფები: ათ, -ოთ, -უთ, -ით, ერთნაირადაა გავრცელებული აღმოსავლეთ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში. ქართველური ტოპონიმია ზუთივე მოდელს იცნობს. ყველაზე უფრო პროდუქტიული და არეალით გავრცელებული —ეთ მორფემაა, სხეები, გარდა —ათ-ისა ნაკლებად იხმარება“²³⁷.

—ეთ და მისი ალომორფები შეიძლება ნებისმიერ ფუძეს დაერთოს და მისგან ადგილის სახელი აწარმოოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი ბევრ შემთხვევაში ადამიანთა სახელი ან გვარია.

სიაში ასეთად ჩანს სახელი Balagot (ბალაგოთ), რომელიც უნდა იყოს ბალაგოთისგან მიღებული. ბალაგა გავრცელებული სახელი იყო საქართველოში. აქედან გვაქვს გვარები: ბალაგაძე, ბალაგაშვილი. ამოსავალია ბალახ-სიტყვა. „მწვანედეროიანი ერთწლოვანი (ან მრავალწლოვანი მცენარე)“²³⁸. ბალაგათი ან ბალაგოთი ბალახაძეების ან ბალახაშვილების წარმომადგენელს ეთქმის, შდრ. თამარაშვილი > თამარათი... მიღებული ტოპონიმი არის საზღვრულდაკარგული მსაზღვრელი. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ბალაგოთ ყანა, მინდორი, ბაღი... საზღვრულის დაკარგვის

²³⁵ ალ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 15.

²³⁶ იქვე.

²³⁷ იქვე, გვ. 21

²³⁸ ქებელ. I, გვ. 958

შემდეგ დაგვრჩა მხოლოდ ძალაბოთ ფორმა, თუმცა არც ის არის მოულოდნელი, რომ —ოთ სუფიქსი, როგორც ტოპომაწარმოებელი, სახლერულის გარეშეც დაერთოს ფუძეს.

—ათ სუფიქსით არის გაფორმებული სახელი *Kopat* (*კოპათ*), რომელსაც თუ ტოპომაწარმოებელს ჩამოვაცილებთ, დაგვრჩება ფუძე *კოპ/კოპა* რომლისგანაც არის ნაწარმოები ქართული გვარი *კოპაძე*. ეს გვარიც გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში. მისგან დაერქვა ადგილს სახელად *კოპეთი* ახალციხის რაიონში. მე-16 საუკუნის *კოპეთი* მე-20 საუკუნეში *კოპაძედ* იქცა,²³⁹ ესეც ბუნებრივია. სახელდების პროცესი ასე წარმოგვიდგენია: —ეთ სუფიქსი რადგან სიმრავლის აღმნიშვნელია, ენაცვლება —ებ-ს ამიტომ თავდაპირველად პარალელური ფორმები იყო *კოპეთი* და *კოპაძე-ბი*, ან ერთი იყო ოფიციალური სახელი, რომელიც დააფიქსიარა ოსმალო მოხელემ, ხოლო ხალხი მას მეორე სახელს უწოდებდა. საბოლოოდ ერთმა დოკუმენტურმა წყარომ შემოგვინახა, მეორე — ხალხმა, თუმცა —ებ მრავლობითობის ნიშანი დაიკარგა. ასე იქცა გვარი კოპაძე ყოველგვარი გაფორმების გარეშე ადგილის სახელად.

შავშეთ-იმერხეში დასტურდება სოფ. დაბაწვრილში უბნის სახელად *კოპაჯელარ*, რაც ამჟამად თურქული —ლარ სუფიქსით გაფორმებული კოპაძეა, ძ-მ მოგვცა ზ, რაც ჩვეულებრივი ამბავია ამ მხარეში. *კოპაჯელარ* ნიშნავს *კოპაძეებს*, ასეთი წარმოება —ლარ-ის ნაცვლად ქართული შესატყვისი მრავლობითობის —ებ-ი ბევრია საქართველოში. იქვეა სოფ. წყალსიმერის უბნის სახელად *კოპიჯე*, რაც აგრეთვე *კოპ* - ფუძეს შეიცავს ოღონდ—ი ხმოვნით გაფორმებულს, ნაცვლად —ა ხმოვნისა. *კოპათი* ანუ *კოპათ* (როგორც უკვე ითქვა —ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია და არაქართულ გარემოში სცილდება ფუძეს). იგივე *კოპაძეობა*, ოღონდ სხვა —ათ სუფიქსით გაფორმებული, რომელიც გარდა მრავლობითი რიცხვის ფუნქციისა, ითავსებს გვარის აღნიშნული —ძე ან —შვილი დაბოლოების ფუნქციასაც. ეს ჩვეულებრივი ამბავია თანამედროვე და ისტორიულ მეს-ხურ დიალექტში.

—უთ ფორმიანტია *Puşut* (*ფუშუთ*), სახელში, რომელსაც თუ ტოპოფორმატს ჩამოვამორებთ, დაგვრჩება *ფუშ* ფუძე, რომელიც მეტსახელად შეიძლება შერქმეოდა კაცს. მას დ. ჩუბინაშვილი გან-

²³⁹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, IV, გვ. 123-124

დარტავს როგორც „ფერდის ქარი“, ხოლო სულხან-საბას მიხედვით არის „ყვერ-შეტი“, ღიღი ყვერი, ჩამოსული“²⁴⁰.

ღღეს ასეთ კაცს *ტრიკანს* უწოდებენ. *ფუშუთი* ფუშინანის შთამომავლის ადგილს ერქმეოდა. შეიძლება ყოფილიყო ბალი, საძოვარი, ყანა და ა.შ.

ცალკეა გამოსაყოფი ისეთი სახელები, რომელთა ფუძესაც დაერთვის არა ვოკალიანი ალომორფი, არამედ მხოლოდ თ თანხმოვანი.

„ზოგი ტოპონიმის ფუძე, ერთი შეხედვით ამისთანა ინტერპრეტაციის საფუძველს თითქოს არ იძლევა, მაგრამ სავსებით უდავოდ უნდა მივიჩნიოთ თეზისი, რომლის მიხედვით —ეთ, -ათ, -ით, -ოთ, -უთ ალომორფებში ე, ა, ი, ო, უ ვოკალური სეგმენტები გვიანდელი წარმონაქმნია, ხოლო —თ კონსონანტი —პირველადი“²⁴¹.

ამასთან ერთად —თ თანხმოვანია ის ბგერა, რომელიც, როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანი, საერთოა სახელებისა და ზმნებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ —თ(ა) მორფება თითქმის ყოველთვის სონანტების შემდეგაა წარმოდგენილი. ე. ი. ქართულ ტოპონიმთა შორის აბსოლიტური უმრავლესობა ქმნის ლთ, მთ, ნთ, რთ კომბინაციას. ეს არის წესი, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ვთქვათ *ბოგთა/ბოჭთა*—ნასოფლარი ასპინძის რაიონში. *ლაჩთ(ა)* —ონის რაიონი. ალ. ღლონტს მოყვანილი აქვს ამის მრავალი მაგალითი საქართველოს ტოპონიმიდან: *მაყვალთ(ა)*, *კობალთ(ა)*, *კორინთ(ა)*, *უშოლთ(ა)*, *ქორთ(ა)* და ა.შ.

წარმოდგენილი სიის მიხედვით მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებული ტოპონიმი სამია, რომელთაგან ორი კონსონანტს მოჰყვება (*თამთ*, *ჯიჯელთ*), ხოლო ერთი ფშვინვიერ თანხმოვანს (*გუფთ*).

ვფიქრობ, *Tamt* (თამთ) ტოპონიმის თამ-ფუძე არის თამარის მოფერებითი ფორმა ისევე, როგორც *თამბა*, *თამუნა*, და სხვა. *თამთ* (<—თამთა) ისეთ ადგილს ჰქვია, რომელიც *თამის*, *თამოს* შთამომავლობის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ასევე მოფერებითი, კნინობითი სახელია ამოსავალი ტოპონიმის *Cicelt* (*ჯიჯელთ*) სახელდებისას. უკვე ითქვა, რომ ქართული ჭ გვაძლევს თურქულში ჯ-ს, აქედან გამომდინარე, *ჯიჯელთ* მიღებულია *ჭიჭელთ* ქართული სახელისაგან, რომელიც დაიშლება შემდეგნაირად: *ჭიჭ-ელ-*

²⁴⁰ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 206.

²⁴¹ ლ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 22

თ. ჭიჭ — ფუძე გვხვდება სხვადასხვა გვარად გაფორმებული ჭიჭ-
ია²⁴², ჭიჭ-ულ-ა, ჭიჭ-იკ-ა, ჭიჭ-იკ-ო და ჭიჭ-ელ-ა, რომელსაც
დაერთო მრავლობითობის ნიშანი ნათესაობით ბრუნვაში და მივი-
ღეთ ჭიჭელთ.

—თ-ს გამოვეყოფთ ხმოვნითი ნაწილის გარეშე ტოპონიმში Gupta
(გუფთ) და დაგვრჩება ფუძე გუფ-, რომელიც, როგორც საკუ-
თარი სახელი, დასტურდება ისტორიული საბუთებში. გუფ-ა-ვ-ა
ქაიმაროზ იყო კაცი, რომელსაც XVII საუკუნეში „უცნობმა მეფემ
გაუჩინა სისხლის ფასი“²⁴³ — ა-ვ-ა ქართული გვარების დაბოლოებაა
დასავლეთ საქართველოში.

ამგვარად, წარმოდგენილი სიის მიხედვით დადასტურებულ ტო-
პონიმებში გვხვდება როგორც წმინდა ტოპონიმწარმოებელი — თ,
ასევე მისი ალომორფები და მრავლობითობის უძველესი ნიშანი —
თ, რაც იმას ადასტურებს, რომ საუკუნეების მანძილზე, ამ ადგი-
ლებში ქართველს უცხოვრია, შეუქმნია ბევრი ადგილის სახელი,
რომელთაც ემუქრება გაქრობა, მაგრამ სხვადასხვა ტოპოლექ-
სონების სახით ტოვებს კვალს.

წარმოდგენილი სიიდან, ბუნებრივია, გარკვეული ნაწილი არის
თურქული, ან კიდევ ისეთი სიტყვა, რომელიც ფუძედ იყენებს
ქართულ სახელს და ირთავს თურქულ სუფიქსს. ასეთად განვი-
ხილავთ *ქოღლარ-ს* (Koglar) ღ<ხ ურთიერთობა ქართულ-თურქულ
ფონეტიკურ კავშირებს ახასიათებს. ამის დასადასტურებლად სია-
შივე არის ამჟამა ქართული ძირი ხ-ს ნაცვლად ღ- ბევრით გად-
მოცემული *ბლაბოთი* > *ბლალოთი*.

—ლარ (lar) მრავლობითობის სუფიქსით ნაწარმოები ქართული
სახელები ამავე არეალში ბევრი მოგვეპოვება: *მინდორ-ლარ*, *ნაკაფ-
ლარ*, *ნაფუზ-ლარ*, *ჭოჭ-ლარ* და სხვა²⁴⁴.

ქოზ-ი „ფოთოლითა და ჩალათაგან სახლაკი“. „წნელის, ალიზი-
სა და სხვათა უბრალო ნაგებობა, ჩალით და მისთ. დახურული,
ღარიბული სახ-ლი“²⁴⁵. მისგან არის ნაწარმოები ქართულში *ქოზ-
მაზი*.

ასევე გამოიყოფა —*ლარ* თურქული სუფიქსი სახელში *გაბნლარ*.
ზემოთ ჩამოთვლილ შავშეთ-იმერხევის ტოპონიმთა შორის ამჟამაა,

²⁴² ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, 2, 1999, გვ. 878

²⁴³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს ქართული ისტორიუ-
ლი საბუთების მიხედვით, I, 1991, გვ. 752

²⁴⁴ ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, გვ. 148.

²⁴⁵ ქეზლ. VII, გვ. 355

რომ —ლარ სუფიქსი დაერთვის არა მხოლოდ ქართულ ფუძეს, არამედ უკვე წარმოქმნილ სახელებსაც, ერთ შემთხვევაში *მინდორი*, *ჭოჭი* არის გაფორმებული —ლარ სუფიქსით და ასევე უკვე ერთხელ წარმოქმნილი სახელები: *ნაკაფი*, *ნაფუზი*²⁴⁶ ფორმდება მრავლობითობის —ლარ-ით. იქვეა მცენარეულის აღმნიშვნელი სიტყვაც *მანტირალ*, რომელიც მიღებულია *მანტილარიდან* ბგერათგადასმის გზით²⁴⁷. ბგერათგადასმასთან ერთად ამ სიტყვაში კიდევ ერთი ფონეტიკური პროცესია მომხდარი, —იან სუფიქსის —ან ნაწილი არის მოკვეცილი. სხვაგვარად ვერ აიხსნება —ი ხმოვნის არსებობა ფუძესა და —ლარ სუფიქსს შორის. ასე რომ არ მომხდარიყო, გვექნებოდა *მანტლარ* ან *მანტალარ*. *ვიან-ლარის ვიან* ნაწილი მცენარის აღმნიშვნელი სახელი უნდა იყოს. *ვიან-სულხან-საბა* ორბელიანის მიხედვით არის ბუნქოვანი მცენარე *ტვიან*²⁴⁸. რადგან სახელი ბოლოვდება —ია ხმოვნებზე და მას ერთვის მცენარეთა სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსი —იანი, ფუძისეული —ია იკარგება. ამის მაგალითია *ჭია* და მისგან მიღებული *ჭიანი*, *ღვია-ღვიანი* და ა.შ.

ამგვარად, ორი ქართული ფუძე წარმოდგენილი სიის მიხედვით გაფორმებულია თურქული სუფიქსით.

Cançak (*ჯანჩაკ*). მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა დამახინჯებულია ძალიან, მასში შეიძლება *ჭანჭახის* ამოკითხვა. ჭ ბგერამ რომ ჯ მოგვცეს ჩვეულებრივი ამბავია არაქართული გარემოსათვის. ფოსოფის რაიონში გვხვდება ადგილის სახელად *ჯოჯები*, რაც, რა თქმა უნდა *ჭოჭებს* ნიშნავს და ჭაობიან ადგილს ჰქვია. თითქოს მოულოდნელია ჩ ჯ-ს ნაცვლად, მაგრამ ჭ-ს გამჟღერებაც ხდება და გაფშვინვიერებაც. შეიძლება ამაში გარკვეული როლი კ ბგერასაც მიუძღვის, რომელიც ასევე ფონეტიკური პროცესის შედეგია და ქართულ-თურქული ფონეტიკური ურთიერთობით უნდა აიხსნას, კერძოდ, ცნობილი მაგალითია *ახალციხე*, როდესაც სიტყვის მეორე ხ გვაძლევს კ-ს. ახალციხეს თურქები *ახისკას* უწოდებენ. ამგვარად *ჯანჩაკში* რომ *ჭანჭახი* დაეინახოთ, შესაძ-

²⁴⁶ ჩვეულებრივ ეს სახელი თავსართ-ბოლოსართით გვაქვს ხოლმე წარმოდგენილი: *ნა-ფუზ-არ-ი* (<ნა-ფუძ-არ-ი>), მაგრამ მესხურ დიალექტს (როგორც ისტორიულს, ისე დღევანდელს), ახასიათებს სახელური ფუძეების ოდენ პრეფიქსული წარმოება: *ნასოფლი*, *ნასაჯდარი*, *ნაჭალი*, *ნაჭოჭი*, ამ შემთხვევაში ამ რიგს დაემატება კიდევ ერთი საინტერესო სიტყვა *ნაფუზი* (<ნაფუძი>), რომლისგანაც მივიღეთ *ნაფუზ-ლარი*.

²⁴⁷ ნ. ცეცხლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148

²⁴⁸ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163

ლებელია, მით უმეტეს, თუ ამ ადგილზე არის ან იყო წყლიანი, ჭაობიანი ან ტალახიანი ადგილი.

გორის რაიონში სოფლის სახელად გვხვდება *ჭანჭახა*. ასევე *ჭანჭახა* ჰქვია ტყეს გურიაში. ჭანჭახი, ჭანჭახები გავრცელებული ტოპონიმებია სამცხე-ჯავახეთში.

ჭანჭახი არის მინდვრის, ტყის და ჭაობიანი ადგილის სახელი ქვემო იმერეთში. *ჭანჭახეთი* ჰქვია ვენახს, *ჭანჭახის გორა* მინდვრის და საძოვრის სახელია, ლელეს ჰქვია – *ჭანჭახის ლელე*²⁴⁹.

ჭანჭახი განმარტებულია როგორც თხელი ტალახი²⁵⁰. *ჭანჭახი* გვხვდება *ჭენჭენი* ფორმითაც. სველ, ნოტიო ადგილს *ჭანჭახიანს* უტყვიან²⁵¹

Siker (*შიქერ*, *შიკერ*). ამ ტოპონიმში ი თანხმოვნებს შორის გაჩენილად მიგვაჩნია. ასეთი რამ არაქართულ გარემოში მოქცეული ქართული სახელებისთვის შესაძლებელია. ლ თანხმოვნის მეზობლობაში იგი რეფლექსად არის მიჩნეული²⁵². შავშეთ-იმერხევში დადასტურებული მაგალითები *თეთრიკლდე*, *კილდეზურ* (კლდის ძირი), *ბირილი* (ბრილი) აღნიშნულის საილუსტრაციოდ არის მოხმობილი²⁵³. ჯავახურ დიალექტში თანხმოვნებს შორის გაჩენილი ხმოვანი თუ ირაციონალური ხმოვანი თანხმოვანთ გასაყარია²⁵⁴. რუსული *კნიჟკა* (книжка) გვაძლევს *კენიჟკას*, *კინიჟკას*. სომხურ-თურქული გარემოში ქართული *წყალი* გვაძლევს *ძყალას*, *ჩხირი* > *ჩყხირი* და სხვა. აქედან გამომდინარე, *შქერს* რომ მოეცა *შყქერი* > *შიქერი*, შესაძლებელია. *შქერი* (*Rhododendron ponticum*) მარადმწვანე, ტანმორჩილი ბუჩქია ფოთოლი ტყავივით და მოსქო აქვს, ყვითელი-წითელი და ლამაზი; ყვავის აპრილში. ჩვენში გავრცელებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტყეებში, წნელი ღობედ იხმარება²⁵⁵. ქართულსა და დიალექტებში მისი ვარიანტებია: *ლეშქერი* (ქვრატული), *ლეშკი* (ზ. რატული), *ჟმერი*

²⁴⁹ საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი, გვ. 381

²⁵⁰ ქეგლ., VIII, გვ. 1227

²⁵¹ იქვე

²⁵² თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სინანტთა სისტემა და ბლავტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 101

²⁵³ ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, გვ. 112

²⁵⁴ გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

²⁵⁵ ქეგლ., VII, გვ. 1473.

(ლეჩხუმური), (ჭანურში) *მშქერი*, *ფშქერი* (მეგრულში), *შკერი* (სვანურში)²⁵⁶.

შქერი ტყის სახელად გვხვდება ზემო იმერეთში (სოფ. ღორ-ეშა) *შქერი* გზა, ტყე (ერეთა), *შქერისწყალი*, წყარო (ზ. ჭალოვანი), *შქერისწყარო*, წყარო (წმანი). *შქერნალი*, ბუჩქნარი (ფარცხნალი), *შქერნალიანი*, ტყე (ხიდარი)²⁵⁷. ფუძისეული ქ-ს ნაცვლად გვხვდება კ თანხმოვნიათი ვარიანტიც, არის სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც მომხდარი, მაგ. ბგერათ-გადასმა ბოლოში – ა ან –ე ხმოვნებით გაფორმებული და ა.შ.: *შკენარე/შქერანა*, ტყე (ბაგინეთი); *შკენარი/შკერანე*, ბალი (კუშუბაური), *შკერა*, ტყე (ტულიხი) *შკერანა*, ბუჩქები (წითელხევი)²⁵⁸.

შქერია ამოსავალი აფხაზეთში, სამურზაყნოში *ოფშქერონის* შემთხვევაშიც, რაც სიტყვა-სიტყვით *შქერნალს* ნიშნავს²⁵⁹.

ამგვარად, *შქერი/შკერი* მარადმწვანე დაბალი ბუჩქნარის აღმნიშვნელი სიტყვა გავრცელებული იყო არა მარტო ქართული ენის დიალექტებში, არამედ ტოპონიმიაშიც.

Sultamatan (სულთამათანი) ამ სახელის წაკითხვა შეიძლება *სულთამატანის* სახით. ამ წაკითხვისაკენ გვიბიძგებს კომპოზიციის პირველი ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივად იკითხება, როგორც *სულის* მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვა, რაც ერთი შეხედვით მოულოდნელია, მაგრამ მაგალითები სხვას გვიჩვენებს, კერძოდ კომპოზიციურ სახელებში სული მრავლობითშია და ნათესაობითის ბრუნვაში გვხვდება: *სულთამბრძოლა* – „მომაკვდავის უკანასკნელი წუთები“, *სულთადგმა* – იგივეა, რაც *სულდგმა*, *სულისდგმა*. *სულთათანა* – მიცვალებულის სულის მოსახსენებელი, *სულთამბრძოლი* (*სულთმბრძოლავი*, *სულთმობრძავი*, *სულთმებრძოლი*) – სიკვდილის პირას მყოფი, თავს ადგას მომაკვდავს და სულს უხუთავს, *სულსა ზღის*²⁶⁰. როგორც ვხედავთ, *სული* მრავლობით რიცხვში მონაწილეობს კომპოზიციის რაც ძირითადად დაკავშირებულია სიკვდილთან, სიკვდილის წინა პერიოდთან: „სიკვდილის პირას მყოფი“, „მომაკვდავი“ და ა. შ.

²⁵⁶ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ. 81

²⁵⁷ საქართველოს სსრ ტოპონიმია, ტ. I, ზემო იმერეთი, 1987, გვ. 222-223.

²⁵⁸ საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III ქვემო იმერეთი, 2003, გვ. 343.

²⁵⁹ კ. ცხადია, სამურზაყნოს გეოგრაფიული სახელები, 2003, გვ. 131.

²⁶⁰ მაგალითები ამოღებულია ქებულ-დან, ტ. VI, გვ. 1181.

ტოპონიმიაში, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მსგავსი მნიშვნელობით სახელდებული ადგილები, რაც დაკავშირებული იქნება დაღლასთან, გარკვეულ სიძნელებთან, რომელსაც ესა თუ ის ადგილი ქმნის. ზემო იმერეთში, სოფ. ზარანში საძოვარს, ტყეს ჰქვია *სულღებული*²⁶¹ სულგამოცლილის მნიშვნელობით.

ტოპონიმიაში ცნობილია, რომ ზმნის პირიანი ფორმა იშვიათად გვხვდება. ერთი ასეთი მაგალითია *სულთმეწია*. ქ. ახალციხის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არის სოფლები ღრელი (ყოფილი ლაშისხევი) და ჭაჭარაქი. მათ შორის გადის გზა, რომელიც იწყება *„ჭაღისხევის ურავლისწყლის შესართავთან, ამოივლის სერებს, ყანებს დაუყვება დაბლა სოფლამდე. იქვეა სულთმეწიყანები“*. ეს სახელი ორი სიტყვისაგან შედგება. პირველი ნაწილი სულის მრავლობითი რიცხვია მიცემით ბრუნვაში, ხოლო მეორე ორპირიანი ზმნა. გზის სიძნელი გამო უნდა შერქმეოდა სახელი *სულსმეწია*. ფეხით მოსიარულეთათვის სულის წევა დაღლასთან ასოცირდება.

რაც შეეხება სახელს სულთამათანს, სულთამატანს, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, რომ ესეც ორი სიტყვისაგან შედგება — სულთა — *მატანი*, რომლის მეორე ნაწილი *მატანი* არის *მოატანს* ზმნისაგან წარმოებული მიმღეობა. მოატანს ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის: „ცოცხალი გაძღებს, იცოცხლებს (გარკვეულ დრომდე)“²⁶².

ამგვარად სახელის მნიშვნელობა არის შემდეგი: *სულისმატანი, სულისმომატანი, გაჭირვებით მოღწეული, დაღლილი*, რის გამომწვევეც არის ის ადგილი, რომელსაც *სულთამატანი* ჰქვია. კიდევ ერთხელ უნდა დავადგე ვარაუდის გზას, რომ თუ სახელი ჰქვია გზას, აღმართს, რომელზედაც დღეს თუ არა, ადრე იყო გზა, სახელის ჩვენეული ანალიზი სწორია, თუმცა ზემო იმერეთში დადასტურებული ტოპონიმი *სულღებული* იმას გვიდასტურებს, რომ ამ მნიშვნელობის სახელი შეიძლება ტყეს და საძოვარს ერქვას.

ზოგ შემთხვევაში მტკიცების გარეშე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება. არის სახელები, რომელთა სტრუქტურა, ზოგიერთი ელემენტი აშკარად ქართულია, მაგრამ ამ ეტაპზე საბოლოო მტკიცება ჭირს. ყველაფრის გარკვევა შეიძლება, ადგილზე გაცნობის შემთ-

²⁶¹ საქ. სსრ ტოპონიმია, მასალები, ზემო იმერეთი, 1887, გვ. 192.

²⁶² ქავლ. ტ. V, გვ. 578

ხვევაში. ვარაუდის დონეზე შეიძლება გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება, ოღონდ ისევ გავიმეორებ, რომ ეს ხდება ვარაუდის დონეზე. მაგალითად, ქართული ჩანს *არემთ* (Areyt) სადაც ფუძე არის *არე-* მხარე, მიდამო, ადგილი²⁶³, ხოლო თ შეიძლება იყოს დისიმილაციის გზით მიღებული ე.ი. არეეთ—>არემთ წინააღმდეგობას ქმნის, ერთი შეხედვით რეგრესიული დისიმილაცია, ორი ეს შემთხვევაში ძირითადად განიცდის პირველი ხმოვანი დისიმილაცია: *კლდეებო*—>*კლდეები*. შეიძლება დავუშვათ, რომ —თ მიღებულია არა —ეთ-ისაგან, არამედ მისი ალომორფის —ით-საგან და მოხდა —ი-ს კიდევ უფრო დავიწროება.

ტოპონიმიში საერთოდ და შავშეთ-იმერხევეში, კერძოდ, ხდება ხმოვანთა, თანხმოვანთა, ან უბრალოდ კომპლექსთა მოკვეცა, ამოვარდნა ფუძიდან და ა. შ²⁶⁴. თუ ამ კუთხით მივუდგებით და *მოღუნს* (Moğun) განვიხილავთ —ულ ელემენტის დაკარგვის შედეგად მიღებულ სახელად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *მოღუნ-* მიღებულია *მოღუნული* ფორმიდან. *მოღუნულები*, *მოღრეკილები*, *რკალები*, *ლარები*... გვხვდება ადგილის სახელად.

ჭუკიანი შეიძლება დაინახოთ *ჩუვიან* (Çugıyan) სიტყვაში. *ჭუკიანი*, *ნუკრიანი*, *გველიანი* და ა.შ. ცხოველთა, ფრინველთა სახელები ხშირად ერქმევა ადგილს სახელად.

შეიძლება *თქანცხალა*-ში *თიკინსხალა* ამოვიკითხოთ თუ ადგილი წერილი, ბურჭიანი ტყეა. *ხალა*— მთიულურ დილექტში გვხვდება: „გრძელი, წერილი ჯოხი, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე“. კაკლის დასაბერტყ ჯოხსაც ხალა ჰქვია²⁶⁵. თუ ეს ვარაუდი სწორია *თქანცხალა* ისეთ ადგილს ჰქვია, სადაც თიკინს (ტიკინის) სამწყემსო ჯოხები მოიჭრება.

ნაზმნარი სახელი შეიძლება დაინახოთ *მოსხოდოილ*-ში (Mosğhodil), მაშინ ის მიღებული იქნება *მოწყვეტილისაგან*. ასეთი სახელდება ტოპონიმიში ხდება. ფლატე, მოცურებულ ადგილს შეიძლება დარქმეოდა ეს სახელი.

არის ცდუნება, რომ სა-ე მაწარმოებლები გამოვყოთ სახელებში: *სა-ბენბე* (Sabenbe) და *სა-კსკაღე* (Saksıple), თუმცა ჩემთვის

²⁶³ ქავლ. ტ. I, გვ. 555.

²⁶⁴ ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმი, გვ. 18.

²⁶⁵ ქავლ. ტ. VIII, გვ. 1320

ნათელი არ არის —*ბენბ*— და —*კსკალ*— ფუძეთა სემანტიკა, ამიტომ დაბეჯითებით ვერაფერს ვამბობ.

ქართული იერი უჩანთ სახელებს: *მანდგღერე* (Mandegere), *შევიტკავ* (Şevitkav), *მაჯორ* (Macor), *ელიკავ* (Elikav), *კაშიკევ* (Kaşikev), *ჩაჩავ* (Çaçav), *ელიგევ* (Eliğev).

კიდევ ერთხელ მაღლობა მინდა მოვახსენო საქართველოს საელჩოს თურქეთში, ბატონებს: *მატა სარიშვილს* და *ზურაბ გ-ამეზარდაშვილს* უაღრესად საინტერესო მასალის მოწოდებისათვის. განსაკუთრებული მაღლობის ღირსია ბატონი *მიოჰათ კესკინი*, რომელმაც თანამშრომლობა მოისურვა ქართველ მეცნიერებთან და ალბათ ეს ურთიერთობა გაგრძელდება. კარგი იქნება თუ ერთობლივად აღვწერთ და შევისწავლით ტოპონიმებს როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ აღმოჩნდება ორივე მხარისათვის საინტერესო.

§ 5. ახალქალაქი

ზედსართავი სახელი *ახალი ტოპონიმიკაში* ცაკლე, მარტო არ იხმარება. იგი მხოლოდ რომელიმე საზღვრულთან ერთად გვხვდება. *ახალშენი*, *ახალდაბა*, *ახალციხე*, *ახალქალაქი*, *ახალგორი* და სხვა. ძველისა და ახლის მონაცვლეობა ყოველთვის ყოფილა და იქნება. ძველთან, წარსულთან, დაპირისპირება მხოლოდ ამ ფორმით შეიძლებოდა. ახალი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ძველის უარყოფას არ ნიშნავდა. შეიძლება ძველსაც გაეგრძელებინა არსებობა და ახალიც ყოფილიყო. ხშირ შემთხვევაში ახალი ქალაქების წარმოქმნა, ძველთა არსებობასაც ნიშნავდა.

„IX-XI საუკუნეები საქალაქო მეურნეობის სწრაფი ზრდით ხასიათდება. ფეოდალიზაციით შექმნილმა ახალმა ეკონომიკურმა ყოფამ წარმოშვა პირობები ქალაქების განვითარებისათვის. ეს არის პერიოდი ფეოდალური ქალაქების წარმოშობისა, ახალ სოციალურ გარემოში ახალი ქალაქების გაჩენისა. ეს არის ხანა „ახალქალაქებისა“. ახლად გაჩენილი ქალაქების ერთი ნაწილი „ძველი ქალაქების“ (ანტიკური ქალაქების) ნანგრევებზეა აღმოცენებული,

ნაწილი კი ფეოდალიზმის პირშემა²⁶⁶ ასე წარმოიშვა *ატენი, თელაეო, დმანისი*. განახლდა და ახალი ქალაქების ფუნქცია შეიძინა ძველმა ქალაქებმა: *რუსთავმა, სამშვილდებ, ზუნანმა* და სხვა²⁶⁷.

სამხრეთ საქართველოში ასეთი „ახალი“ წარმოშობილი ქალაქებია *ახალქალაქი* და *ახალციხე*. ისედაც ნათელია, რომ ახალციხე, ახალი აშენებული ციხის გამოა შერქმეული და აგრძელებს ქალაქი სიცოცხლეს. არის მოსაზრება, რომ მას სხვა სახელი, *ლომსაყ* ერქვა. თუ ასეა, მაშინ ახალი ციხის გამო, სახელი გადავიდა მთელ ქალაქზე, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს სიახლე, მიუხედავად იმისა, რომ ციხე-სიმაგრე ციხე-ქალაქსაც ნიშნავდა. რაც შეეხება ახალქალაქს, იგი ანტიკური ქალაქის წუნდის დაცემის შემდეგ იქმნება და მისი „ახალი“ ქალაქობაც „ძველი“ ქალაქის – *წუნდის* გამოა განსაზღვრული.

შენიშნულია, რომ „*ახალქალაქი*, როგორც სახელიდანაც ჩანს, აღორძინების ხანაში წარმოშობილი ქალაქია. იგი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა XI საუკუნიდან. ამ დროიდან იგი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე პროვინციის, ჯავახეთის ცენტრია, ძველი ცენტრი *წუნდა* დაცემულია, მის ნაცვლად ზდება ახალი პუნქტის წამოწევა“²⁶⁸.

ძველი ქალაქის ნაცვლად ორი ახალი პუნქტი იქმნება. წუნდა ანტიკური ქალაქი იყო, ამიტომ იგი თავისი სიდიდით გამოირჩეოდა. მის დაცემას მოჰყვა იქვე, მის ტერიტორიაზე, წარმოქმნა *ნაქალაქევისა*. როგორც ჩანს, ძველ ქალაქთან მიმართება ახალმა სახელმა მშვენიერად დაადასტურა.

თავად *წუნდაც* აგრძელებს არსებობას, რასაც ადასტურებს მე-12-მე-13 საუკუნეების წმინდა გიორგის სახელობის მშვენიერი ეკლესია იჩქით გურგენისძის შესანიშნავი წარწერით, მაგრამ იგი ქალაქი აღარ არის, არის მხოლოდ დასახლებული პუნქტი.

წუნდის „ქალაქობა“ გრძელდება „ახალქალაქის“ სახით. წუნდა არტაანის მტკვრის ნაპირზე თუ ნაპირებზე იყო გაშენებული. იგი ანტიკურ პერიოდში ჯავახეთის საერო და სასულიერო ცენტრსაც წარმოადგენდა. ტოპონიმამ ასახა დინამიკა ჩვენი ისტორიისა. კერძოდ – სახელი „ნაქალაქევი“ აღარ გულისხმობს წუნდის რაიმე ცენტრობას. იგი უკვე წარსულ დროშია წარმოდგენილი. ასევე

²⁶⁶ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1970, გვ. 82.

²⁶⁷ იქვე, გვ. 83.

²⁶⁸ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87

წარსულ დროშია, აქვე წუნდაში დადასტურებული „ნასოფლარი“²⁶⁹ ხოლო წუნდის ადმინისტრაციულ ნაწილში ჰეგემონიას აგრძელებს ახალქალაქი, სასულიერო მხრივ კი ცენტრი ხდება *კუმურდო*.

ასე „დაიშალა“ წუნდა, ერთი ცენტრი—ცენტრებად.

მტკვრის ჩავარდნილი ნაპირებიდან გადაღის ქალაქი შედარებით მაღლა. „ახალქალაქის წარმოშობაში და ქალაქად ქცევაში ძირითადად მანც მისი გეოგრაფიული ფაქტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი. ქალაქი გაშენებულია ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შეერთებამდე, მაღალ, კლდოვან მასივზე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი *ხერთვისისა*, ძლიერ წააგავს *დმანისს* და *სამშვილდეს*“²⁷⁰ ხერთვისი დღეს რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ჰქვია. იგი ზოგადი სახელი იყო ძველ საქართველოში. როგორც სულხან-საბა წერდა: *ხერთვისი* „ესე არს წყალთა და ზღვათა საშუალ კმელი ადგილი, ჭალაქი კვეთ შესაყარი“²⁷¹, რაც ნიშნავს, რომ დღევანდელ კუნძულს ან ნახევარკუნძულს ჰქონდა ერთი სახელი და ეს იყო *ხერთვისი*.

გეოგრაფიული ფაქტორი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია. ეს კარგად ჩანს წუნდის მაგალითზე, რომელიც დაბალ, ჩავარდნილ და შედარებით გაშლილ ფართობზე იყო გაშენებული. ხერთვისების დრო შედარებით გვიან, ფეოდალურ ხანაში დგება. თუმცა ხერთვისებს დიდი მნიშვნელობა, როგორც თავდაცვითი ნაგებობისა, მანამდეც ჰქონდათ. ასეთი იყო ხერთვისი „ფარავნის წყლისა და მტკვრის შესაყარში აგებული უძლიერესი ციხე“²⁷². ლეონტი მროველის ცნობის ფონზე მას წუნდის გვერდით დიდი მნიშვნელობის სიმაგრედ სახავს“²⁷³.

ახალქალაქი კი აშენდა ხერთვისზე.

როდის უნდა დაწყებულყო ახალქალაქის მშენებლობა?

როგორც უკვე ითქვა, „ახალქალაქი ჯავახეთის ცენტრი ხდება მისი ადმინისტრაციული ცენტრის (წუნდის — მ. ბ.) დაცემის შემდეგ. წუნდა წერილობითი წყაროებით მხარის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საეკლესიო ცენტრიც იყო. წუნდის დაცე-

²⁶⁹ დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V, თბილისი, 1975 წ. გვ. 91.

²⁷⁰ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 88.

²⁷¹ ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV₂, 1966, გვ. 419.

²⁷² დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

²⁷³ იქვე.

მის შემდეგ საეპისკოპოსო ცენტრად ხდება *კუმურდო*. ეს უკანასკნელი მისივე სამხრეთის კედელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით აშენებულია 964 წლის მახლობლად. ადვილი მოსალოდნელია, საეკლესიო ცენტრის კუმურდოში გადატანას ემთხვევა აღმინისტრაციული გამგებლობის ახალქალაქში გადასვლა, რაც ქალაქმშენებლობის და, პირველ რიგში, ციხის აგების დაწყებას მოასწავებდა²⁷⁴.

ჯერ კიდევ კირშემშრალ კედლებს არფასლანი მოადგა. ქალაქს *ფარსმან თმოგველი* იცავს. მემატიანე წერს: „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს *ახალქალაქს*, რამეთუ *მესხნი აზნაურნი* და *ზემოსა კარძისანი* ძლიერად დგეს *ახალქალაქს*, და ბრძოდეს სამი დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახულისათა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხვნი სულნი ქრისტიანეთანი. აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი. და *შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა*“²⁷⁵.

შემორჩენილი იყო ახალქალაქის წარწერა, რომელიც დაკარგულად ითვლება. საბუღნიეროდ იგი ორჯერ არის გამოქვეყნებული ივ. როსტომაშვილისა²⁷⁶ და ე. თაყაიშვილის²⁷⁷ მიერ 1898 და 1909 წლებში. შემოგერჩა ფოტოსურათები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ წარწერა XIII საუკუნისაა. ეს წარწერიანი ქვა მოთავსებული ყოფილა ახალქალაქში ფერისცვალების ეკლესიის ეზოში²⁷⁸.

ახალქალაქი კომპოზიტიური წარმომავლობისაა. იგი აშკარად იყოფა ორ ნაწილად *ახალი* და *ქალაქი*. ჩვენ ვრცელი მიმოხილვა გვქონდა იმ ისტორიული პასაჟებისა, რომელიც თან ახლდა ამ ქალაქის ქალაქად ქცევას, რომ ახალქალაქი მარტო არ არის, მას დიდი ისტორიული კატაკლიზმები დაჰყვა თან, რომ მასიურად ხდებოდა ახალი ქალაქების შექმნა და ეს აღმავალი ფეოდალიზმის თანმხლები მოვლენა იყო.

²⁷⁴ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99

²⁷⁵ „მატიანე ქართლისაჲ“, გვ. 306.

²⁷⁶ И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, 1898, ст. 37

²⁷⁷ Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, ст. 24-25

²⁷⁸ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 53.

საინტერესოა, რომ სიტყვა აბლოქაბლო ტოპონიმებში მხოლოდ ისეთი სინტაგამის წევრია, რომლის მეორე ნაწილი ძირითადად დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს: აბლოქლოქი, აბლოსოფელი, აბლოდაბა, აბლოკიხე და სხვა, ან ისეთ დასახლებულ პუნქტს, რომლის განახლებაც ხდება. იყო სახელი და მისი ახალი ვარიანტი იქმნება, რომელიც შემდგომ იტყვევებდა ტოპონიმად. ვორი და აბლოგორი „ეტყობა, ასეთი შემადგენლობის სინტაგმა-პირველი ნაწილი-ახალი, მეორე ნაწილი-დასახლებული პუნქტის (შენი, სოფელი, დაბა, ...) მნიშვნელობის ფუძე, საერთოდ ფართოდ გაერცყელებულია ტოპონიმიაში. ასეთივე მნიშვნელობის არის იგი სხვა ენებშიც, კერძოდ სომხურსა და აზერბაიჯანულში. ჯავახეთის სომხურ სოფელთა ახალ უბნებს ყველას *ნორაშენი* ჰქვია. შდრ. აგრეთვე *თაზაქვევი* (ახალი სოფელი) ასპინძის რაიონის ნასოფლარი (სახელი თურქულენოვანმა მოსახლეობამ შეარქვა); *ნოვგორი* და სხვა“²⁷⁹.

ამიტომ, თითქოს არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ამ გამჭვირვალე სახელის ეტიმოლოგია, რომ აბლოს ახლავს ქლოქი, სიტყვა, რომელიც უძველეს ქართულ ტექსტებშია დამოწმებული იმ მნიშვნელობით, დღეს რომ ვხმარობთ: „დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი“²⁸⁰.

როგორც წესი, ქლოქი უპირისპირდება სოფელს, დაბას, შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტებს, რეგიონებს, დღევანდელი ტერმინოლოგიით და ქვეყნებს, როგორც ძველად უწოდებდნენ, თითო ქლოქი, უფრო სწორედ, დედაქლოქი აუცილებლად ჰქონდათ.

„ქლოქი რაოდენობისა, მდებარეობისა ღირსებისა და მნიშვნელობისდაგეარად იწოდებოდა ან „დიდ ქლოქად“ ან პატარად, ან „სამეუფო ქლოქად“, „ქლოქად სამეფოდ“, „სახლად სამეუფოდ“, „საჯდომლად დიდთა მეფეთა“, ან თუ ქლოქი ზღვის პირას იღო, მას ეძახდნენ „ქლოქსა ზღუს კიდისასა“²⁸¹.

ქლოქი ქლოქის მნიშვნელობით უკვე ბიბლიურ წიგნებში, კერძოდ სახარებაში გვხვდება: „წარიყვანა იგი... წმიდასა მას ქლოქსა“; „ქლოქად - ქლოქად რომელი მოვიდეს“; „მითრევედეს იასონს ქლოქის მთავართა წინაშე“; „მოვიდეს...დაბა-ქლოქთა“²⁸² ... ასევე უძველეს ტექსტებში გვხვდება მისგან ნაწარმოებნი სხვა სიტყვები:

²⁷⁹ მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 88.

²⁸⁰ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1962, ტ. VIII, გვ. 243

²⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1983, გვ. 15.

²⁸² ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 451

დედაქალაქი, თანა-მოქალაქე, მზის-ქალაქი, თვით *ახალქალაქი* გვხვდება *ახალ აღთქმაში* არა როგორც ადგილის სახელი, არამედ, როგორც ზოგადი სახელი: „მეიუსწრაფედ... ხეალისაგან ახალქალაქად“²⁸³.

ახალქალაქის ქალაქობა უკვე მე-16 საუკუნისათვის მოშლილია. კარგა ხანს გრძელდება მისი დამცრობა? როგორც ქალაქისა, მაგრამ, როგორც ციხე-სიმაგრე იგი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს.

მეთვრამეტე საუკუნის 40-იან წლებში დაცლილი ახალქალაქი დაუსახლებია და ახლიდან აუშენებია შავშეთის ბეგს... „ახალ მცხოვრებთა დიდი ნაწილი მაშინ აქ ქართლიდან გადმოსულა“²⁸⁴.

ერეკლე II-მ რამდენჯერმე სცადა ახალქალაქის ციხის აღება, მაგრამ ვერ მოახერხა, სამაგიეროდ ეს მოახერხა პასკევიჩმა 1828 წელს. ახალქალაქს მაშინ იცავდა არტაანის მფლობელი *ფარხად ხიმშიაშვილი*. რაც იყო, ისიც დაინგრა, ამიტომ მე-19 საუკუნის შუა წლებში მისი პერსპექტივის გათვალისწინებით კავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭომ მიანიჭა ქალაქის სტატუსი²⁸⁵. ასე რომ, თავისი სემანტიკით, წარმოშობით, სახელდებით *ქალაქი*, ცდილობს ქალაქობის დამტკიცებას.

დღეს ხომ ჩვენ ტოპონიმიაში ვაცოცხლებთ ისტორიას, არამართო ადგილის ისტორიას, არამედ სიტყვის ისტორიასაც. როგორც ტოპონიმის — *ახალქალაქის* ისტორია არის ტრაგიკული, ასევე სიტყვის თავგადასავალიც მძიმეა. მძიმე გზა გაიარა სახელმაც და ადგილმაც.

მე-16 საუკუნეში *ახალქალაქი* დაიპყრეს ოსმალებმა. მძიმე ბედი აქვთ დედაქალაქებს, კუთხეთა ცენტრებს. შეიძლება რომელიმე პატარა სოფელმა ათასწლეულები იცხოვრეს ისე, რომ სახელი კი არა სახეც კი არ იცვალოს, მაგრამ კუთხეთა ცენტრები, მეთაური ქალაქები, ყოველთვის დარტყმის ქვეშ იყო და ხშირად ბოლოს სოფლის ხელაც ძლივს რჩებოდნენ, ასე მოუვიდა წუნდას, მისგან ნასოფლარიღა შემოგვრჩა. ასე მოსდის ახალქალაქსაც და ოსმალების შემოსვლის ფაშს იგი დაცემული ქალაქია, მაგრამ ტრადიციაა, მეთაური ქალაქის ხსოვნა გრძელდება და მთელ რაიონს (ლივას) *ახალქალაქის ლივას* უწოდებენ. დაცვა ჯავახეთი, დაცვა ახალქალაქი, მაგრამ გაუტეხელი ჯავახები კვლავ იტყვიან თავიანთ თავზე: „ჯავახეთი ოთხმოცჯერ წახდენილა, ოთხმოცდაათჯერ აღშენებუ-

²⁸³ იქვე, გვ. 27.

²⁸⁴ შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173

²⁸⁵ იქვე, გვ. 476.

ლა“ (ივანე როსტომაშვილი). ასევე მოსდის ახალქალაქს. ასეთივე დანგრეული და აღმდგარია თავად სახელიც. ჯერ კიდევ XII საუკუნეში არაბი ავტორი *სადრ ად-დინ ჰუსეინი*, რომელიც არფასლანის შემოსევასა და ახალქალაქის აღებას აღწერს, ახალქალაქს *ახალ-კალას* უწოდებს“. ამჟამად, რომ ქალაქი აღმოსავლურ კალაქად აქცია ისტორიკოსმა, რაც მისთვის გასაგებ ენაზე ციხეს ნიშნავდა და არა ქალაქს, მართალია, მე-12 საუკუნის ავტორი კომპოზიტის პირველ ნაწილს არ შეეხო და *ახალი* ხელუხლებლად დატოვა, მაგრამ ეს შეეხება შემდეგ საუკუნეებში მოხდა, როდესაც *ახალ* ნაწილი სიტყვისა გაიზარეს *თეთრად-აკვად*, ხოლო ქალაქი, რა თქმა უნდა, მათთვის არის კვლავ *კალაქ ციხე*, ამიტომ გვაქვს ჩვენ *აკ-კალაქ*, რომელიც დიალექტში ახ-კალაქ-ს გვაძლევს²⁸⁶.

სომეხ ტოპონიმისტებს თავმოყრილი აქვთ ყველა ვარიანტი, რომელიც კი ვინმეს უწოდებია ახალქალაქისათვის: *ახალკალაქ*, *ახალქალაქ*, *ალაბ*, *ახალ*, *ახალვოლარ*, *ახალვორ*, *ახალქალაქ*, *ახალქალაქ*, *ახალქელაქ*, *ახლქალაქ*, *ახლქელაქ*, *ნორ ქალაქ*. (*Ախալքալակ ալაბ აխალ აխალვոլար ახალვոր ახალქալաქ ახალქալაქ ახალქელաქ ახლქալაქ ახლქელաქ ნոր ქալაქ* (Ախալքալակ ալაბ აխალ აխალვոլար ახალვორ ახალქալაქ ახალქալაქ ახალქელաქ სոր და քալაქ,²⁸⁷)

სამწუხაროდ მათ მითითებული არა აქვთ ქართული ფორმა *ახალქალაქი*, რომელიც ბევრ უცხოურ და სომხურ ტექსტებში არის მათთვის ხელმისაწვდომი. მაგალითად მხოლოდ *Ахалкалаки* ფორმა აქვს ლინჩს დამოწმებული წიგნში *Армения*²⁸⁸.

ყველა შემთხვევაში დაკლებულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ ქართული ტოპონიმების ქართულობისათვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

თუმცა არიან სხვა მეცნიერები, რომლებიც ახალქალაქზე სიმართლესაც ამბობენ, მაგალითად XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფი ახალქალაქზე ამბობს, რომ „*ახალქალაქი* ქართული სიტყვაა“²⁸⁹, ასევე „საესებით ზუსტად აქვს მოცე-

²⁸⁶ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, 1958, გვ. 305.

²⁸⁷ Թ. Խ. Հակոբյան Ար. Տ. Մելիք-Բախչյան Հ. Խ. Բարսեղյան Հայաստանի հարակից շրջանների տեղանունների բառարան Ի I Երեւան, 1986, էջ.110-111.

²⁸⁸ *Армения. Путевые очерки и этюды* Х.Ф.Б. Линча, Тифлис, 1910, გვ. 95.

²⁸⁹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

მული ახალქალაქის სახელი აგრეთვე ცნობილ თურქ ლექსიკო-გრაფსა და ენციკლოპედისტს“ მე-19 საუკუნეში — Akhalkalaki²⁹⁰.

საერთოდ, ტოპონიმთა თარგმნა ცნობილი ამბავია და ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამჯერად კიდევ ერთ გადააზრებასა და თარგმანზე გვინდა მივუთითოთ, რომელიც საბოლოოდ მთელი რაიონის სახელად აქციეს ოსმალებმა. მათ მიერ „ახალქალაქ“ სიტყვის პირველი ნაწილი „ახალ“ გააზრებულა, თურქულ დიალექტურ *ax* — „თეთრ“ სიტყვად, ხოლო მეორე ნაწილი „ქალაქი“ თარგმნილია, ამგვარად აიხსნება უთუოდ ის გარემოება, რომ ახალქალაქის ნაპიეს ნაცვლად ჩვენ გვაქვს „ak şehir-ის ნაპიე“²⁹¹. აკშეპირის ნაპიემ ახშაარის ნაპიეც მოგვცა. რომ არა შემდეგი პერიოდი, რომ არა ის, რომ ახალქალაქი დღიდან მისი დაარსებისა იმავე ადგილზეა, რომ დღეს კვლავ იგივე სახელი ჰქვია, რომლითაც გაჩნდა ამ ქვეყანაზე, შეუძლებელია ვინმეს ახშაარში ან აკშეპირში ამოეცნო ახალქალაქი. აკშეპირს თურქების გარდა სპარსებიც უწოდებდნენ: „სპარსი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ისტორიაში ახალქალაქი იხსენიება როგორც „*ay şahr*“ „*ay şahr*“ სპარსეთის ამირები შურაგელის გზით გაემართნან *ay şahr*-ისაკენ და იმ ქვეყნის მხარეებს მოედვნენ, როგორც ცით მოვლენილი მოულოდნელი უბედურება“ (ჰასან რუმლუ). *ისკანდერ მუნში*ს თხზულებაშიც ახალქალაქი ასევე *ay şahr*-ად იხსენიება და მთელი ჯავახეთიც „*ay şahr* ოლქად“ (ისკანდერ მუნში) არის დაწერილი. XVIII ს. გიულდენშტედტსაც შეუნიშნავს. რომ თურქები და ზოგი სხვა ერის შეილები ახალქალაქს დამახინჯებულად უძახდნენ „ახელქელექს“²⁹².

თურქი მეცნიერების აზრი, ოღონდ ერთგვარად მოდიფიცირებული, განმეორებულია სომეხ ტოპონიმისტებთანაც. კერძოდ ნათქვამია, რომ ახალქალაქი სპარსულად ნიშნავს „თეთრ ქალაქს“, ხოლო ქართულად „ახალ ქალაქს“²⁹³

შეიძლება სხვადასხვაენოვანი მოსახლეობა სხვადასხვა სახელს უწოდებდეს დასახლებულ პუნქტს და ახალქალაქს ამ შემთხვევაში, მაგრამ ერთიდაიგივე სახელი სხვადასხვა ენაზე რომ (ყოველ-

²⁹⁰ იქვე.

²⁹¹ იქვე, გვ. 307.

²⁹² შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., გვ. 473

²⁹³ ი. ს. წამოქეას სტ. S. Mxh-p-Ax ქუჯას ო. ს. ჩაუხიქ იას წაყაოყასიხ ჩაყასიხე ეოყასსსიხი ციოყასსსიხი ცაოყასს ხ. I სიხასს, 1986, ხე. 111.

გავრი ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობის გარეშე) სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს, არ უნდა იყოს სწორი.

როგორც უკვე აღინიშნა, *ქლაქი* უძველეს ტექსტებსა და წერილობით ძეგლებში გვხვდება. ისიც აშკარაა, რომ თავისი ფორმით ქართული წარმომავლობისა არ ჩანს, თანაც მისი შესატყვისი არ მოიპოვება ქართველურ ენებში.

ამ სიტყვის ისტორიას და ნაწილობრივ ეტიმოლოგიას ადგილი დაუთმო თავის ლექსიკონში აჭარიანმა, რომლის მიხედვით *ქლაქი* ერქვა ასურეთის დედაქალაქს, გაშენებული იყო ნინუადან სამხრეთისაკენ ტიგროსზე და ხალდების დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ასურეთის ცხოვრებაში²⁹⁴. ქალაქი თავდაპირველად საზოგადო სახელი იყო და შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ტოპონიმიაში ასეთი რამ ზშირად ზდება, ვთქვათ *გორი..* და ქალაქი *გორი*. ასევე ქალაქის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები, როგორც ამას პრ. აჭარიანი მიუთითებს, შეიძლება იქცეს ადგილის სახელად ან შევიდეს იმ კომპოზიტის შემადგენლობაში. რომელშიც ადამიანის საკუთარი სახელიც იქნება, ვთქვათ *პოლისი* - „ქალაქი“ და *კონსტანტინეპოლისი*. თავდაპირველად, ეტყობა, ქალაქის აღმნიშვნელი სიტყვა „მალლობის ან სიმაგრის მნიშვნელობისა იყო“ (პრ. აჭარიანი).

ქალაქს უკავშირებენ აგრეთვე არაბულ *gala* „სიმაგრე“ და მისგან ნასესხები მაზანდარული (სპარსული დიალექტი) „ქალაქი“ „სოფელი“ *Kala* და სპარსული *kalat*²⁹⁵ „სიმაგრე“. როგორც ჩანს *kälak* ნასესხებია სემიტურიდან. მართალია, ასურეთის დედაქალაქს *kalak* ერქვა, მაგრამ ზოგადად ასურულად *kirxu* ან *kir-xu* ჰქვია „სიმაგრეს, ციხეს, ციხე-სიმაგრეს“²⁹⁶.

კიდევ ერთხელ მინდა მივუბრუნდე ზემოთ დამოწმებულ არაბი ავტორის *სადრ ად-დინ ჰუსეინს* ახალქალაქისათვის XII საუკუნეში რომ ახალ-კალა უწოდებია. *ქლაქისა* და *კალას* საერთო წარმომავლობა მას ამის საშუალებას აძლევდა. ერთი რამ აშკარაა, რომ ადგილს ახალქალაქი ჰქვია. ასე რომ, შემდეგი დროის თურქი ავტორების მიერ დამახინჯებულ ფორმას აქვს საერთო წყარო,

²⁹⁴ წი. ანაჟიას, *Հայերեն արմարական բառարան*, h. IV, 1979, էջ. 542

²⁹⁵ წი. ანაჟიას, *დასახ. ნაშრომი.*, გვ. 543.

²⁹⁶ წი. ანაჟიას, *დასახ. ნაშრომი.*

რადგან ოსმალური კალსა-ც²⁹⁷ და თურქული კალე-ც არაბულიდან მოდის და ციხე-სიმაგრეს აღნიშნავს²⁹⁸.

მესხურ დიალექტში შემოსული თურქული სიტყვა *kale*-ს თავ-კიდური კ წარმოდგენელია მხოლოდამხოლოდ ყ ბგერით, რაც დასტურდება ტოპონიმებში: *აღთუნყალა ყალაჯულ*, *აღჯაყალა* და სხვა. რაც შეეხება ქალაქს, აქ მხოლოდ ქ გვაქვს თავში და არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. რომ ყოფილიყო ახ-კალა. ან აღყალა, უნდა გვქონოდა *აბყალა* ან *აღყალა*.

ზემოდასახელებული კალა ფორმა ან ხელოვნურია, ან მხოლოდ „განათლებული“, წიგნიერი ვარიანტი. ისევე როგორც აშქარაა ქალაქისა და სომხური (ქალაქის) საერთო წარმომავლობა. ყოველ შემთხვევაში ასურეთის დედაქალაქის სახელთან სიახლოვეს ქართული უფრო ამქლავნებს.

გაუგებრობაა ახალქალაქისათვის *აღაბ-ის*, *აბალ-ის*, *აბალგორ-ლარ-ის*, *აბალგორ-ის* წოდება. ახალქალაქის შემთხვევაში ნაწილობრივად არის თარგმნილი სახელი, ხოლო სრულად უთარგმნიათ *ნორ-ქაღაქის* შემთხვევაში. ეს ყველაფერი ხდება ძალიან ახლო წარსულში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა არასწორი და დამახინჯებული ფორმის საფუძველია 1064 წელს ზღუდუდან-გრეული და დღევანდლამდე მოღწეული ქართული კომპოზიციური სახელი *აბალქალაქი*.

§ 6. ახალციხე

„ახალქალაქების წარმოქმნის“ ეპოქაზე საუბრისას ვთქვით, რომ სახელი *აბალციხეც* იმავე პერიოდში შექმნილი უნდა იყოს როდესაც ახალქალაქი. მსაზღვრელი *აბალი* მიგვითითებს ამის შესახებ. ვიდრე აბალი ციხე შეიქმნებოდა, მას რაღაც სხვა სახელი ერქმეოდა. ეი ციხიდან, აბალი *ციხიდან* სახელი ეწოდა მთელ დასახლებას, ქალაქს. აბალი ციხეები ყოველთვის იქნებოდა და შენდებოდა, ამიტომაცაა, რომ *აბალციხე* გვაქვს სხვაგანაც საქართველოში, კერძოდ: დუშეთის, კასპისა და ყაზბეგის რაიონებში სოფელთა სახელად.

²⁹⁷ Ferit Devellioğlu Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik LUGAT, Ankara, 1993, გვ. 489.

²⁹⁸ Atatürk Kültür, Dil ve Tarihi Yüksek Kurumu Türk Dili Kurumu Türkçe Sözlük, Ankara, 1988, ტ. 2, გვ. 766.

იყო. მოღვაწეობდა იმავე საუკუნის მეორე ნახევარში“. მის მიერ აშენებული ზემოთ ჩამოთვლილი ციხეებიდან „ლომსიანთა“ ახალციხის ძველი სახელწოდებაა³⁰². ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამიტომ ახალციხის როგორც ციხის და ასევე ქალაქის მოხსენიების დროდაც მე-9 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ლომსია, ლომსიანთა და ახალციხე სხვადასხვა ადგილთა სახელებია³⁰³ ერთი რამ აშკარაა, რომ ახალციხე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. წყაროებში პირველად XII საუკუნიდან იხსენიება. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ციხექალაქი სამცხის ათაბაგ ჯაყელს ეკუთვნოდა და XVII საუკუნებდღე ამ საგვარეულოს სამფლობელოში იყო. ახალციხესთან არიან დაკავშირებული ახალციხელები სამხრეთ საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა საგვარეულოთორელთაგან გამოყოფილი შტო, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები შალვა და ივანე ახალციხელები კარგად არიან ცნობილი ჩვენს ისტორიაში. 1676 წლიდან ოსმალებმა დაიპყრეს ახალციხე, ხოლო 1628 წლიდან ახალციხის საფაშოს ცენტრი გახდა. XVII-XVIII საუკუნეებში ლეკი ფეოდალების მიერ ტყვე ქრისტიანებით ვაჭრობის მთავარი ბუდე იყო. 1829 წელს პასკევიჩის ჯარებმა აიღეს და რუსეთის იმპერიას დაუქვემდებარდა. განსაკუთრებით შტამბეჭდავია ეს ბრძოლა, როდესაც გააფრთხილეს იბრძვის ქართველთა ბატალიონი და ქართველი ოფიცრობა: სპირიდონ, რომან და გრიგოლ ჭავჭავაძეები, თავადები ანდრონიკაშვილი, ვახვახიშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, მაიორი წინამძღვრიშვილი და სხვანი³⁰⁴.

ახალციხის მთავარი, დამახასიათებელი და სიმბოლო, გამომჩრჩეველი სხვა ადგილთაგან ციხეა, საერთო ქართველური სიტყვა³⁰⁵, რომელიც უძველეს ქართულ ტექსტებში დასტურდება: „განაშენა ყოველი იგი ციხე სულიერთა მით ქნართა“ („შუშანიკის წამება“) „ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა“ „განუმაგრდეს ზედა მრავალთა ხევთა და ციხეთა“³⁰⁶. ასევე უძველეს ტექსტებში დას-

³⁰² დ. კოჭორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი, ახალციხის ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 17.

³⁰³ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი.

³⁰⁴ В. Потто, История 44-го Драгунского Нижегородского полка, т. 3. с.П. 1894 წ. გვ. 75-88.

³⁰⁵ ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 629.

³⁰⁶ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 517.

ტურდება მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები: *ციხეკალაქი*, *ციხის-თავი*, *ციხის-ციხე*, *ციხოვანი*, *დედაციხე* და სხვა.

ციხე იყო სიმბოლო ქალაქის პატრონობისა. ციხეს და მის გარშემო დასახლებას სხვადასხვა ენოვანი კონკურენტები გამოუჩნდა. თურქული *კალეკალა* და არაბული *რამათი*. ახალციხის შემთხვევაში, რადგან *ციხე* იქცა ქალაქის აღმნიშვნელი სახელის შემადგენელ ნაწილად, ამიტომ ციხეს და მის გარშემო დასახლებას არაბობის შემდეგ *რამათი* ეწოდა. რამათი დღევანდლამდე ჰქვია ახალციხის ერთ-ერთ უბანს, ამიტომ მის შესახებ ცალკე გავემახვილებთ ყურადღებას.

ოსმალობის პერიოდში ბევრი ციხის სახელი ითარგმნა. ასე მაგალითად: *ოქროს ციხე* იქცა *ალთუნყალად*, *მგელციხე* *კურდკალად*, *თეთრიციხე* *აღჯაყალად* და სხვ.

მე-16 საუკუნიდან მართალია ოსმალებს ახალციხე არ უთარგმნიათ, მაგრამ იგი იმდენად დაამახინჯეს, რომ ამ მეტად გამჭვირვალე სიტყვას საეჭვო შინაარსი შესძინეს და ასევე საჭვო გახადეს მისი ეტიმოლოგია. იგი თურქულად მოიხსენიება ორი ძირითადი ვარიანტით *ახსზა* და *ახსკა* გვხვდება აგრეთვე: *ახელცა*, *ახასკა*, *ახალსიკ*³⁰⁷ და სხვა ფორმები. აღმინისტრაციული ფაქტორი ტოპონიმთა ცხოვრებაში გადამწყვეტია. ამიტომ როდესაც ახალციხე აღმინისტრაციულად საქართველოს შემადგენლობაში აღარ იყო, მას რომ დამახინჯებული სახელი უწოდეს მეზობლებმა, ჩვენი გაუნათლებლობის და ზოგ შემთხვევაში ისტორიის უცოდინარობის გამო ამ მცდარ ფორმებს ქართველებიც კი იმეორებდნენ. „ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ეხება ომან მდივან ბეგი ხერხეულიძის თხზულებში „მეფობა ირაკლი მეორისა“ უცხო ენობრივ ელემენტებს და შენიშნავს: „გასაოცარია აგრეთვე, რომ ომან მდივანბეგი ახალციხის მაგიერ „აღსიტას“-ს წერს. ამიტომ აღამიანს შეიძლება ეფიქრა კიდევ, იქნებ ჩვენი მემატიანე ამ შემთხვევებში სპარსული, ან ოსმალური წყაროებით სარგებლობდაო, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია: თუმცა გასაკვირველი კია, მაგრამ ომან ხერხეულიძე ახალციხეს ისევე უძახდა, როგორც თურქები უძახდნენ, ჩანს, ქართული „ახალციხე“ სახელწოდების გადათურქულებული „ახსზა“ ფორმა ისევე გადმოუქართულებიათ და „აღსინა ფორმით უხმარიათ“³⁰⁸.

³⁰⁷ ს. ჯიქია, გუჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 42.

³⁰⁸ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ასევე ბევრ ვარიანტს გვთავაზობენ სომეხი ტოპონიმისტები ახალციხესთან დაკავშირებით. მათ მიერ მითითებულია, რომ *ახალცხა* – [*Axanuxa, Axalc'xa, ახალციხ, ახალცხა, ახლცხა, სამცხე, Axalcix, Axylcxa, Axlcxa, Samcxe*] – მაზრა თბილისის გუბერნიაში, 1828 წლამდე შედიოდა ახალციხის საფაშოში, შემდეგ რუსეთის სახელმწიფოში. ქართველები აგრეთვე უწოდებენ სამცხეს³⁰⁹. ახალციხე მხარის სახელად შემდეგ არის გამეორებული და ჩამოთვლის ვარიანტებს დამატებული აქვს *ახალციხე, სამციხე, სამცხე, ოძრხე ახალციხი, ახასხა, ახლცხე, აკესე, აჰლჰა, აღსიხა Axalcixe, Samcixe, Samcxe, Üjyrxe, Axalcixi, Axasxa, Axlcxe, Akese, Ahlha, Aösixa*³¹⁰.

სომეხი ტოპონიმისტები ახალციხის მდებარეობის განსაზღვრისათვის მიუთითებენ *არარატის* მიმართულებას შემდეგნაირად, რომ *ახალციხე* (*ახალცხა*) ქალაქი საქართველოში. ახალციხის რაიონი. ფაზისის რაიონის ქვაბულიდან *ზეგარის* გადასასვლელიდან შირაქისაკენ და *არარატის* გზაზე, რაბათად წოდებულ კლდიან მთაზე ერისთავმა *გუგარამმა* დაარსა ლომსიანთა ციხე-ქალაქი, რომელიც ძველად შედიოდა გუგარქის გუბერნიაში. მე-12 საუკუნეში ციხე დაიპყრო *თამარ მეფემ*, განაახლა და უწოდა *ახალციხე*, რომელიც ქართულად ნიშნავს *ახალ ციხეს*³¹¹. რა თქმა უნდა, ნამდვილად არ სჭირდებოდა თამარ მეფეს ახალციხის დაპყრობა მე-12 საუკუნეში. როდესაც საუბარია ახალციხის გუგარქის მხარეში მოქცევასთან დაკავშირებით (იგულისხმება II საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ახალციხე გაიგივებულია სამცხესთან (ოძრხესთან), ან კლარჯეთის ერთ ნაწილთან³¹², რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის. *ახალციხე*, როგორც ქალაქის სახელი, ან მისი ყოფილი სახელი *ლომსიანთა*, მაშინ დადასტურებული უნდა იყოს იმავე პერიოდის წყაროებში. აუცილებელია გამიჯვნა, როდის იგულისხმებოდა *ახალციხეში სამცხე*. მე-12 ან მე-9 საუკუნეში (შესაბამისად ახალციხისა და ლომსიანთას მოხსენიების პერიოდი) სამცხეს უნდა ენაცვლებოდეს ახალციხე, ასევე დგება საკითხი მესხეთისა და *მესხებისა*. ახალციხე უნდა ჩანაცვლებოდა არა მართლ *სამცხეს*, არამედ მესხეთს, რაც არ მომხდარა და არ მოხ-

³⁰⁹ A. X. Hakobean, St. T. Meliq-Baxmian, H. X. Barsebian, დასახ. ნაშრომი, ერევანი, ტ. I, 1986, გვ. 107.

³¹⁰ იქვე, გვ. 108.

³¹¹ იქვე.

³¹² იქვე.

დებოდა, რადგან ახალციხე ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც მხარის აღმნიშვნელად გვიან საუკუნეებში გვხვდება, ისიც ძირითადად არაქართულ წყაროებში.

შეიძლება ვიფიქროთ, იქნებ არც ღირდა ამდენი საუბარი ახალციხის დამახინჯებულ ფორმებზე. რა მნიშვნელობა აქვს ვინ, რომელი ქვეყანა რას დაუძახებს მესხეთის დედაქალაქს, მთავარ ქალაქს, როგორც ისტორიულად, ისევე დღეს, მაგრამ ნამდვილად არ იქნებოდა სწორი ასეთი მიდგომა საკითხისადმი, რადგან მცდარ, უფრო სწორად, დამახინჯებულ ფორმას, მოჰყვება მცდარი, დამახინჯებული ეტიმოლოგია, ისტორია და გაყალბებული ფორმები, და შესაბამისად ისეთი „დასკვნები“, რაც ძალიან საზიანოა ქართული ისტორიისათვის, დღევანდელი ცნობიერებისათვის, ჩვენი მომავლისათვის.

ახალციხე და მესხეთი იქცა სადაო ქართულ სახელებად. ბოლო დროს გააუებული სტატია დაიბეჭდა ახალციხის თაობაზე და ეს იმიტომ, რომ ითქვა ახალციხე ქართული სახელია, მესხური ტომები (უძველესი ტომები) ქართველი, ქართველური ტომებია და სხვ. ახალციხე „დედე ქორქუთში“ ნახსენები აკ-სიკა, აკ-ყალე³¹³ ამას თურქი მეცნიერი ყოველგვარი მტკიცების გარეშე გვამცნობს, იგი არ იძლევა ქალაქის და „დედე ქორქუთში“ დადასტურებული სახელის ლოკალიზაციას, არ ითვალისწინებს იმას, რომ ქართულ ისტორიულ გეოგრაფიაში ახალციხე შედარებით ახალი სახელია და იგი XII საუკუნიდან ჩნდება, მანამდე მას, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ლომსია ერქვა. მხოლოდ სამხრეთ საქართველოში არა გვაქვს ახალციხე, იგი კიდევ, როგორც ითქვა, 3 დასახლებულ პუნქტს ჰქვია ჩრდილოეთ საქართველოსა და ქართლში და შეუძლებელია „დედე ქორქუთში“ დადასტურებული სახელისა და ამ ოთხი ახალციხის იდენტიურობის მტკიცება, რაც პრინციპულად აყენებს ეჭვქვეშ აკ-სიკას, აკ-ყალესა და ახალციხის იგივეობას.

ერთია, როდესაც უარყოფენ ქართულ წყაროებს, საერთოდ და მეორეა, იმ წყაროთა გაყალბება, სადაც დაცულია რეალური ცნობები ახალციხის შესახებ. ასეა გაყალბებული ქართული წყარო „ქართლის ცხოვრება“, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ იგი თავდაპირველად დაიწერა ბერძნულად და შემდეგ ითარგმნა ქარ-

³¹³ Yunus zeyrek, Ahıska Türkleri, ანკარა, 2000.

თულად³¹⁴, სხვა შემთხვევაში კი „ქართლის ცხოვრება“ ყოფილა *აფხაზურ-ქართული წყარო*³¹⁵.

გაოცებას იწვევს თურქ მეცნიერთა განცხადება, რომ მათთვის საეჭვოა „მესხეთი, რომელსაც ეს სახელი დაერქვა ახალციხის მხარეში მცხოვრები მესხი ტომებისაგან, მოიცავს არტაანს, შავშეთს, ჩილდირს, ფოსოფს და ახალციხეს“³¹⁶. ეს ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ არის საეჭვო, მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი მეცნიერების განცხადება, რომ „ჩვენ არ გვაქვს ხელთ მესხების ქართველებად დამადასტურებელი რაიმე ისტორიული საბუთი. შესაძლებელია, რომ *მესხად* წოდებული ზემოაღნიშნული ტომი თურქული წარმოშობის *მასკლარის* ტომია“³¹⁷. რადგან მათ ხელთ არა აქვთ დამადასტურებელი საბუთი, ეს მათი პრობლემაა, სამწუხაროდ თითოეული ტოპონიმის, ეთნონიმის, რაც არ უნდა გამჭვირვალე იყოს იგი, დაცვა გვიწევს და უნდა დავიცვათ. სხვაგვარად შემოგვეპარება ყალბი ეტიმოლოგია და დაიდებს სათავეს ახალი ტრადიცია, რაც შემდეგ შეიძლება პოლიტიკაშიც კი გადაიზარდოს. სხვაგვარად უკვე აშკარად გაჩნდა „მტკიცებანი“, რომ სამხრეთ საქართველოში თურქები გამოჩნდნენ პრეისტორიულ ხანაში, რომ ისინი არიან შუმერების ერთ-ერთი განშტოება, რომ *კოლხები შუაზიური მოდგმის ტომია* და ე.ი. *თურქული* მოდგმა და რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 720 წელს სკვითების მიერ გამოდევნილი *ქერა, მრგაულსხიანი, ცისფერთვალეა ყუმანები* ანუ *ყივჩალები* სწორედ სამხრეთ საქართველოში დასახლდნენ³¹⁸ და რატომღაც ასეთი აღწერილობის ხალხი მხოლოდ იქ შემოგვრჩა, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ. საერთოდ ცისფერთვალეასა და თეთრ ფერზე გართულება აქვთ მათ. აი, სადამდე მიგვიყვანა ერთი უბრალო ქართული სახელის *ახალციხის* კვლევა და მისმა ტოპონიმურმა შესწავლამ.

³¹⁴ T. C. Ardahan Valiligi, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

³¹⁵ იქვე.

³¹⁶ Yusuf URAMALI, Kars ve Tiflis Üniversiteleri neyin peşinde?, “Ahı-ska” Dergisi, Sayı 2, İst., 04 Kasım 2002, გვ.23-26.

³¹⁷ იქვე.

³¹⁸ იქვე.

თავი II. ტოპონიმური სახელი დიალექტთან მიმართებაში

§ 1. ფონეტიკური პროცესები

ჩვენი კვლევის ობიექტია ისტორიული მესხეთის ტოპონიმია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, შესაძლებლობის ფარგლებში, მესხური დიალექტის გეოგრაფია და მოხდეს მისი ენობრივი დახასიათება. დგება დიალექტისა და ტოპონიმის ურთიერთმიმართების საკითხი. საქართველოს სხვა დიალექტები ამ შემთხვევაში უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან დიალექტური მონაცემების საფუძველზე ხერხდება ტოპონიმთა ეტიმოლოგია. რადგან მესხური დიალექტი ისტორიულად მოიცავდა ბევრად უფრო მეტ ტერიტორიას, ვიდრე დღევანდელი სამცხე და ჯავახეთია, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, გვიწევს საწინააღმდეგო პროცესის კვლევა, კერძოდ, ტოპონიმური დიალექტის თავისებურებანი.

დიალექტისა და ტოპონიმის ურთიერთმიმართების პრობლემას სპეციალურად შეეხო, შესაბამისი ლიტერატურა მიმოიხილა ბ. ჯორბენაძემ³¹⁹ და მიუთითა იმ მეთოდოლოგიურ სიმწირეზე, რაც პრობლემას ახლავს თან: „აშკარად ჩანს საჭიროება იმისა, რომ გამომუშავდეს ახალი მიდგომა პრობლემისადმი და დადგინდეს, რამდენადაა შესაძლებელი ტოპონიმის საშუალებით დიალექტურ მოვლენათა კვლევა, ისტორიული დიალექტოლოგიის ფაქტების დადგენა და, პირიქით, რას აძლევს დიალექტოლოგიური ასპექტით კვლევა-ძიება ტოპონიმისას, ისმება თუ არა ამის საფუძველზე ახალი საკითხები ტოპონიმისასა და დიალექტოლოგიაში“³²⁰.

ვიდრე ბოლომდე არ იქნება შესწავლილი მესხური დიალექტი, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში და ასევე, ვიდრე არ იქნება ისტორიული მესხეთის ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი შექმნილი, შეუძლებელია დიალექტისა და ტოპონიმის ურთიერთობის საბოლოო სურათის დახატვა, მანამდე იძულებულია მკვლევარი ზოგადი ან კერძო ცალკეული საკითხის შესწავლით დაკმაყოფილდეს. მთავარია, რომ საკითხის კვლევა არის პროცესი,

³¹⁹ ბ. ჯორბენაძე, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში (ზოგადი მიმოხილვა), ტოპონიმია I, თბ., 1976, გვ. 226-261.

³²⁰ იქვე, გვ. 228.

რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს უპირველესად დიალექტისა და მისი ტოპონიმიის საბოლოო შესწავლამდე, საიდანაც ერთი ნაბიჯია პრობლემის გადაწყვეტამდე. რა თქმა უნდა, ერთ-ერთ გადამწყვეტ სიტყვას ამ შემთხვევაში იტყვის ისტორიული დიალექტოლოგია და ისტორიული ტოპონიმია. მხოლოდ ცალკეული დიალექტისა და შესაბამისად ტოპონიმიის კვლევა მოგვცემს საშუალებას, ვიკვლიოთ ზოგადი პრობლემები როგორც ქართული ენის ფარგლებში, ისე ზოგადი ენათმეცნიერების ფარგლებში.

ტოპონიმია გვაძლევს ძვირფას ცნობებს ისტორიული დიალექტოლოგიისათვის, „რადგან ძველი (უნდა აღინიშნოს, საკმაოდ დარიბი) ჩანაწერების გარდა ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ფრიად მნიშვნელოვან მასალას სწორედ ტოპონიმია იძლევა. დიალექტებისათვის ისტორიულად, განვითარების გარკვეულ საფეხურზე დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი უშუალოდაა ფიქსირებული ტოპონიმებში“³²¹.

ტოპონიმთა კონსერვატულობა ახსნილია შ. აფრიდონიძის მიერ იმით, რომ „სხვა საკუთარ სახელთაგან განსხვავებით, ტოპონიმები ტერიტორიულად მიჯაჭვული ერთეულებია, ამდენადვე ისინი ტერიტორიული დიალექტების ერთეულთა ხვედრს იზიარებენ. მაშასადამე მოსალოდნელია, ტოპონიმია ისევე ასახავდეს დიალექტურ მოვლენებს, როგორც აპელატიური ლექსიკა“³²². აქედან გამომდინარე ჩნდება ტოპონიმთა მნიშვნელობა დიალექტის (და საერთოდ ენის) ისტორიის შესწავლის საქმეში.

ერთი მხრივ ტერიტორიული მიჯაჭვულობა და მეორე მხრივ ტოპონიმიური კონსერვატიზმი ქმნის იმ განსხვავებას, რაც შეიძლება იყოს რეალური დიალექტთა მონაცემებს და ტოპონიმურ მონაცემებს შორის. ამიტომ შესაძლებლად მიაჩნია შ. აფრიდონიძეს სამუშაო პირობით ტერმინად „ტოპონიმიკური დიალექტის“ შემოღება³²³, რაც ტოპონიმიურ პლასტებს უნდა ასახავდეს ძირითადად.

მართალია ტოპონიმია არის მდგრადი კონსერვატული ნაწილი ენის ლექსიკური ფონდისა, მაგრამ კიდევ უფრო მდგრადია „სიტყვათწარმოებითი ფორმანტები. ფუძეები შეიძლება ხშირად ნასესხებიც იყოს, აფიქსების სესხება კი, თუ სესხების უკიდურეს გამოვლენასთან ენათა შერევასთან არა გვაქვს საქმე, გაცილებით იშ-

³²¹ ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

³²² შ. აფრიდონიძე, დიალექტი და რეგიონალური ტოპონიმია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVI, თბ., 1987. გვ. 62.

³²³ იქვე, გვ. 63.

ვიათია, ამიტომ ფორმანტებისა და მათი დინამიკის კვლევა, ფუძეთა კვლევასთან შედარებით უფრო კანონზომიერი და საიმედო სურათი უნდა მოგვცეს“³²⁴. როდესაც ტოპონიმთა კონსერვატულობაზე მიუთითებენ, ჩვენი აზრით, იგულისხმება თავად ტოპონიმის შემთხვევაში თავდაპირველი სახით აღდგენილი ასაკი, თორემ ტოპონიმებში შეიძლება მოხდეს ბევრი ისეთი ცვლილება, რომელიც აპელატივის დონეზე ჩვეულებრივ დიალექტში არ გვხვდება³²⁵, მაგრამ ტოპონიმი ხომ „ტერიტორიულად მიჯაჭვული ერთეულებია“, ამიტომ ვფიქრობთ, ცალკე ტოპონიმიური დიალექტი კი არ უნდა გამოიყოს, პირიქით, დიალექტის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს ტოპონიმიური მონაცემები.

ტოპონიმია განიხილება ენის ლექსიკური ფონდის ერთ ნაწილად, ამიტომ მას ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც ლექსიკისათვის არის დამახასიათებელი.

მიუხედავად ამისა, ტოპონიმის კვლევის მეთოდები განსხვავდება ენის კვლევის მეთოდებისაგან, რადგან ტოპონიმთა წარმოქმნა მხოლოდ ენობრივი მახასიათებლებით არ არის მოტივირებული. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და სხვა გარემოებანი. ამიტომაც ხშირად ტოპონიმთა კვლევა ცამხრივად ხდება. ისტორიული კუთხით განხილულ საკუთარ სახელს აკლია ენობრივი მხარე და პირიქით. იდეალური შემთხვევაა, როდესაც თითოეული ტოპონიმის კვლევა ხდება კომპლექსურად, ყველა მონაცემების გათვალისწინებით. ტოპონიმიური კვლევის გასაღები მაინც ენობრივი კუთხით იწყება, ამიტომ ეტიმოლოგიას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ამ შემთხვევაში დაზღვეული არა ვართ ზოგიერთი ცდომილებისაგან.

„ტოპონიმთა კლასიფიკაცია სამ ძირითად პრინციპს ემყარება: ფორმობრივს, შინაარსობრივსა და გენეტურს“³²⁶. დიდ ხანია, რაც გამჭვირვალე ტოპონიმთა კვლევა მიმდინარეობს ფორმისა და შინაარსის მიხედვით. როდესაც საქმე ეხება გენეტიკურ კვლევას, ამ შემთხვევაშიც შედეგები გამიზნულია სახელის საბოლოო ფორმისა

³²⁴ იქვე, გვ. 64.

³²⁵ მ. ბერიძე, ჯავახუთი (ტოპონიმიკური ანალიზი) თბ., 1992, გვ. 39-60. თავი გრამატიკული ანალიზი (ტოპონიმიური სახელი დიალექტთან მიმართებაში).

³²⁶ ბ. ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის, იკე, ტ. XXV, 1986, გვ. 31.

და შინაარსის, მისი წარმოებისა და სემანტიკის დასახასიათებლად. ამიტომ გაუმჭვირვალე ტოპონიმთა კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება განმეორებადი ელემენტების, სხვაენოვანი მონაცემების, ენათა გავლენების და სხვა ლინგვისტურ მონაცემთა გათვალისწინებას. რასაც საბოლოოდ მივყავართ პლასტიკამდე, რაც უეჭველად ენობრივი პლასტიკებიც არის.

ტოპონიმთა შინაარსობრივი დახასიათება (დახასიათება მხოლოდ ამ კუთხით), არ არის საკუთრივ ტოპონიმთა ფუძედ გამოყენებული³²⁷.

მესხეთის ტოპონომიას ახასიათებს ის ფონეტიკური პროცესი, რომელიც დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებების ისეთ კერძო შემთხვევებს, არც დიალექტში და არც სალიტერატურო ენაში რომ არ გვხვდება და თუ გვხვდება, ძალიან იშვიათად.

როგორც ცნობილია, სიტყვა „კარი“ ქართულ სალიტერატურო ენაში რედუქციას არ განიცდის, რედუქცირდება ის მხოლოდ მაშინ, თუ კომპოზიციის შემადგენლობაში შედის (ცისკარი→ცისკრის). ასეთივე შემთხვევა დასტურდება ჯავახურ ტოპონიმიაშიც. ადგილის სახელი *ჭაბიკარი|ჭაბის კარი* შეკუმშულია ნათესაობითში: გვაქვს *ჭაბიკრის* – ციხე-კოშკი, სარო; *ჭაბიკრის თავი* – ქვაბები, ზედა თმოგვი; *პინეტკარი* – ნასოფლარია გოგაშენში და იქვეა *პინეტკრის* გზა. მაგრამ *კლდეკარის* ნათესაობითის ფორმა იქნება *კლდეკარის* და არა *კლდეკრის*.

მესხურ დიალექტში არ იკუმშება არც სიტყვა *კრავი*, მაგრამ ადგილის სახელად გვხვდება *კრის* ჭალა, მისი პარალელური ფორმაა *კრავის* ჭალა-ჭალა, თოკი. –ა ხმოვნის რედუქციას მოჰყვა ვ თანხმოვანის დაკარგვაც (შღრ. ამბავი→ამბის).

მესხურ ტოპონიმებში იკუმშება, აგრეთვე, ა სიტყვა *ატარაში*→*ატრა* (ეს სიტყვა ძირითადად ამ უკანასკნელი ფორმით გვხვდება დიალექტში). ე.ი. პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს. ყოველგვარი წარმოქმნის გარეშე კუმშვა ხდება ცალკე სიტყვაში. *ატრაშენი* – ნასოფლარი, რუსთავი; *პატრასერი* – სერი, ვარგავი; *პატრარუსთავის* კარი – გორაკები, რუსთავი.

იკარგება ნა- პრეფიქსისეული ა ორმაგი პრეფიქსული წარმოებისას ტოპონიმში *სანყორიები*←*სანაყორიები*.

³²⁷ ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

შეიძლება დაიკარგოს ისეთი მარცვალი, რომელსაც ა ხმოვანი ქმნის. ადგილის სახელად გვაქვს *ფუტკარა* ნასოფლარ ფიაში და იქვეა გამოღმა *ფუტკარა* პარალელური ფორმით — *გამოფუტკარა*.

ერთი შეხედვით — ე ხმოვანის დაკარგვაა თითქოს *სარცხელას* შემთხვევაში (წყლის მონაკვეთი, ზელათმოგვი) და თითქოს მიღებული უნდა იყოს *სარეცხელასგან*, მაგრამ აქ არქაულ ფორმასთან გვაქვს საქმე. სარეცხის ადგილები მდინარეზე ხშირად იყო ხოლმე, დღესაც ბევრგან შეგვხვდება ჯავახეთის მტკვარზე ასეთი „სამრეცხაოები“. ზოგიერთი წყალი განსაკუთრებით კარგად რეცხავს და სწორედ იქ შეარჩევდნენ შესაბამის ქვიან ადგილს. ეს სიტყვა სხვა შემთხვევაშიც გვხვდება არქაული ფორმით — *სარცხი*. ჭურის სარეცხ სპეციალურ ხელსაწყოს *სარცხი* ჰქვია.

ძველ ქართულში ეს ფუძე ე-ს გარეშე გვხვდება. ასეა დამოწმებული ილ. აბულაძესთან: „განრცხა, გარცხა „გამორცხა“ გარეცხვა, „განბანა“. ასევე ე-ს გარეშე გვხვდება დ. გურამიშვილთან:

„ალაბელათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა, გამიჭირდება გარეცხა, შეიქ ოხვრას და ქმენასა“

აგრეთვე:

„კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს, უწინდელი გათხუენილი დარჩა კაბლო, აღარ გარცხეს“³²⁸.

როგორც პირველი მაგალითიდან ჩანს, დ. გურამიშვილის დროს უკვე ორი ფორმა იხმარებოდა.

ე ხმოვანი იკარგება ე ბგერის წინ სიტყვაში მორევი: *მორევი* — საყანე, სარო (←მორევი).

ფეფენა საკუთარი სახელია, ეფენას (←ეფემია) მოფერებითი ფორმა. პარალელურ ფორმებად გვაქვს *ფეფენაგორა* და *ეფენაგორა* — საყანეები, გოგაშენი.

იკარგება ო ხმოვანიც კალო სიტყვაში. *კალები*, *ნაკალები* — ნაკალოარი, მურჯახეთი. მურჯახეთში შერეული, სომხური-ქართული მოსახლეობაა, დღეს სჭარბობენ კიდევ. ამიტომ, ეფიქრობთ, ამ შემთხვევაში სომხური კალ (საყ) სიტყვაა გამოყენებული, რომელიც კალოს ნიშნავს.

ჰასანაჭალა სრულიად კანონზომიერი ფორმაა ჯავახურისათვის დამახასიათებელი ს ბგერის დაკარგვით, მაგრამ არსებობს ამ სოფელში სხვა ფორმაც — *ჰასანჭალის* (*ჰასანჭალის ბაქანი*), სადაც

³²⁸ დ. გურამიშვილი, ქართული პოეზია, 4, თბ., 1975, გვ. 81.

საკუთარი სახელის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვის იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ჯავახეთში თმოგეთან გვაქვს ნასოფლარი — *ბერთაყანა*. დადასტურებულია ამ სიტყვის შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმა — *ბერთაყნის გზა* და *ბერთაყნის ძაღები*. ყანა სიტყვაში ა ხმოვნის დაკარგვა სხვა პოზიციაშიც გვხვდება. ნასოფლარ როკეთში ფერდობის სახელად გვაქვს *საყნიგვერდი* — საყანის გვერდი. ამ სიტყვის პოზიციური კუმშვა მხოლოდ კონკრეტულ და იშვიათ შემთხვევაში ხდება და საფიქრალია, რომ ასეთი შეკუმშული სახელწოდებები შედარებით ძველია, ისე ძველი, რომ შესაძლებელია ყანა სიტყვას თავისი მნიშვნელობა დაკარგულიც ჰქონდა. *ბერთაყანა* და *საყანე* გამორჩეულად ადრე შერქმეული სახელები უნდა იყოს.

მაცხოვრება ნაეკლესიარია ჭობარეთში და კომპოზიტს წარმოადგენს. მისი ერთი ნაწილი ქართული *მაცხოვარია*, ხოლო მეორე — თურქული ყაია (კლდე). კომპოზიტში ჯერ დაიკარგა ა, მოხდა ჩვეულებრივი კუმშვა → *მაცხოვრის*. შემდეგ მოსცილდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა — *მაცხოვრება* და ბოლოს დაიკარგა ვ-ინიც.

ხშირია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვა, მაგ.: ქალსახტომელა (← ქალისსახტომელა) — კლდე, ღობიეთი. ხდება, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მნიშვნელობასაც უცვლის სახელს, კოთელიაში ერთ-ერთ ნაკლოარს ჰქვია *თაგკალო* (← თავისკალო), რომელსაც ადგილობრივთათვის ამჟამად კალოს თავის მნიშვნელობა აქვს. რომ ეს მნიშვნელობა გვიანდელია, ამას ადასტურებს იმავე კოთელიაში დადასტურებული თიულჭალა (← თიულისჭალა).

ბრუნვის ნიშნის მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილია დაკარგული სახელებში — *თავიჭაღები* — მინდორი, ერკოტა და *თავიჯვარი* — ნასოფლარი, ჭობარეთი. ორივე შემთხვევაში მნიშვნელობის ცვლასთან გვაქვს საქმე და თავი გაგებულია მსაზღვრელად, მეთაურის მნიშვნელობით. სემანტიკური ცვლილება მოჰყვა შედეგად ფონეტიკურ ცვლილებას აგრეთვე სახელში *თაროგვერდი* (← თაროს გვერდი) მინდორი, ზველი. ამ ტოპონიმიდან წარმოიქმნა ახალი სახელები: *თაროგვერდითაი* და *თაროგვერდიძირი*. თეთრა ადამიანის საკუთარი სახელია ჯავახეთში. პარალელურ ფორმებად გვაქვს *თეთრაწყარო* და *თეთრასწყარო*. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც თეთრა ადამიანის საკუთარი სახელი არ არის, არამედ — ზედსართავი სახელი, მაშინ *თეთრწყარო* გვექნება (წყარო, ხიზაბაკრა).

განსაკუთრებით ბევრია შემთხვევა, როდესაც ზედსართავი სახელი ფუძით არის წარმოდგენილი, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე: *დიდუკე* – მინდორი, თოკი, ზველი, სარო. *დიდუკის თავი* – საძოვარი, სარო. *დიდუკაჰანა* – ყანა, ჭობარეთი. *დიდულე* – დლე, ნაქალაქევი, *დიდყანონები* – ყანები, ქუნცა; *დიდჭყობაძლა* – მინდორი, ზედათმოგვი, დიდწყარო და სხვ. საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე რუსთავის ტოპონიმიში. ისტორიულ სოფელს, რომელიც დღეს ნასოფლარია, *წყალთბილა* ჰქვია, ხოლო ხევს *თბილწყალაი*. წყლის სითბომ განაპირობა ადგილის სახელდება ერთ შემთხვევაში ძველი ნორმების მიხედვით, ხოლო შემდეგ, დღევანდელი, თანამედროვე ნორმებით.

ამავე რიგშია შემდეგი სახელები: *დიდუკე* – ვაკე, ხიზაბავრა. *ობოლკლდე* – კლდე, ერკოტა. *ორბუნეი/ორცხვირაი* – ფერდობი, ტოლოში. *ჭიანვორა* – გორა, დანკალი და სხვ.

როგორც ჩანს, სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მნიშვნელობას ვერ უცვლის ტოპონიმებს, მაშინ, როდესაც ა-ს დაკარგვა კომპონენტის პირველ ნაწილში ტოპონიმიური სახელის მნიშვნელობას ცვლის: *უკანტოლოში* – ნასოფლარი, ტოლოში; *უკანხევი* – ხევი, ერკოტა; *უკანმორევაი* – ყანა, ზველი; *უკანჭალა* – მინდორი, კოთელაი; *წინწყარვიები* – მინდორი, პტენა.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის უკანტოლოში უკანტოლოში კი არ არის, არამედ „ტოლოშის უკან“. შესაბამისად აქვს გაგება ზემოჩამოთვლილ სახელებში: „ჭალის უკან“, „ხევის უკან“, „წყაროს წინ“ და სხვ. თავდაპირველად კი ასეთ ტოპონიმებში ზედსართავ სახელს მსაზღვრელის მნიშვნელობა ჰქონდა და არა წინდებულისა. ამის დამადასტურებელია ისტორიული სახელი წინუბანი, რომელიც „წინა უბანს“ ნიშნავს და არა „უბნის წინ“.

კომპოზიტურ სახელებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილის დაკარგვა ჩვეულებრივი და დამახასიათებელია მესხურისათვის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ს ჰ-დ იცვლება: *ლარიჰყანები* – ყანები, აძვეიტა, *ოქროჰქვა* – გზა, ხიზაბავრა; *მუნიჰკორდები* – კორდები, ხიზაბავრა; *რუჰყანები* – ყანები, ერკოტა; *რუჰჭალები* – ჭალები, ერკოტა; *ბუჰკლდე* – კლდე, თმოგვი; *შორაჰზიჰპირი* – სათიბი, ჭობარეთი და სხვ.

იკარგება აგრეთვე ვ. ბგერა ო-ს მეზობლობაში, მაგრამ ადგილი აქვს სხვა პროცესსაც. *დიდყანონების* პარალელური ფორმაა ქუნცაში *დიდყანოვანები*. *საროვილი* ჩრდილი (ფერდობი, ხიზაბავრა) მიღებულია საროულისაგან (სარო სოფელია მეზობლად). პროცესი ასე განვითარდა, ჯერ უ-მ მოგვცა ვ, ხოლო შემდეგ თანხმონათგ-

ასაყარად გაჩნდა ი, როგორც ჩანს, -ლ სუფიქსის ანალოგიით. უ
ხმოვანი სხვა შემთხვევაში გვაძლევს ვ-ს: *ნარვალები* - მინდორი,
ხიზაბავრა. მიღებულია ნარუალ-ფუძისაგან.

მალარო//მალარა გავრცელებული სახელია სამხრეთ საქართვე-
ლოში. მისი მრავლობითი იქნება *მალარიები* (ქვაბები, აბგვიტა,
ლობიეთი, თოკი და სხვ.) ეს პროცესი (მალარო//მალარა → მალა-
რები → მალარიები) დამახასიათებელია მესხური დიალექტისა-
თვის³²⁹. ასევეა მიღებული *მელისორიები* მელისოროებისაგან.

ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ
ტოპონიმს პარალელური, ვ ჩართული ფორმებიც მოეპოვება. მალა-
რვიები, სორვიები. ვ აქ ფუძისეული ო-ს რეალიზაციაა ასიმილა-
ცია-დისიმილაციის შემდეგ. ამ მოვლენით უნდა აიხსნას ვ-ს არ-
სებობა შემდეგ სახელებში: თარვიები - მალლობი, სარო (-თაროე-
ბისაგან). *წყარვიები*, რომელიც მრავალ სოფელში გვხვდება წყა-
როს სახელად.

მარიამობის დღესასწაულს ჰქვია მარიობა. *მარვიების ყანები*
ისეთი ყანებია, რომელიც მარიობისათვის შემოდის.

ამ სახელში ვ-ს გაჩენის გზა ასე გვესახება: მარიობის → მარი-
ვების → მარვიების. *ბაღდეიენტ ყანა* - ყანა, ერკოტა (← ბაღლო-
ენტ → ბაღლოანთ) ბერვიენი-უბანი, სარო (← ბეროენი → ბეროა-
ნი).

ბ/ვ-ს სუბსტიტუცია ხდება ორ ტოპონიმში: *ბერთაყანა* - ნას-
ოფლარი, თოზგვი; მისი პარალელური ფორმაა *ვერთაყანა*. დაბნია
//დავნია - სოფელი, ახალქალაქი.

მეტათეზისის საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდე-
ნიმე შემთხვევაში: 1. *ხელხმევი* - ხევი, ხიზაბავრა, მიღებულია
ხმელხვეისაგან, რომელიც აგრეთვე იხმარება პარალელურ ფორ-
მად. პროცესი ასეთი ჩანს: ხმელხევი → ხლემხევი → ხელხმევი -
კომპოზიტის პირველი ნაწილის გადაზრების და *ხელ* სიტყვად
გაგების შედეგად, ხოლო შემდეგ კი -ვე-ის სუფიქსად ჩათვლისა და
ს და მ ბგერების გადასმამ მოგვცა საბოლოო ფორმა ხელხმევი. ხ
და მ ბგერების მეტათეზისს, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო გარკ-
ვეულმა ანალოგიამ (შდრ. ამ არეალში გავრცელებული ტერმინი
ხალხმები). 2. *ლოღრანა* - ფერღობი, პტენა; რ-ნ-ს გადასმის შედე-

³²⁹ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ.
142.

გად არის მიღებული — (ლოდნარასგან). *ძღვარწყარო* — *ძრავალწყაროსგან* (წყარო, გოგაშენი). ამ შემთხვევაში ლ-რ-მ შეიცვალეს ადგილები.

3. ნ-ლ გადაადგილდა *ვენჯალანთ* სახლი ვაკეში — ვაკე, ხიზაბავრა (← ველიჯანანთისაგან).

4. სამცხე-ჯავახეთის საზღვარზე არის ნასოფლარი *ტაიჭა*, რომელსაც პარალელ ფორმად აქვს *ჭაიჭა*.

ქართულისათვის ბუნებრივმა ბგერათკომპლექსმა ჯგ-მ მეტათეზისის შედეგად შეიძლება მოგვცეს გჯ: *ნიჯგორაულები* — საყანები, ხიზაბავრა, მიღებულია ნიჯგორაულებისაგან (ნიჯგორი ნასოფლარია მეზობლად).

ირაციონალური ხმოვანი ჯავახეთის ტოპონიმიაში ძირითადად არაქართულ ლექსიკას ახასიათებს³³⁰, მაგრამ გვხვდება ქართულშიც ბცრმა ხევი-ხევი, ხიზაბავრა, ზველი და სხვ. ბცრმა წყარო-წყარო, ხერთვისი; კკლდითავი, ყანა, ერკოტა და სხვ.

§ 2. მორფოლოგიური თავისებურებანი

მესხეთის ტოპონიმიაში მრავლად გამოიყოფა სიტყვათ საწარმოებელი აფიქსები, რომელთაგან აღვნიშნავთ მხოლოდ თავისებურს. პრეფიქსული წარმოებიდან თავისებურებას იჩენს ნა-პრეფიქსი.. ნა-პრეფიქსით არის ნაწარმოები შემდეგი ტოპონიმები: *ნანეხვი* — სათესი, ხიზაბავრა; *ნაჭალი* — ტყე, მინდორი. ნა-პრეფიქსმა შეიძლება ფუძის შეკუმშვა გამოიწვიოს. *ნაგუთნი* — ნასოფლარი, ჭობარეთი რომლის პარალელური ფორმაა ნაგუთნები. სიტყვა *ყორე* იშვიათად გვხვდება ჯავახურ დიალექტაში, მაგრამ ტოპონიმიაში პროდუქტულია: *ყორიანი* და სხვ. *ნაყორეს* გამოვეყოფთ *სანყორიებში*, სადაც ნა-პრეფიქსით ნაწარმოებ ნაყორეს ხელახლა დაერთო სა-პრეფიქსი: *სანყორიები* (←სანაყორიები).

ნა-პრეფიქსი შეიძლება -ევ სუფიქსთან ერთადაც შეგვხვდეს: *ნაზერევი* — ნასოფლარი, ხერთვისი. *ნაზერევი/ნაზეროვი*—სათესი, თოკი. საერთოდ, მხოლოდ პრეფიქსული წარმოება ახასიათებს ჯავახურ დიალექტს: *ნასაყდრი*, ნასოფლი.

დასტურდება მხოლოდ სა-პრეფიქსიანი წარმოებაც: საყევარი — ნასოფლარი, ჭობარეთი, *საძელი* —სოფელი, ახალციხის რაიონი.

³³⁰ არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. 12.

სუფიქსებიდან აღსანიშნავია — ეულ მაწარმოებელი, რომელიც დიალექტმა დაკარგა და მხოლოდ ტოპონიმიში გვხვდება, ისიც ძირითადად ორ სოფელში — ჯავახეთში ბარალეთში: *ღველი-ნთსეული*, *ანსეული*, *მაზმინთსეული*, *ბოშენთსეული*, ყველა ყანის სახელად და ასევე ყანის სახელებს აწარმოებს სამცხეში ერკოტას: *აღიშანასეული*, *ლომასეული*, *ჭაროსეული*, *ოსმანასეული*. მხოლოდ ერთი სახელია სარომი: *ღარიბასეული* — ყანა.

ცალკეა გამოსაყოფი —ურ, —არ, —ელ სუფიქსთა ფუნქციები.

—ურ სუფიქსი, ღღეს საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, არააღამიანთა წარმომავლობა-სადაურობას აღნიშნავს საპირისპიროდ აღამიანთა წარმომავლობის აღმნიშვნელი —ელ სუფიქსისა. კახურსა და ფშაურში —ურ-მა შეიძლება აღნიშნოს აღამიანთა წარმომავლობაც³³¹.

აღამიანის წარმომავლობას აღნიშნავს —ურ მესხურში, ოღონდ —ურ-ს ჩვეულებრივ —ა-ც ერთვის და გახაზავს მხოლოდ ქალის სადაურობას, *გამოთხოვილის მამულის მოხსენიებისას*. სოფ. ჩუნჩხა და *ჩუნჩხ-ულ-ა*, სოფ. ზველი — *ზველ-ულ-ა*, დაღეში *დაღეშ-ულ-ა* და სხვ. ამჟამად ასეთი წარმოება თანდათან უფრო იშვიათად გვხვდება. მას მთლიანად —ელ ცვლის: ერკოტ-ელ-ი, ვარგაველ-ი და სხვ. შდრ. სულხან-საბა: *მანა* — „მან მამლად ითქმის, ხოლო *მანა* — დედლად. *მასი* — მამაკაცისათვის და *მასაი* — დედაკაცისათვის, ამისთვის რამეთუ ესრეთ ჯერ-არს თქმად სიტყვათა, რათა ბოლოს (ა) მარცვალთა მიერ ვიცნათ განყოფა მამაკაცთა და დედაკაცთა. ოდესცა ვთქვით: წინასწარმეტყველი, ვაქსენეთ მეორე, დავით, ესაია და გინა სხვა ვინმე მამათაგანი, ოდეს ვთქვით: *წინასწარმეტყველა*, გვითქვამს მარიამ, დებორა, ანნა და ერთი დედათაგანი; აგრეთვე *მოციქული* და *მოციქულა*“³³²...

ტოპონიმიში, მაგალითად, ფშაურში „—ურ სუფიქსით წარმოებისას ამოსავალ ფუძედ აღებულია დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმები“³³³. მთიულეთის მიკროტოპონიმიში —ურ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს აქვთ სხვა გაგება, „ვიდრე სადაურობა“. იგი ეკუთვნილებას აღნიშნავს და ასეთი ტოპონიმები ნაწარმოებია ან-

³³¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1973, გვ. 127-128.

³³² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. VI, იბ., 1965, გვ. 127-28

³³³ ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმია, კრ. ტოპონიმია, I, თბ., 1976, გვ. 47.

თროპონიმებისაგან³³⁴. გ. ზორნაული „მიმართებით ტოპონიმებს“ უწოდებს „დამოუკიდებლად არსებული“ (ფ. მაკალათია) ტოპონიმებისგან — ურ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს.

მესხეთის ტოპონიმიშიც ძირითადად გვაქვს ტოპონიმები, რომლებიც კუთვნილებაზე მიუთითებენ და ანთროპონიმებისაგან იწარმოებიან: *გონკლიკა-ურ-ი* მინდორი, დაღეში, *კოტორა-ულ-ი* — უბანი, ასპინძა; *თაგულა-ურ-ებ-ი*, ყანები, ვარნეთი; *გოგოლა-ურ-ი* — ტყე, ანდრიაწმინდა; *მახარა-ულ-ი* — ყანები, ტყემლანა; *დათა-ურ-აი* — ვაკე, აფნია; *ფუთულა-ურ-ი* — ყანა, აფნია; *ჯილალა-ურ-ი* — ყანები, გოგაშენი; *დათნა-ურ-ი* — მთა, პტენა; *აღია-ურ-ი* — სათესი პტენა და სხვა. ტოპონიმთა ასეთი წარმოება გავრცელებულია მთელ მესხეთში მეტ-ნაკლები სიხშირით. ეს მით უფრო საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დიალექტებში დღეს აქელატივებში კუთვნილების მსგავსი წარმოება აღარა გვაქვს. ე.ი. გოგოლაური ყანა გოგოლას ყანის ნაცვლად არ იხმარება. ასეთი წარმოება განსაკუთრებით საინტერესო ჩანს საქართველოში — ურ სუფიქსით ნაწარმოები სახელების არეალის განსაზღვრისათვის.

—ურ (—ულ) სუფიქსი აწარმოებს ოიკონიმებისაგან ახალ ტოპონიმებს, „მიმართებით ტოპონიმებს“. ასეთი წარმოებაც საკმაოდ პროდუქტიულია. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ურ სუფიქსით ნაწარმოები ოიკონიმები მსაზღვრელად არის გამოყენებული: *აგარულ-ი* ნაჩეხი — ტყე, ერკოტა; *სამსრ-ულ-ი* ჭალა — ჭალა, კოთელია; მსაზღვრელის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში თავისებურია და გულისხმობს *აგარელების ნაჩეხს*, *სამსრელების ჭალას*, და არა აგარის ნაჩეხს, ან სამსრის ჭალას. ამრიგად, ურ სუფიქსი აქაც ადამიანთა წარმომავლობას გვიჩვენებს და არა ნივთისას.

ცალკე უნდა გამოიყოს —ურ (—ულ) სუფიქსით ნაწარმოები სამი სახელი, როდესაც ადგილის სახელი იმავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზეა. მაგ.: *დანაკლ-ულ-ი* — საძოვარი, დანკალი, *როკეთ-ულ-ებ-ი* — ყანები, როკეთი; *ერკოტ-ულ-ა* — ყანები, ერკოტა. სავარაუდოა, რომ მამულის პატრონები იცვლებოდნენ. ჯერ დანკლელები ან ერკოტელები იყვნენ, შემდეგ კი მეზობელი სოფლელები, რომლებმაც შეარქვეს კიდეც ეს სახელი.

ასეთი წარმოების ტოპონიმები სხვა შემთხვევაში მეზობელი სოფლის კუთვნილებაზე ან ადრეულ კუთვნილებაზე მიუთითებს: *ტურ-ცხ-ულ-ი* (ტურციხიდან) — სათესი, კოთელია; *ალჯ-ულ-ებ-ი*

³³⁴ გ. ზორნაული, მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკა, თბ., 1976, გვ. 148-49.

(ალჯვადან) სათესი. ქილდა; *სხვილის-ულ-ები* (სხვილისიდან) — უბანი, ვალე; *ხანდო-ულ-ი* (ხანდოდან) — სათესი, კოთელია.

ახალციხის რაიონში არის ნასოფლარი არჯული (სოფ. ანდა), რომელიც ამჟამად მიგვანიშნებს, რომ თუმცა დღეს არჯაა/ალჯა ცალკე ტოპონიმად არ დასტურდება, მაგრამ, საფიქსირებელია, რომ ასეთი სოფელი არსებობდა (შდრ. ახალქალაქის ნასოფლარი ალჯაა/ალჯუა და ალჯულები).

ასეთივე წარმომავლობისა უნდა იყოს სოფლის სახელი *გორგული*³³⁵ — ადიგენის რაიონი. ამავე არეალში იყო სოფელი *გორგაძლაშე* და *გორგეთუძანი*, რომლებშიც იგივე ფუძეა კომპოზიტის პირველ ნაწილად.

გორგ-ულ-ში საინტერესოა თვითონ ფუძეც — *გორგა II გორგი*, რომელიც გიორგის კინობითის ერთ-ერთი ფორმა უნდა იყოს (შდრ. გვარები: გორგაძე, გორგილაძე).

ურ (-ულ) სუფიქსი გამოიყოფა სახელში *აბ-ულ-ი*. ამ სახელწოდებით ჯავახეთში სამი ტოპონიმია ცნობილი. სოფელი *აბული* — ძველი ქართული სოფელი ციკლოპური ციხე-სიმაგრით და XII საუკუნის ეკლესიებით. დღეს იქ სომხური მოსახლეობაა. *აბულის მთა* — სამცხე-ჯავახეთის ყველაზე მაღალი მთა და იქვე *პატარა აბული*, აგრეთვე მთა.

როგორც არ უნდა შერქმეოდა თითოეულ მათგანს სახელი (სოფლიდან ეწოდა მთას თუ მთის სახელი დაერქვა სოფელს), ჩვენთვის საინტერესო სიტყვა აბული ყველასათვის საერთოა.

აბ-ულ-ში *-ულ-*ის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა სოფლის სახელები: *აბი* (ახალციხის რ.) და *აბ-ისი* (ქარელის რ.).

აბი აბულთან ახლოს აღწერიათ აგრეთვე ოსმალებს „ვილა-იეთის დიდ დაეთარში“.

აბის იდენტურია დღეს კარტიკამთან მდებარე ნასოფლარი *აბლარი* „რომელშიც თურქმა -ლარ მრავლობითობის რიცხვის აფიქ-

³³⁵ არსებობს გორგულის განსხვავებული ეტიმოლოგია. ი. მაისურაძის მოსაზრებით „ტოპონიმი გორგული დისიმილირებული სახეა გორგურისა, ფუძე გაორკეცებული და ხმოვანმონაცვლე კომპოზიტისა, რაც ერთად თავმოყრილ გორებზე მიგვანიშნებს...ცხადია...გორგურიც უნდა გავიგოთ არა როგორც უბრალო გორები, არამედ რაღაც პატარ-პატარა (არაფრად ჩასაგდები) გორები, გაურკვეველი, გორებისნაირი მალღობები. სწორედ ამგვარ გარემოშია მოქცეული სოფელი გორგულიც. მას ირგვლივ ერთმანეთზე მიყრილი მოძირო გორაკები აკრავს. და ამით ეჭვმიუტანილად ამართლებს კომპოზიტორ გორგულში ჩაქსოვილ შინაარსს“ (38,266–267).

აფიქსად მიიღო და „დავთარში“ აღრიცხვისას ამ სიტყვას ჩამოაშორა (მისთვის აფიქსი) ლარ და დატოვა აბი³³⁶.

ერთი შეხედვით წინააღმდეგობას ქმნის ურ სუფიქსის ულ-ის სახით წარმოდგენა, მაგრამ შეუძლებელი არ უნდა იყოს რ-ს ლ-დ ქცევა წინამავალი მადისიმილირებული რ-ს გარეშე.

შესაძლებელია, აქ არც არის დისიმილაცია და ულ დამოუკიდებელი სუფიქსია ურ-ის მნიშვნელობისა, რომელიც ხშირად გამოიყენება ურ-ის პარალელურად, როდესაც ფუძედ გეოგრაფიული პუნქტია. ტოპონიმიში ასეთი რამ დასტურდება: *დადეშულ-ები* ყანები, ბნელა (ამოსავალი სოფლის სახელი დადეში); *ხანდო-ულ-ი* - სათესი, კოთელია (ამოსავალია სოფლის სახელი ხანდო); *ამაჯ-ულ-ები* - ყანები, ვალე (სოფლის სახელი პამაჯია ამოსავალი). ასევე *მიწობი* სოფლის სახელია ხაშურის რაიონში, მდინარეს კი *მიწობ-ულ-ა*³³⁷ ჰქვია; *ტკოცა* (სოფელი, ხაშურის რაიონში) და *ტკოც-ულ-ა/ტკოც-ურ-ა* (მდინარე).

ასე რომ, აბ-ულ სახელში ულ ისეთივე ფორმანტი უნდა იყოს, როგორც *ერკოტულ-ში*, ან *აგარ-ულ-ში*. აბ - სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ შემდეგი მოსაზრება არსებობს: „ეს სოფელი (აბ-ის-ი მ. ბ.) XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში. იგი პირველად ნახსენებია თეიმურაზ მეფის ერთ სიგელში, რომელსაც თარიღად უზის 1633 წლის 30 მაისი.

ამჟამად, რომ ბებნისის მსგავსად აბისიც წარმოქმნილია -ის სუფიქსით. ამ სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ ფუძედ გვრჩება აბ, რომელიც სპარსული სიტყვაა და წყალს ნიშნავს (იგი კომპოზიტის ერთ-ერთ წევრად შედის ბი-აბ-ან სიტყვის შემადგენლობაშიც). ამრიგად, აბისი ნიშნავს „წყლიან ადგილს“ („წყლისი“, „წყლეთი“)³³⁸.

დღევანდელ ეტაპზე ურ სუფიქსით ნაწარმოები ეს ორი სახე (ანთროპონიმებიდან და ოიკონიმებიდან ნაწარმოები) *გამიჯუნის ფორმობრივ ტენდენციას ამჟღავნებს სამცხე-ჯავახეთში*. ანთროპონიმებიდან ნაწარმოებ ფუძეს, უკვე გავრცობილს -ა, ან -ია სუფიქსით, ოიკონიმებთან კი პირდაპირ ფუძეს ერთვის. თუ ფუძე

³³⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

³³⁷ მაგალითები მოგვაწოდა ტოპონიმიის ლაბორატორიის თანამშრომელმა ს. მელიქიძემ.

³³⁸ ზ. ჭუმბურიძე, ტოპონიმიკური ძიებავი აბისი და ბებნისი, თსუ შრომები, 164, 1975 წ. გვ. 56

ბოლოვდება ა-ზე, მიუხედავად იმისა, რომ -ა-ს ფუნქცია უცნობია, ჩამოაშორებს ამ -ა-ს. *ერკოტა* გვაქვს სახელი, მაგრამ მისგან იწარმოება *ერკუტული* და არა *ერკოტაული*, ნიჯგორული და სხვ. შდრ. ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები: *დოდოფალა-ურ-ები*, *ვარ-დია-ული* და სხვ.

გამიჯვნის ეს ტენდენცია, რომ ახალი ჩანს, ამას ადასტურებს ზემოთ აღნიშნული *გორგული*. დღეს იგი *გორგაულის* სახით გვექნებოდა წარმოდგენილი.

ანთროპონიმებისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებს თუ ჩამოვაშორებთ -ურ მაწარმოებელს, შევერჩება საინტერესო სახელები, რომლებიც გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში. ასეთი გზით შესაძლებელია მრავალი, დღეს უკვე არარსებული საკუთარი სახელისა თუ მეტსახელის აღდგენა. წარმოვადგენთ ტოპონიმთა ერთ ნაწილს, რომელთაგან აღვადგენთ საკუთარ სახელებს:

აბჯარა - (აბჯარა-ული-ი, გოგაშენი)

აზარე - (აზარე-ული-ი, ზედა თმოგვი)

ასკილა - (ასკილა-ური-ი, აწყური)

აღნია - (აღნია-ური-ი, თოკი, შდრ. აღნიაშვილი)

ბაბილა - (ბაბილა-ური-ი, ჭაჭკარი. შდრ. ბაბილაშვილი)

დედოფალა - (დედოფალა-ურ-ები, დაღეში)

ვარდია - (ვარდია-ული-ი, დაღეში)

ინასა - (ინასა-ური-ი, ანდრიაწმინდა)

კაკა - კაკა-ური-ი, ერკოტა, შდრ. კაკაწყარო)

კაკნა - (კაკნა-ური-ი, ზველი)

კნა - (კნა-ური-ი, ტოლოში)

კაჭკაჭა - (კაჭკაჭა-ური-ი, ტყემლანა, შდრ. კაჭკაჭაშვილი)

ლალია - (ლალია-ური-ი, დაღეში)

მახარა - (მახარა-ული-ი, ჭაჭკარი, მახარაულები შდრ. მახარაშვილი)

ნამნია - (ნამნია-ური-ი, ადიგენი)

ესაბა - (ესაბა-ური-ი, მუსხი)

პეპელა - (პეპელა-ური-ი, მუსხი)

ტალახა - (ტალახა-ური-ი, ჭობარეთი, ტალახა-ურ-ები, მუსხი, შდრ. ტალახაძე)

ფერეზა - (ფერეზა-ული-ი, ანდრიაწმინდა)

ქარჩხა - (ქარჩხა-ური-ი, ზველი)

ღვინია - (ღვინია-ურ-ები-ი, ქუნცა)

ყადრა - (ყადრა-ული-ი, ერკოტა)

ყასმა - (ყასმა-ური-ი, ტყემლანა)

ჯალარა — (ჯალარა-ულ-ი, გოგამენი)

მისა — (მისა-ურ-ი, როკეთი)

ჭიკა — (ჭიკა-ურ-ი, დაღეში, შღრ. ჭიკაძე) და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში, ქართულისაგან განსხვავებით, არა გვაქვს ადამიანთა და არაადამიანთა დაპირისპირება წარმომავლობის სუფიქსებით. აქ ორივე შემთხვევაში მხოლოდ —ურ (—ულ) სუფიქსი გამოიყენება. „ამ სუფიქსთან (—ურ — მ. ბ.) ერთად იმავე მეგრულში მოიპოვება, აგრეთვე, მხოლოდ მარტო ადამიანის გამოსახატავად, მეორე სუფიქსიც. ეს სუფიქსია —არ, რომელიც ქართულ-მეგრული ფონეტიკური კანონების მიხედვით წმინდა შესატყვისია, ნამდვილი შესაფერისია ქართული —ულ სუფიქსისა“.

მაგრამ დღეს —არ სუფიქსი მთლიანად განდევნა —ურ სუფიქსმა და მისი აღდგენა მხოლოდ მრავლობით რიცხვში შეიძლება: *ბანძ-არ-ეფი* (ბანძელები), *ზუგდიდ-არ-ეფი* (ზუგდიდელები) და სხვ. აქედან შეიძლება აღვადგინოთ ბანძ-არ — ფორმაც. ცოცხალ მეტყველებაში მეტად სპორადულად იხმარება, მაგრამ მაინც გვხვდება: *ჭყონდ-არ-ი* (ეპისკოპოსი, წინათ მხოლოდ *ჭყონდიდე*ს ნიშნავდა), *გუფუ-არ-ი* (გუფელი), *მარგ-ალ-ი* (მეგრელი)³³⁹.

—არ სუფიქსი წარმომავლობის მაწარმოებლად დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში. ა. შანიძე 6 ასეთ შემთხვევას ასახელებს:

1. ოდიშ-არ-ი — ოდიშის მცხოვრები;
2. სომხით-არ-ი — სომხითის მცხოვრები;
3. ოპიზ-არ-ი — ოპიზელი;
4. ოლთის-არ-ი — ოლთელი, ოლთისელი;
5. ვიხიკ-არ-ი — ვიხიკელი;
6. მტბევე-არ-ი — ტბეთელი, ტბეთის ეპისკოპოსთა ტიტული.

ზემოჩამოთვლილ ექვს სახელში ქართულს შემოუნახავს —არ სუფიქსი „რამდენსამე ნასესხებ სიტყვაში: ოდიშ-არ-ი, სომხით-არ-ი, ოპიზ-არ-ი ოლთის-არ-ი, ვიხიკ-არ-ი, მტბევე-არ-ი“³⁴⁰.

განსაკუთრებით საინტერესოა არა მარტო ის გარემოება, რომ ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახა ქართული —ულ სუფიქსის შესატყვისი მეგრული არ სუფიქსი, არამედ ისიც, რომ იგი დაერთო ნასესხებ სიტყვებს, რომლებიც მეგრულ-ჭანური წარ-

³³⁹ ა. შანიძე, ვინაობის სუფიქსი — არ//ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 30.

³⁴⁰ იქვე, გვ. 29.

მოშობისა უნდა იყოს: „სრულიად ბუნებრივია და არ არის გასაკვირი, რომ ოდიშარი, ოპიზარი, ოლთისარი, ვიხიკარი და მტბევარი ჭანურ-შეგრული ფორმები იყოს, რადგანაც ოდიშის მკვიდრნი ძველადაც და ახლაც მეგრელები არიან, ხოლო ოპიზა და ოლთისი, ვიხიკი და ტბეთი (ძველად ტბევი) ტაო-კლარჯეთში მდებარეობს, სადაც ერთ დროს (როგორც ამას აკადემიკოსი მარი ამტკიცებს) უნდა სახლებულიყვნენ ჭან-შეგრულთა ტომები“³⁴¹.

შეიძლება ზემოჩამოთვლილი ხუთი ტოპონიმი, მართლაც, მეგრულ-ჭანური წარმომავლობისა არის, მაგრამ ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს -არ წარმომავლობითი სუფიქსის სწორედ ამ სახელებთან ხმარების მიზეზი და აი რატომ:

1. მართალია, ოდიში, ოპიზა, ოლთისი, ვიხიკი, ტბეთი ერთ ენობრივ - მეგრულ-ჭანურ არეალს შეიძლება მივაკუთვნოთ და მათთან მეგრულ-ჭანურ სუფიქსის დართვა გამართლებულად ჩავთვალოთ, მაგრამ ამ სახელებისაგან სრულიად განცალკევებით დგას სომხითი და მასზე -არ სუფიქსის დართვას ვერ აეხსნით ა. შანიძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრებით.

2. ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება -არ და -ელ სუფიქსების პარალელური ხმარება ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სახელთან. ე.ი. შესაძლებელია როგორც ოპიზარი, ასევე ოპიზელიც. ასე, მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კვითხულობთ „რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქუ, არცა სხვაი ეგვეითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მისცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა“³⁴².

ასევე ტბეთის წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო როგორც ტბელი, ისევე მტბევარი. ამის მაგალითად, გამოდგება X საუკუნის მოღვაწე დავით ტბელი, რომელიც მოხსენებულია ტბელადაც და მტბევარადაც: „ცხადია ბუელნი თარგმანნი, დავით და სტეფანე არიან დავით ტბელი ან მტბევარი ეპისკოპოსი ტბეთის“. დავითს ტბელად იხსენიებს ეფრემ მცირე: „ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმინდასა არტემისა და კრიტელთა და ელფუთერისი, რომელი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩუენსა დავით ტბელსა“³⁴³.

3. -არ სუფიქსის წარმომავლობით სუფიქსად ხმარების არეალი საკმაოდ ფართო ჩანს და იგი არა მარტო „ნასესხებ“ სიტყვებს დაერთვის ქართულში. გარდა ზემოაღნიშნული კლარჯეთისა,

³⁴¹ იქვე, გვ.32.

³⁴² ქართული ენის ისტორიული ჭრესტომათია, ტ. I, თბ. 1949, გვ. 246.

³⁴³ ქ. კაკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ.159.

იგი გვხვდება მესხეთის სხვა ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელებიდან ნაწარმოებ წარმოამელობის სხვა სახელებშიც. XV–XVI საუკუნეებში მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათალიკოსოს საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილ დავას აშუქებს მცხეთის საბუთები, სადაც გვხვდება შემდეგი ფორმები: *ხერთვისარი, ოთარი, ღობიარი, სლესარი, ზახულარი*, რომელთაგან -არ სუფიქსის ჩამოშორების შემდეგ გვრჩება შემდეგი ტოპონიმები: *ხერთვისი, ოთა, ღობიეთი, სლესა, ზახული*.

იმავე „მცხეთის საბუთებში“ -არ სუფიქსის პარალელურად იხმარება -ელ სუფიქსიც. თანაც ძნელია რაიმე კანონზომიერების დადგენა. -არ სუფიქსის სახელთა წარმოების მაგალითებია:

1. „ბუმბულის ძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ავალიშვილთა და *სლესართა* აქუს“...

2. „*ოთარი* სასაფლაოთა, მონასტერითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა აქუს“³⁴⁴;

3. ? ლესიითა ქამქამის ძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს“.

4. „*ზახულარნი* სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“.

5. „ღიბიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამის ძეთა აქუს“³⁴⁵.

განსხავებული ფორმაა ღობიერნი. -არ სუფიქსის ნაცვლად აქერ გვხვდება. თუ ეს გადამწერის შეცდომა არ არის, მაშინ ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესს (ღობიარი→ღობიერი), ნაწილობრივ პროგრესულ ასიმილაციას. ღობიეთის³⁴⁶ მკვიდნი სხვანიც არიან ცნობილნი: „თმოგველების განშტოებაა *ღობიარები*, ღობიეთის მფლობელნი XIII საუკუნის ბოლომდე. მურვან *ღობიარი* უკანასკნელად გვხვდება XIV საუკუნის დასაწყისში“³⁴⁷.

როგორც უკვე აღინიშნა, -არ სუფიქსიანი წარმოების გვერდით, ერთსა და იმავე დოკუმენტში, გვხვდება -ელ სუფიქსიანი წარმოებაც: „*ჩორჩანელი* ერისთავთერისთავი, სასაფლაოთა, მონასტრითა ზურსის ძესა აქუს“. თმოგუელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, შალიკაშვილთა ელსბაალს და იო-

³⁴⁴ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132–134.

³⁴⁵ იქვე, გვ. 34–35.

³⁴⁶ ღობიეთი ნასოფლარია ასპინძიდან ახალციხის გზაზე, 7–8 კილომეტრის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირას, მტკვარსა და ზველს შორის.

³⁴⁷ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

თამს აქუს“. კალმახელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა უზნასეთა აქუს³⁴⁸. და სხვა.

ზემოთ დამოწმებული მაგალითები ცხადყოფს, რომ -ელ და -არ სუფიქსები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან, რაც თავის მხრით იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ -არ და -ელ სუფიქსები სამხრეთ საქართველოში, კერძოდ მესხეთში, X – XVI საუკუნეებში იხმარებოდა პარალელურად ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად.

ეს იმას ნიშნავს, რომ -არ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებთანაც გვხვდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ზურთვისის ეტიმოლოგია მხოლოდ ქართულ ნიადაგზეა შესაძლებელი³⁴⁹.

ფიქრობთ, შესაძლებელია -არ სუფიქსის ხმარების არეალის ლოკალიზაციის დადგენაც. იგი მესხეთს უკავშირდება და ძირითადად სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ სახელებთან იხმარება. გამონაკლისია *სომხითარი* (ისტორიული ქვემო ქართლი).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრებაც“, სადაც ნახმარია ფორმა „*სამცხეთართა*“: „აქცა მსგავსად მისა შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიძღვომთა მათთა: *სამცხეთართა*, პერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და სადაცა და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“³⁵⁰. ამ სახელში გეოგრაფიული პუნქტი, ერთი შეხედვით, თითქოს მცხეთა ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამოსავალი სამცხეა, რადგან დანარჩენ ორ შემთხვევაშიც საქართველოს კუთხეებია დამოწმებული.

-არ სუფიქსს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მეგრულ-ჭანურში მხოლოდ ადამიანთა წარმომავლობის აღვნიშვნა ეკისრებოდა. „მეგრულ-ჭანურ ენებში -არ დაბოლოების ხმარება სადაურობის აღსანიშნავად ჩვეულებრივი მოვლენაა. ამაზე მიუთითებს გვარებიც: ოდიშარია, ხუნწარია, ცხომარია... ამათგან პირველი ოდიშელს ნიშნავს, მეორე – ხუნწელს... მესამე კი – ცხომელს“.

ქართულში მისი მნიშვნელობა გაფართოებული ჩანს. -არ სუფიქსს (ისევე, როგორც -ელ-ს) გარდა წარმომავლობისა, კუთვ-

³⁴⁸ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

³⁴⁹ აკ. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური ნიშნის ხმარების ხმოვანების წინ ქართულ ზმნებში // ტფილისის უნივერსისტეტის მოამბე, II, ტფ., 1922–23, გვ. 263, 275.

³⁵⁰ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 18.

ნიღების აღნიშვნის ფუნქციაც ჰქონდა. ღობიარი მარტო ღობიელს კი არ ნიშნავს, არამედ ღობიეთის პატრონსაც.

მესხეთის სახელებში -არ და -ელ სუფიქსების სწორედ ეს მეორე მნიშვნელობა უფრო დამახასიათებელი ჩანს.

-არ ფორმანტის გამოყოფა შესაძლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ტოპონიმებში; *ჭარალი* და *ბარალეთი*.

ჭარალი დღეს სოფელი აღარ არის, ნასოფლარია, მაგრამ იგი აღწერილია XVI საუკუნეში ოსმალების მიერ. ამ სახელით „დავთარში“ ცნობილია *ზემო ჭარალი* და *ჭარლის რაბათი, ანუ ჭარლის ციხე*³⁵¹. ჭარ ამოსავალია სახელში ჭარ-ებ-ი (უხინვალის რ.) გაღმოცემით ჭარი სოფელი ყოფილა ჯავახეთში³⁵². ჭარი ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ამას უცილობლად გვიდასტურებს გვარი *ჭარელიშვილი*. ჭარ-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ქართულში, ერთი მათგანი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კერძოდ, „წყლიან-ბალახიანი ველი“ ადგილის სახელდებას შეიძლება დასდებოდა საფუძვლად. ვფიქრობთ, -არ ფორმანტის გამოყოფას არაფერი უშლის ხელს. რაც შეეხება *ბარალეთს*, ის ახალქალაქის რაიონში მდებარეობს. ამ სოფლის სახელწოდება სხვა დაბოლოებითაც არის ცნობილი. ეს არის *ბარალისი* და ამ სახელით არის აღწერილი იგი „ვილაიეთის დიდ დავთარში“. *ვახუშტისთან* არის მხოლოდ *ბარალეთი*. არქივისეულ სიებში არის როგორც -Баралет, ისე -Баралес. ს. ჯიქიას აზრით: „უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად ამ სოფელს ორი წარმოქმნის თვალსაზრისით ორივე სწორი სახელი ჰქონდა: ბარალისი და ბარალეთი. შეიძლება დავთარში პირველი ჩააწერინეს, ხალხში კი უფრო გავრცელებული იყო მეორე“. არსებობს სოფლის სახელის ორი ეტიმოლოგია: „ი. როსტომაშვილის მიერ მოწოდებული ამ სიტყვის ეტიმოლოგია სწორი არ არის. მისი აზრით, ბარალეთი ორი სიტყვისაგან შედგება: ბარა/ბარი, ვაკე, ხეობა და -ეთ-ი ქვეყანა. ვერ ერთი, ბარალეთი ბარ სიტყვისაგან რომ იყოს წარმოქმნილი, გვეჩვენოდა ბარ-უთი და არა ბარალეთი, მერე სავსებით უგულებელყოფილია „ბარალეთ“-ში ლ თანხმოვნის არსებობა და ფუნქცია“. მეორე ეტიმოლოგიაც ს. ჯიქიას აქვს დამოწმებული, მაგრამ მისი ავტორი უცნობია. „სიტყვა ბარალეთი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს სწორს, ვაკე ადგილს; ბარალეთი მართლაც გაშენებულია ჯავახეთის უმშვენიერეს ვაკე-

³⁵¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

³⁵² ჭარის არსებობა ჯავახეთში დაგვიდასტურა კომპოზიტორმა ვ. მაღრაძემ.

ზე“³⁵³. ვფიქრობთ, მეორე ეტიმოლოგიაც ბარ- სიტყვიდან ამოდის და არა მთლიანად *ბარალეთიდან*. *ბარალეთს* ქართულში ცალკე რაიმე „სწორი, ვაკე ადგილის“ მნიშვნელობა არა აქვს.

ბარალ ფორმასთან -ეთ, -ის ფორმანტთა მონაცვლეობით დართვა უეჭველად მიუთითებს ამ სახელის უკვე არსებობაზე იმავე რეგიონში. მართლაც, XVI საუკუნეში ახალციხის ლივაში ბარალ სახელით სამი სოფელია აღწერილი: „ზემო ბარალი, შუა და ქვემო ბარალი“³⁵⁴.

ვფიქრობთ, ბარალ ფორმაში -არ (-ალ) ფორმანტია. მართალია, ბარ- დღეს სამცხე - ჯავახეთში ცალკე ტოპონიმად არ გვხვდება და მისი სემანტიკა არ არის ცნობილი, მაგრამ გამორიცხვა არ შეიძლება, რომ ტოპონიმის სახელდებას დასდებოდა საფუძვლად. არსებობს *ბარისაზო* (დუშეთის რ.); *ბარეული* (ამბროლაურის რ.).

-არ ფორმანტი დეტერმინანტ სუფიქსად გამოყოფილია ტოპონიმში *ჭობ-არ-ეთი*³⁵⁵. შესაძლებელია, აქაც -არ ფორმანტის თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ კუთვნილება - წარმავლობის აღნიშვნა იყო.

რაც შეეხება -ელ სუფიქსს, იგი, როგორც უკვე აღინიშნა, „მაჩვენებელია სადაურობისა ადამიანისათვის: *გორ-ელ-ი, ონ-ელ-ი, ქალაქ-ელ-ი*...“

ძველ ქართულში შემონახულია რამდენიმე სახელი, რომელთაც -ელ სუფიქსის დართვისას კიდევ მ პრეფიქსიც მოუდიოდა: *მა-არ-ად-ელ-ი*, (არადეთი სოფელია ქართლში), *მ-როვ-ელ-ი* (*რუ-ის-იც* სოფელია ქართლში; მისი პარალელური ფორმა უნდა ყოფილიყო *რო-ის-ი*, აქედან *მ-რო-ელ-ი*. ვ-ს გაჩენით ო-ს შემდეგ: *მ-რო-ვ-ელ-ი*)³⁵⁶.

-ელ სუფიქსი ტოპონიმიაშიც აღნიშნავს წარმომავლობას. ამის ცნობილი მაგალითია *ყვარელის* ყვარადან გადმოსახლებულთა მიერ დაარსება. ამის გასარკვევად მოხმობილი ეთნოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა მეტად საინტერესოა: „მლოცველებს თავის პირველად საშობლოდ არტანის ხეობის სოფლები ყვარა და სხვა მიიჩნიათ. ჩვენი მამა-პაპა აქედან გადმოსახლებულა კახეთში. ამიტომ არის, რომ სოფელ *ყვარას* მიხედვით ჩვენს სოფელს კახეთში *ყვარელი* ეწოდაო. -ამბობენ სოფ. ყვარლის მცხოვ-

353 იქვე, გვ. 273-274.

354 იქვე, გვ. 71.

355 ბ. თოფურია, ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალობისათვის ზანური ენის არეალიდან // „მაცნე, №6, თბ., 1968, გვ. 170.

356 ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

რებნი და აქ დამსწრე კახელებთან ერთად აღნიშნავენ— აქედან წასულები რომ ვართ, ამიტომ გვმიზეზობს აქაური ხატი და ჩვენგან სამსახურს მოითხოვს“. ექსპედიციის მუშაობის პერიოდში გაირკვა, რომ კახელი ყვარელები თავს იერის ხეობაში მდებარე ს. ყვარადან გადასახლებულად მიიჩნევენ. კიდევ მეტის თქმა შეიძლება, ყვარელები ყოველწლიურად სალოცავად მიდიან ს. ყვარას მახლობლად მდებარე პატარხევში³⁵⁷.

ყვარადან ყვარელთა გადმოსახლება აღნიშნული აქვს აგრეთვე დ. მუსხელიშვილს³⁵⁸.

— ელ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმების მოშველიებით არკვევს „ქართული ელემენტის მძლავრად შეჭრას ალვანეთის ტერიტორიაზე“. ლ. მუსხელი, რომელსაც გარდა ზემოდასახელებული ყვარელისა, აღნიშნული აქვს სოფლები, რომლებსაც წარმომავლობის — ელ სუფიქსს თუ ჩამოვაშორებთ, მოეძებნებათ პარალელები ისტორიულ ფხოვში: *გომეწარი* (ფშავში) და *გომეწარელი* — „ალავერდის პირდაპირ ალაზანს გაღმა; *ხორხი* („არაგვის ხეობაში“ და „გომბორდის მთასთან“) და *ხორხელი* (წირდლის ხევზე და შიგნი კახეთში).

„ამას გარდა მთიელების ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორცაა *ფშაველი* (ფშაველნი) ჭიჭაკის ხევზე. *ფხოველი* (ფხოველნი) — კაკბეს³⁵⁹“.

წარმომავლობა-სადაურობის მაჩვენებელი უნდა იყოს — ელ სუფიქსი, აგრეთვე, სახელებში *კონდურელი*, *ჩუნჩხელი*, *ურაველი*.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ნინოწმინდის რაიონში გვაქვს დიდი და პატარა გონდრიო. იგი არაქართველი მოსახლეობის მიერ დამახინჯებული ფორმაა *კონდურისა*. თავკიდური მკვეთრის გამჟღერება სომხური მოსახლეობის მიერ ჩვეულებრივი მოვლენაა სამცხე-ჯავახეთში (იხ. ზემოთ). ტოპონიმის ბოლო ნაწილი კი — იო დაბოლოების ანალოგიით (კაჭიო, ხოსპიო, გოკიო და სხვა) გონდრიოდ იქცა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა უ ხმოვნის რედუქცია. „დაუთრის“ მიხედვით აღწერილია არტაანიდან 23 კილომეტრის დაშორებით სოფელი *კონდურე*—

³⁵⁷ ვ. ბარდაველიძე. იერის ფშაველებში, ენიქის მოამბე, ტ. XI, თბ., 1942 გვ. 60—61.

³⁵⁸ ლ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა. (ივერია — ალვანეთის ურთიერთობების ისტორიიდან), თბ., 1999, გვ. 61.

³⁵⁹ იქვე, გვ. 110.

ლი, რომელიც შემდგომ აგრეთვე დამახინჯდა არაქართველი მოსახლეობის მიერ კონდრაულად³⁶⁰.

ვფიქრობთ, კონდურა-კონდურელი ერთი სემანტიკის ტოპონიმებია, განსხვავებას ქმნის -ელ წარმომავლობის სუფიქსი.

ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელია ჩუნჩხა. „დავთრის“ შედგენისას მას ასახელებენ ჩუნჩხელად. ასე მოიხსენიება იგი სხვა დოკუმენტებშიც³⁶¹.

ამის შესახებ ს. ჯიქია წერს: „ისტორიულად იყო ჩუნჩხელი (ან შეიძლება ჩუნჩხეთი, ჩუნჩხათი), რატომ უნდა მოეცა ამას ჩუნჩხა, აუხსნელი რჩება. ამის შესახებ მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მოუვიდეს კაცს ჭკუაში: „დავთრის“ შედგენის დროს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა და ეს მოსახლეობა ფლობდა მხოლოდ ქართულ ენას. შესაძლებელია, თურქ მოხელეს, რომელიც აღწერას აწარმოებდა, ყოველთვის და ყველგან არ ჰყავდა თარჯიმანი. ამ გარემოებას კი ზოგჯერ გამოეწვია ისეთი გარემოება: ინფორმატორი აღმწერს ეუბნება, რომ ის ჩუნჩხელია, ხოლო თურქი მოხელე „ჩუნჩხელი“ სიტყვას იღებს სოფლის სახელად და „დავთარში“ შეაქვს ჩუნჩხელი. შემდეგში „დავთარი“, როგორც საესებით ოფიციალური დოკუმენტი, საფუძველი იყო ყოველგვარი ოფიციალური მიმოწერისა. მაშასადამე, საბუთებში „დავთრიდან“ უნდა იყოს გავრცელებული ამ სოფლის სახელად „ჩუნჩხელი“ ფორმა, რომელმაც შეიძლება ფეხი მოიკიდა ადგილობრივი საზოგადოების კანცულარიულ წრეებში“³⁶².

ს. ჯიქიას მოსაზრებიდან აშკარაა, რომ -ელ წარმომავლობის სუფიქსია, ოღონდ ერთი კორექტივით: ინფორმატორისა და თურქი მოხელის გაუგებრობის შედეგი კი არ უნდა იყოს (სხვა შემთხვევაში დაზღვეული ჩანს თურქი მოხელე ასეთი შეცდომებისაგან და რაღა ამ ერთ შემთხვევაში ვერ გაუგეს ერთმანეთს), არამედ არსებობდა სხვა ჩუნჩხა და იქიდან გადმოსულებმა დაარქვეს თავიანთ სოფელს ჩუნჩხელი. დროთა განმავლობაში --ელ-მა დაკარგა თავისი ფუნქცია და ამას გარდა მის შეუნარჩუნებლობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ის არ უპირისპირდებოდა სხვა ჩუნჩხას (სამცხე-ჯავახეთში ჩუნჩხა ერთია მხოლოდ).

ურაველში -ელ ფორმანტის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა ურავი (ამბროლაურის რ.), არ არის გამორიცხული, რომ ურა-

³⁶⁰ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 246-247.

³⁶¹ შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

³⁶² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 246-247.

ვი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზეც არსებობდა. დასავლეთიდან სამხრეთ საქართველოში მოსახლეობის მიგრაცია მრავალჯის მოხდა და თვით ურავიდანაც შეიძლებოდა გადასულიყო მოსახლეობა სამცხეში.

წარმომავლობის -ელ სუფიქსი უნდა გამოიყოს ნასოფლარის სახელში *თოღერთა*. აქ რ-ლ-ს მეტათეზისთან გვაქვს საქმე. თოღერთას პარალელური ფორმა არის თორელთა. ასეთი გადასმები უცხო არ არის სამხრეთის ტოპონიმიში. მაგ. ბარაღეთს ინდექსში ვახუშტი უწოდებს *ბალარეთს*.

თორელთა-ს ამოსავალია *თორი*, ისტორიული თრიალეთის სოფელი, რომლის პატრონებიც – თორელნი ისტორიული მესხეთის დიდი ფეოდალები იყვნენ.

როგორც ჩანს, -ელ სუფიქსი არა მარტო წარმომავლობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, არამედ – კუთვნილების. თმოგველი არა მარტო თმოგვის მცხოვრები იყო, არამედ თმოგვის მფლობელიც და შემდეგ გარკვეული თანამდებობის ადამიანიც.

ამრიგად, მესხეთის ტოპონიმიში –ურ (-ულ), -არ (-ალ), -ელ სუფიქსების თავდაპირველი ფუნქცია წარმომავლობა – კუთვნილების აღნიშვნა იყო და, ამიტომ ერკოტული, ლობიარი (ან ჭარალი) და ჩუნჩხელი (ან თმოგველი) ფორმანტების ფუნქციის თვალსაზრისით ერთ დონეზე უნდა იყოს განხილული.

დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ამ ფორმანტებმა დაკარგეს თავდაპირველი ფუნქცია, რასაც ხელი შეუწყო ამ სახელებში ტოპონიმთა მთავარი ფუნქციის - ორიენტაციის აღნიშვნის წინ წამოწევამ.

§ 3. არქაული ლექსიკა

მესხეთის ტოპონიმიას ერთგვარად არქაული ელფერი დაჰკრავს. არქაულად მიგვაჩნია ისეთი ფორმები, რომლებიც ძველ ქართულს ახასიათებდა და დღეს მხოლოდღა დიალექტის ტოპონიმიში გვხვდება. თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, მეტნაკლებად იხმარება ნარ-თანინი მრავლობითის ფორმები. ამ მხრივ მესხეთი გამონაკლისს არ წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ მას თანინი მრავლობითით მიცემითი ბრუნვის გადმოცემა არ ახასიათებს. ამიტომ ჩვენ არქაულ ფორმად მიგვაჩნია ისეთი ტოპონიმები,

როგორცაა ჯვართუკანები (ბაღები, ქუნცა), კვალთახევი (ნასოფლარი ჭაჭარაქთან), კალთუბანი (ნასოფლარი, გოკიო).

ჯვართუკანები: აქ რომ ნამდვილად მიცემითი ბრუნვაა და არა ნათესაობითი, ამას გვიდასტურებს მეორე სახელი — ჯვარსუკანაი (მინდორი, ზელათმოგვი).

კალთუბანი — ვფიქრობთ, რომ ამ ტოპონიმში ო უნდა იყოს დაკარგული, ე.ი. იყო კალოთუბანი. ო-ს დაკარგვა სხვა შემთხვევაშიც აღინიშნება, მაგ., კალები, ნაკალები (ნაკალოარი, მურჯახეთი). ამავე არეალში გვქონდა ტოპონიმი კალოუბანი, რომელსაც იმოწმებს ვინმე მესხი³⁶³.

საინტერესო არქაულ ფორმებს იძლევა მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგი: კლდეწითლები (კლდე, ხიზაბაერა), მიწაფხენილი//მიწაფშხენილი (ტყე, ხიზაბაერა), ქვაცხელი (ყანა, როკეთი), ქვათეთრა (ყანები, სარო), ქვაწითელაი (მინდორი, ქუნცა), ქვაცხელა//ქვაცხელები (ქვები, თოკი), წყაროდიდი (წყარო, შალოშეთი), თავშავი (გორაკი, ერკოტა).

ამავე წყობისაა სოფლების სახელები გიორგიწმინდა და ანდრიაწმინდა: როგორც ჩანს, ჯერ აშენდა ამ წმინდანთა ნიში ან ეკლესია, შემდეგ კი მათი სახელწოდება სოფლებსაც დაერქვა, რა თქმა უნდა, არის ჩვეულებრივი წყობის ეკლესიათა სახელწოდებაც: წმინდა გიორგი (ეკლესია, ქორეთი,... თმოგვი და სხვ.), წმინდა მარიამი (ეკლესია, შალოშეთი), წმინდა ნინო (ეკლესია, კულეთი) და სხვ.

მესხეთის ტოპონიმურ ლექსიკაში გვხვდება საინტერესო სიტყვები და საკუთარი სახელები არქაულობის თვალსაზრისით, რომელთა ერთ ნაწილს ქვემოთ წარმოვადგენთ.

ავაზანაძ/ავაზნები (წყარო, ზელათმოგვი), ავაზნები, (წყარო, თოკი), ავაზნითავი (საძოვარი, ჭობარეთი), ავაზნების დასახლება (უბანი, ჭობარეთი) და სხვ.

ავაზანს ჯავახეთში ისეთ წყაროს უწოდებენ, რომელსაც ხის ან ქვის გობი აქვს წინ, დადგმული საქონლის დასარწყულებლად და ეს მნიშვნელობა „ავაზანი“ სიტყვისა იდენტურია საბას მიერ მოცემული განმარტებისა: „ავაზანი—წყლის სადგური“³⁶⁴; თანამედროვე ლიტერატურულ ქართულში ავაზანი ნიშნავს: „სპეც. ჰერმეტიკულად დახურული ჭურჭელი სითხეების სადულებლად ან გამოსახდელად—ზარფუმი“³⁶⁵.

³⁶³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

³⁶⁴ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

³⁶⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8.

არაკალი (სოფელი, თავფარავნის ტბის ნაპირი). თურქულ, რუსულ, სომხურ მეტყველებაში არაკალი გამოითქმის: ირკანი, ირგანი, არაგალი, არაგიალი. ამიტომაც, რომ ს. ჯიქია წერს: „მასალების უქონლობის გამო საძნელაა ამ სხვადასხვა ეთნიურ წრეში გადაგვარებული სახელის პირველადი ქართული სახეობის დადგენა“³⁶⁶. ს. ჯიქია უპირატესობას ანიჭებს „არაკალ“ ფორმას. ჩვენი აზრითაც, ეს უკანასკნელი უნდა იყოს სწორი. ამას მხარს უჭერს ამ სიტყვის არმენიზებული ფორმა არაგალი, არაგიალი, სადაც „კ“ ბგერა გადმოცემულია „გ“-თი: ჯავახეთის სომეხთა მეტყველებაში მკვეთრი „კ“ „გ“-დ გამოითქმის, მაგ., ქართ. კუმურდო, კარწახი, თოკი სომხურ გარემოში იქცა-გიმბირდო, გარწახ, თოგ.

არაკალს ასე განმარტავს საბა: „ვენაკის ეტი“. „ეტი“ სიტყვაზე კი ისევ „არაკალს“ უთითებს³⁶⁷. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში საბასეულ განმარტებას დამატებული აქვს დ. ჩუბინაშვილის განმარტება „განსხვლა“³⁶⁸, თუ საბას განმარტებას დავეყრდნობით, „არაკალი“ და „ეტი“ სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართლურში „ეტს“ მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1. ვენახის ან ბაღის ნაწილი; 2. სარწყავად გაყვანილი კვალი; 3. მიჯნად გამოყენებული კვალი მამულში. 4. სარწყავად დაყოფილი მიწის ერთი ნაკვეთი.

ადგილის სახელწოდებას „ეტის“ ამ მნიშვნელობათაგან თითოეული მათგანი შეიძლება დასდებოდა საფუძვლად.

ბალანთა (ისტ. თრიალეთის სოფ. დღეს ბორჯომის რ.), „ბალანთა მშვენიერია, ზაფხულში ძლიერ კარგი. მოსავალსაც არა უშავს, ფქვილიც მულამ აქვს დაფქული, ცხვარიც ბევრი ყავთ, ძროხაცა და ხალხი ღონიერია“³⁶⁹.

ბალანთას საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი ბალა, რომელიც სამხრეთ საქართველოში დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ ის დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში, XVI საუკუნეში სოფ. კლდის მოსახლეობის აღწერისას მოხსენებულნი არიან ვარძელა ბალას ძე და ბალას შვილიშვილი. ასევე სოფ. ფერსაში უცხოვრია

³⁶⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

³⁶⁷ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., გვ. 288.

³⁶⁸ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, თბ., 1964.

³⁶⁹ ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 121-125.

ვინმე ბალას. სოფელ ერკოტაშიც უცხოვრია თაყა ბალას ძეს³⁷⁰. ბალაიშვილები მესხეთში დღესაც ცხოვრობენ. ბალა საკუთარ სახელად გავრცელებული ყოფილა ფშავშიც³⁷¹. არ არის გამორიცხული, რომ გვარები ბალაძე, ბალაური, ბალა-დან იყოს წარმომდგარი.

ბალა-დან ბალანთას წარმომავლობა ჩვენ ასე გვესახება: ბალანთა→ბალანთა. ეს პროცესი ჯავახურ დიალექტში ცოცხალი პროცესია: დღესაც გვაქვს ველიჯანანთ, პაპანთ და სხვ. —ან ამ შემთხვევებში საგვარეულო ან მეტგვარის მაწარმოებელი სუფიქსია. ბალანთაში ბოლო „ა“-ს გაჩენა საზღვრულის დაკარგვით უნდა იყოს გამოწვეული.

ბოძალა (გზა, ზედათმოგვი); დიდტყობოძალა (მინდორი, ზედათმოგვი); გზაბოძალი (გზა, გოგაშენი); ბოზალი (სოფელი, ახალქალაქის რ.).

ბოძალი ძველ ქართულში „ორპირ ისარს“ ეწოდებოდა. ქართული ენის დიალექტებიდან ეს მნიშვნელობა „ბოძალისა“ გურულსა და გუდამაყრულს შემოუნახავს. ზოგ დიალექტში კი „ბოძალი“ ნიშნავს: „საბოძე ხე, ხის თავზე ორი ტოტია, ორივეს თანაბარი სიშხო აქვს“³⁷². როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში „ორი“ რიცხვი ფიგურირებს— „ორპირა ისარი“, ორტოტა ხე“.

„ბოძალში ბოძი ძირი გამოიყოფა და ამავე ძირიდან უნდა იყოს ნაწარმოები „მებოძირი“ სიტყვაც, რაც ნიშნავს „სადა გზანი შეიყრებიან მრავლად“; „განსავალი“, „გზაჯვარედინი“³⁷³. ამ შემთხვევაშიც „ორი გზა“ იგულისხმება ერთად შეყრილი.

რაც შეეხება „ბოზალ“ ტოპონიმს, აქ „ძ“-ს ნაცვლად „ზ“ გვაქვს და ეს „თურქიზმებს“ უნდა მიეწეროს. მესხეთის ტოპონიმიაში ასეთი შემთხვევები ხშირია, შდრ. ზურ-ზუნა←ბურძნა³⁷⁴, წყორზა←წყორძა³⁷⁵, ბლორზა←ბლორძა³⁷⁶ და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ძ“-ს დეზაფრიკატიზაცია თვით ქართულის დიალექტებისათვისაც არ არის უჩვეულო: მაგ.,

³⁷⁰ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 102, 130.

³⁷¹ ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 53

³⁷² ალ. ლლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, თბ., 1974.

³⁷³ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1965, IV, 1.

³⁷⁴ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 382.

³⁷⁵ იქვე გვ. 217.

³⁷⁶ იქვე, გვ. 122.

ქართლში ნაფუძარი→ნაფუზარი³⁷⁷, ფშაურში ზღვენი← ძღვენი და სხვ³⁷⁸.

ბრაწნალი (ფერღობი, ქუნცა); *ბრაწნალი/ბრაწიანი* გვერდი (ფერღობი, ზიზაბაერა); *ბრაწი ტანი* (ზრამი, ალაგური).

ამ ტოპონიმებში გამოიყოფა სიტყვა „ბრაწი“, რომელიც მცენარის – გრაკლას სახელწოდებაა. ჯავახურში სიტყვა აღარ იხმარება. დღეს ამ მცენარეს „გრაკლს“ უწოდებენ. „ბრაწი“ გვხვდება ამ მცენარის სახელწოდებად ფშაურშიც³⁷⁹.

ღუბე (დაცემული ადგილი, სარო); *ღუბეი* (სათიბი, ზედა თმოგვი); *ღიდღუბე* (ბაღები, თმოგვი), *ღუბის ბაღები* (თმოგვი).

ღუბე საბასეული გამწარტებით „ღაბალ ადგილს“ ნიშნავს. ამ მნიშვნელობით გვხვდება იგი ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. *ღუბე*—სიტყვა ჯავახურში აღარ იხმარება, ის ტოპონიმებში გვაქვს შემორჩენილი.

ზაკვი (სოფელი, ახალქალაქის რ.). *ზაკვი*, ჩვენი აზრით, უკავშირდება ძველი ქართულის *ზაკვა*, *ზაკუა* ზმნას, რაც ნიშნავს „სიტყუე, ვერაგობა, ღალატი“. აქედანაა „მზაკვარი“ სიტყვაც.

ზაკვი მიმღეობის ფორმაა, შესაძლოა მას საზღვრულიც მოსდევდა (მზაკვი ადგილი, მზაკვი გზა და სხვ.) *ზაკე*-ში „მ“ თავსართი დაკარგული ჩანს: *მზაკვი*→*ზაკვი* შდრ. ქართლ. *კვახე* ← *მკვახე*, *კვალი*← *მკლავი*, *კვლარი*←*მკვლარი* და სხვა³⁸⁰. „*ზაკვის*“ „*ზაკვა*-სთან“ მიმართებაში ისეთივე მოვლენა გვაქვს, როგორცაა *ჭიმი*←*ჭიმვა*, *კაზმი*←*კაზმვა* („*ჭიმი*“ ნიშნავს „კანაფის ავშარა“, *კაზმი* „ასაკიდარი თოკი“)³⁸¹.

ინდუსა (ნასოფლარი, ასპინძის რაიონი, რუსთავთან ახლოს) „*მოზრას ხევის შესართავს ზეთ, ინდუსას, არს კილი მტკუარ-ზედ*“³⁸². „*ინდუსელი ფეხოშვილი მეცხვარე არის ძველია*“.

ს. ჯიქია *ინდუსა* სიტყვის შესახებ მიუთითებს მიხ. ჩიქოვანის მიერ ამ კუთხეში ჩაწერილ თქმულებაზე, სადაც ნათქვამია, რომ „*ინდუმა*“ ერქვა თურმე ხარს, რომელიც საშენ ქვას ეზიდებოდა;

³⁷⁷ თ. სარალიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978, გვ. 47

³⁷⁸ ვაჟა ფშაველა, მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1965, გვ. 15.

³⁷⁹ ვაჟა ფშაველა, დასახ. ნაშრომი, გვ. 62

³⁸⁰ იქვე, გვ. 31

³⁸¹ ო. თედგევა, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1983, გვ. 67-68, 196-197.

³⁸² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 666.

მაგრამ იმ ადგილსაც, საიდანაც ამ საშენ ქვას ეზიდებოდნენ, „ინდუშის ქვა“ რქმევია. ს. ჯიქიას აზრით, შესაძლებელია, ამ თქმულებაში მოცემული ადგილის სახელი „ინდუშა“ ჩვენს ინდუსა სოფელს ჰგულისხმობდეს³⁸³.

არაფერია საოცარი იმაში, რომ ხარსაც ერქვას „ინდუშა“ და საშენი ქვის ადგილსაც „ინდუშა“. ინდუშა ძვ. ქართულში ფერს აღნიშნავდა: საბას განმარტებით, ინდუშა შავ-წითელ, ყომრალ-ჭრელ ფერს ნიშნავს³⁸⁴. ასევე განმარტავს „ინდუშას“ დ. ჩუბინაშვილი: „მურა შავწითელი“³⁸⁵; ასეთი ფერის ხარს ხშირად ინდუშას არქმევდნენ ხოლმე და არც ის არის გამორიცხვული, რომ ადგილსაც, საიდანაც ამ ქვას ეზიდებოდნენ, ეს სახელი ფერის გამო შეარქვეს. მაშინ ხარის სახელი „ინდუშა“ და ადგილის სახელი „ინდუშა“—შემთხვევით დაემთხვენენ ერთმანეთს.

ამრიგად, ს. ჯიქიას მოსაზრება, რომ ინდუსა ტოპონიმიისათვის „ინდუშა“ შესაძლოა ამოსავალი იყოსო, ეტყვის არ უნდა იწვევდეს. დღევანდელ მესხურში „ინდუშა“ სიტყვა ფერის აღსანიშნავად აღარ იხმარება. იგი შემოგვრჩა ამ მხარეში გავრცელებულ ხალხურ ლექსში: „ორმოცი უღელი ხარი მყავს სულ ინდუშა და ჭრელიო“. ინდუშა ინდუსას სახით, გარდა ზემოთ ხსენებული „ინდუსა“ ტოპონიმიისა, შემოგვრჩა ტოპონიმებში: ინდუსის წყარო და ინდუსის ღელე.

კაკაგელი (მინდორი, მტკვრის მარცხენა ნაპირი, მტკვარსა და ვარნეთს შორის); კაკაწყარო (წყარო, ნასოფლარი ღობიეთი, სოფლები— აფნია, გოგაშენი); კაკაური (ნავენახარი, ხიზაბაერა).

ამ ტოპონიმებში „კაკა“ გამოიყოფა, რომელიც ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. სახელი „კაკა“ დღეს სამხრეთ საქართველოში აღარ გვხვდება არც საკუთარ სახელად, არც მეტსახელად, მაგრამ იგი ხშირად დასტურდება ისტორიულ საბუთებში, მაგ., სამცხეში, სოფ. აგარას შვიდკომლიან სოფელში ორი კაკა მოიხსენიება: „კაკას შვილიშვილი“ და იოსებ კაკას ძე სოფ. ენთელში მოხსენიებულნი არიან „ბასილა კაკას ძე“ და „კაკას შვილიშვილი“. კაკას უცხოურია სოფ. უღეში³⁸⁶.

კაკა საკუთარი სახელი უნდა იგულისხმებოდეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ხიდის სახელწოდებაში—„კაკას ხიდი“: „და მივიდა როსტომ კაკას კიდსა ზედა ფერსათილამ, და და-

³⁸³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

³⁸⁴ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

³⁸⁵ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

³⁸⁶ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., გვ. 55.

დიანიცა მოსულ იყო მუნ კაკას კიდსა“; „გარდავალს აქედამ გზა კაკას კიდზედ, ბაღდადს“³⁸⁷. აქ იგულისხმება სამცხიდან იმერეთში გადასასვლელი გზა რკინის ჯვრისა, რომელიც კაკას ხიდზე გადიოდა.

კარკალი (ქვაყრილი, სოფლები: თოკი, ტოლოში, რუსთავი; ნასოფლარები: ლობიეთი, ინდუსა); **კარკულანები** (ასპინძის უბანი); **დიდი კარკალი//შავი კარკალი** (ქვაყრილი, ნაქალაქევი) და სხვ.

კარკალ-ფორმის გარდა მესხურში „კარკნალი“ ფორმაც არის ფიქსირებული, აქ, როგორც ჩანს „ნ“ ფონეტიკური ჩანართია.

კარკალი, საბას განმარტებით, არის „დიდი ქვაენარი“. სიტყვა „ქვასთან“ კარკალს ასე ხსნის საბა: „კარკალი არს ქვანი ლოდარ-დანნი სიმრავლით მიყრილი ვრცლად“ საბასთან კარკარი სიტყვაც არის ფიქსირებული, რომელიც ასეა ახსნილი: „კარკარი არს სალი წყლტუ კლდე“³⁸⁸. დ. ჩუბინაშვილთან მხოლოდ „კარკარი“ ფორმა გვაქვს მნიშვნელობით—„სალი ქარაფიანი ქვა-კლდე **высокий утес**“³⁸⁹.

ჯავახეთის ტოპონიმიაში კარკალი ორივე მნიშვნელობით იხმარება: წვრილი ქვა-ლორღი, ზოგჯერ მსხვილქვიანი ადგილი³⁹⁰.

მესხეთის ტოპონიმიაში კარკალი ორივე მნიშვნელობით გვხვდება: დიდი კარკალი//შავი კარკალი ტოპონიმებში უსათუოდ „დიდი ქვაენარი“ იგულისხმება და „კარკალის“ ეს მნიშვნელობა უფრო ძველი ჩანს. მესხურ და ჯავახურ დიალექტებში დღეს კარკალი მხოლოდ წვრილ ქვიან ადგილს ჰქვია: „დიდ ქვაენარს“ ჯავახეთში „ხარძალსაც“ უწოდებენ, რაც ნიშნავს „მოსავლისათვის გამოუსადეგი, ჩამოქვაკებული ადგილი ან კლდის ნატეხი“³⁹¹. ამ სახელიდანაც არის ნაწარმოები ტოპონიმები: ხარძლები, გელათხარძლები (ქვაენარი, ხიზაბავრა).

კარკალი უნდა იყოს ამოსავალი ასპინძის რაიონის ერთი ნასოფლარის სახელში: „ხუთვერსიან რუკაზე“ დაახლოებით სოფლების — იღუმალასა და რუსთავს შუა აღნიშნულია პუნქტი **Ир[очища] Киркал**, სხვაგან, მაგ., ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე, აგრეთვე მაზინჯი ფორმით **Каркал**-, ისე **კარკალან** სიტყვაში

³⁸⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 441, 664.

³⁸⁸ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

³⁸⁹ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

³⁹⁰ გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 71.

³⁹¹ გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

„ან“ ბოლოკიდური მარცვალი ისევე უნდა იყოს ჩამოვარდნილი, როგორც ეს ჩამოვარდა „ვანძან“ (თანამედროვე მეტყველებაში) და ფოკან სახელებში“.

ს. ჯიქია იმოწმებს სხვადასხვა რუკას, სიას და შემდეგ ვარიანტებს გვაწვდის: Киркал, Каркал, Каркалани, Каркала ქართული ვარიანტებია: *კარკლოანი, კარკლანი, კარკალანი და ყარყალანი*³⁹². ყველა ამ შემთხვევაში ამოსავალია კარკალი. დაეძენთ, რომ ეს ნასოფლარი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ნასოფლარ ახაშნის გამოღმა მთაზე, ნასოფლარ ყაშხასთან ახლოს. დღეს ამ ადგილს გადააზრების შედეგად *კაკლოანს* ეძახიან (კაკლის ხეებიც დგას იქ). ნასოფლარი გაქრა, მაგრამ კარკალი („დიდი ქვაენარი“) კვლავ ნიშანდობლივია ამ ადგილისათვის.

კარწახი (სოფელი თურქეთის საზღვარზე), *კარწახის ტბა* (იქვე), XVI საუკუნის ბოლოსათვის ცნობილი იყო ორი—დიდი და პატარა კარწახი³⁹³. ყოფილა ვერანა კარწახიც.

კარწახი ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება; „მესხურ დავითნის ქრონიკებში“ ნათქვამია: „ორშაბათს ვანის ქუაბს მოვადექით... კუირას დღეს ოლაღის ქუაბი ავიღეთ, ამოვედით, *კარწახს* დავდექით. „დავითნის“ ამ ადგილს იმეორებს ვახუშტი თავის „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისაში“³⁹⁴.

ვახუშტის ნაშრომში „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“ გვხვდება კარწახის ტბაც: „ჯავახეთის მტკუარის სამხრით, მალლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა *კარწახისა*, დიდი და აღესილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“³⁹⁵.

კარწახის ტბა სხვა სახელებითაც მოიხსენიება: „ხოზაპინის ტბა“, „ქანარბელის ტბა“³⁹⁶ „ხოზაპინი“ და „ქანარბელი“ ისევე, როგორც „კარწახი“, კარწახის ტბის გარშემო სოფლებია, მხოლოდ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. კარწახის ტბის შუაზე გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ამდენად ამ ტბის მხოლოდ ნახევარია საქართველოს ტერიტორიაზე.

³⁹² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

³⁹³ იქვე, გვ. 412.

³⁹⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 719.

³⁹⁵ იქვე, გვ. 669.

³⁹⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

ვახუშტი ქართლშიც (თრიალეთში) ასახელებს კარწახს; ქართლში კიდევ ერთი კარწახია აღწერილი XVII საუკუნეში³⁹⁷. აჭარაში კი, კერძოდ, ხულოს რაიონში ჩავიწერეთ კარწახი ადგილის სახელად სოფ. ძმაგულაში. კარწახი ეწოდება ტყეს ამავე რაიონის სოფ. ჩაოში.

სიტყვა კარწახის მნიშვნელობაზე მრავალ მეცნიერს უთქვამს თავისი აზრი: როგორც ს. ჯიქია აღნიშნავს, „K ГАН-ის მიხედვით, კარწახი-ი იმერული კარწახ-მწარე სიტყვისაგან წარმოსდგება. კარწახის მნიშვნელობა სამხრეთ საქართველოში რა იყო, ჯერ-ჯერობით არ ვიცით. საბას მიხედვით, „დაკარწახება წვივის გაშიშვლებაა, ხოლო კარწახი წვივია (იმერულში) და დიდი აღმართი (გურულში). შეიძლება უფრო ამ უკანასკნელი „მნიშვნელობის კარწახს უკავშირდებოდეს ამ ტბის სახელი“³⁹⁸.

ი. სიხარულიძე კარწახში - ახ სუფიქსს გამოყოფს, მაგრამ კარწ-მისთვის ცნობილი არ არის და ამიტომ ეს გამოყოფაც სათუო ხდება.

კარწახს, მართლაც, მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენი აზრით, ჯავახეთის „კარწახი“ იმეორებს აჭარის კარწახის მნიშვნელობას: „ხრიოკი, მოუსავლიანი ადგილი“, რაკი ჯავახეთის სოფ. კარწახიც გამორჩეულად ხრიოკია.

კოროსები (ყანები, ქენცა), კოროსანაი (ყანა, ტოლოში).

კოროსი ძვ. ქართულში ნიშნავს საწყაოს, რომელშიც ათი მოდი (ანუ ჩანახი) ჩადის. ზემოთ მოტანილ ტოპონიმებში უსათუოდ ეს სიტყვა იგულისხმება, რადგან ყანებს ხშირად შეერქმეოდა ხოლმე საწყაოს, განსაკუთრებით პურეულის საწყაოს სახელები. მაგ., დღეს კოდიანი მთელს მთიანეთს ჰქვია სამცხე-ჯავახეთის საზღვარზე (აღბათ ადრე მხოლოდ ერთ ყანას ერქვა კოდიანი).

კოროსი საბასეული მნიშვნელობით დიალექტებში არ დასტურდება. იგი მხოლოდ ტოპონიმამ შემოგვინახა.

კოტაკი (ადგილის სახელწოდება ახალქალაქის ფერდობზე). „წამოწვერილი ადგილი, ხრამში ამოსვლის დროს ისვენებენ (ზედა კოტაკი; ქვედა კოტაკი სოფ. ჩუნჩხის ბაღების გზაზე)“. იქვეა ინდუსა კოტაკები, სანადირო კოტაკი (გორა, ქილდა).

³⁹⁷ მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, გვ. 49.

³⁹⁸ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

გ. ბერიძის აზრით, კოტაკი „კოტას“ კინობითი ფორმა³⁹⁹, მას მოჰყავს კოტას ორი მნიშვნელობა: 1. ჯაჭვის დასამაგრებელი უღელზე და 2. ხმლის ვადის ქვემოთ გამოშვერილი ნაწილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ არცერთ ამ მნიშვნელობათაგანს არ უნდა ჰქონდეს კავშირი ზემოხსენებულ ტოპონიმთა სემანტიკასთან.

„კოტა“ სიტყვა ქართული ენის რიგ დიალექტებში აქტიურ ხმარებაშია. ზოგ დიალექტში (გურ., იმერ.) „ხის სოლს“ ნიშნავს, ზოგში (რაჭ.) „უღლის შუა ჩასპული რიკი“, ზოგში კიდევ (აჭარ.) „სიმინდის ტაროს“ და ა.შ. „კოტა“ ფშაურში ხმლის ნაწილს ეწოდება⁴⁰⁰. ჩვენთვის არცერთი ამ მნიშვნელობათაგანი არ არის საინტერესო—მათ არაფერი აქვთ საერთო „კოტაკი“ ტოპონიმთან.

„კოტი“ მოხვეურში ნიშნავს: „ძალიან დაქანებული ადგილი“⁴⁰¹. ქართლურში კი შემონახულია ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „კოტაკი“ და ნიშნავს: „პატარა გორაკი“. ამ მნიშვნელობიდან ნათლად ჩანს, რომ კოტაკ-ში მართლაც -აკ კინობითობის ფორმანტია. ამრიგად, კოტა/კოტი, კოტაკი, სიტყვათა მნიშვნელობა რელიეფთან არის დაკავშირებული და ფერდობის, გორის, აღმართის სახელწოდებად გვევლინება.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, თათაღეთის სამხრეთით დამოწმებულია სოფლის სახელად კოტასი⁴⁰², ამ ტოპონიმშიც, ჩვენი აზრით, კოტ- სიტყვის ერთი რომელიმე მნიშვნელობათაგანი იგულისხმება. ასევე კოტა უნდა იყოს ამოსავალი დიდი არტაანის ლივის სათესველის სახელში—კოტანეთი⁴⁰³. კოტანეთი შეიძლება კოტიანეთი-დან იყოს მიღებული. ორივე შემთხვევაში ამოსავალია კოტ/კოტა სიტყვა (შდრ. სენაკის რ-ს სოფ: კოტიანეთი).

კუკუთავი (ქვა, გორა, ნასოფლარი ქილდა). კუკუთავი რთული სიტყვაა, რომლის პირველი კომპონენტი კუკუ ახსნას მოითხოვს.

გუგული (ფრინველის სახელწოდება) ხმაბაძვითი სახელწოდებაა: გუგუ—ამ ფრინველის მიერ გამოცემულ ხმას გამოხატავს (შდრ. რუს. Кукушка). გუგუ—ასე აქვს ახსნილი დ. ჩუბინაშვილს: „გუგუ-გუგულის ხმა, куку⁴⁰⁴. საბას „გუგუ“ ფორმა აქვს ფიქსი-

³⁹⁹ გ. ბერიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 74-75

⁴⁰⁰ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი,

⁴⁰¹ ო. ქაჯაია, მასალები მოხუერი კილოს ლექსიკონისათვის. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1967, გვ. 497.

⁴⁰² ს. ჯიქია. დასახ. ნაშრომი, გვ. 375

⁴⁰³ იქვე, გვ. 546.

⁴⁰⁴ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

ფიქსირებული და ასე განმარტავს — „გუგულის კმიანობა“⁴⁰⁵. მესხურ-ჯავახურში გუგულს კუჟუ/კუჟკუ ჰქვია. ეს მეტად საინტერესო ფორმაა. უსუფიქსოდ, წმინდა ხმაბაძვითი ფორმით იწოდება გუგული.

გუგულს სწევია ადგილის ამოჩემა და ალბათ ამ ადგილს გუგული იყო შერვეული და ამიტომ დაერქვა ქვას თუ გორას „კუ-კუთავი“, რაკი, გუგული ამ ქვისა თუ გორის თავზე ხშირად იჯდა და კუკუ-ს გაიძახოდა (შდრ. ამავე სოფელში „ჩიტიყანა“ სასაფლაოს სახელწოდებად; ჩიტი ბაქანი-ფერდობი ს. პტენაში და სხვ).

ლექო. საქართველოში ლეკიანობასთან და ლეკებთან დაკავშირებული არაერთი ტოპონიმი დასტურდება. ტომობრივი სახელი ლეკი უნდა იგულისხმებოდეს ამოსავლად ჯავახურ ტოპონიმში *ლეკიანთ ძაღები*. ეგვე სატომო სახელი დაედო საფუძვლად შემდეგი ტოპონიმების სახელდებას. *ლეკინაჩხი-ტყე*, ხიზაბავრა. მაგრამ ტოპონიმებში: *ლეკის ბილიკი-ბილიკი*, *ოთა*; *ლეკის ბეი-ხევი*, *რუსთავი*; *ლეკიწები-ყანები*, *ერკოტა*; *ლეკი-ხე* (საბა.) ასე განმარტავენ ამ ტოპონიმებს ადგილობრივი მცხოვრებლები: „ლეკი ხე თეთრი ხეა. ამ ხისაგან ჭურჭელს ამზადებენ“. ლეკიხეს ლეკაც ჰქვია.

მანგალა/მანგალები (ყანები, ჭობარეთი), მანგალაი (სამოვარი, ზველი), მანგალას წყარო (წყარო, სარო), მანგალის ხევი (ხევი, ჭობარეთი). როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმებში „მანგალა“ სიტყვა გვაქვს. მანგალი—ყანის მოსაჭრელი“, ძველი ქართულის ფორმა; დღევანდელ სალიტერატურო ქართულში „მანგალი“ იხმარება.

ქართული ენის დიალექტებიდან, გარდა მესხურისა და ჯავახურისა, „მანგალი“ ფორმა აჭარულშიც დასტურდება⁴⁰⁶.

მერენია (სოფელი, ახალქალაქის რაიონი). ეს სოფელი მდებარეობს ჭალის პირას. ჩაუდის ღრტილის წყალი, რომელიც აქვე უერთდება ბარაღეთის წყალს.

მერენიაში „მერე“ ძირი გამოიყოფა: მერენია—მერე-ნ-ია, ამრიგად, მერე-ს მრავლობით ფორმას — „მერენი“ ბოლოში-„ა“ აქვს დართული, შდრ. ამავე არეალის სოფელთა სახელები ხორენია, დაბნია.

⁴⁰⁵ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁰⁶ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე ქართული დიალექტოლოგია, I. თბ., 1943, გვ. 658.

ივ. ჯავახიშვილის აზრით „მერე“ სიტყვა ივარაუდება მერე, მერევი, მერეთი, მერისი, მერია გეოგრაფიულ სახელებში. ს. ჯიქია ამ სახელებს უმატებს ოზურგეთის რაიონის მერიას, შავშეთის მერიას, ფოცხოვის მერეს, მერის ციხის რაბათს.

„მერე“ ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ღელა ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვიდრა მერეს შინა“⁴⁰⁷.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მერე“ გვხვდება მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიშიც. მერის კლდე – სოფელ დავითურებში, მერის ციხე-ფასანაურის ქვემოთ, არაგვის მარცხენა მხარეს⁴⁰⁸.

რას ნიშნავს სიტყვა „მერე“? საბას მიხედვით მერე ნიშნავს „მეუღანი, სწორი ვაკე“. „მეუღანს“ კი ასე განმარტავს: „მეუღანი“ სხუათა ენაა, ქართულად მერე, მინდორი და ფორი ჰქვან⁴⁰⁹. დ. ჩუბინაშვილთან „მერეს“ მნიშვნელობა ცოტაოდენი გადაწევით არის ფიქსირებული: „მერე-უხნავ-უთესი მიწა“.

თანამედროვე ლიტერატურულ ენაში „მერე“ სიტყვა აღარ იხმარება: იგი მხოლოდ გვხვდება გურულსა და აჭარულ დიალექტებში. რა თქმა უნდა, მას ეს ზოგადი მნიშვნელობა დაკარგული აქვს სამცხე-ჯავახეთში და იგი მხოლოდ შემონახულია ტოპონიმ „მერენიაში“ და ასპინძის რაიონში ნასოფლარ ღობიეთში მტკვრის პირის სახელწოდებაში მერე/მერიები/მერეი.

მწევარი. ჯავახეთის სოფელ ფოკაში მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, ბაგრატ IV დროს, ქართლის კათალიკოზს იოანე ოქროპირს აუგია ტაძარი, რომელიც შემკულია წარწერებით, რომელთა შორისაა ე. წ. სვედრებელი წარწერები: „ქრისტე შეიწყალე მწევარი“, „ქრისტე შეიწყალე გაია“, „ქრისტე შეიწყალე მომწულის ძე“, „ქრისტე შეიწყალე ხელი“; „ქრისტე შეიწყალე გაბრიელ და ელისაბედ“⁴¹⁰. წარწერების საკუთარ სახელთაგან გაიას ბაიად კითხულობდნენ მ. ბროსე და ივ. როსტომაშვილი. მომწულისძედ წაკითხვა ახალია და „ჯავახეთის“ გამომცემლებს ეკუთვნით⁴¹¹ ხელი დაქარაგმებულია. ერთადერთი მწევარია, რომელიც ქარაგმის გარეშე და აღდგენის გარეშე იკითხება.

⁴⁰⁷ ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, თბ., 1949, გვ. 250.

⁴⁰⁸ გ. ზორნაელი, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 164–65.

⁴⁰⁹ სულხან საბა ორბელიანი. დასახ. ნაშრომი.

⁴¹⁰ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1969, გვ. 31–33.

⁴¹¹ ჯავახეთი, საქართველოს მეგზური I, 2000, თბ, გვ. 14, შენიშვნა.

მწევარი შეიძლება წარმომავლობის სახელად განვიხილოთ და დავშალოთ ასე: მ-წევ-არ-ი. მ-არ მაწარმოებლებს თუ ჩამოვამორებთ, დაგვრჩება ფუძე წევ-, რომელიც უნდა დაუკავშირდეს ადგილის სახელს წევა.

წევაში დგას „წმ. გიორგის ეკლესია... ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. განახლებულია 1863 წელს. ძველ ნაწილს – საკურთხეველს და ნაწილობრივ შუა ეკლესიას შერჩენილი აქვს ფრესკები“⁴¹².

მწევარი ნაწარმოებია, როგორც ცნობილი სახელი მტბევეარი. ამ გეოგრაფიული პუნქტიდან – ელ-იანი წარმომავლობით ის გვხვდება გვარში – წეველიძე. ცნობილია რომ ტბიდანაც იწარმოებოდა ერთი მხრივ მტბევეარი და მეორე მხრივ ტბელი.

„გორის დასავლეთით, 20 კმ. მანძილზე, აგარასა და ქარელს შუა, სოფლის ზემოთ, მტკვრის მარჯვენა მაღალი სანაპიროს კიდეზე, მდინარე ძამისა და მტკვრის გამყოფ მთაზე, მდებარეობს ჯვრის ტიპის პატარა მონასტერი“⁴¹³ *სამწვერის ჯვარი*.

ეს ძეგლი არის მე-10 საუკუნის და იმავე საუკუნისაა წარწერა, რომელშიც იხსენიება *სამწვერის ჯვარი*⁴¹⁴. ზოლო სოფელს დღესაც *სამწვერისი* ჰქვია. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთივე წარმოებასთან, როგორიცაა აჩაბეთი>მაჩაბელი>სამაჩაბლო. წევა>მწევარი>სამწვერისი, სადაც კიდევ ერთხელ დასტურდება მწევარი ფორმა ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში.

ნიჯგორი (სოფელი). ამ სოფელზე გადის საზღვარი სამცხე-ჯავახეთს შორის. იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ისტორიული სოფ. ნიჯგორი შედარებით უფრო მაღლა იყო, საროს ქარაფის ძირში. შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესია და ნასოფლარი.

ნიჯგორი ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „საისრე დიდი კარპაჭი“. ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები მენიჯგორე, ნიუორგალი, რაც „მეკარპაჭეს“ ნიშნავს. ამ სიტყვათა გვერდით საბასთან ფიქსირებულია „ნიჟუგო“ ფორმაც და განმარტებულია: „კაპარჭოსანი“.

⁴¹² გიორგი ბოჭორიძე, იმერეთი, თბ., 1995, გვ. 146.

⁴¹³ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდალური წარწერები I, სა-ქართველოს ისტორიის წყაროები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 222.

⁴¹⁴ იქვე, გვ. 223.

დ. ჩუბინაშვილთან ვხვდებით ამ სიტყვათა ფონეტიკურ ვარიანტებს ნიჟგორი/ნიჟგორი „დიდი ქარქაში ხმალთა“ და ნიჟგორ-ალღ/ნიჟგორალი — „კაპარჭოსანი“.

ი. აბულაძის მიერ შედგენილ ძვ. ქართული ენის ლექსიკონში ვხვდებით ნიჟგარი/ნიჟგოგარი, ნიჟორგარი ფორმებს „საჭურველთა ამლები“, „მეაბჯრე“, „კაპარჭის მტვირთველის“ მნიშვნელობით.

ყველა ზემოთ მოყვანილ ფორმებში ერთი საერთო ძირი გამოიყოფა — ნიჟგორ/ნიჟგორ, გარდა საბასეული „ნიჟგო“ ფორმისა, სადაც „რ“ თანხმოვანი არა გვაქვს.

ძნელი სათქმელია, იგულისხმება თუ არა ტოპონიმ „ნიჟგორში“ კაპარჭი, ისე კი სიტყვა ნიჟგორი „გორი“ სიტყვასთან ასოციაციით რთული სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ისიც არის შესაძლო, ნიჟგორი საზღვრულდაკარგული მსაზღვრელიც იყოს. გადაწყვეტილ ვერაფერს ვიტყვით.

პიტები (უბანი, ასპინძის რ.). ეს უბანი ასპინძის რაიონულ ცენტრშია ოთისწყლის მარჯვენა ნაპირზე, წისქვილის ზევით. დღეს ეს სახელი აღარ იხმარება და არც მისი მნიშვნელობაა ცნობილი.

ჩვენი აზრით, ამ ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს „პიტვი“, „ფიჭვი, ახალნერგი“⁴¹⁵. ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია „პიტო“, რომელიც საბასთანაც არის ფიქსირებული მნიშვნელობით „ახალნერგი ნაძვი“. საბასთანაც აღნიშნული „პიტუნი“ ფორმა — ამავე მნიშვნელობით⁴¹⁶.

ჩვენ ტოპონიმ პიტებისათვის ამოსავლად „პიტვი“ ფორმა მიგვაჩნია „ვ“-ს დაკარგვით: პიტვი→პიტი. აქედან მრავლობითში პიტები.

ოჯორჯალი: ოჯორჯალი ნასოფლარის სახელია სამცხეში ქ. ვალესთან. ვინმე მესხის მიერ ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსში კვითხულობთ: „მე ოჯორჯლელი ხუცესი ჭალას ვიყავ მიმავალი, ჭორატს ჭან-მგლებს გარდევყარე დამიბნელდა ორივ თავლი“⁴¹⁷. სოფელი ოსმალებმა აღწერეს თავისი უბნებითურთ. მე-16 ს-ის ბოლოსათვის 22 კომლიანი სოფელი „საკმაოდ დიდი სოფელია“⁴¹⁸. თუ ო-ს პრეფიქსად გამოვყოფთ, გვრჩება ჯორჯალი ფორმა. ჯორ-

⁴¹⁵ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴¹⁶ სულხან საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

⁴¹⁷ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 76.

⁴¹⁸ იქვე.

ჯალი 1. „ნაწლავები“. 2. „კაბაზე მოვლებული ნაოჭა, არშა“⁴¹⁹ სემანტიკურად ახლოს უნდა იყოს გ. შარაშიძის მიერ გურულ დიალექტში დამოწმებულ ორივე მნიშვნელობასთან – ნაწლავი, არშა.

ფიქრობთ, ჩვენს ტოპონიმში არა მხოლოდ ო- უნდა გამოიყოს, არამედ არ სუფიქსიც. ჯორჯ- ფუძე სულხან-საბასთან ნიშნავს „მოდლო, უსუფთაო“ (საბა). ასევე გადმოაქვს ნ. ჩუბინაშვილს⁴²⁰. ძველ ქართულში კი ჩულს ნიშნავდა ჯორჯი. „ჯორჯმოსილი – ჯურჯმოსილი, ჩულით მოსილი, სადაც მოსილი ჩაცმულს ნიშნავს“⁴²¹. ჩული კი „სხვათა ენა ქართულად სახურავი ჰქვია (საბა, 1966), რაც ზეიღამ დაეხურვის ცხოველსა, სახლსა, ჭურჭელსა“ (საბა, 1966). მოკლედ, ჩული შეურაცხი საბანი, ძველმანი გადასაფარებელი რამ ან რამე უხეირო „უსუფთაო“ სამოსია, რომელსაც ძვ. ქართულში ჯორჯ-ი-ც რქმევია. ო-ჯორჯ-ალ-ში ო-ალ აფიქსები ქართულ სა-ელ-ს უდრის. ო-პრეფიქსი, ოლონდ –ე სუფიქსთან ერთად სხვაგანაც გვხვდება. „ო-კირ-ე-ში- „საკირე“, ო-ტურ-ე-ში-სატურია“, ო-ყორ-ან-ე-„საყორნე“⁴²².

ტოპონიმის სახელდება წარმოგვიდგება შემდეგნაირად. ო-ჯორჯ-ი (ნიშნავს ადგილს სადაც ჯორჯი მზადდებოდა), რომელიც შეიძლება ო-ჯორჯ-ე-ც ყოფილიყო, გაფორმებულია –არ სუფიქსით, რომელიც არა ერთ სახელთან გვხვდება სამხრეთ საქართველოში⁴²³.

პიწენარა (დაბალი, ბუჩქნარი ტყე შალოშეთში). პიწენარაში გამოიყოფა „პიწკი“ სიტყვა და –ნარ სუფიქსი. სიტყვა „პიწკი“ ჯავახურში არა გვხვდება. არა ჩანს ის არც ძველ ქართულში, არც თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში. პიწკი სიტყვა შემონახულია გურულ დიალექტში და ნიშნავს: „წერილი ფიჩხი“, ამრიგად „პიწენარი“ ნიშნავს „ფიჩხნარს“ და ეს მნიშვნელობა კარგად ესადაგება ბუჩქნარი ტყის სახელწოდებას – პიწენარა. გურულის გარდა, ჩვენი აზრით, თუშურის „ბუწენარ-ში“ – „ახალგაზრდა ხშირი ტყე“ „ბუწკ“ „პიწკის“ ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს.

⁴¹⁹ ალ. ლლონტი, სიტყვის კონა, 1975.

⁴²⁰ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

⁴²¹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

⁴²² პ. ცხადია, დასახ. ნაშრომი, 1985, გვ. 63.

⁴²³ გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 127-135.

ქუბლიკანი: ნასოფლარი, ნაეკლესიართ, სასაფლაოებით, პურის ორმოებით და სხვა. იქვე არის სოფელი ვლადიმეროვკა, რომელიც ქუბლიკანის ადგილზეა გაშენებული. ღუხობორები დასახლებულან არა უშუალოდ ნასოფლარში, არამედ მის წინ ფარაენის ტბის პირად. „ყველა სხვა სოფელი მთელს ჯავახეთში თურქული, ქართული, სომხური თუ რუსული ძველ ქართულ ნასოფლარებზეა გაშენებული. ამას ამტკიცებენ, როგორც ნაშთები (ეკლესია, სასაფლაო, ზეთსახდელი, „ჯვარი“), ისევე იმ სოფელთა ორ-ორი სახელი (ძველი და ახალი), რომელთაც ახალი სახელი მოეპოვებათ. განსხვავება ღუხობორებსა და ყველა დანარჩენთ შორის ისაა, რომ უკანასკნელთ ვერანა სოფლები დაუნგრევლად გამოუყენებიათ, ღუხობორებს კი ძველი ნასოფლარი საფუძლიანად გადაუთხრიათ და მასალა თავიანთ სოფლის გასაშენებლად მოუხმარიათ.“⁴²⁴ ნასოფლარ ქუბლიკანთან იღებს სათავეს ქუბლიკანის ხევი, საიდანაც წყალი გაჰყავთ, როგორც ვლადიმეროვკაში, ისე ფოკაში. ნასოფლარი ვრცელი ჩანს. ეს სახელი დამოწმებულია სხვადასხვა ვარიანტით: „ბობლიკანი“, „პუბლიკანი“, „პოლპიკანი“, „პუპლიკანი“, „ბუბლიკაში“⁴²⁵ ჯავახ სომეხთა მეტყველებაში ქართული პ გამოითქმის ბ-დ. მაგ: პატარა-ბატარა, პტენა-ბდენა. ბ-ანიანი ფორმები მეორეულია და არმენიზებული. ამოსავალია პოლპიკანი-პოპლიკანი-ნი, სადაც პოპლიკა ქოსას ქართულ ვარიანტად აქვს განმარტებული საბას. ქოსა, ქაჩალი არა ერთ მოშიშველებულ ადგილს ჰქვია ჯავახეთში: ქაჩალგორა (მთა, გორელოვკა); ქოსალარ (სათესი, ხულგუმო) და სხვა.

სატალაო (მთა, სოფ. ტოლოში, გორი, სოფ. გოგაშენი). ტალაპკვერდი (ფერდობი, ერკოტა, დადეში).

სატალაო-ში ტალა სიტყვა გამოიყოფა, რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს „მოგზაურთ დარაჯი ღამით“⁴²⁶. დ. ჩუბინაშვილთან ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნური ფორმაც არის ფიქსირებული „ტალაობა“. აქედან — „ვტალაობ“ - ვდარაჯობ⁴²⁷ ვახუშტისთან ტალა — ამავე მნიშვნელობით „ყარაული“ ხშირად არის ხსენებული: „არა ჰყავთ დარაჯატალანი“. „მოსრნეს ტალანი

⁴²⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 69.

⁴²⁵ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., გვ. 351.

⁴²⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი.

⁴²⁷ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

სრულიად⁴²⁸ და სხვ. „ტალა“, როგორც სინონიმი „ყარაულისა“, შეტანილია ა. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონში⁴²⁹.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ტალას“ პოეტები მეტაფორულად „წამწამებს“ უწოდებენ, ე.ი. თვალთა დარაჯად: „მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან“.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „სატალაო“ ნიშნავს „საყარაულოს“. ამ მოსაზრებას ისიც, უჭერს მხარს, რომ ერკოტაში მთას „საყარაულო“ ჰქვია, ამ მთის ფერდობს კი ტალაგვერდი. ჩანს, მთასაც ადრე სატალაო ერქვა, ბოლოს „სატალაო“ საყარაულომ შეცვალა და ფერდობმა კი შეინარჩუნა ადრინდელი სახელწოდება „ტალაგვერდი“. საერთოდ, სამცხე-ჯავახეთში ტოპონიმი საყარაულო ხშირად გვხვდება გორის, მთის, სერიის სახელად (ერკოტაში, ალაგურში, ზედათმოგვს, როკეთში, ქუცას, პტენას და სხვ.).

საყუდაბელი//სახუდაბელი. სახუდაბელი მდებარეობს ასპინძის რაიონში ზველ-ორგორასთან ახლოს მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ცენტრალურ გზასა და ასპინძის რაიონს უკავშირდება ორგორის ხილით.

ადგილობრივი მცხოვრებნი სახუდაბელს მხოლოდ საყუდაბელს უწოდებენ. მათივე აზრით, სახუდაბელს ეძახდა ამ სოფელს უფრო მაჰმადიანი მოსახლეობა, რომლითაც დასახლებული იყო ეს სოფელიცა და მის გარშემო მდებარე სხვა სოფლებიც – ორგორა, ქორეთი, ღობიეთი.

სახელის დაშლა ასეა შესაძლებელი: სა-ყუდ-აბ-ელ-ი, სადაც „ყუდ“ ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც გვაქვს სიტყვებში *საყუდელი* („სამყოფი“ – საბა), *საყუდარი* („თავშესაფარი“, ი. აბულაძე).

„საბას განმარტებით, საყუდარი – „ტახტი, საყუდელი“. საწარმოები ფუძე ორივე ერთი და იგივე უნდა იყოს: ყუდ- სა-ყდ-არ-ში იგი შეკუმშულია.

სა-ყუდ-არ-ი, სა-ყდ-არ-ი. სა-ყუდ-ელ-ში შეუკუმშავადაა დაცული (შდრ. ძალ-, ძალ-იან-ი, ძლ-ი-ერ-ი). ყუდ ფუძე მეგრულშიც გვაქვს ყუდე და „სახლს“ ნიშნავს. სემასიოლოგიურად მიჰყვება სა-ყუდ-ელ-ს. ამ ფუძემ გამოდევნა მეგრული მეტყველებიდან ოხორ-ი. შდრ. სოფლის სახელი ქვა-ყუდე საჯავახოს ახლოს.

ყველა ზემოჩამოთვლილი სახელი (*საყუდელო-სამყოფი, საყუდარი-თავშესაფარი, ქვაყუდე-ქვის სახლი*) სემანტიკურად სახლს

⁴²⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187, 594.

⁴²⁹ ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1991.

შეიძლება დაეუკავშიროთ. ეს ფუძე სხვა მნიშვნელობის სახელებში შედის (მაგალითები ამოღებულია ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“): *დაყუდება, დაყუდნება-დამშვიდება*, „დაც-ხრომა“, *დაწყნარება, დადუმება, მონაზვნობა. ყუდება, იხ. დასაყუდებელი, დაყუდება, მყუდრო//ყუდრო, სადაყუდებლო, საყუდარი, საყუდელი.*

ამ ფუძის შემცველი ყველა სახელისათვის ამოსავალი უნდა იყოს თავშესაფარი, სახლი. შემდეგ ტერმინის მნიშვნელობა დავიწროებული ჩანს და მხოლოდ საკლერიკო თავშესაფარს აღნიშნავს. ყველა *ყუდ-*ფუძის შემცველი სახელი ბერთა საყუდელს, დასაყუდელს, დაყუდებას და სხვას აღნიშნავდა. ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში მრავალი ფაქტია, როდესაც ესა თუ ის ბერი მიდიოდა და „*ეყუდებოდა*“ ყველასაგან გამოწყვეტილ „დასაყუდებელში“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ილ. აბულაძის ზემოაღნიშნული ლექსიკონიდან: „*მონასტერი და საყუდებლონი თუსითა საფასითა იყიდეს*“; „*მნებავს რაითა დავეყუდო სენაკსა შინა ჩემსა; არა იწვევდეს ჭაბუკთა... ადგილთა დასაყუდებელთა მკუდრობად; მოუტანეს დაბანი და სოფელნი მონასტერნი დასაყუდებლონი*“⁴³⁰.

სა-ყუდ-აბ-ელ-ში ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის -აბ სუფიქსი, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში -ებ-ად არის წარმოდგენილი. შეიძლება დაეუშვათ ორი აზრი: პირველი, რომ თავდაპირველადვე გვექონდა -აბ და არა -ებ და მეორე, რომ *სა-ყუდ-აბ-ელ-ი* ← *სა-ყუდ-ებ-ელ-ი* ფორმისაგან ასიმილაციის გზით. სა-პრეფიქსის ა-მ დაიმსგავსა ებ-ის ე. მსგავსი ასიმილაცია, ვიწრო ხმოვნის გაფართოება, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ქართულ დიალექტებში. „ფუძეში ასიმილაციის შედეგია სამახარაბლო“, „სრული ასიმილაციაა: გარამოება (გარემოება)“⁴³¹. ამავე რიგისაა *სანახვე*, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში ხმარობენ (←*სანეხვე*). შესაძლებელია გარკვეული როლი ასიმილაციის დროს ითამაშა აგრეთვე ხმოვანთა უმლაუტის მქონე თურქული ენის გავლენამ.

იყო თუ არა დღევანდელი საყუდაბლის ადგილზე ბერთა რაიმე „საყუდებელი“, დაბეჯითებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ იმავე არეალში ვარძიაში გვაქვს *საყუდებელას ხევი*.

⁴³⁰ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁴³¹ ს. ულენტი, გურული კოლო, თბ., 1965, გვ. 284.

ვფიქრობთ, ამავე *ყუღ-ფუძეს* უნდა შეიცავდეს სოფ. *უღეს* სახელი (ადიგენის რაიონი). ადგილობრივთა მეტყველებაში ამ სოფლის სახელის უ ძლიერი შემართვით წარმოითქმის, შესაძლებელია, სწორედ წინ იყო ყ ბგერაც. ამავე სიტყვაში დაიკარგა თავკიდური ყ მეგრულში. *ყუღე*→*უღე*→*უღე* (ჭან., არნ. ჩიქობავა). ყ-ს დაკარგვა ამავე პოზიციაში გვაქვს ჯავახეთის ტოპონიმიში: *ოჲჲლი*←*ყორული*. ყორული თურქულიდან შემოსული სიტყვაა და შემოღობილ, ნაკრძალ ადგილს ნიშნავს. ასე, რომ *ყუღეს*→*უღედ* ცვლილება სავესებით შესაძლებელია.

სახლის, თავშესაფრის მნიშვნელობით შერქმეული სახელები სხვაც ბევრია საქართველოში, მაგ., *სენაკი*—ცნობილი ტიპონიმი დასავლეთ საქართველოში. *კარავი* მოხსენებული აქვს ს. ჯიქას „სოფლის სახელად მესხეთის ტერიტორიაზე“. ვანი („სადგომი“, „სახლი“, „დაბა“, „საცხოვრებელი მონასტერი“, „საყოფელი“, „ბუნაკი“—ილია აბულაძე) მრავალია საქართველოში და სხვა.

სელიგორა. გორაკი, საყანები, გოგამენი; *ნასელარი*. ყანები, ჭობარეთი. სელიგორა-სელის გორადან, ხოლო მეორე სახელი დაიშლება ასე: ნა-სელ-არ-ი. სელის კულტურა დაიკარგა დღევანდელ სამცხე-ჯავახეთში. იგი უძველეს კულტურას მიეკუთვნება ამიერკავკასიაში, რომელიც საფიქრებელია დასავლეთ საქართველოში უკვე ნეოლითურ ეპოქაშია ფაქტი. „სელი გარდა საქსოვი ნედლეულისა, იძლევა აგრეთვე ზეთს და ამ კულტურის დანერგვით, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომები ცხიმის მარაგის პრობლემასაც წყვეტდნენ“⁴³².

მე-19 საუკუნის შუა წლებში ვინმე მესხი წერდა, რომ მესხეთში მოჰყავდათ: „დოლი, ჭუავი (რომელთ ხუარბალს ეძახიან), ასლი (საკორკოტი), დიკა, ქერი, სიმინდი, ლობიო, ცერეცო, ოსპი, სელი“!⁴³³

ადგილობრივთა მიხედვით სელი „ჩვენთან მალლობზე კარგი მოდიოდა, კარგა სრულდებოდა მარცვალი“⁴³⁴.

სელიგორა, ეტყობა, ისედაც მთიანი ჯავახეთის მაღალი ადგილი იყო, სელისათვის გამორჩეულად ვარგისი. ამიტომაც არის, რომ „მიტოვებული ზეთსახდლების კომპლექსები ჩვენ მიერ დადასტურებულ იქნა მესხეთის ბევრ რაიონში. ამ მხრივ ერთი კა-

⁴³² ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 18.

⁴³³ ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 78.

⁴³⁴ იქვე, გვ. 79.

ნონზომიერებაა აღსანიშნავი ამ კუთხისათვის - ყველა ზეთსახდელი მთაში, მაღალი მდებარეობის პუნქტშია თავმოყრილი, როგორცაა, მაგალითად, თისელი, ხიზაბავრა, ვალე, ჭობარეთი და სხვა⁴³⁵.

სირონები გვხვდება საძოვრის სახელად ოკამში (ახალქალაქის რ.). ყანები ჭობარეთში (ასპინძის რ.), რომლის პარალელური ფორმაა სირონების ყანები. მსაზღვრელად - სირონის გორა, გორა გოგაშენი (ახალქალაქის რ.).

სირონი მეტათეზისით მიღებული სინორია. ასე იხმარება მესხურსა და ჯავახურ დიალექტებში. იგი შემოსულია დ. ჩუბინაშვილის მიხედვით ბერძნულიდან: „მიჯნა, საზღვარი“⁴³⁶. „სინორი //სირონი (თურქ, ბერძნ.) საზღვარი, მიჯნა (შ. ნიჟს.)⁴³⁷. ასევე ბერძნულ-თურქულად (Sınır) მიიჩნევა ალ. ღლონტი, რომელიც შ. ძიძიგურის ქრესტომათიას იმოწმებს⁴³⁸. მართალია სიტყვა სამხრეთის დიალექტმა და ტოპონიმამ შემოგვინახა, მაგრამ სალიტერატურო ქართულისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. XVIII ს-ის ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენის ქვეყნის სირონი და ესე ერთმანეთში არიან. ჩვენსა და იმათ შუა მთა ძევს, ურმისა და ქარავენის სავალა“⁴³⁹. ეჭვი არაა, აქაც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა. Sınır თურქულში ბერძნულიდან არის შემოსული⁴⁴⁰. ბრძნულს (пограничный, соседний, смежный⁴⁴¹) ეყრდნობა ქართული.

სხვილისი ჩვეულებრივ ხშირად იხმარება ზედსართავი სახელე-ბი: დიდი, პატარა, წერილი, წითელი, ლურჯი, თეთრი და სხვა კომპოზიტური სახელებით ადგილთა სახელდებისას. შედარებით იშვიათია მხოლოდ ზედსართავი ტოპონიმიაში (მაგრამ მაინც არის მაგ., ცივი), რადგან გაფორმებულია რაიმე დაბოლოებით.

ზედსართავი სხვილი//მსხვილი უნდა იყოს ამოსავალი ტოპონი-მურ სახელში *სხვილისი*. სოფ. სხვილისი ახალციხის რაიონში მდებარეობს. „სოფ. სხვილისის სახელი სხვადასხვა ენაზე მოუბარ წრეთა მეტყველებაში ძლიერ დამახინჯდა“, ამიტომ გვხვდება -სუ

⁴³⁵ იქვე, გვ. 79.

⁴³⁶ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

⁴³⁷ შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, 1960.

⁴³⁸ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975.

⁴³⁹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, ტფილ. 1936, გვ. 18.

⁴⁴⁰ Турецко-русский словарь, М. 1945.

⁴⁴¹ Греко-русский словарь, С.Пб. 1899.

ქილისე, Sulis, Сухлис, Суфлис და სხვა, მაგრამ ადგილობრივ ქართველთა მეტყველებაში დღევანდლამდე ამ სოფელს ქართულ სახელს უწოდებენ. სხვილ — ფორმა დასტურდება ყოველგვარი გაფორმების გარეშეც. ასე უწოდებს სხვილისს ვახუშტი და საერთოდ „ქართულ მასალაში“ *სხვილი* ეწოდება ამ სოფელს⁴⁴².

სხვილ-ო — ზედსართავი სახელი, ოღონდ — ო სუფიქსით გაფორმებული, გვხვდება პაპუნა ორბელიანის „ამბავი ქართლისანი“.

დღევანდელი ადმინისტრაციული ყოფით *სხვილო* დასახლებული პუნქტი არ არის. საინტერესო წყაროს მიხედვით იგი შიდა ქართლში მდებარეობდა. სხვილო „ამბავი ქართლისანის“ მიხედვით გივი ამილახორის ერთ-ერთი გამაგრებული რეზიდენციაა. „გამოიარა ამილახორმა ქ. ცხინვალზე და იმ ძირობაზე და განაძლიერნა მიმდგომი თვისი და მოვიდა დადგა *სხვილოს*“. „აიყარა ხანი ჯარითა მძიმითა და ჩამოვიდა ჭალას, გამოვიდა ამილახორი გივი *სხვილოს* ციხით“⁴⁴³.

— ო სუფიქსს აქვს ფუნქცია, ზედსართავი სახელი აქციოს საკუთარ სახელად: ლამაზი—ლამაზო, შავი—შავო, ფაქიზი—ფაქიზო და სხვა. ჩვენს შემთხვევაში (სხვილო) — ო სუფიქსის ძალა მის მატოპონიმებელ ფუნქციაშია.

ტაიჭა//ჭაიტა ნასოფლარი ნაეკლესიარი მდებარეობს ოთისა და ხიზაბაერის საზღვარზე. ტაიჭას ძირითადად ხიზაბავრელები უწოდებენ. „მრავალნი ეკლესიანი და მონასტერნი არიან ჯავახეთში, რომლებში განთქმულია ტაიტის და კუმურდოს ეკლესიანი“ წერდა XIX ს-ის შუა წლებში ივ. გვარამაძე⁴⁴⁴.

მისი ისტორიული სახელია შორეთი||შოროთა, რომელსაც ვახუშტი უწოდებს შეცდომით შორაპანს⁴⁴⁵.

ტაიჭი — „გამოყვერილი ცხენი“ (საბა), ვარიანტში „კეთილი ცხენი“; „ბედაური ცხენი“⁴⁴⁶.

— ა სუფიქსით გაფორმებული ცხოველის სახელი ადგილს სხვა შემთხვევაშიც ერქმევა: აქლემა (გორაკი, ნასოფლარი ფია, ასპინძის რ.). *ჭაიტა* მეტათეზისით მიღებული ფორმაა.

⁴⁴² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

⁴⁴³ პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 57-58.

⁴⁴⁴ ს.ჯ.ი.მ. ფონდი 2102, გვ. 4; Такаишвили, Материалы археологии Кавказа, собр. экспед. имн. Моск. Арх. общ. кн. XII, М. 1909.

⁴⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945. ს. ჯიქია, დათარი III, გვ. 206-207, გვ. 330.

⁴⁴⁶ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

ტეხიწყარო. აწყვიტაში არის წყარო, რომელსაც ჰქვია **ტეხიწყარო**. ამ სიტყვის პირველი ნაწილისათვის შეიძლება ამოსავლად მივიჩნიოთ **ტეხურა** (რომლის პარალელური ფორმა **ტეხერა** (←**ტეხურა**) მასთან ერთად დადასტურებულია საბასთან და განმარტებულია, როგორც „დიდი ყინვა“, „ზამთარ თოვლში სიცივე“), რომელშიც ურ-ა შეუძლებელი არ არის მაწარმოებლად გავიგოთ. **ტეხ** ფუძე კი „ცივის“ „სიცივის“ მნიშვნელობით, როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ ადგილის სახელს (შდრ. *ცივი წყარო* აგარაში და ერკოტას).

ფარნა მინდორი; ფარნიძირი|ფარნას ძირები|ფარნაძირი-ყანები; ფარნიძირიყანები|ფარნაძირის ყანები – ყანები; ნასოფლარი ღობიეთი). ამოსავალია **ფარნა**, რომლის გამო არის შერქმეული დანარჩენი სახელები მის შემოგარენს.

ფარნა სოფელი ყოფილა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. „გაკედით და დავრჩით ფარნას 3 დღე“⁴⁴⁷.

ფარნა ზროხა ფერდეთური - „ზროხა ქამარია“⁴⁴⁸ (საბა). „ფერდელა, თეთრი ზროხა“⁴⁴⁹

„იგივეა, რაც ფერდელა (ფერდეთური ფური)“⁴⁵⁰; ლექსიკონის განმარტება უკვე თანამედროვე გაგებაა „ზროხისა“ - ძროხა, ისტორიულად კი „ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი“. ძველელთა განმარტებით ფარნა „ჭრელი ალაგა“⁴⁵¹.

ქარნიოტა/ქარნიოტის ხევი-(ხევი, ქუნცა). კომპოზიტიური სახელი უნდა იყოს **ქარნიოტა**, რომლის მეორე ნაწილი „ნიოტა“ მიღებულია ხმოვანთა გადასმის შედეგად **ნოტო//ნოტოისაგან**, ხოლო **ნოტო//ნოტოი//ნოტოია** საბას მიხედვით სამხრეთის ქარს ჰქვია. ხმოვანთა მსგავსი გადასმა დამახასიათებელია სამხრეთის ტოპონიმიისათვის. **დუმელია** ერქვა ნასოფლარს ნიალის მიდამოებში. დღეს მას **დუმეილა** ჰქვია. ბერათგადასმაში ეტყობა გარკვეული როლი ითამაშა **ნოტო** სიტყვის ნაოტად გაგებამ და მთლიანად სიტყვის გააზრებამ **ქარნაოტებად** (ოტებულა, გაქცეული-საბა) შდრ. პარალელური ფორმები **ქოხიერები** და **ქოხერიები** -სამოვარი, აგარა.

⁴⁴⁷ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979. გვ. 208.

⁴⁴⁸ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁴⁹ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁵⁰ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VIII, თბ., 1964.

⁴⁵¹ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

ქარცები სოფლის სახელია ახალქალაქის რაიონში. ეს სახელი არაერთგზის და არაერთგვარად დამახინჯდა. ქარცებს ქარცეფსაც უწოდებენ. სომეხთა მეტყველებაში გვაქვს ქმარსაბი. ამავე სოფლის სახელად ს. ჯიქია იძოწმებს აგრეთვე ქიარსი-ს, Карзанес-ს, Караченა-ს და ასკენის: „ამგვარად, ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოფელთან, რომლის ნამდვილი ქართული სახელი ქარცე-ბია (სხვა დანარჩენი—მ. ბ.), რა თქმა უნდა შეცდომაა“⁴⁵².

ქარცებში თავის ღროზე მღვარა ეკლესია, რომელსაც წარწერაც ჰქონია, სადაც „ქარცებულნი“ ფორმის როსტომაშვილისეული ამოიკითხვა დაადასტურეს ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯიქიამ⁴⁵³. ოკმელთა მტკიცებით ქარცების ეკლესია ააფეთქეს სულ ახლახან.

ქარცი—„წარბ-უფერული“—განმარტავს საბა, მისი სინონიმია კოსაკი. ქარცის სინონიმია აგრეთვე ქერა⁴⁵⁴. აქვე დაეძენთ, რომ „ზოგი გლეხი თიხნარს და საერთოდ მწირ ნიადაგს ქერა მიწას ეძახის“. ამ მნიშვნელობით და, საერთოდ, ეს სიტყვა დაიკარგა ჯავახურში, სამაგიეროდ იგი შემოგვინახა მესხურმა დიალექტმა. ალ. ღლონტი იძოწმებს ი. მაისურაძეს და ქარც-ს განმარტავს, როგორც „ქერა ადამიანს“. ქარცი ფერის აღნიშნული სიტყვა შემდეგში შეცვალა ქერამ, მაგრამ არც ამ სიტყვას ეწერა ჯავახურ დიალექტში დიდი ხნის არსებობა. ისიც შეიცვალა უკვე არაქართული სარიათი. ამ სიტყვის მონაწილეობით ადგილის არაერთი სახელია დადასტურებული, სარიათალები, სარიათჭალა, სარიაკლდე და სხვა. ეს სიტყვაც იკარგება დღეს მესხურსა და ჯავახურში. მას ცვლის რუსულიდან შემოსული რიჟა.

ქაშანიგ ზა (გზა, ღობიეთი); ქაშნები ძირი (ნასახლარი, ქორეთი).

ქაშანი- ძვ. 1. „შამბთა და თოვლზედ გაქელილი გზა“. კუთხ. (იმერ) გამოკაფული, ცარიელი ადგილი ტყეში,-ველიანი“⁴⁵⁵.

„თოვლზედ ან შამბზედ გაქელილი ბილიკი, Тропинка“⁴⁵⁶.

„ორიღერი ხე, ქვების დასაცურებლად და წასაღებად. გადატ. ნაკვალევსაც აღნიშნავს თოვლზე და ტალახზე, ძალიან რომ ამჩნევია“⁴⁵⁷.

⁴⁵² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი. გვ. 310.

⁴⁵³ ა. ნეიშანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 485-86.

⁴⁵⁴ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., გვ. 105.

⁴⁵⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., VII, 1962,

⁴⁵⁶ დ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁵⁷ გ. ბერიძე, ჯავახური კილო, თბ., 1987, გვ. 50.

დავამატებთ: ქაშანი ტყეში ხეების დასაცურებელ გაკვალულ ციცაბო ფერდობს ჰქვია. ქაშანი გზა ნიშნავს დასაცურებელ გზას (წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ქაშნის გზა). *ქაშნები* არის ქაშნის შემოგარენი.

ღირღლეები ყანების სახელია როკეთში. სემანტიკურად ახლოს დგას საბასეული ღირღალი („ღელე-ღელე ადგილი“) ღირღვილოვანი, ღირღილოვანი, ღირღოვანი, ღირღლოვანი („დამშხალული“) და ილ. აბულაძის ღურღლოვანი, ღირღუაროვანი, ღურღუაროვანი („ფიცხელი, ოღროჩოღროიანი“). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი იმოწმებს საბას განმარტებას და თავის მხრივ უმატებს – „დამსკდარი“, დამზარული“⁴⁵⁸. შდრ. საღარღალის კლდე (ბორჯომი) ნაშალი, არამტკიცე, შლადი კლდე⁴⁵⁹.

ყველა ზემოჩამოთვლილი მნიშვნელობით შეიძლება უვარგის ყანას შერქმეოდა ეს სახელი.

ღჯრჯანი გზის სახელია აგარაში. ამ სიტყვის ამოსავალი უნდა იყოს *ღრჯა*. ირაციონალური ხმოვანი ასეთ პოზიციაში ხშირად ჩნდება სამცხე-ჯავახეთში. ღრმა→ღჯრმა (შდრ. ღჯრმა ღელე-ღელე, ტოლოში), კლდე→კქლდე და სხვა. ღრჯა ისრის სახეობად მიაჩნია საბას: „ყოღლისა უგრძესი, წვერ-მწვეტი ჯვარედად ჩხირდასხმული არს“. ამრიგად, ღჯრჯანი მიღებული უნდა იყოს ღრჯაიანისაგან. *საისრე, ისრიანი, მტრიანი* გზა შეიძლება ადგილს შერქმეოდა. ამავე სოფლის ერთ გზას და კლდეებს *თოფტა-ში/თოფის ქვა* ჰქვია. *ღრჯაიანში* ი-ს დაკარგვას ხელი შეუწყო ანალოგიამ. ამავე სოფლის ტერიტორიაზეა ელლაზაანთ წყარო, მამუანთ წყარო... საერთოდ აგარის საგვარეულო სახელები ფორმდება –ან სუფიქსით.

ჩახრაზი (მთა, საყევარი, ხიზაბავრა). ამ მთას ტამალელები ჩარხახს უწოდებენ: ეს უკანასკნელი არმენიზებული ფორმაა. საყევარის მთიდან გამომდინარე წყალსაც ჩახრაზი ჰქვია.

გადმოცემით, შოთა რუსთავეს დაბადებულა და მამამისს ჩახრუხელი რქმევია. მას ბევრი ცხვარ-ძროხა ჰყოლია, მასვე ეკუთვნოდა მთა-საძოვარი-ჩახრაზის მთა და აქედან წარმოიშვა მისი სახელი ჩახრახელიო. ეს მთა მესხეთში დღესაც არის, როგორც საძოვარი.

⁴⁵⁸ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი.

⁴⁵⁹ ტოპონიმი მოგვაწოდა ს. მელიქიძემ.

ქართულში გვაქვს სიტყვა ჩახრუხი, რომელიც საბას განმარტებით, ფრინველის სახელწოდებაა და მის სინონიმად მარუხ სიტყვას ასახელებს⁴⁶⁰; დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ჩახრუხი და შარუხი—ორივე ბულბულის მსგავსი ფრინველის სახელწოდებაა და ორივეზე მათ სპარსულ წარმომავლობას მიუთითებს⁴⁶¹.

ჩვენი აზრით, ჩახრუხი ჩახრახიდან უნდა მომდინარეობდეს და ამოსავალი, მართლაც, სპარსული სიტყვა უნდა იყოს: სპარსულში „შაშეს“ sazak ეწოდება, შაშვიც ხომ მგალობელი ფრინველია და ფონეტიკურად სრული კანონზომიერება გვაქვს —sark → ჩახრახ — პირველი „ხ“ ფონეტიკური ჩანართია, s→ჩ, k→ხ; შემდეგში რედუქციცირებული ფუძეების ანალოგიით ჩახრახი→ჩახრუხი. ამრიგად, ტოპონიმი „ჩახრახი“ უფრო ძველ ფორმას გვიჩვენებს. რაც შეეხება შარუხ—სიტყვას, ის შეიძლება „ჩახრუხი-ს“ გამარტივებული ფორმა იყოს: ჩახრუხი→შარუხი და ამიტომ, რომ ისინი ლექსიკონებში სინონიმებად წარმოგვიდგება.

ძაღლის ენა. წყლის პირი, ნასოფლარი ღობიეთი. მცენარეა ძაღლის ენა, რომელსაც საბა უკადრისას უწოდებს. იგივეა, რაც „ოსერო — Cynoglossum“⁴⁶², რომელსაც ქართულ დიალექტებში ძაღლის მხალაი, ღორნიკა, ქირი და მესხურში მგელისყურა, ლოსტოკი ჰქვია⁴⁶³. ეტყობა მესხურ დიალექტში ძაღლის ენაც ერქვა, დაიკარგა და ადგილის სახელმა შემოგვინახა. დღეისათვის ამ სახელს ასე ხსნიან: ნაპირი მტკვარშია შეჭრილი, უფრო სწორედ, მდინარე გარს უკლის ფერდობს. ინფორმატორთა აზრით, ძაღლის ენასავით არის გადაგებული წყალში და სახელიც იმითომ ეწოდაო. სინამდვილეში ამისავალია მცენარის სახელი. შდრ. სარო, კუროსთავი და სხვა.

წინწალი. ისტორიულ მესხეთში ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით იყო სოფლები: ზემო, ქვემო და შუა წინწლები. წინწალი მოხსენიებული „მესხური დავითნის მატთანში“; „დილასა ტურძნასა და წინწალას შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს“⁴⁶⁴ ამავე ადგილს იყენებს ვახუშტი და წინწალს უწოდებს წინწალას: აგ-

⁴⁶⁰ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁶¹ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁶² ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

⁴⁶³ იქვე.

⁴⁶⁴ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

უისტოს ბურძანს წინწალს შუა აზრუმ-ვანის ფაშანი მოვიდნენ⁴⁶⁵. ქართული წინწალი დამახინჯებული ფორმით მოიხსენიება არაერთ დოკუმენტში—ЗАН-ЗАН-ად, ЗУНЗАН-ად. ყველაზე გავრცელებული მაინც თურქიზებული ფორმა *ზინჯალია*, რომლის შესახებ, ს. ჯიქია წერს: „ამ სოფლის სახელია *წინწალი* და არა უმართებულად გავრცელებული მისი თურქიზებული ფორმა *ზინჯალი*“⁴⁶⁶.

წინწალი, საბას, განმარტებით, „წერილთ მიჯნა“, მიჯნა—„მცირე რამ საზღვრის ნიშანი“. ამიტომაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი *წინწალს* წერტილით განმარტავს და წინწალსა და წინწკალს აიგივებს. წინწალი შეიძლება შერქმეოდა სოფელს მისი სიპატარავის სპეციფიკური გეოგრაფიული გარემოს გამო.

ჭაროსელი. — ეულ სუფიქსი გვაფიქრებინებს, რომ ჭარო კაცის სახელი უნდა ყოფილიყო. დამოუკიდებლად *ჭარო* საკუთარ სახელად აღარ გვხვდება. *ჭარო*, საბას განმარტებით, „ქორს ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“, ფრინველთა სახელები ადამიანს ხშირად დაერქმეოდა ხოლმე. შრდ. ქორიძე, ჩხიკვიშვილი და სხვა.

ჭეჭლა (სოფელი, ადიგენის რ.). სოფლის სახელი XVI ს-ის ბოლოს არის ფიქსირებული⁴⁶⁷. არც ძველ ქართულში და არც თანამედროვე დიალექტებში ეს სიტყვა არ გვხვდება, გარდა აჭარულისა, სადაც დასტურდება *ჭეჭლა* ჭრელის მნიშვნელობით. *ჭეჭლა* | *ჭეჭლა*. სოფლის სახელი შეუკუმშავი ფორმითაც გვხვდება ისტორიულ საბუთებში: „1767 წ. 12 თებერვალი პავლე ეპისკოპოსი და დონ ანტონი უდეს მოვიდნენ და წავიდნენ ბათუმს. მე საჭეჭლამდის გაყყვი“⁴⁶⁸. საჭეჭლას აქვს ვარიანტი *ჭეჭლა* „*ჭეჭლა* სოფლამდის გაყყვი“⁴⁶⁹. ასევე *ჭეჭლა*ა ამოსავალი სოფლის სახელში *ჭეჭლა*ანთ უბანი (გორის რ.), სადაც *ჭეჭლა* ადამიანის სახელი უნდა იყოს. კაცის სახელად *ჭეჭლა* გვხვდება იმავე „ახალციხურ ქრონიკებში“: „ბორგველი *ჭეჭლა*ი მიიცვალა. წაველ და დაუფალით“⁴⁷⁰ (შდრ. *ჭრელა* კაცის სახელად, საიდანაც გვაქვს გვარი *ჭრელა*შვილი და *ჭეჭლა*შვილი).

⁴⁶⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 721.

⁴⁶⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

⁴⁶⁷ იქვე, გვ. 119

⁴⁶⁸ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1977, გვ. 124.

⁴⁶⁹ იქვე.

⁴⁷⁰ იქვე, გვ. 158.

ბიზა-ნასოფლარის სახელია ხიზაბავრის ტერიტორიაზე. საბას განმარტებით, ხიზი — „ცმელი დანაყილი, ცმელი დანაყილი ჭურისათვის“. ცმელი კი არის „იგივე ქონი გარდუმდნარი“. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ცხიმის სახელი სხვაც ბევრი გვაქვს: *ერბოს წყალო-ღელე*, ხიზაბავრა; *ერბოიანი ყანებო-ყანა*, პტენა, *ერბო-კვერცხა*—ნასოფლარის, შალოშეთი, *ერბუნებო-ყანები*, მურჯახეთი და სხვა.

გვავე ხიზა შედის ბიზა-ჰაერა სიტყვის შემადგენლობაში. ბევრ აგრეთვე სოფელია ჯავახეთში, ასე რომ თავდაპირველად დამოუკიდებლად არსებობდა როგორც ხიზა, ასევე ბაერა. ამ სოფლებიდან გადმოსულებმა შექმნეს სოფელი ხიზაბავრა, მაგრამ, ისე, რომ სოფლები არ გაუქმებულა. XVI ს-ში ხიზაბავრაცაა სახელად მოხსენებული, ბავრაც და ხიზაც⁴⁷¹.

ზომა. სამცხეში მტკვრის მარცხენა ნაპირას, სოფ. წნისთან არის ნასოფლარი ზომა, რომელიც ისტორიულად იყო ორი — ზემო და ქვემო ზომა⁴⁷². „არის ადგილი, რომელსაც ზომას აბანოს ეძახიან“⁴⁷³.

ზომას შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული ვ. სამსონიძეს: „ახალციხის რაიონში *ქომას*, უფრო სწორედ კი, ზომას სახელს ატარებს მთელი ხეობა. ამ ხეობაში არსებული მთელი ნასოფლარი „აბანო“ (მინერალური სააბაზანე წყალი), გამოქვაბულები და, რაც მთავარია, მონასტერი“⁴⁷⁴. მეცნიერი აიგივებს ქუმის(ქომის მონასტერსა და ზომას ანუ ქომის მღებარეობას: „ქუმის (ქომის, იგივე ზომის) ეკლესია მღებარეობს ახალციხიდან ჩრდილოეთით, 15-16 კილომეტრის მანძილზე. ძეგლისაკენ მიმავალი გზა გაივლის სოფლებს — ტატანისსა და სვირს, შედის სვირის სატყეო უბანში“⁴⁷⁵. ვ. სამსონიძესვე აქვს ახალციხიდან მიმავალი გზის რუკა ზომამდე. აქვეა დადასტურებული ზომასთან დაკავშირებული სახელები: ზომის წყალი, ზემო და ქვემო ზომა, ზომურა⁴⁷⁶. ზომა(ქუმას და ქომა(ქუმას იდენტიფიკაცია ხდება გეოგრაფიული ლოკალიზაციით.

⁴⁷¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 245, 249.

⁴⁷² იქვე, გვ. 54.

⁴⁷³ იქვე, გვ. 55

⁴⁷⁴ ვ. სამსონიძე, მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“, ახალციხე, 2000, გვ. 10.

⁴⁷⁵ იქვე, გვ. 12.

⁴⁷⁶ იქვე, გვ. 14.

ვ. სამსონიძე ზომას ზომლს, თანაეარსკვლავედს უკავშირებს. იმოწმებს „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ „ზომთა“, „ზომნია“ ფორმებს⁴⁷⁷.

ჩვენის აზრით, ზომ ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს და იმავე მნიშვნელობისა უნდა იყოს *ზომელა*, *ზომილა*, *ზომია*, *ხუმულა*, *ხუმელა-сухой*, ან კიდევ-ზომაფირი-засохший⁴⁷⁸ ფორმებში რომ გვაქვს. რადგან ზემოთჩამოთვლილ სიტყვებში *ზომ* - ფუძეს დართული აქვს -ელ, -ილ, -ია, -ულ სუფიქსები, ადვილი მოსალოდნელია გვქონოდა -ალ სუფიქსიანი ფორმაც, რომელმაც დაკარგა თანზომონთი ნაწილი და მივიღეთ ჩვენთვის საინტერესო სახელი. მშრალის, გამომშრალის მნიშვნელობით.

ეტიმოლოგიურად ადვილი ასახსნელია ადგილის სახელდების მსგავსი პროცესი. შდრ. ხაშში- „ავ-ჰაეროვანი და უდაბნო“⁴⁷⁹ (საბა); „ადგილი ცუდისა და მკენებლის ჰაერისა, ან სენი ამგვარის ადგილისა“⁴⁸⁰ -ერთი მხრივ და სოფ. ხაშში (საგარეჯოს რ.).

ხულები. ჯავახეთის ტოპონიმიაში დადასტურებულია *ხულასერი*, სასაფლაო საროში და იქვე *ხულის ყანები*. ზედა თმოგვში სახნავის სახელია *ხულები*. საფიქრებელია, ორივე შემთხვევაში ადგილის სახელდებას საფუძვლად დაედო სიტყვა *ხულა* (საბას მიხედვით: „ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ზურტყლი და მისთანანი“) ხილის მნიშვნელობით და არა *ხულა* (საბას მიხედვით: „სახლი სავაჭრო სადები“), რადგანაც არც ერთ შემთხვევაში, არც საროს და არც ზედათმოგვს „სავაჭრო სადების“ არავითარი ნიშანწყალი არა აქვს. არც ერთი მათგანი საქარავნო თუ სავაჭრო გზაზე არ მდებარეობს. როგორც ჩანს, *ხულ-ა-ში* ა-ს ტოპომა-წარმოებელი ფუნქცია აკისრია. *ხულები* სახელდებისას კი *ხულ-ფუძეა* ამოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვქონდა: *ხულიები* (←*ხულე-ები*←*ხულაები*) და არა *ხულები*⁴⁸¹.

⁴⁷⁷ იქვე, გვ. 21.

⁴⁷⁸ И. Кипшидзе, Грамматика..., 1911, с. 406.

⁴⁷⁹ სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁸⁰ დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁸¹ ს. მელიქიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი ქართული ტოპონიმებიდან ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.

§ 4. მესხეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

ა) დანკალი

ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის რაიონში სოფ. გოგაშნის აღმოსავლეთით ნასოფლარ არეშამდე არის ნასოფლარი დანკალი, დღევანდლამდე კარგად შემონახული ძველი ნასახლარებით, ქუჩებით, პურის ორმოებით და სხვა. ნასოფლარის თავში დგას ადრე-ფეოდალური ხანის ორნავეანი ბაზილიკა, რომელიც აშენებულია დიდი ზომის კვადრებით. ეკლესიას ჩამოქცეული აქვს სახურავი. დანკალი გადასცქერის ბერთაყნის ქვაბებსა და თმოგვის ციხეს მის გარშემო მსხვილი ერთეულები, ნასოფლარებია: არეში და ჯიუტმაილა, რომელიც ალბათ დანკალის უბანი იყო თავის დროზე. არეშა და დანკალს შორის ჩადის უწყლო ხევი, რომელიც სათავეს იღებს დიდ ტბიდან, ჩაივლის ჯიუტმაილას და ჩადის ბერთაყანას.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს დანკალი გაუკაცრიელებული სოფელია⁴⁸², როგორც ჩანს, მე-16 საუკუნის ბოლოს აქ აღარაეინ ცხოვრობს.

ნასოფლარი დღევანდელი გოგაშნის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამიტომ მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ სოფელთა მონათხრობს: „ამ სოფელში (იგულისხმება დანკალი) ცხოვრობდა 42 ოჯახი, მერე თურქეთის შემოსევის შემდეგ განდევნეს ეს ხალხი, როგორც გოგაშენი განდევნეს, როგორც სხვა სოფლები განდევნეს, შემოვიდნენ თურქები და დასახლდნენ. 44 წელში ესენიც გადასახლდნენ და მერე გოგაშნიდან გამოყვეს 82 ოჯახი, გაყვეს გოგაშენი, გადმოიყვანეს და დასახლდნენ. ცხოვრობდნენ სანამ საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდებოდა ოკაშში. იყო ოთხწლიანი სკოლა. რომ დაამთავრებდა მოსწავლე, გადმოვიდოდა გოგაშენში, აგრძელებდა სწავლას“.

მონათხრობის მიხედვით „თურქეთის შემოსევის“ შემდეგ თითქოს ქართული მოსახლეობა განუდევნიათ დანკალიდან. სინამდვილეში თავიდანვე აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ რომლებიც გადაასახლეს. 1944 წელს: „44 წლის ოქტომბრის თვის რომელი რიცხვი იყო? მე მახსოვს რო გადაასახლეს მაჰმადიანები, გვარებს ვერ გეტყვი. ლაპარაკობდნენ თათრულად. მე ვიტყვი სიმართლეს. ცხრა წლისა ვიყავი რო გადაასახლეს. ძალიან კარგი

⁴⁸² ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 357.

ურთიერთობა ჰქონდათ გოგაშნელებს და დანკალებს, ამათზე უკეთესი, ჩვენებურად რო ვთქვათ, დოსტობა იცოდნენ“...

მაჰმადიანი ქართველების გასახლების შემდეგ, მათ ადგილზე მეზობელი სოფლებიდან გადიყვანეს მოსახლეობა. ეს პროცესი ნიშანდობლივია ჯავახეთისათვის. ასახლებენ მაჰმადიან ქართველებს, მათ ნასახლარზე ძალად მოჰყავთ მეზობელი სოფლებიდან, ისინი ვერ ეგუებიან, უფრო სწორედ არ ეგუებიან „ახალ“ ადგილს და საბოლოოდ იფანტებიან ჯავახეთიდან.

ასე იყო ოკმის შემთხვევაში. ოკამში გადმოსახლეს ქილდელები. საბოლოო ჯამში დაცარიელდა ქილდა, იქცა ნასოფლარად, არც ოკამს შერჩა მოსახლეობა. ასეთმა გადასახლებებმა არ გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე რეგიონი იყო, სოფლები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდნენ, დანკალში გადასული გოგაშნელები წავიდ-წამოვიდნენ და აღარც გოგაშენში დაბრუნებულან. დანკალი სოფლად ითვლებოდა 1975 წლამდე და აფნიასთან ერთად გოგაშენის სასოფლო საბჭოში შედიოდა.

თმოგველები ამ სოფელს მხოლოდ დანკალის სახით იხსენიებენ. გოგაშნელები დამკალს აძლევენ უპირატესობას. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მის, ეტიმოლოგიზირებას. ამ სიტყვამ ბევრ გადმოცემას თუ ლეგენდას დაუღო სათავე. ერთი ასეთი ლეგენდა ყველაზე პოპულარულია სამხრეთში: „თმოგვის ციხე ალყაშემორტყმული იყო. სარგის თმოგველი დამშვიდებით უცქეოდა მტრის უშედეგო ცდას, მაგრამ ამირსპარსალარის ლამაზი ცოლის გული მტრის სარდალმა მოხიბლა. ვერაგმა ქალმა მას მაწვნის ქილით ციხის გასაღები მიაწოდა. მტერმა ციხის კარები გააღო და მოულოდნელად თავს დაესხა მეციხოვნეთ. სარგის თმოგველი დამარცხების შეურაცხყოფას ვერ შეურიგდა. თავის მერანს თვალები აუხვია და მოახტა, ქარაფებზე გადმოეშვა და მტკვრის კლდოვან ფსკერზე ჰპოვა სიკვდილი. გამარჯვებულმა სარდალმა შეჰკრიბა თავისი ლაშქარი და შეეკითხა: „ვინ იყო უკეთესი, მე თუ — სარგის თმოგველიო“. ჰასუნხად მიიღო, რომ უკეთესი იგი (მტრის სარდალი) იყო. სარდალი ამ ჰასუნხს არ დასჯერდა და იგივე კითხვა მისცა თავის თორმეტ ბრძენს. დიდი ბჭობის შემდეგ ბრძენთა კრებულმა გამოუცხადა: „სარგის თმოგველი გჯობდაო“. მხედარი მივარდა მოლაღატე მეუღლეს და დანით აკუნწვა დაუწყყო — სადაც ჩემზე უკეთეს სარგის თმოგველს უღალატე, მე რაღას მიზამო“. ხანგრძლივი ტანჯვის ასაცილებლად ქალი ეხვეწებოდა:

„დამკალი, დამკალიო“. ამის გამო თმოგვის გაღმა სოფელს დამკალი დარქმევია“⁴⁸³.

ამ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ა. მარტიროსოვის 1946 წლის დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ჩაუწერია: „თმოგეში მოსულა ირანელები. დასვეიან მას, მაგრამ ვერაფერი გზით ვერ შესულან. ერთ ქალ ასე მოუწყვია: დაუკეტია ციხის კარები და მანვნის ქილით გაუგზავნია ფაშასთვის. ჯარი დაკეტილში შეიმწყვდია ფაშამ, ციხეს ცეპი შემოარტყა და ააოხრა ეს თმოგვი. მეფე, ვინც ციხეში იყო ადგა და კლავის ძალით გაარღვია ეს ცეპი და გაიქცა“ ...შემდეგ ფაშამ შეკრიბა... და დასვა კითხვა ვინ ჯობდა... ბოლოს ფაშა იტყვის: „მაშ ამ ქალმა რო მაგისთანა ვაჟაკი დალუპაო, მე რა კარგ დამაყრისო! ფაშამ მოაბმინა ცხენის კულზე ეს ქალი და სუ ასე ათრევიანა. ქალი ეხვეწებოდა ფაშას – დამკალო და ცხენის კულზე ნუ მიმაბემო. ამ სოფელს ჰქვიაან დანკალი“⁴⁸⁴.

იგივე ლეგენდა, ოღონდ დამკალის ძახილის გარეშეც არის ჩაწერილი: „...მაშინ ფაშამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ რახან ის მჯობდა და ამ დედოფალმა კი იმას უღალატა და მე შემეყვარაო, მაშეინ ეს მეც მიღალატებს და სხვას შეიყვარამსო, დედოფალი ყათირ გამოაბა კულზე და გაქანებულ ყათირ დააგლეჯინა“⁴⁸⁵. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი, რადგან სხვა ყველა შემთხვევაში, როდესაც მომხვდური ხან სპარსია, ხან – თურქი დამხვდური კი ქართველი, მეფე ან ღიღებულა და უეჭველად ფიგურირებს თმოგვის ციხე, მოქმედება ყოველთვის იქ ხდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დამკალის ძახილი მიტმასნებულა და იგი გვიან არის შექმნილი, გამოწვეულია სოფლის სახელით—დანკალი და მისი ხალხური ეტიმოლოგიის შედეგია. სამწუხაროდ, არც ერთი გადმოცემა გოგაშენში ან დანკალში არ არის ჩაწერილი, ყველა თმოგეში ან ბარის ჯავახეთშია ფიქსირებული, თორემ გეოგრაფიული ობიექტები უფრო ზუსტად იქმნებოდა მითითებული, ეტყობა ამან განაპირობა აზრიც, რომ სოფელ თმოგეში არის ადგილი, რომელსაც დამკალი

⁴⁸³ ც. გაბაშვილი, ვარძია, თბ., 1948, გვ. 34.

⁴⁸⁴ ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. 142-143.

⁴⁸⁵ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 807.

ეწოდება⁴⁸⁶. დანკალი თმოგვეში არ არის, როგორც ზემოთ მიუთითეთ, არეშა და გოგაშენს შორის მდებარეობს.

ჩვენი აზრით, გადმოცემა თმოგვის ციხის აღებაზე და ლეგენდა დანკალის შესახებ სხვადასხვაა და სულ ბოლო დროს დაუკავშირდა ერთმანეთს.

ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ფიქსირებულ მასალას, რადგან მასში შესული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეკრებილია ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თსუ ახალი ქართული ენის კათედრის წევრთა საენათმეცნიერო ექსპედიციის დროს. მასში მონაწილეობდნენ ჯავახი სტუდენტები და მით უფრო სანდოა მათ მიერ ჩაწერილი გადმოცემა „თმოგვის ჩამორთმევა თათრის დროს“. ჩვენ დანკალში გოგაშენლებისგან ჩაიწერეთ: „თურქებმა დაიჭირეს ლამაზი გოგო, დაუწყეს წამება, გაუპატიურება, წვალება, ნუ მაწამებთ, ბარემ დამკალითო, იხვეწებობა გოგო. ზო და დაერქვა სახელი. დაკლეს, თუ რა ქნეს, არავინ იცის, დაერქვა დამკალი და არა დანკალი. დანკალი არ არის ახლოს სახელწოდებასთან“.

მთქმელის პოზიცია ნათელია, რადგან „დანკალი არ არის ახლოს სახელწოდებასთან“, შეუძლებელია მისი ხალხური ეტიმოლოგია, ამიტომ დაჟინებით უჭერენ მხარს დამკალს. გვხვდება სხვა ვარიანტებიც: Танкал, Дамгал და Данкала,⁴⁸⁷ რომელთაგან არცერთი სწორე არ არის. პირველ შემთხვევაში Т – ს არსებობა ან გაუგებრობაა, ან ორთოგრაფიული ლაფსუსი. არის Дамгал არმენიზებული ფორმა, Данкала არის კვლავ ხალხური ეტიმოლოგია, რომ სახელი დაუკავშირონ თურქულ კალას –ციხე. სამცხე-ჯავახეთში, სადაც კი ადგილობრივი ციხე თარგმნეს თურქულად, ყველგან გამჭვირვალეა სახელი (შდრ. ოქროსციხე → ალთუნკალა).

ჩვენი აზრით, ყველაზე ძველი და სწორი ფორმა არის დანკალი, რომელიც უნდა მოდიოდეს ფორმიდან დანკანი, სადაც –კან ფალაური სუფიქსი უნდა იყოს –კან სუფიქსი ჯავახეთში გვხვდება სახელში მურჯიკანი⁴⁸⁸. საკვლევია დან- ძირი.

⁴⁸⁶ გ. ქურასბედიანი, მესხური თქმულებები, თბ., 1997, გვ. 8.

⁴⁸⁷ ს. ჯიქია დასახ. ნაშრომი, გვ. 357.

⁴⁸⁸ მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 85-86.

ბ) ზანზობი

მუსხელებმა: ა. ჯინჭველაძემ, მ. ოქრომელიძემ, ი. ინასარიძემ, შ. ინასარიძემ და კ. მელიქიძემ *ზანზობის* შესახებ ჩაგვაწერინეს შემდეგი: „სახელწოდება *ზანზობა* გვიან დაერქვა. ადრე ამ მთას ერქვა *სანწუბა*“. ვარაუდობენ, რომ ნასოფლარ *ზანზობის* ძველი სახელი იყო *სანსობი*. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იქ მხოლოდ ორი წყარო იყო — ქვეშა წყარო და ზედა წყარო. ეს წყაროები ჭასავით არის ამოჭრილი ღრმად და განივრად, კედლით ნაშენები. სულ დაბლა კი—ღიღი ფიქალი ქვებით, ამოღების დროს წყალი რომ არ აიძვრეს, ასევე ღიღი ფიქლებით არის დახურული, რომელიც არასოდეს არ ჩანგრეულა. ძველებური ოდის ერდოსებურადაა ისე, რომ იქ მომსვლელი უნდა მოიდრიკოს, ან ჩაჯდეს, რომ ვედრო ჩაკიდოს ხელით და წყალი ისე ამოვიდოთ. ძველები ამბობენ, რომ ამ წყაროების მიზეზით *სანსობი* ჰქვია. „რუსების მოსვლის შემდეგ *სანსობს* ვერ ამბობდნენ, *ზანზობი* დაერქვა. სულ პირველი სახელი კი არის *სანწუბა*“.

გადმოცემით მთა *ზანზობი* ასპინძის რაიონის სოფ. *ჭობარეთის* ყოფილა. მუსხელები ზან *ქურდოსანზე*, ზან *ნაღებაში* მიდიოდნენ. იმ მხარეში სულ თათრები ცხოვრობდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ ან *ქურდოსანარზე* ან *ნაღებაზე* გაეტარებინათ ზაფხული. იმ დროისათვის, ერთ მებატონეს, გვარად *მესხიშვილს* თუ მუსხელიშვილს მუსხიდან მოჯამაგირედ აუყვანია მელიქიძეების ვაჟი ალექსი. ეს მოჯამაგირე კეთილსინდისიერი მუშა ყოფილა, მებატონეს მზარეულად აუყვანია ოჯახში. მებატონეობის გაუქმების შემდეგ, როცა მემამულეებს მიწები ჩამოერთმეოდათ, მებატონემ გადაწყვიტა სხვაგან გადასახლება. მელიქიძეს უთხრა: ასეთი ღიღი სამსახურისათვის, რაც ჩემთვის გაიღე, რით დავაფასო შენი ამავიო. კაცი უშვილო ყოფილა, მებატონისათვის უთქვამს, შენგან არაფერს მოვითხოვ, ოღონდ ეს ჩემი სოფელი გადაარჩინე ამ ტანჯვას. ეს *ზანზობის* ველ-მინდვრები დაუმკვიდრე მუსხელებსო. მართლაც ბატონი ასე მოქცეულა. ამის შემდეგ ალექსი მელიქიძეს მაღლიერებით იხსენებენ მუსხელები და არავინ ეღაპებოდა *ზანზობის* მთის დაპატრონებაზე“.

ეს ვრცელი მონათხრობი მოვიყვანეთ იმისათვის, რომ გვეჩვენებინა ადგილის სახელის ობიექტის გაფართოების საინტერესო მაგალითი. კერძოდ, დღეს აღარავინ ფიქრობს, რომ *ზანზობი* შეიძლება როდისმე სოფელი ყოფილიყო. ამ სახელით

მხოლოდ მთას იცნობენ. მთაც პირობითია, იგულისხმება საზაფხულო საძოვრები სოფლებისათვის. ამ შემთხვევაში მუსხისათვის.

ნასოფლარი *ზანზობი* მდებარეობს მუსხიდან 18-20 კმ-ზე. ზაფხულობით მუსხელები მთად ადიან *ზანზობში*. გზა მუსხიდან *ზანზობამდე* გადის *ურაველზე*, ნასოფლარ *აგარაში*, *სავერძიას ხეზე*, სავერძიას ხევი სათავეს იღებს თურქეთის საზღვრიდან, *ტაბახმელაზე*. *ტაბახმელა* არის თბილისის მახლობლად მდებარე *ტაბახმელის* საზაფხულო საძოვარი (სავერძიას ხევი უერთდება *ურავლის წყალს (ურაველას)* მარჯვენა ნაპირიდან ნასოფლარ აგარის ძირში). *სავერძია* ხევის სახელის პირველი ნაწილია. იგი ცალკე ადგილის სახელი უნდა იყოს, რომლის დადასტურება ვერ ხერხდება. ვფიქრობთ *ს. ხოსიტაშვილის* მიერ მითითებული *საყარძია* იგივე *სავერძია* უნდა იყოს: „ნასოფლარი *საყარძია* მდებარეობს ნასოფლარ *შხარანას* ქვემოთ“⁴⁸⁹. მეორე გზა მიდის *ურავლიდან* ნასოფლარ *ორცევის* გავლით, ადის მთაზე, რომელსაც *შხარანას* ეძახიან მუსხელები, კვეთს სავერძიას ხევს და შედის აღმოსავლეთიდან. მესამე გზა *ურავლის* გავლით მიუყვება მდინარე *ურაველას ჩორჩოს* მხრიდან, გაივლის ნასოფლარ *ახალკაცას* და შედის *ზანზობში* დასავლეთიდან. *შხარანას* ჩრდილოეთით არის ნასოფლარი *ქურდოსანი*.

ზანზობი ალპურ ზონაში მდებარეობს, ამიტომ გარშემო ველმინდვრები და სათიბეები აკრავს. მას ჩრდილოეთით ეკერის ტყე, რომელსაც *პაროსებს* ეძახიან. სამხრეთით არის *თიქანის* სახელით ცნობილი სათიბი. დასავლეთის მხრიდან ჩაუდის *სარიჩაირის* ხევი. ამ ხევის მარცხენა ნაპირზე ახალკაცასთან ახლოს არის ნასოფლარი *საგულე* (ფიჭვის ხეები იდგა, ყაყარს ხდიდნენ). *სარიჩაირი* *ზანზობის* გვერდითვე იღებს სათავეს და უერთდება *ურაველას* მარჯვენა ნაპირიდან. *ზანზობში* წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკის ტიპის ეკლესია დგას.

ზანზობში არის ორი წმინდა ადგილი — *გაღმა* და *გამოღმა ზიარეთი*, ნასოფლარის სამხრეთით, თურქეთის საზღვრისაკენ, გამოღმა ზიარეთში *სავერძია* ხევის მარცხენა ნაპირზე წვეთავს ბუნებრივი წყალი გამოქვაბულში. ეს წყალი ინახება დიდხანს ისე, რომ თავის თვისებებს არ კარგავს. აქ ყოველწლიურად მუსხელები

⁴⁸⁹ ს. ხოსიტაშვილი, ნასოფლარები ურავლის ხეობაში, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, I(24), 1972, თბ., გვ. 67.

ადიან და აღნიშნავენ *ქეტრე-კავლობის* დღესასწაულს. გაღმა ზიარეთში დღესასწაულებზე აღარ დადიან.

სავერძია ხევს, მარჯვენა ნაპირზე სოფლის გასწვრივ ასდევს ტყე, რომლის მარჯვენა ნაპირსაც მუსხელები ეძახიან *სარკიას*. სარკიაში ტყის გარდა სათიბიცაა. სარკიაში, სოფლის პირდაპირ, აღმოსავლეთით არის ერთი კლდე, რომელსაც *ობოლკლდე* ჰქვია. გადმოცემით *ობოლკლდე* დაურქმევიათ იმიტომ, რომ იქიდან *ობოლი* ბავშვი გადმოვარდნილა. სინამდვილეში სიმარტოვის გამო შეერქვა ეს სახელი. ზანზობის დასავლეთით 4-5კილომეტრზე დგას *ემპელოს ციხე*. ციხის გვერდზევა გორა, რომელსაც *ქალა თაფა* ჰქვია. გადმოცემის მიხედვით თამარის დროს მტერი შემოესია. ალყაში მოაქცია თამარმა შემოსული, თავები დააყრვეინა და ამ თავებისაგან დააყენა გორა. ამ გორის შესახებ არაერთი გადმოცემაა ფიქსირებული. მოვიყვანთ ერთ მათგანს, ს. ხოსიტაშვილი წერს: „ამავე მიდამოებში არის ქალათაფა“ („თავების გორა“) ნასოფლარ ემპელოსთან“ და იქვე შენიშნავს: „აღგილობრივ მესხთა შორის დღემდე შემოგურჩა გადმოცემა „ქალათაფის“ („თავების გორას“) შესახებ, თითქოსდა თამარ დედოფალს, როდესაც თათრებთან დიდი ბრძოლა ჰქონდა, წინასწარ აქ გაუთხრია დიდი თხრილები, შეუნიღბავს მწვანე ბალახით და როდესაც მტერი იერიშზე გადმოსულა, შიგ ჩაცვენია, ქართველებს ყველა ამოუხოცავთ, შემდეგ თავები დაუჭრიათ და თამარის ბრძანებით ერთ ადგილზე დაუმარხავთ, წარმოიშვა პატარა გორა, რომელსაც „თავების გორა“ ანუ „ქალა თაფა“ უწოდეს“⁴⁹⁰.

ამავე სახელწოდების გორა გვხვდება ასპინძის რაიონის ნასოფლარ ერკოტის ტერიტორიაზე, და იქაც დაახლოებით ისეთივე გადმოცემაზე მიუთითებენ ოღონდ თამარის გარეშე. მთავარია, რომ თავის ქალის გორაა ამოსავალი. საინტერესოა არქეოლოგიურად ეს გარემო.

ზანზობში ორი წყაროა: *ზედა წყარო* და *ქვეშა წყარო*. სავერძიას ხევშია ადგილი *მუხიანი* და *თარაგები*, სამოვრები მუხიანამდე. თარაგები ბუნებრივად დატერასებული ადგილია. ზანზობის გარშემო აღმოსავლეთით არის ურავლის მთა, სამხრეთით ტაბახმელა და წნორის მთა, სამხრეთ-დასავლეთით-ჭვინთის მთა.

ზანზობიდან ჩრდილოეთით 4 კმ-ზე არის ნასოფლარი *ვაშლოძი*, ეკლესიით, სადაც 1944 წლამდე ცხოვრობდნენ მომთაბარეები, ხოლო ვაშლოძისა და ზანზობის შორის არის ჭალა, სათიბები-

⁴⁹⁰ ს. ხოსიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

ქისტის ჯვარი. იქვე 500-დე მეტრშია ნაეკლესიარი *მოლიჭალა*. მოლა თიბავდაო, თორემ ამ ადგილს სხვა სახელი უნდა რქმეოდა. *ქისტი ჯვარი* და *მოლი ჭალა* ერთმანეთს აგრძელებენ. სავერძიას ხვეის მარჯვენა მხარეს, ქისტის ჯვრის გასწვრივ არის ჭნავის წყარო. გამოდის ჭნავის ძირზე.

რუსულ ხუთვერსიან რუკაზე ზანზობი Запзын ფორმით არის წარმოდგენილი. ზანზობ - ფორმას იცნობს ალ. ჯაკაბიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი რუკაც. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ III წიგნზე თანდართულ რუკაზე ამ ადგილზე აღნიშნულია *სანწუბი*. ს. ჯიქიას მოყვანილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტში დადასტურებული ფორმები: *Самзын-Самзон-სანძობი*, *ზანზობი* და ამბობს, რომ *სამწუბი* და *სანძობი/ზანზობი* ერთი და იგივე პუნქტი უნდა იყოსო.

„დავთრის“ დროის *სამწუბ-სანძობი* 14 კომლიანი სოფელია, მისი ადგილმდებარეობა დასაზუსტებელია⁴⁹¹ შეიძლება ითქვას, რომ სამწუბის ადგილმდებარეობა დაზუსტებულია და იგი ღღეს ზანზობია. სამწუბის ხსოვნა, როგორც ზემოთ მოყვანილი მონათხრობიდან ჩანს, *სამწუბას* სახით ადგილობრივ მოსახლეობაში დღევანდელამდე შემორჩენილი. *სამწუბიდან სანწუბის* მიღება მესხურ დიალექტში ჩვეულებრივი ამბავია მ, ნ-ს მონაცვლეობის ნიშნით. არაქართული გარემოს შედეგად ადვილად აიხსნება *სანზობისა* და შემდეგ *ზანზობის* მიღებაც.

სამწუბში მე-16 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდნენ: გიორგი სელმანისძე, აზარია, გოგიჩა, გულისაძები, პაველა, მირზა, ჯიმშერ მაზმანისძე, იორდანე, დავით თაყასძე, გოგიჩა, ღვინია კაპანასძე, ელია ნასარასძე, სიმონი და სხვანი. მათ მოჰყავდათ ზორბალი, ქერი, ჭვავი, ჰყავდათ ცხვარ-ძროხა და ღორი⁴⁹².

სამწუბი სხვაც უნდა ყოფილიყო მესხეთში, კერძოდ, მტკვრის ხეობაში ჯავახეთსა და შავშეთს შორის. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრახუა ხონთქარსა. ესე ეცნა მანუჩარ და აუწყა ყუარყუარე ათაბაგს. წარმოვიდნენ...და მოვიდნენ მგელციხეს...მუნით ყეენტან ღესპანი წარავლინეს... თუთ მოვიდნენ და დადგნენ *სამწუფ-ღელეს* შინა, ზოლო ესენი *ოლდამის* ქუებიდან შედანის შვილმან...“. შემ-

⁴⁹¹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 210-211.

⁴⁹² ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 149-150.

დგ გრძელდება ძმათამკვლელი ბრძოლები და ავტორი ჩამოთვლის იმ სახელებს, რომელთა სიახლოვეს უნდა ყოფილიყო *სამწუფ-ღელე*. „მერმე მივედით *თმოგეს*, ქალაქი მოვარბიეთ, თმოგუს მოვიდა დედისიმედიცა. ორშაბათს ვანის ქუაბებს მოვუდექით, ოთხშაბათს შევედით, ავიღეთ, პარასკევს რჩეულიანნი შევყარეთ, კვირას *ოლაღის ქუაბნი* ავიღეთ და *კარწახს* მივედით *ფოსოს* მიუკვდით, მოვსწყვიდეთ და ავიალაფეთ“⁴⁹³.

სამწუფ-ღელე მოხსენებულ კონტექსტში *მგელციხესა* და *თმოგვის ციხეს* შორის არის მოქცეული. მგელციხე ხუთვერსიანი რუკების *Курт-кала* და ალ. ჯავახიშვილის თარგმნილი სიტყვა-სიტყვით ქურთკალაა. დანარჩენი ობიექტები ერთმანეთს ერთი დღის სავალზეც არ არის დაშორებული. *სამწუფ-ღელე* *სამწუბ-ღელე* დაყრუებული მქლერიოთ. *სამწუბი* ცალკე ადგილის სახელად არ გხვდება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო, რადგან ხვე-ღელეები სახელს იღებენ დასახლებული პუნქტის ან სხვა გეოგრაფიული სახლის მიხედვით.

ვახუშტი ბატონიშვილი წყაროდ ამ შემთხვევაში იყენებს „მესხურ მატიანეს“, სადაც მართლაც არის *სამწუბი* და არა *სამწუფი*: „ამავე წელს, ივნისსა, ათაბაგი პატრონი ყუარყუარე და ძმა მათი პატრონი მანუჩარ და ბიძაშვილი მათი მეფისშვილი პატრონი პერაკლე მგელციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნად. აკკარგად სამოცამდის კაცი იახლა, *სამწუბთ* ღელეში დაღვდით“⁴⁹⁴.

„მესხური მატიანის“ მიხედვით აშკარაა, რომ *სამწუბი* ადგილის სახელად იყო და თანაც არა ერთი, რადგანაც მრავლობითშია მოხსენებული. შეიძლება ყოფილიყო დიდი, პატარა, ზემო, ქვემო და ა.შ. *სამწუბი*, რომელთა გამო ღელეს უნდა შერქმეოდა *სამწუბთ ღელე*.

„ქართლის ცხოვრების“ გამომცემელი სიმ. ყაუხჩიშვილი ძეგლის ენის განხილვისას *ინწუბა* სიტყვის შესახებ მიუთითებს: „*ინწუბა* უკვე კარგა ხანია აღარ ესმოდათ გადამწერთ... ხელნაწერები კითხულობენ ამ ადგილს დამახინჯებულად: *ინწუბა*, *ინწუნბა*, *ინწუნება*, *ანწუნბა*. შედარებით სწორი ფორმის დადგენის საშუალებას გვაძლევს საბას განმარტება: *მწუბებმა* — „წუმბეში გორვა“.

⁴⁹³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1979, გვ. 719.

⁴⁹⁴ „მესხური მატიანე“ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV–XVI ს.ს.) ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევები, საძიებლები, ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 43.

ზმნა „მწუბება“ კანონზომიერად მოგვცემს ნამყო წყვეტილში იმ-
წუბას, საიდანაც უნდა იყოს წარმოდგენილი ასიმილაციის შედეგად
„ინწუბა“⁴⁹⁵.

იმწუბა ზმნიდან მისი საწყისი მწუბება ფორმის მიღება სწორია
და ასევე უნდა იყოს მიღებული მომავალი დროის მიმღეობა *სა-შ-
წუბ-ო*, რაც სატალახო ადგილს უნდა რქმეოდა. დიდ სიძნელეს არ
წარმოადგენს წუშპისა და მწუბის დაკავშირება ერთმანეთთან, რაც
საქმის ვითარებას არ ცვლის.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო სოფლის სახელი *საშწუბი*,
რომელმაც მოგვცა *სანსობი* და შემდეგ *ზანზობი*, მესხეთის ტოპო-
ნიმიში გაერცვლებული ყოფილა, ტალახიან ადგილს აღნიშნავდა
და მას ზედა და ქვედა წყაროსთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი,
კერძოდ, სანსობი მისი ხალხური ეტიმოლოგიის შედეგი უნდა
იყოს. ავსებასთან ასევე არ შეიძლება სახელის დაკავშირება, რად-
გან ყველა ჭა და მით უმეტეს მესხეთის მთიანეთში ფიქლით გა-
დახურული წყაროები წყლის ავსებისთვის არის განკუთვნილი.

გ) ნასოფლარ ტობის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ტობა დღეს ნასოფლარია, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ მის
მდებარეობას აღვწერთ ვახტანგ სულაძის მიხედვით. ვ. სულაძემ
ტობა აღწერა 30-იან წლებში, მაშინ, როდესაც აქ სოფელი იყო,
ამასთან ერთად, ეს აღწერა გამოქვეყნებული არ არის და ჩვენ
მიერ მოყვანილი ტექსტის საშუალებით გაეცნობა მას დაინტერე-
სებული მკითხველი: „სოფელი ტობა ახალციხიდან 10 კილომე-
ტრის დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. სოფელი
შემოზღუდულია ირგვლივ მაღალ კლდიანი მთებით და გორებით.

ტობას აღმოსავლეთით საზღვრავს სოფელ *რუსთაის* მიწა-
წყალი, სახელდობრ *თელათი ყანები* და *ყარაყურშაღის ხევი*.

სამხრეთით საზღვრავს მდინარე მტკვარი. დასავლეთით
საზღვრავს სოფელ *მინაძის* მიწაწყალი. სახელდობრ: *ჩოქაქები*,
ლეღურები, *სერები*. ჩრდილოეთით საზღვრავს სოფ. *კვალთახევის*
და *ორფოლის* მიწაწყალი, სახელდობრ: *შორაღები*, *ყარაყაია*,
სადაო, *სამარილოები*, *სამარილოების გვერდები*. თვით სოფელი
ტობა მდებარეობს პატარა ტაფობში. ტაფობის ფართობი ორ კვად-

⁴⁹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 50.

რატულ კილომეტრს უდრის, დანარჩენი ადგილები მთავორიანია და მწირმოსავლიანი ნიადაგისაგან შედგება“⁴⁹⁶.

ნასოფლარს თუ უფრო ზემოდან დაეხედავთ, უკეთესად გამოჩნდება მისი რელიეფი, ძველი ღრულის გადასახედიდან, კერძოდ, კლდისთავებიდან, რომელსაც მატარაული ჰქვია, კარგად მოჩანს ნასოფლარი ტობა, რომელიც მოქცეულია მთებში და მტკვრის მხარეს აქვს გამოსასვლელი ყელი. ტობის ეს ადგილი ტაფობია, რომელიც თუ ის მართლაც „რელიეფის უარყოფით ფორმას“⁴⁹⁷ აღნიშნავს, მაშინ შეიძლება ტბა გამორიცხულიც კი იყოს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი მთლიანად წყალს ჰქონდა დაფარული, იყო ტბა, რომლის დაშრობის შემდეგ დაგვრჩა ტობა.

ტობა მესხეთის უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება და მისი ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულიდან უნდა დაიწყოს. მანამდე კი მოეუსპინოთ ხალხურ ეტიმოლოგიას: „სოფ. ტობიდან მომავალი ღრმა ხევით პატარა წყალი (ნაკადული) ერთვის მტკვრს, თურმე ერთხელ მებადურებმა ნახეს, რომ ამ პატარა წყალს ნაფოტი მოაქვს. ეს წყალი იმ დროს არც ისე პატარა იქნება. მებადურები დაინტერესდნენ, ალბათ აქ ვინმე ცხოვრობსო და ხევზე შეჰყვებიან წყალში ტოპ-ატოპით, ავლენ ჩვენ სოფელში, ნახავენ, რომ სამი კომლი ცხოვრობს. ამათგანი ერთი კომლი სახლს აკეთებს. ის ნაფოტი იყო, წყალმა რომ წაიღო. იმ მებადურების შემდეგ დარჩმევია ტოპა და ახლაც ეძახიან ტობას“⁴⁹⁸ წყალს, „ტოპას“ და თევზის სიმრავლეს უკავშირდება მესხეთში გავრცელებული ხალხური ლექსი: „...თევზი მე მთხოვე ტობას“⁴⁹⁹.

ბევრი ენათმეცნიერი შეეხო ტობის ეტიმოლოგიას, მიჩნეული, რომ იგი ტბას უკავშირდება (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) და ტობა ზანიზშია (ი. სიხარულიძე, ნ. ნორაკიძე, გ. თოფურია) მესხეთის ტოპონიმიაში. არის სხვა მოსაზრებაც: „სამხრეთ საქართველოში ადგილის სახელებად გვხვდება ტაბისყური, ტობა, ტბეთი, ტბეთი. ტაბისყური ისტორიული თრიალეთის ტბაა, მაგრამ თრიალეთი არაიშვიათად იგულისხმებოდა ადმინისტრაციულად ჯავახეთში. იგი ტოპონი-

⁴⁹⁶ ს.ჯ. ი. მ. ფ. ვ. სულაძის ხელნაწერი, № 104, გვ. 1.

⁴⁹⁷ ბ. ჯორბენაძე, ტბ||ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, №2, თბ. 1975, გვ. 79.

⁴⁹⁸ ს.ჯ. ი. მ. ფ. ვ. სულაძის ხელნაწერი, № 104, გვ. 4-5.

⁴⁹⁹ ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1938, გვ. 74.

მიურად „მესხური“ რეგიონია. ტობა სამცხის ტოპონიმი... ტბებით ისტორიული პროვინციის – შავშეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა... ხოლო ტბებით მდებარეობდა შავშეთსა და კოლას შორის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი ისტორიული მესხეთის ფარგლებშია...

შეიძლება დაეუშვათ, რომ ყველა ეს სახელი ერთ ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი⁵⁰⁰.

მიუხედავად ტოპონიმის სახელის სიძველის დადასტურებისა, ცნობები იქ მცხოვრებთა შესახებ, შედარებით გვიანდელია და მე-16 საუკუნეს განეკუთვნება. ოსმალეთის მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ მე-16 საუკუნის ბოლოს ტობაში ქართველები ცხოვრობდნენ; *საბია გრიგოლისძე, სორაზან, მაზარებელ საბიასძე, ლომელი დავითასძე, კაკია გიორგისძე, იასონ, გოგინა, აბისონ გოჩასძე, მაზარა იასონისძე, ზაალა, ზაალა სოხასძე, გრიგოლ გოგინასძე, არაქელა ანანასძე*⁵⁰¹. ესენი ოჯახის უფროსები არიან. თუ გავითვალისწინებთ, ტრადიციულად, მესხთა მრავალსულიან ოჯახებს, ბევრი ბავშვი, ქალი და რძალი იქნებოდა ზემოთჩამოთვლილთა გარდა. სოფელში იყო ერთთვლიანი ზეთის სახდელი, რომელიც საბიას ეკუთვნოდა. მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, საქონლის საკვებად ცალკე იღებდნენ თივას და ცალკე იონჯას. ჰქონდათ სოფლის მთა და იალალები, თესავდნენ ბოსტნეულს მოჰყავდათ საუკეთესო ხილი. ჰყავდათ ფუტკარი, ღორი, საქონელი მრავალი...

მრავალჯერ დანგრეულა და მოშენებულა სოფელი. „უწინდელ დროს ჩვენ სოფლის ადგილას ყოფილა ნასოფლარი. მტრების შემოსევით ხალხი გავერანებულა. ჩვენი სოფელი და მთლიანად მიდამოები განხდარა უღრანი ტყეთ“⁵⁰².

მას შემდეგ ამ ნასოფლარში პირველად დასახლებულა სამი კომლი. 1. *თაძარაძე*, 2. *სულაძე*, 3. *ვარსკენელიძე*. „ეს სოფელი მოშენებულა ამ სამი კომლისაგან, მხოლოდ შემდეგ ჩაჰმატებია რამდენიმე გვარი“⁵⁰³.

⁵⁰⁰ მ. ბერიძე, ტერმინი „ტბა“ მესხეთის ტოპონიმიში, ტოპონიმიკური კრებული, თბ. 1993, გვ. 10-11.

⁵⁰¹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 152-153.

⁵⁰² ვ. სულაძის ხელნაწერი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი, № 104, გვ. 1-2.

⁵⁰³ იქვე.

როგორც ჩანს, *სუდაძე* მისულია ტობაში: „სოფელი *ღრელი* რომ აუოხრებიათ, იქიდან გამოქცეულ *სუდაძეს* თავი შეუფარებია ტობას... იქიდან მოშენებულა ჩვენი სოფლის ქართველობა“⁵⁰⁴. ე.ი. ადგილობრივნი *თამარაძეები* და *ვარსკენელიძეები* ჩანან. ასევე მოგვანებით ჩანს მოსული ტობაში *ასპანიძე*. სოფლის ტერიტორიაზე აღმოსავლეთით ნახევარ კილომეტრზე იყო ნაეკლესიარი *წმ. მარიამის* სახელობისა, ხოლო ჩრდილოეთით — *წმ. გიორგის* სახელობისა.

სოფელში იდგა *წმ. ნინოს* სახელობის ეკლესია, რომელიც აშენდა 1882 წელს და ნიში გადმოიტანეს *ოხერის* ეკლესიიდან.

1944 წლამდე ტობაში ცხოვრობდა 45 კომლი გაღმა და გამოღმა უბნებში. 22 კომლი—მაჰმადიანი და 23 კომლი — ქრისტიანი.

ვ. სუდაძის მიერ აღწერილია *ტობის* მიკროტოპონიმია. ჩამწერს დაყოფილი აქვს ტერიტორია მხარეებად და მითითებული აქვს, თუ რამდენ კილომეტრზეა დაცილებული ესა თუ ის სახელი სოფელს. არა აქვს ახსნილი სიტყვის მნიშვნელობა და არ არის მითითებული, თუ რა რის სახელია. მოვიყვანთ მის მიერ ჩაწერილ მასალას.

სოფლის აღმოსავლეთი მხარე: *ზვარიები, ლექთიები, უნაგირები, ორთაყუზიები, სატრაწაყები.*

სამხრეთი: *ზეუბნები, საჩხუკიები, გოხიათალი, ბებნაძიკატრები, ფილტაგვერდი, ფაგები, ვენახები, საცურავი.*

დასავლეთი: *ფაშაფუარი, ლოდრანა, კურდღელა ვაკე, ქარხნები, კაპნები, ყიმიშლოდარა.*

ჩრდილოეთი: *ლონაშო თარავი, სიფირგაიათალი, კლდეკარი, სერები, ქალთაყანები, ჩოქაქები, შუასერები, ყაიყაიები, შორაღები, სადაოები, სამარილიები, აგრიოლები, ჩიტოლელე, სანგლი თავი, თელათი თავები. ჩოქაქების წყაროები, შორაღების წყაროები.*

მაჰმადიან მესხთა გადასახლების შემდეგ, სადაც მართლმადიდებელი ქართველობა აღარ ცხოვრობდა ტოპონიმია ქრებოდა სპონტანურად. ტობა ამ შემთხვევაში საბედნიერო გამოჩაკლისია, რადგან იქ ქართველები ცხოვრობდნენ, ისინი წყარაძეში გადავიდნენ და მათ იციან ადგილის სახელები. ამასთანავე ჩვენ გვქონდა საშუალება ჩაგვეწერა სახელები ტობიდან გადასახლებული მაჰმადიანი ქართველისაგან 70 წლის იასურ ვარსკენელიძისაგან. მისი თქმით ტობაში ცხოვრობდნენ მაჰმადიანთა შემდეგი გვარები: *ვარსკენელიძე, ვაგნიძე, დავზარიძე, თამარაძე, ლაზიშვილი.* იყო ორი ეკლესია, რომლებიც მუსულმანთა უბანში იდგა. მუსულმ-

⁵⁰⁴ იქვე.

ანებსა და ქრისტიანებს ჰყოფდა *ტობის ხევი*. მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდნენ მუსულმანები, მარცხენაზე ქრისტიანები. ბავშვები ერთად დადიოდნენ ჭონაზე, ანთებდნენ ჭიაკოკონას, ლებავდნენ სააღდგომოდ კვერცხს. მან გაიხსენა თამაში ჯოხით. ორი მოთამაშე დაიჭერდა ჯოხს თითო ხელგამოტოვებით ჩასჭიდებდნენ ხელს და ამბობდნენ:

„ჩემო ჯოხო შინდისაო, მე ვერ მოგცემ მინდისაო, უბედურო, ბედიანო, უბედურო, ბედიანო... თან გადაადგილებდნენ ხელს და ვისთანაც გათავდებოდა, ის წააგებდა. *ო. ვარსკენელიძისაგან* ჩაწერილ მიკროტოპონიმებში თითქმის არ გვხვდება თურქული სახელები, ზოგი მათგანი, რომელიც ჩაუწერია *ვ. სულაძესაც*, განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი, ამიტომაც საჭიროდ მივიჩინეთ მისი გამოქვეყნება: *კაპანი* – აღმართი, სამანქანე გზა, რომელიც ადის სახელმწიფო გზიდან, მიდიოდა ვიწრო ბილიკის სახით. იქვეა *დავითის ლოდი*. ღვარცოფი მოვარდნილა და ვინმე დავითო ზედ ასულა, თავი გადაურჩენია.

ტობის ხევი-იწყება *ტობიდან*, ადგილიდან, რომელსაც ჰქვია *სანგლათაი* (პატარა გორაკი) და ერთვის სახელმწიფო გზის ქვეშ მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან. *გულანკი* *გულანკე-ტობის ხევის* შესართავი მარჯვენა მხრიდან, გზიდანვე. *ტობის ხევის* მარჯვენა ნაპირზე, ვიდრე ავალთ ტობაში, არის კარგი წყარო *კურდღელა*. სოფელში შესასვლელშივე იყო წყარო, რომელსაც ერქვა *აქსერა*. *ჭანჭაბა* – სოფლის თავში კეტავდნენ ჭაობიან ადგილს, ღამე აგროვებდნენ წყალს, რომ დღე რიგრიგობით მოერწყოთ პატარა ბალები. *ნაფუზარი* – სოფლის აღმოსავლეთით, თავზე, სათესები. *შუაკარი* – *შუაკარი* – სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით კლდიანები. გადის ბილიკი შუაში, მიდის *კუალთისხევი* *კუალთახევისა* და *ორფოლისა* *საგენ*. *სამარლქი* *სამარილე* – ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრტყელი ქვები, სადაც მარილს აძლევდნენ საქონელს. *ჩიტღელა* – რუსთავის საზღვარზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სათავეს იღებს *სამარლგდან* და მიდის *რუსთავის მიწემაძღე*. *უნაგირა* – სოფლის სამხრეთით *მუსხის* საზღვრამდე.

ასევე ჩავიწერეთ მიკროტოპონიმია ნოღარ დავითის ძე ასპანიძისაგან. 61 წლის, ყოფილი მეტყევე ინჟინერი. ნ. ასპანიძის მასალაც გარკვეულ დამატებით ინფორმაციას და განსხვავებულ ვარიანტებს გვაწვდის, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ მისი აქ წარმოდგენა: *კურდღელა* – წყარო, მინაძიდან 4 კმ-ზე. გზის მარჯვენა მხარეს, კლდეში გამოკვეთილი, გზის პირზევე. შუაში გახვრე-

ტილი ქვაა დაცობილი ხით (ლულუტა). ივსებოდა და აქედან ეზიდებოდნენ წყალს სოფელში.

კურდღელას მოპირდაპირე მხარეს ფიქლნარი ქვიანი, გრაკლიანი ადგილია, *საკაკაბე* ჰქვია. *საკაკაბეში* მარილსა და ქატოს ჰყრიდნენ, რომ კაკაბი მოშენებულიყო კოლექტივის დროს. *აქურა* – სოფლის შესასვლელშივე ავაზნები დგას, ჩადის ღელის წყალი წვიმის დროს. *ტობის წყალქტობის ღელე* – „რუსეთის შემოსვლის შემდეგ, წყალი რომ მოდიოდა, *ტობით*, *ტობით* მოდიოდა“. *დიდი უნაგორიდან* იღებს სათავეს (სერია რუსთავსა და ორფოლას შორის), ნაწრეტ-ნაწრეტი წყალი მოდის შრება ხოლმე, ჩამოივლის *პატარა უნაგორას*, *აქურას*, *კურდღელას* და უერთდება მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან. *ზეუბნებქზეუბანი* – ტობის თავზე ბალები იყო და იქვე იყო პატარა ტბაც. იყო საბოსტნეც, ირწყვოდა *დიდი გუბიდან* ნაწრეტი წყლით.

კატრები – ტყე, ფიჭვნარი 12 ჰექტარამდე. შზადებოდა კუნწუწი, გირჩებს სოფლელები საზამთროდ კრეფდნენ. რუსთავის გადასახედი. აქედან ჩანს *ძველი მუსხი*. *ძველი მუსხის* ეკლესიის ქონგური და კატრები ერთ ხაზზეა. 1998 წელს დაწვეს კატრები.

გრაკლიანი – *რუსთავე-მუსხის* მხარეს ქვიანი ბუჩქნარი ფერდობია. გრაკლს მოსახლეობა ზამთრობით თონისთავს იყენებდა.

ჭანჭანები – სოფლის სამხრეთ-დასავლეთ წვრილი წყაროები გამოდიოდა, იყო ვენახები, ზვიარა ვენახი (ზვიარა ყურძენი) მხოლოდ მაღლარი.

გოგონას წყარო – სოფლის ჩრდილო-დასავლეთით *ორფოლის* მხარეს, უერთდება *ტობის ღელეს* მარჯვენა ნაპირიდან. *სატრაწეო* – მრგვალი სერია გაცრეცილი ნაშალი მიწით, „რო ატალახდება ძალიან თხელი მასა მოდის, ფეხზე რო მოგეკრება, აღარ შორდება.

საჩხუკები – სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით *ორფოლის* გადასახედი სერი, პანტიანი. პანტა ჩხიკეს უყვარს. *ფიქლნარი* – სერი სოფლის თავზე, *ტობის ღელის* მარცხენა მხარეს. აქ შზადებოდა ფიქალი სამშენებლოდ. *საკურდღლე სერი* უერთდება აქურას. *სარეკელა* – სერი ნაეკლესიარით, სოფლის თავზე *რუსთავის* მხარეს.

ტობის ზოგიერთი ტოპონიმი დააფიქსირა ს. ხოსიტაშვილმა: „*ძველი მუსხი* მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და მტკვრის მარჯვენა ნაპირის მიდამოებშიც მასვე ეკუთვნოდა... აქ გეხვდება შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებები: *ტობური ვენახები*, *ორბძკლდეები*, *ქვაბის კარები* (გამოქვაბულები), *ქვაბის თავები* (აქ ქვემოდან თაღებია, ხოლო ზემოდან კარები. *ღელეების*

ბევი, საკურავი (ძველად ხე-ტყეს აცურებდნენ) ზედა და ქვედა ერზონა (საძოვრებია), ლეკის ბევი⁵⁰⁵.

მუსხის ტობის მიდამოები მიეკუთვნა მას შემდეგ, რაც მოსახლეობისაგან დაიცალა (1944 წლის შემდეგ), რასაც ადასტურებს თუნდაც ტობური ვენახები, რომელიც ტობის ვენახებს ნიშნავს, ვიდრე ტობელებისა იყო ეს ადგილი, მანამდე უბრალოდ ვენახები ერქვა.

ზემოთმოყვანილმა ტოპონიმურმა მასალამ გვიჩვენა, რომ ტობის მიკროტოპონიმია ძირითადად ისეთივეა, როგორც დანაჩენი საქართველოს მიკროტოპონიმია. ამასთან ერთად, გარდა ზემოთჩამოთვლილი გვარებისა, სხვა გვარსაც, კერძოდ, ბებნაძეს, უნდა ეცხოვრა ტობაში, რასაც გვაფიქრებინებს ვ. სულაძის მიერ ჩაწერილი ბებნაძიკატრები, რომელსაც შემდეგში ჩამოსცილდა გვარის აღმნიშვნელი ნაწილი და ნ. ასპანიძესთან გვხვდება უკვე მხოლოდ კატრები. დღეს ტობაში ვაზი აღარ გვხვდება, მაგრამ ადგილის სახელი ვენახები მიუთითებს, რომ აქ ვაზი ყოფილა, რასაც ადასტურებს ნ. ასპანიძის ხეიარა ყურძენი და აგრეთვე: „უწინ ჩვენ სოფლის ყურძენი მთელ მხარეში განთქმული ყოფილა. პაველ პაპას ცოლი იტყოდა: ვენახებს რო ვეძახით, ის მზიგული მთლად ვენახებით იყო დაფარული, ისეთი ვენახი, რომ ტოტიდან ტოტზე დავდიოდით და ხშირად ვიკარგებოდითო.

შემდეგ, როცა ეს სახელმწიფო გზა გაიყვანეს ნიკოლოზის დროიდან, ვენახები გაჩეხეს, მხოლოდ ახლა დარჩენილა ერთი ძირი სოფლის ბაღებში. სულაძე მათეს აქვს ვენახი, ინახავს კარგად და კარგადაც მწიფდება. წელს ოც ფუტამდის ესხმოდა⁵⁰⁶. ტობის ვენახების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. ხოსიტაშვილი: „ნასოფლარი ტობა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ძველად განთქმული იყო ვენახებით. ჩვენამდე აქ შემორჩენილია მარანი, ვენახის ტერასები და რამდენიმე ძირი ძველთაძველი ვაზი⁵⁰⁷.

ვ. სულაძესთან სჭარბობს თურქული სახელები, რომლებიც ყველა გამჭვირვალეა და რომელთაგან საინტერესო ჩანს ყაიყაიები (კლდეკლდეები). ამასთან აღსანიშნავია, რომ თურქული ლექსიკა

⁵⁰⁵ ს. ხოსიტაშვილი, სოფელ მუსხის ტოპონიმები, გვ. 63.

⁵⁰⁶ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი, ვ. სულაძის ხელნაწერი, გვ. 3.

⁵⁰⁷ ს. ხოსიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

შემოსულია დიალექტში და გაფორმებულია - ებ სუფიქსით. ერთი და იგივე ობიექტს უნდა აღნიშნავდეს *კლდეკარი* (ვ. სუდაძე), *შუკარი* (ი. ვარსკენელიძე). და *ორძაკლდეები* (ს. ზოსიტაშვილი) სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს გვაძლევენ *ი. ვარსკენელიძე* (*აქერა*) და *ნ. ასპანიძე* (*აქურა*), რომელთაგან პირველი უცხო ჩანს მესხეთის ტოპონიმიისათვის, მაგრამ ჩვეულებრივი მოვლენაა მთიან აჭარაში.

საინტერესო ფონეტიკურ ფორმებად მიგვაჩნია *ზვარიები*, *ლექთიები*, *უნავირიები*. *ზვარიებში* ამოსავალი უნდა იყოს *ზვარე* (მზის გული) წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა *ზვრები*||*ზვრიები*. *ლექთიების* შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს *ლეკთა*, რომელიც იგივეა, რაც *გრაკლიანი* (ნ. ასპანიძე) და მისგან უნდა იყოს ნაწარმოები *ლეკის ხევი*. ასევე -ა დაბოლოება უნდა აქონდეს ამოსავლად უნავირიებს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც *დიდი* და *ატარა უნავირა* ან *უნავირას* გარშემო სათესების სიმრავლის აღმნიშვნელი.

ამგვარად, ნასოფლარი ტობა საინტერესოა, როგორც სახელით, ისე მიკროტოპონიმიით, როგორც *ტობაში* იკითხებოდა ტბის უძველესი ფორმა, ასევე მიკროტოპონიმია გვაძლევს ძვირფას ცნობებს სოფლის ისტორიული თუ სამეურნეო ყოფის შესახებ.

თავი III. ჰიდრონიმთა სტრუქტურულ- სემანტიკური დაჯგუფება და ანალიზი

§ 1. ჰიდრონიმული ჯგუფები და მათი „სულიერი“ და „უსულო“ დახასიათება

1955 წელს გამოქვეყნდა ცნობილი სლავისტის მ. ფასმერის სტატია, რომელშიც მიმოხილულია რუსული ჰიდრონიმები. ავტორის აზრით, სლავური (რუსული) ჰიდრონიმები, თავისი შედარებით გვიანი წარმოშობილობის გამო, სემანტიკურად გამჭვირვალენი არიან. ამიტომაც აჯგუფებს მ. ფასმერი გარკვეული რუბრიკის ქვეშ ჰიდრონიმებს. მაგ.: ჰიდრონიმები, რომლებიც წარმოშობილი არიან საკუთარი სახელებისაგან, მცხოვრებთა კრებითობის აღმნიშვნელი სახელებისაგან, ტბების მიხედვით, მთების და ბორცვების მიხედვით, ცხოველთა მიხედვით, მცენარეულობის, წყლის ფერის, მდინარის დინების ხასიათის მიხედვით და სხვ.⁵⁰⁸

მ. ფასმერი ჯერ აღნიშნავს სემანტიკურ ჯგუფს და შემდეგ მიუწერს მაგალითს რუსეთის მთელი ევროპული ნაწილიდან. ასე გამოყოფს იგი 30-ზე მეტ ჯგუფს.

ჰიდრონიმთა კვლევას მ. ფასმერი უდგება სემანტიკური კვლევის მეთოდით.

მთავარი ნაკლი შრომისა, როგორც ა. რუდნიხი მიუთითებს⁵⁰⁹, არის ის, რომ:

1. გამორჩევითობის მეთოდით (მისთვის „საყვარელი ხერხი“) საეჭვოა მივიღოთ რეალური სურათი მოცემული ტერიტორიის ჰიდრონიმთა სემანტიკისა, რადგან ვრცელია ტერიტორია⁵¹⁰.

2. სტატიაში დარღვეულია სემანტიკური ტიპების მიღებული კლასიფიკაცია, რომელსაც მდინარეთა სახელები დაკავშირებული აქვს ხის ჯიშებთან, ჰიდრონიმულ ტერმინებთან. ზოგ შემთხვევაში ავტორი დაჯგუფებას იუმორისტულ ხასიათს აძლევს. მაგ. რთული სახელი, რომელიც აგებულია მოდელით

⁵⁰⁸ Рудних А. И. Семантические модели в гидронимике, вопросы топонмастики, 1972, Свердловск, გვ. 36.

⁵⁰⁹ იქვე.

⁵¹⁰ იქვე.

„რეცხვა“ არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს სხეულის ნაწილს ან ტანსაცმელს⁵¹¹.

სემანტიკური ჯგუფები გამოყვეს უკვე კონკრეტულად დნეპრისპირეთის ჰიდრონომიაში ვ. ტოპორევმა და ო. ტრუბაჩევმა. ამ ნაშრომის მთავარი ღირსება ის არის, რომ მისაღება ეტიმოლოგები და კონკრეტულ არეალს ეხება⁵¹², რაც განზოგადების მეტ საშუალებას იძლევა.

ვ. ტოპორევმა და ო. ტრუბაჩევმა გამოყვეს სემანტიკური ჯგუფები, ჰიდრონიმთა სახელები, რომელნიც მიღებულია:

1. მცენარეულობათა სახელებისაგან (ჭინჭარი, წნელი, ლერწამი და სხვ.);
2. ხეთა ერთობლიობის (კრებიტობის) აღმნიშვნელი სახელებისაგან;
3. ნიადაგისა და ფსკერის თავისებურების აღმნიშვნელი სახელებისაგან;
4. წყლის ფერის მიხედვით;
5. მდინარის წყლისა და დინების თავისებურების გამო;
6. ლანდშაფტის თავისებურების გამო;
7. ჰიდრობიოქეტიკების კონკრეტული განსაზღვრით;
8. საგუბარების, მდინარეთა გადასასვლელების და სხვა ნაგებობათა აღმნიშვნელი სახელებისაგან;
9. საზღვრების აღმნიშვნელი სახელები (Поднепровья, Поволжья);
10. ცხოველთა სახელებისაგან მიღებული⁵¹³.

ტოპონიმიკური ანალიზი ზღბა მიღებული მეთოდით – ტოპოფუძეებისა და აფიქსების გამოყოფის გზით⁵¹⁴.

ა. რუდნიხი მიმოიხილავს იმ ავტორებს, რომელნიც მეტნაკლებად ორიგინალური მიდგომით გამოირჩევიან სემანტიკური ჯგუფების ჩამოყალიბებისას. ამ მხრივ საინტერესოა ო. მოლჩანოვის მიერ მოცემული ჯგუფები, რომელნიც დამახასიათებლნი არიან მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიხედვით.

ო. მოლჩანოვის აზრი დაახლოებით შეიძლება ასე გადმოცეს:

⁵¹¹ იქვე.

⁵¹² Рудних А. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

⁵¹³ Топоров В. Н. Трубачев О. М., Лингвистический анализ гидронимов Верхнего Поднепровья, Москва, АН СССР, 1962, გვ. 214-216.

⁵¹⁴ Рудних И. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ტოპონიმთა საზოგადოებრივი მნიშვნელობა მოგვცემს საშუალებას, განესაზღვროთ თუ რა იღო საფუძვლად სახელდებისას და როგორ კავშირშია მოცემული სახელი ობიექტის რეალურ შინაარსთან და მისი მნიშვნელობა ადამიანთა კოლექტივის ცხოვრებაში⁵¹⁵.

ამასთანავე სახელდების მომენტში სახელის მნიშვნელობა მოტივირებულია⁵¹⁶, რაც იკარგება შემდეგში, როცა ეს მოტივაცია ქრება, სახელის ხმარების სიხშირის, ასაკის გამო.

ო. მოლჩანოვის აზრით, ტოპონიმები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს, პირველი, რომელიც უშუალოდ ადამიანთან, მის საზოგადოებრივ ყოფასთან არის დაკავშირებული და მეორე, რომელსაც აქვს „Опосредованная связь“. ეს დაყოფა ხელოვნურია⁵¹⁷. ამასთანავე ავტორი ტოპონიმს ორიენტირად მხოლოდ მეორე ჯგუფისას მიუთითებს, მაშინ, როდესაც ნებისმიერი ტოპონიმი შეიძლება გამოდგეს ორიენტირად.

საზოგადოების დამოკიდებულება ობიექტისადმი კარგად ჩანს, როდესაც საერთოა ეს ობიექტი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, გზა სოფლებს-კოთელიასა და ბარალეთს შორის. ბარალელებისათვის ეს არის კოთელიის გზა, ხოლო კოთელიელებისათვის — ბარალეთის გზა. ობიექტი ერთია, აღსანიშნი ერთია, მაგრამ სახელი აღმნიშვნელი აქვს ორი, ორივე ცოცხალი, ორივე იხმარება საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.

ბარალეთი — კოთელიის გზა. ბარალეთის გზა — კოთელია.

„ჯავახეთის უდიდეს ტბათაგან უმრავლესობას სახელი მიღებული აქვს მის ნაპირზე ან სიახლოვეს მდებარე დასახლებული პუნქტების მიხედვით. აქედან გამომდინარე, რაც მეტია სოფელი ტბის გარშემო და რაც უფრო დიდია ტბა, შეიძლება მით უფრო მეტსახელიანი აღმოჩნდეს იგი. ასე შეიძლება ეწოდოს ერთი და იმავე ტბას კარწახის, ზოზაპანის, ქანარბელის ტბა⁵¹⁸.

ასევე ერთ ტბას ჰქვია: ეფრემოვკის ტბა, ტროიცკოეს ტბა, მაღათაფის ტბა და გოლის ტბა⁵¹⁹. ორ უკანასკნელს სხვაგვარი აზნა აქვს, მაგრამ პირველი ორი სახელი ორი სოფლის მიხედ-

⁵¹⁵ იქვე, გვ. 38.

⁵¹⁶ Рудних И. А., დასახ. ნაშრომი.

⁵¹⁷ მ. ბერიძე, მესხეთის ტბათა სახელდებისათვის (ფარავანი) თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XIV 1987. გვ. 61.

⁵¹⁸ იქვე.

⁵¹⁹ იქვე.

ვით არის შერქმეული, ამასთანავე ერთი სოფლის მოსახლეობა მეორე სოფლის სახელით მოიხსენიებს ტბას. ეფრემოვკელები-ტროიცკოეს ტბას და ტროიცკელები-ეფრემოვკის ტბას უწოდებენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა დანიშნულებით დაინახოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა, ამიტომ მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის არა გეოგრაფიული ფაქტორი, არამედ საზოგადოებრივი.

რაც შეეხება გზას, აქაც საზოგადოებრივი ხედვის შედეგად ერქმევა სახელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ საყოფაცხოვრებო დანიშნულებას. როგორც ჩანს, გზებს, ობიექტებს, რომელთაც მიმართულება გააჩნია, ცოტა სხვაგვარად ექცევა საზოგადოება სახელდებისას.

საზოგადოებრივი, სოციალური ფაქტორი თუ გეოგრაფიული გარემო — სადაოდ იქცა ბევრი მეცნიერისათვის სემანტიკური ჯგუფების გამოყოფისას.

ჰიდრონიმთა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა დამოკიდებულია საერთოდ ტოპონიმიში სემანტიკური მნიშვნელობის კლავსთან. ამდენად სემანტიკურ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს, მაგალითად ტოპონიმები ისევე, როგორც ჰიდრონიმები. ვთქვათ, რომელიმე „დათიანი“, ან „სადათე“ დაუკავშირდება ცხოველთა სამყაროს, ხოლო „ყვავიანი“ ფრინველთა სამყაროს, ხოლო „მრუდე გზები“ აიხსნება გეოგრაფიული ფაქტორით და სხვ. ბუნებრივია, როდესაც ჩვენ ამ გზით გვინდა მთელი ონომასტიკური არსენალი დავყოთ ჯგუფებად, ბევრ წინააღმდეგობას წააწყდებით. ბევრი იქნება შემთხვევითობა. ამ რიგის კვლევა საჭიროა, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში საჭიროა ეტიმოლოგია. უნდა ზუსტად დადგინდეს ყოველი სახელის ისტორია. გათვალისწინებული უნდა იქნეს მითოლოგია, ტოტემი, ტაბუირება და ა.შ. ამასთანავე მთლიანად ამოვარდება ამ სისტემიდან ონომასტიკური კვლევის ისეთი მიმართულება, როგორცაა ანთროპონიმია, შეუძლებელია დაიყოს ტოპონიმები (ჰიდრონიმები) ადამიანთან კავშირში და კავშირის გარეშე. თითოეული სახელი შერქმეულია ადამიანის მიერ, საზოგადოების მიერ, ამიტომ რაიმე დაყოფაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს კარგად ჩანს იმ მრავალ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობს სხვადასხვა ავტორის შორის⁵²⁰. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი დაყოფების წინააღმდეგაა ვ. ა. ნიკონოვი⁵²¹, რო-

⁵²⁰ Рудних А. И. დასახ. ნაშრომი. გვ. 40-41.

⁵²¹ იქვე.

მელიც მხოლოდ სამ ჯგუფს მაინც გამოყოფს: 1. გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, 2. ობიექტის საკუთრების მიხედვით და 3. მიძღვნილი სახეკლები. სამივე ნიშანი ეხება ტოპონიმთა და იგულისხმება, რომ ჰიდრონიმიაც ასევე შეიძლება დაიყოს.

არის აზრი სემანტიკური და სიტყვათწარმოებითი კვლევის ერთიანობისა. ამ გზით გამოყოფდა გარკვეულ ჯგუფებს ზ. ვ. რუბცოვა⁵²².

სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფების ერთიანად წარმოჩენა-განხილვა ქართულ ტოპონიმიაში მოგვცა ალ. ლლონტი⁵²³.

საბოლოოდ სემანტიკური ანალიზის წინამორბედთა მიმომხილვისას ა. რუდნიხი მიუთითებს უმთავრეს შეცდომებზე.

1. სემანტიკური ანალიზის დროს ტოპონიმთა ჯგუფები ხშირად ვერ შემოიფარგლება ობიექტთა ტიპებით, რაც ხელს უშლის ავტორებს, წარმოაჩინონ რეალური სურათი, სახელდების შესაძლებლობა თუ განსხვავება მდინარეებისა თუ დასახლებული პუნქტებისა, მთებისა და ჭაობებისა, საძოვრებისა და ტბებისა.

2. ტოპონიმური ლექსიკის სემანტიკის კვლევისას ხშირად არ არის გათვალისწინებული შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება: გეოგრაფიული ობიექტების ერთი კლასის სახელდებისასაც კი გარდაუვალია განსხვავება და პროდუქტიულობა სხვადასხვა „ნომინატური“ ნიშნისა. ერთი ოჯახი შეიძლება აქ იყოს წარმოდგენილი მრავლად, ხოლო მეორე ერთეულებით და პირიქით.

3. სემანტიკური ანალიზი ბევრ შრომაში აგებულია მხოლოდ შერჩეულ მასალაზე, ასეთი დაჯგუფება ტოპონიმიაში შეიძლება შევაფასოთ, როგორც მხოლოდ წინასწარი, რადგან მხოლოდ მთლიანი მასიური ტოპონიმური მასალა მიგვიყვანს უფრო ზუსტ ობიექტურ შედეგამდე⁵²⁴.

სემანტიკური ანალიზის ჩატარებისას არის არაერთგვაროვნება დაჯგუფებისას თვით ტერმინებში. სხვადასხვა ავტორი ხმარობს სხვადასხვა ტერმინს: „სემანტიკური ტიპი“, „სემანტიკური მოდელი“, „სემანტიკური ჯგუფი“, სემანტიკური თანრიგი“, „ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი“ და სხვ⁵²⁵.

⁵²² Рудних И. А., დასახ. ნაშრომი.

⁵²³ ალ. ლლონტი, ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის. ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 368-376.

⁵²⁴ იქვე, გვ. 42-43.

⁵²⁵ იქვე, გვ. 44.

პირობითად შეიძლება ავიღოთ „სემანტიკური ჯგუფი“, რადგან ჩვენი აზრით, ყოველგვარ ტიპზე და მოდელზე ლაპარაკი ზედმეტია. ვთქვათ, „გედის ტბა“, „ლურწმის ტბა“ და „ჭაობიანი ტბა“, „ღრმა ტბა“, „ლურჯი ტბა“ სემანტიკურად ვერაუთარ გამოჩეულ მოდელს ვერ ქმნის. ჩვენთვის ნათელია მნიშვნელობა და თუ რაიმე მოდელზეა ლაპარაკი ეს იქნება მხოლოდ გრამატიკული დახასიათება მისი და არა სემანტიკური. ეს დახასიათება აპელატივის დონეს არ სცილდება. გვექნება „ფრინველთა“ „ფლორის“, „რელიეფის“, „გრუნტის“, „ფერის“ და ა. შ. ჯგუფებად წარმოდგენილი ჰიდრონიმები.

ამიტომაც არის, რომ ავტორი იძულებულია დაყოს ჯერ ორ მთავარ ჯგუფად-ძირითადად და დამატებითად⁵²⁶, ხოლო მეტრონომიის არსებობა ტოპონიმიაში⁵²⁷ და მომიჯნავე (СМЕЖНЫЙ) სახელის გადასვლა ჰიდრონიმზე გამორიცხავს ფაქტიურად ყოველგვარ დაჯგუფებას.

ასევე ვერ მოხვდება სემანტიკურ ჯგუფებში სუბსტრატული და გაურკვეველი მნიშვნელობის გაუმჭვირვალე სახელები⁵²⁸.

ამდენად, ჩვენი აზრით, ყოველგვარი დაჯგუფება ემყარება არა ჰიდრონიმულ, ან უფრო სწორად, არა ონომასტიკურ პრინციპებს. ამიტომ ყოველგვარი დაჯგუფება, ალბათ, საბოლოო ჯამში, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გაიმიჯნება შემდეგი ზოგადი პრინციპი, რაც შეიძლება არ დაერქვას ჰიდრონიმს, ნებისმიერ ონომას. ასეთ შემთხვევაში გაადვილდება საერთო გამიჯვნა ონომური სახელებისა. ე.ი. საჭიროა თითოეულ ჰიდროსახელს ახლდეს ეტიმოლოგია და ისე დადგინდეს სახელის წარმომავლობა ავტორის მიერ აღებული სტატისტიკური მეთოდიც უაღრესად სახიფათოა, რადგან შეიძლება სწორედ მცირე რაოდენობა იყოს უძველესი ფენა იმ არეალში, ხოლო მასიური სახელები გამოირჩევიან სიახლით, გამჭვირვალობით და ამდენად, პროლუქტიულობით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩამოვთვლით და გავაანალიზებთ იმ ჰიდრონიმულ ტიპებს, რომლებიც განხილული აქვს ა. რუდნიხს.

I ტიპი. ჰიდრონიმები, რომელთა სახელწოდება მიღებულია მდინარეთა დინების, ნაკადულის ან მთაში მიმდინარე წყლის ხასიათების მიხედვით:

1. დინების ხასიათით;

⁵²⁶ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁵²⁷ იქვე.

⁵²⁸ იქვე, გვ. 46.

2. წყლით გამოწვეული მუდმივი ხმაურით;
3. წყლის ტემპერატურით;
4. გემოთი და სუნით წყლისა;
5. წყლის ფერით;
6. ჰიდროობიექტების ზოგადი ემოციონალური დახასიათება:
 дуриха, скакун, разбойный, страшный, плохой,
 проклятый.

II ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებშიც აირეკლება რელიეფისა და ფსკერის თავისებურება:

1. ჰიდროობიექტის კალაპოტის სიღრმე;
2. ჰიდროობიექტის ნაპირის რელიეფური თავისებურებანი;
3. მდინარის ან ნაკადულის კალაპოტის რელიეფური თავისებურებანი;

III ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებიც წარმოქმნილია ჰიდროობიექტის ფორმის, მოხაზულობის და სიდიდის მიხედვით:

1. სიდიდე და სიგრძე ჰიდროობიექტის;
2. ჰიდროობიექტის კალაპოტის ფორმა და მოხაზულობა.

IV ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებიც წარმოქმნილია ნიადაგის, გრუნტის აღნიშვნის საფუძველზე:

1. ჰიდროობიექტის ნიადაგის, გრუნტის და ფსკერის შემადგენლობა;
2. ნიადაგის, გრუნტის თავისებურებანი სისველისა და სიმშრალის მიხედვით;

V ტიპი. ჰიდრონიმი, რომელიც ჰიდროობიექტის ან მისი რომელიმე კონკრეტული სახის წარმომავლობის აღმნიშვნელი ფუძისაგან არის მიღებული.

VI ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებიც დაკავშირებულია მცენარეულობასთან:

1. ხეთა ჯიშები;
2. ხეთა ჯგუფები, ტყის მონაკვეთი;
3. ბუჩქოვანი მცენარეები;
4. მცენარეთა სხვა სახეობები.

VII ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოველთა სამყაროსთან:

1. შინაური და ველური ცხოველები;
2. ფრთოსნები;
3. თევზები, ადგილობრივი წარმომადგენლები ფაუნისა.

VIII ტიპი. ჰიდრონიმები, რომლებიც შეიცავენ მითითებას სავარგულების საზღვრებზე, ობიექტის ადგილმდებარეობაზე ქვეყნის

მხარეებთან კავშირში, დინების მიმართულებაზე. დაახლოებით მანძილზე:

1. დასახლებული პუნქტების სავარგულების საზღვრებზე მითითება;
2. ქვეყნის მხარეთა ორიენტირება;
3. დაახლოებითი მანძილი პუნქტიდან, ათვლიდან (მაგ: Дальний лог, Первый лог).
4. დინების მიხედვით ერთი ობიექტის მდებარეობა მეორის მიმართ (მაგ: Верхний, Нижний, Левый, Правый)⁵²⁹ და ა.შ. სულ

10 ტიპია გამოყოფილი. ეს დაყოფა პირობითია, რადგან თავისუფლად შეიძლება შევამციროთ ან გავზარდოთ, რაიმე საფუძველი ზუსტი რიცხვისა არ არსებობს. რელიეფი სხვადასხვაგვარია, სოციალური გარემოც არ არის ერთნაირი და ამიტომ სხვადასხვა არეალს სხვადასხვა რაოდენობა დასჭირდება. ამასთან ერთად თავისუფლად შეიძლება ქვეტიპები გამოგვეყვანა ცალკე ტიპებად. ასეთი დაჯგუფებაც მხოლოდ ავტორის ინიციატივაზე დამოკიდებული და არა ობიექტურ ფაქტორებზე.

ეფიქრობთ, აღნიშნული დაყოფა გამჭვირვალე სახელებისა ასევე მიუღებელია ლექსიკონის შედგენისას. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეტიმოლოგიზაციის გზას დავადგებით, სხვადასხვა ადგილზე მოხვდება ნებისმიერი სახელი, ამიტომ ყოველთვის დავჭირდება მითითება, თუ რის მიხედვითაა შერქმეული სახელი-რელიეფის, ფრინველის, ცხოველის, სამეურნეო ნაგებობის და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ტიპები მდინარეს შეეხება. ბევრად უფრო შეზღუდული შეიძლება აღმოჩნდეს, ვთქვათ, ისეთი ჰიდროობიექტი, როგორცაა ჭაობი, რადგან ჭაობი ერთგვაროვნებით გამოირჩევა, ადგილზეა და არ მოძრაობს.

ამიტომაც არის, რომ ჭაობთა მხოლოდ 5 ტიპის გამოყოფა მოხერხდა⁵³⁰.

აი ისინიც:

1. ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების აღმნიშვნელი ტერმინები;
2. გაუვალი ჭაობების აღმნიშვნელი ტერმინები;

⁵²⁹ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-68.

⁵³⁰ Гусева Л. Г., Географические термины обозначающие болото и его части в опеллятивной лексике и топонимике Каргопольского края, Вопросы топониматики №6 Свердловск, 1972, гв. 122-127.

3. ჭაობის სხვადასხვა ნაწილის ტერმინები;
4. წყლის სარკის აღმნიშვნელი ტერმინები ჭაობში;
5. ჭაობში მშრალი, ამაღლებული ადგილების აღმნიშვნელი ტერმინები.

ბირითადად ასეთი დაყოფის ნაკლი ის არის, რომ გეოგრაფიული საფუძვლები ედება ენობრივ ფაქტს. ასეთი ტიპები თუ მოდელები შეიძლება მორგებული იყოს ერთი ენისათვის, მაგრამ მიუღებელი იყოს სხვა ენისათვის. ამიტომ ნებისმიერი პირდონიშული სახელის კვლევისას უპირველესი ფუნქცია ენიჭება მის ეტიმოლოგიას. რომელიმე პიდროსისტემის ჩამოყალიბება (როგორც ენობრივი ფაქტისა) შეიძლება შემოიფარგლოს გარკვეული არეალით, ამასთანავე განპირობებული იყოს რომელიმე ენობრივი საფუძვლით და კონკრეტულ-ისტორიული პირობებით⁵³¹.

დასავლეთ ციმბირის რუსული პიდრონიშია, რომელიც XVI-XVII საუკუნეების შენდევ იქმნება⁵³², არ ყალიბდება ცარიელ ნიადაგზე. მას აქ დახვდა უცხოენოვანი სახელები, ამიტომ თითოეული პიდროსახელის კვლევისას გასათვალისწინებელია სხვადასხვაენოვანი ურთიერთგავლენები. ან უნდა განიხილონ მხოლოდ რუსული პიდრონიშები, ან მხოლოდ თათრული და ა. შ.

ტოპონიშიაში ჭირს სემანტიკური და სტრუქტურული ჯგუფების ცალკე გამოყოფა, იმდენად ურთიერთდაკავშირებული არიან ისინი. ვთქვათ, როდესაც განვიხილავთ სახელს — ბორჯომკა (მდინარე ბორჯომი), საჭიროა მისი კომპლექსში გამოკვლევა. პირველ რიგში გაიმიჯნება არაქართული სუფიქსი-Ka; რომელიც დართულია პირველად სახელს — ბორჯომი. ჩვენთვის სემანტიკური ანალიზით, ბორჯომის ეტიმოლოგია რადგან გამჭვირვალე არ არის, შეეჩერდებით იქ, რომ დასახლებული პუნქტიდან მიღებულად ჩავთვლით პიდროსახელს. ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს ისეთი მეთოდი პიდრონიშული სახელების კვლევისა, რომელიც გააერთიანებს სემანტიკურსა და სტრუქტურულ ანალიზს. მართალია გარკვეულ დაჯგუფებებს თავს მაინც ვერ ავარიდებთ როგორც სემანტიკური, ისე ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ ეს იქნება ერთგვარი ეტაპი საბოლოო შედეგამდე. საჭიროა ტოპონიშური (პიდრონიშული) სახელის „გაშიფვრა“, როგორც ბ.

⁵³¹ Воробьева И. А., О некоторых типологических чертах русской гидрономии бассейна Средней Обл, Вопросы ономастики, Свердловск, 1974, გვ. 15.

⁵³² იქვე.

ჯორბენაძე მიუთითებს³³³, ეტიმოლოგია. სწორედ ტოპონიმიკური ეტიმოლოგია ნიშნავს ყველა ისტორიული მომენტის გათვალისწინებას.

დგება საკითხი — რომელმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს ჰიდრონიმია: ლინგვისტიკამ, გეოგრაფიამ თუ სხვამ რომელიმე. საკითხის ასე დასმა ნიშნავს საერთოდ ტოპონიმიური კვლევის ადგილის გარკვევის ცდასაც, რამდენადაც ჰიდრონიმია ერთი ნაწილია ტოპონიმიისა.

მდინარე, როგორც გეოგრაფიული ობიექტი, ხასიათდება სულ სხვაგვარად გეოგრაფების მიერ, თანაც ჩვენ გვაინტერესებს მისი სახელი და არა ობიექტი, აქედან გამომდინარე, ტოპონიმიში ჰიდრონიმიას სწავლობს ლინგვისტი.

აგილოთ, დაუშვათ, დღევანდელი მდინარე ფოცხოვი, რომელიც ახალციხესთან ერთის მტკვარს. ლინგვისტისათვის მნიშვნელობა აქვს სიტყვის ფორმას, რომლის ეტიმოლოგიური კვლევა მიგვიყვანს სემანტიკის გარკვევამდე. ფოცხოვს სხვადასხვა დროს ერქვა სხვადასხვა სახელი და ერთი მათგანია „ახალციხის წყალი“. ახალციხე გეოგრაფიული პუნქტია, ამასთანავე გეოგრაფოსმა უნდა დაადგინოს სათავეები და საზღვრები ფოცხოვისა, ქვაბლიან-ოცხის წყლისა, რომ საბოლოოდ მოხდეს ფოცხოვის როგორც მდინარის ლოკალიზაცია.

ისტორიკოს-გეოგრაფთა დახმარებით შეიძლება გაირკვეს, რომ ფოცხოვს თავის დროს ერქვა ფოცხვის ხევი. ლინგვისტისათვის ფოცხვი არის ფრინველი. ტოპონიმიისტი განსაზღვრავს შემდეგ, შეიძლება თუ არა ფრინველის სახელი დაერქვას მდინარეს. აღმოჩნდება, რომ ასეთი რამ მიღებულია არა მარტო ქართულ ტოპონიმიში და ეტიმოლოგია შეიძლება სარწმუნოდ ჩაითავლოს.

ჰიდრონიმულ სახელთა კვლევა ჩვენი აზრით უპირველესად ლინგვისტის საქმეა. ტოპონიმი, რომლის ერთი ნაწილიც ჰიდრონიმი, არის ენათმეცნიერების განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, ეთნოგრაფიასთან³³⁴.

არის მოსაზრება, თითქოს ტოპონიმი არის დამოუკიდებელი დარგი მეცნიერებისა, რომელიც იყენებს ლინგვისტური, გეოგრა-

³³³ ჯორბენაძე ბ. ა. ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ. 63.

³³⁴ Никонов В. А., Введение в топонимику, Москва, 1965, გვ. 164.

გეოგრაფიული და ისტორიული კვლევის მეთოდებს და ამ სამი მეცნიერების მიჯნაზე⁵⁵⁵.

ამ მოსაზრებას ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე⁵⁵⁶ და მართლაც შეუძლებელია სამივე მეცნიერება ერთნაირად სწავლობდეს ერთ ობიექტს.

ლინგვისტიკა, რომელიც სწავლობს ჰიდრონიმულ სახელს, სწავლობს გეოგრაფიულ ობიექტს. ჩვენი აზრით, კვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნას გეოგრაფიული ფაქტორი და მის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელთა გარკვეული დაჯგუფება. საკუთარ სახელს რიგი თავისებურებები ახასიათებს. მთავარია, რომ იგი ერთ ობიექტს აღნიშნავს. ტოპონიმიში საინტერესო სწორედ ის არის, რომ საკუთარი სახელები ქმნის გარკვეულ ერთობლიობას და ამ ერთობლიობას საფუძველში გეოგრაფიული ფაქტორი უდევს. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ჰიდრონიმები შეიძლება დაიყოს პირობითი სიდიდის მიხედვით:

1. ზღვა//ტბა
2. ხევი//ღელე
3. მდინარე
4. ჭაობი
5. წყარო
6. „აბანო“ (მინერალური, სამკურნალო წყლები).

ეს დაყოფა ძირითადად ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფორმას ემყარება. რადგან ამოსავალი და ყველასათვის საერთო წყალია, ამიტომ მათ ვაერთიანებთ ტოპონიმიის ისეთ ნაწილში, რომელსაც ჰიდრონიმია ჰქვია. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ მათ შორის წარუშლელი ზღვარი არ არსებობს, ისინი შეიძლება გადავიდნენ ერთმანეთში, შეიცვალონ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა, ამიტომაც ბევრი ექნებათ საერთო. მაგრამ, ამასთან ერთად, ექნებათ განმასხვავებელი.

მესხეთის ჰიდრონიმიის კვლევისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს თითოეული ჰიდრონიმის კვლევას ფართო ასპექტში, აუცილებელია ლინგვისტური ანალიზის დროს გათვალისწინებული იყოს ისტორია ობიექტისა და სახელისა და ამასთანავე საჭიროა ზუსტი გეოგრაფიული ლოკალიზაციაც.

⁵⁵⁵ Мурзаев Э. М., Очерки топонимики, Москва, 1974, გვ. 8-13, 16.

⁵⁵⁶ Матвеев А. С., Тезис о топонимике, Вопросы ономастики, Свердловск, 1974, გვ. 8-11.

უპირველესად ჩამოთვილი ექვს ჯგუფთაგან ყველა არის ჰიდრონიმული ტერმინიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი მონაწილეობს ადგილის სახელდებისას. მათი მონაწილეობა ორგვარია-ერთი, როგორც ობიექტი „ჰიდრო“ და მეორე, როგორც აპელატივი-საზღვრული. ხშირ შემთხვევაში საზღვრული შეიძლება წარმოდგენილი იყოს თავად ტერმინით, ვთქვათ, ოცხის წყალი, ანდაც ეს ტერმინი შეცვლილი იყოს რომელიმე სუფიქსით, რომელიც, რა თქმა უნდა, გულისხმობს ამა თუ იმ ჰიდროტერმინს. მაგალითად ოცხურა. ასეთ შემთხვევაში ერთ ღონეზე განიხილება, როგორც ოცხურა, ასევე ოცხის წყალი. ამ ექვსი ჯგუფიდან შეიძლება ორგვარი გაყოფა. კერძოდ, შეიძლება სახელდებისას და ობიექტის გათვალისწინებისას ცალ-ცალკე დავაჯგუფოთ ზღვა//ტბა, ჭაობი, „აბანო“ და მდინარე, ხევი//ღელე, წყარო. საფუძველი დაჯგუფებისა არის ფიზიკურ-გეოგრაფიული. „ჰიდრო“-ს უძრავობა და მოძრავობა. პირობითად თუ გაავერთიანებთ I და II ჯგუფში, პირველი ჯგუფის ობიექტები უძრავთა ჯგუფს შექმნიან, ხოლო მეორე ჯგუფისა-მოძრავს. სახელდებისას არის ზოგი განმასხვავებელი მომენტი, მაგრამ ძირითადად ერთნაირად ხდება ონომიზაცია. არის ზოგიერთი ისეთი ფაქტორი, რომელიც გამოირიცხება ამა თუ იმ ჰიდროობიექტის სახელდებისას. მაგალითად: არ შეიძლება „აბანო“, ჭაობი იყოს ანკარა, წყარო იყოს მრისხანე ან ბობოქარი, მდინარე-მრგვალი, ზღვას//ტბას არ შეიძლება ჰქონდეს ფონი და ა. შ. ჰიდრონიმულ სახელთა ეტიმოლოგია გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახელდება ძირითადად არის ატრიბუტული. ჰიდრონიმული ტერმინი დახასიათდება სულიერი ან უსულო მსაზღვრელით. კერძოდ, მთელი დახასიათება შეიძლება შემოიფარგლოს ფიზიკურ-გეოგრაფიული, ზოო და სოციალური ფაქტორით, ამასთან ასეთ შემთხვევაში ჰიდროობიექტის დახასიათება უსულო ფაქტორით ხდება მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძველით სახელდებისას, ხოლო ზოო და სოციალური დახასიათებისას სახელებს საფუძველად უდევს სულიერი დახასიათება.

სულიერისა და უსულო ფაქტორის გამოიჯნვა თავიდან აგვაცილებინებს უამრავი ქვეჯგუფის თუ ძირითადი ჯგუფების გამოყოფას. ერთნაირი (ერთი და იმავეც) ობიექტების სახელდება ხდება როგორც სულიერი, ისე უსულო ფაქტორით. ვთქვათ, რომელიმე ხევი შეიძლება იყოს სისხლანი (სოციალური ფაქტორი), დიდი, ღრმა, ვიწრო, მოკლე, გრძელი... (გეოგრაფიული ფაქტორი), ღორიანი, საღორე, სადათვე (ზოოფაქტორი). ჩვენი აზრით, უძ-

თავრესია გეოგრაფიული ტერმინის განსაზღვრა, რაც ნიშნავს ონომიზაციის საფუძვლის მოძებნას. დანარჩენი არის მხოლოდ ობიექტის დახასიათება. ჰიდროსახელი, მართალია, მთლიანად გულისხმობს ობიექტსაც და მის დახასიათებასაც, მაგრამ ობიექტის განსაზღვრა უკვე სწორ გზაზე დგომას ნიშნავს. ე. ი. ეტიმოლოგიზაციის შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება თუ რისი სახელია ესა თუ ის სახელი.

ვთქვათ, ყანისი ხევს ჰქვია⁵³⁷, მაგრამ რომელ მოდელშია და როგორ შეიძლება მისი განხილვა? სიტყვის ეტიმოლოგია მოგვცემს საშუალებას, რომ ვამტკიცოთ, -ის სუფიქსი ცვლის ჰიდრონიმულ ტერმინს//ხევს ღელეს.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან დასაშვებია რომ -ის სუფიქსი გვერდში დავუყენოთ რუსულ -Ка (იხ. ზემოთ) ან -ურ-ა სუფიქსს. ამის შემდეგ ადვილია ობიექტის დახასიათება, რომ გამოყენებულია არაქართული სიტყვა და მომხდარია გარკვეული ფონეტიკური პროცესი. ამდენად ისტორიული მესხეთის ჰიდრონიმიკის (იქნებ ქართულისაც ზოგადად) კვლევისას, თუ რაიმე ანომალიასთან არ გვაქვს საქმე (რასაც აგრეთვე თავისი ახსნა მოეძებნება), ძირითადად და გადამწყვეტ ადგილს იკავებს ჰიდრონიმული ტერმინები და მათი სულიერი თუ უსულო დახასიათება. ჰიდროტერმინები არის საფუძველი ყოველგვარი ონომიზაციისა.

ასეთი მიდგომა საკითხისა სვამს კიდევ ერთხელ ეტიმოლოგიის პრობლემებს: ეტიმოლოგია წინ უნდა უსწრებდეს სახელის ფორმისა და შინაარსის დადგენას თუ პირიქით. ვფიქრობთ, ეს არის ერთდროული პროცესი-ფორმა-შინაარსი-გზა ეტიმოლოგიისაკენ, ანდა ეტიმოლოგია-გზა ფორმისა და შინაარსის საბოლოო დადგენისაკენ. ნ. მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელები მათი მნიშვნელობის ცოდნის გარეშე უსულო გვაგებია⁵³⁸.

ყველაზე მეტად ეს შეიძლება ითქვას საკუთარ სახელებზე, რომლითაც შინაარსის გამოცვლა „ცხოვრების წესად“ ქცევიათ, რადგან ტოპონიმის, ამ შემთხვევაში ჰიდრონიმის, უმთავრესი ფუნქცია ორიენტირია და მნიშვნელობის დაბინდვა „ადრეული ასაკიდანვე“ იწყება.

⁵³⁷ ბერიძე მ., ჯავახუთი (ტოპონიმიკური ანალიზი) თბილისი, 1992, გვ. 102-103.

⁵³⁸ Март Н. Я., Термин “скиф”, Избранные работы, т. V, Москва-Ленинград, 1935, გვ. 2.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია მესხეთის ძირითადი ჰიდრონიმების (ჰიდროტერმინების) ეტიმოლოგია. ჰიდროსახელების 95 პროცენტი გამჭვირვალეა, საკვლევია დარჩენილი მცირე ნაწილი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული სიძველით. დაბინდული სახელები ისტორიის კუთვნილებაა და მათი „ამოხსნა“ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ამ გზას უნდა დავადგეთ, რადგან ვთვლით, რომ თანამედროვე ხე-ღელეთა სახელები, რომლებიც გამჭვირვალენი არიან, გამოირჩევიან სიახალგაზრდავით, მათი სტატისტიკური ანალიზი უფრო ნაკლებ ეფექტს მოგვცემს, ვიდრე ერთი რომელიმე ისტორიული ჰიდროსახელის ანალიზი. ჩვენ არ გამოვირიცხავთ სტატისტიკასაც. მაგრამ ეს მხოლოდ დამხმარე საშუალებაა ჰიდრონიმთა კვლევისა. ჰირობითია „სიახალგაზრდავეც“, „სიბერეც“ რადგან ზოგ შემთხვევაში „ახალი“ სახელები საუკუნეებს ითვლის. ვთქვათ, მდინარის სახელი „ასპინძის ხევი“, ვახუშტის რომ ეკუთვნის, დღეს აღარ არსებობს. მისი სახელია „ოთის წყალი“. ჩვენთვის ეს ორივე სახელი „ახალია“, რადგან გამჭვირვალეა. ცნობილია გეოგრაფიული პუნქტები ასპინძა, ოთა და გამჭვირვალეა მხოლოდ ამ დონეზე, ჰიდრონიმთა ეტიმოლოგიის დროს ესეც საკმარისია. კარგი იქნება თუ პარალელურად მოვახერხებთ გეოგრაფიული პუნქტების მნიშვნელობის „გაცოცხლებასაც“, მკედრისთვის „სულის ჩადგმას“, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდება. ვთქვათ, შეიძლება მოხერხდეს ასპინძის ეტიმოლოგია, რომ ის სპარსულიდან შემოსული სიტყვაა, უკავშირდება სიტყვას მასპინძელი და სხვა, მაგრამ ვერ ხერხდება, ჯერჯერობით ოთის ეტიმოლოგია. ჩვენთვის, მიუხედავად ამისა, ჰიდრო სახელის ეტიმოლოგია ბოლომდე მიყვანილი, გამჭვირვალეა და ერთ დონეზე დაიყვანება, რადგან ნათელია ჰიდროტერმინთა („წყალი“ და „ქვი“) მნიშვნელობა. ჩვენი შემდეგი ძიება სწორედ გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე სახელთა, ჰიდროტერმინთა კვლევის ცდას ეხება.

§ 2. „მტკვარი“ - ჰიდროგრაფიული ტერმინი

„აღმოსავლეთ საქართველოს „მტკვარი“ რწყავს; მას ძველ დროსაც ჰქონდა სახელი დიდი მდინარისა და “მართლაც, ამიერ-

კაკასიაში იგი უდიდესი მდინარეა, სათავე მას კოლაში აქვს⁵³⁹. მტკვრის სათავე აქვს დასახლებული ლეონტი მროველს ჯავახეთის საზღვრად: „ზოლო ჯავახოსს მისცა ფანავრიტგან ვიდრე თავამდე მტკურისა“⁵⁴⁰.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში 2742 მეტრი სიმაღლიდან, ყიზილგიალუკის მთის აღმოსავლეთ კალთაზე და „ფართო ხეობას ავითარებს დაჭაობებულ არტაანის ველზე“⁵⁴¹. „მტკვრის სიგრძე არის 1314 კმ და იწყება სომხეთის მთიანეთში“⁵⁴².

ღლევიანდელი თურქული სახელწოდებით მტკვარი სათავეს იღებს Allahüekber Dağları-დან (დიდი ღმერთის მთები). მტკვრის სათავეს წყალს ადგილობრივი აიზმას (წმინდა წყალს) უწოდებენ. „კოლა ანუ კოლას ხევი არის სათავე მდინარე მტკვრისა, თათრები ამას უწოდებენ გელ, ზოლო რუსების დროს ეს შეადგენდა გელის უჩასტკას... ეს არის უზარმაზარი ჩაღრმავება ანუ ქვაბური... მთებიდან, რომლებითაც შემოზღუდულია კოლას ქვაბური, აუარებელი წყაროები გამოდის, რომელნიც სხვადასხვა ადგილას ერთდებიან და ბოლოს შეადგენენ მდინარე მტკვარს. გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს ქვაბური იქცევა უზარმაზარ ჭაობად, რომელიც ტბის სახეს იღებს, და ალბათ იმიტომ დაარქვეს თათრებმა გელ, რაც ნიშნავს ტბას, მართლაც, გადმოცემით და გეოლოგიურადაც, ეს ქვაბური ერთხელ უნდა ყოფილიყო ტბა, რომლის ჩრდილოეთის ნაპირები გაიწილა და გაიკაფა გზა არდაგანის ველზე მტკვრის საშუალებით“⁵⁴³. მტკვრის ლოკალიზაციის ისტორიისათვის საინტერესოა ზოგიერთი ისტორიული მონაცემები. მტკვარი კაკასიის დედა მდინარედ აქვს წარმოდგენილი სტრაბონს: სათავე აქვს არმენიაში, შემდეგ შემოდის იბერიის დაბლობში. აქ მას ერთვის მდინარე არაგოსი, შემდეგ ვიწრო ჭალებით მიდის ალბანიაში, ალბანიას და არმენიას შორის დიდი ძალით

⁵³⁹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 25.

⁵⁴⁰ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 10.

⁵⁴¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 186.

⁵⁴² БСЗ, ტ. 14, 1973, გვ. 20

⁵⁴³ ქ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლაში 1907, პარიზი, 1938,

ძალით მიედინება მდიდარ საძოვრებიან ველებზე. უერთდება მდინარეები ალაზონიოსი, ხანდობანი, რობტაკი, ხანი. ერთვის კასპიის ზღვას, შესართავთან 12 ტოტად იყოფა. მთელი ეს ნაწილი მოუვალია და ეს ადგილები გამოუსადევარია ნავსადგურისათვის.

ინდოეთიდან საქონელი რომ შემოაქვთ პირკანის (კასპიის) ზღვაში, მერე ალბანიაში გადმოიტანენ, შემდეგ მტკვრით მიაქვთ დასავლეთ საქართველოსაკენ. იბერიაში შემოსასვლელი არმენიიდან მტკვრის ვიწროვებზეა და მერე არაგოსიზაზე (ამ გზით ისარგებლეს ჯერ პომპეუსმა, მერე კანიდიუსმა). კოლხიდიდან შემოსასვლელი იბერიაში ასევე მტკვრის ხეობითაა — შორაპნიდან მტკვრამდე 4 დღის სავალია ქვეითისათვის, საურმე გზით. იბერია ესაზღვრება არმენიას მტკვრითა და მოსხური მთებით... მტკვრითა და არაგოსის შესართავთან მტკვრის ნაპირას არის გამაგრებული ქალაქი ჰარმოზიკია...⁵⁴⁴.

პლუტარქი (რომელიც სტრაბონისავე ხანის წყაროებით სარგებლობდა) ამბობს, რომ მტკვარს სათავე აქვს იბერიის მთებში და მას ერთვის არმენიიდან მომდინარე არაქსი⁵⁴⁵.

ანტიკური ხანის წარმომადგენელი, „სტრაბონის უმცროსი თანამედროვე“ პომპეუსის ძეგლი, წერს: „მდინარეები კირი და კამბისი სათავეს იღებენ ურთიერთ ახლომდებარე წყაროსთელებიდან კორაქსიულ მთებთან“⁵⁴⁶, „კორაქსიული მთები“ როგორც რელურად, ისე ენობრივად კოლას მთებს უდრის“⁵⁴⁷.

პლინიუსი მტკვრის სათავეს აგრეთვე კორაქსიულ მთებში დასდებს, მაგრამ ამასთან ერთად მას ახალი ცნობა შემოაქვს: „კირს სათავე აქვს ჰენიოხურ მთებში, რომელსაც სხვები კორაქსიულს ეძახიან“⁵⁴⁸, უცხოელ ავტორთა ცნობები მტკვრის შესახებ მიმოხილული აქვს ვ. ზუხბაიას⁵⁴⁹.

სამცხის აღწერისას ვახუშტი წერს: „ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკუარი და ჭოროხი, რამეთუ მტკუარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტაანისანი... და მდინარე ესე მტკუარი გამოსდის

⁵⁴⁴ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 288.

⁵⁴⁵ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 255.

⁵⁴⁶ იქვე.

⁵⁴⁷ იქვე.

⁵⁴⁸ იქვე.

⁵⁴⁹ ვ. ზუხბაია, მტკვარი საქართველოს დედამდინარე, თბ., 1984, გვ. 11-16.

კოლას ზეით არსიანის მთას და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდამ მიდის სამხრეთიდამ ჩრდილოეთად, ვიდრე ახალციხის წყლის შესართავამდე, მერმე მუნიდამ დაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭაობის-ხევამდე... გარნა ესე მტკუარი დის ერუშეთის მდინარის შესართავიდამ, ვიდრე ჭაობის-ხევამდე, ქართლისაგან უმეტეს ჩქარად, და კლდოვანსა, და ხრამსა ქვიანსა შინა. და ერუშეთის შესართავს ზეით, არტაანსა და კოლას შინა, ფრიად მდორედ და გრეხით სივაკის გამო⁵⁵⁰.

მე-19 საუკუნის ბოლოს მტკვრის აუზი დახასიათებულია ფ. ბრონჰაუზისა და ი. ფურონის ენციკლოპედიაში: „ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე მტკვარი სათავეს იღებს შენაკადთაგან უტყეო ჭაობიან ადგილას ყარს-არდაგანის პლატოზე ყარსის ჩრდილო-დასავლეთით. მთავარი ტოტი მტკვრის დასაწყისისა არის მარჯანსუ (მარჯნის წყალი), რომელიც იწყება ნასოფლარ ორდანიკთან ახლოს. ჩაუვლის არდაგანს, შეუერთდება კანი-ჩაი, ხერთვისთან შეიერთებს მტკვარი ახალქალაქ-ჩაის, ახალციხეში ფოსხოვ-ჩაის. აქ შემობრუნდება ჩრდილო-აღმოსავლეთით და გაუყვება ბორჯომის ხეობას⁵⁵¹.

უცხოელი ავტორებისა და გეოგრაფიისათვის მტკვარი იწვევს მხოლოდ პროფესიულ ინტერესს, საქართველოსათვის, მისი ისტორიისათვის იგი დედამდინარეა და ამიტომ ბევრი რამ არის დაკავშირებული მასთან.

მტკვარი, როგორც უმთავრესი მდინარე საქართველოში, ბევრ ისტორიულ ფაქტს განაპირობებდა. ბევრი საისტორიო წყარო უმთავრეს ორიენტირად სწორედ მტკვარს მიიჩნევდა; ამიტომ საქართველოში ისტორიულ კუთხეთა საზღვარი ან გადიოდა მტკვარზე, ან მიემართებოდა მას სხვადასხვა მხრიდან.

თარგამოსმა გაუყო ქვეყანა „რვათა ამათ გმირთა. „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და... სამხრით მთა... რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლის წყალი გარდმოდის ჩრდილო კერძო და მიერთვის მტკუარსა“⁵⁵².

⁵⁵⁰ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამოფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, თბ., IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 661.

⁵⁵¹ Брокгауз Ф. А., Ефрон И. А., Энциклопедический словарь, т.

XXXIII, С. Петербург, 1896, გვ. 59-60.

⁵⁵² ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

„ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით“⁵⁵³. „ხოლო მოვკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოეთით“⁵⁵⁴. „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეებამდე“⁵⁵⁵.

მტკვარი სწევს გამაგრებული ადგილის მაგივრობას: „ამანვე არდამ კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკუარმდის, და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისა ვიდრე მტკუარამდე“⁵⁵⁶.

მტკვართან არის დაკავშირებული უამრავი ისტორიული მოვლენა. ბევრი ბრძოლის ბედი გადაუწყვეტია მტკვრის, როგორც სტრატეგიული ფაქტორის, სწორად გამოყენებას: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან, გამოვლეს ზღუა გურგანისა, აღმოუყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას“⁵⁵⁷.

„მაშინ ვახტანგ აუწყა ყოველთა სპათა მისთა და ყოველთა მეფეთა კავკასიისათა. შემოკრბეს და დადგეს მტკუარსა იმიერ და ამიერ, ვითარ ორასი ათასი“⁵⁵⁸.

„ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ ძალიან და რომელსამე დღესა ამათ“⁵⁵⁹.

„მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი, უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა, იძლიენეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსთა და ერისთავი აფხაზთა“⁵⁶⁰.

1770 წელს ერეკლემ კარგად გამოიყენა მტკვარი და მასზე გადებული ხიდი, რომელსაც მაშინ ასპინძის ხიდი რქმევიან, „აპყარა“ იგი და „დღესა მეორესა იქმნა რა ბრძოლა, იძლიენენ ლეენი და თათარნი, ჰგონეს მათ ხიდისა მას კუალად გებაჲ, რომელნიცა

⁵⁵³ იქვე, გვ. 5.

⁵⁵⁴ იქვე.

⁵⁵⁵ იქვე.

⁵⁵⁶ იქვე, გვ. 13.

⁵⁵⁷ იქვე, გვ. 15.

⁵⁵⁸ ჯუნანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა; ქართლის ცხოვრება I, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 261.

⁵⁵⁹ იქვე, გვ. 180.

⁵⁶⁰ მემატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. გვ. 261.

მილტვიან მუნ, ესრეთ უკუე შიშნეულ, რომელ ერთი მეორესა ჰყრიდა ხიდისაგან ისრებით მტკვარსა შინა⁵⁶¹.

მტკვართან ისეთი ბევრი სასწაულია დაკავშირებული, ურომლისოდაც წარმოდგენელია ჩვენი ისტორია. ამათგან უმთავრესია წმინდა ნინოს სასწაული: „ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ. რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გადმოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს კმანი საზარელნი ტყებისა და გოდებისანი... ხოლო ნეტარი ნინო ღალადებდა...“⁵⁶².

ჯუანშერთან ჩართულია წმინდა შიოს ეპიზოდი, როდესაც შიო მტკვარს გადალახავს. ეს მდინარე გზას მისცემს მას „ამიერ და იმიერ“. „წარვიდა განგებ სახლისაგან მოსეს მსგავსად, ორგზის მტკუარი განაპო კუერთხმან იმან“⁵⁶³.

მტკვარი გააზრებულია, როგორც გრანდიოზულობის, სიდიდის სიმბოლო (შდრ. „ზღვაში წვეთი“) და იხმარება ფიგურალური შედარებისას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ჰყვება დავითის ამბებს, ამბობს: „დგრომადთა მათ თანა მტკიცეთა და საუკუნოდ ღმერთმყოფელთა მისთა საქმეთა, რომელთ-იგი უმეტეს ამასთა მათ მოქმედებდა და უსასწრაფოეს აქუნდა, რომელთაგანი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტკურისაგან. ჩუენცა მივსცეთ თხრობასა“⁵⁶⁴.

მტკვარმა აღიღება იცის: „და წარვიდა სულტანი ქუეყნად თ“ უსად. და ვითარცა მოიწია ასე გაზაფხულისა, შეიქმნა სიმღიდრე წყალთა ძლიერი, და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა თ“ უსსა, მოედინა ველთა და წარიღო მრავალი სული, რომელი დარჩობოდა სულტანსა“⁵⁶⁵.

მოკლედ, მტკვარი ჩვენი ისტორიაა, ცხოვრებაა. შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა საქართველო დედამდინარის გარეშე. ამასთანავე მტკვარი კავკასიის უდიდესი მდინარეა და, ბუნებრივია, რომ მეზობელ ხალხთა ისტორიაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მტკვარს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარ სახელს უწოდებს.

⁵⁶¹ თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., გვ. 53-54.

⁵⁶² ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

⁵⁶³ ჯუანშერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

⁵⁶⁴ ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი; ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 261.

⁵⁶⁵ მატჩანე ქართლისა, თბ., გვ. 310.

„მტკვარი“ - ამ სახელით აღინიშნება საქართველოში ორი მდინარე. ჯავახეთის მტკვარი და მტკვარი, ანუ არტაანის მტკვარი.

ჯავახეთის მტკვარი ეწოდება მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ფარაენის ტბიდან, უფრო სწორად, საღამოს ტბიდან, და უერთდება მტკვარს ხერთვისთან.

ვახუშტი იცნობს მტკვარს და ჯავახეთის მტკვარს. მისთვის „არტაანის მტკვარი“ - უცხოა⁵⁶⁶; ხოლო სამცხისა და ჯავახეთის საზღვრებთან დაკავშირებით წერს, რომ „ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი“⁵⁶⁷.

ჯავახეთის მტკვრის ხეობის აღწერას ქართველ გეოგრაფთაგან პირველად ვახუშტი გვაძლევს: „ჯავახეთის მტკუარი გამოსდის ფარაენის ტბას და მოერთვის საღამოს ტბას, კუალად გამოსდის საღამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამკრეთს შუადამ ჩრდილოთ დასავლეთს შორის. სიგრძით არს საღამოს ტბიდან ხერთვისამდე, და დის ფრიალ ღრმასა და კლდიანს ხრამსა შინა“⁵⁶⁸.

მართალია, სახელწოდება „არტაანის მტკვარს“ არ იცნობს ვახუშტი და მხოლოდ მტკვრად მოიხსენიებს ამ მდინარეს, მაგრამ საინტერესოა, რომ „ჯავახეთის მტკვრის“ ნაცვლად ასევე მხოლოდ მტკვრად მოიხსენიებს ამ მდინარეს, მაგრამ საინტერესოა, რომ „ჯავახეთის მტკვრის“ ნაცვლად ასევე მხოლოდ „მტკვარს“ ხმარობს მსაზღვრელის გარეშე: „ამ ახალქალაქის ზეით არს ამირანის გორა, მტკუარის სამხრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარსა ზედა ხიდი“⁵⁶⁹.

როგორც ჩანს, ტრადიცია მტკვრად მოხსენებისა ჰქონდა არტაანის მტკვარს, ისევე, როგორც გაქრა შებღვში ტრადიცია ჯავახეთის მტკვრად მოხსენებისა და ეს მდინარე სხვა სახელებით იყო ცნობილი. სწორედ ამან განაპირობა ზოგიერთი გაუგებრობა, რომ „საქართველოს ეს დედამდინარე ხერთვისამდე, სადაც მას მარჯვენა მხრიდან ჯავახეთის მტკვარი, ანუ იგივე ფარაენის წყალი უერთდება, „არტაანის მტკვრის“ სახელს ატარებს. მტკვარი მხოლოდ ხერთვისიდან ეწოდება“⁵⁷⁰.

⁵⁶⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 669.

⁵⁶⁷ იქვე.

⁵⁶⁸ იქვე.

⁵⁶⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁵⁷⁰ თ. ჩიქოვანი, ზემო ქართლი, თბ., 1987, გვ. 10.

თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, რომ მტკვარი მხოლოდ ხერთვისიდან ეწოდება, აზრს კარგავს მთელი ჩვენი და არა მარტო ჩვენი ისტორიის მონაცემები მტკვრის სათავეს შესახებ, ამასთანავე არტაანის მტკვრად მტკვარი მხოლოდ ხერთვისამდე არ ეწოდება. ასე მოიხსენიებდნენ ამ მდინარეს ასპინძაშიც, ახალციხეშიც (იხ. ქვემოთ).

ჯავახეთის მტკვარი ამ მდინარეს იმიტომ ეწოდება, რომ მთელ სირგძეზე გასდევს ჯავახეთს აღმოსავლეთიდან ჩრდილოდასავლეთამდე. ამასთანავე, ამ მდინარეს ჰქვია ახალქალაქის წყალი, რადგან მთელ სირგძეზე, იმ 81 კმ-ის მანძილზე, სადაც მდინარე გადის, ყველაზე დიდი დასახელებული პუნქტი არის ახალქალაქი.

ფარავნის წყალს, ანუ ფარავანს იმიტომ უწოდებენ, რომ სათავეს ფარავნის ტბიდან იღებს. ასევე შეიძლება ეწოდოს მას თავფარავანი ან თავფარავნის წყალი. ასევე შეიძლება შეგვხვდეს ახალქალაქ-ჩაი, რაც ქართული „ახალქალაქის წყლის“ თურქული თარგმანია და დამახინჯებული თავფარავანი „Тапараван“ ძველი რუსული რუკების მიხედვით. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილ სახელთაგან შეიძლება იქცეს მდინარის ზოგად სახელად სხვადასხვა დროს, ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია აზრი, რომ „საღამოს ტბიდან იგი შედარებით წყალუხვად გამოედინება და ახალქალაქამდე ფარავნის წყლის სახელს ატარებს. აქ მას მურჯახეთისა და ბარალეთის წყლები ერთვის და უკვე ჯავახეთის მტკვრის სახელს იღებს“⁵⁷¹.

საილუსტრაციოდ საინტერესოა ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული რუკის მონაცემები, სადაც ამ მდინარეს სათავედან შესართავამდე აწერია ორჯერ ჯავახეთის მტკვარი და თითოჯერ: ფარავანი, ფარავნის წყალი და ახალქალაქის წყალი, რომელთაც უნდა დაემატოს ზემოთ ჩამოთვლილი სხვა სახელებიც. მათ შორის გამოსაყოფია ახალქალაქის წყალი, რომელიც ერთერთი სახელია დღეს ჯავახეთის მტკვრის მარცხენა შენაკადის ახალქალაქთან: „ხოლო კუალად ბარალეთის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ჯავახეთის მტკუარს, სამხრიდამ ახალქალაქის წყალი, რომელიც გამოსდის დაბის მცირე ტბასა, და კუალად მის ტბის გამომდინარე, მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადამ ჩრდი-

⁵⁷¹ თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7, 10-11.

ლო-დასავლეთს შორის, ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა შორის“⁵⁷².

ეს არის მდინარე, რომელიც ძველი რუსული და მის საფუძველზე შედგენილი რუკების მიხედვით და დღესაც იწოდება კირხბულადად. სახელი თურქულია და ნიშნავს „ორმოც წყალს“, „ორმოც წყაროს“. ინფორმატორთა მტკიცებით, მდინარის სათავე მრავალი (ორმოცი) მცირე წყაროსაგან იწყება და ამიტომ ეწოდება ეს სახელი.

ჯავახეთის მტკვარს ახალქალაქის წყალი (კირხბულადა) ერთვის ახალქალაქის ციხის ძირში, დღეს თითქოს ქალაქის უბნად ქცეული მუსხელიშვილების ხევის გაელისთანავე.

ამკარაა, რომ სოციალური ფაქტორი, ჩვენი დამოკიდებულება ჰიდრონიმებისადმი, ახდენს გარკვეულ გავლენას მისი სახელების ისტორიაზე. ახალქალაქი, როგორც ჯავახეთის დედაქალაქი, დღეისათვის მონაწილეობს ჯავახეთის დედამდინარის სახელის ფორმირებაში, მაშინ, როდესაც ისტორიის იმ მონაკვეთში, როცა ჯავახეთის მტკვარი „ზეობდა“ სხვა სახელთა შორის, ახალქალაქის წყალი იყო სხვა მდინარე. ჯავახეთის მტკვარი დღეს წიგნიერი სახელია, ფაქტიურად იგი აღსადგენი და ხელახლა დასამკვიდრებელია, ამიტომ „ზეობს“ „თავფარავნის წყალი“ ან „ახალქალაქის წყალი“. მაშასადამე, ერთი მდინარის სახელი გადავიდა მეორეზე. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის წყალი შეერქვა დამოუკიდებლად, იმის გაუზარებლად, სხვა მდინარეს ერქვა თუ არა ეს სახელი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი ამ შემთხვევაში ითამაშა არაქართულმა გარემომ და ახალქალაქის წყლის ახალმა სახელმა კირხბულადა, რომელიც შეერქვა არა შესართავის მიხედვით, არამედ სათავის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, მტკვრად ორი მდინარე იწოდება მის ზემო წელზე. ამას გარდა, მტკვარი სხვა სახელებითაც მოიხსენიება ზოგიერთი მონაცემის მიხედვით.

მტკვრის სახელი არის „წყალი“. „სათევზაოდ ვიყავი წყალზე“, ანდა — „წყლის პირას მაქვს ყანა“ — იგულისხმება მტკვარი და არა, დავუშვათ, მისი რომელიმე შენაკადი, (თუმცა შენაკადი თუ თავის გეოგრაფიულ, სოციალურ გარემოს ქმნის, შეიძლება წყლად იწოდოს). შენაკადის შემთხვევაში იტყვიან: „ღუმელილაზე ვითევზავე“, ანდა „შოლოს წყალზე დავიჭირე თევზი“, „ოთის წყლის პი-

⁵⁷² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 671.

რას მაქვს ყანა“ (დუმეილა, შოლოს წყალი და ოთის წყალი მტკვრის შენაკადებია).

წყალი მტკვრის სინონიმად იხმარება, ეტყობა, არა აპელატივის დონეზე. დიდ მდინარეს წყალი ჰქვია⁵⁷³. მტკვარი ყველაზე დიდი მდინარეა, ამიტომ მის აუზში დასახლებულთათვის მტკვარი წყალია, სხვა დანარჩენი აუცილებლად საკუთარი სახელით გამოირჩევა მტკვრისაგან.

მტკვრის სინონიმად წყალი ისტორიულად მოდის: „ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა წყლისა ამიერ და იმიერ⁵⁷⁴. ეს ამონაწერი ძირითადი ტექსტიდანაა. ამდენად, ფაქტის თარიღად კატეგორიულად შეგვიძლია მივიღოთ XI საუკუნე, ლეონტი მროველის ეპოქა. კონტექსტში არაფერი შეიცვლება, თუ „წყლისა“ სიტყვას შევცვლით „მტკვრისა“ სიტყვით, პირიქით, ზუსტდება დღევანდელი პოზიციიდან წინააღმდეგის მნიშვნელობა, თუმცა ავტორისათვის მაშინაც გასაგები იყო ყველაფერი.

ადერკი ფაქტობრივად აგრძელებს არდამ მეფის საქმეს, რომელმაც არმაზის ციხის ზღუდე მტკვრამდე მიიყვანა: „და წამოზღუდა ცხური არმაზისა ვიდრე მტკუარამდე“⁵⁷⁵.

აქაც შეგვიძლია თავისუფლად შევუნაცვლოთ „მტკუარს“ „წყალი“.

წყალს, როგორც ვხედავთ, მდინარის მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იგი შეიძლება იყოს დიდიც.

ი. მაისურაძეს 1939 წელს ჩაუწერია: „მაშინ ერთი მებადურე ძმაც დიდწყალზე (მტკვარზე) თავალას აჰყოლია, რო წყალს ნაფოტი მოაქ. ასულა-ო, ხერთვისი შენდება“⁵⁷⁶.

⁵⁷³ შტრ. Март Н., Приволжские и соседящие с ними народности в яфетическом освещении их племенных названий. Избранные работы, т. V, 1935, გვ. 295.

⁵⁷⁴ ლეონტი მროველი, გვ. 38.

⁵⁷⁵ იქვე, გვ. 13.

⁵⁷⁶ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი, ი. მაისურაძე, ხელნაწერი № 100, გვ. 121. (შეზღვეში ს.ჯ.ი.მ.ფ.).

თუ აქ ჩამწერის მიერ არ არის შემთხვევით გამოტოვებული დ, მაშინ დაკარგული უნდა იყოს იგი. აშკარაა, რომ დიწყალი იგივე დიდწყალია. სხვა ყველა მდინარესთან შედარებით მტკვარი დიდია, ამიტომაც უწოდებდა ასე ხალხი.

შეიძლება „დიდწყლის“ ონომოზაცია ბოლომდე არც არის დასრულებული და იგი ჯერ კიდევ აპელატივსა და ონომას შორის მერყეობს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ სხვა დიდწყალიც არა გვაქვს ამ რეგიონში.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ სოციალ-ფსიქოლოგიურ ფაქტორზე, იმაზე, თუ მდინარის აუზის მცხოვრებთა ფსიქოლოგია როგორ არის განწყობილი ამა თუ იმ „ჰიდროს“ მიმართ. იმისათვის, ვისთვისაც მტკვარი დიდწყალია, სხვა შეიძლება იყოს წყალი ან შესაბამისი სახელის მდინარე, დაუშვათ ქვაბლიანი, საკალმახე და ა.შ., ხოლო თუ მხოლოდ წყალია, მაშინ აუცილებელია სხვა მდინარეთა მხოლოდ საკუთარი სახელით მოხსენიება.

თანამედროვე პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ფაქტორს. „მტკვარმა“ საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი და მისი სინონიმური ჰიდროკონკურენტები წაიშალა, მაგრამ წყაროებსა თუ დოკუმენტებში შეგვიძლია დავადასტუროთ ისინი და ამდენად მოვახერხოთ „მტკვრის“ ისტორიალოკალიზაცია. ამ სახელს აქა-იქ დღესაც გაიგონებ. ისტორიულად კი იგი კიდევ უფრო პოპულარული იყო ადგილობრივთა მეტყველებაში. სახელდება, გასაგებია, არტანის მდინარეს ნიშნავს და ასეც იყო (იხ. ზემოთ). —ულ-ა („ურ-ა“) ჰიდრონიმთა მაწარმოებელია⁵⁷⁷. ამ სახელის საილუსტრაციოდ საინტერესოა ერთი ხალხური ლექსი ასპინძის ომში ერეკლეს გამარჯვებაზე, რომელიც ილია მაისურაძეს ჩაუწერია 1939 წელს 79 წლის ისაკ მაისურაძისაგან სოფ. მუსხში. ლექსს, სიდიდის მიუხედავად, მოვიყვანთ მთლიანად, რომ ადვილი წარმოსადგენი იყოს ისტორიული გარემო. ამასთან თავად ფაქტი მიგვაჩნია მნიშვნელოვნად:

„ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწა ღვარაო,
ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო,
რუსმან აართვა დალატი,

⁵⁷⁷ Макалатиа П., К вопросу о топонимической аффиксации (на материале картвельских языков):

вопросы ономастики № 310, 1975, გვ. 131-132.

ქურდულებ გაიპარაო.

ახლა,—

ერეკლე უკანაც ვეღარ დაბრუნდა,

ჯავახეთ გაეჩქარაო,

ასპინძის ბოლოს ავიდა,

იქ ლეკი დაეხალაო.

ლეკ ჩასხდა მათარისში (აკოფში)

თოფს დაატანა ძალაო.

სად მიხვალ ჩემო ერეკლე?

სად მიდევ კოხტა ბელადო?

ერეკლემა დაუქნია,

მხრები დაათალაო.

ხმალდახმალ შევა ქართველი,

ცხვარივით წამოშალაო,

არტანულაში შექეცა (შერთო)

ასპინძის ბოლოს ლეკები,

ავლაბარ გამოყარაო,

შარშან შემძვრალი ჩირგვებში

დღესაც არ გამოძვრალანო!⁵⁷⁸.

აშკარაა, რომ მოთხრობილია ცნობილ ისტორიულ ფაქტზე და მტკვარში მტრის ჩაცვივნაზე. ასპინძის ბოლოს მხოლოდ მტკვარი მიედინება.

გ. ბოჭორიშვილი აღწერს ოხერის მცირე ეკლესიას მინაძესთან და ამბობს: „ეკლესია დგას კლდიან ადგილას. დასაველეთით არის გალაენის ნაშთი. აქ ჩამოდის სატალაოს ანუ ურავლის, ანუ კალმანის წყალი. აქ ერთვის არტანულა ანუ არტაანის წყალი“⁵⁷⁹.

ამ სახელით (უფრო სწორად, მისი რუსული ვარიანტით) მტკვარს იცნობენ უცხოელი მოგზაურები: „Мы проехали около 4 верст, когда увидели слиянніе двухъ рекъ: Ахалцих-чая с Курой или Ардаганом, так река эта здесь известна подъ общими именами“⁵⁸⁰.

გასათვალისწინებელია, რომ მოგზაური მისთვის ცნობილ სახელს — არდაგანს — მიაკუთვნებს მდინარეს სახელად ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე. სწორი ფორმა არტანულა, ან არტაანის

⁵⁷⁸ ი. მაისურაძე, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 100, გვ. 21.

⁵⁷⁹ გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1922. გვ. 16.

⁵⁸⁰ Армения, путевые очерки и этюды Линча Х.Ф., Тифлисъ, 1910, გვ. 96.

არტაანის წყალი, როგორც მტკვარს ეძახდა ხალხი, მისთვის შედარებით მიუღებელი და გაუგებარიც იყო. თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰიდრონიმთა ქართული გაფორმება ევროპელისათვის ძნელად აღსაქმელი შეიქნა, რამდენადაც მთავარი ორიენტირი არდაგანი (ქართული — არტაანი) უცვლელი იყო, მან მიზანი მიღწეულად ჩათვალა. ეს პრინციპი, სახელთა ეტიმოლოგიზირება და ისე წარმოდგენა თავისებური ინტერპრეტაციით, ძველია, და როგორც ჩანს, ამ საუკუნის დასაწყისშიც გრძელდება. ამიტომაც არის რომ ასევე არაქართული ფორმით მოიხსენიებს ლინჩი მტკვრის მარცხენა შენაკადს—ურავლის წყალს, რომელსაც ურაველს უწოდებს⁵⁸¹. მაშინ როდესაც ამ შენაკადს ერქვა ან ურაველა (და არა ურაველი, სოფელი, საიდანაც მიიღო მდინარემ სახელი) ან ურავლის წყალი. ამ მდინარეს აქვს კიდევ ერთი სახელი ფუნდულა, მაგრამ ამ სახელს სულ სხვა წარმომავლობა აქვს, ისევე როგორც სატალაოს (ანუ კალმახის) წყალს⁵⁸².

ამდენად, თუ არტაანის თურქულ-რუსული სახელი არდაგანი იქნებოდა ამოსავლად, მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც შეცვალა ფაქტიურად „არდაგანმა“, „არტაანი“, უნდა გვექნოდა არდაგნულა ან არდაგნის წყალი, ან თურქული ვარიანტი არდაგან-ჩაი.

ამდენად, ი. მაისურაძის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის ვარიანტი უფრო სწორი და ქართული ვარიანტია, ზოლო ლინჩის შემოთავაზებული ფორმა „არდაგანი“ უფლებას გვაძლევს, აღვადგინოთ მტკვრის სინონიმები არდაგნულა და არდაგანის წყალი.

ამგვარად: 1. დამოუკიდებლად არსებულმა ტოპონიმებმა, რომლებიც მსაზღვრელის როლში გამოდიან და ირთავენ ჰიდროტერმინს, რათა იქცნენ მდინარის სახელად, შეიძლება ყოველგვარი საზღვრულის გარეშე აღნიშონ ჰიდროობიექტი. ამას ვუწოდოთ ნულოვანი მომენტი. ამის მაგალითია ზემოთ აღნიშნული თავფარავანი|ფარავანი და არდაგანი (იგივე არტაანი) მდინარეთა სახელად. 2. დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმი გამოდის მსაზღვრელის როლში. საზღვრული არის ჰიდროტერმინი წყალი: ჯავახეთის წყალი, ახალქალაქის წყალი, თავფარავნის წყალი, არტაანის წყალი.

3. თურქულენოვანი ჰიდროტერმინი ჩაი (წყალი) გამოდის საზღვრულის როლში: ახალქალაქ-ჩაი, Тапараван-чай, არდაგან-ჩაი.

⁵⁸¹ იქვე, გვ. 97.

⁵⁸² გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1922, გვ. 16.

4. ურ სუფიქსს აქვს წარმომავლობა - კუთვნილების ფუნქცია. როდესაც დამოუკიდებლად არსებულ ტოპონიმებს დაერთვის ურ - ა (->ულ-ა) ჰიდროფორმანტი, გამოიხატება ჰიდრონიმის მიმართება გეოგრაფიულ პუნქტთან. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰიდრონიმა ეს ტიპი (ტოპონიმი + ურ-ა-მ.ბ.) საზღვრულჩავარდნილი ზედსართავი სახელია წარმოშობით (-ურ სადაურობის სუფიქსით ნაწარმოები სახელი). ურ-ა სუფიქსის შემადგენლობაში -ა გაამარსებითიველი ელემენტი ჩანს... რომელიმე ბოწახ-ურ-ა ბოწახური წყალი“⁵⁸³.

ასეთი წარმოება მთელ საქართველოშია დადასტურებული. აღ. ლლონტი საკვლევ რეგიონში მიუთითებს ურ სუფიქსიან ჰიდრონიმს -ა-ს გარეშე შავშ-ურ-ი⁵⁸⁴, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს, რომ დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმები გამოდის მსაზღვრელის როლში და საზღვრულს (ჰიდროტერმინს) ცვლის ჰიდროფორმანტი.

ჩვენს შემთხვევაში არტან-ულ-ა არის საზღვრულჩავარდნილი და არა საზღვრულდაკარგული სახელი, რადგან დადასტურებული გვაქვს არტანის წყალი, ახალქალაქის წყალი და ა. შ.

5. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ამავე რგში ჩადგება მტკვარი. ისიც ისეთივე ჰიდრონიმული ტერმინია, როგორც წყალი, ჩაი ან მათი შემცვლელი სუფიქსი ურ-ა, ამით შეიძლება აიხსნას ორი მტკვრის არსებობა მტკვრის ზემოთში.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო დრომდე მტკვარი იწოდება წყლად ან ღიდწყლად, რომ ამ სახით მოიხსენიებს მდინარეს ლეონტი მროველი.

§ 3. ფოცხოვი

ფოცხოვი სათავეს იღებს დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე ერუშეთის მთებიდან, შემდეგ შეერთვის ჯაყის წყალს და გრძელდება როგორც ჯაყის წყალი, შემდეგ მას ერთვიან ქვაბლიანის და ოცხის წყლები და იწოდება ახალციხის წყლად (ვახუშტი).

⁵⁸³ ფ. მაკალათია, ფშაის ტოპონიმიკა, კრებული ტოპონიმიკა, თბ., 1976, გვ. 50-51.

⁵⁸⁴ აღ. ლლონტი, ჰიდრონიმა ძირითადი სტრუქტურული სემანტიკური ჯგუფებისათვის, აკ. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 270.

მდინარეთა სხვადასხვა მონაკვეთი, მართალია, შეიძლება იწოდოს სხვადასხვა სახელით, მით უმეტეს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და მით უმეტეს თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია იცვლება, მაგრამ ფოცხოვი, მიუხედავად ამისა, დღეისათვის ბოლომდე ფოცხოვად იწოდება. თურქები მას ფოსოფის წყალს, უწოდებენ დღეს. მის აუზში საკმაოდ დიდი ტერიტორია შედის ამიტომ ფოცხოვი აღიქმებოდა როგორც არა მხოლოდ მდინარე, არამედ ხეობა და ქვეყანა, ანუ კუთხე. საერთოდ კი იგი ყოველთვის იყო სამცხის ნაწილი.

ვახუშტი წერს: „ამ ჯაყის წყალს, ჭვინტას ქუეთ, მოერთვის ტყის სოფლის კევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის სამქპრით. ამ კევს ზეით ჯაყის წყალსავე, წურწყუბას, მოერთვის ფოცხვის კევი. გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთას და მოდის დასავლეთად და მერმე ჩრდილოდ“⁵⁸⁵.

ფოცხვის ხევი იგივე ფოცხოვის წყალია „ფოცხვის წყლის სათაიდამ გარდავალსს ერუშეთის გზა“⁵⁸⁶.

ერუშეთის საზღვრის დადგენისას ვახუშტი მის ჩრდილოეთ საზღვარს ფოცხვის ხევზე დებს: „ჩრდილოეთ მთა მასა და ფოცხვის ხევს შორისი და ამასა და სამცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდაველენან გზანი ფოცხვის კევსა და სამცხეს შინა“⁵⁸⁷.

ფოცხვის ხევი დღევანდელი ფოცხოვია. გზები რომელიც ვახუშტის აქვს მითითებული, დღესაც მოქმედებს, ოღონდ სახელი აქვს შეცვლილი. ერუშეთის მთისაკენ ამავალი გზა არის დღევანდელი ილგარის უღელტეხილზე გამავალი გზა არტანსა და დაბა ფოცხოვს შორის.

ფოცხვის ხევში გამოიყოფა ფოცხვი, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ფოცხუ – (ფრინვ.) ჭაროდ უხმობენ გლეხნი“, ხოლო ჭარო იგივე ჭარია, რომელიც „ქორსა ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“

ცხოველთა და ფრინველთა სახელი მრავლად ერქმევა ადგილებს სახელად. ამჟამად, რომ დღევანდელი ფოცხოვი ისტორიულად იყო ფოცხვის ხევი. ფოცხოვის მიღება ჩვენ ასე გვესახება: ფოცხვის ხევი>ფოცხევი>ფოცხოვი.

⁵⁸⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 665.

⁵⁸⁶ იქვე.

⁵⁸⁷ იქვე გვ. 673.

ფოცხუ, ფოცხვი უნდა იყოს ამოსავალი გვარში ფოცხიშვილი, ფრინველთა სახელი ასევე მრავლად ედება ადამიანთა გვარ-სახელებს საფუძვლად.

ფოცხოვი ერქვა ადგილს, რომელიც სამცხეში შედიოდა და რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა. იგი დღეს იწოდება გადათურქულებულ-დამახინჯებული ფორმით — ფოსოფი.

თავდაპირველად ფოცხოვი მხოლოდ ლივის სახელი იყო. ამ სახელით ცალკე სოფელი ან დაბა არ იწოდებოდა. ფოცხოვი გაყოფილი იყო ორ რაიონად ჩრდილის და მზუარეს რაიონებად, და XVI საუკუნის ბოლოს შედიოდა მასში 55 სოფელი. მდინარის, ლივის, ხეობის სახელი შეერქვა შემდეგ ადმინისტრაციულ ცენტრს, ამიტომაცაა, რომ ფოცხოვი ოსმალებს ცალკე აღწერილი არა აქვთ.

§ 4. ლელე მთიან აჭარაში

ლელე უძველესი ჰიდრონიმული ტერმინია. მისგან არის ნაწარმოები ლელავს სიტყვა თავისი სამი მნიშვნელობით: წყლის ლელვა, ნათესის ლელვა, ადამიანის ლელვა⁵⁸⁸. ლელავს ფორმის შესატყვისია მეგრული ღალუნს⁵⁸⁹. ორივე ნასახელარია და მიღებულია ლელე სახელისაგან⁵⁹⁰, რომლის კანონზომიერი შესატყვისია ზანური ღალ-⁵⁹¹.

გ. როგავა გამოყოფს ლელეში -ე-ს, მაგრამ მის ფუნქციაზე არაფერს ამბობს, ლელეს ლელო ვარიანტის დამოწმებისას კი ბოლოკიდური ო-ს კნინობითის სუფიქსად მიჩნევის შესაძლებლობას უშეებს⁵⁹².

საფიქრებელია, ლელეს თავდაპირველი ფორმა ლელა უნდა ყოფილიყო, ხოლო ა ამ შემთხვევაში ისეთივე კნინობითის სუფიქსი იქნებოდა, როგორიც ზემოაღნიშნული ო.

⁵⁸⁸ გ. როგავა, ქართულ „ლელავს“ ზმნის ეტიმოლოგია, იკე, ტ. XXIV, თბ., 1985, გვ. 113.

⁵⁸⁹ იქვე.

⁵⁹⁰ იქვე, გვ. 114.

⁵⁹¹ არნ., ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938, გვ. 183; გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 202.

⁵⁹² გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

მესხურში ღელე ტერმინის პარალელურად იხმარება მეორე პირობითი ტერმინი ხევი, თავისი ტრადიციული მნიშვნელობით, მაგრამ პარალელურად ხშირად იხმარება ხევაც იმავე მნიშვნელობით. ხევა შედარებით მცირე ხევეს ჰქვია. ხევე სახელისაგანაც იწარმოება ზმნა, წყლის დახვევის, დაგდების მნიშვნელობით. დახვევა - „ბლომად მიშვება წყლისა“⁵⁹³. ე. ი. ღელა||ღელო→ღელე. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც მოხდა ასიმილაცია და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ღელე ფორმა, ე-ს / ←ა||/ უკვე აღარ ჰქონდა კინობითის გაგება.

ღელე ძველ ქართულში სინონიმა ხევისა. დასადასტურებლად მოვიყვანთ მაგალითებს ილ. აბულაძის ლექსიკონიდან: „ღელე-ხევი“, „ბარი“, ხევი: „ვერ შეუძლეს მოსრულება მკვდრთა ღელი-სათა“; „ვერ შეუძლეს დამკვდრებად მკვდრთა მათ ბარისათა“; „ქალაქი მყოფი ღელესა შინა; „ქალაქი... რომელი... იყო ხევეს მას“; „დაიბანაკეს ღელესა მას“; „შთაიყვანოს დიაკუელი ღელესა ძნელსა“; „შთაიბან იგი ხევეს ერთსა ძნელსა“; „დაეხმას ღელე იგი მთათა მათ ჩემთა“⁵⁹⁴.

ხევი, ხევი „ნალუარევი“ „ცხური“, ხეობა, კანტონი, „ღელე“; „აღქაფნებოდა წყალი იგი, ვითარცა სიმძაფრს ხევისა; ღუარი მძაფრი ხევესა შინა მიმავალი, ყოველსავე, რომელიცა წინაშე მისსა პოოს, წარიღებს; „სედხადო შენ ნალუარევესა კესონისასა“; „მოვიყვანო შენდა ხევესა მას კიშონისასა“; „არც გამოსავალი საზღვართა ხევეს თანა ზღუსა“. „იყო საზღვარი გამოსავალთა ცხურად კერძო ზღუად“. „გაბხმა ხევი იგი“. „სუემდ წყალსა ხევისა მისგან“. „ხვეად-ხვეად, რაითა აღაშმნენს საგლახაკონი“. „აღვიდეთ ყოველი თესლები ხევესა მას იოსაფატიისა“. „წიაღმო და ხევესა“. „ყოველი ხევენები აღმოივსოს“. „გამოადინონ ხევენებსა მათსა“. „ყოველი ხევენები შესდიან ზღუასა და ზღუამ იგი არა განძლების“⁵⁹⁵.

ორივე სახელი ღელეცა და ხევიც წყლიან ადგილს გულისხმობს ილ. აბულაძის მაგალითის მიხედვით, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ „განხმეს ხევი იგი“. ამასთან, ორივე სიტყვისაგან ნაწარმოები ზმნები - აღელეებს და ახეებს უეჭველად გულისხმობს

⁵⁹³ ვინმე მესხი (ივ. გვარამაძე), ლექსიკონი, დასამატი ლექსები სიტყვიერების გასამრავლებლად, 1893, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ფონდი №174.

⁵⁹⁴ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 461.

⁵⁹⁵ იქვე, გვ. 566.

წყალს. აღლეება - ღელუდ ქცევა, მოვარდნის, გრანდიოზულის შინაარსს შეიცავს. ასევე მხოლოდ წყლის „ბლომად მიშეებას ჰქვია“ დახეება.

ღელე და ხევი შეიძლება იყოს ღრმა: „წარვიდა წმიდა შიო დასაველეთ კერძო მცხეთისა, მარჯუენით მღინარესა მტკუარსა, რომელსა ჰქუან მღუვე ღრმათა ხეეთა ფრიაღთა“⁵⁹⁶. შეიძლება იყოს „უშენი“ „და ვიღოღის შეცთომიღნი ღელე-უშენთა და ტყეთა მიმართ“⁵⁹⁷.

ღამოწმებული მაგალითებიღან ჩანს, რომ მკვეთრი გამიჯვნა ხევისა და ღელის სიღიღის მიხეღვით არ ხერხღება. ღელეში ისევე, როგორც ხეეში, ხეობაში, შეიძლება ცხოვრობღეს მოსახლეობა /„მკუღრთა ღელისათა“/, იყოს ქალაქი, ჯარმა დაიბანაკოს და სხვა. მიუხეღვაღად ამისა, ღელესა და ხეეს შორის განსხვავება მაინც არის. რაც არ უნღა ღიღი იყოს ღელე, ხევი მაინც მასზე ღიღია.

„ღელუდ ითქმის ხევი მცირე; ხოლო ღელე, მისი უღიღესი, ხოლო ხევი უღიღეს და უღრმეს და წყლოვანებითაცა მეტი ღელეთა და ნაღვარევი - ღელე ხმელი, თვინიერ ღვართასა, ხოლო ხრამი - უღიღეს და უღრმეს და ფრიაღ კღღოვანი“⁵⁹⁸.

ხევის განმარტებისას სულხან-საბა ახალს აღარაფერს ამბობს- „ღელეთ უღიღესი“, მაგრამ წყაროს განმარტებისას აკონკრეტებს: „რა წყარონი შეკრბებიან და ჩავლიან, ხეენი ეწოღების; და ხეეები რა შეუერთღებიან, მღინარე“⁵⁹⁹.

მთლიანად სულხან-საბას ეყრღნობა ივ. ჯავახიშვილი და ისტორიული წყაროების მონაცემების მიხეღვით ახასიათებს ხევის სხვაღასხვა მონაკვეთს: „ხეეს აქეს დასაწყისი, რომელსაც ეწოღება „თავი ხევისა“ /ც-სრ-ჰნ ზრზმ-ღსა“/ და ბოლო, რომელსაც ერქვა „დასასრული ხევისა“ /ც-სრ-ჰნ ზრზმ-ღსა“⁶⁰⁰.

ვახუშტი თავის „აღწერის“ ღროს მიჰყეება ხეობებს, რომელთაც ერთვის „ხეეები“. „ხეეების“ აღწერისას მიუთითებს მათ სა-

⁵⁹⁶ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასღისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაღვენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხეღვით ს. ყაუხჩიშვიღის მიერ, თბ., 1955, ტ. I, გვ. 210.

⁵⁹⁷ ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დაღვენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხეღვით ს. ყაუხჩიშვიღის მიერ, თბ., 1959, გვ. 509.

⁵⁹⁸ სულხან-საბა ორბელიანი, თხზუღებანი, ტ. IV, თბ., 1966.

⁵⁹⁹ იქვე.

⁶⁰⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 20.

თავეს ზოგადად: მხარეს, მთავარ ქელს ან მთას, რომელსაც გამოსდის ხევი და შესართავს.

„ხოლო დასაველეთით დიდგორისა არს ბასიანი, ხეობა დიდი, რომელსა შინა დის მდინარე“⁶⁰¹.

„ამის პირისპირ, მცირეს ზემორ, ჩრდილოდამ მოერთვის მტკუარს წინუბანს აბანოს კევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით. ამ კეკს ზეით წნისს ერთვის მტკუარს წნისის კევი, გამომდინარე ფერსათის მთისა“⁶⁰².

იშვიათად, მაგრამ ვახუშტი მაინც ხმარობს ლელესაც: „ხოლო ჩრდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოდ უტყეო, არამედ ლელეები შინა მცირე ტყიანი“⁶⁰³.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით ლელე არის „ჩავარდნილი ადგილი მინდორზედ, ან მთათა შორის“⁶⁰⁴. მას შეესაბამება რუსული Ложбина /ღარტაფი/, Низменность /დაბლობი/, ხოლო ხევი მისთვის არის „მცირე მდინარე ორთა მთათა შორის, ჩახრამული ლელე ან ნაპირები, სადაცა ჰსდის ამგვარი მდინარე“. „ხევები-ლელეები, დახრამული ადგილები“⁶⁰⁵.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით ლელე უფრო ფართო მნიშვნელობის არის, ვიდრე ხევი. Низменность ყოველთვის მეტია, ვიდრე „მცირე მდინარე ორთა მთათა შორის, ჩახრამული ლელე ან ნაპირები“. მისი განმარტება ძველი ქართულის მონაცემებს ეყრდნობა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ლელეს ტრადიციულად რამდენიმე მნიშვნელობით განმარტავს: 1. „პატარა ხევი /საბა/, პატარა მდინარე, ნაკადული; 2. ჩავარდნილი ადგილი მინდორზედ ან მთათა შორის /დ. ჩუბინა/ - ურიყო ნაწყალვეი ადგილი, მშრალი ხევი; 3. მდინარე თავისი ნაპირებითურთ - ჭალა, ხეობა“⁶⁰⁶.

თავდაპირველად ლელე უეჭველად წყლიანი უნდა ყოფილიყო /ადლეუება/, ამასთანავე ქართული ლიტერატურული და ლექსიკოლოგიური ტრადიციის მიხედვით მას მეტად ფართო მნიშვნელობა

⁶⁰¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 650.

⁶⁰² იქვე, გვ. 662-663.

⁶⁰³ იქვე, გვ. 634.

⁶⁰⁴ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1975.

⁶⁰⁵ იქვე.

⁶⁰⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ, ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, თბ., 1962.

ქონდა. მისი სინონიმი იყო ხევი, ამიტომაც მრავალგვარია ღელის მნიშვნელობა დიალექტების მიხედვით:

თუშურში, ფშაურში, მთიულურში ღელე არის „უღელტეხილი, გადასავალი ყელი მთაში“ /ვაჟა/; „უღელტეხილი, გადასასვლელი მთაზე“ თ. უთურგაიძე; ვაკე მამული“ ს. მაკალათია⁶⁰⁷. თუშურში პ. ხუბუტია გამოყოფს ღელის კიდევ ერთ მნიშვნელობას — ეს არის ხეობა⁶⁰⁸.

ქართლ-კახეთში ღელე მშრალია. უ. სახლთუხუციშვილის აზრი მარტყოფის ტოპონიმიური მონაცემების მიხედვით შეიძლება განზოგადდეს ქართლ-კახეთზე: „ღელე მეორე მნიშვნელობით (ჩავარდნილი ადგილი მინდორზე ან მთათა შორის“) იხმარება და მკვეთრადაა გამიჯნული ხევ სიტყვის მნიშვნელობისაგან... გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ხევ სიტყვას შეიცავენ, უეჭველად ჰიდრონიმს გულისხმობენ. თუ რომელიმე ხევში წყალი აღარ მოდის, მაშინ ის მშრალხევი იქნება, რადგან ხევს ღელესაგან განსხვავებით კლდოვანი და წყლისაგან ჩამოშლილი ნაპირიც ექნება“⁶⁰⁹. თუმცა, ქართლში არ უნდა იყოს გამორიცხული ღელის წყლიანობაც. ამას გვაფიქრებინებს „ღელიანი მიწა-წყლის პირას მდებარე მოსავლიანი ნაკვეთი“⁶¹⁰.

ინგილოურში ღელე არის ჩაღრმავებული ადგილი, რომელშიც შეიძლება წყალი მოდიოდეს ან არ მოდიოდეს. ამის მიხედვით გვაქვს ხმელღელე, უბრალოდ ღელე და სხვა. მისი აგრეთვე ინგილოური სინონიმია გურგური (ა. ასრათოვი).

„ბორჯომის ხეობაში ღელე არის მცირე ან საშუალო დაქანების ადგილებში ბუნებრივი ღარტაფი, ღრმა ხევი, რომელშიც უმეტესად წყალი მოედინება (ის უფრო ჰიდრონიმია, ვიდრე ტოპონიმი), ხშირად უწყლოცაა, მშრალი. ღელეში, როგორც წესი, მცენარეულობა უხვადაა. ღელე გამოიყენება სამეურნეო დანიშნულებისათვის, გაყვანილია გზები ხე-ტყის გამოსაზიდად, მოწყობილია კარიერები, დროებითი ნაგებობები, გვხვდება დასახლებები და სხვ.“⁶¹¹.

⁶⁰⁷ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1975.

⁶⁰⁸ პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 161.

⁶⁰⁹ უ. სახლთუხუციშვილი, ტოპონიმიის ისტორიისათვის, ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 220-221.

⁶¹⁰ ქართული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელები: თ. მუროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე; 1981, გვ. 428.

⁶¹¹ ს. მელიქიძე, „ღელე“ და „სვანი“ ბორჯომის ხეობის ტოპონიმიკაში, ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980, გვ. 182.

ბორჯომის ხეობასა და ხაშურის რაიონში ღელეს ხშირად სვანს უწოდებენ. „ღელესა და სვანს შორის ის განსხვავებაა, რომ სვანი უფრო ვიწროა და დაქანებული, ამასთანავე მოკლევც, ღელე კი ფართოა, გრძელი და უფრო ნაკლებად დახრილი. ღელე ზოგჯერ ხევისაც ენაცვლება“⁶¹².

ლიხს იქეთ ღელემ ერთგვარი გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. თუ აღმოსავლეთ საქართველოში ჰიდრონიმულ ტერმინად ძირითადად ხევი გვხვდება და ღელის ხმარებას შედარებით იშვიათი ხასიათი აქვს, დასავლეთში — პირიქით, ხევი ან იშვიათად იხმარება, ან საერთოდ არ იხმარება.

იმერულში, გურულში, რაჭა-ლეჩხუმურში ღელე ძირითადად მცირე ხეებს ჰქვია, წყლიანს. ღელეზე შეიძლება ბანაობა, თევზის ჭერა და სხვ.

მესხური გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სამცხე-ჯავახეთში, ჩვეულებრივ, ხევიც იხმარება და ღელეც. რაიმე განსაკუთრებული სხვაობა მათ შორის არ შეინიშნება. მაგ. ერკოტელების (ასპინძის რ-ნი) სისხლიანი ხევი ჭობარელებისათვის უკვე სისხლის ღელეა. ასევე ნასოფლარ ახაშენზე ჩამოდის ხევის ღელე და სხვ.

ამრიგად, ძველი ქართული მონაცემების მიხედვით ღელეს ბევრი მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება ჰიდრონიმულ ტერმინადაც ხეობის, ხევის, მცირე ხევის გაგებით. ქართულ დიალექტებში შენახულია ღელის ძველ ქართულში არსებული ყველა მნიშვნელობა, ოღონდ ეს მნიშვნელობები სხვადასხვა დიალექტში დასტურდება. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მთიანი აჭარის მონაცემები, რაზეც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

როდესაც მოგზაურნი აღწერენ აჭარის ხეობებს, ჰიდრონიმულ ტერმინებად ხმარობდნენ როგორც ხევს, ისე ღელეს ვინმე მესხი XIX ს-ის 60-იან წლებში მიემართებოდა სტამბოლში ახალციხიდან, გადაიარა ფოცხოვ-ქვაბლიანი და ბეშუმდიან შევიდა აჭარაში. „ბეშუმის მთით აქამდისინ (იგულისხმება ხულოს მიდამოები - მ.ბ.) ორ-სამ რიგად გასდევს ხევ-ღელე, რომელი წყლები აქ გაერთდა და აწ ერთ ღრმა ხევს დარუებულად მისდევს დაღმა, რომელი ხეფინის ხევისა, ამაშუკეთის და შროშის ძნელ სავალ ხევ-ღელეებზედაც უარესია“⁶¹³.

⁶¹² იქვე.

⁶¹³ ვინმე მესხი (ივ. გვარამაძე) სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ფონდი № 102, გვ. 8.

„აჭარა დაყოლებული ბეშუმის მთით აქამდინ (იგულისხმება აჭარის წყლისა და ჭოროხის შესართავი — მ.ბ.). ხევ-ღელეების გაღმა-გამოღმა ხშირად სრულ სოფლებია“⁶¹⁴.

თულო საზოკამ XIX-XX საუკუნის მიჯნაზე იმოგზაურა აჭარაში. იგი აჭარაში გურიიდან შემოვიდა და ბახვის წყლის სათავეს ჩამოჰყვა. მოგზაურისათვის ხევი, წყალი, ღელე, სინონიმები ჩანს: ხევი მათათა ჩალრმაკებულ ადგილს უფრო ჰქვია, რომელშიც წყალი ან ღელე შეიძლება მიდიოდეს: „ორი გზა მიდის ამ ეილაში (იგულისხმება ზორტიყელის მთა — მ. ბ.): ერთი საცხენოა და შორს (7-8 კილომეტრის მანძილზე) უხვევს, მეორე კი თვით ბახვის წყალს აჰყვება ხევ-ხევ და ერთი-ორად ახლოს მოსჭრის გზას“⁶¹⁵. ციტატაში ხევი ბახვის წყლის ნაპირებს ჰქვია. სხვა შემთხვევაში: „გარშემო გამეფებული სიმშვენიერე ბუნებისა, რომელსაც ტახტად ბახვის წყლის ხევი ამოურჩევია, გეხიბლავდა, ოცნების სამეფოში გეხვევდა“⁶¹⁶.

ამ შემთხვევაში ბახვის წყლის ხევი სახელი არ არის მდინარისა, სახელია ბახვის წყალი, ხევი კი ადგილია, ბახვის წყალი რაშიც მიედინება. ხევი თ. საზოკიასათვის ნაპირიც არის, რომელზედაც სიარული შეიძლება: „გავათავეთ ხევი, ტყე უკან დაგვრჩა და საბალახოზე გადმოვედით, ტიალზე“⁶¹⁷.

ხევში დასახლებაც შეიძლება: „სოფელი ხევშია და ყოველმხრიდან დაფარული ქარებისაგან“⁶¹⁸.

ხევში არამარტო „წყალი“ შეიძლება მოდიოდეს, არამედ ღელეც, ღელეს თურქული „ღერეს“ შესატყვისად მიიჩნევს ავტორი: „საათის ათზე მივატანეთ „სისხლიან ღელესთან“, რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან იმავე მნიშვნელობისას („ყანლი დერე“). ხევი ამ ადგილას საშინლად ვიწროვდება, თითქმის იკვრის“⁶¹⁹. იმავე ადგილის შესახებ ავტორი წერს: „სამი წლის წინათ ეს ღელე შემდეგი სისხლისღვრის მოწმე ყოფილა“⁶²⁰.

ღლეჯანდელ მთიან აჭარაში ღელე შეიძლება ეწოდოს წყალუხვ მდინარესაც და მშრალ ხევსაც, მაგალითად: ჩირუხის წყალი მდინარეა, რომელიც სათავეს იღებს ჩირუხის მთდან, ვიდრე უჩაპბის

⁶¹⁴ იქვე, გვ. 9.

⁶¹⁵ თ. საზოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 142.

⁶¹⁶ თ. საზოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

⁶¹⁷ იქვე, გვ. 145.

⁶¹⁸ იქვე, გვ. 154.

⁶¹⁹ იქვე, გვ. 166.

⁶²⁰ იქვე.

წყალს შეერთვოდეს, ხეობას ჩირუხის წყალს ქმნის. ქიძინიძეები სოფელია ჩირუხის წყლით მარცხენა ნაპირზე. ამ სოფლის მკვიდრნი ტერმინად ჩირუხის წყალს იყენებენ, მაგრამ ამავე „წყალს“, როდესაც ის სოფელ ქიძინიძეების ტერიტორიაზე ჩაივლის იმ ადგილთან, რომელსაც გოგიველი ჰქვია, უწოდება გოგიველის ღელე.

ქიძინიძეების ზემოთ, მდინარის აღმა, მის მარჯვენა ნაპირზე სულ რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი პაპოშვილები, სადაც ღელე და წყალი პარალელურად იხმარება, სახელდობრ, აქ პარალელური ფორმებია ჩირუხის ღელე და ჩირუხის წყალი. რაც უფრო ზემოთ შევყვებით, მით უფრო იმატებს ჩირუხის ღელედ მოხსენიება. მაგალითად: სოფ. მახალაკიძეებში ჩირუხის სახელად პარალელურად იხმარება: ღელე|ჩირუხის ღელე|ჩირუხის წყალი|ის წყალი.

ზემონათქვამი ეხება მდინარე ჩირუხის სათავეებს და ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, მდინარის ღელედ მოხსენიებაში გარკვეულ როლს თამაშობს ბუნებრივი ფაქტორი, რადგანაც მდინარე პატარაა, ჩქარია, ზოლო დასავლურ დიალექტთა გვარად საბანაო, სათევზაო მცირე მდინარეს ღელეს უწოდებენ. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ, როდესაც ჩირუხის წყალს|ღელეს შეერთვის უჩამფის წყალი, ამ ორ უკანასკნელს კი შეუერთდება ზულისწყალი (ასე უწოდებენ ადგილობრივნი აჭარის წყალს), ამ შემთხვევაშიც ორნაირი დასახელება იხმარება: შუახევის წყალი და შუახევი ღელე.

როგორც მთიანი აჭარის რამდენიმე მდინარის მაგალითზე ჩანს, ტერმინები „ღელე“ და „წყალი“ ფარავს ერთმანეთს. წყალი კი მდინარის აღმნიშვნელია.

„წყალი“ აჭარაში აღნიშნავს მდინარესაც და მცირე ღელესაც; ოღონდ „წყალით“ აღნიშნული ღელე მშრალი აღარ შეიძლება იყოს. მაგალითად: ღორჯომში, ცენტრთან, ადამებში ჩამოდის ჯამის ღელე, რომლის სათავესაც ქმნიან მცირე ღელეები: რუსთავის ღელე და ყორვანიწყალი. იმავე ღელეს შენაკადია ფლატის წყალი. ამავე ჯამიღელის შენაკადია ბოკელათიღელე, თავისი მრავალი ღელე-წყლით. ამ ღელეს სათავეს ქმნიან წითლავის წყალი, მოტეხილების წყალი, საფილეთიღელე, კუნჭულას წყალი, აბანოღელე, ძალიანი ღელე, საკეციაღელე, დაბალყელიღელე, შამანავრიღელე.

რაც შეეხება ღელეს, მისთვის გადამწყვეტი არა ჩანს წყლიანობის ფაქტორი. აჭარაში ღელე შეიძლება იყოს მშრალიც, უწყლო.

დაბაძველში, რომელიც შუახევის წყლის (აჭარის წყლის) მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, არის ორი ღელე: ერთი — წვერგადაღმი ღელე, სოფლის აღმოსავლეთით, მცირეწყლიანი, რომელიც სათავეს იღებს სოფლის თავში, სასვენია სერზე და უერთდება აჭარის წყალს მარცხნიდან იხვავრის ტერიტორიაზე. მეორე — ღარამოღლე, ორკილომეტრიანი ღელე, რომელიც წვერგადაღმი ღელეს ქვემოთ, ორასიოდე მეტრზე ერთვის იმავე მდინარეს იხვავრსა და „მერის“ შუა.

ღარამოღლე, თავისი სიმცირის მიუხედავად, საინტერესოა „შენაკადის“ სიმრავლით. სათავეში ერთმანეთს ერთვის სამი მშრალი ღელე: 1. ნასერვლის ღელე, სათავეს იღებს ნასერვალში; 2. მინდვრის ღელე, სათავეს იღებს ტყის ბოლოდან, ადგილიდან, რომელსაც მინდორი ჰქვია; 3. ფარჩი ღელა, სათავეს იღებს „საფრის“ ბოლოდან.

სამივე ღელე, ვიმეორებთ მშრალია, ისინი, ისევე, როგორც ღარამოღლე, ძირითადად მაშინ ხდებიან წყლიანი, როდესაც იწვიმებს ან თოვლი დადნება.

ღარამოღლეს კიდევ ერთი ღელე ერთვის — ჯამიკრის ღელე, რომელიც ჩამოთვლილ ღელეთა შესაკრებს ქვემოთ უერთდება და იმავე თვისებებით ხასიათდება.

ზემო აჭარაში მოხდა პიდრონომულ ტერმინთა ერთგვარი უნიფიკაცია. ღელედ იწოდება წყაროც — „რა წყარონი შეკრებიან და ჩაივლიან“ (საბა). ღელეც — („ხევი მცირე“), ღელე, „ხევი“, ნალვარევი — „ღელე ხმელი თვინიერ ღვართასა“ და მდინარე.

ხევს მნიშვნელობა აქვს დაკარგული მთიან აჭარაში. თუ მაინცდამაინც, ხევს, გამოფიტულ ადგილს, ფერდობს, ხრამს, „ნალვლეზას“ უწოდებენ. მიუხედავად ამისა, ტოპონიმია მემოგვინახა: ზემო ხევი, შუა ხევი, (მღრ. იმერხევი). ჭვანის წყალი აჭარის წყალს ერთვის მარჯვენა ნაპირიდან, მაგრამ ჭვანამღლე მას ხვე-ღელე ჰქვია. არაერთი მცირე ღელეა, რომელიც ხვეად იწოდება. მაგ: აბანოსხევი სათავეს იღებს აბანოთხევიდან, ჩაივლის თეთრმიწის ღელეში და უერთდება ჩირუხს მარცხნიდან (სოფელი შუბანი) და სხვა. ნალვარევი სოფლის სახელად შემოგვრჩა შუახევის რაიონში.

ბუნებრივია, უნიფიკაციას საბოლოოდ უნდა მოჰყოლოდა საწინააღმდეგო პროცესი. ისიც ბუნებრივია, რომ ენა ძველ ტერმინებს აღარ გამოიყენებდა, როგორც განვლილ ეტაპს, ამას კი ახალი პიდრონომული ტერმინების შექმნა უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა. აჭარელთა განმარტებით „წყარო წყალია, რომელსაც დაღევ და

ღელე წყალია, რომელიც ჩამოივლის“. წყარო ადგილზე ამოსვლისთანავე უკვე დის, ამიტომ ამოსვლისთანავე უკვე იქცევა ღელედ, ანუ მეწკერწყლად. მეწკერი წყალი ცოტას „გაიარს“ და ჭყორტოა. ჭყორტოები, მეწკერი წყლები შეერთდებიან, იქცევიან ღელეებად. ღელე „რაც არ უნდა დიდი წყალი იყოს, მაინც ღელეა“. ღელეები შეერთდება და ჭოროხი ანუ მდინარე იქნება. „მატარვანების“ შეკრების შემდეგ ამ ერთეულს, ჭოროხის გარდა, რიონიც შეიძლება ეწოდოს.

პიდრონიმთა ერთი მთავარი თვისება ის არის, რომ ტოპონიმებთან შედარებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, ყოველ შემთხვევაში „გაივლის“, ამიტომაც ნაკლები კონსერვატულობით ხასიათდება. ახასიათებს მრავალსახელიანობაც. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, მცირე ღელეა თუ დიდი მდინარე. თუ ღელეა, სახელიც ცვალებადი აქვს. მაგალითად: სოფელ ბერულაშვილებში არის ერთი ღელე, რომლის სიგრძე სულ 2 კილომეტრია, ვიდრე სათავეს იღებს წყაროდან, რომელსაც სასოკვიწყარო ჰქვია, შესაბამისად დასაწყისში იწოდება სასოკვიიღელედ. შემდეგ ჰქვია ზუღა ღელე, რადგან სამი წიქვილია და „ზუღა“ ნაწილია ღელისა, შემდეგ ჩამოივლის წისქვილებთან და წისქვილღელეა, ხოლო იმ ადგილს, სადაც აჭარის წყალს ერთვის, მიქელაური ჰქვია და ღელის ბოლოსაც მიქელაურის ღელე ეწოდება. ამ ოთხი სახელიდან ნებისმიერი შეიძლება იქცეს ღელის ზოგად გამთლიანებულ სახელად. თუმცა ხშირად გამთლიანებული სახელი შეიძლება სულ სხვაც კი აღმოჩნდეს. ასეა თითქმის ყველა ღელე-მეტნაკლებად, ზოგს ოთხი სახელი ექნება, ზოგს – მეტი და ზოგს – ნაკლები.

სახელდების ასეთი პრინციპები ახასიათებს ისეთ ღელეებსაც, რომლებიც უკვე მდინარეებია მაგ. აჭარის წყალს სხვადასხვა სოფელში, რომლის ტერიტორიაზეც ის ჩაივლის, შეიძლება ერქვას უბრალოდ ღელე ან დიდღელე, ან იმ სოფლის სახელი, რომელთანაც ჩაივლის იგი. ასე მაგალითად, შუახევში არავინ იტყვის აჭარის წყალზე მივდივარო, იტყვიან ზუღის წყალს. შუახვევლებისათვის აჭარის წყალი მოდის ხულოდან (ისტორიული ხულა) და იმიტომ. შუახვევიდან გასული წყალი კი დაბაძველებისათვის არის შუახვევის წყალი. ორივე შემთხვევაში წყალს ენაცვლება ღელეც (იხ. ზემოთ), მაგრამ აჭარის წყალი არასდროს არ არის აჭარის ღელე. ეტყობა, მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორი. ცნება აჭარა ფართოა, ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, ეს არ არის მხოლოდ ერთი, კონკრეტული ხეობა. ეს რომ ასეა,

ადასტურებს აჭარის წყლის პარალელური ფორმა ზულისდეღე. როდესაც აჭარა კონკრეტულ ერთ მცირე ობიექტს აღნიშნავს. მაშინვე შეიძლება რომ წყალი ღელედ შეიცვალოს, აჭარის წყალს უერთდება მარჯვნიდან ღორჯომის ანუ დიდაჭარის წყალი, რომელიც გვხვდება დიდაჭარის ღელედაც. დიდაჭარა კი აღმატებით ხარისხშია.

სახელდების ერთგვარობა მცირე ღელისა თუ მდინარისა განპირობებულია „წყლით“. განსხვავებას ქმნის სოციალური ფაქტორი. წერილი ღელეების სახელები უფრო ხალხურია და აქედან გამომდინარე თავისუფალიც, ცვალებადიც. ასევე მდინარეთა სახელებიც, მაგარმ აქ ერთი დაკანონდება, გაოფიციალურდება, დანარჩენი კი მხოლოდ ადგილობრივ მიმოქცევაშია, რუკებზე არ აღინიშნება.

§ 5. ტერმინი „ტბა“

ტბა არის უძველესი ჰიდრონიმული ტერმინი. საბას მიხედვით „ტბა — ზღვა არს მომცრო. ტბას უწოდებენ ნავთსაყუდელსა. ტბორე — ავი გუბე“⁶²¹. ტბასა და ტბორეს წყაროსთანაც განმარტავს საბა და ფაქტობრივად იმავეს იმეორებს: „სადა გარე შემოევლების უწოდებენ ტბასა, ცუდსა, მცირესა ტბათაგანსა ტბორე“⁶²².

ტბისა და ზღვის გაიგეება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,

ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა...“⁶²³

თავფარავნის ტბა თავისი სიდიდით გამოირჩევა, იგი „ზღვა არს მომცრო“. სხვა ხალხურ ლექსში ჩვეულებრივ, თავისი სახელით მოიხსენიება ეს ტბა:

„ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია თავფარავნისა ტბაზედა,

მოუკლავს ხარი ირემი საისრე უღევს მკლავზედა“⁶²⁴.

ზღვასაც და ტბასაც ერთდროულად უწოდებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი თავფარავანს: „მოკველი

⁶²¹ ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV₁, IV₂, თბ., 1965-1966.

⁶²² იქვე.

⁶²³ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 29.

⁶²⁴ იქვე, გვ. 30.

ფარნავის ტბას და დავინახე იქ მეთევზენი ტბაში და მწყემსები ზღვის ნაპირზე“⁶²⁵. ამავე მონაკვეთში „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ ტბას ხმარობს.

ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ხოლო „ტბაი“ და „ზღუაი“ ყოვლის მხრივ ხმელეთით გარემოცული წყალია. როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ ჩანს, ძველს ქართულს მწელობაში ტბასაც თურმე ზღვა ეწოდებოდა. მაგ. სათახვე ტბაზე ნათქვამია: „პირი იგი ზღესა მის დასავლით წიაღველეო“-ო; საბა ორბელიანიც ამბობს, „ტბა ზღვა არს მომცრო“-ო. ასეთი მოვლენა მართო ქართულში არ არის, არამედ, ძველს მაგ. აღმოსავლეთის მწერლობაში სპარსულში, სომხურში და სხვათა, ზღვასა და ტბასა ერთიდაიგივე სახელი აქვს“⁶²⁶.

ტბისთვის მთავარია ის, რომ „გარე შემოველების“, სიდიდის მიხედვით იგი მხოლოდ ზღვას ჩამოუვარდება და შეიძლება ზღვაც კი იყოს. სიერცობრივი განზომილება მისი ენას არ დაუკანონებია, ამიტომ მოსალოდნელია დიდი პირობითობა, ე.ი. მოსალოდნელია აღსანიშნი ობიექტის გაიგივება საკმაოდ უხერხული ფართობების მიხედვითაც კი. მართალია, ენაში გვაქვს დიფერენცირებული უძრავი, არა მდინარე წყლის ისეთი შეფარდებითი ცნებები, როგორიც არის ზღვა, ტბა, ტბორი, მაგრამ, ვიმეორებთ, გეოგრაფიული გარემოს მიხედვით შეიძლება მათი ერთმანეთთან გაიგივებაც კი. რამდენადაც შეიძლება ზღვისა და ტბის იგივეობა და შესაძლებელია ტბისა და ტბორის იგივეობა, აქედან გამომდინარე, არის პირობითობა ზღვისა და ტბორის იგივეობისა. მართალია ტოპონიმიაში ვერ ვადასტურებთ ტბორისათვის ზღვის წოდების ფაქტს, მაგრამ დაშვება ამისი შეიძლება. საბას მიხედვით ზღვაზე მომცრო არის ტბა, ხოლო „კუდსა მცირესა ტბათაგანსა ტბორე“ ჰქვია.

ჯავახეთში, სადაც ტბების სიმრავლეა, გამიჯნული მაინც არ არის ტბა და ტბორი. ტბა არის ფარანის ტბაც და ტბად შეიძლება იწოდოს ტერიტორია, რომელშიც დროებით დგება წყალი, ან ნატბეურია, მდგარა წყალი და გამქრალა. გარდა ამისა, ტბორის გაგება ტრადიციული, ნადგომი წყლის მნიშვნელობით საკმაოდ მყარია, თუმცა მას გაჩენილი ჰყავს სემანტიკური მეტოქე გუბე, გუბურა, გუბელა.

⁶²⁵ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. ა. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 80-81.

⁶²⁶ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 12.

ტბას იქ, სადაც, ვთქვათ, მთიან აჭარაში გეოგრაფიული გარემო ნაკლებად ხელშემწყობი აქვს, რელიეფი მთაგორიანია, ვაკე მცირეა, ბევრად უფრო ნაკლები ფართობი უჭირავს, ე.ი. შესაძლებელია წყლის ისეთ ფართობს, რომელსაც ჯავახეთში გუბე შეიძლება ეწოდოს, მთიან აჭარაში ტბა ჰქვია.

ჩირუხის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხარისსაწოლზე არის გასოლიანტბა 100X51 მ² ფართობის ტბა, რომელიც ყველაზე დიდი ტბაა. ასევე იწოდება ჩირუხის მთის სამხრეთ-დასავლეთით, აჭარის აღმართის ტერიტორიაზე შრატინი ტბა, რომლის განზომილებები დაახლოებით იქნება: 40X20 მ². შავწყაროს ტბა კი მხოლოდ 200-იოდე კვადრატული მეტრია.

ტბა, როგორც ჰიდრონიმული ტერმინი მოხსენიებულია სახარების უძველეს ტექსტებში, რომელიც პალიმფსესტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე: „და თავადი დგა კიდესა თანა ტბისასა და მის გენესარეთისასა და იხილნა ორნი ნაენი, მდგომარენი კიდესა თანა ტბისასა“⁶²⁷. ტბის ეს მოხსენიება დაახლოებით შეიძლება IV საუკუნით დათარიღდეს⁶²⁸.

არის აზრი, რომ ტბა მომდინარეობს ტაბასგან, რომელსაც ზუსტი შესატყვისი აქვს ზანურში⁶²⁹.

ტაბა-ს გამოყოფენ ტაბისყურსა და ტაბახმელაში⁶³⁰. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტბა მხოლოდ ტბას არ ნიშნავს: „დამოწმებული ტაბახელა და ტაბაწყური ტოპონიმები მიგვანიშნებენ, რომ „ტაბა“ შესაძლებელია ყოფილიყო მშრალიც და წყლიანიც. თუ ასეა, ტბა//ტაბა გარდა საკუთრივ ტბისა, ადრე იმას არ აღნიშნავდა, რის სახელწოდებაც (წყლის ბუნებრივი რეზერვუარი) დღეს არის. ამას ტოპონიმებიც გვიდასტურებენ: ტბა//ტაბა გარდა საკუთრივ ტბისა, სათიბის, სოფლის, ტყის ველის ადგილას ადრე აუცილებლად ტბა ვიგულებოთ. ტაბ ნეიტრალური უნდა ყოფილიყო ამ თვასაზრისით. იგი ფაქტიურად „რელიეფის უარყოფით ფორმას“ აღნიშნავდა და იმის მიხედვით მშრალი იყო თუ წყლით ამოვსებული, ფორმდებოდა შესაბამისად, როგორც ტაბახმელა/

⁶²⁷ А. Шанидзе, К этимологии название "Тобада" енимкис моамбе, - I, თბ., 1937. გვ. 80.

⁶²⁸ იქვე.

⁶²⁹ იქვე, გვ. 81.

⁶³⁰ იქვე.

ტაბახმელა/ან ტაბაწყური. ეს ფუძეთა შეერთებით მიღებული სახელებია⁶³¹.

მოყვანილი მსჯელობა დაფუძნებულია იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ტაბახმელა, როგორც სოფლის სახელი და „ხმელა“ კომპონენტის შემცველი, უწყლოა, ხოლო მეორეგან ტაბაწყური „წყურ“ კომპონენტთანად არის წარმოდგენილი, ე.ი. წყლიანია. ამ გზით ძნელია ვამტკიცოთ ტაბ-ის „ნეიტრალურობა“, რადგან ტაბახმელაში ტაბა-ს გამოყოფას აზრი არა აქვს თუ ის ტბის, წყლიანის გაგებას არ შეიცავს, რადგან ხმელი ტაბ თავისთავად წყალდამშრალია და არა „რელიეფის უარყოფითი ფორმა“. ასევე ტაბაწყურში წყურის ცალკე გამოყოფა თანამედროვე მიდგომაა მხოლოდ ამ სახელისადმი. ტაბაწყურს სახელი გარკვეული გადააზრების შედეგად ახლახან შეერქვა. მას ერქვა ტაბისწყური და სიტყვასიტყვით ტბის ყურეში მდებარე სოფელს გულისხმობს⁶³². თანაც, თუ ჩვენ ტაბაში ტბას გამოვიცხავთ, მის წყლიანობას, აზრი არ ექნება საბასეულ განმარტებებს.

ტბების შრობის პროცესი დღესაც ცოცხალი მოქმედი პროცესია ჯავახეთში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ხანჩალის ტბას, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს ტბას წარმოადგენდა (იხ. რუკები). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამ ტბის ფართობი 1240 ჰექტარი იყო. დღეისათვის ტბას უწოდებენ ყოფილი ტბის იმ ნაწილს, რომელიც სათიბია მხოლოდ. ამომშრალი ტბის მხოლოდ მცირე მონაკვეთს შერჩენია წყალი.

ხანჩალის ტბის სამხრეთ რუსის გზის მარცხენა ნაპირზე არის ჭაობი, ტბის ნასახი აღარ არის, მაგრამ მაინც წყვილი ტაბა (ჯუხთ გელ) ჰქვია.

აკ. შანიძის გარდა ტაბ-ტობ-ტბ ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა და ტაბ უძველეს ფორმად მიიჩნია ს. ჯანაშიამ: „მართლაც უეჭველია, რომ ქართ. „ტაბ“-ს ადრინდელი ფორმა „ტაბა“-ა. ამას მოწმობს ამ ფუძის შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში“⁶³³.

„ტაბა-ხმელა“, სამს სხვადასხვა ადგილას ნიშნავს „ამომშრალ ტაბ“-ს; „ტაბაწყური“ ანუ „ტაბისწყური“ ეწოდება დიდ ტბას

⁶³¹ ბ. ჯორბენაძე, ტბ//ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 79, № 2, თბ., 1975. გვ. 507.

⁶³² А. Шанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

⁶³³ ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 66.

თრიალეთში... „ტაბაყურა“ ეწოდება ერთ ტბას დასავლეთ საქართველოში⁶³⁴.

„ტაბ“-ს შეესატყვისება მეგრულში „ტობა“⁶³⁵. არნ. ჩიქობავამ ახსნა ტბა-ს ბოლოკიდური -ა სუფიქსად: „თუ ტბა კავშირშია ტაბა-სთან და ეს კი სარწმუნოა, ბოლოკიდური -ა სუფიქსი იქნება: ის იწვევს ტაბ ფუძის შეკუმშვას.

ტობა ამ ფუძის ზანური შესატყვისია⁶³⁶.

ტბ-, ტაბ-, ტობ ფუძეთა ერთმანეთთან დაკავშირება ძირითადად დამყარებულია ტაბ-ის ტაბახმელასა და ტაბისყურში გამოყოფაზე. წერილობით ძეგლებში ყველაზე ადრე დამოწმებულია ტბ-ფუძიანი სახელი, როგორც საზოგადო სახელის დონეზე, ისე ტოპონიმიში.

ქართულ პალიმფსესტებში მოხსენებული ტბა ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს მიეკუთვნება და სახარების ერთ-ერთი პირველი თარგმანით არის წარმოდგენილი⁶³⁷.

VIII-IX საუკუნეებში უკვე ფაქტია ადგილის სახელად ტბა („გრიგოლ ზანძელის ცხოვრება“), სადაც გაშენებული ყოფილა მონასტერი, ე. ი. მონასტერს ჰქვია ტბა, „რაც ტბეთს უდრის“⁶³⁸. „ამოტ კუხმა (გარდ. 918 წ.) ტბეთი გახადა საეპისკოპოსო კათედრად, მაშასადამე, ესეც იმის საბუთია, რომ მონასტერი იქ მანამდეც ყოფილა“⁶³⁹. ბევრი ტბელია ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ტბეთი შავშეთში მდებარეობდა.

ტბ- ტაბ-ის მიმართების საკითხში და ტაბ-ის არქაულ ფორმად აღიარებისას წინააღმდეგობას ქმნის ერთი გარემოება. ტაბ- შემორჩენილი გვაქვს ორად-ორ სახელში – ტაბისყური და ტაბახმელა. თუ ამ ორ ტოპონიმურ სახელს კომპოზიტად მივიჩნევთ და ტაბ ტობ – შეფარდებას მივიღებთ, მაშინ ტაბ- საერთო ქართულ-ზანური ფორმა მაინც არის. ე. ი. ტაბ ტბ- ერთი მხრივ, და ტაბ ტობ- მეორე მხრივ, ე.ი. ქართულ-ზანურ შესატყვისობათა დონეზე ყველაფერი ნათელია. მაშინ, რატომ არის, რომ ტაბ გაფორმდა – ის ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და ყური კომპონენტი ჩვეულებრივი ქართული ყურია, მაშინ, როდესაც უნდა გექონოდა რაღაც საშუალო ყურსა და ყუჯს შორის. იმავეს თქმა შეიძლება

⁶³⁴ იქვე.

⁶³⁵ იქვე, გვ. 72.

⁶³⁶ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულ ენებში, თბ., 1942, გვ. 14.

⁶³⁷ А. Шанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

⁶³⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1965, გვ. 83.

⁶³⁹ იქვე.

ტაბახმელასთან დაკავშირებით. აქაც ხმელა მხოლოდ ქართული ვარიანტია და არა ხმელის არქეტიპი, ან მეგრული ხომ-ულ-ა მინც. აქედან გამომდინარე, ხომ არ არის ტაბა მეორეული ფორმა და უძველესი ტბ- ფუძე? თუ ეს ასეა, წერილობითი ძეგლების ჩვენება, რომ IV-X საუკუნეებში მოიხსენიება ტბა და არა ტაბ-გადამწვევტი უნდა იყოს, ტბ-დან ტაბ-ის მიღების გზა ახსნილი აქვთ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს:

ტბ: ტობა: ტომბ შეფარდებაში შემაგალი ფორმებისათვის ამოსავალია *ტბა, სადაც მოხდა თაკიდურ პოზიციაში ტბ აქცესიური კომპლექსის სუპერაცია „არა ფონემატიკური ღირებულების ვოკალური ელემენტების საშუალებით“⁶⁴⁰.

აქცესიურ კომპლექსში წარმოქმნილი „ვიკალური ელემენტი“ იგივე ანაპტიქსური ხმოვანია, რომლის „ტემბრი ზანურ დიალექტში მერყეობს ვიწრო ი/უ ო ხმოვნებს შორის“⁶⁴¹.

აქცესიური კომპლექსის სუპერაციის გზა თანხმოვანთგასაყარის საშუალებით ქართულისათვის დამახასიათებელია⁶⁴².

ამგვარად, ტბ- ფორმის ეტიმოლოგია შემდეგ სახეს ღებულობს: *ტბ>*ტ⁰ბ>ტობა⁶⁴³. ხოლო ჩვენთვის საინტერესო ტაბახმელასა და ტაბისყურის შესახებ ნათქვამია:

„(ტ⁰ბა') ფორმის სწორედ ამ რედუცირებულ ვოკალურ ელემენტს ემყარება ტაბა- ფორმა სრული წარმოების ა ხმოვნით ბოლოკიდური ა-ს გავლენით, წარმოდგენილ ტოპონიმურ სახელწოდებებში ტაბახმელა, ტაბისყური. ასეთი მკაფიო გამოთქმა იმის ძირითადი მიზეზი, რომ ამ ტიპის კომპლექსები საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად შემოინახეს აღმოსავლურ-ქართულმა დიალექტებმა და სალიტერატურო ენამ“⁶⁴⁴.

ტაბ- ფორმა არა მარტო აღმოსავლურ-ქართულისთვის არის დამახასიათებელი, რადგან ტაბახმელა სამია საქართველოში (ა. შანიძე) და ერთი მათგანი აჭარაშია სოფლის სახელად. ასევე, გარდა თრიალეთის ტაბისყურისა, ცნობილია ტაბაყურა, ტბა დასავლეთ საქართველოში (ს. ჯანაშია). ე.ი. ტაბ- გვხვდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

⁶⁴⁰ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965,

გვ. 114.

⁶⁴¹ იქვე, გვ. 115.

⁶⁴² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 335.

⁶⁴³ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გვ. 115.

⁶⁴⁴ იქვე.

თავისთავად, როგორი გზითაც არ უნდა იყოს მიღებული ტბ კომპლექსის გამთიშველი ვოკალური ვარიანტი ი/უ/ო და ა, იმდენად ძველია, რომ წერილობით ტრადიციას წინ უსწრებს. ეს კი ტბა ფორმის ფიქსირების პრიორიტეტს, ერთი მხრივ, აყენებს ეჭვკვეთს, მეორე მხრივ, შეიძლება ახსნის გასაღებიც იყოს. კერძოდ, ქართულში ლიტერატურული ფორმა ტბა ლიტყერატურული ენის ფარგლებში მიღებული ფორმაა, ხოლო ტაბ ან *ტბ მისი დიალექტური, ხალხური ვარიანტი. ამიტომაც ლიტერატურულად ფიქსირებულია ერთი, ხოლო მეორე შემოგვინახა ტოპონიმში.

ტბ: ტაბ ბოლომდე ახლო წარსულშიც კი არ ჩანს გარჩეული. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ტაბისყურს მხოლოდ ტბისყურს უწოდებს(იხ.), ხოლო ტაბახმელა თამარის რეზიდენცია იყო⁶⁴⁵. აქედან გამომდინარე ტაბ-: ტბ- ხმოვან-უხმოვნო ვარიანტი გვერდი-გვერდ არსებობს ისტორიის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე.

შავშეთსა და კოლას შორის არტაანის ტერიტორიაზე დადასტურებულია ტოპონიმი ტებათი (სოფ. ზემოტებათი და სოფ. პატარა ტებათი)⁶⁴⁶.

ტებათი ყველაზე ადრე დაფიქსირებულია XVI საუკუნეში. სოფლის სახელს აქვს Тѣбат- Тибат- და Тобат- ვარიანტები⁶⁴⁷. ხოლო დებად თურქიზებული ფორმა⁶⁴⁸. ს. ჯიქია იძლევა პირობით ეტიმოლოგიას სიტყვისას: დებად ← ტებათი ← ტბეთი⁶⁴⁹.

ამგვარად, სამხრეთ საქართველოში ადგილის სახელად გვხვდება ტბისყური, ტობა, ტბეთი. ტბისყური ისტორიული თრიალეთის ტბაა, მაგრამ თრიალეთი არა იშვიათად იგულისხმებოდა ადმინისტრაციულად ჯავახეთში. იგი ტოპონიმიურად „მესხური“ რეგიონია. ტობა სამცხის ტოპონიმია. ნასოფლარი ტობა ახალციხის რაიონის სოფ. მინაძესთან მდებარეობს. იგი მე-20 საუკუნეში გაუკაცრიელდა. ტობელები წყორძას გადავიდნენ. ტბეთი ისტორიული პროვინციის – შავშეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა დღევანდელი თურქეთის ფარგლებში. ხოლო ტებათი მდებარეობდა

⁶⁴⁵ ისტორიანი და აზმანი შარაევანდელთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 73.

⁶⁴⁶ ს. ჯიქია, გუჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 507.

⁶⁴⁷ იქვე.

⁶⁴⁸ ს. ჯიქია, დასახ ნაშრომი.

⁶⁴⁹ თ. გამყრელიძე, გ. მაჭაყარიანი, დასახ. ნაშრომი.

შეშეთსა და კოლას შორის. ყველა შემთ ჩამოთვლილი სახელი ისტორიული მესხეთის ფარგლებშია.

ტერიტორიული განაწილების მიხედვით „ქართული“ ვარიანტი ტბა მოქცეულია ყველაზე „ზანურ“ არელაში, შუაგულ სამცხეშია ტობა, ამ ორ ფორმას მხარში უდგას ტაბ- და ტებ- ვარიანტები.

შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა ეს სახელი ერთ ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი.

§ 6. თავფარავანი

კარგა ხანია შენიშნულია, რომ ჯავახეთის ტბათა უმრავლესობას სახელი მათ ნაპირზე მდებარე სოფელთა მიხედვით აქვთ შერქმეული. „ტბის სახელად თითქოს სოფლის სახელი გამოიყენება: სოფ. ფარავანი→ფარავნის ტბა... სოფ. ტაბისყური → ტაბისყურის ტბა... სოფ. სალამო და სალამოს ტბა. ამავე ტბაზე სოფ. ღუმა და ღუმის ტბა“⁶⁵⁰.

ზოგიერთი ტბა სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. უფრო სწორად, სხვადასხვა სოფლის სახელი დაერქმევა ხოლმე. ვახუშტი წერს: „ჯავახეთის მტკურის სამკრით, მალა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა, დიდი და აღესილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“⁶⁵¹. ასევე კარწახის ტბად არის შეტანილი ს. ჯიქიას „დავთარზე“ თანდართულ რუკაზე, ხოლო აღ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ რუკაზე და ძველ რუსულ რუკებზე არის ზოზაპინის ტბა, ამავე ტბას ე. თაყაიშვილი უწოდებს ქარნაბელისას (←კარნაბელი)⁶⁵². კარწახი, ქარნაბელი, ზოზაპინი ტბის გარშემო სოფლებია.

ინტერესს მოკლებული არ არის თანამედროვე, ცოცხალი პროცესი. სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არის მადათაფის ტბა. ეს არის ოფიციალური სახელი ტბისა. ტბის გარშემო დღეს დუხობორთა სოფლებია: ეფრემოვკა და კალინინა. ეს უკანასკნელი სახელი სოფელს 1935-36 წლებში დაერქვა ტროიციკოს. კალინინა უფრო ოფიციალური სახელია სოფლისა, მოსახლეობა კვლავ ძველ სახელს უწოდებს. კალინინელები უწოდებენ ეფრემოვკის ტბას (Ефремовское озеро), ხოლო ეფრემოვკელები-ტროიციკოს

⁶⁵⁰ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნ. III, 1958, გვ. 341.

⁶⁵¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.669

⁶⁵² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

ტბას (Троицкое озеро). ტბას რაიმე სამეურნეო დანიშნულება აღარ გააჩნია, იგი თითქმის ჭაობად არის უკვე ქცეული. აღ. ჯავახიშვილის რუკაზე ამ ტბას გოლის ტბა ჰქვია. ეს თურქულის გავლენა უნდა იყოს. გწი (ტბა), აქედან-გოლის ტბა.

ჯავახეთის უდიდეს ტბათაგან უმრავლესობას სახელი მიღებული აქვს მის ნაპირზე ან სიახლოვეს მდებარე დასახლებული პუნქტების მიხედვით, როგორც უკვე ითქვა. რა განაპირობებს ჰიდრონიმთა ასეთ მიმართებას ოიკონიმებისადმი? ენობრივი, გეოგრაფიული, სოციალური თუ სხვა რამ ფაქტორი? ფარავნის ტბის გარშემო არის რამდენიმე სოფელი: ფოკა, ელადიმირსკოე, (პუპლიკანი), ასპანა, ტამბოკა, როდიონოვკა (თავფარავანი). არც ერთი ამ სიფელთაგანის სახელი, გარდა თავფარავანისა, არ ქცეულა საერთო სახელად.

რა მიმართება არსებობს ჰიდრონიმ ტბასა და ოიკონიმებს შორის. რომლის სახელი ეწოდა რომელს?

ფარავნის ტბა თავისი ფონეტიკური ვარიანტებით არა ერთხელ იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში. უპირველესად ლეონტი მროველთან: „ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“⁶⁵³. „ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე“⁶⁵⁴. ვარიანტებში არის: ფარავნიტგან, ფანვარიდან, ფანამრამდე, ფანავრამდენ⁶⁵⁵.

ლეონტი მროველი ძირითად ტექსტშიც კი გვაძლევს განსხვავებულ ვარიანტს: „მისცა ფანვარიტგან ვიდრე არსიანთამდინ“⁶⁵⁶ ... „ტასისკარამდე და ფანვარადმდე“⁶⁵⁷. „ტბასა დიდსა გარდამდენარესა, რომელსა ჰქვია ფარავნა“⁶⁵⁸.

ჯუანშერი ხმარობს ფარავანს: „ფარავნიტგან და ტასისკარიტგან ვიდრე ზღუამდე სპერიისა“⁶⁵⁹. სქოლიოში მითითებულია ვარიანტები: ფარვანიტგან, ფანავარიტგან, ფანვარიდან.

„ფანვარს ააშენა სოფელი მახაროვანი“⁶⁶⁰. „მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა“...⁶⁶¹.

⁶⁵³ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, 1955, გვ. 10.

⁶⁵⁴ იქვე.

⁶⁵⁵ იქვე.

⁶⁵⁶ ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁶⁵⁷ იქვე.

⁶⁵⁸ იქვე, გვ. 85.

⁶⁵⁹ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 205.

„... და მიერ არბევდიდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავნამდე“⁶⁶².
 „გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმანისი“⁶⁶³.
 ვახუშტი „აღწერის“ დროს ხმარობს ფარავანს:
 „... მთა ბარძიმისა და ფარავანის გამჭრელი ხაზი ბოლოლის
 მთამდე“⁶⁶⁴. ასევე გვიანდელი, „შაჰაბაზის“ ამბების გადმოცემისას:
 „ამისთვის წარმოუგზავნა შაჰაბაზ სპანი და მოეწივნენ ბარათას
 ფარავანსა ზელა“⁶⁶⁵. დანარჩენ შემთხვევაში ყველგან ფანავარს:
 „ბოცის მთამდე და ფანავარამდე“⁶⁶⁶. „ლიხის მთამდე და ფანავ-
 რამდე თრიალეთი“⁶⁶⁷. „მტკერის აღმოსავლეთით „ფანავარამდე“⁶⁶⁸.
 „გაჩინანს ზეითი ფანავარამდე“⁶⁶⁹. „მტკურის აღმოსავლეთი „ფანავ-
 რამდე“⁶⁷⁰. „მოვიდა ჯავახეთს ტბასა ფანავარსა“⁶⁷¹. „ტბის პირსა
 ფანავრისასა“⁶⁷². „მივიდა და დადგა ფანავარსა“⁶⁷³. „ტაშისკარს
 ზეითი ტბისყურ-ფანავრისამდე“⁶⁷⁴. „კუალად გიორგი მეფე შიეყრა
 ყუარყუარე ათაბაგმან ფანავარსა“⁶⁷⁵. „საშუალ ფანავრისა და
 ტბის-ყურისა“⁶⁷⁶. „ეს ჯავახეთის მტკუარი გამოსდის ფანავრის
 ტბას“⁶⁷⁷ და სხვ.

⁶⁶⁰ მატინე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 290.

⁶⁶¹ სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 376.

⁶⁶² ჟამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, III, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 265.

⁶⁶³ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 346.

⁶⁶⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

⁶⁶⁵ იქვე, გვ. 428.

⁶⁶⁶ იქვე, გვ. 350.

⁶⁶⁷ იქვე, გვ. 50.

⁶⁶⁸ იქვე.

⁶⁶⁹ იქვე, გვ. 57.

⁶⁷⁰ იქვე.

⁶⁷¹ იქვე, გვ. 76.

⁶⁷² იქვე, გვ. 48.

⁶⁷³ იქვე, გვ. 286.

⁶⁷⁴ იქვე, გვ. 292.

⁶⁷⁵ იქვე, გვ. 299.

⁶⁷⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

⁶⁷⁷ იქვე, გვ. 669.

როგორც ჩანს, ვახუშტი უპირატესობას ფანავარს ანიჭებს. ქართულ ისტორიულ წყაროებში ფარავანი ყველგან ტბად იხსენიება. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ხმარობს „ფარნავის“ ფორმას და ზღვას უწოდებს მას: „მოველი ფარნავის ტბას და ღაინახე იქ მეთევზენი ტბაში და მწყემსები ზღვის ნაპირზე“⁶⁷⁸. ზღვად არის მოხსენიებული ერთ ხალხურ ლექსში:

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა

ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა...

ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა“⁶⁷⁹.

სოფლისა და ტბის სახელთა მიმართების საკითხს დაწვრილებით მიმოიხილავს ს. ჯიქია: „ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო „ფარავანი“, რომელიც ჩვენ შემონახული გვაქვას ამ ტბისავე ძალიან გავრცელებულ სახელში თავფარავან“⁶⁸⁰. „თავფარავანი უნდა მოდიოდეს“ „ტბა-ფარავან“ ან „ტაბა-ფარავან“ შესატყვი-სობისაგან... ოღონდ, მართალია ი. როსტომაშვილი, რომელიც ამბობს, რომ называлось оно (озеро) так по имени села Парвана. აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ ჯერ დასახლებული პუნქტის სახელი ჩნდება და მერე ეს სახელი შეერქმევა ხოლმე ტბას. ტაბა-ფარავანი სიტყვა შემდეგში „გაცვდა“, შეიკუმშა...

ტაბა-ფარავანი → ტაფარავანი → თავფარავანი. ან არადა, უფრო შესაძლებელია, რომ „თავფარავანი“ ტაბა-ფარავანი-საგან იყოს მიღებული“⁶⁸¹.

„ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე გააზრებულად წარმოგვიდგება თავფარავნის მეორე ვარიანტი... ამ შემთხვევაშიც „თავფარავნელი გააზრებულია თავფარავნელად“⁶⁸². ს. ჯიქია უარყოფს ლ. მელიქსეთბეგის აზრს ტბის თავში სოფლის არსებობის შესახებ, რადგან „ფარავანი სწორედ ტბის თავზე არ არის“.

ფარავნის ტბა, როგორც უკვე ითქვა, თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობდა. მიუხედავად ამისა, ტბა თავისი ფართობისა და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქმნიდა საკუთრივ ფარავნის რაიონს. „როგორც ფოკანი (თუ ფოკა), ისე სხვა სოფლებიც ფარავნის ტბის პირზე (ასფარა, მახაროანი, თავფარავანი...)

⁶⁷⁸ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით. გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 80.

⁶⁷⁹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 29-30.

⁶⁸⁰ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

⁶⁸¹ იქვე, გვ. 345-386.

⁶⁸² იქვე, გვ. 347.

ძველი წყაროების მიხედვით ცალკე, ჯავახეთასაგან გამოყოფილ რაიონს წარმოადგენენ-ფანავრას რაიონს. ეს ვერე ესმის მელქისედეკ ქართლის კათალიკოზს XI ს-ში. ასევე ესმის ეს მცხეთის საკათალიკოზო სოფლების სიის შემდგენელსაც XV ს-ში⁶⁸³.

ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. დ. ბერძენი-შვილმა და მიკროქვეყნების ასეთ წარმოქმნას ჯავახეთში გეოგრაფიული საფუძველი დაუდო: „გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს... ამიტომ აქ მცირე ქვეყნები „ხევობით“ არ გამოიყოფა. სამაგიეროდ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთაგორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე, ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკრო ქვეყნებს. ძირითადი ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება“⁶⁸⁴.

ასეთ მიკრო ქვეყნებს ჯავახეთში გარდა ფარავნისა ქმნიდნენ სალამოს ტბა, ორლოვკის, ბულდაშენის, მადათაფის, ხანჩალის ტბები⁶⁸⁵.

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია მთავარი აზრი, რომელსაც ადგას თითქმის ყველა მითითებული მეცნიერი, რომ დასახლებული პუნქტის სახელი ვრცელდება ტბაზე და არა პირიქით. ფარავნის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ცოტა სხვაგვარად უნდა გვექონდეს საქმე.


მოყვანილი ვრცელი ამონაწერიდან და წყაროთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ტბას და სოფელს ძირითადად ერქვა შემდეგი სახელები: ფარავანი (ვარიანტებით), თაფარავანი და თაუფარავანი. წყაროთა ჩვენებით უძველესია ფარავანი (ვარიანტებით), ე. ი. იმ დროს, როდესაც ფარავნის ტბაზე ლაპარაკობდნენ ქართლის ცხოვრების მემატიანეები, რომ ყოფილიყო ტბა-ფარავანი, გვექნებოდა ტბა ტაბ-ფარავანი, ხოლო რომ ყოფილიყო ტბა ფარავანი ტბის სახელად, საჭირო იყო ჰიდრონიმული ტერმინის დართვა კვლავ ტაბ ტაბ-ფარავანი, შდრ, ტბა ტაბისყური, რაც აგრეთვე არა გვაქვს. ამიტომ გვრჩება ერთი გზა, რომ ტბის სახელი იყო ფარავანი, საიდანაც მიიღო სოფელმა სახელი—თაუფარავანი (→თაფარავანი) და შემდეგ დაუბრუნდა სოფლის სახელი ტბას. თავის

⁶⁸³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 99.

⁶⁸⁴ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 83.

⁶⁸⁵ დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84.

მხრივ, ფარავნის ტბიდან გამოზღინარე წყალს ეწოდა თაფარავნის (თაფარავნის წყალი), ისტორიული ჯავახეთის მტკვარი.



წინააღმდეგობას ქმნის, ერთი შეხედვით, ის აზრი, რომ „ფარავანი სწორედ ტბის თავზე არ არის“. ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „თაფარავნელი ჭაბუკის“ ჩვენებას თავთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უეჭველად სოფელი იგულისხმება, რადგან ბალადის შექმნის ადგილი ლოკალურია და ტბის პირას ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს მდებარე სოფლები თაფარავანი და ასპანა იგულისხმება. როგორც ჩანს, ფარავანი და თაფარავანი პარალელურადაც იხმერებოდა სოფლის სახელად, როგორც შემდეგ ტბის სახელად. თავი ამ შემთხვევაში, ცენტრს, მეთაურ სოფელს უნდა გულისხმობდეს „ფარავნის ქვეყნისას“.

სოფელი ტბის გარშემო მდებარე სოფელთაგან გამოირჩევა ისტორიულ ძეგლთა სიმრავლით. ჩვენამდე შემორჩა ორი ეკლესია, ხოლო სოფლის ტერიტორიაზე არსებული ქარვასლის პერანგშემოცლილი კედლები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯავახეთიდან თრიალეთ-ქართლის მიმავალი გზაც თაფარავანზე გადიოდა.

მნიშვნელოვანია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ჩვენება: ფარავნის ტბის გარშემო სოფლები ნასოფლარებად არის მითითებული 1595 წელს ე. ი. იქ მოსახლეობა აღარ არის, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებს მაინც აღუწერიათ და დაუბეგრიათ. სოფლები ჩანს, არც ისე დიდი ხნის გაუკაცრიელებულია და თავფარავნის (ფარავნის) პრიორიტეტი, მისი თავობა, ცენტრობა კვლავ იგრძნობა. მთავარ ორიენტირად ეს სოფელია გამოყენებული:

„54. სოფ. ფოკა-სოფელი ფარვანასთან...“

„56. სოფ. შაორი-სოფელ ფარვანასთან...“

„57. სოფ. მახარო- სოფელ ფარვანასთან...“

„58. სოფ. ასფარა-ფარავნის ტბასთან...“⁶⁸⁶.

კიდევ ერთი გარემოება: გარდა ფარავნის ტბისა, ყველა სხვა ტბის გადასახადი თევზზე „ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს“ (ე. ი. აკუმპირის რაიონს ახალქალაქის ლივაში, ასეთებია: „ცუშური საღამოს ტბის თევზისა“, „გამოსალები ისკუნდრიეს ტბის თევზზე“ და „გამოსალები ხანჩერის ტბის თევზზე“⁶⁸⁷. ზოლო სოფელ ფარვანაზე ნათქვამია: „სოფელი ფარვანა-ფარვანის ტბის თევზის ცუშური თურთ“⁶⁸⁸.

ამრიგად, ფარავნის თავობა, ვფიქრობთ, შესაძლებელი ჩანს ამ მიკრო ქვეყანაში.

ამიტომ თავ-ში მითოლოგიური საფუძვლის ძებნა არ უნდა იყოს გამართლებული. თავფარავანი უეჭველად ადგილის სახელია, საწინააღმდეგოდ აზრისა, რომ „შეიძლება სიტყვა „თავფარავნელში“ სახელი გვკონდეს მოცემული, ზოლო „თავი“ წარმოადგენდეს უძველესი მითოსის ნიშანს“⁶⁸⁹ და რომ „სიტყვა „თავფარავნელშიც“ ასეთსავე მომენტთან გვკონდეს საქმე, რომ ჭაბუკის თავი ყოფილიყოს გადაქცეული საკრალურ მოვლენად“⁶⁹⁰.

თავ კომპონენტიანი სახელები მესხეთის ტოპონიმიში გვხვდება. თავკალო (სოფ. კოთელია, ნაკალოარი), თავიჭალები (მინდორი, სოფ. ერკოტა), თავჯვარი (სოფ. ჭობარეთი, ნასოფლარი), ყველა შემთხვევაში თავ-სიტყვას ადგილობრივთათვის გამორჩეულის, მეთაურის მნიშვნელობა აქვს.

⁶⁸⁶ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნ. II, თბ., 1941, გვ. 234-235.

⁶⁸⁷ იქვე, გვ. 235.

⁶⁸⁸ იქვე, გვ. 234.

⁶⁸⁹ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

⁶⁹⁰ იქვე, გვ. 335.

§ 7. მეთევზეობა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმია

მესხეთის მოსახლეობა ოდითგანვე მისდევდა თევზის ჭერას, მეთევზეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა მდიდარი ბუნებრივი პირობები. ჯავახეთის ტბები, სამცხის წყალუხვი მდინარეები და შავშეთ-კლარჯეთის ხევ-ღელეები შესანიშნავ გარემოს ქმნიდა მეთევზეობის განვითარებისათვის. გიორგი მერჩულე კლარჯეთის შესახებ წერდა: „ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანამ უდაბნოთამ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიალი სიცხე შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცვიე შეაურევებს მყოფთა მისთა... ხოლო წყალი კეთილი და შემამ ნებისმიერ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქუმათა მათ შინა, ურიცხუ მღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთამ... და მორტყმულ არს ერთ კერძო მთამ და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვამ გარე მოადგეს ზღუდის სახედ უძრავისა“⁶⁹¹.

კლარჯეთის ბუნების აღწერა შეიძლება განვაზოგადოთ მთელ ისტორიულ მესხეთზე, „რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს“ სამხრეთის ყველა პროვინცია.

„არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურებზე მდგომ ადამიანთა ნამოსახლარები სწორედ მდინარეთა ნაპირებზე იყო განლაგებული, რაც თავის მხრივ განაპირობებდა მეთევზეობისა და თევზსაჭერი იარაღების შემდგომ განვითარებას“⁶⁹². უკვე ქვის ხანის ადამიანისათვის თევზი იქცა არსებობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად: „ცნობილია, რომ მოსახლეობის ზრდამ, სამონადირეო ტექნიკის სრულყოფამ და შესაბამისად სამონადირეო ფაუნისა და ტერიტორიის შემცირებამ ძველი ქვის ხანის დასასრულს მოსახლეობა წყლისპირს მიაჯაჭვა...“

⁶⁹¹ გიორგი მერჩულე, შრომამ და მოღუაწებამ ღირსად ცხორებისამ, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, (V-X საუკუნეების მასალები), გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1949, გვ. 260.

⁶⁹² ქ. მირიანაშვილი, თევზჭერის იარაღების შესწავლისათვის (ანკესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVIII, თბ., 1975, გვ. 97.

აქვე ფაუნა სულ უფრო და უფრო დიდ როლს იკავებს ადამიანის რაციონში⁶⁹³.

მესხეთის მდინარეები და ტბები ღრმა ხეობებში მდებარეობდა, ამიტომ მათი სარწყავად გამოყენება ძალიან გვიან ხდება. საქართველოში უძველესი მიწათმოქმედება ურწყავი იყო. ხელოვნურ მორწყვას არც ადრებრინჯაოს ხანაში იყენებდნენ⁶⁹⁴, ამიტომ „ადამიანი ძველად ჩვენში მდინარესა და ტბას მხოლოდ სათევზაოდ ეტანებოდა. მეთევზეობის დიდ როლზე მეტყველებს აგრეთვე ამ ხანაში სამხრეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ქვის ვეშაპები და არქეოლოგიური მონაცემებიც“⁶⁹⁵.

წმინდა ნინო „მოიწია მათათა ჯავახეთისათა, სადა-იგი მიემთხუა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ჰქვიან ფარვანა“⁶⁹⁶, „და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა მას შინა მონადირეთასა“⁶⁹⁷. როგორც ნინოს ცხოვრებიდან ჩანს, მეთევზეობა, „მეთევზურობა“, ჯავახეთის ტბებზე ადრევე ისეთივე მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილა, როგორიც მწყემსობა: „მწყემსნიცა იყვნეს მასვე ადგილსა და ხუმიღვიდეს სახუმიღავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა ზედა“⁶⁹⁸.

XVI საუკუნეში ტბებისა და მდინარეების სიახლოვეს მცხოვრები მესხები დაბეგრნილი იყვნენ და სპეციალურ გადასახადს უხდიდნენ ოსმალეთს თევზზე.

იბეგრებოდა, როგორც მდინარის მონაკვეთი, ასევე თევზის ჭერაში განსაკუთრებით დაწინაურებული რომელიმე სოფელი. მაგალითად: „ყუშური მდინარე მტკვარზე“ დაჭერილი თევზისა — სოფელ ნიალის საზღვრიდან სოფელ ტობას საზღვრამდე, სოფელ რუსთავის საზღვრის გამორიცხვით“⁶⁹⁹.

ნიალიდან ტობამდე არის მტკვრის ის მონაკვეთი, რომელიც ასპინძის მაშინდელ რაიონებში შედის და რადგან, როგორც ჩანს,

⁶⁹³ ზ. კუტალიევილი, *მეთევზეობა დასავლეთ საქართველოში*, თსუ შრომები, ტ. 227, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1982, გვ. 197.

⁶⁹⁴ ი. კიკვიძე, *მორწყვა ძველ საქართველოში*, თბ., 1963, გვ.25.

⁶⁹⁵ ზ. კუტალიევილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 197.

⁶⁹⁶ ლეონტი მროველი, *ნინოს მიერ ქართლის მოქცევა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1, თბ., 1955, გვ. 85.

⁶⁹⁷ იქვე.

⁶⁹⁸ იქვე.

⁶⁹⁹ ს. ჯიქია, *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 148.

რუსთავი დაწინაურებულია თევზის ჭერაში, მას ცალკე გადასახადიც აქვს შეწერილი და ეს განსაკუთრებით არის გახაზული: „სოფელი რუსთავი – თევზის ჭერისათვის ამავე სოფელში დაღებული გამოსაღებიურთ (ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს)“⁷⁰⁰.

ასევე ცენტრალიზებული წესით იბეგრებოდა ჯავახეთის ტბები თევზზე:

„ყუშური საღამოს ტბის თევზისა“; გამოსაღები „ისკუნდრიეს ტბის თევზზე“; გამოსაღები „ხანჩერიეს ტბის თევზზე“, ყველა „ექვემდებარება ზემოხსენებულ“ (აქშეპირის რაიონს ახალქალაქის ლივამი)⁷⁰¹. ხოლო ფარვანა, როგორც ფარვანის ტბის პირას მდებარე სოფელი დაბეგრილია ცალკე „ფარვანის ტბის თევზის ცუშურიურთ“⁷⁰².

არის აზრი, რომ „მეთევზეობას საქართველოში არც ერთი კუთხის (გარდა ზღვისპირა ლაზეთისა) სამეურნეო ყოფაში წამყვანი ადგილი არასდროს არ სჭერია, მეთევზეობის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც ადასტურებს თევზსაჭერ ხერხთა და საშუალებათა სიძველე და მათი მრავალფეროვნება“⁷⁰³.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაუთრის“ მონაცემები ადასტურებს, რომ მეთევზეობა მესხეთში მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ამიტომაც არის „მეთევზეობის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე“. მესხეთის დაწინაურება მეთევზეობაში მრავალმა ფაქტორმა განაპირობა.

ვახუშტი, როდესაც ზემო ქართლს ანუ მესხეთს ზოგადად მიმოიხილავს, წერს: „მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი, წყარონი ტკბილონი, მშუენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წურილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე ტბათა ამათ შინა, არცა კირჩხიბი“⁷⁰⁴.

ცალკეული მდინარისა და ტბის აღწერის დროს ვახუშტი აღნიშნავს მასში თევზის სხვადასხვა სახეობის არსებობა-არარსებობას. მაგალითად მტკვრის შესახებ წერს: „და არსცა თევზთა სიმრავლე მას შინა, და მთის კერძოდ უფროს კალმახნი დიდნი და

⁷⁰⁰ იქვე, გვ. 141.

⁷⁰¹ იქვე, გვ. 235.

⁷⁰² იქვე, გვ. 234.

⁷⁰³ ქ. მირიანაშვილი, *მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში* (თევზის ჭერა ოჩხეს საშუალებით), „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XXI, მეცნიერება, თბ., 1981, გვ. 52.

⁷⁰⁴ ბატონიშვილი ვახუშტი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 660.

წურილნი. სასმისად არს გემოიანი და შემკვრო, უფროს ქართლისაგან, და სხუად არა რადმე სახმარი⁷⁰⁵. როგორც ამონაწერიდან ჩანს, მდინარე მტკვრის უმთავრესი დანიშნულება სათავეებში ყოფილა მასში თევზის ჭერა და სასმელ წყლად გამოყენება, „სხუად არა რადმე სახმარი“. ამ „სხუაში“ იგულისხმება მისი გამოუყენებლობა სამეურნეო დანიშნულებისათვის, პირველ რიგში სარწყავად, როგორც ამას ჭოროხის შესახებ იტყვის ვახუშტი: „და არს თევზნი, გარნა მთას კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემკვრო, გემოიანი და სხუებ ურგები, ვინაიდან არა რაი კეთდების ანუ ირწყვის“⁷⁰⁶.

მე-20 საუკუნის დასაწყისში *ალ. ფრონელი* წერდა: „მდინარენი შედარებით ცოტაა ჯავახეთში. დასავლეთიდან ჩამოუდის მტკვარი და ისე ღრმა ხეობაში მოდის, რომ შეუძლებელია რუების გამოყვანა ხეხილის ან ყანების მოსარწყავად, ანდა წისქვილის დასაბრუნებლად. მხოლოდ ხერთვისელებმა მოახერხეს პატარა რუს გამოყვანა და სოფლის ბოლოს დიდი რუს გამოყვანა საწისქვილედ“⁷⁰⁷.

ვახუშტი ახასიათებს ცალკეული ტბის თევზის გემოიანებას თუ უგემურობას: „ხოლო ტბა ფარავნისა არს დიდი, თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს ღვების გარემოს მისსა მრავალნი, არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხუასტაგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხენი მისი გამდინარისაგან თოვლისა შესდის ტბასა მას, და იტყვან მის გამო უგემურობასა“⁷⁰⁸. სხვაგვარი თევზი იცის... საღამოს ტბაში: „ამის ზეთ არს ტბა საღამოსი, დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა ამისთვის, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“⁷⁰⁹.

ზოგიერთი სოფელი გამოირჩეოდა სწორედ იმ ნიშნით, რომ იქ განსაკუთრებით ბევრი თევზი იცოდა:

„პური — კლდეს, ღვინო — ბოვასა,
თევზი მე მთხოვე ტობასა,
თუ გინდა ვაშლი წითელი,
— გაღმა-გამოღმა წყორძასა“⁷¹⁰.

⁷⁰⁵ *იქვე*, გვ. 661-662.

⁷⁰⁶ *იქვე*, გვ. 676.

⁷⁰⁷ *ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი*, თბ., 1991, გვ. 163.

⁷⁰⁸ *ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი*, გვ. 320.

⁷⁰⁹ *იქვე*, გვ. 671.

⁷¹⁰ *ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი*, თბ., 1938, გვ. 74.

მეთევზეობის განვითარება მესხეთში შემთხვევითი არ იყო, რადგან მესხეთის მიწაზე მოედინება მესხეთის უდიდესი მდინარე მტკვარი, რომელზეც უძველესი დროიდანვე მისდევდნენ მეთევზეობას. მისმა მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა თევზჭერის მრავალგვარი ხერხები და საშუალებები⁷¹¹.

თევზჭერა და მასთან დაკავშირებული იარაღების გამოყენება-არგამოყენება განსაზღვრული იყო მათი პრაქტიკული საქმიანობის, ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით.

გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავდა თევზჭერის სახეობებს. ტბებისა და მდინარეების მიხედვით თევზაობის სამ ზონად შეიძლება დაგვეყო სამხრეთ საქართველო.

„ხალხი ამბობს, რომ ტბისყური თამარ მეფემ მდინარე ქციიდან აღინაო, „არხი, ნარუალი დღესაც ეტყობა“. თუ ხალხის გადმოცემა მართალია, ალბათ „არხს იმ აზრით გაჭრიდნენ, რომ მდ. ქციის გემრიელი კალმახი ამ ტბაშიც მოშენებულყო“⁷¹².

„მდინარისპირა ადგილები სოფლებს ჰქონდათ დანაწილებული. ხიზაბავრელების ოჩხეები *კუროსთავიდან ვომებაძღე* ითვლებოდა, მაგრამ ყველაზე საუკეთესო ადგილად მიჩნეული იყო *სკინტლულეაძე* წოდებული ტერიტორია, რომელიც ხიზაბავრის ტერასების დასაწყისიდან ნასოფლარ ოსკერიის გამოღმა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა“⁷¹³.

ასე იქმნებოდა მდინარის მონაკვეთების სახელები: *ხიზაბავრის ოჩხეები*, *თმოგვის საბაძურები* და სხვა. ეს ზოგადად, როდესაც საქმე ეხებოდა სოფლის ტერიტორიებს. სოფლის საკუთრების შიგნით გამოიყოფოდა საგვარეულო ან სახელობითი ოჩხეები. მით უმეტეს, რომ თუ ერთი სოფლის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მთელ მესხეთზეც „ოჩხეს ხიზაბავრელებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ დიდი ოჯახების გაყრის შემთხვევაში, როცა ერთ ძმას უღელი ხარი შეხვდებოდა, მეორე ძმას ოჩხე უნდა რგებოდა“⁷¹⁴.

მეთევზეობა დაკავშირებული იყო ზოგიერთ რიტუალთან.

⁷¹¹ ლ. მირიანაშვილი, *თევზჭერის ხალხური საშუალებები მესხეთში*, გვ. 42.

⁷¹² ა. ფრონელი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 163.

⁷¹³ ზ. ქუქჩიშვილი, *ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები*, „მესხეთი I“, ახალციხე, 1997, გვ. 62.

⁷¹⁴ იქვე.

პირველ თევზს თუ ის პატარა იყო, ისევ წყალს უბრუნებდნენ, მანამდე კი დაჭერისთანავე კულს მოაკენეტლა მეთევზე. პატარას წყალში გადააგდებდა, ღიღს კი — ტომარაში.

სპეციალურად ემზადებოდნენ ოჩხის ჩხრეკისათვის. ჩხრეკა ისეთივე რიტუალური იყო, როგორც შემოდგომის მოსაყლის აღებისთვის მზადება: „ოჯახი, რომელსაც ოჩხე უნდა ეჩხრიკა, წინა დღეს დაიბარებდა განთქმულ მეთევზეებს, მოამზადებდა „გოდორს“, „ლასტს“, თივას, კეტებს, ოჩხის პირად დააგროვებდა შეშას. მოწვეულ მეთევზეებს ოჯახში აჭმევდნენ პურს, ცხენით ან ჯორით სოფლიდან მტკვარზე ჩამოზიდავდნენ ყველა საჭირო ნივთს. ოჩხესთან ყველაზე გამოცდილი მჩხრეკელი დაილოცებოდა არყით შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, მიეცი ბარაქა ამ ოჯახს, არ გამოუღიოს თევზი ოჩხეში, საქონელი — ახორში, ბავშვები — აკვანში“⁷¹⁵.

თევზჭერის სხვადასხვა საშუალებისაგან მიუეთითებთ რამდენიმე ძირითადს:

1. *ნესკავით*, ანკესით თევზაობა.

ნესკავი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისა—ნევისი კავით. ანკესი გვიან შემოდის სამხრეთ საქართველოში, მანამდე ხელით ნაკეთებ ნესკაებს ხმარობდნენ. თავდაპირველად განირჩეოდა სახელებიც. ანკესი იყო ფაბრიკული წესით დამზადებული („ფაბრიჩნი“), ხოლო ნესკავი ხელით გამახვილებული წვერიანი მავთულით გაკეთებული ანკესი იყო. ზოგიერთი ზეპირი გადმოცემით, ძვლის ნესკაეებიც ჰქონდათ. ძვლის ნესკაეებს დღეს ვეღარ შეხვდებით. ნესკავით, ანკესით თევზაობა ბოლო დროს არაპრესტიჟულად ითვლებოდა მეთევზეებში. ანკესით მონიტელიგენტო ტიპის მეთევზეები თევზაობდნენ. მისატყუებლად ძირითადად ხმარობდნენ ჭიყყელას ან ხორცის ნამცეცს, დამრგვკალბულ პურს და სხვა.

ანკესი თევზჭერის ერთ-ერთი ყველაზე ძველი იარაღია, „განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ანკესი მზადდებოდა ქვისაგან, ძვლისაგან და ლითონისაგან. დროთა განმავლობაში იცვლებოდა არა მარტო საანკესე მასალა, არამედ თვით ანკესიც უფრო რთული და მრავალმხრივი ხდებოდა“⁷¹⁶.

ქ. მირიანაშვილი სულხან-საბა ორბელიანზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ანკესი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნემსკა-

⁷¹⁵ იქვე, გვ. 60-61.

⁷¹⁶ ქ. მირიანაშვილი, *თევზჭერის იარაღების შესწავლისათვის* (ანკესი, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), თბ., 1979, გვ. 100.

ვია⁷¹⁷, მესხურში ნესკავი მიღებულია ნემსკავისაგან. ძველი სოფლების ტერიტორიაზე, სადაც მტკვარი გადის, გვხვდება ადგილის სახლებად სანესკაოები (სოფ. თმოგვი, ტოლოში, ნიჯგორი), ხოლო რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე – საანკესაოები. საანესკაო ადგილი თავისებურია, შედარებით მყუდრო. მდინარის მონაკვეთის ცვლასთან ერთად, სახელიც იცვლება და სხვადასხვა ადგილს ერქმევა, ამიტომ სახელმა ბოლომდე ტოპონიმად ქცევა შეიძლება ვერც კი მოასწროს ისე დაიკარგოს.

2. *ოლთით* თევზაობა. *ოლთას* დღეს „შნურს“ ეძახიან, გრძელ ძუაზე, ან კანაფზე ასხმულია მრავალი ანკესი ანუ ნესკავი. ბოლოში ჩაბმული აქვს ქვა. თუ ნესკავით თევზაობას სჭირდება მეთევზის თავზე დგომა, ყურადღება, *ოლთით* თევზაობისას გადაადგებენ ქვას ღრმა წყალში და ასე ტოვებენ ღამე.

ამ ტიპის თევზაობის ძველი სახელი არის *ოლთით* თევზაობა. „შნური“ ახალი სახელია. *ოლთას* დღეს აღარავინ ხმარობს. *ოლთით* თევზაობა ისეთივე ძველი ჩანს, როგორც ნესკავით. *ოლთით* დიდ მდინარეებში იჭირება თევზი. მთის პატარა მდინარეები ამ ტიპისათვის გამოუსადეგარია. *ოლთას* ეძახდნენ, როგორც ქართვლები, ასევე სხვა ტომის ხალხი, ვინც მესხეთში ცხოვრობდა.

მრავალანკესიანი (მრავალნესკავიანი) თევზაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც სცოდნიათ. გურიაში მას „ლარი“ ან „ერთი ყრა ანკესი“ ჰქვია. პრინციპი იგივეა, ოღონდ „ცოტა გართულებულია“. (მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე კანაფი იჭიმება)⁷¹⁸. ამავე ტიპის ანკესებს ქართლში ეწოდება „გრძელთოკა ანკესი“, ხოლო იმერეთში „გაგება“⁷¹⁹. უფრო რთული იყო „თავნამობრუნები ანკესი“, „ჩალქი“ იმერეთში და „ჩოლქი“ სამეგრელოში⁷²⁰. მრავალანკესიანი თევზაობაში ჩაერთობოდა ნავიც და, აქედან გამომდინარე, შეამზანაგებაც კი იცოდნენ⁷²¹. როგორც ჩანს, მესხური მრავალანკესიანი *ოლთით* შედარებით მარტივია. მას ცალ მხარეს პალო აქვს, რომელზეც დამაგრებულია თოკი და ანკესები. მეორე მხარეს ქვას ისვრიან წყალში. მთელ პროცესს შეიძლება მოემსახუროს მხოლოდ ერთი კაცი.

მტკვარსა და ფოცხოვზე *ოლთასთან* და *შნურთან* დაკავშირებული ტოპონიმები თითქმის არ გვხვდება. თუ არ ვიგულის-

⁷¹⁷ იქვე, გვ. 100-101.2.

⁷¹⁸ ქ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

⁷¹⁹ იქვე, გვ. 104.

⁷²⁰ იქვე, გვ. 105.

⁷²¹ იქვე, გვ. 106-107.

ზმებთ ისეთ სახელებს როგორცაა *საოლთე ადგილები* ან *მწურით სათევზაოები*, რომელნიც აქა-იქ გვხვდება.

არის ცდუნება *ოლთისთან*, *ოლთის/ოლთას* დაკავშირება, მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზის ვარაუდის დონეზე მიგვანჩნია შესაძლებლად.

3. *ოჩხით*. ზაფხულში, როდესაც წყალი დავარდება, გააკეთებენ წყალში ნაპირთან ახლოს ორმოს, ჩაყრიან წვრილ ქვებს, რომელშიც ზამთარში შედის წვრილი თევზი. დეკემბრის ბოლოს ჩხრეკენ. აქეთ ერთი პირდაპრუნებული გოდორი, რომელსაც გასასვლელში უდგამენ. „ოჩხე უნდა იყოს გაჩულთული თივით, რომ თევზი სხვა მხარეს არ წავიდეს და ჩავიდეს გოდორში“. ჩელტს ოჩხეზე გახიდავენ, რომ ზედ დადგენ და ქვა ამოიღონ. ანთებენ ნაპირზე ცეცხლს. ერთი წყალშია, დანარჩენი – თბება. ცეცხლთან ენაცვლებიან რიგრიგობით.

ოჩხეში ერთი ზომის თევზი შედის. დიდი თევზი არ შედის. დიდი თევზი ოჩხეს არ ეტანება. თუ კალმახი მოხვდა ოჩხეში, დიდი უბედურებაა. იგი ანადგურებს ოჩხის თევზს და მშრალზე ტოვებს პატრონს. ოჩხის თევზს *ოჩხურს* ეძახიან. ცოცხალთან შედარებით ოჩხური წვრილი თევზია. ოჩხის ჩხრეკა ზამთარში ხდება, ამიტომ სიცხვესთან და გამძლეობასთან არის დაკავშირებული. ოჩხის კეთებასაც სპეციალისტი უნდა ზაფხულში და ასევე მცოდნე უნდა ჩხრეკას. ყველა სოფელი არ აკეთებდა ოჩხეს.

ოჩხით თევზის ჭერას განსაკუთრებული პირობები სჭირდებოდა. არც ძალიან ნელ წყალში და არც ჩქარში არ შეიძლებოდა ოჩხის გაკეთება. „ოჩხეს გაკეთებისათვის სამზადისი გაზაფხულის წყალდიდობამდე ადგილის შერჩევის შემდეგ ხდება იქ, სადაც „ჩხერული“ (ჩქერი) მთავრდება და „გუბე“ (მღორე დინება) იწყება. როდესაც წყალი „ჩამოჯდება“ (დაიკლებს), მარიამობისა და ენკენის თვეში უშუალოდ აკეთებენ ოჩხეებს. მონიშნულ „ალაგს“ მკერდის სიმაღლემდე ჭრიან და ორმაგი, სამმაგი ოვალური ქვის კედლით აგებენ. კედელთა შორის სიცარიელე ხრეშით, სილით და წვრილი ტოტებით ამოივსებოდა⁷²².

ოჩხის ეტიმოლოგია და გავრცელებულობა სპეციალურად აქვს განხილული *ქ. მირიანაშვილს*⁷²³. ავტორი *თ. იველაშვილზე* დაყრდნობით წერს, რომ „ოჩხები (!) ძირითადად დიდი მდინარე-

⁷²² ზ. ქუქჩიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 60.

⁷²³ ქ. მირიანაშვილი, *მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში* (თევზჭერა ოჩხეს საშუალებით), თბ., 1987, გვ. 48-53.

ბის მღორე ადგილებზე ეწყობოდა. მღ. მტკვარზე ოჩხები იწყებოდა ხაშურის რაიონიდან და ვრცელდებოდა ზემო ვარძიამდე⁷²⁴.

ოჩხეს უკავშირებენ ღრმულის ტიპის თევზაობას. ე.ი. თავდაპირველად ბუნებრივ ორმოებს იყენებდა ადამიანი, ხოლო შემდეგ, გარკვეული განვითარების შემდეგ დაიწყო ხელოვნური ორმოების (ოჩხეების) კეთება⁷²⁵.

„თევზის ჭერა ხელოვნურად მოწყობილ ორმოებში დადასტურებული გვაქვს იმერეთშიც. ისინი კეთდებოდა უფრო მცირე ზომისა, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში. შემოდგომით, მარიობისთვიდან (ავვისტო-სექტემბრის ჩათვლით), მდინარის პირას ქვებს აწყობდნენ ჯებირებივით და ნეშოს ყრიდნენ. თევზი შიგ შედიოდა და ზამთარში გამოჰყავდათ. ამ თევზს „ყინვის თევზს“ უწოდებდნენ, ხოლო ასეთ ადგილებს „ჯილეებს“, „მოწყობას“, ან „გარშემო შემოღობვას“⁷²⁶.

იმერული ორმოების ტიპის სათევზაო აშკარად უმარტივესია და შედარებით ნაკლები კავშირი აქვს ოჩხესთან.

შედარებით ახლოს დგას ოჩხესთან თ. სახოკიას მიერ აღწერილი ღრმულის ტიპის სათევზაო, ოღონდ სამწუხაროდ სახელი არა აქვს დაფიქსირებული⁷²⁷.

„სამეგრელოში „ოჩხი“ ეწოდება მდინარის იმ ადგილს, სადაც ბევრი თევზი ბუდობს. ოჩხი მღ. ზობის წყალზე ადგილის სახელწოდებაცაა“⁷²⁸.

ქ. მირიანაშვილი ოჩხ-ს უკავშირებს მეგრულ-ჭანურს, კერძოდ, ჩხომ-ს და წერს, რომ „ოჩხი“ სიტყვა სიტყვით აღნიშნავს სათევზეს⁷²⁹. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დასტურდება მესხეთში ოჩხე და დასავლეთში არ გვხვდება, ქ. მირიანაშვილი ამას ხსნის ტოპონიმიური ზანიზმებით, ამით ვერ აიხნება ოჩხის, როგორც ტერმინისა და როგორც თევზჭერის მაღალგანვითარებული (ორმოებთან შედარებით) საშუალების ასე ლოკალურობა მესხეთში.

ოჩხის სხვაგვარ ეტიმოლოგიას გვაძლევს პ. ცხადაია. მისი აზრით, „ოჩხე-ოჩხი უნდა დაუკავშირდეს ქართულსა და ზანურში

724 იქვე, გვ. 49.

725 იქვე, გვ. 48-49.

726 იქვე, გვ. 49-50.

727 იქვე, გვ. 50.

728 იქვე.

729 იქვე.

დაცულ ჩიხ, ჩეხ ფუძეს, რომელიც ზოგადად შემორაგულ დასამწყვდევე ადგილს გამოხატავს⁷³⁰.

სემანტიკურად ორივე ეტიმოლოგია დასაშვებია, მაგრამ თუ ქ. მირიანაშვილის აზრს გავიზიარებთ, დგება — *ოშ* ელემენტის დაკარგვის საკითხი „ჩხომიდან“. „ჩიხუა ზმნის მომავალი დროის მიმღობაა ოჩხე, რაც ქართულად საჩეხეს შეესატყვისება. ფუძისეული ი ზმოვნის ამოვარდნა მეგრულისათვის უცხო არ არის. ამავე ზმნის წარსული დროის მიმღობაა ნაჩიხა, ტოპონიმიურ მასალებში ნაჩხას სახითაცაა წამოდგენილი. მამასა-დამე ოჩხი, ოჩხე, როგორც შემოზღუდული, შემორაგული ადგილი, თევზის შესატყუებელი, დასამწყვდევი, სემანტიკურად და მორფოლოგიურად მეგრულ ოჩხეს უნდა უკავშირდებოდეს⁷³¹. ოჩხე მეგრულში აღნიშნავს ქარქაშს, რაზე დაყრდნობითაც ზ. თანდელავა წერს: „ხელოვნურად გაკეთებული თევზის ბუნავის ანუ თევზსაჭერი ორმოს სახელწოდება ოჩხე, ოჩხი იგივე ბუღის მნიშვნელობის მქონე ლაზურ-მეგრული ოჩხე უნდა იყოს“⁷³².

როგორც ვხედავთ, სამივე ეტიმოლოგია ზანიზმს უკავშირდება მესხეთში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ოჩხით თევზაობა თევზის ჭერის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა მესხეთში და, როგორც მეთევზეობასთან დაკავშირებული ტერმინი, მისი წარმოშობა მკაცრად ლოკალური უნდა იყოს და უნდა უკავშირდებოდეს მტკერის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება მდინარის მონაკვეთის შემოღობვით, ყორის ამოშენებით, „შემორაგვით“... თევზის ჭერა, მაგრამ ოჩხე თავისი მაღალგანვითარებული ტრადიციითა და კულტურით დასტურდება მხოლოდ მესხეთში, სადაც ბევრი მდინარეა, თითქმის ერთნაირი სიდიდისა, ჯავახეთის მტკვარი (ფარავანი), ფოცხოვი, ქვაბლიანი და მათი მრავალი დიდი და მცირე შენაკადი, ოჩხე კი მხოლოდ მტკვარზე კეთდება *ბაშურის ზევით ვარძაძღვ*, რადგან აქ იყო ყველაზე უკეთესი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები: გაშლილი ქვიანი ნაპირი, ჩქერის ძირი და მდორის დასაწყისი, ზამთარ-ზაფხულის ისეთი მონაცვლეობა, რომ სითბოს გამო სწორედ დროის გარკვეულ მონაკვეთში მოხვდეს ოჩხეში თევზი. ზღვის პირას და სამხრეთის მდინარეებში ასეთი კულტურა ვერ განვითარდებოდა. ჩიხ, ჩეხ ძირი ისევეა ქართული, როგორც ზანური,

⁷³⁰ პ. ცხადაია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 107.

⁷³¹ იქვე.

⁷³² ზ. თანდელავა, *მეთევზეობის ლექსიკიდან*, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, I, თბ., 1976, გვ. 71.

რაც შეეხება — პრეფიქსს იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დღეს იგი გვხვდება მეგრულ-ჭანურში, როგორც ჩანს, მესხეთში უძველესი დროიდან არსებობდა და ცოცხლდებოდა, ისევე როგორც არ სუფიქსი⁷³³ და ქართულ-ჭანური ერთობის ასაკისა უნდა იყოს. ოჩხე უცხო არ არის ქართული ენისათვის. იგი მხოლოდ იმ მნიშვნელობით გვხვდება, რომლითაც მესხეთში: „თევზთ საბუნაგო ადგილი ნაშენები“ (სულხან-საბა); „თევზთ საბუნაგე“ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი); „ქვეებით შემოზღუდული ორმო მდინარეში თევზის დასაჭერად“ (ქეგლ). მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ხელოვნურად გაკეთებული თევზის ბუნაგის სახელად ოჩხი მეგრულში დღეს იშვიათად გვხვდება. ზოგი მეთევზე ინფორმატორის განმარტებით ოჩხი არის სამელნე შუშის მსგავსი თევზის მახე“⁷³⁴.

ამრიგად, ოჩხე, როგორც ლექსიკური ერთეული და როგორც „თევზთ საბუნაგო ადგილი ნაშენები“ წარმოშობილი უნდა იყოს მესხეთში მდინარე მტკვრის სათავეებში.

ოჩხე ბევრგან გვხვდება მტკვრის მონაკვეთის სახელთა შემადგენლობაში: ხიზაბავრის ოჩხეები, ხერთვისის ოჩხეები, მინაძის საოჩხეები და სხვ. იყო როგორც უკვე ითქვა, საგვარეულო ოჩხეებიც, მაგრამ დღეს თანდათან იკარგება თევზჭერის ეს სახეობა, ამიტომ ამ ტიპის სახელებიც აღარ გვხვდება.

4. *ტოტის დაწყვეტი*. გაუვლებენ ტოტს ბელტის „კედელს“ თავში. ბოლოში უკეთებენ ფაცერს. „წყალი რო წყდება, თევზი გადადის ფაცერში“.

ტოტის დაწყვეტა შრომატევადი საქმეა. ბელტის მოჭრისთვის საჭიროა შესაბამისი ნიადაგი, ძირითადად წვრილი მდინარეების ტოტების დაწყვეტაა პრაქტიკული და ადვილი, რადგან ბელტი ბევრია გარშემო ჭალებში. ბარში, დიდ წყლებზე და დიდ ტოტებზე ბელტით დაწყვეტა შეუძლებელია, ამიტომ იყენებენ კარავს, რომელსაც ჩააფენენ და ზედ ქვას დააწყობენ. ტოტის დაწყვეტისას დღეს ფაცერს აღარ იყენებენ. აკეთებენ ბადეს, ძირითადად ყინულის ბადეს ან გოდორს ბოლოში და ასე იიოლებენ საქმეს. როგორც წესი, ტოტის მოწყვეტაში 5-6 კაცი მონაწილეობს. ბოლოს გაკვრის—ფაცერის ჩადგმის ან ბადით გადალობვის შემდეგ, როდესაც დაწყდებოდა სათავე, ან ტოპვით

⁷³³ მ. ბერიძე, ურ, არ, ულ სუფიქსთა ფუნქციისათვის სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმში, „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, თბ., 1978, გვ. 127-135.

⁷³⁴ პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107, შენიშვნა.

დაჰყვებოდნენ თევზის საჭერად, ან ააგორებდნენ თივის ღვარიელს და მიჰყვებოდნენ უკან. ეს ხერხი მაქსიმალურად გამოიყვანს თევზს ქვის ქვეშიდან და წვრილი გუბებებიდან. ტოტის დაწვევტას ადის მოწვევტასაც ებახიან სამცხესა და ჯავახეთში ამ შემთხვევაში მხოლოდ ტერმინოლოგიური სხვაობაა. ადა თურქული სიტყვაა⁷³⁵, რომელიც შემოსული იყო დიალექტში. დღეისათვის თითქმის აღარ იხმარება. თევზჭერის ეს სახეობა არაქართული ვარიანტით მითითებული აქვს ზ. კუტალიევილი⁷³⁶.

უშუალოდ ტოტის დაწვევტასთან დაკავშირებული ტოპონიმები არ გვხვდება მესხეთში, მაგრამ გვაქვს ადები, ტოტები თითქმის მტკვრისა და ფოცხოვის მთელ მონაკვეთზე, მაგრამ იგი გეოგრაფიულ ფაქტორთან არის დაკავშირებული და არა სამეურნეოსთან.

5. ტოპით (ტოპის დროს) თევზი ჰყვება განსაკუთრებით მაშინ, როცა „მუნზეა“ ე. ი. ქვირითსა ჰყრის. ამ დროს ერთ ადგილას ეტანება და გაყურებულია. ხშირად ხელის მოკიდებასაც ვერ გრძნობს, ისეა გაბუყებული. იმ ადგილს სადაც თევზი ამ დროს იყრის თავს, სათხარი ეწოდება. სათხარი ჰქვია მტკვრის მონაკვეთს ასპინძაში, რადგან თევზი „მუნზეა ცხვირით „თხრის“ რბილ ფსკერს, ამიტომაც ეწოდება ამ ადგილს სათხარი. ტოპვა შედარებით თხელ წყალში შეიძლება. უფრო „ღვრია წყალში ჰყვება“. წინათ ზამთარშიც ტოპობდნენ, წელზე გადასდიოდათ წყალი.

ტოპას ხელაობასაც უწოდებდნენ, მაგრამ ეს ტერმინი შედარებით ახალი ჩანს. ტოპით ანუ ხელაობით თევზს იჭერენ ხელით (ხელისგულს ადებ ქვებს ან ქვების ძირებს) ან ფეხის ქვეშ. ტოპის დროს გაქცეული თევზი აუცილებლად გვერდზე ან აღმა გარბის, ამიტომაც დადევნებული მეთევზე უკან ტრიალებს, წყლის დინების საწინააღმდეგოდ ეძებს მას, ხოლო ჩვეულებრივად მიჰყვება მდინარის დინებას დაღმა.

მართალია, ტოპითა და ხელაობით თევზაობა დღეს გაიგივებულია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხელაობა ძირითადად მანც მცირე მდინარეებში შეიძლებოდა, სადაც მცირე გუბებები და ღრმულებია. ხელაობის დროს მნიშვნელობა არა აქვს „ღვრია“ არის თუ არა

⁷³⁵ მ. ბერიძე, ვ. ბერიძე, *ორი თურქული სიტყვა ქართული ენის შესახებ დიალექტში*, თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული I, თბ.-ახალციხე, 1998, გვ.130.

⁷³⁶ ზ. კუტალიევილი, *მეთევზეობა*, ხელნაწერი, გვ. 238.

წყალი. ხელაობის დროს ნადირობდნენ უფრო კალმახზე და მურ-
წაზე. თევზი ქვის ქვემოდან და ჯილეებიდან გამოჰყავდათ.

ხელაობა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიჩნეულია თევზ-
ჭერის უმარტივეს ე. ი. უძველეს სახეობად⁷³⁷. მთავარია, რომ მე-
თევზე არ ხმარობს თევზჭერის არც ერთ იარაღს, ნადირობს
ხელით, ამიტომ ორივე ტერმინი მესხეთში თევზჭერის ერთ
სახეობას აღნიშნავს.

სატოპაოები ბევრია მტკერისა და ფოცხოვის მონაკვეთებზე,
ყველგან ჩქერის თავს ან ბოლოებს ჰქვია. ზოგან თხელ ჩანჩქერ-
საც ეძახიან, სადაც ტოპვა შეიძლება.

6. *გოდრით*. მოქსოვილია წნელისაგან თავჩაბრუნებული წო-
წოლა გოდორი, რომელშიც მისატყუებელს ჩაყრიან. შესული თევ-
ზი უკან ვეღარ გამოდის, რადგან გოდორს შესასვლელი ძაბრივით
აქვს.

გოდრით თევზაობდნენ მღორე და ღრმა ადგილებში. გოდრით
თევზაობდნენ ჯავახეთში ფარავნის, საღამოსა და ტაბაწყურის
ტბებზე. ერთნახევარი-ორი მეტრის სიგრძისა და 0,80 მ. სიგანის
ძაბრისებრი გოდრებით სადამდეც შევიდოდა მეთევზე, ტბაში ჩად-
გამდა, გოდრის ძირზე მისატყუებელის გარდა ქვებს ალაგებდნენ,
რომ არ გადაადგილებულიყო. ჩადგმა ნიშნავდა გოდრის დაწოლილ
მდგომარეობაში დატოვებას.

შედარებით მარტივად თევზაობდნენ ლაზები გოდრით, „თევზს
ღარითაც იჭერდნენ. ასეთ ხელსაწყოს კალათი (გოდორი) ეწოდებ-
და. გოდორი ღარის მზგავსია და დაწნულია თხილის ხის წნე-
ლით“⁷³⁸.

გოდრით თევზაობის განსხვავებულ ხერხს გვიხატავს ჯავა-
ხეთსა და დასავლეთ საქართველოს მონაცემებით ზ. *კუტაღელი-
შვილი*.

„მდინარეში შერჩეულ ადგილზე ისე, რომ წყლის დონე ძაბრის
ნახერეთის შუამდე აღწევდეს... თევზი, რომელიც საქვირითოდ
მდინარის ღინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, მოხვდება ძაბრიდან
გოდორში“⁷³⁹.

გოდორისმაგვარ ხელსაწყოს სამეგრელოში კუნო ჰქვია —
„თევზის საჭერი მახუა წნელით ან ტკეჩით დაწნული“⁷⁴⁰. სემანტი-

⁷³⁷ ქ. მირიანაშვილი, მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში
(თევზის ჭერა „ოჩხეს“ საშუალებით), თბ., 1987, გვ. 48.

⁷³⁸ მ. ვანილიში, ა. თანდილაჟა, *ლაზეთი*, თბ., 1964, გვ. 87.

⁷³⁹ ზ. კუტაღელიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 287

⁷⁴⁰ პ. ცხადია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 104.

კურად აღბათ დაკავშირებულია კონი სიტყვასთან, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ქუემოდან აღმაელის თევზის საყრობი გოდრით პირშექცეულთა“.

კუნოს გარდა სამეგრელოში „გორდიული, იგივე გოდორე ისეთივე მახეა, როგორც კუნო. სიტყვა გავრცელებულია მარტვილისა და აბაშის რაიონებში და უნდა მომდინარეობდეს გურული გოდორა, გოდორესაგან“⁷⁴¹.

7. *ფაცრით*. „წყალი აღმაცრივ გაიკრება ლომებით და შიგ ბადეს აფინავენ. ადრე ტილიფის ტოტით ჩაქსოვდნენ და ჩაფინავდნენ. ბოლოში იყო ფაცური ნაპირზე, არის ფიცრისა. ერთმანეთისაგან დამორებული წვრილი წულეები აწყვია, წყალს ატარებს. ღინება აუცილებლივ ჩქარია ფაცერთან. თევზი როდესაც მოხვდება, ადგილზე ხტება და ნაპირზე ვარდება“.

8. *ბადით ანუ სათხველით*. მრგვალი სასროლი ბადით ანუ სათხველით („სანთხველით“) თევზაობდნენ ზამთარ-ზაფხულ. ზამთარში თოკმომბულითაც ბადებდნენ.

სათხველი ანუ ბადე სხვადასხვა ტიპისა იყო იმის მიხედვით, თუ, რომელ მდინარზე გვინდოდა სათევზაოდ. პატარა ბადე, რომელსაც კალმახის ბადე ერქვა, გამოიყენებოდა ძირითადად მთის მდინარეებში.

9. *ყინულის მოჭრით*. ზამთარში შეარჩევენ ყურე ადგილს, შემოაფენენ მდინარის მხარეს გარშემო ბადეს. ჭრიან რკინის კეტებით ყინულს და უშვებენ. მოაცურებენ ბადეს ისე, რომ ძირი მოჰყვება ფსკერს. ბოლოს ყინული რომ მოიჭრება, დარჩება მცირე მონაკვეთი, რომელსაც ყურყუჯას ეძახიან. აქ არის მოგროვილი თევზი, რომლის ამოსაყვანად საჭიროა ხოლიხი („ხოლიხე“), ანუ ხოლიკი („ხოლიკაი“). „ყვეჯელ ორკაპ ხეს ენახავდით, გავათბენდით, მოვგრებდით და შევაერთებდით ბოლოში, ჩამოვკიდენდით ბადეს და თავის ტარიანად მზად იყო“. ასეთივე სათევზაო იარაღს იყენებდნენ ლაზები: „არის კიდევ მეორე იარაღი, მას სახელად ხოლეხი ეწოდება“⁷⁴².

ყინულის მოჭრის დროს საჭირო იყო ცული და რკინის კეტი სქელი ყინულის დასახერხებლად და მოსაჭრელად. ხოლიხი (ხოლიკა) თევზის ამოსაყვანად და ყინულზე მისაწოლი კეტები. დაჭერილი თევზი იყრებოდა გოდრებში. ციმორის გარდა ყველა თევზი

⁷⁴¹ იქვე, გვ. 105.

⁷⁴² მ. ვანილიში, ა. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

ჰყვება ყინულში. ციმორა არ შედის ყინულის ქვეშ. ის ზამთარ-
ზაფხულ ჩქარ ადგილებში, ქვებქვეშ ბუდობს. ყინვას უძლებს.

ყინულის მოსაჭრელ ადგილს ყურე/ყურები/ყურები ჰქვია. ყურე ისეთი ადგილია, სადაც წყალი სამი თუ არა ორი მხრიდან მაინც ხმელეთით არის შემოზღუდული. ყურეს გარდა ყინული იჭრება ტანებში (ტანში). ტანი ჰქვია მღორედ მიმავალ წყალს, რომელიც მხოლოდ ერთ მხარეს ეხება ხმელეთს და ხმელეთიდან გარკვეულ მანძილზე იყინება. ყურეში და ტანში წყალი თბილია და თევზი ეტანება. ტანში ძირითადად შავი თევზი იცის, ყურეში - ნაფოტა, ლიფსიტა, ღვანა, კარჩხანა.

10. *ნავტიკით*. ნავტიკით ზამთარში თევზაობდნენ „ოთხ ტიკ ჭიშკარზე ამოვაკრენდით და იმაზე დგებოდნენ. ერთი ნავტიკზე იდგა, მეორე ნაპირზე“.

ნავტიკის ბაღე 17-18 მეტრიანია 32-34 მილიმეტრინი თვლებით. თვლები დიდი ჰქონდა, რომ წერილი თევზი არ გაბმულიყო და ბაღეს წყალი კარგად გაეჭრა, რადგან, სხვა ყველა ბადისაგან განსხვავებით, ნავტიკის ბაღე მოძრაობს, დაუყვება წყლის დინებას ზევიდან ქვევით. ბადის ერთი ბოლო მობმულია ნავტიკზე, ხოლო მეორე ბოლოში ჩაბმული აქვს 18-20 მეტრი სიგრძის თოკი. ნავტიკზე დგას მეთევზე, რომელსაც, ხელთ უპყრია ნავტიკის კეტი ბოლოზე წვეტიანრკინანწამოცმული, მდინარის ფსკერზე რომ მოჭიდება ჰქონდეს. ნავტიკზე მდგომი მეთევზე ხელმძღვანელობს თევზაობას. იგი ოდნავ წინ უნდა იყოს, ვიდრე თოკის გამწვევები. ერთი კაცი წინ უსწრებს მეთევზეებს და ქვებს ჰყრის წყალში, რომ თევზი წამოიშალოს და ზემოთკენ, ბადისკენ დააფრთხოს. ბადისათვის საჭირო იყო „ჭიშკარი“ 1,5 მ X 1,2 მ ფართობისა, რომელსაც ძირზე ამოკრული ჰქონდა გუდები, უმჯობესი იყო თუ ხბოს გუდა იქნებოდა, რომელიც უფრო გამძლეა. ბოლო დროს გუდების ნაცვლად მანქანის „კამერებსაც“ ამოაკრავდნენ ხოლმე. ნავტიკის გამო გაჩნდა მტკვარზე ადგილები სახელად *სანავტიკე*, ხიზაბავრის გომებთან, ასპინძის აბნობთან, რუსთავთან და სხვა.

ნავტიკით თევზაობდნენ ზამთარში. ჰყვება ყოველგვარი თევზი, ჭანარი და კალმახიცი კი.

11. საინტერესოა თევზაობის ისეთი სახეობა, რომელიც ბადის დანიშნულების მიხედვით იწოდება. ასეთია *მოსა ძაღით* თევზაობა.

მესხური სიმღერა „მამლი მუხასა“ გამოირჩევა ვრცელი ტექსტით. მასში მუხა „მამლისაგან“ წაიქცევა. მუხის ნადგომ ადგილას რომ წყალი ჩადგება და შიგ თევზი გაჩნდება:

„იმასაც ხომ დაჭერა უნდა“.

„რითა და რითა, შენ, ბიჭო?
მამლი მუხასაო,
მოსეს ბადითა, შენ, ბიჭო,
მამლი მუხასაო“.

თუ მოსეს საკუთარ სახელად მივიღებთ, ეს ადგილი ძნელი ას-
ახსნელი იქნება, რადგან თევზის ზოგადად დაჭერა, ვინმე კერძო
პიროვნების ბადით ამ ძველ სიმღერაში, გამორიცხებულია, თანაც
დღეისათვის ასეთი ბადე მესხეთში არ არის და არც იწარმოება
ბადის სახეობა ადამიანის საკუთარი სახელისაგან. ბადე შეიძლება
იყოს ნავტიკის, ყინულის, სასროლი... აქ უნდა გვექონდეს მოსა
ბადე. ბადის ასეთი სახეობა შემოგვინახა ზანურმა. „მოსა-ბადე
(მღრ. მასე-საბა)... მეგრულში ბადის ერთ-ერთ სახეობად გვხვდება
მოსა-ბადე (ყოფშიძე). ლაზურში მოსა ზოგადად ბადეს ჰქვია.
„შემდეგ ბადეებს ხმარობდნენ: სასროლ ბადეს, „სუაკიმ მოსას“
(კამბულას ბადე)... ამ ბადეებს თვითონ ქსოვდნენ“⁷⁴³. „მეზგითიმ
მოსა“ (ბადეთა სახელები)⁷⁴⁴.

„ლაზები შემდეგი სახის ბადეებს ქსოვდნენ: სვიაკიში (კამბალა-
სი), მეზგითიში (მერლანკის), სარლანოში (იგლასი), მოლოზმა
(წვრილი, შერეული თევზებისა), თრიცაში (წვრილი თევზე-
ულობისა), აპლადე (ზღვის ნაპირზე ჭერისა), ასრაპატი (სათრე-
ველა), ოვტომილუში (სასროლი)⁷⁴⁵. მოსა არც ქართული ენისათ-
ვის უნდა ყოფილიყო უცხო⁷⁴⁶. „ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის
აკვანზე „მოსას“ (ბადეს) შემოახვევენ“⁷⁴⁷. ამასთან, მასე არის
„ცალწვერა უმძივო ბადე“ (სულხან-საბა). ნადგომ გუბე წყალში
კი თევზი სწორედ ამ ბადით დაიჭირება. მოსა-ს ხმონითი ნაწილი
შეესაბამება ქართულ მასე-ს. ზ. თანდლაევა მოსა-ს გამოყოფს სი-
ტყებში: -სამოსი (სა-მოს-ი), შემოსევა (შე-მოს-ვა). მათში ძირეული
მოს-იგვივა, რაც ლაზურ-მეგრული „მოს“-ა⁷⁴⁸.

მესხურის ვარიანტი, რადგან მან მოსე კაცის სახელი გაიაზრა,
იდენტურია ზანური მოსა-სი, ასე რომ, მესხური „მამლი მუხასას“

⁷⁴³ მ. ვანილიში, ა. თანდლაევა, ლაზეთი, თბ., 1984, გვ. 85.

⁷⁴⁴ იქვე, გვ. 86.

⁷⁴⁵ იქვე, გვ. 98.

⁷⁴⁶ იქვე, გვ. 126.

⁷⁴⁷ ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში,
„აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, თბ., 1986, გვ. 85.

⁷⁴⁸ ზ. თანდლაევა, მეთევზეობის ლექსიკიდან, „აჭარული დიალექტის
დარგობრივი ლექსიკა“, I, 1978, გვ. 58.

შესაბამისი ადგილი უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: „მოსა ბადითა, შენ, ბიჭო“...⁷⁴⁹.

12. *მოსასმელი ძალით* თევზაობა. ძირითადად გუბე ადგილებში გამოუსვამდნენ მოსასმელ ბაღეს. იგი ნავტიკის ბაღესავით გრძელა, მაგრამ კალთები არა აქვს. შემოპყვებიან გუბეს (ორივე მხრიდან ხელით უჭირავთ) და ნაპირზე მოიტანენ. მოყოლილი თევზი გროვდება და ამოაქვთ.

13. *კუდიანი ძალით*, ძირითადად, არატრადიციულად, მხოლოდ თანამედროვე, ახალი მეთევზეები ბადებენ. 50-60 მეტრი სიგრძის ბაღე, რომელსაც აქვს ერთი ან ორი ჯიბე, აქვს ერთგვარი კული. ასეთი ბაღეები წყალსატევებში, საგუბარებში იხმარებოდა. კუდიანი ბაღით იჭირება საზანი და კარპი, რადგან ზურგზე ფარფლის ხერხი აქვთ და წერილმაფიან ბაღეს ჭრიან.

14. *ჯავახეთის ტბებზე* თევზაობდნენ *აძლამჯღა ძალით*. სიგრძე 18-20 მეტრი ჰქონდა. მართალია, ჯავახეთის ტბებზე (თაფარავანი, საღამო, ტაბაწყური) ამ ტიპის ბაღით ჭერა ახალი იყო, მაგრამ ძველადაც დაახლოებით ამ სტილზე უნდა ეთევზავათ. ნავტიკითა და შემდეგში გუბის ბაღეებით.

15. *სახოპავით თევზაობა* არასასროლი ტიპის თევზჭერის ხერხებს განეკუთვნება. სახოპავი ბაღით გაზაფხულზე, მოდილებულობის ჟამს იჭერენ თევზს, ისიც ღვანასა და წერილ თერთებს. სახოპავს ადგილობრივნი იშვიათად იყენებდნენ, ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან გადმოიტანეს ბაღეობის ეს სახე.

როგორც ვხედავთ, ბაღეს, მის სხვადასხვა სახეს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა მეთევზეობაში. შემთხვევით არ იყო, რომ მეთევზეს სინონიმად მებაღური ჰქონდა. მებაღურობა დაკავშირებულია არა მარტო ბაღით თევზაობასთან, არამედ ქსოვასთანაც. ძირითადად, ბაღეს ქსოვდა ის, ვინც თევზაობდა, ამიტომ მებაღური იყო არა მარტო გამომყენებელი ბაღისა, არამედ - შემქმნელიც.

საქართველოში დამოწმებული ბაღეებიდან „აღსანიშნავია სასროლი ანუ სათხვეელი, მოსასობი ანუ გამოსასმელი ბაღე, საჩხრეკი ანუ ხესველი (იგივე სახოპავი), პეტაკი ანუ დასაყარი, ყურის ბაღე,

⁷⁴⁹ მ. ბერიძე, ზანურ-მესხური ენობრივი შეხვედრები, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკ. შანიძის 100 წლისთავისადმი, 1986 წლის 17-20 დეკემბერი, მოხსენებათა თეზისები, ენათმეცნიერება I, თბ., 1986, გვ. 11.

ხელბადეების მრავალი სახეობა და სხვა. ერთი და იგივე სახის ბადეები თავის მხრივ განირჩევა ზომებითა და თავისებურებით, რაც გამოწვეულია სათევზაო ადგილების (ზღვის, ტბის, მდინარის) სიდიდე სიპატარავით. მაგ.: სასროლი ბადე მდინარის სათავეებთან უფრო მცირე ზომისა იხმარებოდა, ვიდრე მდინარის შესართავთან⁷⁵⁰.

სამწუხაროდ, ფრინველზე სანადირო ბადეების სახეობათა შესახებ დღეს აღარაფრის დამოწმება აღარ შეიძლება გარდა ტოპონიმური მასალისა. სამაგიეროდ, ცნობილია ზოგი რამ ბადის მაგიური ძალის შესახებ. ზემოთ უკვე აღნიშნული გვექონდა თევზაობასთან დაკავშირებული ზოგიერთ წარმოდგენებზე. მას უეჭველად უნდა დაემატოს ბადე როგორც ავი სულების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი სასუალება⁷⁵¹.

ბადეს მესხეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იყენებდნენ ბავშვისა და მელოგინე ქალის ავი სულისაგან დასაცავად, რადგან „ბადისა ეშინია ყველას და ყველაფერს, ყოველგვარ სულიერსა და უსულოს. თუ ღმერთია, ეშმაკიც არის და ეშმაკს კი ყველაზე მეტად ბადისა ეშინია“. ბავშვს გადუფენდნენ ბადეს აკვანზე, ან გააფენდნენ ბადის ნაჭერს იქ, სადაც ახალშობილი იწვა. „სადმე ბავშვი რო მიგყავდეს, ჩაუდე ბადის ნაჭერი და წაიყვანე, არაფერი მოუვა“. ბადის ნაჭერს აფენდნენ შესასვლელ კართან, ერდოზე და საერთოდ სადაც კი შეიძლება „თვალი მოხვედროდა“ და „ავსული დასცემოდა“. ბადე, აუცილებლად ნახმარი, წყალში ნამყოფი უნდა ყოფილიყო. რაც უფრო ძველი იყო ბადე, მით უფრო დიდი ძალა ჰქონდა.

ბადის დაჭერას და ნუსხას თილისმად ხმარობდნენ ლაზებიც. „თევზაობის დაწყებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა ცრუმორწმუნეობა. თევზის ჭერის დაწყების პირველ დღედ არჩეულია „საპატონი“ (შაბათი). გააკეთებდნენ „ნუსკას“ (ნუსხა, შდრ. ხოლიხი ხოლიკი—მ.ბ.) და ნავში დამალავდნენ ისე, რომ არავის არ ენახა. ამით ვითომ ბევრ თევზს დაიჭერდნენ“⁷⁵². ნუსკას, ნუსხას „ნუსქასაც“ უწოდებდნენ ლაზები⁷⁵³.

⁷⁵⁰ ქ. მირიანაშვილი, სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XXIII, თბ., 1987, გვ. 232.

⁷⁵¹ ქ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 232-236, სადაც დამოწმებულია ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

⁷⁵² გ. ვანილიში, ა. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

⁷⁵³ იქვე, გვ. 126.

ბადეს ავი სულებისაგან დაცვისათვის, ეტყობა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის „ბადეობას“, ე. ი. თვლები რომ ჰქონდა და ნასკვები, რითაც უკავშირდებოდა თვლები ერთმანეთს. აგრეთვე, მთავარი იყო „სიმრაგვალე, ანუ წრე“⁷⁵⁴, რომელიც „თავისთავად აღიქმებოდა, როგორც ისეთი ძალა, ან საზღვარი.

საერთოდ, ბადის ქსოვიდან დაწყებული, თევზჭერით დამთავრებული, თევზაობა მისტიურ გასაიდუმლოებულ საქმედ ითვლებოდა და ერთი უწყვეტი ჯაჭვი იყო მესხთა სულიერ წარმოდგენათა სფეროში.

მტკვრის მონაკვეთები და მისი შენაკადები დაყოფილია თევზის ჭერის სხვადასხვა სახეობის მიხედვით სხვადასხვა ნაწილებად. სადაც ნავტიკით დაიჭირება თევზი, იქ ფაცური არ ჩაიდგამბა. საოჩხე და საბადურიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მდინარის ხეობაში, მისი მონაკვეთის ტოპონიმი-სახელდება განპირობებულია თევზჭერის, მისი სამეურნეო სარეწი დანიშნულებით.

თევზის სახეობათაგან მესხეთში აღსანიშნავია:

1. *გველთევზა*. წვრილი და გრძელი, შავეთერი ზოლებით თევზია. ამკარაა, რომ გველთან მსგავსების გამო შეერქვა სახელი.

2. *თეთრა/თეთრანა*. ჰქვია წვრილ თეთრ თევზს. სახელი შედარებით ახალი დარქმეულია; ჩანს, შეერქვა იგი ფერის გამო. უპირისპირდება ძირითადად შავს. მართალია, შავ თევზის სახელი ცალკე გვხვდება, მაგრამ ამაჯერად უპირისპირდება ლორჯოს ფერს, რადგან ანკესით იჭირება ორივე. შავა (თევზის სახეობა) ანკესზე და ამ პირობებში არ მოკყვება. თეთრა შეიძლება იყოს ნაფოტაც, გველთევზაც და სხვა.

3. *კალმახი*, იცის მთის წყლებში. მტკვარში საკმაოდ დიდი იზრდება. კალმახი გვხვდება წითელ და შავწინწყლებიანი.

4. *ლოქო* ძალზედ იშვიათად, მაგრამ მაინც არის მტკვარში. ახალციხელი მეთევზეების თქმით, ლოქო გამოდის წყალდიდობის დროს *საჭარნეში* (იხ.)

საქართველოს მტკნარი წყლების ბინადარია ლოქო და ამიტომ არის მოულოდნელი მტკვრის ზედა წელში მისი გამოჩენა. „იგი არ არის გუნდური თევზი, პირიქით, ცალკეულ ეგზემპლიარებად დაცურავს. ბინადრობს ღრმა დამდგარ ადგილებში. გარდა თევზებისა, მის კუჭში ნახულობენ თითქმის ყველაწაირ ცხოველებს“⁷⁵⁵. ამიტომ, სინამდვილესთან ახლოა მეთევზეთა მტკიცება, რომ *ციმ-*

⁷⁵⁴ ქ. მირიანაშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 236.

⁷⁵⁵ ლ. გელაშვილი, *სუბრები თევზებზე*, თბ., 1982, გვ. 43.

ბირის მოსახვეუთან ახალციხე-ასპინძის გზაზე, რუსთავამდე მლო-რედ მომდინარე მტკვრის მონაკვეთში, სადაც კლდის ქვეშ ღრმად შედის წყალი, ბინადრობს ორი დიდი ლოქო. ასევე, შემთხვევითი არ არის მტკიცება, რომ მართალია ადგილს *საჭარნო* ჰქვია, ე. ი. ჭანარი ჰყვება აქ, მაგრამ ლოქოც გამოდის ხოლმე.

5. *კარჩხანა*. თეთრი, პრიალა, ვერცხლისფერი თევზია, „ქერ-ტლიანი“. ბასრი ფხა აქვს, იზრდება 2 კილომდე.

თევზთა სახელდება, გარდა ფერისა (თეთრა, შავა, წითელი თევ-ზი და სხვა), შეიძლება მისი ქვირითობის გამოც მოხდეს. „კუერცხის—დაძმელი, მეკუერცხე ზოგადი სახელი ჩანს თევზებისა, რომლებიც კუერცხებს ღებენ (ქვირითს ყრიან). ეს კლასი ცხოვე-ლებისა უპირისპირდება ცხოველთ — მშობელთ, ცოცხალი არსების მშობელთ“⁷⁵⁶.

მეგრულად „კარჩხ-უა“—ქვირითის დაყრა, „ი-კარჩხ-ან“-ს ქვი-რითს ყრის. მთიან სამეგრელოში არის მდინარის მონაკვეთი, რო-მელსაც ო-კარჩხ-უ-ემ-ი, ე.ი. ქვირითის დასაყრელი ადგილი ჰქვია⁷⁵⁷. როგორც უკვე აღინიშნა, თევზი ქვირითს ამოჩემებულ ადგილზე ყრის და ამ ადგილს მესხურში სათხარი ჰქვია. ხოლო როდესაც „თევზი ქვირითს ყრის, მუნზეა“.

„კარჩხ“-ს დაერთო „თევზულთა“ მაწარმოებელი—ან -ა და მი-ვიღეთ კარჩხანა. კარჩხანა დამოწმებული აქვს საბას, დ. ჩუბინაშ-ვილს.

6. *ლურჯა/ლურჯი*. იზრდება სამ კილომდე. ბინადრობს ქვიან, ჩქარ ადგილებში. ფერი აქვს ლურჯი. სილურჯე განსაკუთრებით გამოიკვეთება ხოლმე მოხარშვის დროს. სახელი, როგორც აშკა-რაა, ფერის გამო აქვს შერქმეული.

7. *ნაფოტა* წვრილი თევზია და ბრტყელი. ბინადრობს მდგარ წყალში. უფრო ტბის თევზია, მაგრამ მტკვარშიც „გუბელა“ ადგი-ლებში იცის. სახელი სიბრტყის გამო აქვს შერქმეული—ნაფოტის მსგავსი.

8. *საზანი*. წააგავს კალმახს. კალმახს ფხა არა აქვს შუაწელის გარდა. საზანს წინწკლები არა აქვს და შედარებით ბრტყელია.

9. *ღვანა* (ლორჯო). ღვანას მეორენაირად ლორჯო ჰქვია. მა-ტარა თაემსხვილი შავი თევზია. მთის წყალში არ იცის. ბინად-რობს ძირითადად მტკვრის ნაპირებში ლამიან ადგილზე. *ღვანა* ერთადერთი ფორმა იცის მესხურმა (სამცხურმა და ჯავახურმა).

⁷⁵⁶ ი. ქერქაძე, *ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში*, თბ., 1974, გვ. 199.

⁷⁵⁷ კარჩხანასა და ციმორას შესახებ მაგალითები მოგვაწოდა პ. ცხადაძე

„ლორჯო“ შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერლებმა. საბოლოოდ ლორჯომ განდევნა კიდევ ღვანა.

ღვანას ფონეტიკური ვარიანტი ღონა აქვს განმარტებული საბას: „ღონა (თევზ.)—ლორჯო ჰქვია“⁷⁵⁸. დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: ღოჯა პატარა ლოქო⁷⁵⁹.

ლოჯა და ღონა სინონიმებია დ. ჩუბინაშვილისათვის, რადგან ღოჯაზე უთითებს „ღონა თევზს“. ლორჯო კი ცაკლკე აქვს განმარტებული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ღვანა და ღონა ვარიანტებად არის შეტანილი. დამოწმებულია საბა და დამატებული აქვს „კუთხური ქართლური“. მხოლოდ ღვანა ფორმას იცნობს ჯავახური დიალექტი⁷⁵⁹.

ღვანას ჩვენ ვშლით შემდეგნაირად: ღვა-ან-ა, სადაც ღვა არის ღოვა მგერულად, ხოლო -ან სუფიქსის ა დაკარგულია. ღვანა გამორჩეულად „ლოყიანია“, ლაყურებგაბერილი და შემთხვევითი არ არის მისი „პატარა ლოქოდ“ და -ГОЛОБА-ად განმარტება.

ქართლულ დიალექტში შესული უნდა იყოს მესხურიდან.

ლორჯ — ფუძე გაფორმებულია -ა ელემენტით, რომელიც, ჩვეულებრივ, „თევზულს“ აფორმებს (შდრ. თეთრი-თეთრა; შავი-შავა; ლურჯი-ლურჯა). ასიმილაციის ნიადაგზე გვაქვს მიღებული ო. ე. ი. ღორჯა→ლორჯო. თევზის სახელად ღორჯა ფორმის დ. ჩუბინაშვილისეული განმარტება, ნათელყოფს აზრს, რომ ღორჯა→ლოჯა, რომ ღორჯ→ლოჯ ფუძეთა დაკავშირება სწორია და -ო დაბოლოება მომდინარეობს -ა საგან.

10. შავა/შავი. ამ თევზს ქართლში ხრამულს ეძახიან. შავაც თითქმის თანატოლია ლურჯასი. სახელი ფერის გამო შერქმევია. მართალია, ისეთი აშკარა შავი არ არის, როგორც ღორჯო, ან ლოქო, მაგრამ ლურჯასთან შედარებით „შავია“. შავი ფერი ძირითადად გადაჰკრავს ტუჩებზე და ზურგზე.

11. ციშორა. აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ტუჩები, მცირე, რქასავით წვერები. თავწვრილი და გრძელი თევზია. იზრდება 1 კილოგრამამდე.

ქვირითის დაყრას უკავშირდება მგერული სიტყვა ციმა, რაც კარჩხუას სინონიმი ჩანს (ციმა—თევზის წასვლა ქვირითის დასაყრელად); უფრო ზუსტად, „გაზაფხულზე ქვირითის დასაყრელად შედარებით თბილი შენაკადებისაკენ თევზის ჯგუფურად მოძ-

⁷⁵⁸ დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბ., 1984.

⁷⁵⁹ გ. ბერიძე, *ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა*, თბ., 1981, გვ. 137.

რაობას მეგრულში ციმა „კენა“ ეწოდება⁷⁶⁰. გეოგრაფიულ სახელებად მეგრულში გვხვდება ამ ზმნისაგან ნაწარმოები მომავალი დროის მიმღეობა ოციმუე. პ. ცხადიას მოჰყავს მრავალი მაგალითი მდინარის მონაკვეთებს რომ ჰქვიათ: ოციმ, ოციმე, ოციმუ, ოციუმ, ოციმუ, ოციმლალ და სხვა⁷⁶¹. შესაძლებელია სწორედ ციმა იყოს ციმორისათვის ამოსავალი, სადაც ორ სუფიქსი ჩანს, ხოლო ა თევზეულთა მწარმოებელი.

12. *წვერა* ციმორას მსგავსია, მასზე პატარა ტუჩები აქვს და გრძელი წვერები. იზრდება 800 გრამამდე. თუ ციმორა მტკვარში ბუდობს, უყვარს ჩქარი ადგილები, წვერა ძირითადად ხეულელებში იცის, ქვის ქვეშ. სახელი გრძელი წვერების გამო შერქმევიან.

წვერა და *მურწა* ერთი და იგივეა. წვერას ძირითადად დასავლელები ეძახიან (იმერლები) და მათ გადმოსახლებასთან არის დაკავშირებული ამ სახელის გავრცელება. ადგილობრივნი ეძახდნენ მურწას. შეიძლება ყოველგვარ ბაღეს მოჰყვეს, მაგრამ ძირითადად მასზე სასროლი ბადით ნადირობენ. არსებობს განსხვავებული აზრი: „მურწა საქართველოს მტკნარი წყლების ყველა თევზებიდან ყველაზე გემრიელია. იგი ბინადრობს მხოლოდ მტკვარში. მურწას სხეული, მრგვალია, ცილინდრული, საკმაოდ მსხვილი და ხორციანი ტუჩები აქვს. ლიახვის მიდამოებში მურწას ციმორას უწოდებენ⁷⁶². მესხეთში მურწა, წვერა და ციმორა არ აირევა ერთმანეთში. საერთოდ ეს თევზები სამივე ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ციმორა თავისი გამორჩეული ტუჩებით ცალკე დგას.

13. *წითელი თევზი*. შავას ტოლია, ფორმითაც მას ჰგავს, ოღონდ მუცელზე და ფარფლებზე გადაჰკრავს ოდნავ წითელი ფერი.

საზგასასმელია ერთი გარემოება, რომ წითელი თევზი, ე.ი. ისეთი თევზი, როგორც ვთქვამთ, ზღვაში იცის, მთლიანად წითელი, მტკვარში არ გვხვდება.

კალმახი ბევრად უფრო „წითელია“, ვიდრე წითელი თევზი, მაგრამ სახელი მაინც ამ თევზს შეერქვა ფერის გამო. ფერთა მიხედვით დიფერენციაცია, როგორც ჩანს, „ადგილობრივია“, რადგან შავიც, ლურჯიც და წითელიც იმდენად უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ უცხო თვალისათვის შეუმჩნეველია.

⁷⁶⁰ პ. ცხადია, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

⁷⁶¹ პ. ცხადია, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

⁷⁶² ლ. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48.

14. *ჭანარი* მესხეთის მდინარეების ყველაზე დიდი თევზია. დაუჭერიათ 24 კილოგრამამდე. მუცელი აქვს მთლად თეთრი. ტანზე აყრია კოპლებივით შავად.

15. *ჭიჭყინა* წვრილ თევზს ჰქვია, რომელსაც ბადე არ იჭერს. ჭიჭყინა არ იზრდება. სახელი დარქმევია გადატანითი მნიშვნელობით. მოუსვენარი, სწრაფი თევზია, მოუხელთებელი. ამ ბოლო დროს მას მეორე სახელიც შეარქვეს— პანიკიორი. პანიკიორს ძირითადად ყინულის მოჭრისას შეხვედრილ ჭიჭყინას ეძახიან. სხვა თევზები გროვდებიან ერთად. არ ეცდებიან ბადის მხარეს გაქცევას. პანიკიორი კი „პანიკაშია და პირველი გარბის“.

16. *გოჭა 7-8 კგ*-მდე იზრდება. ღრმა ადგილებში იცის ლოქოსავით. სახელი შერქმეული უნდა ჰქონდეს სიდიდისა და სიმსუქნის გამო. დასავლეთ საქართველში კობრს, ხოლო გურიაში გოჭაკობრიას უწოდებენ; „თევზია ერთგვარი, მცირე ზომისა, მუქი რუხი ფერისა, დაყვება პატარ-პატარა წინწკლები... სიგრძე 25-40 სმ, წონა 250-300 გრ. ძალზე გემრიელია, ძირითადად ანკესით იჭირება“⁷⁶³. ასევე წვრილი თევზებია გოჭალა, გოჭკობრა და გოჭწითელა. ხოლო მესხეთში გოჭა გამორჩეულად დიდი თევზია. ამ სახელის თევზები, როგორც ენახეთ, დასავლეთში ბევრად უფრო პატარა ზომისანი არიან.

17. *შეთვალა* ბრტყელი, განიერი მუცლით, თეთრი თევზია. თურქეთიდან თევზების გამომყვანია; როგორც თხა წაუძღვება ცხერების ფარას, ისე მიუძღვის თევზებს შეთვალა.

18. *ორაგული*. მეთევზეთა ნაწილი კატეგორიულად მიიჩნევს ორაგულად ლურჯწინწკლებიან კალმახს, რომელიც დიდი იზრდება. ორაგული ბევრია საღამოს ტბაში. „32 კილოგრამამდე იზრდება ორაგული, მინამის ქვევიდან რო იყოფოდა მტკვარი, ერთი ტოტი მოწყვიტეს, უბეში შერჩა ორაგული, ბადით ასეთ თევზს ვერ დაიჭერ, თოკით დავაბით, ზედ შევჯექი. ამ ტოტის მოწყვეტით ტონა ნახევარი თევზი დავიჭირეთ.“

19. *ღორთევა* ფოცხოვში ოდითგანვე გავრცელებული პატარა თევზია, თავი დიდი აქვს და მუცელი, ხორცი—თეთრი, გემრიელი, დაჭერის დროს იკბინება.

მეთევზეობის ლექსიკის („თევზეული“) განხილვა წარმოქმნის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა. ძნელია გაიმიჯნოს ამ შემთხვევაში სემანტიკა და სტრუქტურა, რადგან მწარმოებლები ქმნიან თავისებურ სემანტიკურ გარემოს. -ა- სუფიქსი

⁷⁶³ ზ. კუტალიევილი, *მეთევზეობა*, ხელნაწერი, გვ. 288.

შეიძლება იყოს მასუბსტანტივებული ელემენტი. -ან, ვთქვათ, კინობითობის მაწარმოებელი, მაგრამ ამავე დროს, -ან-ა შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა ფუნქციით (იხ. ქვემოთ).

უმნიშვნელოვანესია ფაქტი, რომ -ან-ა მაწარმოებელი გამოირჩევა ექსტრა-თანამედლოვეობით და, ამასთანავე, უძველესი ფუნქციით.

„თევზეულთა“ წარმოქმნა ახლოს დგას საკუთარ სახელთა წარმოქმნასთან. ამ დონეზე ზოოჯიშები შეიძლება განვიხილოთ ონომასტიკაში. -ა სუფიქსი განსაკუთრებით პრაქტიკულია თევზთა ჯიშების თუ სახელების წარმოებისას⁷⁶⁴.

-ა სუფიქსს რამდენიმე ფუნქცია გააჩნია. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა აკ. შანიძის მოსაზრება: -ა სუფიქსი „გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა, ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი), სელ-ა (სელის ფერი; სელი-ჭვავი), შვინდ-ა (შვინდის ფერის), ღვინ-ა (ღვინის ფერი)“⁷⁶⁵.

პარალელი ივლება საკუთარ სახელთა, კერძოდ, ანთროპონიმთა წარმოებას და ჩვენ მიერ დასახელებულ თევზის ჯიშებს შორის. მაგალითად, გვარები-ყვითელაშვილი, თეთრადე, შავადე, წითელაშვილი, (შდრ. წითლანადე). მოდის წარმოქმნილი სახელებისაგან, შესაბამისად—ყვითელა, თეთრა, შავა, წითელა, -ა სუფიქსი ყველა შემთხვევაში მიუთითებს არა მხოლოდ მსგავსებაზე, არამედ ქონებაზეც. ყვითელი ფერის მქონე ადამიანს შეარქვეს ყვითელა. გამოირჩეულად თეთრი ფერისას -თეთრა, შავს—შავა და სხვ. ასევე, ლურჯი ფერის ცხენს — ლურჯა. თევზეულთა სახელები ამჟღავნებს ადამიანთა სახელებთან კავშირს სწორედ იმიტომ, რომ თევზეულთა აღმნიშვნელი სახელებიც „საკუთარია“. აღნიშნავს ერთი ჯიშის, მოდგმის თევზის სახელს. თანაც ფერები არც ისე ბევრია (იგულისხმება მარტივფუძიანი), რომ განსაკუთრებული მრავალფეროვნება გვიჩვენოს. რაც შეეხება ნაფოტას, ამ სახელის შესახებ სპეციალურად მსჯელობს მ. ტუსკაია: „თავდაპირველად ეს სახელები (იგულისხმება საზღვრულ დაკარგული მსაზღვრელები — მ. ბ.) მსაზღვრელებად გვევლინებოდნენ: შრიალა ხე, ნაფოტა თევზი... ასეთ შემთხვევაში „შრიალა“, „ნაფოტა“ მსაზღვრელია, — ა მსგავსების აღმნიშვნელი სუფიქსია, ე. ი. ნიშნავს: ნაფოტის

⁷⁶⁴ მ. ტუსკაია, *სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებალბა საბლურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით*. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. წიგნი მეათე, თბ., 1983, გვ. 120.

⁷⁶⁵ მ. ტუსკაია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 121.

ნაფოტის მსგავსი თევზი. შემდეგ, როცა საზღვრულის გაგება მინელდა, მიიჩქმალა, სინტაგმის ცალად დარჩენილმა წევრმა (მსაზღვრელობა) იკისრა დაკარგული სუბსტანტივის შინაარსის გადმოცემატ.

მსგავსების, ქონების გამომხატველი — ა-ს რეინტერპრეტაციის საფუძველზე, ამ ა-ს მასუბსტანტივებელი ფუნქცია დაეკისრა⁷⁶⁶.

-ა სუფიქსის მასუბსტანტივებელი ფუნქცია საკუთარ სახელებში, ტოპონიმებში, ვრცელი ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ გაანალიზებული აქვს ფ. მაკალათიას: „-ა არის კინობითობის ან ქონება თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი, მას სხვა ფუნქცია აკისრია, კერძოდ, საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელის — ზელსართავ სახელს ან მიმღეობას აარსებითებს (ვთქვათ, რომელიმე შავა (შავი ცხენი)⁷⁶⁷. ავტორი აქვე სვამს საკითხს შავა წყალა, თეთრა ხევა ფორმის შესახებ, როდესაც -ა სუფიქსიც ახლავს მსაზღვრელს და საზღვრულიც. ამ შემთხვევას ფ. მაკალათია უწოდებს ზელსართავი სახელის გაარსებითების გარდამავალ საფეხურს⁷⁶⁸.

ასეთი გარდამავალი საფეხური, კარგად ჩანს, თევზეულთა სახელებში. თეთრა, შავა, წითელა, ლურჯა პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს თეთრა თევზი, შავა თევზი, წითელა თევზი, ლურჯა თევზი. უფრო მეტიც, მეთევზეობისაგან შეიძლება გავიგოთ: თეთრი თევზი, ლურჯი თევზი, შავი თევზი და სხვა. ჩვენს შემთხვევაში გაარსებითების სამივე საფეხური ჩანს.

მართალია, თევზეულთა სახელები არ განიხილება საკუთარ სახელთა რიგში, მაგრამ ენათესავება მას, რადგან გვარის, ჯიშის „გამორჩევას“ აღნიშნავს.

-ან სუფიქსი კნობითობის მაწარმოებელია, ოღონდ დამოუკიდებლად არ გვხვდება. იგი აუცილებელ კავშირშია სხვა სუფიქსებთან, კერძოდ -იკ, უკ, უხ, უჭ, უტ, უც სუფიქსებთან.

-იკ-ან-ა (ტიტლიკ -ან-ა), უკ-ან-ა (ვაჭრუკ-ან-ა), უხ-ან-ა (ბებრუხ-ან-ა), უჭ-ან-ა (პარკ-უჭ-ან-ა), უტ-ან-ა (ჭუჭრ-უტ-ან-ა)⁷⁶⁹, ჩამოთვლილს შეიძლება დავუმატოთ უც-ან-ა, (გოგ-უც-ან-ა).

თევზეულთა სახელები -ა სუფიქსით წარმოების პარალელურად იწარმოება -ან-ა მაწარმოებლით: თეთრ-ან-ა, შავ-ან-ა, წითლან-ა,

⁷⁶⁶ იქვე, გვ. 121.

⁷⁶⁷ ფ. მაკალათია, *ფშავის ტოპონიმია*, I. თბ., 1976, გვ. 44

⁷⁶⁸ იქვე.

⁷⁶⁹ მ. ტუსკაია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 159-160.

თეორიულად შეიძლება დავუშვათ ლურჯ-ან-ა, გვზღება ფორმა წვერანა⁷⁷⁰.

-ან-ა სუფიქსებით წარმოდგენილი თევზულთა სახელები ერთი შეხედვით ახალი ჩანს, ახალგაზრდების მეტყველებაში სჭარბობს, მაგრამ უკვე ზემოთ ვარჩენთ, -ან-ა „თევზულთა“ მაწარმოებელი ჩანს უძველესი დროიდან, რადგან ქართველური ფუძეები შეესისხლხორცა. კარჩხ-ან-ა და ღვა(ა)ნ-ა ამის მაჩვენებელია.

კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება საკუთარ სახელებთან. გვარი წითლანაძე ისევეა ნაწარმოები, როგორც „თევზულთა“ სახელები. ქართულში ფერის მიხედვით მიღებული გვაქვს სხვა გვარებიც: თეთრანძე, შავანძე და სხვა. თეორიულად შესაძლებელია თეთრანაძე, შავანაძე და სხვა. იგულისხმება, რომ თევზულთა მაწარმოებელი წითლა, თეთრა, შავა, თავდაპირველად ადამიანის სახელები და მეტსახელები იყო. შემდეგ დაეღო გვარებს საფუძვლად. -ან-ა სუფიქსების ფუნქცია „თევზულელებთან“, ასევე, ალბათ გვარებთანაც, მხოლოდ ფერის მსგავსებით ან კინობითობის გამოხატვით არ ამოიწურება, რადგან სხვა ფუნქციისა ჩანს ეს სუფიქსები სხვა ფუძეებზე (ღვნა, კარჩხანა) და სხვა თვისებას, ერთ შემთხვევაში (კარჩხანა) და გამორჩეველობას (ღვნა თავის სიდიდის გამო) აღნიშნავს.

„თევზი“ ასევე აქტიურად მონაწილეობს ადამიანის სახელდებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია გვარი თევზანძე. თუ ამ შემთხვევაში თევზის ტოტემთან არ გვაქვს რაიმე კავშირი, კვლავ ფერი უნდა იყოს ამოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ თევზის ჯიშები ფერის მიხედვით შეიძლება იყოს დაყოფილი (თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი), თევზს მაინც აქვს თავისი ფერი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება რომელიმე შეიდფერთაგანი, არამედ ალბათ, რომელიღაც სხვა ფერი ვერცხლისფერს რომ ჩამოჰგავს. „თევზი“ ერთ შემთხვევაში ფერის აღმნიშვნელადაა გამოყენებული (ალბათ ივარაუდება „ნაცრისფერი... ვერცხლისფერი; მაგ. „ერთი მათგანი იყო შავი და მეორე ვერცხლისფერი“)⁷⁷¹.

ძნელი წარმოსადგენი კი არის თევზისფერი ადამიანი-თევზა (შრდ. სხვა ფერები), მაგრამ თუ შეიძლება იყოს კაცი ჟანგისფერი (შრდ. „კისერჩაჟანგებული“ -გრ. ორბელიანი), ან ცვილის ფერი, შეიძლება თევზის ფერიც დავუშვათ თეორიულად.

⁷⁷⁰ ლ. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

⁷⁷¹ ირ. ქერქაძე, *ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში*, თბ., 1974. გვ. 201-202.

მეთევზეობამ შექმნა თავისი სპეციფიკური ტოპონიმია. ორიენტირად გამოიყენებოდა, როგორც ორონიმი, ჰიდრონიმი, ისევე მიკროტოპონიმი. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ სად მიდიოდა მეთევზე და საიდან მიდიოდა. ახალციხიდან გასული მეთევზის ძირითადი ორიენტირები იყო მდინარე და დასახლებული პუნქტი; რადგან ახალციხე იყო ძირითადად წყალთა შესაკრებელი. ბუნებრივია, ყველაზე მეტად აქ უნდა ყოფილიყო დაწინაურებული მეთევზეობა, ამიტომაც სწორედ ახალციხეში იქმნებოდა მეთევზეთა ამხანაგობები, მათ ჰქონდათ დასაყრდენი სხვა რაიონებში, რომელთაც შეუამხანაგდებოდნენ ხოლმე. უპირველესად მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ წლის რომელ დროს თევზაობდა მეთევზე. ბუნებრივია, რომ ზაფხულში (გაზაფხულზე, შემოდგომით), როდესაც ცხელოდა, ერიდებოდა მეთევზე შორს გასვლას, ამიტომ ამჯობინებდა ახლომახლო თევზაობას და უფრო მეტად სასროლი ბადით ღაღიოდა. თავდაპირველად უნდა გარჩეულიყო, რომელ მხარეს წავიდოდა სათევზაოდ. საამისოდ ითქმოდა: მტკვარზე, ფოცხოვზე, ურავლის წყალზე თუ ქვაბლიანზე. მტკვარი რამდენიმე რაიონს გადის, ამიტომ შემდეგ ზუსტდებოდა, ვთქვათ, ასპინძაში. ასპინძაც ვრცელი მიდამო იყო და ვთქვათ — ვარძიაში. ხოლო შემდეგ მიენიშნებოდა უფრო მცირე ერთეული — ახჩია და ა. შ. მდინარის სხვადასხვა მონაკვეთზე იქმნებოდა თევზაობასთან დაკავშირებული სახელები. ორიგინალური, მეთევზური კუთხით ხასიათდებოდა ესა თუ ის მონაკვეთი მდინარისა.

ხშირ შემთხვევაში ადგილის სახელად ჩამოყალიბებულიც კი არ არის, სახელდება არ არის დასრულებული, გასარკვევია, მიმართება *ალექსანდრეს ჩქერსა* და *ტობის მღაროებს* შორის. გარკვეული აზრით, ორივე ჰიდრონიმის სახელია, მაგრამ *ტობის მღაროები* არის ცალკე ტოპონიმიც, ხოლო *ალექსანდრეს ჩქერი* მხოლოდ წყლის (მტკვრის) მონაკვეთია. ამასთანავე, ზოგიერთი სახელი მეთევზეთა თაობის წასვლასთან ერთად გაქრება, ამიტომ ყველა შემთხვევაში საჭიროა მათი დაფიქსირება.

რადგან მეთევზეები, ძირითადად, თევზაობის დროს (სასროლი ბადით) მდინარეს აღმა შეუყვებიან ხოლმე, გადაეწყვიტეთ ცენტრად აგველო ახალციხე და შევეყოლოდით მდინარეებს თევზჭერის ხერხებითა და სათევზაო ადგილების ჩვენებით.

ურავლის წყალზე (*ურაველაზე*, *სატალოის წყალზე*) სათევზაოდ წასვლა გადაწყდებოდა მაშინ, როდესაც უნდოდით კალმახისა და მურწას დაჭერა. ურაველა სათავეს იღებს დღევანდელ თურქეთში და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან

მინაძესთან. კალმახი იმდენად ნიშანდობლივი იყო ამ მდინარისათვის, რომ ახალი სათევზე მეურნეობების შექმნის დროს საკალმახეები სწორედ აქ გაკეთდა და მას ზემოჩამოთლილ სახელთა გარდა კალმახის წყალიც ერქვა⁷⁷².

კალმახი და შურწა მტკვარსა და ფოცხოვშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ იშვიათად.

ურავლის წყალზე მცირე ზომის საკალმახე ბადით მიდიოდნენ. კალმახის ბადე პატარაა, მაგრამ მძიმეა. კალმახის წყალი ჩქარია, კალმახიც სწრაფია და ამიტომ ბადის კალთამ სროლის შემდეგ უნდა მოასწროს გაქცეული თევზისათვის დახვედრა, ამიტომაც კალმახის ბადეს მძივებად 50 გრამიანი ტყვიები აქვს. კალმახზე ნადირობის დროს მებადური წყალში არ შედის, ნაპირიდანვე, ზემოდანვე ესვრის და თოკით გამოსწევს (ბადის ზემოდან სროლა მცირე მდინარეებისათვის არის დამახასიათებელი), რადგან კალმახი და შურწა სწრაფი თევზებია, რომ შეხვიდე წყალში ვერ ასწრებ ბადეობას, ჩქარ მდინარეს მიაქვს ბადე.

მტკვრიდან *ფუნღამღე* (მუსხის ხილამღე) სათევზაო ადგილებს *მღაროები* ჰქვია. ეს არის 3—4 კმ მანძილი. ურავლის წყლის მარჯვენა ნაპირზე არის გამოქვაბულები (მღაროები). ტოპონიმური აღწერის დროს ტოპონიმად ჩვენ ჩაიწერთ მღაროებს, მიუვითებთ მათ მღებარეობას, მაგრამ მეთევზისათვის მღაროები (მღაროების მონაკვეთი) წყლის მონაკვეთია. მღაროებშიც გამოიყოფა მონაკვეთი, რომელსაც წყარო ჰქვია. წყარო ურავლის წყლის მარცხენა ნაპირზეა, გზის პირად და მის წინა ადგილზე წასვლა მეთევზისათვის არის წყაროსთან წასვლა. ამ დროს წყარო სხვაა და წყლის მონაკვეთი სხვაა.

ურავლის ხიდიდან (ფუნღიდან) ნასოფლარ *კანტიეთამღე* მონაკვეთს *კამენდატურას* ეძახიან. ამ მონაკვეთზე მთავარი პუნქტი იყო მესაზღვრეთა კომენდატურა. იქ მხოლოდ საშვით შეიძლებოდა შესვლა. მთელ ამ ტერიტორიას მეთევზე კამენდატურად მოიხსენებდა. ხოლო მის ზემოთ *გიორგიწმინდის ვაკეს* უწოდებდნენ. გიორგიწმინდა ნასოფლარია, ვაკე წყლის, მდინარის მონაკვეთია. ამ შემთხვევაში სახელდება მოხდა სხვაგვარი გამორჩევითობით. *გიორგიწმინდის ვაკის* ზემოთ ბადით თევზაობა შეუძლებელია, ლოდნარია, ამიტომ ხელით უნდა დაიჭირო, ქვის ქვეშიდან გამოიყვანო. აქ კალმახის ხელით საჭერი, სახელაო ადგილებია. *აგარის ხიდიდან ტრიბონამღე* 3 კმ-ია ასევე მოიხსენიება სათევზაოები,

⁷⁷² გ. ბოჭორიძე, *მოე ზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, თბ., 1922, გვ 16.

რადგან მდინარეზეა აგარის ხიდი, მიუხედავად იმისა, რომ ნასოფლარი აგარა საკმაოდ შორს არის აქედან, ხოლო ნასოფლარი ტრიბონი ზედ მდინარის მარცხენა ნაპირზეა. ბოლო სახელაო ადგილი ურავლის წყალზე არის ტიბეტი თურქეთის საზღვარზე. ამ სახელის სოფელი იყო ერთ დროს აქ.

ერთ-ერთი კალმახის წყალი სათავეს იღებს თურქეთის საზღვრებიდან, ჯინჭრობიდან ჩამოდის ჭობარეთში...

ასევე კალმახის წყალი ჰქვია მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ეშმაკის ციხიდან, გამოივლის ციხის ძირს, წინუბნის აბანოებს, გურკელს, წინუბანს და აგარასთან ერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

სოფელ თისელშივე იღებს სათავეს კალმახის წყალი და უერთდება მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან. ამ წყალში მტკვრის თევზი ღურჯა და ციმორა შედის გასამრავლებლად.

როგორც ვხედავთ, თევზი, მისი ჯიშის სახელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰიდრონიმთა სახელდებაში.

ასევე კალმახი უღებს სათავეს ისტორიულ ციხეს — კალმახს, რომელიც სამცხე-საათაბაგოს „საჩინო“ ადგილთა აღწერისას ცალკე აქვს გამოყოფილი ვახუშტი ბატონიშვილს— „კალმახის ციხისთაჲს“: „ხოლო კუალად არტანუჯის მდინარის შესართაჲს ზეით, ჭოროხს მოერთვის თორთომის მთილამ გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსაველეთად. ამ ხევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პიტიახმთა, ღიდ-შენი, მაგარი და შეუალი, იყო საერისთაო ტაოსი“⁷⁷³.

ცნობილია ამ ციხის მნიშვნელობის ამბავი: „ამასვე ფამსა პიტიახმნი რომელნი არა შეუშუნეს კლარჯეთს, წარვიდნენ ნახევარნი ტაოს და აღაშენეს ციხე კალმახი და დაიპყრეს იგი“⁷⁷⁴. ტაოს კალმახის ციხე შემდეგ კალმახის საერისთაოს ცენტრად იქცევა: „შემდგომად ერისთავმან კალმახისამან და გრიგოლი ერისთავმან აწვიეს ბაგრატ“⁷⁷⁵. კალმახის ცნობილი ერისთავი და პატრონი არის სულა კალმახელი.

„დავითარში“ კიდევ ერთი კალმახი იყო, ოღონდ სოფლის სახელად ბარდუხის ნაპიეში⁷⁷⁶.

რა თქმა უნდა, არა ერთი კალმახი შეიძლება ყოფილიყო ისტორიულ მესხეთში, რომელიც იქმნებოდა საზღვრულდაკარგული

⁷⁷³ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 683.

⁷⁷⁴ იქვე გვ. 126.

⁷⁷⁵ იქვე გვ. 147.

⁷⁷⁶ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 598.

მსაზღვრელი: კალმახის წყალი → კალმახის წყლის → ციხე → კალმახის ციხე (ციხე კალმახისა) → კალმახი, საიდანაც მივიღეთ გვარი *კალმახელიძე*.

დღევანდელ ფოცხოვს ვახუშტი უწოდებდა ახალციხის წყალს⁷⁷⁷. ფოცხოვის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა და ის დაკავშირებულია ფრინველის სახელთან⁷⁷⁸. ფოცხოვზე თევზაობდნენ საშუალო სასროლი ბადით. ფოცხოვზე იჭერდნენ შავ თევზს (შავას), ციმორას, კარჩხანას, ნაფოტას, ლიფსიტას, ღვანას, ღორთევზას.

ფოცხოვი რომ მტკვარს ერთვის, შესართავიდან ზევით, ვიდრე ქალაქამდე, დღეს რომ ახალციხის სანაგვე ადგილებია, *ჭალას* ეძახიან. *ჭალა* მდინარის პირა სწორ ადგილს ერქვა. შეიძლება ყოფილიყო ტირიფებიც. დღეს აღარ არის. *ჭალის* სახელწოდებით მტკვარზეც იყო სათევზაო ადგილი ხიზაბავრის გომებს ქვეშ, ოღონდ მას *დათო* *ჭალას* ეძახდნენ, *ულის* *ჭალები* და სხვა *ჭალა*-ში სასროლი ბადითა და ყინულის მოჭრით თევზაობდნენ.

ფარება ერქვა მდინარის მონაკვეთს ახალციხიდან არლის ზიღამდე. *ფარება* ნასოფლარი იყო ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, სხვილისს ზევით 2 კმ-ზე.

ხოლო *ფარებიდან* ქვაბლიანის მხარეს არლის სათევზაოებია. არლის სათევზაოებს აქვს წვრილი ადგილები, აგრეთვე, *ულის* *ჭალები* და მის ზემოთ *ვარდოები*, *კახარეთ-ადიგენამდე*, *ადიგენი* და *მოზე*. ასე ჰყოფენ მონადირე-მეთევზეები ფოცხოვსა და ქვაბლიანს სათევზაო ადგილებად.

მტკვრის ეტიმოლოგია საკმაოდ ბუნდოვანია, მას *არტანულა-საც* უწოდებდნენ⁷⁷⁹. მტკვარს შეერთვის ხერთვისთან ჯავახეთის მტკვარი, რომელსაც სხვადასხვა დროს ერქვა აგრეთვე: *ფარავნის წყალი*, *თაფარავნის წყალი*, *ახალქალაქის წყალი*... ჯავახეთის მტკვარზე აქა იქ თუ ითევზაებოდა ანკესით და სასროლი ბადით.

მინაძის ქვევით, ვიდრე აწყურის მიდამოებამდე, მონადირეები *მშიერ რიყეებს* უწოდებენ. მშიერი რიყეები ნაკლებ თევზიანია. სახელი, როგორც ჩანს, წმინდად მეთევზურია და, მართალია, ამოსავალი რიყეა, მაგრამ მშიერი რომ არის, თევზის ნაკლებობის გამოა. მინაძიდან ძველ მუსხამდე *ტობის სათევზაოები* იყო, ერთ-

⁷⁷⁷ მ. ბერიძე, *ჯავახეთი (ტოპონიმიკურ ანალიზი)*, თბ., 1992. გვ. 26.

⁷⁷⁸ მ. ბერიძე, *ფოცხოვის ეტიმოლოგიისათვის*, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი თბილისის უნივერსიტეტის 75-ე წლისთავისადმი, ენათმეცნიერება, თბ., 1993. გვ. 12-13.

⁷⁷⁹ მ. ბერიძე, „*მტკვარი*“-*ჰიდროგრაფიული ტერმინი*, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994. გვ. 3-14.

ერთი ბარაქიანი თევსაჭერი. ეს ადგილები ოდითგანვე გამოირჩეოდა თევზჭერის მაღალი კულტურით, ამიტომ ოსმალს დროს გამოირჩეულად იბეგრებოდა (იხ. ზემოთ).

ტობის სათევზაოები იყოფა წვრილ-წვრილ სათევზაოებად და სახელებად: ახალციხიდან 8-9 კმ-ზე არის *წყვილი ლოდი*. წყვილ ლოდში შავი თევზი გამოდის ბლომად.

მე-11კმ-ზე არის *საჭარნე*. საჭარნეში აღიღებული წყლის დროს გამოდის ლოქო და ჭანარი. საჭარნეც იმიტომ ჰქვია, ნიშნავს ჭანარის ადგილს, წარმოქმნის დროს მეტათეზისიც მოხდა ნ-მ და რ-მ ადგილები გაცვალეს. საჭარნესთანვე არის *ციმბირი*, გზისა და მდინარის მონაკვეთი, რომელიც შემოზღუდულია გარშემო მთებით, მზე ვერ აღწევს კარგად და სიცვივის გამო შეერქვა სახელი. ციმბირში მტკვარი ყველაზე ადრე იყინება. აქ ხშირად ყინულისაგან ორივე ნაპირი ერთდება.

მუსხის ტერიტორიაზე მტკვრის მონაკვეთების სახელები მითითებული აქვს ს. ხოსიტაშვილს: „*ჰანტის ჭალა* (ძველად ამ მიდამოებში ბალები იყო გაშენებული) *ჰანტის ჭალის მორევი*, *ბალების მორევი*, *ლობლა* (მდინარე მტკვრის სანაპირო), *სატივე*“⁷⁸⁰. აქვე იყო *კაკლების მორევი*. მართალია, მკვლევარი ადგილს კონკრეტულად არ მიუთითებს, მაგრამ ყველა მინიშნება მტკვრის მონაკვეთები და მარცხენა ნაპირებია.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რუსთავამდე, სადაც ასპინძის რაიონის ტრაფარეტი დგას, ჩამოდის მცირე მშრალი დეღე, რომლის ახლო-მახლო მონაკვეთს მტკვრისას ჰქვია *ყაჩალების დეღე*. მეთევზეთა თქმით „ფაიტონებს ცარცვავენენ ამ ადგილებში და ამიტომ შეერქვა სახელი“. ყაჩალების დეღე სხვაც არის ასპინძის რაიონში⁷⁸¹.

ყაჩალების დეღეს *ლეკთა ზეესაც* უწოდებდნენ. მოვიყვანო 1930-იან წლის ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალას ჩვენთვის საინტერესო ადგილის შესახებ: „რუსთავს ქვევით არის *ღრმა დეღე*, რომელიც დიდერიან და ხშირ ეკლით არის დაფარული. იქ იმალებოდნენ ლეკები, ამიტომაც ახლაც *ლეკთა ზეეს* ეძახიან. მინდორზე რაკი ვინმე გამოჩნდებოდა, დაიჭერდნენ და *რუსეთში(!)* ჰყიდნენ. სწორედ ერთხელ პაპაჩემი და რამოდენიმე სხვანი წაუყვანიათ გაზაფხულზე. პაპაჩემი გამოქცეულიყო. პაპაჩემი რომ გა-

⁷⁸⁰ ს. ხოსიტაშვილი, *სოფელ მუსხის ტოპონიმები*, გვ. 63.

⁷⁸¹ მ. ბერიძე, *ჯაეახეთი*, ტოპონიმური ანალიზი, გვ. 102-103.

მოქცეულიყო, რუს მებატონეს ლეკებისათვის მოეთხოვა, ან ფული და ან კაცი მომიყვანო.

ლეკები წამოვლენ და ისევ მეორეთ დაიჭერენ და წაიყვანენ. პაპაჩემი ორ-სამ წელიწადს დარჩება. მერე ისევ გამოიქცევა. ამიტომაც პაპაჩემს *რუსეთელს* ეძახდნენ⁷⁸².

დაბა ასპინძაში მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან ერთვის მდინარე, გამომდინარე ბაკურიანის მთებს, მას ვახუშტი *ასპინძის ქვეს* უწოდებს, დღეს ეწოდება *ოთის წყალი* (სათავე სოფ. ოთასთან აქვს), მასვე ეწოდებოდა *თიზნე*, ამიტომ მდინარის შესართავის მიდამოებს მტკვარშიც თიზნეს უწოდებენ. აქვეა მტკვრის მონაკვეთი *იოკას ლაგები*. სახელი შეერქვა ამ მხარეში ცნობილი მეთევზის იოკა ბერიძის მიხედვით. იგი მალალი, გრძელფეხიანი კაცი იყო. აქაც ორი გრძელი ტოტი გადადიოდა და სახელიც ამიტომ შეერქვა. თიზნეს ზევიდან *საბანაოს მორევი* ჰქვია. დღეს მორევი აღარ არის, მაგრამ სახელი შერჩა ამ ადგილს. აღარც კალოებია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მორევს ზევიდან *ერეკლეს ნახილარამდე*, სადაც კოლმურნეობის ჯერ ყანები იყო და შემდეგ ბალები, დღეს უკვე დასახლებაა და უბანი, მაგრამ მტკვრის ამ მონაკვეთს *კალო//კალოები* ჰქვია.

ერეკლეს ნახილარის ბურჯი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დღესაც დგას ნიშნად ერეკლე II მიერ გადახდილი ომისა და გადახერხილი ხიდისა. ამ ადგილს საბანაოს და სათევზაოს *ერეკლეს ნახილარი* ჰქვია.

სოფ. ნიჯგორის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირი *ქუნცელებისა* იყო და *სიღები* ერქვა, ხოლო მის შეყოლება სოფ. აწყვიტის დღევანდელ უბანს *ქაცხელოები* ჰქვია, ასევე ერქვა მტკვრის მარცხენა ნაპირს.

მეთევზეობის ლექსიკის შესწავლა მესხეთში დღევანდელ ეტაპზე იქნება არასრულყოფილი, რადგან (სამცხური და ჯავახური) არ ასახავს ბოლომდე შინაარსს და გეოგრაფიას იმ დიალექტისას, რომელიც გავრცელებული იყო ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ვიდრე დღეს არის. დღევანდლამდე მოღწეული ისტორიული თუ ეთნოგრაფიული (დიალექტური, მით უმეტეს) მასალა მეტად მწირია საიმისოდ, რომ ჩვენ ბოლომდე შევისწავლოთ ამ უძველესი კუთხის მეთევზეობის ლექსიკა, რომელიც მხოლოდ ნამსხვერეების სახით არის შემორჩენილი ჩვენამდე, რადგან მეს-

⁷⁸² სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი. ვ. სულაძის ხელნაწერი №4001, გვ. 1-2.

ხეთის ისეთი პროვინციები, როგორცაა კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, ტაო, არტაანი და სხვა დღეს თურქეთშია, ამიტომ იძუ-

ლებული ვართ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდის გზას დავადგეთ. ეს ვარაუდი ისტორიულ წყაროებზეა დაყრდნობილი. კერძოდ, მესხეთი გადაჭიმული იყო ტაშისკარიდან და ფარავნიდან შავ ზღვამდე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არსებობდა ერთიანი დიალექტი ქართული ენისა. ამ დიალექტის ნარჩენებს ვსწავლობთ დღეს. სავარაუდებელია, რომ მეთევზეობის ლექსიკა ვრცელდებოდა მთიდან ბარისაკენ, რადგან ჩვენ მიერ განხილული თევზთა სახეებიდან და თევზაობის ხერხები თუ საშუალებანი მდინარეებს და ზოგ შემთხვევაში ტბებს შეეხებათ და თუ რომელიმე თევზჭერის ხერხი ან რომელიმე თევზის სახელი ბარშიც გვხვდება, ზღვაზე ან მდორე მდინარეებში, ის მთიდან ჩამოტანილი უნდა იყოს და ბუდე მათი წარმოშობისა სამცხე-ჯავახეთში, კოლა-არტაანში, ერუშეთში, შავშეთსა და კლარჯეთში უნდა ვეძებოთ. სწორედ ისტორიულად აღნიშნული ტერიტორია ანუ მესხეთი არის ის ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო ქართულ-ზანური სიტყვათწარმოქმნის საშუალება. კერძოდ, ქართულ ფუძეს დართვოდა ზანური სუფიქსი (მდრ. -არ სუფიქსის შესახებ ზემოთ) და ზანური ფუძეს – ქართული სუფიქსი (ღვანა, კარჩხანა...).

ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, ოჩხე რომელიც ლოკალური გავრცელებულობით გამოირჩევა. ოჩხეს აკეთებდნენ ძირითადად მესხეთში. შეუძლებელია ოჩხე, როგორც თევზჭერის ერთ-ერთი საშუალება, სხვაგან – მთაში ან ზღვაზე გაჩენილიყო, რადგან მას სჭირდება შესაბამისი ხელშემწყობი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები (იხ.)

ამასთანავე, გვინდა მივუთითოთ თევზის კიდევ ერთ სახეზე. კერძოდ ჭანარზე, რომლის დაყოფაც შეიძლება შემდეგნაირად ჭანარ-ი, სადაც ჭან-ფუძე ეთნონიმი, ხოლო -არ სუფიქსი, -ურ (-ულ) სუფიქსის ბადალი და მიუთითებს წარმომავლობით კუთვნილებას, ნიშნავს ჭან-ურ-ს, ისევე როგორც ხრამული ნიშნავს მდინარე ხრამის თევზს და სადაც ულ(-ურ) არის ასევე წარმომავლობითი კუთვნილების ფუნქციით, ოღონდ ხრამი მხოლოდ ჰიდრონიმი ჭანისაგან განსხვავებით.

მესხეთში მეთევზეობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინოლოგიის (მოსა ბადე, ხოლიხი...) ზოგიერთი სიახლოვე ლაზურთან ანუ ჭანურთან საინტერესოა და მრავალი ფაქტორით უნდა იყოს განსაზღვრული. მესხეთის სიახლოვე ზღვასთან („ტაშისკარიდან

ვიდრე ზღუამდე“) სხვადასხვაგვარად აყენებს ამ პრობლემას. ლაზეთისა და მესხეთის უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ისტორიულად ვიდრე დღესაა. მაგ. სოფ. ჩუნჩხაში არის ლაზის მკვარეობი. ამ სახელის წარმოქმნა უეჭველად არის დაკავშირებული ლაზი ოსტატების სახელთან. ადგილობრივთა მტკიცებით, ლაზებმა, რომლებიც მანამდე მშენებლობაზე მუშაობდნენ სოფელში, წაიღეს ჩუნჩხის ქვაბულიდან განძი და ამიტომ დაერქვა ლაზის მაღაროები. ცნობილია, რომ ლაზები საშოვარზე, სამუშაოდ მოდიოდნენ მესხეთში. „ლაზეთის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მეთევზეობა და ხელოსნობა. იგი დაკავშირებულია სამუშაოდ სხვა მხარეში გამგზავრებასთან. ამას ლაზები „კურბეთს“, საშოვარს უწოდებენ, რაც ნიშნავს შორეულ მგზავრობას მოგებისათვის.

ამ მიზნით ლაზები ყოველწლიურად აწყობდნენ ჯგუფურ მგზავრობას, რომელშიც შედიოდნენ მეთევზეები, მენავეები (ნავის მშენებლები) და სახლის ოსტატები.

პირველი ორი ჯგუფი ზღვის პირს ეტანებოდა. წინათ ფოთიდან დაწყებული ქერჩის ნაპირებამდე ყველგან შეხვდებოდი ლაზ მეთევზეებსა და მენავეებს⁷⁸³.

„არსებული წერილობითი ცნობები და სხვა სახის მონაცემები ნათლად მეტყველებენ ჩვენი წინაპრების სამეურნეო საქმიანობაში მეთევზეობის მაღალ დაწინაურებაზე. ამ მხრივ კოლხების პრიორიტეტი მთელ შავ ზღვაზე კარგად არის ცნობილი. ლაზებმა ეს ტრადიციები დღემდე მოიტანეს და საუკეთესო მეთევზე-მეზღვაურთა სახელს ამჟამადაც ინარჩუნებენ. ლაზები ფლობენ საუკეთესო მანევრირების, მსუბუქი და დიდი სისწრაფის მქონე სათევზაო ნავეების აგების ხელოვნებას... ამიტომ ისინი შავსა და ხმელთაშუა ზღვებში მთელი ფეოდალური ხანის განმავლობაში, თურქთა გაბატონების შემდეგაც კი, საუკეთესო ნაოსან-მებაღურებად იყვნენ აღიარებულნი“⁷⁸⁴.

მესხეთში მეთევზე ლაზები ნაკლებად უნდა მოსულიყვნენ. უფრო სხვა ოსტატები მოდიოდნენ, ამიტომ საერთო ტერმინოლოგიას სხვაგვარი ახსნა უნდა მოეძებნოს. გასარკვევია საიდან სად წავიდა მეთევზეობა მთიდან ბარში თუ ზღვიდან მთაში. მესხეთს ერთიც ჰქონდა და მეორეც. მის მთიანეთში იყო საკმაოდ დიდი ტბები: ფარავანი, საღამო, ხანჩალის, ჩრდილის, კარწახის და სხვა. მღორე და ჩქარი მდინარეები, ხეველეები და ზღვა. მიდი-

⁷⁸³ მ. ვანილიში, ა. თანდელავა, *ლაზეთი*, თბ., 1964, გვ. 83-84.

⁷⁸⁴ ზ. კუტალიევილი, *მეთევზეობა*, ხელნაწერი, გვ. 227.

ოდნენ მესხებიც ლაზეთში, ამიტომ მდინარის თევზები და მეთევ-
ზეობასთან დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც ზღვას არ ეხება,
მნიშვნელოვანია ამით.

ლაზეთში დადასტურებული ზოგიერთი თევზის სახეობა, რომე-
ლიც არის მესხეთშიც უნდა ჩაჰყოლოდა მესხეთის მდინარეებს
ლაზეთში.

მეთევზეობასთან დაკავშირებული ონომასტიკური მასალის
კვლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც
შეისწავლება მესხური დიალექტი ისტორიულ და თანამედროვე
ასპექტში.

თავი IV. უცხო ენობრივი კლასტები მისეურ ტოპონიმიაში

§ 1. სპარსული ელემენტები

სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიაში ელემენტების სახით აირეკლა სპარსეთთან საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობანი.

სტან//ასტან

-სტან//ასტან სუფიქსი დღესდღეობით აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალ სახელში გვხვდება *стан-местоименный суффикс, ср. Кухистан „горная страна, Туркестан страна тюрков, Афганистан - страна афгановцев, Хайстан - Армения“*⁷⁸⁵

სუფიქსი ფალაურია და მრავალ სატომო თუ გეოგრაფიულ სახელს აფორმებს⁷⁸⁶.

ძველ ქართულში —სტან სუფიქსი არ ითვლება პროდუქტულ სუფიქსად, თუმცა იშვიათად გვხვდება ცალკეც და —ეთ-ის პარალელურადაც.

ლეონტი მროველი ხმარობს როგორც *ასურასტანას* (ძირითადად), *ისე ასურეთსაც*. ამავე ავტორთან გვხვდება *ასურიც* ასურეთის მნიშვნელობით: „და მისცა ანტიოქოზს *ასურასტანი* და სომხით, და კერძო აღმოსავლეთსა უჩინა მას. და მან აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია“, „ამასთან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს *ასურასტანისა*, და წარსცა ძღუენი დიდძალი“. „ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა... და მსახურობდა იგი ანტიოქოსს მეფესა *ასურტანისასა*“⁷⁸⁷.

მას ჟამსა შინა სადაცა ვინ მოვიდის ძვირისმოქმედთაგან საბერძნეთით, გინა *ასურიით* ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათჳს სპარსთა ზედა“.

⁷⁸⁵ Э. М. Мурзаев, очерки топонимики, М, 1974, с. 103

⁷⁸⁶ მ. ანდონიკაშვილი, ირანული სატომო და ადგილის სახელები ქართულ საისტორიო მწერლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I თბ., 1954, გვ. 41.

⁷⁸⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15.

„ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთა. ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე ყვნა ბერძენნი და პრომნი და მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნეს მისდავე“⁷⁸⁸.

ასურეთი და *ასურასტანი* — ორივე ფორმა იხმარება ძველი აღთქმის ქართულ ტექსტებში⁷⁸⁹.

ამ სიტყვის მხოლოდ ერთ ფორმას — *ასურეთი* — იცნობს ქართული ოთხთავი: „ესე აღწერა პირველ იყო მტკვრობასა ასურეთსა“. „განითქუა ჰამბავე მისი ყოველსა მას *ასურეთსა*“.

თუ ზემოთხსენებული გეოგრაფიული სახელი ორი (ქართული და არაქართული სუფიქსით გაფორმებული) სახით არის ცნობილი, ასე არ ითქმის მეორე გეოგრაფიულ სახელზე—ჰურიასტანი, რომელიც მხოლოდ სპარსული სუფიქსით ფორმდება და მისი ქართული ვარიანტი ძველ ქართულში არ გამოიყენება⁷⁹⁰. —სტან სუფიქსიანი ფორმის გვერდით —ეთიანი ფორმის ხმარება, საფიქრებელია, შემთხვევითი არ უნდა იყოს. საბოლოოდ სწორედ ეს უკანასკნელი იმარჯვებს კიდევ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ლეონტი მროველის დროს —სტან ტოპონიმწარმოებელ სუფიქსად ითვლებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი იმდენად შეუსისხლხორცდა ფუძეს, რომ ზოგჯერ ახალი მაწარმოებლის დართვისას მისი ჩამოცილებაც კი არ ხდებოდა: „იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად და შეიყუარეს იგი ყოველთა მკუდრთა ქართლისათა. და მსახურებდა იგი მეფესა *ასურასტანელთასა*“ რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა ეს სუფიქსი, სრულიად კანონზომიერად, სცილდებოდა ფუძეს ახალი მაწარმოებელი სუფიქსის დართვის გამო. მაგ.: „...და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, *ასურული*, ებრაული და ბერძნული“⁷⁹¹.

„—სტან (stan) ფალაური სუფიქსია, რომელიც სომხურშიც გვხვდება. ბერძნულში (მით უმეტეს ებრაულში) იგი არ ჩანს. —სტან სუფიქსით ნაწარმოები სახელების არსებობა ქართულ ტექსტში უნდა აიხსნას, ან მათი მომდინარეობით რომელიმე სხვა რე-

⁷⁸⁸ იქვე, გვ. 15-16.

⁷⁸⁹ მ. შანიძე, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართულში. თბ., 1956, გვ. 164.

⁷⁹⁰ ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი, თბ., 1946, გვ. 828.

⁷⁹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28, 46.

დაქციიდან, ან შესაძლოა საქართველოში დამკვიდრებული სახელწოდების გამოყენებით“

—სტან/ასტან სუფიქსი ქართული სახელის პროდუქტული არ არის, რადგან „საერთოდ ადგილისა და სატომო სახელების საწარმოებლად ქართული ენა სუფიქსების სესხებას თითქმის არ მიმართავს, წინააღმდეგ სომხურისა, სადაც ფალაური სუფიქსები ik, stan და akan განუწყვეტლივ იხმარება არა მარტო ირანულ, არამედ მკვიდრ სომხურ სახელებთანაც“⁷⁹².

გვეკვე —სტან სუფიქსი დასტურდება, ვფიქრობთ, მესხეთის ტოპონიმიაშიც. სახელდობრ —სტან სუფიქსიანი სახელი უნდა იყოს ისტორიული ალასტანი, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრებიდან“ ციტატი დამოწმებული აქვს ივ. ჯავახიშვილს: „ქრისტეს აქათ ჩსლგ (1233 წ.) მოკულა რუსუდან მეფე. მოუქ და ფარუს ფოლადი, ამოსწყვიტნა სრულიად სამეფონი და არავინ ჰყუა გამვლელნი. ამა დროსა ალასტანელისა შვილი დავით მეფე მოვიდა ყაინს წინაშე მეფობის გამო სათხოვრად. ვიდრე აქით მობრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულიად სამცხის სახლი გარდავლინეს“-ო. ვის ეხება თარიღი და ვინ არის ბარათაშვილისეული შეკვებულ გადაკეთებულ ქ¹ც-ის შენიშვნაში მოხსენიებული „ალასტანელისა და გარემოების მიმდინარეობის მიხედვით ეს დავით ალასტანელისა შვილი „ლაშა-გიორგის უკანონო შვილი უნდა იყოს. რატომ არის ის ალასტანელის შვილად წოდებული, როდესაც, თუნდაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ დედის შთამომავლობით არის ნახსენები, როგორც მეორე დავითს რუსუდანის ძეს ეძახდნენ... იგი ველისციხელი კაცის ნაცოლარის შვილად ჰყავს ქართველ ჟამთააღმწერელს მოხსენიებული“⁷⁹³.

ალასტანელობას და ალასტანელ მეფეებს სპეციალურად შეეხნენ ე. თაყაიშვილი და ს. კაკაბაძე.

საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემავსებელი დავითს ალასტანელს კი არ უწოდებს, არამედ ალასტანელის შვილად ჰყავს მოხსენიებული, ხოლო პირველი ალასტანელი მეფე არის ლაშა გიორგი. თვითონ ალასტანი კი უეჭველად ჯავახეთში მდებარეობდა და მდებარეობს.

„გიორგი ლაშა ჯავახეთს მხოლოდ ორ წარწერაში გვხვდება —პტენას „ხელისა“ და ბარალეთის ეკლესიაზე. პირველში ის თამართან ერთად იხსენიება, მეორეში კი ეკლესიის აგება მისი

⁷⁹² მ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

⁷⁹³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის სიტორია, II, თბ., 1946, გვ. 123.

მეფედ დაჯდომით არის დათარიღებული. ლაშას ჯავახეთისადმი დამოკიდებულების განსაკუთრებულობა ხაზგასმულია მისი სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილში, სადაც ჩანს „გიორგი მეფე თამარის ძე ჯავახთუფალი. ამ პირველი „ალასტანელის“ მეფედ დაჯდომა განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ჯავახეთში, რომლის „უფალი“ ის აქამდისაც იყო“⁷⁹⁴.

მართალია, ისტორიული წყაროები, რომელშიც ლაშა-გიორგი ალასტანელად არის მოხსენიებული, გვიანდელია, მაგრამ ეტყობა, მეისტორიენი ანგარიშს უწევდნენ მყარ ისტორიულ თუ ლიტერატურულ ტრადიციას, რომლის მიხედვით ლაშა მაინცდამაინც ალასტანელად იწოდებოდა. ამდენად, *ალასტანის* არსებობის ფაქტის დადასტურება ქართულ ისტორიოგრაფიაში XIII საუკუნის I ნახევარზე მოდის.

XVI საუკუნისათვის ორი ალასტანია ცნობილი — ზემო და ქვემო. „ვახუშტის სიაშიც სწორედ ალასტანი გვაქვს“.

XIII საუკუნეშიც და შემდეგშიც ალასტანს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სრულფუძიანი ჰქონდა, უკუმშველი, რადგან —სტანის ფუნქცია ცნობილი იყო და უცხოურ სუფიქსს უკუმშველად ხმარობდნენ (მდრ. „ჰურიასტანელი“, „ასურასტანელი“). შემდეგში კი, როცა —სტან სუფიქსის მნიშვნელობა დაიწარდილა, ფორმის შეკუმშვაც შესაძლებელი გახდა და დღეს მხოლოდ *ალასტნელი* გამოიყენება.

—სტან სუფიქსის გამოყოფა, ვფიქრობთ, შესაძლებელია აგრეთვე მეორე ადგილის სახელშიც —*მარგასტან*, რომელიც, სავარაუდებელია, შედარებით ახალი სახელია ჯავახეთში. ეს სახელი ერქვა სოფელს, რომელსაც დღეს ეწოდება *თმოვეი*. სახელი რომ ადრინდელი იყოს, შეუძლებელია, ოსმალებს ის არ აღეწერათ, რადგანაც ამ ადგილის გარშემო ყველა სოფელი თუ ნასოფლარი დაწერილებით არის აღწერილი. საფიქრებელია, რომ სახელი გაჩნდა XVI საუკუნის შემდეგ და დაკავშირებული უნდა იყოს თურქულენოვან მოსახლეობასთან.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მარგასტანი (იგივე მარგისტანი) უნდა იყოს მარგი: „მარგი (მ^ატ^ანე^ექ), რომელიც, ალბათ, თანამედროვე რუკების *მარგისტანს* უდრის“⁷⁹⁵.

ეს მოსაზრება რომ მართებული იყოს, მაშინ ოსმალებს იქ, სადაც ამჟამად მარგასტანი მდებარეობს, *მარგი* უნდა მიეთითებინათ,

⁷⁹⁴ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

⁷⁹⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 25

მაგრამ მათ არც ეს სახელი აქვთ მოხსენიებული. ე. ი. მარგი და მარგისტანი ერთი და იგივე პუნქტი არ არის. ამ აზრს ზურგს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ მარგი, უფრო სწორად *მარგის მერე*, სამცხეში მდებარეობდა, მარგასტანი კი ჯავახეთშია. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მარგს ადგილზევე დაერქვა *მარგისტანი* (თუ მარგასტანი) და შემდეგ იგი დღევანდელი თმოგვის ადგილას გადმოიტანა არაქართულმა მოსახლეობამ, რაც ნაკლებ სარწმუნოა, რადგან არც მარგია ცალკე აღწერილი სადმე ოსმალების მიერ გურჯისტანის ვილაიეთში. გამოირიცხული არ არის *მარგისტანში* გამოიყოს ირანული სატომო სახელი მარგი, რომელიც მოხსენიებულია „მარტვილობა ნერსე მთვარეპისკოპოსისაჲში“: „რამეთუ იყო ქვეყნით კარინით, სოფლიგან მარგთაისა“.

ერთი რამ ცხადია, *მარგასტანში*, განსხვავებით ალასტანისაგან, —სტან სუფიქსი შედარებით ახალი ჩანს და იგი თურქულის გზით უნდა იყოს შემოსული.

—კან//აკან სუფიქსი

ჯავახეთის ტოპონიმიში დასტურდება მეორე ფალაური სუფიქსი, რომელიც ახალი სპარსული *agan, gan* ფორმითაც გვხვდება⁷⁹⁶.

—კან სუფიქსით უნდა იყოს გაფორმებული ჯავახეთის ნასოფლარის სახელი *მურჯიკანი* (აქურია გვარი მურჯიკელი). იგი ჯავახეთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. პტენისა და დილისკის საზღვარზე მდებარეობს. ნასოფლარში შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესია, სტელები, საფლავის ქვების და სხვა.

მურჯიკანში —კან-ის ცალკე გამოყოფის საშუალებას გვაძლევს ჯავახეთის სხვა სოფელთა სახელები: კერძოდ, *მურჯი* და *მურჯახეთი*. მურჯები, დიდი და პატარა, ნასოფლარებია კოთელიასთან ახლოს, ხოლო მურჯახეთი სოფელია ახალქალაქის სამხრეთით მდინარე დლივის წყალზე.

როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს, მურჯიკანიცა და დიდი და პატარა მურჯიც სოფლები იყო⁷⁹⁷. დღევანდელი ერთი მურჯახეთის ნაცვლად კი სამი მურჯახეთია აღრიცხული: დიდი, პატარა და შუა მურჯახეთი. ეს სოფელი მნიშვნელოვანია წარმართული ხანის ფალოსის კულტის გამომხატველი თავისი ორი ქვასვეტით.

⁷⁹⁶ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 28.

⁷⁹⁷ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

მურჯ - სიტყვის სემანტიკა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რომ ეს ძირი საშუალებას გვაძლევს ამ სამ სახელში სამი სხვადასხვა მაწარმოებელი გამოვყოთ: -კან, (ა)ხ და -ეთ.

აქვე დავებნთ, რომ მურჯიკანში ტოპომაწარმოებლად შეიძლება ჩავთვალოთ არა -კან, არამედ -იკან, რადგანაც -იკან სუფიქსი ფუნქციური ექვივალენტია -კან, -აკან სუფიქსებისა.

მურჯახეთის ეტიმოლოგიის შესახებ არსებობს ს. ჯიქიას მოსაზრება. მკვლევარი იმოწმებს, აგრეთვე, ს. მაკალათიას მიერ ფიქსირებულ ხალხურ განმარტებას: „ს. მაკალათიას მიხედვით, მურჯახეთი ხალხური ეტიმოლოგიით წარმოშობილია ლურჯი ხევიდან. ამ სოფელს უკლის დილიფის (დლივის) წყალი, რომელშიც ლურჯი თევზებია (ლურჯი ხევი - „მურჯახეთი“). უნდა შეინიშნოს, რომ მურჯახეთი „ლურჯის“ გაგებას სრულებით არ უნდა შეიცავდეს. ეს სიტყვა უნდა დანაწილდეს მურჯახ-ეთ-ად, რომელშიც მურჯახ-ი შეიძლება გვარეულობის სახელი იყოს“⁷⁹⁸.

-შენ ტერმინ ფორმანტი

შენება ზმნის ფუძე შემოსულია საშ. სპარსულიდან როგორც ქართულში, ისე სომხურში, „პრ. აჭარიანი აღადგენს საშ. სპარსულ ფორმას სენ რომელსაც ეყრდნობა სომხური და ქართული ფორმები“⁷⁹⁹. განსაკუთრებით პროდუქტიულია -შენ ტოპონიმი-ში. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის *სოფელი*. გარდა სოფლისა, *შენს* ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც აღმოსავლურ ენებში: „ახალშენში“ (იგულისხმება ასპინძის რაიონის ნასოფლარი ახაშენი -მბ.) „შენ“ სიტყვა „შენება“ ზმნას უკავშირდება.

„შენ“ -იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარსულ, სომხურ, თურქულ და სხვა) და ნიშნავს, სხვათა შორის, დამუშავებული, კეთილმოწყობილი, დასახლებული, საცხოვრებლად ვარგისი. შამსედ-დინ სამი, W. Redhause, B. Радлов-ს ამ სიტყვის წარმომავლობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი (ე. ი. თურქული წარმომავლობისად მიაჩნიათ“⁸⁰⁰.

ქართულში -შენ ფორმას ჰქონდა წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის გაგებაც, ე.ი. ნაშენი: - „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა, ზედა *შენი*, მაგარი. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა, ზედა, მაგარი. ასპინ-

⁷⁹⁸ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

⁷⁹⁹ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

⁸⁰⁰ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 185

ძის ზეით ჩრდილოეთ კერძოთ, არს მგელ-ციხე მაგარი, დიდშენი“ (2, 666). „ამ ქვეზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პატიახშთა, დიდ-შენი, მაგარი, შეუალი“⁸⁰¹.

შენ კომპონენტისანი ტოპონიმები საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით საკმაოდ ბევრია. ყველაზე პროდუქტიულია იგი ახალ მსაზღვრელთან – ახალშენი (სულ 12 სახელია სოფლისა). დანარჩენ შემთხვევაში პირველ კომპონენტად ადამიანთა საკუთარი სახელი გვხვდება: ოთარ-ოთარაშენი, თამარ-თამარაშენი, ბეშთა-ბეშთაშენი და სხვა.

ისტორიულ მესხეთში საკმაოდ ბევრი – შენ შემადგენლიანი სახელია. გვხვდება ორი ახალშენი. ერთი ნასოფლარია, რომელშიც მოსახლეობა 1944 წლამდე იყო, ასპინძის რაიონში, დღევანდელი ორგორის გზაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შემორჩენილია ეკლესიაც. მეორე – თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული არტაანის ლივაში. მეთექვსმეტე საუკუნეში ორივე ახალშენი ცნობილი იყო უფრო ადრეული, „ლიტერატურული“ ფორმით ახალშენი⁸⁰².

საინტერესოა, რომ სიტყვა ახალი//ახალ ტოპონიმებში მხოლოდ ისეთი სინტაგმის წევრია, რომლის მეორე ნაწილი უეჭველად დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს: ახალქლაქი, ახალსოფელი, ახალდაბა, ახალციხე და სხვა. ამიტომ ახალშენი/ახალშენის შემთხვევაში – შენს უეჭველად სოფლის, დასახლებული პუნქტის მნიშვნელობა აქვს.

ახალშენი ზოგ დიალექტში ახალგაშენებულ ბაღს, ვენახს შეიძლება ერქვას, მაგრამ ეს მხოლოდ ენობრივ დონეზე ხდება. ასეთი სახელი ტოპონიმად ვერ იქცევა, რადგან „ახალშენია“ მანამ, სანამ ახალი ბაღია, ვენახი და სხვა. ეტყობა, ასეთი შემადგენლობის სინტაგმა – პირველი ნაწილი – ახალი, მეორე ნაწილი – დასახლებული პუნქტის (შენი, სოფელი, დაბა...) მნიშვნელობის ფუძე, საერთოდ ფართოდ გავრცელებულია ტოპონიმიაში. ასეთივე შედგენილობის არის იგი სხვა ენებშიც, კერძოდ სომხურსა და თურქულში. ჯავახეთის სომხურ სოფელთა ახალ უბნებს ყველას ნორაშენი ჰქვია. შდრ. აგრეთვე თაზაქვევი (ახალი სოფელი) – ასპინძის რაიონის ნასოფლარი (სახელი ახალია და თურქულენოვანმა მოსახლეობამ შეარქვა); ნოვეორჯღი და სხვა.

⁸⁰¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 683.

⁸⁰² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

ადამიანის საკუთარი სახელი + *შენი* ასეთი ტოპონიმები შეადგენენ ძირითად ნაწილს — *შენ* კომპონენტის სახელებისას სამხრეთ საქართველოში. *ბულაშენი* (ახალქალაქის რ. შღრ. გვარი ბულაძე). ნასოფლარ *მუკუზაშენის* კვალი უკვე გამჭრალაია. იგი მოხსენებულია „დავთარში“ ასპინძის რაიონის ნასოფლარებთან — ვან — ბუზ

მართთან ახლოს. აქაც საკუთარი სახელია ამოსავალი — *მუკუზა* (შღრ. მუკუზანი, გურჯაანის რ.) საკუთარი სახელი უნდა იყოს *მუხრაშენშიც* ამოსავალი. მუხრაშენი სოფელი ყოფილა „დავთარის“ დროს ახალქალაქის რაიონში სამხრეთთან ახლოს⁸⁰³. მუხრა შეიძლება მიღებული იყოს რომელიმე საკუთარი სახელიდან: მუხიერი, მუხრან, მუხურა⁸⁰⁴. ჩილდირის ნაპიეს სოფელი *მინდაშენიც*⁸⁰⁵. პირველ ნაწილად ადამიანის საკუთარ სახელს შეიცავს — მინდია, მინდი, ან პირდაპირ მინდა (შღრ. გვარი მინდაძე); შღრ. აგრეთვე მინდი⁸⁰⁶.

გოგაშენი XVI საუკუნის ბოლოს სოფ. ჭაჭკრის სათესველი იყო. ჯერ კიდევ ახსოვთ გოგაშენელებს ჭაჭკრიდან ამოსვლა. დღეს პირიქით არის ჭაჭკარი, როგორც სოფელი, გაუკაცრიელდა და გოგაშენის ბალებად იქცა.

ვფიქრობთ, ასევე ანთროპონიმები უნდა იყოს ამოსავალი სამხრეთ საქართველოს დანარჩენ სოფელთა სახელებში. მაგალითები ამოღებულია ს. ჯიქიას „გურჯისტანია ვილაიეთის დიდი დავთარის“ III ტომიდან: *ქეტაშენი*, *ფექრაშენი*, *ქორფაშენი*, *გურაშენი* და აგრეთვე *ღიგაშენი* (ნასოფლარი, ბოგდანოვკის რ.), *ჯიგრაშენი* (ნასოფლარი ახალქალაქის რ.) და სხვა.

არის რამდენიმე ტოპონიმი, რომელთა სახელის პირველი ნაწილი ადამიანის საკუთარ სახელს არ წარმოადგენს, მეორე ნაწილი კი — *შენია*. ესენია: *გაკაშენი* ნასოფლარის სახელია ახალქალაქის რაიონში მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირზე ხოსპიო—ხორენიას შორის: *კორაშენი*, ნასოფლარი ადიგენის რაიონში სოფ. არალთან.

ხევაშენი ადიგენის რაიონის სოფელია. ვახუშტისთან გვხვდება ხევაშენები ფორმა: „ამ კეეს მოერთვიან კევაშენებს, ორნი კეენი

⁸⁰³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

⁸⁰⁴ ალ. ლლონტი დასახ. ნაშრომი, გვ. 108

⁸⁰⁵ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 522

⁸⁰⁶ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

დასავლეთიდან მომდინარენი⁸⁰⁷. ვახუშტი ხევაშენებს აღწერს ღრელ-საფარასთან ახლოს, ღღეკანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ახალციხის რაიონში.

ხევა და ხევი სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიაში ერთმანეთის პარალელურად იხმარება, განსხვავება ის არის, რომ ტოპონიმურ სახელად, ჩვეულებრივ, ყოველგვარი მსაზღვრელის გარეშე გვხვდება ხევა. ხევი კი იხმარება ხშირად მსაზღვრელთან — დიდი, პატრა, ღრმა... ერთადაც. ე. ი. ხევაში ა ერთგვარი ტოპომაწარმოებლის როლს თამშობს.

—ა ტოპომაწარმოებელი უნდა იყოს ზემოთ აღნიშნულ ორ სახელშიც —*გავაშენი*, *კორაშენი*. ნამდვილად ეს ასეა გავაშენში (მღრ. გავეთი). ანალოგიური წარმოებისაა და ამავე სისტემას უნდა მივაკუთნოთ *კორაშენიც*, თუმცა საკონტროლო საშუალებად ვერ გამოდგება კორის ხევი, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ა ფუძისეულია (იხ. ზემოთ), მაგრამ როგორც გავაშენში, ისე კორაშენში — შენს თავდაპირველი, სოფლის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ამრიგად, სპარსული *შენი* თავდაპირველად იხმარებოდა სოფლის მნიშვნელობით, ამიტომ ახაშენი// ახალშენი სახელი ყველაზე ძველი ჩანს —შენ კომპონენტთან სახელებში.

ღროთა განმავლობაში — *შენ* ძირისაგან ნაწარმოები იქნა *შენება* ზმნა, ამასთან დაკავშირებით შენ სიტყვამ მიმღეობის მნიშვნელობა მიიღო. —შენის ეს მნიშვნელობა შედარებით გვიანდელი ჩანს. მას წინ უსწრებს ადამიანთა საკუთარი სახელი, რომლის კარგი მაგალითია *გოგაშენი*, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ სოფლის სახელდების ისტორიას. XVI საუკუნეში იგი ჯერ კიდევ არ არის სოფელი და ჭაჭკარის სათესველად იხსენიება. ე. ი. აქ შენს დაკარგული აქვს დასახლებული ადგილის, სოფლის გაგება. იგი შეიძლება უბრალოდ ადგილსაც ნიშნავდეს „დამუშავებულს“ და ნამყო ღროის გაგებაც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ადამიანის საკუთარი სახელი ივარაუდება ნათესაობით ბრუნვაში. ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, რაც ჩვეულებრივი ამბავია.

—შენს რომ სოფლის მნიშვნელობა აღარა აქვს წყვილში — ადამიანის საკუთარი სახელი +შენი, იქიდანაც ჩანს, რომ —შენის სინონიმები: *სოფელი*, *დაბა*, *ქალაქი*, იმავე პოზოციაში არ იხ-

⁸⁰⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 666.

მარება. ე. ი. ადამიანის საკუთარი სახელი სოფელი ან დაბა, ან ქალაქი, ასეთი წყვილი არა გვაქვს.

ამრიგად — შენ ელემენტი სოფელს უნდა ნიშნავდეს ახალშენში და, ვფიქრობთ, მაშინაც, როდესაც უცნობია შენ კომპონენტის სახელის პირველი ნაწილის მნიშვნელობა (გავაშენი), რაც შეეხება ანთროპონიმებს, — შენს ზმნური წარმომავლობა აქვს.

— შენ გაქრობის გზაზე დგას. პროდუქტიული აღარ არის. მესხეთის ტოპონიმიაში (ეტყობა არა მარტო მესხეთში, მთელ საქართველოშიც) მისი მონაწილეობით აღარ იქმნება ადგილთა ახალი სახელები. ძალიან პროდუქტიულია ის ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში. ბოლო ათწლეულებში მრავალ ადგილს დაერქვა ნორაშენი. ქართულში, როგორც ჩანს, ერთგვარი როლი ითამაშა შენის პირვანდელი მნიშვნელობის დაკარგვამ და ზმნური გაგების გაძლიერებამ, რასაც მოჰყვა — შენის ტერმინ-ფორმანტად⁸⁰⁸ ქცევა. ამიტომაც არის, რომ *შენის* რედუქცია ზმნურ ფუძეებში არ ხდება, ხოლო ტოპონიმიურ სახელებში იგი იკუმშება: ახალშენის ხიდი, გოგაშენელი კაცი და სხვა. ამავე მიზეზით ნაკლებია — შენ კომპონენტის სახელები მიკროტოპონიმიაში.

ა) ვანი

მ. ანდრონიკაშვილი ვან სიტყვას საშუალო ირანულიდან შემოსულად მიიჩნევს: „იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში თუ სომხურის მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემთხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანულ ბგერათა გადმოსაცემად“. საშუალო ირანული ვანი წარმოდგენილია vahan (ვაჰან) ფორმით საშუალო სპარსული ხ ქართულში გადმოცემულია ჰ და ხ თანხმოვნებით. მეტწილ შემთხვევაში კი იკარგვის⁸⁰⁹. ქართული ტოპონიმია საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ამ სიტყვის ქართულში შემოსვლის პროცესს და დავადასტუროთ სამივე ფრომა როგორც ხ-ანიანი, ისე ჰ თანხმოვნით და ამ თანხმოვნების გარეშე. სამხრეთში დღეს

⁸⁰⁸ ტერმინ-ფორმანტი აღებულია ე. მურზაევის წიგნიდან — Очерки топонимики, 1974, გვ. 168

⁸⁰⁹ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168, 214.

სამხრეთში დღეს ორი ვანია ნასოფლარის სახით. ერთი, ვარძი-
დან სამ კილომეტრზე, მონასტრად ცნობილი ვანის ქვაბები და
მეორე ბუზმარეთთან მდებარე ნასოფლარი. ვანის ქვაბებში დღეათა
მონასტერი XV საუკუნიდან ჩნდება, მანამდე იქაც მამათა მონას-
ტერი იყო, რომლის ტიპიკონმა ჩვენამდეც მოაღწია. ვანის ქვაბთა
შესახებ ს. ჯიქია წერს: „ვანის ქვაბი საქართველოს სამონასტრო
ისტორიაში კარგად ცნობილი ვაჰანის ქვაბია. „ვაჰანის ქვაბთა
განგების“ გამომცემელმა ლ. მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ „ვაჰ-
ანის ქვაბებს უწოდებენ“. ჰ თანხმობენ დაკარგვა ხმოვნის წინ
დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისათვის. ვაჰანის ქვაბში
ჰ დაიკარგა და ორი ა-ს შერწყმით მიღებულია „ვანის ქვაბი“⁸¹⁰.

შესაძლებელია, ამ ადგილს უკვე „განგების“ შედგენის დროსაც
აღარ უწოდებდნენ ვაჰანის ქვაბებს და წესდების დამდებნი ტრა-
დიციას უწევდნენ ანგარიშს. ასეა თუ ისე „ვაჰანის ქვაბთა განგე-
ბაში“ შემონახულია ჩვენთვის საინტერესო, საშუალო ირანული
ფორმა ვაჰანი, უფრო ძველი, ვიდრე სომხურსა და ქართულში
შესულა ვანი. ვფიქრობთ, ვაჰანი უნდა იყოს ამოსავალი ხარაგაუ-
ლის რაიონის სოფ. ვაჰანისათვისაც, სადაც საშუალო სპარსულის
ჰ გადმოცემულია ქართულში ხ-დ. ხ ქართულში შედარებით
მდგრადი ბგერა და ამიტომ ეს სიტყვა დღესაც ამ ფორმით იხ-
მარება.

ბ) არტანნი

ს. ჯიქია დაწვრილებით მიმოიხილავს არტანის საზღვრებსა და
ცნობებს მის შესახებ. ქართულ წყაროებში არტანნი გვხვდება
სამი სახით: არტანი, არტანი, არტაჰანი. ყველაზე ძველი ფორმა
უნდა იყოს არტანი „არტანი გვაქვს ჩვენ „ქართლის ცხოვრების“
ყველა ძირითად ხელნაწერებში, აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილთან
— „სამცხე-საათაბაგოს მღუდელ მთავარნი და მწყემსნი“-ში და სხვა-
გან. ასეთივე სახელის მატარებელი პუნქტი გვაქვს ჩვენ თიანეთის
რაიონის „არტანის სასოფლო საბჭოში“, სახელდობრ ყოფილა
არტანისი „ქლაქი არტანისი“ მამასადაძე, არტან სახელწოდება
საკესებით ბუნებრივი ჩანს ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატუ-
რაში“⁸¹¹. ს. ჯიქია არტანის მელანის ტიპის სახელების
ანალოგიით მიღებულად თვლის ხოლო არტაჰანის წარმომავლობის

⁸¹⁰ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 365.

⁸¹¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ, გვ. 196.

შესახებ ორ ვარაუდს გამოთქვამს: 1. არტაანი არტაპანი, არმენიზებული ფორმაა არტაანისა, რადგან „სომხური ენისათვის ძლიერ დამახასიათებელია ხმოვანთა მეზობლობაში 3 თანხმოვანი“ და 2. „კანტიკუნტად, მაგრამ არტაპან ფორმას ჩვენ ქართულშიც ვხვდებით: „არტაპანკოლა“, „არტაპანი“ და „არტაპანის მღებარეობა“ და სხვაგან. ამდენად, შეიძლება არ გამოირიცხოს შესაძლებლობიდან ისიც, რომ არტაპან ფორმა იყოს უძველესი ქართული ფორმა“. საბოლოოდ ს. ჯიქიას აზრით, უძველესია არტანი, რომლისგანაც მიღებულია შემდეგ არტაანიც და არტაპანიც. ამ უკანასკნელის თურქიზებული ფორმაა Ardahan და Ардаган⁸¹². თავდაპირველად არტაანი მხოლოდ ოლქს, მხარეს ერქვა და არა ქალაქს.

„ქართლის ცხოვრებაში“ VIII საუკუნის პირველი ნახევრის ამბების აღწერისას ნათქვამია, რომ არჩილმა ადარნასეს „მისცა შულავერი და არტანი“

ამ შემთხვევაში იგულისხმება ატენი ადა არა არტანი, როგორც გაარკვია გ. აბრამიშვილმა: „შულავერი, რომელიც ქვემო ქართლში მღებარეობს, ღიდად არის დაშორებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მღებარე პროვინციას არტანს და ძნელია ავხსნათ, თუ რატომ უნდა მიეცა არჩილ II ადარნასესათვის ერთმანეთისაგან ტერიტორიულად შორს მღებარე ორი ქვეყანა“. ქართლის ცხოვრების ამ ცნობისათვის ყურადღება მიუქცევია ნ. ბერძენიშვილსაც.

არტან-ატენის საკითხის გარკვევა მოხერხდა „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მეშვეობით. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ჯუანშერთან ნათქვამია, რომ არჩილმა ადარნასეს მისცა „რიშა, შულავერი და ატონე“⁸¹³. მაშინ, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არტაანი შვიდჯერ არის დასახელებული და სომეხი მთარგმნელი ყველგან უშეცდომოდ არტაპანს წერს⁸¹⁴.

ეს დაკვირვება მნიშვნელოვანი ჩანს იმითაც, რომ შესაძლებლობას იძლევა არტაან-არტაპანის მიმართების საკითხის გადაწყვეტისას ს. ჯიქიას ზემოთ მოყვანილი პირველი მოსაზრების სასარგებლოდ.

ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელის ფუძე უნდა იყოს არტა, ძველი სპარსული სიტყვა, რომელიც, საერთოდ, ინდო-ევროპული

⁸¹² იქვე, გვ. 497.

⁸¹³ გ. აბრამიშვილი სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენი სიონში, თბ., 1977, გვ. 53-54.

⁸¹⁴ გ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

ძირია და წარმოდგენილია ღვთაების სახელად: „იგი შედის აგრეთვე მრავალი საკუთარი სახელის შემადგენლობაში. შდრ. არტავარდია, არტაფარნა, არახშათრა, არტაბან, არტავაზად და სხვა“. შემოსულია ქართულში მართალ სიტყვაში⁸¹⁵. რაც შეეხება ნ-ს, იგი შეიძლება ირანულ სახელთა მაწარმოებელ აფიქსადაც (ან) მიგვეჩინა და ქართულ -ან სუფიქსადაც, რადგან „მოცემული სუფიქსისი (იგულისხმება ან სუფიქსი -მ. ბ.) ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტიანობა ქართველურ ენებში მოწმობს, რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია. ზოლო, როცა ჩვენ მას ვხვდებით უცხო ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველური ენებიდან შესაძენად მივიჩნიოთ“⁸¹⁶. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად პარალელურად იხმარებოდა არტაანიც და არტანიც. არტაანში დაცულია ფუძეცა და სრული სუფიქსიც არტაან, ზოლო, რადგან უფრო ადრე ფიქსირებული არტან ფორმა და უფრო ადრე საფეხურადაც ითვლება, ის ქართულ ნიადაგზე მიღებულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მსგავს პოზიციამი (ა-ზე დაბოლოებულ ფუძეს ემატება ა-თი დაწყებული სუფიქსი) ერთი ა რჩება, შდრ. ოპიზა-ოპიზარი.

საქართველოს წარმართულ პანთეონში არაქართული სახელწოდებანი შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია უძველესი კერპები მცხეთისა — არმაზი და ზადენი. „არმაზი — სახელი კერპისა, ძველი ქართველების მთავარი ღვთაება, რომელიც ქართლის მეფემ ფარნავაზმა აღმართა“. „არმაზის სახელი ეწოდება მთასა და ციხეს მცხეთაში“. სიტყვა არმაზი წარმოადგენს ძველი ირანული ღვთაების A (h) aramazda-ს გადმოცემას“⁸¹⁷.

ასევე ინდოევროპულიდან არის შემოსული კერპიცა და სახელიც ზადენი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის და გ. მელიქიშვილის მოსაზრებების გათვალისწინებით ვრცლად მიმოიხილავს ი. მაისურაძე.

გარდა მცხეთისა, ზადენი გვხვდება სამცხეში, ადიგენის რაიონში მთის სახელად. იყო სოფელი ზადენ-გორა, რომელიც მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველს ანდრია მოციქულთან და-

⁸¹⁵ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

⁸¹⁶ ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, I, III, თბ., 1959, გვ. 46.

⁸¹⁷ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

კავშირებით. ზაღენს უნდა უკავშირდებოდეს ზანდო, სოფლის სახელი სამცხეში⁸¹⁸.

არტანი ყველაზე ადრე მოხსენებულია ჩვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში ბერძენ ისტორიკოს კლავდიოს პტოლემეაიოსთან: „იბერიის ქალაქებიდან არტანისას აქვს ყველაზე გრძელი დღე.

პტოლემეაიოსთან მოხსენიებულ არტანისასში შეიძლება იგულისხმებოდეს ქალაქი არტანუჯი და არა არტანი: „პროფ. ს. კაკაბაძე და პ. იოსელიანი აიგივებენ ქალაქ არტანთან (იგულისხმება პტოლემეაიოსის მიერ მოხსენიებული არტანისასა—მ. ბ.). უფრო სარწმუნო ჩანს ტომაშეკის მოსაზრება, რომ ამ სახელით ქ. არტანუჯი აღინიშნება. ამას გვაფიქრებინებს თვით ამ სახელის დაწერილობა“⁸¹⁹.

ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს პტოლემეაიოსი ამ სახელში არტანს გულისხმობს თუ არტანუჯს, რადგან ამოსავალი ფორმა ორივე სახელისათვის არტანია, არტანუჯი კი ამავე ფორმის შემდეგი საფეხურია.

გ) ასპინძა

სუმბატ დავითის ძე წერს: „და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ აღარნასეს კერძთა და სძლიეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ზეესა სამცხისასა სოფელსა ასპინძას“.

ასპინძის ეტიმოლოგიაზე შემდეგი მოსაზრება არსებობს: „გეოგრაფიული სახელი ასპინძა, შესაძლოა დაუკავშირდეს სიტყვას მასპინძელი. მაშინ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო საღვური, თავშესაფარი. დადასტურებული ფალაური ასპანჯ, ისპინჯ, რომელსაც ეყრდნობა ქართულიც. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სპარსულ asp-ს უკავშირდება, მაგრამ არამეული ფორმისთვის ამოსავლად მიჩნეულია usping ან ispij“⁸²⁰.

⁸¹⁸ ი. მაისურაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები სამცხის ტოპონიმიკაში ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 269-70.

⁸¹⁹ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 32, თბ., 1955, გვ. 59.

⁸²⁰ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

დ) ასპანა

ლეონტი მროველი რამდენიმე გზის ხმარობს ასპანას: „მას ფაშა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა სახელი ფარნაეაზ. ესე ფარნაეაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთიოსის ძისა და დედულად სპარსი ასპანელი“.

„შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსას ასპანს“.

„და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსვლა ასპანის“⁸²¹.

„ქართლის ცხოვრების“ ასპანში იგულისხმება ისპაჰანი⁸²².

ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„თაფარაენელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,

ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა“⁸²³.

ამ ლექსში ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტია ნახსენები — *თაფარაენელი* და *ასპანა*. თაფარაენი წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტით: მთაფარაენელი, თაფარაენელი, თამარაშენელი და სხვა⁸²⁴.

ს. ჯიქიას სწორ ფორმად მიაჩნია *ასფარა* და ფიქრობს, რომ ასპანის მაგივრად უნდა იყოს *ასფარაო*. რადგან ხალხურ ლექსში ძირითადად ასპანა იხმარება (ე.ე. თაყაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი), ჩვენი აზრით ძირითადი ვარიანტი ასპანა უნდა იყოს. ამ სოფლის სახელად გვხვდება ასპარაყ. ასეც რომ არ იყოს და ასპანა გადააზრების შედეგად იყოს მიღებული, უნდა იგულისხმებოდეს ამ სახელის მქონე გეოგრაფიული პუნქტი, ისევე, როგორც ასპინძის ან თამარაშენის შემთხვევაში. ასპანის (სახელის) გაჩენის ორი გზა არსებობს: 1. შემოვიდა მზა გეოგრაფიული სახელი, ირანიდან — ისპანის სახელი შემოიტანეს, ან ადგილობრივ შეიქმნა და ამოსავალი ფუძე არის სწორედ ზემოთ დასახელებული *asp*.

⁸²¹ ქართლის ცხოვრება. I გვ. 20-21.

⁸²² მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

⁸²³ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 29.

⁸²⁴ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 347-48.

§ 2. არაბული წარმოშობის ტოპონიმები

ა) შუაქარაღის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

მემთეულობა სამცხე-ჯავახეთში სამეურნეო საქმიანობის გავრცელებული ფორმა იყო. ბევრი ადგილის სახელი დაუკავშირდა „მთას“.

შუაქარაღი ახალციხიდან 80 კმ-ზე მდებარეობს ალპურ ზონაში. ადრე იგი ეკუთვნოდა ანდრიაწმინდას, მისი ზედა მთა იყო (ქვედა მთად იყენებდნენ *ოხუმასა* და *ბაღალიენტ ჭალას*). მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან შუაქარაღი გადაეცა *აბისა* და *ჭაჭარაქის* მოსახლეობას.

აღმოსავლეთიდან შუაქარაღისაკენ ადის გზა ანდრიაწმინდიდან, გაივლის *ანდას*, *სათიბებს*, *თეთრწყაროს* და *ბრმა წყაროს*. ასევე ადის გზა ჩრდილოეთიდან სოფ. *ხაკის*, *ტაბახმელის* და *აბის ქვედა მთის* გავლით.

შუაქარაღში არის ნასოფლარი. ვაკე ადგილია, დასავლეთიდან მას ესაზღვრება *შაბანებლის მთა*, ხოლო აღმოსავლეთიდან სოფ. *ღრელის* საძოვრები და *თიქანი*. შაბანებლის ძირშია სოფ. საძელის ფერმები. ჩრდილოეთიდან შუაქარაღს აკრავს ტყე და *საღორე* ხევი.

შუაქარაღს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნასოფლარი *ჭოჭები* და ჩაუდის *ჭოჭების ღელე*, რომლის ფერდობებსაც ჰქვია ლიშხები. ჭოჭები სათავეს იღებს შუაქარაღიდან და შედის ტყეში. მის სათავეშია წყარო — *ბოტიგამხეთქი*. ოთხიოდე კილომეტრზე შუაქარაღიდან არის ქვიანი ადგილი *ქვანსობილა*, ხოლო სამხრეთით წითელქვებზე გამოშავალი წყარო — *წითელწყარო* და აქლემის სადგომი, საძოვარი. სამხრეთ-აღმოსავლეთით არის *ჩახრიალო/ჩხრიალო* (წყარო) და *ჩხრიალოს* (*ჩახრიალოს*) მთა, რომლის ფერდობებზე სათიბებში ბევრია წყალი.

შუაქარაღის სამხრეთ კალთებზეა ნასოფლარი *ოდუნდა*, რომელიც გადმოსცქერის ნასოფლარებს: *კანტიეთსა* და *ზრიანს*.

როგორც ითქვა, შუაქარაღი ნასოფლარია, მაგრამ დღეს ამ სახელით მხოლოდ ნასოფლარი არ არის ცნობილი. შუაქარაღი ვრცელი ტერიტორიაა, დაახლოებით 100 ჰექტარი, რომელსაც სათიბებად და საძოვრებად იყენებენ, ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს ეს სახელი.

ხალხური ეტიმოლოგიით „ერთ-ერთი ბრძოლის დროს შუაში იდგა დიდი კარაღი და ამიტომ დაერქვა სახელი“.

სახელი გამჭვირვალეა და შეიძლება ასე დაიშალოს: შუა კარავი. სავარაუდებელია, რომ იყო, ვთქვათ, ზემო კარავი, ქვემო კარავი და აქედან — შუაკარავი, მაგრამ ასეთი რამ არ ჩანს. თუ ხალხურ ეტიმოლოგიას გავემიჯნებით, შეიძლება სხვა ვარაუდი, რომ ორ მთას შორის *შაბანებელსა* და *ჩხრიალოს* შორის მდებარეობის გამო ეწოდება ამ მთას შუაკარავი. არის თუ არა შესაძლებელი, რომ ადგილს წოდებოდა კარავი — საბას მიხედვით, „საჩრდილობელი“—ეწოდების სახლთა სამგზავროთ ნარმათა და ლართა შეკერილთა, გინა ქოხთა მალიად აგებულთა“.

ვფიქრობთ, სწორედ ამ საკითხთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ნასოფლარის *არეშის* სახელი.

ადგილობრივთა მეტყველებაში გამოითქმის, როგორც *არეში*, ისე *პარეში*, ოლონდ, როდესაც დაჟინებით გაამეორებინებ, ჰაეს აღარ ამბობენ, ე. ი. უფრო გავრცელებული ვარიანტი არის *არეში*.

ნასოფლარი მდებარეობს ჯავახეთის პლატოს პირზე, გადასცქერის დღევანდელ *თმოგვს*, *თმოგვის ციხეს*, *ვერთაყნის* ქვაბებს. მთლიანად კი მტკვრის ხეობას, რომელშიც მოჩანს მტკვრის გარდა, ორი შესანიშნავი ტბა — წუნდის და ბერთაყნისა. ბოლო დრომდე იგი იყო ნასოფლარ *დანკალის* ტერიტორია *დანკალსა* და *კუმურდოს* შორის, დანკალის აღმოსავლეთით. იგი ზის ჯავახეთის პლატოს კბოდე სოფელთა რიგში, კერძოდ, თუ აფინიდან მოვყვებით: *აფნია*, *გოგაშენი*, *დანკალი*, *ჯიუტმაილა*, *არეში*, *კუმურდო*. ჩამოთვლილ ადგილთაგან ყველაზე ადრე არეშია დაცლილი მოსახლეობისაგან, რადგან სხვებს (ნასოფლარებს) ჯერ კიდევ აქვთ შერჩენილი ნასახლარები, ეკლესიები და სხვა.

არეში ცნობილია სვეტი. „ბაზისი და მასში ჩასმული ქვის ოთხკუთხედი მოგრძო სვეტი 1942 წლის აგვისტოში აღმოაჩინეს ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებმა არეშის ნასოფლარში (ახალქალაქის რაიონი). დაცვის მიზნით 1959 წელს გადატანილი იქნა კუმურდოს ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად დგას“⁸²⁵.

გოგაშენლთა მტკიცებით, გ. კაპანაძეს, როდესაც იყო ახალციხის მუზეუმის დირექტორი, წაუღია *არეშიდან* ექსკავატორის გამოყენებით „დიდი გახვრეტილი შავი ქვა, კიდევ რაღაც მორუქურთმებული ქვები“. ბაზისს აქვს წარწერები, რომელთა პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იგი IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს, ხოლო მოხსენიებულ პირთა მიხედვით 881-

⁸²⁵ ე. სილოგავა, კუმურდო (ტაძრის ეპიგრაფიკა), თბ., 1994, გვ. 77.

891 წლებით შეიძლება შემოვიფარგლოთ⁸²⁶. წარწერაში დაფიქსირებულია ჩვენთვის საინტერესო ნასოფლარის სახელი, ამიტომ მოვიყვანო მას: „ქემან გურგენ კურაპალატისამან, შესწირა არ(ე)-შტი ს(ა)ყდრ(ი)სა კ(უ)მ(უ)რდ(ო)მსასად⁸²⁷“.

ფრჩხილებში მითითებულია ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა გამოტოვებული ასოები (დაქარაგმებული). ამ წარწერაში კუმურდო უფრო ადრე მოიხსენიება, ვიდრე ტაძარი აშენდებოდა. არეშტი, რომელიც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც არშტი⁸²⁸, დღევანდელი არეშია. ეს უცილობლად დასტურდება იმითაც, რომ ნასოფლარს, სადაც სტელა იდგა, დღეს ასე ჰქვია, ამიტომ არშტის ვარიანტი უნდა გამოირიცხოს. რაც შეეხება — ტი დაბოლოებას, ასეთი დაბოლოებები თუ ბგერათკომპლექსები შეიძლება ჩამოსცილდეს ჯავახეთის ტოპონიმიაში. შდრ.: ვერტაში — ვერტა; განძანი — განძა; ფოკანი — ფოკა და სხვ.

არეში არ აღუწერიათ „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ შედგენისას. როგორც ჩანს, იგი ძალიან ადრეა გაუკაცრიელებული. სხვა რაიმე ცნობა არეშის შესახებ საისტორიო წყაროებში არ გაგვაჩნია.

არეში საკმაოდ გავრცელებული სახელი ყოფილია⁸²⁹. ლ. ჭილაშვილს განხილული აქვს ჯავახეთის არეშის გარდა ოთხი პუნქტი: ჰერეთში (ყვარელის რაიონი), არაგვის ხეობაში და შირვანში (აზერბაიჯანში), რომელთაც შეიძლება დაეუმატოთ ქალაქი არიშიც, რომელიც ეგვიპტეში მდებარეობს და რომლის შესახებაც ცნობას ვხვდებით IX საუკუნის ეგვიპტელი ავტორის... თხზულებებში⁸³⁰. ლ. ჭილაშვილი წერს: „ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაგვარაუდებინებს, რომ სახელთა იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და საქმე უნდა გვქონდეს რაღაც ნიშნით გამორჩეულ ზოგად სახელთან, რაც განსაკუთრებით არის ნიშნეული, პუნქტების სახელდებაში ახალი ელემენტის გაჩენა საგულისხმოა IX საუკუნის ახლოს⁸³¹“.

არეში ეტიმოლოგიას მეცნიერი უკავშირებს არაბულ ზმნას არ-შა, რომლისგანაც მიღებული უნდა იყოს სახელი — ტახტი, კარა-

⁸²⁶ ე. სილოგავა, დასახ. ნაშრომი.

⁸²⁷ იქვე, გვ. 79.

⁸²⁸ იქვე, გვ. 77.

⁸²⁹ ლ. ჭილაშვილი, არეში, თბ., 1991.

⁸³⁰ იქვე, გვ. 164.

⁸³¹ იქვე, გვ. 165.

ვი⁸³². ამ აზრს „ამაგრებს ის გარემოება, რომ მისი გამოჩენა მაინცდამაინც არაბების საქართველოში მძლავრობის ხანას ემთხვევა. ადრე ეს სახელი არსად არ არის დაფიქსირებული. ასეთი სახელის აღმოცენება ზემოთ აღნიშნული *არეშების* ადგილზე ალბათ ცალკეულ სამხედრო ოპერაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ახალი სახელის გაჩენა ქრონოლოგიურადაც ამის მიხედვით უნდა იყოს განსაზღვრული⁸³³.

საომარ ოპერაციებსა და კარავს თუ დაუკავშირებთ სახელს, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა ვითარებაში იყო ჯავახეთი LX საუკუნის ახლო ხანებში არაბობის ხელში, როდესაც არეში ერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, იცვლებოდა სოფლის სახელი, ან ახალ ადგილზე ჩნდებოდა იგი. საინტერესოა, LX საუკუნეში სტელაზე დაფიქსირებულია უკვე ახლადშექმნილი სახელი. არც ეს არის მოულოდნელი.

არეშის ფონეტიკურ ვარიანტად მიჩნეულია არიში, ამიტომ არიშიანთა გვარი ჰერეთში და საარიშიანო დაკავშირებულია არეშთან⁸³⁴. თავდაპირველად არიშიანი „სახელი ჩანს“, ხოლო შემდეგ „ჰერეთის ერისთავი იღებს მეფის კარზე არიშიანის ადგილზე ჯდომის უფლებას, რაც ცხადად განმარტავს არიშიანის წარმოშობით საგვარეულო და უფლებრივად სახელმწიფოებრივ სტატუსს. ცხადია, სახელი ისეთნაირად არის ნაწარმოები ადგილის მიხედვით, როგორც ორბელიანი, ბელიანი, დადიანი და სხვა⁸³⁵“.

წყაროებში ამ ფუძიდან ნაწარმოები გვარები სხვაც გვხვდება: „უცხოური წარმომავლობის სიტყვა იქცა არა მხოლოდ ადგილის აღმნიშვნელ სახელად, ის ჰერეთის არეშის მიხედვით საგვარეულო სახელწოდებაში აისახა. სხვა შემთხვევაში ვხვდებით მისგან ნაწარმოებ გვარებს და სახელებს, როგორცაა არეშიშვილი, არეშიძე...⁸³⁶

მართალია, არეში და არიში ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ არეშისაგან – იანის დართვის შემდეგ მიგველო არიშიანი ასიმილაციის გზით. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს *არეშიშვილი* და *არეშიძე*, სადაც ფუძე არეშად არის წარმოდგენილი. *არეშიძე* საკმაოდ გავრცელებული გვარია საქართველოში ამ გვარისას 960 -ს ითვ-

⁸³² იქვე, გვ. 164-165.

⁸³³ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

⁸³⁴ იქვე, გვ. 168-173.

⁸³⁵ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

⁸³⁶ იქვე.

ლიან⁸³⁷. არემ- ფუძიდან გარდა ზემოთ აღნიშნული არეშიშვილისა, გვაქვს ამ გვარიდან მიღებული არაქართულად გაფორმებული არე- შოვი. ეს ფორმა ჩნდება მე-19 საუკუნეში⁸³⁸. „არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის მემამულეები⁸³⁹“. მოგვიანებით არე- შოვები სომხად „მონათლეს“ (ვარხუნო, ეცო, ღურნუკი, ენაგეთი)⁸⁴⁰. ასე რომ, ღღეს, თბილისსა და მცხეთაში გავრცელებული გვარი არეშოვი გასომხებული ქართველებია. არეშოვის ფონეტიკური ვარიანტია არეშევი.

ზემოთ ლ. ჭილაშვილის მიერ ნაჩვენები იყო გეოგრაფიული პუნქტიდან (არეში) მიღებული სახელი არიშიანი, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს და სარწმუნოა, მაშინ უნდა დავეუშვათ სხვა პროცესიც, კერძოდ, არიშიანისაგან მივიღეთ არეშიძე და არეშიშვილი, რადგან თუ ადგილის სახელიდან მივიღებდით აღნიშნულ გვარებს, მაშინ უეჭველად უნდა გაჩენილიყო წარმომავლობის — ელ სუფიქსი, როგორც ეს მოხდა სხვა შემთხვევაში (შდრ. ბანძელაძე, კახეთელიძე და სხვა.) არიშიანში — იან მაწარმოებლის ჩამოშორების შემდეგ არიშ//არემ გაგებულ იქნა საკუთარ სახელად და გაფორმდა მოგვიანებით გვარის მაწარმოებელი სხვა სუფიქსებით. ამიტომ მივიღეთ არეშიშვილების პარალელურად არეშაშვილებიც⁸⁴¹, მითუმეტეს, რომ არეშიშვილები აზნაურებიც ყოფილან, მოგვიანებით მემამულეებიც⁸⁴² და იქნებ შეიძლება მათი დაკავშირება არეშიანთა ცნობილ საგვარეულოსთან. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ „არეშიშვილები ცხოვრობდნენ სოფ. არეშევანში (მოგვიანებით ვარხუნო)⁸⁴³“.

არემის ეტიმოლოგიის გარკვეულ პრობლემას ქმნის სტელის წარწერის დაბოლოება ტი. არაბულიდან არემ სიტყვის შემოსვლა უნდა მომხდარიყო ენაში, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე და შემდეგ დარქმეოდა ადგილს.

ღღეს რომ ეს სიტყვა ლექსიკაში არ გვხვდება და არც ლიტერატურით დასტურდება, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ასე მოხდა კალა-ს შემთხვევაში, ციხის აღმნიშვნელად როდესაც შემოვიდა ეს სიტყვა ენაში. ბევრი კალა//ყალა გვხვდება დღევანდელ საქართვე-

⁸³⁷ ა. სურგულაძე, ა. თოთაძე, გვარ სახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 26.

⁸³⁸ ი. აბუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1994, გვ. 220.

⁸³⁹ იქვე.

⁸⁴⁰ იქვე.

⁸⁴¹ ი. აბუასვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

⁸⁴² იქვე, გვ. 220.

⁸⁴³ იქვე, გვ. 219.

ლოს ტოპონიმიაში, მაგრამ იგი კვლავ ქართულმა ციხემ შეცვალა, ისევე, როგორც თურქული ადა (კუნძული, მახევარკუნძული, მდინარის მონაკვეთი). თავის დროზე ამ სიტყვამ ამოაგდო ენიდან (დიალექტიდან) შესაბამისი ობიექტის სახელი ხერთვისი, მაგრამ ადგილი საბოლოოდ მაინც ვერ დაიმკვიდრა ენაში, შემოგვრჩა მხოლოდ ტოპონიმიაში. ამდენად არეშიც, როგორც კარვის აღმნიშვნელი სახელი, გაქრა არაბობასთან ერთად. ამიტომ სავარაუდებელია, რომ არეში თავის დროზე შეიძლება გაფორმებული ყოფილიყო რომელიმე მაწარმოებელთან, უბრალოდ დაბოლოებით. ასეთი ჩანს ტი. იგი დაფიქსირებულია სამხრეთ საქართველოში ტ-ი // ტ-ა (მდრ. შვიდრევანტა) თავისი ფშვინიერი - თ-ი//თ-ა და მჟღერი - ღ-ი ღ-ა ვარიანტებით, რომლებიც ადგილის სახელს აფორმებდნენ.

არეშის ენიდან ამოვარდნას ხელი შეუწყო კარავის უფლებების აღდგენამ, შუაკარავის შესახებ არსებობს გადმოცემა: „თამარ მეფე თავის ლაშქარს მტერთან საბრძოლველად აცილებდა. ისინი ერთ დიდ მთაზე დაბანაკებულან, გაუშლიათ სამი კარავი. მტერს თამარის ჩუმაღ შეპყრობა განუზრახავს და მოღალატეებისათვის უკითხავთ, თუ რომელ კარავში იყო თამარი. მოღალატეს უთქვია – შუაკარავშიო. მტერს თამარი ვერ ჩაუგდია ხელში. ისინი დამარცხებულან. თამარს მოღალატეები დაუსჯია. იმ ადგილს კი სამუდამოდ შერჩა სახელი შუაკარავი“. მეორე ვარიანტი: „დიდი მთაა სამხრეთით სოფელ ტბეთის მახლობლად. გადმოცემით სოფელ ტბეთში უსწავლია შოთა რუსთაველს. შუა კარავში უცხოვრია თამარ დედოფალს. როდესაც მას შახთან ჰქონია ჩხუბი (ბრძოლა), აქ ყოფილა დაბანაკებული თავისი ჯარით. წერილი მიუტანიათ შოთასგან თამარ დედოფლისათვის. ტბეთიდან წერილის მომტან კაცისათვის თამარის კარავი უჩვენებიათ ყველაზე შუაში ყოფილა. აი, ამაგერ შუაკარავი, იქ ცხოვრობს თამარ დედოფალიო და აქედან დარქმევია ამ მთას შუაკარავი⁸⁴⁴.“ თუ ამ თქმულებებს მოვაშორებთ თამარ მეფის სახელს, როგორც სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა თქმულების სამკაულს, დავგრჩება ბრძოლებთან დაკავშირებული თქმულება. ბრძოლებთან დაკავშირებული სახელი. ადვილი სავარაუდებელია, რომ სწორედ საბრძოლო კარავის გამო შერქმეოდა ამ ადგილს სახელი ისევე, როგორც არეში.

⁸⁴⁴ თქმულება მოგვაწოდა თსუ ახალციხის ფილიალის თანამშრომელმა გ. ქურასბედიანმა.

ბ) რაბათი

რაბათი არაბულია, გამაგრებულ სამხედრო ბანაკს ჰქვია. ქართველებს გამაგრებული ადგილები არ გვაკლდა და ამიტომ, ბუნებრივია, თუ არაბული სიტყვა შემოვიდა ქართულ სინამდვილეში, ბევრგან უნდა შემოგერჩენოდა კიდევ. ისიც ნათელია, რომ არაბობაზე ადრე რაბათი ვერ დამკვიდრდებოდა ჩვენს სინამდვილეში.

რაბათი არის მაროკოს დედაქალაქი. დააარსეს XII საუკუნეში არაბებმა ანტიკურ ქალაქ სალეს ახლოს. ქალაქის ისტორიული ბირთვია კლდეზე აღმართული ციხე-სიმაგრე. 1185-89 წლებში შემოარტყეს ციხეს გალაფანი.

დღეისათვის რაბათი თითქმის არსად გვხვდება საქართველოში. გამოკვეთილად, თავისი პირვანდელი მნიშვნელობით შემოგვრჩა ახალციხეში და ხიდის გაღმა, ციხის გარშემო დასახლებას ჰქვია. ციხე ქართული სიტყვაა, რომელიც თითქმის ვერაფერმა შეცვალა, ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია, რომ ქართულ ტოპონიმიაში ციხე ძალიან ბევრგან გვხვდება. რაბათი, რადგან ციხის გარშემო დასახლებას ჰქვია, მას უნდა შეეცვალა უბანი, *ციხის-უბანი*. ეტყობა ასეც მოხდა. შემდეგში მოიშალა ციხეები და უბნებიც. ციხის გარშემო დასახლების მოშლამ გამოიწვია ყოველგვარი სახელის გაქრობაც და დარჩა უბრალოდ *ციხე*. ან ამა თუ იმ სოფლის ან ქალაქის ციხე. ტოპონიმიაში კი დამკვიდრდა სახელად *ციხისუბანი*, *ციხის ძირი* და სხვა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არაბობის მძლავრობის და საერთოდ მაჰმადიანური სამყაროს მძლავრობის პერიოდში საქართველოში ბევრი რაბათი უნდა ყოფილიყო. ფაქტობრივად, სადაც ციხე იქნებოდა, ყველგან გვექნებოდა რაბათი, ამის ნათელი მაგალითია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი,“ რომლის შედგენის დროსაც, მე-16 საუკუნის ბოლოს, ყველა ციხეს აქვს თავისი რაბათი — ე.ი. დასახლება. უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამა თუ იმ ლივას თუ რაიონის ცენტრს, როგორც წესი, გამაგრებული პუნქტი წარმოადგენდა. გამაგრებულ პუნქტს ჰქონდა თავისი დასახლება და ეს იყო სწორედ რაბათი. მესხეთში ასეთი რაბათები გვქონდა: სოფელ ახალციხის ციხის რაბათი, სოფელ უდის ციხის რაბათი, სოფელ აწყურის ციხის რაბათი, სოფელ ალთუნყალას

რაბათი⁸⁴⁵, სოფელ ოცხის ციხის რაბათი, სოფელ ასპინძის ციხის რაბათი. სოფელ ჭაჭარაქის ციხის რაბათი⁸⁴⁶, სოფელ ხერთვისის ციხის რაბათი, სოფელ თმოგვის ციხის რაბათი, სოფელ ჩილდირის ციხის რაბათი, სოფელ მერეს ციხის რაბათი, სოფელ ჯაყის რაბათი⁸⁴⁷, პეტრეს ციხის რაბათი.

ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ჩილდირის, მერეს და ჯაყის ციხის რაბათები არ არის დღეს ჩვენს ფარგლებში, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩილდირს აღარც ციხე აქვს და აღარც რაბათი, ჯაყის ციხის გარშემო არავითარი დასახლება აღარ არის, ამიტომ რაბათიც არ იქნება, რაც შეეხება მერეს, მისი ადგილმდებარეობა ჩემთვის უცნობია. უღეში ციხე თითქმის განადგურებულია, მის გარშემო დასახლება აღარ აღიქმება ციხის დასახლებად, ამიტომ რაბათმაც დაკარგა თავისი ფუნქცია.

ალთუნყალა ანუ *ოქროს ციხე* მოწვევტილია დასახლებულ პუნქტს, მას რაბათი აღარა აქვს. საერთოდ დაუდგენელია სად იყო ოცხე და რომელი იყო ოცხის ციხის რაბათი. ასპინძაში, აწყურსა და ხერთვისში ახალი დასახლებაა. მოსახლეობისათვის გაუგებარია რაბათის მნიშვნელობა, არც არავინ დახვედრია მათ, რომ სახელი დაეხვედრებინათ, ამიტომ ციხის გარშემო დასახლებას *ციხის უბანს* ან *ციხის დასახლებას* უწოდებენ. *ჭაჭარაქში* ციხე აღარ არის. *თმოგვი* კი ისევე განმარტობით დგას, როგორც *ოქროს ციხე*.

ამდენად რაბათს გამოეცალა სოციალური ფუნქცია სხვადასხვა ფორმით. ზოგან საერთოდ გაქრა მოსახლეობა, ზოგან კი ხსოვნა დაიკარგა. ერთადერთი ახალციხეა, სადაც ხაზი უწყვეტი იყო, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობა რაბათისა მოსახლეობამ არ იცის, ტოპონიმია მკვეთრად ინახავს სახელს.

არის რაბათის სხვაგვარი განმარტებაც: რაბათი „გურჯისტანის ვილაიეთის ღიდი დავთრის“ მიხედვით „ნიშნავს ციხე-სიმაგრის

⁸⁴⁵ ალთუნყალა თარგმანია ოქროს ციხისა, ამდენად მთარგმნელმა და დავთრის შემდგენელმა იცოდა, რომ ყალა-ციხეს ნიშნავდა და მისთვის ექნებოდა *ყალბ ციხის რაბათი*.

⁸⁴⁶ ჭაჭარაქის სახელით სამი სოფელი იყო ცნობილი 1. თვით ჭაჭარაქის რაბათი, 2. სოფ. ზემო ჭაჭარაქი და 3 ქვემო ჭაჭარაქი (ს. ჯიქია, III, გვ. 210) ჭაჭარაქებს შორის ზემო-ქვემოს მსგავსად გამოარჩევს რაბათიც.

⁸⁴⁷ ამ შემთხვევაში შემთხვევით არის გამორჩენილი ციხე, თორემ იქნებოდა *ჯაყის ციხის რაბათი*.

მქონე იმ ადგილს, სადაც სახელმწიფო გამოსაღებით დაბეგრული სამოქალაქო მოსახლეობა თავმოყრილი⁸⁴⁸

ადგილს, რომელსაც ახალციხეში ვუწოდებთ რაბათს, თავის დროზე იყო მთელი ქალაქი: თავისი ციტადელით, გალავნით და მოსახლეობით.

1828 წელს, როდესაც ახალციხე რუსეთის ჯარმა აიღო, იყო ჩვეულებრივი აღმოსავლური ქალაქი.

“Войска проникли въ городъ, и, очутившись въ лабиринте азиатскихъ построекъ скученныхъ безъ площадей и улиц”⁸⁴⁹.

მთელი ქალაქი განლაგებული იყო ციხის გარშემო და ციტადელში, რომელსაც შემორტყმობა გარშემო მთები, ხევ-ლელეები, მოედინებოდა მთის წყლები. შემოგარენი დაფარული იყო ასწლოვანი ხეებით. ამ ომის აღწერისას შემოგვრჩა ადგილის ზოგიერთი სახელი, როგორც რაბათში, ისე მის გარშემო. რუსეთის ჯარი შემოვიდა აღმოსავლეთიდან გადმოლაზა მტკვარი, ავიდა ფეხოხანი ჯარი მთაზე, რომელსაც ერქვა Таушан-тапа (ტაეშან თაფა) (კურდღლის გორა თურქ.), რომელსაც დღეს ამირანის გორა ჰქვია და ამირანის გორიდან რაბათამდე 2-3 ვერსის მანძილზე დაბანაკდა მდინარე ახალციხის წყლის (Ахалцыхъ-чай) მარცხენა ნაპირზე⁸⁵⁰

აქვეა დასახლებული პატარა სოფელი მარდა. არტანის გზა (Ардаганская дорога), რომელიც მიუყვებოდა ახალციხის წყალს, ანუ დღევანდელ ფოცხოვს. მაშინ როდესაც არტანულა ერქვა მტკვარს. *Кая — дагъ*⁸⁵¹, რომელიც არის დღევანდელი ორციხსუა. „რაბათის სამხრეთით ციხის დასავლეთ მხარეს კლდეში ჩაჭრილია ბუნებრივი ხეობა კლდოვანი. ყველაზე ღრმა ადგილას ქალაქის კარია გაშენებული. ამ ხეობის აღმოსავლეთ კლდეზე მთავარი ციხეა წამომდგარი, დასავლეთით კი კონუსისებრ მაღალ კლდეზე

⁸⁴⁸ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III. 1958 წ., გვ. 49.

⁸⁴⁹ В. Потто, История 44-го Драгунского Нижегородского полка. т. 3 С. II. 1894 г. ст. 84.

⁸⁵⁰ В. Потто, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁸⁵¹ იქვე, გვ. 81.

ძველი ციხე-კოშკის ნანგრევებია. ამის გამო მიუღია ამ ადგილს სახელი *ორციხშუა*⁸⁵².

ახალციხის აღებისას დასტურდება აგრეთვე სახელი სოფ. *Су_Килиса*⁸⁵³, რომელიც დღევანდელი სოფ. *ივლიტა* უნდა იყოს.

რაბათის და მისი შემოგარენის ტოპონიმი აღწერილია მე-20 საუკუნეშიც, კერძოდ, 1937 წელს *ილია მაისურაძის* მიერ და დაცულია ხელნაწერი სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში.

„*რაბათ* — *მეოდანი*. პატარა მეოდანია, აქ ბაზარი ყოფილა. დღესაც არის სასწორი. პირველად რაბათი მხლოდ ამ ადგილს რქმევია“⁸⁵⁴.

„*კოკოლათ უბანი*. იმ უბანს რქმევია, სადაც ზემო ეკლესიაა, ამ ეკლესიას *კოკოლათ ეკლესიას* ეძახდნენ და უბანსაც ამის გამო დარქმევია ეს სახელი.

დარეკა უბანი ანუ *დარეკა უბანი*. ზემო ეკლესიის პირდაპირ ფერდობზე შეფენილი ყოფილა მოსახლეობა. სახლები კიბის საფეხურებივით ყოფილა განლაგებული (ამ ხელოვნურად შექმნილ საფეხურს ჰქვია *დარეკა*)⁸⁵⁵.

„*სოლოღას აბანო* — ციხის დასავლეთ მხარეზე ხევში არის აბანოს ნანგრევები, აქვე გამოდის ტუტე წყალი. ეს აბანო ყოფილა განთქმული მოჯირითე სოლოღასი (სოლოღა ხალხური ლექსების გმირია). სოლოღას საფლავი არის თურბაზე ივლიტის სასაფლაოზე.

ნათქვამია სოლოღას *რაბათის ციხიდან* ჯირითი გაუსროლია და *თურბაზე* დავარდნილა, ანდერძად დაუტოვებია, აქ დამმარხეთო“⁸⁵⁶.

საინტერესოდ გვეჩვენება აგრეთვე კათოლიკურ ეკლესიასთან ადგილი, რომელსაც *კრუხიჭამიანთ უბანი ჰქვია* და *იეზორა* — სახნავ-სათესი ებრაელთა უბნის თავზე⁸⁵⁷.

რაბათისა და მისი შემოგარენის, უბნების შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული დ. კოჯორაძეს: „იგი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ქალაქის, ციხე-სიმაგრისა და ციხადელისაგან (შიდა, ანუ დიდიციხე)... ახალციხეს ჰქონია „უბანნი“ და „გარეუბანნი“. იქ

⁸⁵² ი. მაისურაძე, ახალციხის ძველი ნაწილის უბნების დაყოფის მასალები, ს.ჯ. ი.მ. ფონდი, № 1451.

⁸⁵³ В. ПОТТО, იქვე. გვ. 82.

⁸⁵⁴ ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

⁸⁵⁵ იქვე.

⁸⁵⁶ იქვე, გვ. 3.

⁸⁵⁷ ც. მესხიშვილი, ახალციხელ ებრაელთა ტრადიციული ყოფა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 26-27.

ადრიდანვე ცნობილი იყო ორი ძირითადი უბანი: *ციხის უბანი*, სადაც ქალაქის მდიდარი, პრივილეგიური, არისტოკრატიული ნაწილი ცხოვრობდა და რაბათის ანუ ციხის განაპირა ვაჭარხელოსნებით და ღარიბებით დასახლებული უბანი. მათ შემდეგში ემატება *ებრაელთა უბანი*, აღნიშნული უბნები თავის მხრივ იყოფოდა უფრო პატარა უბნებად და ქუჩებად. ასე მაგალითად, მჭედლების, ნალბანდების, მღებრების, ოქრომჭედლების, მეკურტნეების, ხარაზების⁸⁵⁸... ეს უბნები გაქრა რაბათში, მაგრამ კვალი დაგვიტოვა მოსახლეობაში. სწორედ რაბათშია გავრცელებული გვარები: *ფეიქრიშვილი, ზარაზიშვილი, დურგლიშვილი, კალატიოზიშვილი, კალაიჯიშვილი, ხმალაძე, მღებრიშვილი, დალაქიშვილი, მაზმიშვილი* და სხვ. ამავეებს აღსტურებს მუზეუმში დაცული ამქრის დროშები, ფოტოროკუმენტური მასალა და სავაჭრო-სახელოსნო ტრადიციები⁸⁵⁹ და სხვა.

უბნების შესახებ მე-19 საუკუნეში ივ. გვარამაძეც (ვინმე მესხი) წერდა. „XVIII საუკუნის ახალციხეში ყოფილა დაახლოებით 12 უბანი. რაბათის ჩრდილოეთით სოფ. წყრუთის გზის მხარეს — *წყრუთის* ან *ღელისუბანი*, შემდეგ *გაკეუბანი*, რომელზეც გადიოდა აბასთუმნის (ძველი *ოძრხე*) გზა. იქვე იყო ბაზარი პატარა მოედნით, რაბათის ჩრდილო-აღმოსავლეთით ზემო ეკლესიის — ყულების ფერდობზე კიბის საფეხურსავით შეფენილი *დარეჯაუბანი* (უწოდეს ტერასული მღებარეობის გამო სიტყვა დარეჯიდან), მის ქვემოთ *კოკოლათუბანი* (იქ არსებული კოკოლათ ეკლესიის სახელწოდების მიხედვით), *კოდისთავის* ანუ *ზედაუბანი*, პატრებიანთ ჯვრის ეკლესიასთან ღეთისმსახურთა ანუ *კრუხიჭამიანთ* უბანი (იგივე ნურალანთუბანი, ეს სამი უბანი ქართველი კათოლიკეებით იყო დასახლებული) *ჩაჩაფარალიუბანი*, წმ. სტეფანეს ეკლესიის მხარეს (სომხური ეკლესია), *ქშიბასუბანი*, *ციხისუბანი*, სადაც იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გარშემო თავმოყრილი იყვნენ მართლმადიდებლები. *ქვედაუბანი* (რაბათის შესასვლელში). მის ქვემოთ *ხვეილიელის* ანუ ებრაელების უბანი (დარამალა) და *გუმბათის*, შემდეგდროინდელი *ჯირითშეიღნის* უბანი“⁸⁶⁰.

⁸⁵⁸ დ. კოჭორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია), თბ. 1969, გვ.49.

⁸⁵⁹ ც. ლაფაჩი, ზოგი რამ ახალციხის ციხე-ქალაქის ისტორიიდან, ბელნაწერი.

⁸⁶⁰ ივ. გვარამაძე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.

რაბათი არ მოიხსენიება არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც რუსების მიერ ქალაქის აღებისას, რადგან ახალციხე არის დასახლებული პუნქტის სახელი, ხოლო რაბათი მისი შინაარსია, სოციალური დახასიათება, „სახელმწიფო გამოსაღებით დაბევრილი სამოქალაქო მოსახლეობა“, ხოლო, როდესაც დასახლება გასცდა ციხე-სიმაგრეს, გამოიკვეთა ისტორიული ნაწილი როგორც უბანი და იქცა საკუთარ სახელად.

ჩვენ მიერ განხილული ორი არაბული წარმოშობის სახელი — არეში და რაბათი ენაში შემოსული და ადგილის სახელად დამკვიდრებული სიტყვებია. როგორც ცნობილია ქართულ ენაში ბევრი არაბული სიტყვაა შემოსული და დღევანდლმდე ცოცხლად შემონახული. რაბათი და არეშის ასაკის განსაზღვრება, რომელიც არაბობით შემოიფარგლება, მნიშვნელოვანია ისტორიული ტოპონომიისათვის.

§ 3. თურქული ტოპონიმები

300 წელი ბატონობდა ოსმალეთი სამხრეთ საქართველოში და ყოველნაირად ცდილობდა მოესპო ყველაფერი ეროვნული. რა თქმა უნდა, თურქთა ბატონობის კვალი დაეტყო ტოპონიმსაც.

ს. ჯიქია წერს: „ეროვნული გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნას ჩვენში (იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომელშიაც შედის ჩვენთვის საინტერესო არეალიც— მ. ბ.) ხელს უწყობდა: 1. ოსმალთა დაპყრობის შედეგად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის შემცირება (გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიდა ქართლში გადასახლდა). 2. ოფიციალურ ენად თურქულის შემოღება და საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამათურქებელი პოლიტიკის გატარება. 3. პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველობის) ფანატიკურად გაწყობილი ნაწილის კიდევ მასიური გადასახლება ოსმალეთში“⁸⁶¹.

მესხეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ტოპონიმების კვლევისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: როდესაც ქართულ ან სომხურ ენებში, შედის თურქული ლექსიკური მასალა, ადგილობრივი მას იყენებს არა მარტო მეტყველებამ, არამედ ადგილთა სახელდებისასაც. ასეთი სახელები განიხილება როგორც

⁸⁶¹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1958, გვ. 88-89.

როგორც ქართული ან სომხური ენების კუთვნილება დიალექტურ დონეზე. მაგრამ არის მეორე შემთხვევა, როდესაც ადგილთა სახელები თვით თურქულენოვანი მოსახლეობის მიერ ხდება, მაშინ იგი თურქული ენის კუთვნილებაა. ამიტომაც არის, რომ მესხეთის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც წმინდა თურქული, ასევე თურქულ-ქართული და თურქულ-სომხური სახელები.

თურქული სახელები გავრცელებულია განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში, გვხვდება სოფლების სახელადაც, სახელდობრ იმ სოფლების სახელებად, რომლებიც ერუშეთის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნაწილში მდებარეობენ, ასეთებია: *მოილოლი*, *თაზაქევი*, *ბაზირხანა*, *ყოინდრა*. დღეისათვის ზემოჩამოთვლილი სოფლები ნასოფლარებია. მათგან მხოლოდ *ბაზირხანა* არის გადარჩეული სახელი. ადრე მას ვანი ერქვა. აქ შემორჩენილია შესანიშნავი წარწერიანი ეკლესია.

ბაზირხანა ჯავახეთში და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბევრი იყო. ეტყობა, ვანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა თავისი ზეთის სახდელის გამო და ბოლოს მისთვის სახელიც კი შეუცვლიათ ამ ნიადაგზე. რაც შეეხება დანარჩენ სამს, ისინი ახალ ნიადაგზე აშენებული ახალი სოფლებია. სამივე სახელი გამჭვირვალეა: *მოილოლი* — მოილოს შვილს ნიშნავს; *თაზაქევი* — ახლი სოფელია თურქულად, ზოლო *ყოინდარა* ცხერის ხევს ნიშნავს.

სხვა მდგომარეობაა მესხეთის იმ ნაწილში, რომელიც დღეს თურქეთის ფარგლებშია, რადგან იქ მთლიანად გადაერქვა ადმინისტრაციულად სოფლებს სახელი და დაერქვა თურქული.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ბევრია თურქულენოვანი მიკროტოპონიმები. თურქული მიკროტოპონიმია სჭარბობს შემდეგი სოფლების თუ ნასოფლარების ტერიტორიაზე: ასპინძის რაიონის ნასოფლარებში: ნიალა, ქარზამეთი, აგარა, ზედა ვარძია, ახჩია, ახალქალაქის რაიონის სოფლებში: კარტიკამი, ხულგუმო, ბავრა, სადაც გასომხებული კათოლიკე ქართველები ცხოვრობენ და დღევანდლამდე თურქულად მეტყველებენ.

გარდა მიკროტოპონიმისა, თურქულენოვანია ძირითადად ჰიდრონომია — გეოგრაფიული ტერმინები: მდინარე, ტბა, წყარო; შესაბამისად: ჩაი, გოლ, ბულალ//გეზა.

ორ მთას *ქოროლი* ჰქვია: ერთს ასპინძის რაიონში და მეორეს ბოგდანოვკის რაიონში.

„ქოროლის ეპოსის საშობლო აზერბაიჯანია, სადაც მისი შექმნა განაპირობა XVI-XVIII საუკუნეების მძაფრმა სოციალურმა

და პოლიტიკურმა ვითარებამ. აზერბაიჯანულიდან შესულა იგი ამიერკავკასია და შუა აზიის ხალხებში და XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე ჩამოყალიბებულა ეპოსის თორმეტამდე ნაციონალური ვერსია⁸⁶².

ქოროღლის ეპოსი კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგი არ არის: „ყიზილბაშური ტომების მოძალეობას ქოროღლის სახელეცი რომ მოჰყოლია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის „შუქურა ციხეს, რომელსაც ძველად აგართა ციხე რქმევია და რომელშიც თამარ მეფე გარდაცვლილა, ხოლო XV საუკუნეში „კოჭრის ციხე“ ეწოდებოდა, „ქოროღლი“ დაურქმევიათ. ამ სახით გვხვდება იგი იმ ცნობებში, რომლებიც XIX საუკუნის თბილისური პრესის ფურცლებზე იბეჭდება ქოროღლის ეპოსთან თუ მისი გმირის ვინაობასთან დაკავშირებით“⁸⁶³.

ჯავახეთში ქოროღლის ეპოსი საკმაოდ პოპულარული იყო და მას თურქულ თუ ქართულ ენაზე მღეროდნენ აშუღები. შეიძლება, რომ მთას სწორედ ეპოსისი გმირის სახელი დაერქვას. საინტერესოა ერთი ფაქტიც: ასპინძის რაიონში *ქოროღლის მთა* იხმარება, ხოლო ბოგდანოვკაში — მხოლოდ *ქოროღლი*. მოსალოდნელია, რომ საბოლოოდ საზღვრული პირველ შემთხვევაშიც დაიკარგოს. ხალხური ეპოსისი გმირის სახელი რომ შეიძლება ადვილს დაერქვას სახელად, ამას გვიდასტურებს ახალქალაქის რაიონის ამირანის გორა. *ამირანის გორა* არც ქართულ ნიდაგზე და არც უცხო ენობრივ გარემოში საზღვრულ დაკარგულ მსაზღვრელად არ დარჩა. ე. ი. არ შეიძლება გორას მხოლოდ *ამირანი* დაერქვას. ამ გორას აქვს სხვა სახელიც — *ტავშანთაფა* (კურდღლის გორა), საიდანაც ნაწარმოებია რუსული *ტავშანკა*.

საფიქრებელია, რომ *ქოროღლის* შემთხვევაში საზღვრულის დაკარგვის ფაქტი თვით თურქულ ნიდაგზევე უნდა აიხსნას. სიტყვა *ოღლი* (შეილი) საკმარისია სახელდების დროს, რადგანაც საზღვრულის მაგივრობას ეწევა. მსგავსი მაგალითები, ოღონდ უკვე არა ეპოსთან დაუკავშირებელი, გვაქვს მესხეთის ტოპონიმი-აში: მოიდოღლი — ნასოფლარი, ასპინძის რ. *დარბაზოღლი* — *ტყე*, წყალთბილა, სელიმოღლი — ყანა, სხვილისი, *ბურადოღლი* — სათესი, წყრუთი. *ზეითოღლი* — ყანები, წირა; ჩახალოღლი — ყანა, საძელი, *ენჩაროღლი* — საძოვარი, ჯულდა და სხვა. ყველა ზემოთამოთვლილ სახელთაგან ოღლი გვარს არ აფორმებს. მას აქვს

⁸⁶² ლ. ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია, თბ., 1978, გვ. 5.

⁸⁶³ იქვე, გვ. 25-26.

აქვს შვილის მნიშვნელობა ისევე, როგორც თვით ქოროლდი გვარი არ არის ბრმის შვილს ნიშნავს. მართალია, ქართულ ტოპონიმიასი არის შემთხვევები, როდესაც ადგილის სახელად მხოლოდ გვარია გამოყენებული, ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე, მაგალითად, მინაძე, ხიკიძე და სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ივარაუდება წინა საფეხური — ხიკიძეები, მინაძეები. თურქულის შემთხვევაში კი ასეთი წინა საფეხურის არსებობა გამორიცხულია, რადგან, როგორც აღინიშნა, არც ერთი მათგანი გვარი არ არის.

თურქები ხშირად მიმართავდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელთა თარგმანს. სახელის თარგმანსა საერთოდ არის დამახასიათებელი ტოპონიმიისათვის. ქართულ სახელებს თარგმნიდნენ ბერძნებიც. ამის მაგალითები დამოწმებული აქვს ს. ყაუხჩიშვილს. ჩვენთვის საინტერესო არეალიდან, მაგალითად, ბერძნებმა თარგმნეს ისტორიული ყველი ტოროსკას-ტრონად⁸⁶⁴.

თურქები თურქულიდან თარგმნიდნენ ყველანაირ-სომხურ, ბერძნულ, სლავურ სახელებს⁸⁶⁵. სამცხე-ჯავახეთში ისტორიული მგელციხე ითარგმნა კურტკალად, ოქროს ციხე-ალთუნ კალად. თარგმანი პირობითი იყო და ძირითადად კალკირებას ეყრდნობოდა. რადგანაც, დასაშვებია, რომ ადგილის სახელდებისას არც მგელი იგულისხმებოდეს ამოსავლად და არც ოქრო. ერთიც და მეორეც საკუთარი სახელები შეიძლება რომ იყოს, მაგრამ მოსულისათვის და, საერთოდ, თარგმნისათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ნათარგმნი სახელების დადასტურების საშუალებას იძლევა ძირითადად მაკროტოპონიმია. მიკროტოპონიმიის ფიქსაცია არ ხდება, რამდენადაც ადმინისტრაციისათვის იგი ნაკლებ საინტერესო იყო და ჩვენ ვერ ვადევნებთ თვალს მის ცვლას სამხრეთ საქართველოში. ამ შემთხვევაში, სომხური სახელებისაგან განსხვავებით, მესხეთში თურქულ სახელებს ძირითადად თურქები არ არქნევდნენ. 300 წლის განმავლობაში თურქები და ქართველები ან გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, ან მომხდურებმა დაიპყრეს ადგილობრივი მოსახლეობა და თანდათან გაბატონდნენ ამა თუ იმ სოფელში. ამრიგად, ტოპონიმთა სახელის ცვლა მოხდა თანდათანობით, ბუნებრივად. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით სახელების თარგმნა სწორედ მიკროტოპონიმიასი ხდებოდა, მაგრამ რადგანაც ჯავახეთის მიკროტოპონიმია ადრე

⁸⁶⁴ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 27.

⁸⁶⁵ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-32.

აღწერილი არ ყოფილა, თითოეული სახელის ისტორიის გათვალისწინება ჭირს. მხოლოდ თურქული ან მხოლოდ ქართული მოდელების გამოყოფა არ ხერხდება. რამდენიმე ადგილს ერთსა და იმავე დროს შეიძლებოდა შერქმეოდა აგრეთვე *არა და მრუდე გზები* (ნასოფლარი ახჩია,) ოღონდ ერთი იხმარებოდა თურქულ ენობრივ სამყაროში, ხოლო მეორე—ქართულში. ისტორიული წყაროების ცნობები რომ არ არსებობდეს, რომელიმე ალთუნკალის, კურტკალის და სხვა მრავალი ერთეულის სახელწოდებების ახსნა თურქული ენის გზით ისევე თავისუფლად შეიძლება, როგორც ქართულ ნიადაგზე.

ცხადია, რომ მიკროტოპონიმია ნათარგმნია, მაგრამ დასაბუთება ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია.

დღეისათვის ბევრი თურქული ფუძე გაფორმებულია ქართული სუფიქსით, სახელდობრ ეს არის —ებ სუფიქსი, რომელიც ძირითადად მოუდის მარტივ სახელებს და ისეთ კომპოზიტებს, რომლებიც ი-ზე არ არიან დაბოლოებულნი. თუ კომპოზიტი ბოლოვდება ი-ზე, ეს ს გაგებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად.

1. ერთსიტყვიანი —ებ სუფიქსიანი ტოპონიმები: ბაირ-ებ-ი, თუმბ-ებ-ი, ურდ-ებ-ი, ჩაგილ-ებ-ი, საზლულ-ებ-ი, თანდურ-ებ-ი.

2. ერთსიტყვიანი უსუფიქსო ტოპონიმები: მაძლლა, ყუზუი, გვეზალეი, ხანი, ჩაურმა, ჩაშურლი.

3. —ა სუფიქსიანი ტოპონიმები: ბაქორ-ა-ი, ჩოლაყ-ა-ი, ყადრ-ა-ულ-ი.

ყველა ამ სიტყვას, ორის გარდა (*მაძლლა, ჩაურმა*) ან გაქართულებული დაბოლოება აქვს, ან ბოლოში ი მოუდის (Çamurlu სალიტერატურო—Çamurlu) და იგი სახელობითი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული. ყურადღებაშისაქცევია სიტყვა *ყადრ-ული*, სადაც თურქული ყადრ-ს დაერთო ორი სუფიქსი: —ა და-ულ. გამორიცხული არ არის, რომ ყადრა ადამიანის საკუთარი სახელი იყო და —ულ სუფიქსით მისი გაფორმება გვიანდელია.

ასევე ერთის —ურ სუფიქსი კომპოზიტურ სახელს deli-bas (გიჟი თავი) და გვაქვს ადგილის სახელი დელიბაშური. დელიბაშიც ადამიანის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება *ჩაურმას* (Çevirmek—შემოკარკლევა), ეს სიტყვა თურქული ენის ნიადაგზევეა წარმოქმნილი. ასე უწოდებდა მაჰმადიანი მოსახლეობაც და აქ ა სუფიქსად იყო მიჩნეული, ამიტომაც მას აღარ დაერთო აღარც სუფიქსი, აღარც ბრუნვის ნიშანი.

ამაღლა შეიძლება — ებ სუფიქსითაც გაფორმდეს. დამოკიდებულია იმაზე, რა შინაარსით იხმარება, აღნიშნავს საზაფხულო სამოვრებს — საზაფხულო სადგომ მთას. იმის მიხედვით, თუ რა ფართობი უჭირავს აილლას, დანაწევრებულია ეს ფართობი და გარკვეულ სიმრავლეს წარმოადგენს თუ არა, დაერთვის ან არ დაერთვის — ებ-ი.

ჯავახეთის სომხურ სახელებში ამაღლა, მხოლოდ ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

4. ი(i)-ზე დაბოლოებული კომპოზიტები: სარიათალი sarıyatak, სქოქქლანი (su tokulan), ტანაბოლანი (dana boğan) ყაზანტაში kazan taş და სხვა.

5. — ებ სუფიქსიანი კომპოზიტები; აქსიამაღლები (aksi yayla), თოფმატები (top taş), აგრიოლები.

6. ფუძის სახით რჩება ა-ზე დაბოლოებული კომპოზიტები; არფა დარა (arpa dara), ყარაყაა (kara kaya), ალყაა (akkaya), ყყრხ ქილისა (Kırk kilisa), ალმადარა (alma dara), ბაზირხანა (bazir hane) და სხვა.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთი გარემოება. მართალია, სალიტერატურო თურქულში დარა (ხევი) სიტყვა გვაქვს dere-ს⁸⁶⁶, მაგრამ მესხურმა დიალექტმა იგი მხოლოდ დარად მიიღო. როგორც ჩანს თურქული e ხმოვანი საერთოდ მესხეთს ად აქვს შეთვისებული. derindere გვაქვს სალიტერატულო თურქულში, მაგრამ მესხურმა იცის მხოლოდ დარინდარა, ქართულმა ენამ თურქულიდან შეითვისა სიტყვა ჩექმა, რომელიც მესხურში ჩაქმად არის წარმოდგენილი. ვფიქრობთ, მესხურში ზეპირი გზით შემოდინდა თურქული ლექსიკა და ე-სა და ა-ს ურთიერთობა თვით თურქულის ნიადაგზე უნდა აიხსნას.

7. დანარჩენი თანხმოვანფუძიანი სახელები ფორმდება სახელობითი ბრუნვის ნიშნით: ნალიქტაში (nilik tas), ცნჯათარაფ-ი ince taraf), იონჯალულ-ი (yoncaluğ) და სხვა.

ყანნისი დაბურულ ხეცს ჰქვია ნასოფლარ ერკოტაში (ასპინძის რაიონი). ყანნისი ნაწილია გენეტიურმსაზღვრელიანი კომპოზიტისა. პარალელურად გვაქვს ყანნი დარა, ყანნი ხევი, ყანნი წყალი,

⁸⁶⁶ Турецко-русский словарь, М., 1945.

ყანნი. სახელი ასე დაიმლება: ყან-ის-ი. ყან (kan) თურქულად—სისხლი. ყანნისი—სისხლობი, სისხლიანი. ეს ხევი ერკოტიდან ჭობარეთის საზღვარში როდესაც შედის, მას პარალელურად მოსისხლე ხევს და სისხლიან ღელეს უწოდებენ.

თურქულ სახელში მხოლოდ ერთი ნ არის. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის მეორე ნ-ც თურქულის ნიადაგზევაა გაჩენილი. ყანნ მიღებულია kanli-საგან, სადაც თურქული ლი დაბოლოება ქართული -იან სუფიქსის ბადალია. მეტყველებასში kanli ისმის, როგორც kanni (ასიმილაციით ni→იი). ადგილობრივთა ცნობით, ხევი „საყაჩაღო“ იყო. იქ ყაჩაღები ბუდობდნენ. ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება მთიანი აჭარის ტოპონიმიდან.

„საათის ათზე მივატანეთ „სისხლის ღელესთან“, რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან ამავე მნიშვნელობისას („ყანლი ღერე“). ხევი ამ ადგილას საშინლად ვიწროვდება, თითქმის იკერის...

სისხლის ღელე ამ ადგილს იმიტომ დარქმევია, რომ ადამიანის სისხლი ხშირად დაღვრილა აქ და შერთვია ღელამიწასა. ...ფირალები (გაყარდნილი ავაზაკები) ამ ადგილს თავის ბუნაგად სთვლიან, საიძელო საფარად, სადაც გამეღელის გაძარცვა და მოკვლაც საძნელო სრულებით არ არის მათთვის. ...ამ სამი წლის წინ ეს ღელე შემდეგი სისხლის ღერის მოწამე ყოფილა...“⁸⁶⁷

ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ ფიქსირებულია მე-19 საუკუნის ბოლოს, თხრობა ახლანდელ დროშია, ფირალების შიში მოგზაურის სტრიქონებსაც ემჩნევა და უეჭველს ხდის ასპინძის რაიონის ერკოტა-ჭობარელთა მტკიცებას ყანნისის შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ მესხურში -ის სუფიქსი ბოლო საუკუნეებში ცოცხალი სუფიქსია და სახელთა საწარმოებლად გამოიყენება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იწვევს კომპოზიტები, რომლებიც ქართულ-თურქული სახელებისაგან შედგება.

მაცხოვრება კლდის სახელია ჭობარეთში. Kaya თურქულად კლდეს ჰქვია და მესხეთში არაერთი კლდეა, რომლის სახელწოდებაშიც ყაჩა მონაწილეს. მაცხოვრებას პირველი ნაწილი „მაცხოვრ“ მაცხოვრის შემოკლებული ვარიანტით (ნაეკლესიარი, რომელიც მაცხოვრის სახელს ატარებს).

⁸⁶⁷ თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 166.

ასევე პროდუქტიულია მესხეთის ტოპონიმიში წყაროს აღმნიშვნელი თურქული გვეზა (göz თვალი). ქვედა გვეზა წყაროს ჰქვია ჭობარეთში, გვაქვს გვეზები და სხვა. საფიქრებელია, რომ გვეზა უკვე დიალექტში ფუნქციონირებს წყლის მნიშვნელობით (ეს არ ნიშნავს იმას, რომ „წყაროს“ აღარ ხმარობენ).

კოკოლატაში აზგვიტაში სასაზღვრო ქვას-ჭორტს ჰქვია. თვითონ ჭორტიც პროდუქტიულია მესხეთის ტოპონიმიურ სახელებში. ასევე გვხვდება ცალკე კოკოლატ. შეიძლება-ჭორტი ქვაც შეგვხვდეს, მაგრამ მხოლოდ ჭორტიც უეჭველად ქვას გულისხმობს ან ერთმანეთზე დაწყობილ ფიქალ ქვებს. კოკოლა აკოკოლაგებულ ჭორტს ან ჭორტად დაწყობილ ქვებს ჰქვია. კოკოლა შეიძლება კლდესაც ერქვას, ვიწრო კონუსური ფორმისას, გორაკსაც, ამიტომაც შეიქმნა საჭირო აუცილებლად საზღვრული „ქვა“, რადგან ტაში თას უკვე შემოსული იყო დიალექტში, მივიღეთ კოკოლა ტაში. შდრ. ტაშლი ყიშლა და სხვა. ტაშ მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში სამეურნეო, მინდორთან თუ სახნავ-სათესთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში შევიდა, თორემ სამშენებლო ტაში არ არსებობს.

თუ -ის სუფიქსი დაერთო თურქულ ფუძეს, სხვა შემთხვევაში თურქული სუფიქსი დაერთვის ქართულ ფუძეს. ასეთია -ლულ (ლღ), რომელიც სიტყვა პანტას დაერთო და მივიღეთ *პანტალული*, რაც პანტარს, პანტიანს ნიშნავს.

თურქული ენის გავლენას განიცდის ადამიანთა საკუთარი სახელებიც. თურქული ენის კვალი ემჩნევა საგვარეულო სახელებს, რომელნიც შემდეგ საფუძვლად ედება ტოპონიმთა სახელდებას: *აზიზანთ ყანა, იეთმიეენტ ყანა, ოქუზიანთ ყანა*-ნაყანარებია ნასოფლარ ქილდაში. *სელიმანთ უბანი, უბანი ჰტენა, ყარანთურიენტ ავაზნები* ყანები, *ზველი, ყართალიენტ* წისქვილები, ნაწისქვილარი, *ერკოტა* და სხვა. ეს სახელები ქართველებს ერქვათ, ამიტომ თურქული ენის გავლენა განიხილება დიალექტურ დონეზე. სახელი შემოვიდა დიალექტში, მისი მომხმარებელი იყო ქართული მოსახლეობა.

§ 4. ადგილის სომხური სახელწოდებანი

მესხეთის დიდ ნაწილში ჩავეწერეთ ადგილთა სომხური სახელწოდებანი. ისინი გავრცელებულნი არიან იმ ტერიტორიაზე,

რომელიც დასახლებულია სომხური მოსახლეობით. ეს არის ნინოწმინდის რაიონი მთლიანად, დუხობურთა სოფლების გარდა, და ახალქალაქის რაიონის დიდი, ძირითადად მისი აღმოსავლეთი, სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი. ასპინძის რაიონის ერთი სოფელი და ახალციხის რაიონის სომხებით დასახლებული სოფლები.

მესხეთის დღევანდელი სომხური მოსახლეობა გაჩნდა 1830 წლიდან. 1828 წელს პასკევიჩის მეთაურობით აიღეს ახალციხის საფაშო და იგი რუსეთს შებოუერთეს. მაშინვე დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება და სწორედ მათ ადგილზე ჩამოასახლეს სომხები ყარსის, ერზრუმის და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან. ჩვენ არ ვეხებით ამჯერად იმ სომხური ტოპონიმებს, რომლებიც გავრცელებული იყო ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ თემში.

ისეთი ცნობილი ისტორიული სახელები, როგორიცაა იშხანი, მიძნაძორი და სხვანი ამჯერად არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ცნობილია, რომ ტოპონიმებს სოციალური ფუნქცია აქვთ და ისინი ისევე, როგორც ენობრივ სამყაროსთან დაკავშირებული ყველა მოვლენა, საზოგადოების გარკვეულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფის კუთვნილებაა. ამ თვალსაზრისით უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: ერთი, როდესაც ენაში ან დიალექტში შემოდის რომელიმე უცხო სიტყვა, რომელიც შემდეგ დროთა განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილის სახელად, მაგალითად თურქული სიტყვა *იაილა* (საძოვარი) შემოვიდა ჯავახურ დიალექტში და შემდეგ, გაფორმებული ქართული სუფიქსით იქცა ტოპონიმად—*იაილები*. რა თქმა უნდა, ეს არ არის თურქულენოვანი მოსახლეობის მიერ შერქმეული ტოპონიმი, მაშინ, როდესაც *ლაბაიენც აბაურ* (სოფ. სათხე, ნინოწმინდის რაიონი) სომხური ტოპონიმი, რადგანაც შერქმეულია ამჟამად მკვიდრი სომხური მოსახლეობის მიერ.

ჯავახეთში სომხური სახელები პროდუქტიულია მიკროტოპონიმიში, მაშინ, როდესაც სოფელთა სახელები ისევ ძველი დარჩა, ქართული. რატომ მოხდა, რომ მიკროტოპონიმი ასე ძლიერ შეიცვალა სულ რაღაც ასორმოცდაათიოდე წლის განმავლობაში? შეუძლებელია, დღევანდელ *ლალინ ბერთს* (სოფ. სათხე, ნინოწმინდის რაიონი) ადრე ქართული სახელი არ რქმეოდა. იგი ციკლოპური ციხეა სოფლის ტერიტორიაზე. ამჟამად ქართული სახელი ჩვენთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ თრქული და

სომხური სახელები ღალა-კალა (თურქ-ციხე) და ბერთ (სომხ. ციხე).

საქმის ვითარება ასეთნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: სომეხთა გადმოსახლება მესხეთში თანდათანობით, შემთხვევით, ნელ-ნელა კი არ ხდებოდა, არამედ ადმინისტრაციულად. პასკევიჩის მიერ ახალციხის საფაშოს აღების შემდეგ 1828 წელს მეფის რუსეთის მთავრობამ ყველა ღონე იხმარა, რათა გადაესახლებინა ადგილობრივი მოსახლეობა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო ჯავახეთს. მთიანი ჯავახეთი 1828-30 წლებში მთლიანად დაიცალა მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობისაგან. გადასახლებულმა ქართველებმა თან წაიღეს ადგილთა სახელწოდებანი, ამიტომ მათ ნაცულად გადმოსახლებულ სომხებს აღარავინ დახვდა, რომ ესწავლებინა ამა თუ იმ ხევის, მთის სახელი.

ეს გარემოება კი, რომ სოფელთა სახელები ქართული დარჩა, უნდა აიხსნას ისევ და ისევ ადმინისტრაციული ჩარევით. სომეხთა ჩამოსახლებაც კანონზომიერად, გამიზნულად ხდებოდა. შედგენილი იყო სათანადო დოკუმენტაცია, განაწილდა სოფლები და სოფელთა ტერიტორიები. ეს სოფლები კი, რა თქმა უნდა, დოკუმენტაციაში თავისი ძველი ქართული სახელებით იყო მოხსენიებული, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩამოსახლებულმა ისევე მიიღო და შეითვისა. რომ მიკროტოპონიმის შეცვლის მთავარი მიზეზი მოსახლეობის მიგრაციაა ადმინისტრაციული გზით და არა უცხოენოვნება, ამის ნათელი მაგალითი მე-20 საუკუნეშიც დაიძებნება იმავე არეალში.

1944 წელს ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებიდან გადაასახლეს მაჰმადიანი მოსახლეობა. მათ ადგილზე ჩამოსახლეს მთიულეები, იმერლები, აჭარლები და რაჭველები. მიგრაცია ადმინისტრაციული იყო, ამიტომაც მთლიანად გაქრა სოფელთა მიკროტოპონიმია. რომ ისიც ნამდვილად ქართული იყო, ამას ადასტურებს სტუმრად ჩამოსულ გადასახლებულებთან ადგილის სახელთა შემოწმება—იგი ქართულია. ამრიგად, მიზეზი ამ შემთხვევაშიც არ უნდა ვეძებოთ იმაში, რომ მიკროტოპონიმია მაჰმადიანი მოსახლეობის მიერაა შერქმეული, თურქული იყო და ამიტომ ახლად ჩამოსახლებულმა ქართველებმა შეცვალეს იგი. ამიტომ მთავარი და გადამწყვეტი როლი მესხეთის ადგილთა სომხური სახელების არსებობაში ისევ ადმინისტრაციულ ჩარევას უნდა მივაკუთვნოთ, ამიტომაც არის, რომ მიკროტოპონიმიაში იშვიათია კალკები თუ თარგმანები. სამაგიეროდ იქ, სადაც ბუნებრივად, თანდათანობით მოხდა სომხური მოსახლეობის დასახლება, თარგ-

მანები ბლომად გვაქვს. ბარალეთში (ახალაქალაქის რაიონი) ყანის სახელად ხუთი წლის წინ თუ ღვდლის ყანა ჩაეწერეთ, დღეისათვის უკვე ქცეულა ტერტერინ არდერად, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია. სოფელი ბარალეთი შერეულია და დღეისათვის ჭარბობს სომხური მოსახლეობა.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი ისმის: იყო თუ არა 1830 წლამდე ჯავახეთში სომხური მოსახლეობა და შეიძლება თუ არა ადგილებს მანამდე შერქმეოდა სომხური სახელები.

1830 წლამდე სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა კომპაქტურად დასახლებული არ ყოფილა. სულ რამდენიმე სოფელში ადგილობრივებთან ერთად გვხვდებოდნენ ისინი, ამის საფუძველს გვაძლევს ვახუშტის „აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი“. მე-18 საუკუნეში, ვახუშტის დროს, ჯავახეთის შესახებ ნათქვამია, რომ იქ სახლობენ მხოლოდ ქართველნი და „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული“⁸⁶⁸.

1830 წლამდე სომხები გვხვდებიან ჯავახეთში მხოლოდ ორგან: გოკიასა და ბარალეთში: 1. „გოკია არს ქალაქი მცირე მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი“. 2. „ჯავახეთის მტკუარს მოერთვის ჩრდილოეთიდან ბარალეთის მდინარე... ამ წყალზედ მტკუარს შესართვას ზეით არს ბარალეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი“. ბარალეთსა და გოკიაში რომ შეიძლება „მცირე ქალაქები“ ყოფილიყო და იქ ვაჭარ ებრაელებსა და სომხებს ეცხოვრათ, ჩანს გოკიოს მეტად მასშტაბური ეკლესიით და საფლავის ქვებით, რომლებზეც ჯავახეთისათვის დამახასიათებელი ხელობის გამომხატველი რელიეფებია გამოხატული. საფლავის ქვებზე ამოკვეთილია მაკრატლები და საზომები, რომლებიც ვაჭართა საფლავებზე მიგვითითებენ. ამასთან ჩვენი მეფეები არაერთგზის მიმართავდნენ სწორედ ქალაქ ადგილებში სომეხთა და ებრაელთა ჩამოსახლებას ვაჭრობის განვითარებისათვის⁸⁶⁹. ისტორიულად შეიძლება დადასტურდეს სომხური მოსახლეობის კვალი თმოგვსა და წუნდაშიც⁸⁷⁰.

⁸⁶⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 660-61

⁸⁶⁹ მ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-43.

⁸⁷⁰ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985, გვ. 127.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯავახეთის ტოპონიმიში სომხური სახელები ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ 1830 წლის შემდეგ.

ჯავახეთის ადგილთა სომხური სახელწოდებებიდან ცალკეა გამოსაყოფი სამი სოფლის—*კარტიკაძის*, *ბერისა* და *ხულგუმოს* მიკროტოპონიმი, რომელიც მთლიანად თურქულია. თუ სხვა შემთვევაში თურქული ენის გავლენით სომხურში მოხვედრილი ბარბარიზმები ედება მიკროტოპონიმის სახელდებას საფუძვლად, აქ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობა სომხურია, მაგრამ ისინი არტაანიდან, კერძოდ, სოფელ ველიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადმოსახლებული ქართველები არიან⁸⁷¹. სარწმუნოება კათოლიკური ჰქონდათ და გამაჰმადიანებას ამიტომ გადაურჩნენ. ენა, ეტყობა, უკვე XIX საუკუნეში ორი ჰქონიათ, თურქული და ქართული. ენის დაკარგვა უფრო ძნელი იყო გასულ საუკუნეებში, რადგან „დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, ისლამის მიღებიდან თუ მესამე თაობა მშობლიური ენის სიწმინდეს ინახავდა, მეოთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის ქსოვილში უხვად უშვებდა უცხო ლექსიკის ნაკადს, მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა ძალით თავზე მოხვეულ ენაზე და მშობლიურ ენას უკვე მხოლოდ შინაურობაშილა ხმარობდა. ასე თაობათა სიღრმეში უცხო რელიგიურ-პოლიტიკურ და სოციალურ გარემოს წყალობით დავიწყებას ეძლეოდა მესხეთის ქართველთა შორის თვით მშობლიური ქართული ენა“⁸⁷².

ახალქალაქის შემოგარენის სოფლებში კი სხვა პროცესი მოხდა. არტაანელმა ქართველებმა შემოინახეს ქართული ენა, მაგრამ შემდეგ სომხური სკოლა რომ შემოიღეს, რადგანაც მათთვის მშობლიური ენა არ იყო სომხური, ამ ენას ქართული კი არ დაუპირისპირეს, არამედ თურქული.

დიდი არტაანის ლივის სოფ. *ველის* მცხოვრებთა ისტორია აქვს აღწერილი შ. ლომსაძეს: „ველი იმ გამონაკლის სოფლების რიგს ეკუთვნის, რომელთაც დიდი მსხვერპლის ფასად შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება. XVIII ს. დასაწყისში იგი გამაჰმადიანებულ ოკეანეში დარჩენილ კუნძულს ჰგავდა“⁸⁷³. ველელები 1829 წლის ზაფხულში გადმოვიდნენ ჯავახეთს და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო. მერე სომხებიც ჩამოსახლდნენ და საუკუნეებს გამოველილი, გამაჰმადიანებას

⁸⁷¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

⁸⁷² შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 398-99.

⁸⁷³ იქვე, გვ. 304.

გადარჩენილი ველელები გასომხდნენ XIX-XX საუკუნეებში. ამის მიზეზად უცხოენოვანი სკოლის, სასწავლებლის მასიურობა უნდა ჩავთვალოთ, რომელიც აჩქარებს მშობლიური ენის დაეწეებას. ასე რომ, თუ ენის დაეწეებას თაობათა ცვლა სჭირდებოდა, დღეს ეს პროცესი უცხოენოვანი სკოლის წყალობით უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ 1933 წელს ს. ჯიქია წერდა ჯავახეთში მოგზაურობის დღიურში: „დღილით ბერაში წავედით. მოსახლეობა — ნაწილი თურქულენოვანი კათოლიკე ქართველები, ნაწილი სომხურენოვანი კათოლიკე სომხები. პირველები ამბობენ არტაანიდან ვართო, მეორეები — არზრუმიდან. აქ არის ქართული ეკლესია ძველი წარწერით, არის აგრეთვე ქვაჯვარი წარწერით“.

ამჟამად არამარტო ბერაში, არამედ ზემოთ აღნიშნულ სამ სოფელში აღარაეინ ამბობს, ქართველი ვარო.

ამრიგად, ამ სოფლებში თითქოს აღარაფერი დარჩა ქართული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საინტერესო გარემოებას. სომხურსა და თურქულს, ქართულისაგან განსხვავებით, ყ ბგერა არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც ეს ბგერა პროდუქტიულია სწორედ ზემოთ აღნიშნულის სოფლების მეტყველებაში. მათ მიერ შერქმეულ ადგილის სახელებში. კიან თურქულ სიტყვებში კარა, კაზ, ზ, კაია... კათოლიკე ქართველთა. ამჟამად უკვე სომეხთა მეტყველებაში, ისევე, როგორც ჯავახეთის ქართველთა მეტყველებაში, ყ ყ-თია შეცვლილი — ყარა, ყაზ, ყაია, მაშინ, როდესაც სომხურში, სადაც თურქული ყ ღ ბგერით გადმოიცემა, ეს სიტყვები ასეთ სახეს იღებენ — ღარა, ღაზ, ღაია, რამდენიმე მაგალითი სოფ. ზულგუმოს ტოპონიმიდან: ყაზ თაფალარ (საძოვარი), ყაია-ბაში (გორა), ყარაულთაფე (გორა), ყარაჯუზ (მთა) და სხვა.

ამ სოფელთა მიკროტოპონიმია, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანად თურქულია, მაგრამ თანდათან ზდება მისი თარგმნა სომხურად. პროცესი ხელოვნურია, ამიტომ აღნიშნულ სოფელთა მიკროტოპონიმია მაინც თურქულად უნდა ჩავთვალოს და არა სომხურად.

ადგილთა სომხური სახელწოდებანი განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმთა სახელდებასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად. მართალია, ისინი სომხურ ენობრივ გარემოში წარმოიშვნენ და ამდენად სომხური ენის ლექსიკის კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ ზოგადად ტოპონიმისათვის ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ სახელების შედარებითი

სიახლის გამო შესაძლებელი ხდება მათი ასაკის განსაზღვრა, რაც, თავისი მხრივ, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ტოპონიმთა სახელდების პროცესს ამ 150 წლის განმავლობაში.

ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა ქართული სახელების (ძირითადად სოფელთა სახელების) გადმოცემა სომხურში, სომხურისათვის და ქართულისათვის საერთო სიტყვები, თურქულ-სომხური სახელწოდებანი და სხვა.

ქართული სახელწოდებები, რა თქმა უნდა, შეცვლილია სომხურში. არც ერთი სოფლის თანხმომავანფუძიან სახელწოდებას სახელობითის ნიშანი შემორჩენილი აღარ აქვს. იხმარება *კორხ*, *კორხი*-ს ნაცვლად, *ახაქლაქლაქ*, ნაცვლად *ახალქალაქისა* და სხვა. ეს თითქოს შეუმჩნეველი ფაქტი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯავახეთის ტოპონიმიაში.

-ი სახელობითის ნიშანი გაგებულია არა როგორც ორგანულ ქართულ ფუძეზე დამატებული ქართული სუფიქსი, არამედ როგორც ზოგადად ფუძის გამაქართულებელი ნიშანი, ამიტომაც მის ჩამოშორებაში, გარდა ენობრივი მომენტისა, მონაწილეობს სოციალური ფაქტორი.

სომხურ სახელწოდებებში უცხოენოვანია, კერძოდ, თურქულია ჰიდრონიმია. თურქული ტერმინები იხმარება ძირითადად ტბის, მდინარის, წყაროს სახელებად: *ჩაი* (მდ. ფარავანი), *ღაზგეელ* (-ბატის ტბა, სოფ. უჯმანა), *მარალ გოლ* (-ირმის ტბა, სოფ. უჯმანა), *ღარა ბულალ* (შავი წყარო, სოფ. მამწვარა).

მერყეობს ხევის სახელი, უფრო ხშირია სომხ. ძორ, შედარებით ნაკლებია *ღარა* (თურქ.).

იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენებან ტბის სახელად *ლიჯ* (სომხ. ტბა) მაგ. ხანჩალის ტბა ძირითადად *გოლ*-ად იწოდება, მაგრამ დიდიფელებმა *ლიჯ*-იც ჩამაწერინეს.

საინტერესოა სომხურ სახელწოდებაში -სტან ეთნოსუფიქსის მატოპონიმებული ფუნქცია. მისი ფუნქცია ჯავახეთის მიკროტოპონომიაში სიმრავლის აღნიშვნაა, *ბარაბესტან* (ნასოფლარები, სოფ. დ. ხანჩალი), *ჩიჩავლისტან* (ყვავილები, სოფ. ალასტანი), *კორენგესტან* (ექსპარსეთიანი, სოფ. ორჯა).

გაბატონებულია უბნის სახელად თურქული მაილა... უბნების სახელები, ჩვეულებრივ იმათი გვარებიდან მომდინარეობს, უბანში რომ ცხოვრობენ. მაგ.: *შეხუ მაილა* (შეხოიანების უბანი), *არონე მაილა* (აროიანების უბანი), სოფ. ეშტია და სხვა. უბნის სახელად იხმარება სპარსული *შენიცი*, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ

ნორაშენ-ის შემთხვევაში (ახალშენი). ნორაშენი თითქმის ყველა სოფელს აქვს ახალდასახლების სახელად.

-ნერ მრავლობითობის აღმნიშვნელი სომხური სუფიქსი დაერთვის არა მარტო სომხურ, არამედ ნასესხებ თურქულ ფუძესაც: მათალ-ნერ-იათაღე-ბი (სოფ. ყვილალისი), არხან ჯ-ნერ-საძოვრები (სოფ. ყვილალისი) და სხვ.

ანალოგიურ შემთხვევებში დასტურდება ქართულ მიკროტოპონიმიაშიც, გვხვდება: *არხაჯები* - არხაჯი დაცულ, შემოყრილ საძოვრებს ჰქვია თურქულად, *იათაღები* - იათაღი საქონლის საზაფხულო სადგომია, *აღები* - ადას კუნძულს ან წყლისპირს უწოდებენ და სხვ.

-ნერ მრავლობითის სუფიქსი ერთვის ადამიანის საკუთარ სახელებსაც. არც რუსულ, არც თურქულ მიკროტოპონიმიაში არ გვხვდება შესაბამისი ენების მრავლობითობის სუფიქსი ასეთი ფუნქციით. მაგ.: *ბაქოზნერ*, *აშუღნერ* (სათესები სოფ. აზარვეთი), *მამონნერ* (მინდორი სოფ. ალასტანი), *მამუღნერ* (სათესი, სოფ. განძა), *ჰასანნერე* (სათესი სოფ. განძა) და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ შემთხვევაში -ნერ მრავლობითობის სუფიქსი ადამიანთა საკუთარ სახელებს (*ბაქოზ*, *აშუღ*, *მამონ*, *მამუღ*, *ჰასან*) დაერთვის.

ხშირად გამოიყენება სომხურ ტოპონიმიაში -დან სპარსული ფორმანტი. მაგ. *გოლდან* (ტყე, სოფ. დილიფი), *ჩაირდან* (მინდორი, სოფ. დილიფი) აღსკლდან (ნასოფლარი, სოფ. თორია), *ახორდან* (საძოვარი, სოფ. თორია), *ხყრაჟდან* (ხრეშინი ადგილი, სოფ. თორია) და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ სახელებიდან -დან-ის ცალკე გამოყოფის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ მის გარეშეც გვხვდება სიტყვები: *გოლ*, *ჩაირ*, *აღლ/ჰაღლ* (ისინი თურქულიდან შემოსული სიტყვებია სომხურ ენაში. ხოლო *ახორ* კონკრეტულ შემთხვევაში მყუდრო, თბილ ადგილად განმარტეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, ხყრაჟ კი-ხრეშად).

გამოვყოფთ რამდენიმე სახელს, რომელიც ჯავახეთის სომხურ სახელწოდებებშიც გვხვდება და რომელსაც პარალელები ეძებნება ქართულ მიკროტოპონიმიაში. მაგ.: *აეჭალა*, *აეჭალიძორ*, *ლოჯაქარ*, *ქოტოი კოხ* (სოფ. ეშტია), *საქულარ*, *ჩუხურღარ* (სოფ. ასფარა), *კოჯორ* (სოფ. ვლადიმროვკა), *ჭელუღნერე* (სოფ. ბურნაშეთი), *ჭოჭჩაირ* (სოფ. ალასტანი) და სხვა. ზემოჩამოთვლილ სახელებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *აე-ჭალა*, *ყოჩი*, *კოხ-ი*, *საქეე*, *ჩუხურ-ი*, *ჭელ-ი*, *ჭოჭი*. ამათგან აეჭალა

თურქული ენის ნიადაგზე უნდა აიხსნას და დათვის ჭალას ნიშნავს, არაქართულ ნიადაგზე აიხსნება ჩუხური⁸⁷⁴. ქოტოიკობის შემთხვევაში ქოტოი კაცის სახელია, ხოლო კოზ—ს გორაკს ეძახიან, სწორედ ისეთს ჯაგახეთს ქართულ ტოპონიმიშიაში კოზ-ს რომ უწოდებენ. არის ცდუნება კოჯორ—კოჟორ-ის მსგავსებისა. ჭელი თიბისას გატანილ სვეს ჰქვია და გვხვდება მიკროტოპონიმიში. ხშირად გვხვდება აგრეთვე ჭოჭი.

სომხურ-ქართულ მიკროტოპონიმიის მსგავსება ორმხრივაა საყურადღებო: როგორც საერთო ლექსიკური მასალა და როგორც საერთო ტოპონიმური მასალა. ანგარიშგასაწვევია და გასათვალისწინებელია მესამე ენის გავლენაც.

§ 5. რუსული სახელები

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი *კუნძულური კილოკავი* (островные говоры) იმ ენობრივი წრის ხალხთა მეტყველების აღსანიშნავად, რომელიც მოქცეულია სხვაენოვან გარემოში. თუ მთავარ დიალექტს (ან ენას) ვუწოდებთ მატერიკულს, მაშინ დაისმება საკითხი მატერიკულის დამოკიდებულებისა კუნძულურთან.

რადგან არსებობს კუნძულური კილოკავი, შეიძლება დავამკვიდროთ კუნძულური ტოპონიმი. ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს ჯაგახეთის სოფელთა რუსული სახელები.

ჯაგახეთის რუსული ტოპონიმები შეიძლება იქნეს განხილული, როგორც *კუნძულური*, რადგან, მას შემდეგ, რაც გაჩნდა რუსული მოსახლეობა, იგი მოწყვეტილი აღმოჩნდება მატერიკულისაგან. მოხდა იზოლაცია და იქცა „კუნძულად“.

რუსული კუნძულური კილოკავის შესახებ საქართველოში, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო არეალში, გამოთქმულია მოსაზრება:

ძირითადი კილოკავებისა და მატერიკულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ძირითადი და მატერიკული კილოკავები, ტერიტორიული დაშორებისა და უცხო ენის გარემოებით გამოწვეული მცირეოდენი განსხვავების მიუხედავად,

⁸⁷⁴ ს. მელიქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110-111.

დიალექტის სტრუქტურული ელემენტების ურთიერთ მჭიდრო კავშირის გამო ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ასევე შეიძლება დაისვას საკითხი კუნძულური ტოპონიმების შესახებაც. ერთი განსხვავებით, რომ კუნძულური კილოკავი და მატერიკული განიხილება მათი ერთგვარობის ან მცირე განსხვავებულობის თვალსაზრისით. ამ დონეზე და მაგვარად განიხილება კუნძულურის მიკროტოპონიმიაც. მაგრამ, როდესაც საქმე ოიკონიმებს ეხება, დგება საკითხი მათი (კუნძულურისა და მატერიკულის) ურთიერთ-მიმართებისა და არა იგივეობისა. ოიკონიმიაში აისახება გარკვეული დამოკიდებულება ყოფილ სახელებთან, თავს იჩენს ერთგვარი სოცილური ნოსტალგია, რადგან გადასახლება ძალდატანებით მოხდა და იქმნება ტოპონიმური ღუბლები მცირე ფორმობრივი ცვლილებებით. ტამპოვოს გუბერნიიდან გადმოსახლებული ღუზობური არქმევს ტამპოვკას. ჯავახეთში ეს არის მიგრაციის ისტორიაც. ე.ი. ენობრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტორი განსაზღვრავს სახელდებას.

პირველ რიგში, ცალკე აღსანიშნავია ტერმინი *რუსი* და მისგან ნაწარმოები ტოპონიმები *ჯავახეთში*. ეს ტერმინი გაჩნდა 1828 წლიდან, როდესაც პირველად გამოჩნდა რუსეთი ჯავახეთში და დაკავშირებულია პასკევიჩის სახელთან. *რუსი* გზა, რომელიც მთელ ჯავახეთს გასდევს, უწოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე 1828 წლის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს *რუსი წყალი*, რომელიც სათავეს იღებს თურქეთის საზღვართან და უერთდება ხანჩალის ტბას ფერმებთან. სახელდებისას დღევანდელი ჯავახეთის რუსები რომ იყოს ამოსავალი, მაშინ იქნება *ღუზაბორის* გზა და არა რუსის გზა, ანდა *ღუზაბორის წყალი*, ისევე, როგორც გვაქვს ამავე ხანჩალის ტერიტორიაზე *ღუზაბორის წყარო*.

დანარჩენი „რუსული ტოპონიმები“ ნიშნავს რუსი (ღუზობორი) მოსახლეობის მიერ შერქმეულ სახელებს.

ღუზობურთა რელიგიური სექტა, რომელიც შედარებით გვიან ყალიბდება, თავის სოციალურ საფუძვლებს პოულობს XVI-XVII საუკუნეებში.

ღუზობურები იყვნენ ანტისაეკლესიო მოძრაობის მემკვიდრეები. თვით სახელწოდება „*Мухоморы*“ ამტკიცებს, ახალი სექტის აქტიურ ხასიათს, როგორც სულისათვის მებრძოლს⁸⁷⁵.

ღუზობურები ამტკიცებდნენ, რომ ისინი განსაკუთრებული ხალხი იყო მთელ რუს ხალხში. ამ მიზნით თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში

⁸⁷⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. გვ. 17-18

ცხოვრებაში ხელოვნურად შექმნიდათ დიდი ცვილე-
ბები—აწესებდნენ ახალ ადათებს, ცვლიდნენ ტანსაცმელს,
დაკრძალვისა თუ სხვა წეს-ჩვეულებებს.

ჯავახეთის დუხობურები გამოირჩევიან როგორც ჩაცმულობით,
ისე ყოფითი და საყოფაცხოვრებო დეტალებით.

სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა დუხობურთა შეთანხმებას
შეეცვალათ თვით ახლო ნათესაური ტერმინოლოგია: ერთ-
მანეთისადმი ნათესაურ მიმართვაში დუხობურები ახალ სიტყვებს
იყენებდნენ: მამას „ბერიკაცს“ ეძახდნენ, დედას—„დედაბერს“,
ცოლს „стряпушка“-ს.

ეს სარწმუნოებრივი სექტა გამორჩეული და იზოლირებული
აღმოჩნდა რუსეთშივე და, რა თქმა უნდა, მისწრაფება ორიგი-
ნალობისაკენ კვალს დაამჩნევდა მათს არა მარტო ყოფითს, არამედ
ენობრივ გარემოს.

ყურადღებას იქცევს გამორჩეული საფლავეები, უფრო სწორად
სარკოფაგები. თუმცა ასეთი საფლავეები მხოლოდ მათს წინამძღოლ
გვარს—კალმიკოვებს და ვერიგინებს ხვდათ წილად ნინოწმინდის
რაიონის სოფელ ორლოვკაში.

დუხობორებმა ადრევე ჩამოაყალიბეს კომუნები, გაჩნდა საერთო
საკუთრება, რის ანარეკლსაც ვხედავთ ჯავახეთის ტოპონიმიასში,
სადაც მოხდა ნაკვეთების სახელდება არა მეპატრონეთა მიხედვით
(როგორც მაგალითად, კალმიკოვა ბაღკა, და სხვა), გვაქვს I
ბაღკა, II ბაღკა, III ბაღკა. ასეთი ნუმერაცია იქცა ტოპონიმურ
სახელად. ეს „ბაღკები“ გზის პირას არის და როდესაც საწი-
ნააღმდეგო მხრიდან მოვდივართ, თანამიმდევრობა დაცულია: III,
II, I.

ასეთი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა დუხობურთა
სექტა ჯავახეთში და ბუნებრივია, კვალი ტოპონიმიასაც უნდა და-
ტყობოდა. დუხობრებამდე ჯავახეთში ჩამოსახლდნენ ბერძნები,
სომხები, ქურთები და სხვ. მაგრამ მათ სოფელთა სახელები არ
შეუცვლიათ, დუხობურებმა კი ჩამოიტანეს რუსეთიდან თავიანთი
რუსული სახელები და, სადაც დასახლდნენ, ან შეუცვალეს სო-
ფელს სახელი, ან ახალი დაარქვეს.

დუხობორთა ჩამოსახლება ჯავახეთში დაიწყო 1841 წელს, რა-
საც დადაბებს სოფელ არლოვკის ტერიტორიაზე კალმიკოვების
სასაფლაოს შესასვლელში ჩატანებული დაფა. წარწერა საინტერე-
სოა, როგორც ისტორიული დოკუმენტი და როგორც ენობრივი
დოკუმენტი, ამიტომ მოვიყვანთ მთლიანად: „Вечная память
правильных родителей именнованных духобурцевь

погребенных и поклоняемых отцу и сыну и святому духу спасали и спасаиммы души свая кротастию и смириениемъ любовью правды ради было угодно богу и государю собрати насъ на обитаваннаю землю втавричиска губернью въ 1805 году а въ 1841 году пиреселены Закавказь Кутанской губернии силения Тирпени и хто сию повисть чувствовать не долженъ потерять сие дело“.

მოხუცების მტკიცებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში ყოფილა ვინმე ოფიცერი *ორლოვი*. რომლის სახელიც ძალად დაურქმევიათ ტერაქენისათვის. საუკუნის ბოლოს რუსულ რუკებზე სოფლის ორივე სახელია მითითებული, ოღონდ მთავარ სახელად უკვე ორლოვკაა, ხოლო ტერაქენიე მიწერილი აქვს ფრჩხილებში. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოსული რუკა კი 1930 წელს მხოლოდ ორლოვკას იცნობს უკვე. ორლოვკაც მოტანილი სახელია, რადგან დუხობორებს ბრძანებით ნება დაერთოთ, თავრიზის გუბერნიაში, მოლოჩნიე ვოდის მიჯნაზე (მელიტოპოლის მაზრა) დასახლებულიყვნენ. ამასთან ერთად დასახლდნენ დუხობორები სალბოდო-უკრაინის (ხარკოვის), ეკატერინოსლავის, ხერსონის ვორონეჟის, ტამბოვის, ორლოვის გუბერნიებშიც.

გუბერნიის ცენტრის *ტამბოვოს* სახელი დაედო საფუძვლად სოფლის სახელს *ტამბოვკას*. თავფარავნის ნაპირზე 1924 წელს ხულგუმოდან გადმოსახლდნენ ტამბოვკაში სომხები და თანდათან შემცირდა რუსული მოსახლეობა. ახალმა მოსულებმა მოიტანეს სახელი და ახალი ხულგუმი უწოდეს. ასე, რომ მალე აღბათ, დღეს რომ პარალელურ ფორმად იხმარება ახალი ხულგუმი, ეს უკანასკნელი დარჩება სოფლის სახელად, რადგან რუსული სახელი რუსულ მოსახლეობას გულისხმობს. ეს სოციალური ფაქტორი განაპირობებს „ახალი ხულგუმოს“ გამარჯვებას.

ნინოწმინდის რაიონის სოფ. *გორელოვკას* ჰყავდა ტამბოვოსთან ახლოს წინამორბედი სეხნია, საიდანაც იყო ერთ-ერთი მქადაგებელი დუხობორებისა.

ამ ამბიდან თვრამეტი წელის შემდეგ დუხობორულ მოძღვრებას თავისი მქადაგებელი გამოუჩნდა სავა ტობირუხანის სახით. ეს ტობირუხანი ცხოვრობდა სოფელ გორელოეში, რომელიც მდებარეობს ქ. ტამბოვის ჩრდილოეთით 25 კერსის დაშორებით მარშანსკისკენ მიმავალ გზაზე⁸⁷⁶. დაახლოებით 1775-85 წლებში გა-

⁸⁷⁶ С. Максимов, За Кавказомъ, Отеч. записки, июль, 1887, ст. 88

მოჩნდა სოფელ გორელოში, ტამბოვისავე მაზრაში, ტამბოვის ჩრდილოეთით⁸⁷⁷.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კალინინო ეწოდა სოფელ ტროიცკოეს, რომელიც ალბათ მოტანილი სახელია მცირე ფონეტიკური ცვილებით. ტომბოვოში ყოფილა სოფელი Торицкое⁸⁷⁸. ტროიცკოეს რომ ტროიცკოე მოეცა ბეგრათა მეტათეზისის გზით, შეუძლებელი არ ჩანს, მით უმეტეს, ტომ ტროიცა დუხობურთა მნიშვნელოვანი დღესასწაულია და გადააზრების ფაქტორსაც ექნებოდა ადგილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯგავახეთში დუხობორებმა მოიტანეს შვიდი სახელი და რომ: „დუხობურებმა ჯგავახეთში ააშენეს მოლოჩნიე ვოდაში და ადრე ტამბოვოს მიდამოებში არსებული სოფლების იდენტური სოფლები. ამათგან სახელები შეუსცვალეს ადგილობრივ სოფლებს: 1. ჭუბლიკანს დაარქვეს ვლადიმროვკა. უფრო სწორად სოფელი ნასოფლარის წინ ფარავანის ტბასთან უფრო ახლოს სწორედ გააშენს ნასოფლარიდან მოტანილი ქვებით. დღეს ვლადიმროვკაში რუსები აღარ ცხოვრობენ, მათი ადგილი დაიკავეს ეშტიიდან და ფოკიდან გადმოსულმა სომხებმა. დუხობორთა კვალი, გარდა სოფლის სახელისა, ემჩნევა ხევთა სახელებს შემოგვრჩა: სუხოერეჩ, მატრიოშიკი ბალკა, ვენიციკი ბალკა და სხვა.

2. ფარავანს დაარქვეს როდიონოვკა. როდიონოვკაში უკვე უმრავლესობა სომხები ცხოვრობენ.

3. ბულდაშენს დაარქვეს გორელოვკა.

დანარჩენ ოთხ სოფელსაც, ალბათ, ერქვა ადგილობრივი ქართული სახელი, რაზეც მიგვანიშნებს ნაციხარები სოფელთა ტერიტორიაზე, თანაც ეს მხარე ისტორიულდა მჭიდროდ დასახლებული მხარეა⁸⁷⁹.

აღსანიშნავია ერთი ტენდენცია, რუსული სახელები ადგილობრივთათვის (ნინოწმინდის რაიონში ძირითადად სომხური მოსახლეობაა) რუსებს გულისხმობს უეჭველად, ამიტომ იმ სოფლებში, სადაც უკვე სჭარბობს სომხობა ან მხოლოდ ისინი ცხოვრობენ, დუხობორთა დარქმეული სახელები ნაკლებადლა იხმარება და ძი-

⁸⁷⁷ О. Новицкий, Духабурцы, их история и вероучение, Киев, 1882, ст. 23-24.

⁸⁷⁸ ჩილდრის ვილაიეთის ჯგაბა დავთარი 1694-1732 წწ. თბ., 1979. გვ. 31.

⁸⁷⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 68-69.

ძირითადად ადმინისტრაციულ მიმოქცევაშია. ასე რომ, გარდა ახალი სულგუმოსი ფეხს იკიდებს პუბლიკანი, ფარავანი.

სოფელთა სახელდებიდან დღემდე მცირე ცვლილებანი სახელწოდებებში მოხდა. იყო *ვლადიმირსკოე* და გვაქვს *ვლადიმროვკა*. გვექნდა *Спасская* (რუსული რუკით და სპასკოე ქართულად), გვაქვს სპასოვკა. მოხდა ერთგვარი უნიფიკაცია და ერთ ყალიბში მოექცა ყველა დაბლობა — *к(а)სუფიქსით*. ასე რომ, მივიღეთ ჯავახეთის ოიკონიმთა შემდეგი რუსული სახელები: *ტამბოვკა, როდიონოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ბოგდანოვკა*.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნინოწმინდა-ეფრემოვ-ვლადიმროვ-გორელოვ გვარები ჯავახეთის ღუბობურებში არ გვხვდება.

—*к(а)სუფიქსის დართვა მსაზღვრელზე, როდესაც დაიკარგება საზღვრული(зажигательная бомба-зажигалка)⁸⁸⁰, რუსულისათვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქვს ორი ტაემანთაფა (კურდღლის გორა) ახალქალაქში და განძაში, ორივეს პარალელური ფორმა არის ტაემანკა. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით.*

ეს ორი ტოპონიმური სახელი განიხილება არაკუნძულური მეტყველების ფარგლებში, რადგან იქ ღუბობორები არ ცხოვრობენ.

სუფიქსი დაერთვის ზმნურ ფუძეს და აწარმოებს ტოპონიმურ სახელს, კუტანკა ჰქვია მთას ეფრემოვკაში, რომლის არმენიზირებული ფორმა არის გუტანკა (ასე უწოდებენ იმავე მთას უდანოვაკანელები. ამოსავალია სიტყვა *кутить* (проводить время в кутежах)⁸⁸¹. ამ მთაზე საქეიფო ადგილებს მიუთითებენ ადგილობრივი მცხოვრებნი.)

—*ка* სუფიქსით არის ნაწარმოები იმ ყანის სახელი, სადაც შერია ითვისებოდა — *Овсянка* (მინდორი, ეფრემოვკა).

ვლადიმროვკაში ნაციხარს ჰქვია *Матрешкина*, მაგრამ აქ — *к(а)* ტოპოსუფიქსად არ გამოგვადგება, იგი აპელატიური მაწარმოებელია, რადგან სახელი ადგილს „მატრიოშკასთან“ მსგავსების გამოს შეერქვა.

⁸⁸⁰ Русская грамматика, I, М., 1980, ст. 171

⁸⁸¹ Словарь русского языка, т. III, М., 1982, ст. 138.

ჯავახეთის რუსული ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია, რომ —
K(a) სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს მაინცდამაინც ოიკონიმებს,
მიკროტოპონიმიაში კი შედარებით იშვიათია.

ჯავახეთის მიკროტოპონიმია განიხილება მთლიანად, როგორც
კუნძულური, რუსული ენის ლექსიკის ფარგლებში და ის ცალკე
კვლევის საგანია.

ქართველ მეცნიერთა თუ უცხოელ მოგზაურთა მოსაზრებანი
მესხეთის, როგორც საქართველოს უძველესი ეთნო-პოლიტიკური
ტერიმინის და მასში მოაზრებული ტერიტორიის შესახებ უნდა
განვიხილოთ კრიტიკულად და უნდა გავითვალისწინოთ ისტო-
რიული ტრადიცია, რომელიც რეალობაზე არის დამყარებული,
რომ მესხეთი იყო ერთი მთლიანი ნაწილი საქართველოსი,
როგორც იბერია და კოლხეთი. იგი იზრდებოდა და მცირდებოდა
სხვადასხვა ეპოქაში, მაგრამ ეთნიკური და ტერიტორიული ხსოვნა
ყოველთვის არსებობდა. ზოგჯერ (როგორც ეს მოხდა მე-20 საუ-
კუნეში) შეუძლებელი იყო მისი ზოგიერთი ნაწილის ნახვაც კი
ქართველ მეცნიერთაგან. დღეს არის შესაძლებლობა, რომ
მესხეთის ყველა „ქვეყანა“ იქნეს შესწავლილი სხვადასხვა
კუთხით, მათ შორის უპირველესად საჭიროა ტოპონიმური შეს-
წავლა, რისთვისაც გადადგმულ ერთ ნაბიჯად მიგვაჩნია, ჩვენი
შრომა.

მესხეთის ტოპონიმთა კვლევისას პრინციპული მნიშვნელობა
აქვს ამა თუ იმ სახელის დადასტურების დროს, რადგან ტოპონი-
მის ფიქსირების დროის მიხედვით მისი ასაკით წყდება ბევრი სა-
კითხი. პირველ რიგში სუბსტრატის, აბორიგენობის მიგრაციების
და ა.შ.

ფიქსირებასთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ლოკა-
ლიზაციის საკითხი. ნაშრომში ვეცადეთ, მოგვეცა მრავალი
ტოპონიმის ლოკალიზაცია, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა
წყაროებთან ერთად დღევანდელმა ვითარებამ. სახელი რომელიც
დასტურდება იმავე ადგილზე, სადაც მოიხსენიება წყაროებში, ან
ხდება მისი გადატანა და სხვ.

ბევრი ტოპონიმი საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ენობრივი
ფაქტი და ლექსიკური ერთეული, არამედ როგორც ისტორიული
მოვლენის მოწმე. ჩვენ მიერ დადასტურებული არაერთი ტოპონიმი

ნაწილია ჩვენი ისტორიისა. *ერეკლეს ნახიდარი, თამარის დარბაზი, ბევიბაღები, საბატონო, გოგორიშვილის ქალა, მუსხელიშვილები, რუსის გზა* და სხვა ჩვენი ისტორიის სხვადასხვა ეპოქას ასახავს. ამ ტიპის ტოპონიმების კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა მათი მდგრადობა და ონიმის სოციალური ფუნქცია, რითაც დასტურდება ტოპონიმთა როგორც საისტორიო წყაროდ გამოყენების აუცილებლობა.

არტაანის გუბერნიაში და საერთოდ მესხეთის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ინტენსიურად მიმდინარეობს სახელთა ცვლილება. ტოპონიმია იცვლება ადმინისტრაციულად. ნაშრომში შეძლებისდაგვარად ნაჩვენებია ძველი და ახალი სახელები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შედარებით მდგრადობით გამოირჩევა მიკროტოპონიმია. „ზემოდან მითითებით“ იცვლება სოფლის, ქალაქის, მსხვილი ობიექტების სახელები, მაგრამ მიკროტოპონიმია უცვლელი რჩება, რადგან იგი ლოკალური მოხმარების სფეროს განეკუთვნება და ადმინისტრაციის ინტერესების არეალში ვერ ხვდება, ამიტომ ჩვენ მიერ შესწავლილი იუსუფელისა და ართვინის მიკროტოპონიმების ნაწილი იქ ქართველთა ცხოვრების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

ტოპონიმია იყენებს სხვა მეცნიერებათა მონაცემებს. ამასთანავე ადგილის სახელის ანალიზის შედეგები გამოადგებათ, ვთქვათ, ისტორიკოსებს ისეთი ცნობილი ქართული სახელების ქართულობის სამტკიცებლად, როგორც ახალქალაქი და ახალციხეა. მათი სახელების დამახინჯება განპირობებული იყო არა მხოლოდ არაქართულენოვანი ბუნებრივი ზეგავლენის გამო, არამედ პოლიტიკური მიზნების შედეგადაც.

ტოპონიმების კვლევის მეთოდები განსხვავდება ენის კვლევის მეთოდებისაგან, რადგან ტოპონიმთა წარმოქმნა მხოლოდ ენობრივი მახასიათებლით არ არის მოტივირებული. იდეალური შემთხვევაა, როდესაც თითოეული ტოპონიმის კვლევა ხდება კომპლექსურად, თუმცა ტოპონიმური კვლევის გასაღები მაინც ენაში დევს, ამიტომ, მესხური დიალექტის გეოგრაფიის დადგენა და მისი დახასიათება მაშინ, როდესაც დღეს ამ დიალექტზე ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფი მეტყველებს, შეიძლება ტოპონიმური მონაცემების საფუძველზე. დიალექტის ამ მიმართულებით კვლევამ დაგვანახა რომ მას ბევრი რამა აქვს საერთო სალიტერატურო ქართულთან, მაგრამ ბევრითაც განსხვავდება. ეს განსხვავება გამოიხატება ფონეტიკურ პროცესებში, მორფოლოგიურ თავისებურებებში და ლექსიკაში. ისტორიული მესხეთის (სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, ერუ-

ერუშეთი, არტაანი, ტაო, კლარჯეთი...) ქვეყნებს ყველაზე მეტი აქვთ ამ კუთხით საერთო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მესხური დიალექტის დამთხვევას მის ისტორიულ გეოგრაფიულ საზღვრებზე.

მესხეთის ადგილის სახელთა ზოგიერთ ტოპონიმთა ეტიმოლოგია-ეტიოლოგია დღეს ერთადერთი გზაა მესხური დიალექტის ისტორიული კუთხით კვლევისა.

ჰიდრონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური დაჯგუფება და ისეთი ჰიდროტერმინების კვლევა, როგორცაა წყალი, ღელე, ტბა და სხვა გვაძლევს საშუალებას, რომ ვიკვლიოთ მესხეთის მდინარეთა ხედილეთა სახელები.

მეთევზეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის, თევზეულთა სახლების სიახლოვე ზანურთან, განსაკუთრებით ლაზურთან, მრავალი ფაქტორით არის განსაზღვრული. მესხეთის ისტორიული არეალი („ტაშიკართგან ვიდრე ზღუამდე“ სხვაგვარად აყენებს ამ პრობლემას. ლაზეთსა და მესხეთს უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ისტორიულად.

უცხოენოვანი ტოპონიმები ძირითადად გამჭვირვალეა. მათი კვლევა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ტოპონიმთა ასაკი, დიალექტში შემოსული ზოგიერთი სიტყვის მიერ ქართული შესაბამისი ლექსიკურ ერთეულის განდევნა. ენობრივი შერევები ტოპონიმიში და სხვა.

სარჩევი

შესავალი

ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, კოლა.....	3
ნიკო მარი და შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია	17
ლინჩის ცნობები სამცხე-ჯავახეთის შესახებ	21
ექვთიმე თაყაიშვილი მესხეთისა და სამცხე-საათაბაგოს შესახებ	27
მესხეთის სხვადასხვა კუთხის ზ. ჭიჭინაძისეული ლოკალიზაცია	30

თ ა ვ ი I. მესხეთის ტოპონიმია და ისტორია

§ 1. ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია ვახუშტი ბატონიშვი- ლის „აღწერის“ მიხედვით	34
§ 2. მესხეთის ტოპონიმია, როგორც საისტორიო წყარო	44
§ 3. არტაანის გუბერნიის ტოპონიმთა უახლესი ისტორია	51
§ 4. მიკროტოპონიმებში შემორჩენილი ქართული სახელები ..	60
§ 5. ახალქალაქი	83
§ 6. ახალციხე	92

თავი II. ტოპონიმური სახელი დიალექტთან მიმართებაში

§ 1. ფონეტიკური პროცესები	99
§ 2. მორფოლოგიური თავისებურებანი	107
§ 3. არქაული ლექსიკა	121
§ 4. მესხეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის .	
ა) დანკალი	148
ბ) ზანზობი	152
გ) ნასოფლარ ტობის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის	158

თავი III. ჰიდრონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური დაჯგუფება და ანალიზი

§ 1. ჰიდრონიმული ჯგუფები და მათი „სულიერი“ და „უსულო“ დახასიათება	166
--	-----

§ 2. „მტკვარი“ - ჰიდროგრაფიული ტერმინი	179
§ 3. ფოცხოვი	192
§ 4. ლელე მთიან აჭარაში	194
§ 5. ტერმინი „ტბა“	204
§ 6. თავფარავანი	211
§ 7. მეთევზეობა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმია	218

თავი IV. უცხო ენობრივი პლასტები მისსურ ტოპონიმიაში

§ 1. სპარსული ელემენტები	253
ა) ვანი	262
ბ) არტანი	263
გ) ასპინძა.....	266
დ) ასპანა	266
§ 2. არაბული წარმოშობის ტოპონიმები	
ა) შუაქარაღის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის	267
ბ) რაბათი	273
§ 3. თურქული ტოპონიმები	279
§ 4. ადგილის სომხური სახელწოდებანი	287
§ 5. რუსული სახელები	294
საკუთარ სახელთა საძიებელი	303